ჯანრი კაშია

პარისიკონი
მარტორქას თავგადასავალი

მხატვრული პროზა

თბილისი 2013



გველის-მჭამელი

შენობა, შესაქმე

ტოტალიტარიზმი

პარისიკონი, მარტორქას თავგადასავალი

პიესები, სცენარები, ლექსები

ფედერალიზმი

ენა, საზრისი, ყოფიერება...

პუბლიცისტური ნერილები

უბისი „რენესანსი ურენესანსოდ“

უბისი „რუსთაველი და დანტე“

ДВЕРИ...

გველის-მჭამელი

შენობა, შესაქმე

ტოტალიტარიზმი

პარისიკონი, მარტორქას თავგადასავალი

პიესები, სცენარები, ლექსები

ფედერალიზმი

ენა, საზრისი, ყოფიერება...

პუბლიცისტური ნერილები

უბისი „რენესანსი ურენესანსოდ“

უბისი „რუსთაველი და დანტე“

ДВЕРИ...

ჯანრი კაშია
ტომი IV

პარისიკონი
მარტორქას თავგადასავალი
მხატვრული პროზა

რედაქტორები: ხათუნა თოდუა, თამარ თითმერია

ყდის დიზაინი: © ალექსანდრე ბერდიშევი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნუგზარ არჩემაშვილი

© ჯანრი კაშია

ყველა უფლება დაცულია
ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2013

© Janri Kashia
Parisicon
The adventure of Rhinoceros

All rights reserved
Georgian Biographical Centre, 2013

ISBN 978-9941-9240-7-1

პარისიკონი

წიგნი პირველი

"Merde... Merde" სიტყვასრულად შეაფრქვია მსროლელმა... ხოლო ხის აივნიდან გადმოყუდებულმა ბებერმა რამდენიმეჯერ ხმამაღლა წარმოსთქვა:

– სიზმრებს ესიზმრებიან სიზმრები!.. და მიაყოლა სხვადასხვა ენაზე ხითხითით: ჰხე, ჰხე... LES REVES RÊVENT LES REVES... ჰხე, ჰხე... DREAMS ARE DREAMING DREAMS... ჰხე, ჰხე... DIE TRAÜMEN TRAÜMEN DIE... ჰხე, ჰხე... LES REVES RÊVENT LES REVES... ჰხე, ჰხე... I SOGNI SOGNANO I SOGNI... ჰხე, ჰხე... СНОВИДЕНИЯ ВИДЯТ СНЫ... ჰხე... ჰხე... ჰხე... LES REVES RÊVENT LES REVES... ვიდრე სრულიად არ გაახმოვანა ბაბილონის უნიათო ცდის შემდეგ დედამიწაზე მიმობნეულ ენათა ჯარი და ისევ ენაწყლიან ქართულს არ დაუბრუნდა, რომლის ხმოვანება და მიმოხვრა განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა ახლა... – სიზმრებს ესიზმრებიან სიზმრები! ჩაიმეორ-ჩაიხითხითა და წვერის ცანცარით გადაჩოჩდა ტახტზე.

მას არც გაჰკვირვებია, რომ სიტყვები აცურდნენ მის წინ სივრცეში და აციმციმდნენ. ხმა არ ისმოდა... ხედავდა მხოლოდ მოხუცის ტუჩების მოძრაობას და ხითხითს, რომლის დროსაც სიტყვები ცვიოდნენ მის ბაგეთაგან, ვიდრე არ შეავსეს სივრცე და არ აირივნენ, აიზილნენ ერთმანეთში ისე, რომ ერთი მთლიანი მორგვი არ გაკეთდა, რომელშიც შეტმასნულ წინადადებებს აღარავითარი აზრი აღარ შერჩათ, ხოლო მას კი თვალის გუგები ისე გაეჭედა, რომ ტკივილმა ნაკაწრივით გადაუსერა თვალი. ხოლო მოხუცი განაგრძობდა ენათმეტყველებას და ავსებდა სივრცეს ისე, რომ უკვე სუნთქვაც შეუძლებელი ხდებოდა, მაგრამ ეს მას არ აწუხებდა, როგორც ჩანს, რადგანაც ყოველ გამეორებაზე ხითხითებდა და სულ

უფრო და უფრო ჩოჩდებოდა ტახტზე, ხოლო სიტყვების მორგვი კი თანდათან ავსებდა სივრცეს და აგორდებოდა მას და მიხვდა იგი, რომ შეუძლებელი იყო ამ სივრცეში არსებობა და ვერც გაჩერებულიყო, სიტყვები კი ზვავივით მოექანებოდა მისი ტახტისაკენ და ისე ავსებდნენ გუგების სივრცეს, რომ მათ დასანახად და გასარჩევად აღარც გადაჩოჩება იყო საკმარისი და აღარც თავის გაწევა და დაინახა, რომ, უეცრად, მოხუცმა ხმა ამოიღო და სიტყვები გაახმიანა:

– ჰხე, ჰხე... სიზმარი ესიზმრება სიზმარს... ჰხე, ჰხე... – გაიგონა მან გარკვევით და თვალი შეაღო.

მზეს მიფიცხებულს უეცრად მოეჩვენა, რომ ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი და შეშფოთებული შეკრთა.

რკინის ბურთი მძიმედ დაეშვა მინაზე და ღორუკელასკენ გაგორდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა ინერციით, სხვა ბურთებს გვერდი აუარა და ჩასუქებული ფრანგის ფეხებთან გაჩერდა.

– Merde – სიტყვასრულად შეაფრქვია მსროლელმა... „ესენიც კოჭობანას თამაშობენ!?" – გაიფიქრა ზანტად მზეს მიფიცხებულმა. მცირე ხნით ისევ დახუჭა თვალები. მოხუცი თუმც ხითხითებდა კვლავინდებურად, მაგრამ სიტყვებს ვეღარ წარმოსთქვამდა, რადგანაც წარმოთქმულის მომწყდარმა ზვავმა შუაში მოიქცია და პირი ამოუვსო. – „სიზმარს დაესიზმრა სიზმარი" – თითქმის ხმამაღლა წარმოსთქვა მან. და ჩაეცინა: უცნაურია, როგორ აცნობიერებს გონება სიზმარში დანახულ სიზმარს... აზრი კი არა, მდგომარეობა აცნობიერებინებს.. სითბო, რომელიც იღვრება იდუმალი წყაროდან მთელს სხეულში და ატკბობს სულს... თუ ხორცს.....

– ხორცს, რადგან სიზმარს ხომ სული ხედავს და არა ხორცი... იქ, იმ კარებში ხორცს შესასვლელი არა აქვს, სულია, რომ მიმოდის დროსა და სივრცეში, ხოლო ხორცს კი... ხორცს რაღა რჩება? ან რაღა შეუძლია? გადაადგილება და მხოლოდ... სული არ გადაადგილდება, იგი არის, არის ყველგან და ყოველთვის... მაგრამ ახლა ვეღარც მოხითხითე მოხუცი მოიხელთა და ვეღარც სიტყვების ზვავი იხილა. და თვალები ისევ შეაღო. მზის სითბო უკვე აღარ ეფინებოდა სახეზე გამოფხიზ-

ლებულს და მძიმედ წამოდგა. წამოიწია მოპირდაპირე სკამზე გაშოლმა კლოშარმაც.

– Pardon, M`sieur, est-ce que vous avez deux francs? – მოხუცს არც გაჰკვირვებია კლოშარის ხმა. მხოლოდ მძიმედ დააკვირდა და ჩაიცინა:

– Non, je n`ai que dix francs, désolé! – მის შიგნიდან გამოეპასუხა ვიღაც, მოხუცმა ორშაურიანი ხელში შეაბრუნა და მაშინვე მიხვდა, რომ ბურუსმა გაჟონა მთელს ტანში. კლოშარი გაკვირვებული შეაჩერდა წამით, ვიდრე თავის მოსწრებულ ტირადას დაიწყებდა იმის შესაგონებლად, რომ არავითარი განსხვავება, არსებითად, ორ ფრანკსა და ათ ფრანკს შორის არ არის, და რიცხვი ორი „ფრანკის" წინ პირობითობას წარმოადგენს, და საერთოდაც, ფრანკები და ფრანგები ერთი და იგივეა, განურჩევლად რიცხვისა, ასე რომ, არაფერმა არ უნდა დაუშალოს კეთილ ადამიანს, გაიღოს ფრანკების ის რაოდენობა, რომელიც ხელთ აქვს და არა ის, რომელსაც სიმბოლურად მოითხოვს მისგან კლოშარი, რომელიც თუმც ფრანკებით არ არის ამჟამად მდიდარი, მაგრამ პირწმინდა ფრანგია, რაც მის შანსს ცხოვრებაში იმდენად ამაღლებს, რომ შესაძლებლობა ეძლევა, ფრანკების ისეთ რაოდენობას მოუყაროს თავი, რამდენიც მოესურვება, თუმცა კარგად ესმის, რომ მისი ფრანგობისათვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, ფრანკების რა რაოდენობა შეუძლია მან წარმოადგინოს მოცემულ ან ყველა შესაძლო მომენტში, როგორც კი უმაღლესი მსაჯული მოსთხოვს მას პასუხს მისი თავისუფლებისათვის, რომელსაც, კაცმა რომ სთქვას, ფრანკებთან, რომლებიც ფრანგების წინაპარნი არც არიან, ანუ გალებთან, არავითარი კავშირი არა აქვს...

„სიზმარს ესიზმრება სიზმარი", – ფიქრობდა მოხუცი და უეცრად შეაჩერა კლოშარი.

– Prenez! – თან ქართულად ჩაილაპარაკა ბაგის გაუხსნელად: „ორი შაური... ორი შაური... ჩაანგრიე-გადაანგრიე..." – აიღე.

ველარ წარმოსთქვა სხვა საპარლამენტო სიტყვა კლოშარმა, მაგრამ სახე კი გაებადრა:

– Ooh-o, Monsieur, quelle gentillesse! სადღა იპოვი ახლა ამგვარ ხალხს? სიზმრადაც ვერ მოილანდებ... – განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად და ნიშნად ამ დიდებული ჟესტის დაფასებისა, კლოშარი წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯით გაჰყვა გიორგის. „სიზმარს ესიზმრება სიზმარი..." – ისევ ააცანცარა წვერები ტახტზე მჯდომმა და გიორგიმ განუწყვეტლივ მორაკრაკე კლოშარისკენ მიაბრუნა თავი: „შეგარგოს ღმერთმა"... – კლოშარმა უეცრად შეწყვიტა ნაკადი, თვალები შეანათა და კბილმეჩხერი პირი დაჭმუჭნა ფიქრში:

– Vous n`etes pas Fransais?! – მტკიცება უფრო გამოუვიდა, ვიდრე შეკითხვა.

– Pourquoi? – მაგრამ მიხვდა ამ კითხვის უაზრობას და დაამატა – Je suis Georgien...

– ააააჰ! Staline! – აღმოხდა მრავალმნიშვნელოვნად კლოშარს. „ფრანგების უბეს სოციალისტები დაჰპატრონებიან და ხრავენ... ხრავენ... აღარ მისცეთ არავის, თორემ გადასახადს შეგაწერენ" – მოწყვეტით შერჩა თავის ადგილს. მერე წავიდა.

მოხუცს არც შეუმჩნევია მისი წასვლა, რადგან უკვე ზედიზედ გაიგონა ნიჟარაში ჩარჩენილი ზღვის შრიალივით ნაცნობი ხმა და ფრანგების ეკლესიის კუთხეს მიაშტერდა.

„ორი შაური... მომე ორი შაური... ჩაანგრიე-გადაანგრიე..." სიზმრის პეპელა...

ბიჭმა გზას გაჰხედა.

მოსახვევიდან ფრანგების ეკლესიის ეზოს მუდამ დახურული ჭიშკრის ჟანგიანი ბოქლომი ჩანდა, ხოლო ცოტა უფრო ქვევით, ქუჩის ჩაყოლებაზე, სადგურის პირდაპირ მდგარი „პირველი მაისის" სასტუმროს შენობის კიდეში – ბაბუას აფთიაქი. „ორიშაური" თავის დორბლიან სახეს სასაცილოდ ღმეჭდა და განუწყვეტლივ იმეორებდა: „ორი შაური!.. მომე ორი შაური!.. ჩაანგრიე-გადაანგრიე!..." – აბაზი მაქვს, არ მაქვს ორი შაური, აიღე, თუ გინდა, – თქვა ბიჭმა. „ორიშაური"

უცებ შედგა და მოიღუშა: – ორი შაური მინდა, ორი შაური მომე, ორი შაური... ჩაანგრიე-გადაანგრიე!...

ბათუმში ყველამ იცოდა, რომ მათხოვარი, რომელსაც „ორიშაური“ შეარქვეს, არც მეტს და არც ნაკლებს არ აიღებდა. მას ორი შაური უნდოდა. და მორჩა. ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ბავშვებს მაინც ეშინოდათ მისი. ამასთანავე, ქალაქში ხმები გავრცელდა, რომ იგი გზადაკარგული შპიონი იყო და ამ გზით ცდილობდა, მიეკვლია თავისი მეკავშირისათვის და რომ „ორიშაური“ რაღაც პაროლი იყო. არავინ იცოდა, სად ცხოვრობდა „ორიშაური“, რა ეროვნებისა იყო და რა ენაზე ლაპარაკობდა სინამდვილეში, რადგან მისი დორბლიანი და კბილებმეჩხერი პირით წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა ვერაფერს არკვევდა სინამდვილეში. „ორიშაურის“ შესახებ არსებობდა რამდენიმე დაპირისპირებული „ვერსია“, რაც მას ერთგვარ ფარსაც კი უქმნიდა მოსახლეობის თვალში, რადგან გაურკვევლობა ყველაზე კარგი აბჯარი იყო. ერთნი ამბობდნენ, რომ იგი „შპიონი“ იყო. მათი მოპირდაპირენი ამტკიცებდნენ, რომ პირიქით, „ორიშაური“ იყო კონტრდაზვერვის ოფიცერი, რომელიც ნადირობდა შპიონებზე. „თორემ, აბა, კგბ როგორ გაუშვებდა თავისუფალს?!“ ეს ძლიერი არგუმენტი იყო, ცხადია, მაგრამ კონტრარგუმენტიც არ იყო სუსტი: იმიტომ არ იჭერდნენ, რომ სხვა შპიონების გამოვლენა უნდათ. ამ არგუმენტების მიხედვით, „ორიშაურისადმი“ მიკარებაც და არმიკარებაც ერთნაირად სახიფათო უნდა ყოფილიყო. იყო კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც სულ რამდენიმე კაცი იზიარებდა. ამ ვერსიის მიხედვით, „ორიშაური“ ერთი საწყალი, ჭკუაშეშლილი, უთვისტომო და უწყინარი კაცი იყო, რომელმაც ომში მთელი თავისი ოჯახი დაკარგა და რაღაც სასწაულით ბათუმში ამოყო თავი... ასე რომ, ამ სამი ვერსიის ჯავშნით დაცული „ორიშაური“ არც ყურადღებას იყო მოკლებული და არც მაინცადამაინც აწყდებოდა ვინმე. იყო თავისთვის, თავის ფიქრებში ჩაძირული. ბავშვები ზოგჯერ განგებ შემოერტყმებოდნენ ხოლმე გარს და აბრაზებდნენ: „ორიშაური... ორიშაური... ორიშაური... ჩაანგრიე-გადაანგრიეს...“

ყვირილით, მაგრამ ვერასოდეს ბედავდნენ მასთან მიახლოებას. მან იცოდა, რომ „ორიშაური" ხანდახან აფთიაქში შეჰყავდა ბაბუას და წამლებს აძლევდა, აპურებდა კიდეც. და ამიტომ ამგვარი შიში არ ჰქონდა, მაგრამ დაცარიელებულ ქუჩაში რომ შემოეყარა „ორიშაური", რამდენიმე ჭიანჭველამ მაინც აურბინ-ჩაურბინა ზურგზე და იქაურობას თვალი მოავლო სწრაფად. – ორი შაური მინდა მე... ორი შაური მინდა... მომე ორი შაური... არ მინდა მე შენი აბაზი, ორი შაური მინდა, ჩაანგრიე-გადაანგრიე... – ზლუქუნებდა მათხოვარი და უცებ შედგა. ბიჭი ბაბუას აფთიაქთან იდგა უკვე. „ორიშაურის" თვალებში რაღაც ნაცნობმა სახემ იელვა. ბიჭს მოულოდნელად მშვიდი და საზრიანი მზერა მიაპყრო წამით, მერე გაუღიმა ბავშვური და ნათელი ღიმილით და გაბრუნდა. აფთიაქიდან წამლების სუნი მოდიოდა. მოხუცმა თვალები დახუჭა და ღრმად შეისუნთქა.

– Votre Pastis, Monsieur...

– Merci...

გიორგის ჩაეცინა. პასტისი პირველივე დღიდან უღვიძებდა ბავშვობის სურათებს და ახლაც, მზეს მიფიცხებულმა, ხარბად შეისუნთქა მისი სურნელი. „ორი შაურია ჩვენი ცხოვრების ფასი", – ამის თქმა უნდოდა საბრალო მათხოვარს და არავინ იყო მისი გამგონე... მოგონებათა მთვლემარე ბილიკმა ისევ მის ბავშვობაში ჩაუხვია. ღამეა. ნავთის ლამფის მბჟუტავ სინათლეზე, ბიჭმა ბაბუას არითმეტიკის რვეული მიუტანა და წინ დაუდო. „რა არის ეს?" „ერთიანის წერა იცი?" „შენ უნდა იცოდე, მე კი არა" – „მე ვიცი!" – და დასტურად რვეულში სწრაფად ჩაამწკრივა საკმაოდ მოხდენილი ერთიანები. „მეც ვიცი", – თქვა ბაბუამ. და რამდენიმე ერთიანი მიაწერა რიგს. „მაშინ გვერდის ბოლომდე ჩადი, მე კი დავიძინებ!" – იყვირა და გაქანდა თავისი საწოლისაკენ. მაგრამ გამოათრიეს და ერთიანების საწერად დასვეს... იმდენ ხანს იჯდა გაჯიქებული და შინაგან აღშფოთებული რვეულზე თავჩაკიდული, რომ ჩაეძინა და ერთიანების შევსება მაინც ბაბუას მოუხდა, თორემ ელენე მასწავლებელი უეჭველად ორიანს გამოაყო-

ლებდა, რადგან თვლიდა, რომ მის სიზარმაცეს, ცელქობას და მოურიდებლობას საზღვარი უნდა დასდებოდა კალაპოტში ჩასაყენებლად... „ნიჭიერი და უნარიანი, მაგრამ ცელქი და მოურიდებელი, სწავლობს კარგად, მაგრამ ძალდატანებით..." ზარმა ორის ჩამოკვრაც ვერ მოასწრო, რომ ოთახში ერთი ალიაქოთი ატყდა: „არიქა, ჩქარა, დაგვაგვიანდა, ჩქარა, ბაბუ!" – ბნელოდა. ომის დამთავრების მეორე წელი იყო და ქუჩები კვლავაც გაუნათებელი. მეეზოვეებიც არსად ჩანდნენ. ვეება ფსევდოევკალიპტები დევივით დასცქეროდნენ სიბნელიდან ქუჩას. ბაბუა შეუპოვრად მიექანებოდა სკოლისაკენ და უცებ, სტალინის და მარქსის ქუჩის გადაკვეთაზე გაქვავდა. ქუჩის კუთხეში მდგარი საათი ორს უჩვენებდა. „დალახვროს ეშმაკმა, – თქვა ბაბუამ, – არ გამიკვირდა, არავინ რომ არ დამხვდა კარებთან... დასწყევლოს ეშმაკმა, – ჩაიბურტყუნა, – კარგი, დავბრუნდეთ, და დღეს ნულარ წახვალ სკოლაში... – დიდებული დღე გამოვიდა". დილით, ბაბუა რომ სამსახურში მიდიოდა, ბიჭმა თვალი გაახილა და ისეთი სისწრაფით ჩაიცვა, რომ ბაბუამ თავი ვერ შეიკავა და გაეცინა: „რაო, ბატონო მელაო?" – „ჩემი ბრალი ხომ არ არის, სკოლა რომ გავაცდინე? გამიშვით და მარტო ვივლი, არ მეშინია მე," – ეშმაკური სერიოზულობით თქვა ბავშვმა. ეს ნიშნავდა, რომ უფროსების მიზეზით სკოლის გაცდენას არ უნდა მოეკლო მისთვის კუთვნილი „პეინირლი" – ბერძნულ-თურქულ-აჭარული ხაჭაპური, რომელსაც ბაბუასთან ერთად მიირთმევდა ხოლმე ყოველ დილით, სკოლაში წასვლამდე. „პასუხი ხომ იმან უნდა აგოს, ვინც დააშავა..." ერთიანების წერასაც რაღაც აზრი უნდა ჰქონოდა, რადგან შემდგომ ამ ერთიანების გამოცნობას თუ შეცნობას მოანდომა თითქმის მთელი ახალგაზრდობა და მერეც... რას უნდა ამოეწურა *ერთის* მიმართ აღძრული ინტერესი და გრძნობაც... გრძნობაც... სურათები ხმიანდებოდნენ შენს სხეულში და ეს ხმები იწვევდნენ სიამოვნების ნისლად მოდებულ განცდას მის სულში. ხედავდი და ვერც ხედავდი, რადგან სურათებს არაფერი არ ამაგრებდა ამ განცდისა და სასიამოვნოდ გაღვრილი შრიალის გარდა, რომელშიც გესმო-

და მოხუცის განუმეორებელი ინტონაციები... თბილი, ოდნავ ირონიული და კეთილი...

თეთრი გემი მიცურავდა ზღვაში და იდგა თეთრი მაგნოლია ზღვისპირა ბაღის შესასვლელში. ბულვარს ქალაქიდან გრძელი თეთრი ქვის ღობე ყოფდა. ბაღში, მოლზე ბაბუას თავის ფარმაცევტ მეგობრებთან ერთად პატარა სუფრა გაეშალა და ღვინოს მიირთმევდნენ. ბაბუას თავზე ფესკა ეხურა. ის ფესკა, უკვე საკმაოდ გაცრეცილი, მას ერგო შემდეგ. ახლა იგი ორჯერ უფრო ხნიერი იყო, ვიდრე ეს საოცარი ფარმაცევტები სურათზე. რატომ საოცარი? იმიტომ, რომ მთელ ქალაქს ჰპატრონობდნენ, ყველას წამალს უმზადებდნენ და ისეთი რეცეპტები ჰქონდათ, რომ ვერც ერთი ექიმი ვერ გამოწერდა. ამიტომაც მათთან უფრო მიდიოდა ხალხი, ვიდრე ექიმთან... გასაოცრება თაობისა...

მოხუცმა პასტისი გადაკრა და შავი ვარდის კოკორივით მოხდენილ ზანგის გოგოს თვალი გააყოლა. პირველსიცოცხლე ფეთქავდა მის ამ სხეულში, ცისფერი მკრთალი ძარღვებით ნაქსოვი მუქი ყავისფერი კანის ქვეშ... რა უნაღვლიანებთ ასეთი სილრმით შავ თვალებს? გოგონამ თითქოს რაღაც ბიძგი შეიგრძნო და შემობრუნდა მფრთხალი ჯეირანივით... სიზმარს ესიზმრება სიზმარი... გიორგიმ გაუღიმა გოგონას. იმანაც შეანათა თეთრი კბილები და შავი ნაკვერჩხლები გააცისკროვნა. გიორგიმ ცას ახედა იმწამსვე და მზეს შეაშტერდა. დღემდე ვერაფერი გაიგო იმ კალაპოტის...

– „ვინ მეტხანს გაუძლებს?"

მას თავისი საიდუმლო ჰქონდა და ყოველთვის იმარჯვებდა. ვერავინ უძლებდა – მის ნახევარსაც კი – მზის ყურებას. გიორგის ახლა გაეცინა... უცნაურია, როგორ მიაგნო მან თავისით ამას? ბიჭი არასოდეს არ უყურებდა მზეს. ეს იყო მისი საიდუმლო. იგი თვალებს ფართოდ ახელდა მზისაკენ მიქცეული და მზერას სრულიად ადუნებდა ისე, რომ მზე კი არ ხვდებოდა მის ფოკუსში, არამედ მთლიანად ცა და მაშინ მზის დისკო რბილად აჯდებოდა თვალის გუგას ისე, რომ გამჭვირვალე ხდებოდა... გიორგიმ ახლაც სცადა შეეჩერებინა დისკო

თვალის გუგაზე, მაგრამ თვალები აეწვა და თავი რომ აიღო, ქუჩა დიდი შავი ლაქებით დაიფარა. თვალები დახუჭა წამით. მოსახვევიდან გამოსულმა მანქანამ მოურიდებლად შეაბოლქვა და გაუჩინარდა. გიორგი წამოდგა. სიცხე თანდათან მატულობდა ქუჩაში. ერთადერთი თავშესაფარი ახლა ბულვარის შეზლონგებია, – თქვა თავისთვის და თეთრ მოაჯირს გააყოლა მზერა. რომელი მხრიდან შევიდეს, მარქსის თუ ლენინის? ისევ ინტურისტის პირდაპირ ჯობია, გაიფიქრა იმ იმედით, რომ ინტურისტის წინ აუცილებლად შეხვდებოდა ვინმეს, ვისთანაც სასიამოვნო იქნებოდა ჯერ ყავის დალევა და მერე შეზლონგებში ჩასვენება ვეება ფსევდოევკალიპტების, ნაძვებისა და მაგნოლიების ჩრდილში ზანტი საუბრისათვის. ჩვეულებისამებრ რიკულებზე ხელი აათამაშა და ქვის სიგრილე შეიგრძნო. ბერძნული სული იყო ჩაბუდებული ამ ქვის ღობეში, რომელიც ისე გამოყოფდა ბულვარს ქალაქიდან, თითქოს ორი სხვადასხვა სამყაროს სიმეტრიის ღერძი იყო. გასცდებოდი ამ ღერძს, შეხვიდოდი, შეაბიჯებდი თუ, სულაც, უეცრად აღმოჩნდებოდი ამ ღერძის იქითა მხარეს, როგორც ალისა თავის სარკისიქითა სამყაროში და წამსვე ირღვეოდა დროისა და სივრცის დადგენილი სისტემა, ორგანიზაცია, რომელსაც ასეთი დაბეჯითებით აწყობდნენ, ამაგრებდნენ, უჭერდნენ ჭანჭიკებს „სულის და ხორცის ინჟინრები“... რას უნდა მოუჭირო და როგორ უნდა მოუჭირო, როდესაც გადადგამ ფეხს და შედიხარ თავისუფლების და სილამაზის საუფლოში... სადაც ზანტ მზერას მაგნოლიის თეთრი ყვავილები „არგოსის“ აფრიალებულ აფრებად ეფრთიანება... რამ დააკავოს ეს ფრთამალი ფრენა სიზმრად ქცეული მსიზმრელებისა? და განა არიადნა ან ლედა შეძლებდნენ შესცილებოდნენ ამგვარ სილამაზეს? რა არის მის გვერდით თვით ელენეც? რა – ვენერა? პარისს, ვნებით დაზაფრულ ღმერთქალთა მსაჯულს, რომ ეხილა გვერდით მისი მზისმფრქვევი თვალები, ელენესაც დასთმობდა და ღმერთქალებსაც მიაყოლებდა? *კალაპოტი*... უმჯობესია, პირდაპირ სიკვდილის მოწმობა მომცეთ. და განა იგივე საინჟინრო-საჭანჭიკე სიგიჟე არ დაუფლებიათ

პროპაგანდისტებს, რომელნიც გაჰყვირიან: „ეს ჭრილობები, ნატყვიარები, მე მივიღე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თქვენთვის დავკარგე მე ეს თვალი, თქვენთვის გავიღე მარჯვენა ხელი... თქვენთვის ვზრუნავ მე და ვათენებ ღამეებს..." თუმცა, ამას შეიძლება კიდეც ჰქონდეს რაიმე აზრი, გზას რომ უხსნიდეს მჭევრმეტყველებისაკენ მისწრაფებულთ, მაგრამ საკმარისია, მოხვდე რომელიმე თავყრილობაზე, მიტინგზე, კრებაზე ამ აყვავილებული სიტყვათასიტყვაობისა, ამ ცარიელი სენტენციებისა, გგონია, სხვა სამყაროში მოხვდი, სარკის აქეთ ასარკულში... მიტომაც გამოდიან ბავშვები სკოლიდან გადებილებულები, რომ ვერაფერს ცხოვრებისეულს, ჩვეულებრივს ისინი იქ ვერ ხედავენ და არ ესმით... იგებენ მხოლოდ ჯაჭვებითა და ტერორით პროლეტარიატს შესეული ბურჟუაზიის შესახებ; ხოლო ბელადების შესახებ, რომლებიც აიძულებენ ბავშვებს, უთვალთვალონ საკუთარ მამებს და დააბეზღონ ისინი, რომ შემდეგ „ინჟინრებმა" თავი მოჰკვეთონ მათ, გადაასახლონ გადასაზრდელად, გადასაკეთებლად, გადასაშენებლად... სიკვდილამდე ვერაფერს გაიგებენ... და კიდევ... სწავლობენ ისეთ ტკბილ და გლუვ ლაპარაკს, რომ ყველა სიტყვა და საქმე ჰგავს ყაყაჩოთი და ქუნჯუთით მოყრილ ჩინურ ბურთულებს... განა შესაძლებელია ამგვარი საჭმლით დახვეწილი გემოვნების მიღწევა? ან სილამაზის მსაჯული გახდე?

სიტყვები... სიტყვები... ჭაბუკები არ ვარჯიშობდნენ დეკლამაციებში, – ტიროდა იგი, – მაშინ, როდესაც სოფოკლე და ევრიპიდე პოულობდნენ იმ სიტყვებს, რომლებიც საჭირო იყო... ხოლო პარისი? განა სიტყვებით არ მოაჯადოვა მან ელენე და განსაჯა ათინა, როდესაც მისი კონი მოვიდა, რისთვისაც ტროა ძაღლებს მიუგდეს სათრევად?! დიახ, დიახ! გეშინოდეს ძაღლისა! ეს შემსვლელთათვის... ხოლო თუ მონა ბატონის გარეშე გავა კარებში, მიიღებს ას დარტყმას! ორასს! ათ წელს! თხუთმეტს! უმაღლეს ზომას! გესმით, გამომსვლელებო?! ხოლო ამ დროს თეთრი ღობის იქით პომპეი დიოგენი აქირავებდა ბინას ივლისის კალენდებისთვის, თავისთვის სა-

კუთარი სახლის შეძენასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც იულიუს პროკული აწყობდა არასაჭირო ნივთების აუქციონს. *დიონისე, იყავ თავისუფალი!* რას უნდა მორგებოდა ეს ჭანჭიკები? ამ თეთრი მოაჯირის იქით გაბიჯებული არსებობის რომელ ნაწილს? Плаши Плешивый! დაინახავ, რომ მამაშენი ტყუილად დახარჯულა, თუმცაღა შენ რიტორიკაც დაგიჯაბნია. აბა? ვინ ვის? „გასწვრივ მივდივარ, სიფართეში მივდივარ, გამოიცან, ვინ ვარ?“ და კიდევ გეტყვი, „ვინ მორბის ჩვენთან და ადგილიდან არ იძვრის? ვინ იზრდება და სულ მცირე ხდება? ვინ? არ იცი?...“

თეთრი მოაჯირი გათავდა სწორედ მაშინ, როდესაც თეთრწინისაფრიანი გარსონი თავს წამოადგა და მაგიდაზე სურნელოვანი ყავა დაუდგა.

– Votre expresso...

ინტურისტებში ყველაზე კარგ ყავას ამზადებდნენ ორივენი. ქართველი მარგოცა და სომეხი სონიჩკაც. მაგრამ ყველას კი მაინც ბერძენი დეიდა ირას ყავა სჯობდა. თავისი ორაკულისებრი მარჩიელობით. ესეც იმდენად ბერძნული იყო, რომ ბავშვობიდან შეითვისა – ბერძენი ყავაზე მარჩიელი უნდა ყოფილიყო და მერეც, რამდენჯერ შეხვედრია ეს პითიური თვისება მათში. მართლა ასე იყო, და რა გასაკვირია, რომ დელფოსი საბერძნეთი იყო, ხოლო პითია, ვიდრე ღვთის ნებას გაიგონებდა, ყავით ირთობდა თავს, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე თურქები ყავას შემოიტანდნენ ევროპაში და ბახის კანტატას ჩაჰბერავდნენ სულს. ამიტომაც, თუ ვინმეს თქვენგან რაიმე მოთხოვნილება აქვს, ნუ მოერიდება... არც ერთი ჩვენგანი არ დაბადებულა ბეჭნატვიფრი. მე პირადად ვთვლი, რომ არ არსებობს უფრო დიდი წამება, ვიდრე თავშეკავება, როდესაც მუცელში გვრემა გეწყება და გრიგალი იწყებს გრგვინვას ნაწლავების ლაბირინთებში. მხოლოდ ამის აკრძალვა არ შეუძლია იუპიტერს. მიმართეთ სიბილას და ჰკითხეთ იმ ბავშვებივით, რომელთაც ბოთლში იპოვეს ის ერთხელ: „სიბილა, რა გინდა შენ?“ ხოლო სიბილამ უპასუხა: „სიკვდილის დროა“... სიზმარნი მსიზმრებელნი...

– Avez-vous une Leff?
– Désolé...
– Un demi krönenburg...

გვერდით მაგიდასთან ორი ჩასუქებული ბავარიელი ძლივს ჩაეკვეხა სავარძელში. შეორთქლილი მასი დაიდგეს წინ და ქაფი მოხვრიპეს. მსუქან სახეზე თეთრი ქაფის ულვაშები დააჯდათ. არც მოუშორებიათ, ისე მოიყუდეს ლუდი და ერთი მოსმით ნახევრამდე ჩაიყვანეს. მხოლოდ ამის შემდეგ ამოისუნთქეს, თავისუფლება იგრძნეს, სახე გაებადრათ და მსუქანი ლოყები აულაჟღაჟდათ. გიორგის ჯერ კიდევ არც ერთი სიტყვა არ გაეგებოდა გერმანულის და ამიტომ უფრო ხშირად თავის წარმოდგენაში ალაპარაკებდა ათას სისულელეს, მაგრამ ზოგჯერ არა უშავდა, სასაცილო სიტუაცია იქმნებოდა და თანაც დროც შედარებით სწრაფად გადიოდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, დროის გასვლას და მით უმეტეს გაყვანას არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან უკვე ასაჩქარებელი არაფერი იყო, რადგან თევზი ხმელზე არ დადიოდა, ხოლო წყალი დიდი ხანია მოწამლული იყო და ისღა დარჩენოდა, რომ მეხსიერება ევარჯიშებინა და მოეგონებინა ყოველივე, რაც ბავშვობაში წაეკითხა ან გაეგონა, რომ შეევსო ის სიცარიელე, რომელიც ამ თეთრი კედლის იქით მოულოდნელმა გადასვლამ გამოიწვია. ახლა იგი სარკისებურ სამყაროში გრძნობდა თავს... სინამდვილე არეული იყო – ის, რაც მხოლოდ სიტყვებით იცოდა, ახლა ხელშესახებად დაუდგა წინ, სახე მიიღო, მოძრაობა დაიწყო, კონკრეტული გახდა, როგორც ეს ორი ბავარიელი, უკვე მეორე კათხა მასს რომ ათავებდა... ბავარიაში რომ ლუდი ისმევა, შეუძლებელია, ამან მათ ხასიათზე არ იმოქმედოს...

„ქალბატონებო და ბატონებო! ძვირფასო კოლეგებო! ლუდისმსმელთა ცივილიზაცია, თუ მას შევადარებთ ღვინისმსმელთა და არყისმსმელთა ცივილიზაციებს, მეტად სპეციფიკური ხასიათით გამოირჩევა. ვერ იტყვი, რომ ეს ხასიათი საშუალო ოყოს ღვინისმსმელთა და არყისმსმელთა შუა, ან ერთგვარი ნაზავი“... ეს განსაკუთრებით იზიდავდა გიორგის

ყოველთვის და მთელი თავის გრძელი და თავგადასავლიანი ცხოვრება სულ იმას ეძიებდა, რომელი სამზარეულო როგორ ცივილიზაციას შეესატყვისება და რა თვისებებით ხასიათდება ამა თუ იმ სპეციფიკური სასმელისა თუ საჭმელის მომხმარებელი ერი, რადგან თვლიდა, რომ ადამი სწორედ ჭამისათვის შექმნა ღმერთმა და პირველი სიტყვაც, რომელიც მას გააგონა, იყო: „აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი. ეს იყოს თქვენი საზრდო... – გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში, მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები...“ – ეს იყო პირველი სიტყვები, რომლებიც ადამმა გაიგონა ღმერთისაგან... და რა გასაკვირია, რომ მასაც ჭეშმარიტებად სწორედ ის მიაჩნდა, რომ ადამიანი მჭამელად არის გაჩენილი, რადგან თავად ღმერთი, ყველა ფილოსოფიური და თეოლოგიური თვალსაზრისით, უჭმელთა რიცხვს იყო მიკუთვნებული, რისგანაც ბუნებრივად გამოდიოდა, რომ თავისი უჭმელობის კომპენსაციისათვის გააჩინა მჭამელთა და მსმელთა მთელი სამყარო, რათა დამტკბარიყო იმის ცქერით, რისი არავითარი შესაძლებლობაც მას არა ჰქონდა... მსიზმრებელს ჯადოსნური სიზმრისა...

„მსმელთა არიულ რასაში, ძვირფასო კოლეგებო, სწორედ ეს სამი კატეგორიაა გამორჩეული: ღვინისმსმელები – ლუდისმსმელები – არყისმსმელები. დიუმეზილის ტრიფუნქციონალები რასიულ განზომილებაში, სხვაგვარად... ღვინისმსმელები – მეომრები არიან; ლუდისმსმელები – ორგანიზატორები; ხოლო არყისმსმელები კი, არყისმსმელები... გახედეთ მათ ცხოვრებას, დააკვირდით მათ ქცევას, მათ წვალებას, ხან დასალევს რომ ეძებენ და ხან მისაჭმელს, განა ეს ცხოვრებაა? და ან რა დაუშავეს არყისმსმელებმა დიუმეზილს?... მაგრამ დავუბრუნდეთ თემას, ძვირფასო კოლეგებო! მათი მოძრაობა, ანუ მათი განსახლების მიმართულება: სამხრეთიდან – ჩრდილოეთისაკენ... იკლებს ტემპერატურა, მატულობს გრა-

დუსი, მატულობს ტემპერატურა – იკლებს გრადუსი: და, აი, შედეგები – ცივილიზაციები ზომიერ სარტყელში წარმოიქმნენ ღვინისმსმელთა მიერ! ცხადია, ახლა ყველაფერი არეულია, მაგრამ ის, რასაც „კულტურა" ჰქვია (უსქესო das Kultur ... – ასწია თითი ბავარიელმა), სწორედ ამ საფუძველზე ყალიბდება, რადგან ესაა ის პირველმოთხოვნილება, რომელიც თავს უყრის ყველა სხვა მოთხოვნილებას – ადამიანი ვერ ცოცხლობს, ვერც უჭმელი და, მით უმეტეს, ვერც უსმელი. ქალ-ბატ-ონებო და ბატ-ონებო! მაგრამ რასაც ეს ორი ბავარიელი შვრება, ამას ქართველების თავდაუზოგავი ღვინის სმა თუ გაუტოლდება, Meinen Damen und Herren, თუმცა, როგორი შესადარებელია ღვინო – ლუდთან? ქართულმა კულტურამ (მამრობითი სქესით: der kultur – თითი დაიქნია გიორგიმ) ღვინის სადიდებლად აღარაფერი დატოვა: „ღვინოვ კახურო, ვარ შენი მსმელი, გინდ თეთრი იყავ, გინდა წითელი" და „სამი რამ მიყვარს ამქვეყნად: ღვინო-დუდუკი-ქალები" და კიდევ ერთი წარწერა, კნიაზ ბარათაევს აზარფეშად რომ მიუძღვნა ნიკოლოზ მხიარულმა: „ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით, შესვი – გაამოს", როგორც თვით წარმოსთქვა სევდიანად... გაგვანდო... მაგრამ განა ეს გამოხატავს ქართულ კულტურაში და ქართველის ცხოვრებაში ღვინის ადგილს და ღვინისადმი დამოკიდებულებას? რაღაც საიდუმლო ნიშანია ამ სიჩუმეში ჩამალული! ბატო-ნებო და ქალბატო-ნებო! ჭამაზე გაგიჟებული ლუარსაბები საჭმელზე ხმას არ იღებენ... ნათელი ხდება, რომ ის, ვინც გაგიჟებულია ამ ჭამაზე და ის, ვინც ქართული კულტურა შექმნა, ორ სხვადასხვა ჯიშს ეკუთვნის ერთი და იმავე ხალხისა. აი, ჩემი დასკვნა, ძვირფასო კოლეგებო. და აქაა ქართული ენიგმაც. ჯიში ამოგვივარდაო, ჯიში! დიდი დიუმა, რომელმაც თავის მუშკეტერებს ტონობით ასვა ღვინო, თავის დასაღწევად დიეტაზე დაჯდა, რომ არ შეერცხვინა თავისი სამშობლო და დიადი მოდგმა გარგანტუასი და პანტაგრუელისა და ისიც კი ვერ დაათვრეს, როგორც მოწმობს ერთი ხელწერილი, ხოლო რას უზამდა მათ თვით ქვემოოკრიბელი ზვიადი ნაზო ალფოკრიბასი? ის რომ ნაპო-

ლეონის ჯარს ჩასდგომოდა სათავეში და არყისმსმელების ნაცვლად, ღვინოსან ქართველებზე გაელაშქრა მიურატი-ვით? მაგრამ ღვინისმსმელები იშვიათად ილაშქრებენ ღვი-ნისმსმელებზე... და სწორედ აქაა ტრიფუნქციონალობის მთელი საიდუმლო დამარხული. ფუნქციები კონტრადიქტო-რულნი არიან იმ, ლიტერატურაში დაგროვილი გასტრონომი-ული ტექსტების ნიაღში, რომელნიც მარტონი იკმარებდნენ საჩვენებლად იმისა, რომ ერებს განსაკუთრებული, ტექსტუ-ალური ღორმუცელობა ახასიათებთ... მაინე დამენ ჰერენ, ვე-რავინ იტყვის დანამდვილებით, გარგანტუადან წარმოიშვნენ ფრანგები თუ ფრანსუზებმა წარმოშვეს რაბლე, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ისინი ერთმანეთად ღირან. დიახ, ვამბობთ ჩვენ პანტაგრუელთან ერთად, მიუხედავად იმისა, ელზასი ჩვენია, თუ არა, ცივილიზაციის განვითარება აშკარად უკავ-შირდება ღორმუცელობას, ხოლო ეს უკანასკნელი კი არის უეჭველი მიზეზი კაცობრიობის გამოთაყვანებისა. დიახ, ქალ-ბატ-ონებო და ბატ-ონებო! ძვირფასო კოლეგებო! გაიხ-სენეთ თუნდაც ის შესანიშნავი დრო, როდესაც ბატებიც კი მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავისი დროული გამოსვლით კატასტროფას აცილებდნენ თავის სამშობლოს. რამ დაღუპა რომი, ბატ-ონებო? იმან, რომ მათ სწორედ ეს ბატები გააჩანაგეს... შესანსლეს... შეახრამუნეს..., რომელთაც ესოდენი სამსახური გაუწიეს სამშობლოს და, მა-შასადამე, მთელს კაცობრიობასაც. რადგან რა არის კაცობ-რიობა, თუ არა რომისაკენ მიმავალ გზაზე მტვერში ამოგანგ-ლულ ხალხთა ღორმუცელობა? ხე-ხე-ხე...", – გაიცინა ბავა-რიელმა და თავისი უზარმაზარი ხახა დააღო ისე, როგორც ამერიკელ მილიარდერებს აბჩენინებენ ხოლმე კუკრინიქსები მსოფლიოს და განსაკუთრებით და გამორჩევით რუსი პრო-ლეტარიატის გადასაყლაპავად. სწორედ ამ დროს გაიღო კა-რი და ვიღაცამ ნაზი ხმით დაიყვირა: nachtigal... nachtigal... nachtigal... – ორმა ბავარიელმა სწრაფად გამოსცალა თავისი მასი და "jawohl!" დასჭექა, რის შემდეგაც კარები დაიხურა და

ამის ნაცვლად ზედ ყურთან ვიღაცის ტუჩებმა წაიჩურჩულეს: „მონებიც ადამიანები არიან!..“

– ოო, ღმერთებო! გარყვნილებამ გაათავისუფლა ისინი და მისცა მათ მოქალაქეობის უფლება! რამეთუ არ არსებობს სიძნელე, რომელიც არ დაეძლიოს უზრდელობას. – რავვი, სად არის ულაყი? – ყოველივე ნებადართული საზიზღარია, – ლოყებღაჟღაჟა თავი აიღო ბავარიელმა, – და დუნე, გზააბნეული სული მიისწრაფის ყოველივე უცნაურისაკენ. – თქვენ რა, მთვრალი ხართ? თუ გამოქცეული მონა? თუ ერთიც და მეორეც? – მზე ყველას უნათებს! – თქვა ოთახის სიღრმიდან თვალებწირპლიანმა მოხუცმა ქალმა, რომელსაც ხელში გრძელი თოკი ეჭირა, თოკის ბოლოზე კი გაქუცული ყურებჩამოყრილი ყურშა იყო გამობმული. – არაფერიც, – თქვა გამყიდველმა! – შენ ახლა იმასაც მოითხოვ, რომ წინადაცვეთა გავიკეთოთ, ებრაელებს რომ დავემსგავსოთ და არაბების მსგავსად საყურეები გავიყაროთ ყურებში. ან ფრანგებმა რომ თავისიანებად გვიცნონ, ცარცით შევიღებოთ სახე! – დიდონ! – გაუკვირდა ახალგაზრდა მაღრიბელს, – შენ მაშ ვინღა ხარ?

სწორედ ამ ადგილას ყველასათვის მოულოდნელად, მოხუცი შექანდა და, თითქოს რაღაცამ შიგნიდან საფარველი შემოაცალაო, გახალისებული მზეჭაბუკი გიორგივით შეხტა მაგიდაზე და ტკბილხმოვანად დაამღერა თავის სარცხვენელზე, რომელიც იმხელა იყო, რომ საბრალო გიორგი მასზე გამობმული გეგონებოდათ, როგორც პომპეის ცნობილი ფრესკის გმირი, რის გამოც აპულეუსმა თავის დროზე *ოქროს ვირად* შერაცხა და თავისი შესანიშნავი თავგადასავალი გადაებრალა, რომ ვერავის შეეტანა ეჭვი მის წარმოშობასა და ხელდასხმულობაში. მაგრამ ამ საქმეში ისევ ჩაერია ბავარიელი დოქტორი და კომპეტენტურად თქვა:

„სიზმრები, მაინე დამენ უნდ ჰერენ, ჩრდილთა მსგავსად რომ ფარფატებენ და თამაშობენ გონებითა, არ გვეგზავნება ღვთაების მიერ არც ტაძრიდან და არც ციდან. ყოველი არსება მათ თავისთვის წარმოშობს, ვიდრე ასოებს სიმშვიდე მოიცავს და სული დაუბრკოლებლად ხალისობს ღამით, განაგრ-

ძობს რა დღის საქმეებს...“ აქ უკვე მეორე ბავარიელმა ველარ მოითმინა და თავისი დახვეწილი ლათინურით წარმოსთქვა ყველას შესარცხვენად, თუმცა, ძირითადად გიორგისაკენ იხედებოდა და იმ ადგილს რომ მიაღწია, სადაც მედეას ახსენებს, უხერხულმა სიწითლემ ისე შეუღება ნალუდარი სახე, რომ გეგონებოდა, ახლა გახეთქავსო კანს და გადმოიღვრება წასალეკად... ზუსტად ისე, როგორც ერთხელ გარგანტუამ გამოინვია წარღვნა თავისი შარდის ნიაღვრით და კომბოსტოს ფურცლებს ამოფარებული მგზავრები კინაღამ დაახრჩო, მგზავრები კი გადარჩნენ, მაგრამ აფრიკაში ამან საშინელი წყალდიდობა გამოიწვია, რისგანაც აფრიკელების მომავალ სამშობლოში წარმოიქმნა ყველა ტურისტისათვის ცნობილი „ნიაგარის“ – (იგივე „ნიაღვრის“) – ჩანჩქერი. როგორც ამას გვიამბობს სახელოვანი მესიზმრე ალნაზიბასი ფოკა, ოღონდ არა ის, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორის ტახტზე უნდოდა ასვლა თორნიკე ბერის გამოისობით, არამედ სრულიად სხვა და, ისედაც, ყოვლად ფრანგი, რომლის წინააღმდეგაც განსაკუთრებით იყო მიმართული ბავარიელის პოეტური აღმაფრენა, რადგან ბავარიელები ყოფილი ალზასელები იყვნენ:

„ეს რა სიგიჟეს გარდუქცევია ჩვენი მშვიდობა ბრძოლის ველად, მას იმსახურებს მხედრობა ჩვენი?

პარისს ხომ არ მოუტაცნია მოტყუებით ატრიდის ცოლი.

არც მედეა ჩანს, გაშმაგებული, თავს რომ იცავდეს ძმისა სისხლით.

უარყოფილი ვნებების ძალა შფოთავს მშფოთველად!

აღარ გეყოთ სიკვდილი ერთი?

ნუ ედავებით დაუნდობელ ზღვისა სტიქიას

და მის სიღრმეში ნუღა ასხამთ სისხლისა ღვარებს“.

– სოკრატე, რომელიც ღმერთებთანაცა და ადამიანებთანაც ერთნაირად სწორი იყო... ამაყობდა იმით, რომ არც ერთხელ არ შეუხედავს დუქანში და არ აძლევდა თავის თვალებს უფლებას, მისჩერებოდა რომელიმე ხალხმრავალ ყრილობას.

ჰო, არაფერია დაფიქრებით ლაპარაკზე უკეთესი, – თქვა წირპლიანთვალებიანმა ყურშას პატრონმა ქალმა.

– მშვიდობას გაუმარჯოს, მშვიდობას და ინტერნაციონალს! – წამოიმართა კუთხეში მდგარი გურულების მაგიდიდან ტრინოე, მაშინ, როდესაც ნოე სტრატეგოსმა მორიგი ფანდით ინგლისელი იმპერიალისტები განდევნა ბათუმიდან. ფრანგებმა ტაში დასცხეს და გურულები კმაყოფილნი დასხდნენ. მაგრამ ბავარიელს სრულიადაც არ ეპიტნავა ფრანგების ეს ალიანსი გურულებთან და მძიმედ წამოდგა.

– ზოგიერთ ხალხებში, მაინე დამენ უნდ ჰერენ, – გაისწორა სათვალეები ბავარიელმა დოქტორმა, – როგორც ცნობილია, დღემდე მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვით, მიცვალებულის მძორი მისი ნათესავების მიერ უნდა იქნას შეჭმული, ამასთანავე, ისინი ხშირად დედის სულს უტრიალებენ მომაკვდავს იმიტომ, რომ დიდხანს ავადმყოფობს და აფუჭებს თავის ხორცს. დაე, ამან დაარწმუნოს ჩემი მეგობრები, უსიტყვოდ შეასრულონ ჩემი ნება და დაეხმაროს მათ, შეჭამონ ჩემი ტანი ისეთივე გულმოდგინებით, როგორითაც გადაბარებენ ღმერთებს ჩემს სულს. „მაგი გურულებზე არაა ნათქმი", – გადაუჩურჩულეს ერთმანეთს გურულებმა. ქართლელებმა ჩაიხითხითეს... ტრინოე აშკარად დააბნია ბავარიელის ამ ინტერვენციამ მშვიდობისათვის შემოთავაზებულ სადღეგრძელოში და ნოე სტრატეგოსს ის იყო, საპროტესტო ნოტით უნდა მიემართა ფრანგებისათვის, ერთა ლიგისათვის და კომინტერნისათვის, რათა საერთაშორისო პროლეტარულ სასამართლოს გადაეწყვიტა მათი ბედი, რომ გამოირკვა მთელი ამ ამბის სრული დამაჯერებლობა, რადგანაც ნადიმიდან იმ წუთში დაბრუნებული პლატონი (პლატონ სამანიშვილის წინაპარი დედის მხრიდან) მზად იყო შეესრულებინა ეს: „ოღონდ თვალები დახუჭე და შეეცადე წარმოიდგინო, რომ ჭამ არა ადამიანის შიგნეულს, არამედ მილიონ დოლარს. გარდა ამისა, ჩვენ რაიმე საწებელსაც მოვიგონებთ, რომლითაც ხორცი უფრო გემრიელი გახდება. ჩვენი საწებლებით ხომ ლურსმნების ჭამაც კი შეიძლება, – ასე თქვა მსოფლიოს პრო-

ლეტარიატის მესამე ბელადმა და ჩრდილოეთის მეოთხე მზემ, რაზედაც მოულონებელმა გურულმა, ყოფილმა ფირალმა და ახლა ბედნიერმა კოლმეურნემ ჩაიქირქილა, – ახლა, ბაბაია, ლურსმნების ჭამაზეც გადავალთ ბედნიერების მომავალშიო, – ჩასჩურჩულა პლატონმა პლატონს. და არც არსებობს ისეთი ხორცი, რომელიც თავისთავად იყოს მოსაწონი. ხოლო ოსტატური მომზადება... – „ფილეს" გაგონებაზე ტრინოე უცნაურად შეიშმუშნა, თავისი მაგიდიდან სუკის ნაჭერი აიღო და ზვიად ბავარიელს მიაწოდა.

– А! СУКА! – თქვა რუსულად ზვიადმან მან, – უფრთხილდით სუკს, თორემ მთელს ქათმებს დაგიწამლავენ... – ამის გაგონებაზე გურულები სასწრაფოდ წამოდგნენ და მთავრობიდან გავიდნენ, რადგან ქვეყნის ფეხზე წამოყენება ქათმების გარეშე შეუძლებლად ჩათვალეს. ან სუკი, ან ქათმები. ეს უკვე ნიშნავდა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის გადაულახავი წინააღმდეგობა აღიმართა. აღმოსავლური სუკი (ანუ მწვადი, ბასთურმა და ... ხაშლამა) ებრძოდა დასავლურ ქათამს (ანუ საცივსა და ჩახოხბილს! ტაბაკასა და ბაჟეს...) და ვიდრე სუკი სუკობდა, არავითარი გზა გაერთიანებისა არ ჩანდა. სუკი ებრძოდა ქათმებს. საჭირო იყო აგრარული რეფორმა, მაგრამ გურულებს ამის გაკეთება აღარ შეეძლოთ მას შემდეგ, რაც ტრინოემ სუფრა მიატოვა და მშვიდობის სადიდებლად ინტერნაციონალს ჩაეხუტა პარისში...

მოხუცს უეცრად ფიქრი დაუბნელდა... ვილაცის ზვიადი მზერა დააცხრა შიგნიდან და თავისთავშიც კი ჩაიკმიდა ხმა, რადგანაც ეს მზერა, თავისი ცივი, მოჭუტული თვალებით კარგს არაფერს უქადდა, რამდენადაც მან იცოდა თავისი ცხოვრების გამოცდილებით, რამეთუ ამგვარი მზერის ქვეშ გაატარა მისი პირველი ნახევარი და კიდევ მეტი, ვიდრე არ ჩაიხრჩო თითქმის იმ გუბეში, რომლიდანაც მხოლოდ განაპირებით იყო შესაძლებელი თავის დაღწევა. მაგრამ აქ, ახლა, სიცოცხლის მიწურულს, ეს უეცრად გამოჩენილი ცივი მზერა ეუბნებოდა, რომ ისევ იქ იმყოფებოდა, თავისი გუბის ტყვეო-

ბაში და აღარ იცოდა, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი ამჯერად თავის დაღწევა.

– სიზმარს ესიზმრება მსიზმრებელი, თუ სიზმრებს ხედავენ სიზმრები? არაფერი არ იცვლება მაგით, და აბა რა უნდა შეიცვალოს? სიზმრების ბრძოლაა სიზმართან... და ეს ცხოვრებაც სიზმარია, მხოლოდ სიზმარი... სიზმართფრენა... თორემ არც შენ გაფრთხიალდებოდი ფანჯრიდან, სიზმარში მოფარფატე ჩრდილივით, ჩვენს გონებას რომ ათამაშებს... – გაუხსნა გიორგიმ გზა ნელ დინებას ფხვიერი ცნობიერებისა, რომელშიც შერჩენილი, ერთმანეთში აბურდული და გადახლართული ფერადი სურათები დანახვისთანავე იფშვნებოდა და იპნეოდა ქვიშის საათის დაუნდობელ ცვენად... ისე, რომ ზოგჯერ თვითონაც უჭირდა რომელიმე მათგანის შეჩერება და შენარჩუნება ცნობიერებაში... რომ მასზე მიემართა მეხსიერების თვალი... მაგრამ ამაოდ... ეს შინაგანი ბრძოლა სიზმრებულისა თავის სიზმრებთან თუმც ხალისს მატებდა, მაგრამ ღლიდა და ბოლოს ისევ მიენდო სიზმართა თამაშს და თვალები მილულა, რომ თავისუფლად ჩახვეულიყო გაზაფხულის თბილი მზის სხივებში და მას შემდეგ აღარ გაუხელია თვალი, ვიდრე გარსონი არ გამოჩნდა ესოდენ ნანატრი ცივი ლუდით..

– Et voilà, Monsieur, vôtre bière...

წყალი ისევე მოედინებოდა მდინარეში და ძაღლები თქვლეფდნენ თავის სალაფავს. ადამიანები, როგორც ყოველთვის დარბოდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ, ეძინათ და ცივილიზაცია, ეს დაჭმუჭვნილი ნაბიჭვარი ადამიანთა ძალისხმევისა, მიდიოდა წინ, პოლიციის მიერ დაცული ბორდელებისაკენ; გზაზედ კი, მხიარული და მთვრალი, აღბეჭდავდა კედლებზე ხამანწკის ნიჟარებითა და კომბოსტოს თავებით რაღაც თავის რწმენას, რაღაც დიდი ხნის წინათ დამჭკნარ ნაფლეთებს პოეზიისა ორ დიდ ჩანაფიქრს შორის: შეაკონწიწო ქონება და იცხოვრო შენთვის – ე.ი. ჩაჭედო გული საკუთარ დუქანსა და საკუთარ ნაწლავებს შორის... – თქვა ამ დროს მეზობელ მაგიდასთან მჯდარმა ულვაშებიანმა ჩასუქებულმა

მამაკაცმა, ჩამოკიდებული უპეებით და უკან გადაშვებული გრძელი თმებით, რომელიც ბღენძად ეწეოდა და პანტაგრუელისტურად მიირთმევდა რიგით შემდეგ კერძებს: ნიახურს, კამბალას, ძეხვს, პრასს, ბოლოკს, მონონლიკს, ცხვრის დუმას, ხბოს სუკს, ტაბაკას, ინდაურს, ყველს.

– აბა სხვის დუქანსა და სხვისი კუჭის მოქმედებას შორის ხომ ვერ გააჩერებს თავის გულის ცემას ადამიანი? – გავიფიქრე მე დაღლილად... რადგან რა ესაქმება მას მსოფლიომდე? ხოლო შემაწუხებელ ყვირილზე, რომელიც გაისმა მოსახვევიდან გამოსული დემონსტრანტების მხრიდან, მან თავი შეაბრუნა და თქვა, როგორც ფოკიონმა: ეს რა ყვავები ყრანტალებენ? – მერე თვალი გააყოლა პროცესიას და თავისთვის ჩაიბურტყუნა: ო, გემოვნება! ო, ღორებო ფრაკებში! ორფეხა ღორები პალტოში! – ხოლო თავის გვერდით რა დამიგულა, მოულოდნელად განაგრძო:

– გცნობიათ მოწყენილობა? არა ჩვეულებრივი, ბანალური მოწყენილობა უსაქმობისაგან ან ავადმყოფობისაგან, არამედ მოწყენილობა თანამედროვე, ჩაღრღნილი შიგ წიაღში და გარდამქმნელი გონიერი არსებისა მოარულ ჩრდილად, მოაზროვნე აჩრდილად? – რად ამბობთ მაგას-მეთქი, ვკითხე და უცებ შეაბრუნა სახე, თითქოს არც კი დაუნახივარ და არც მოუმართავს, განაგრძო:

– თითქოს არ არის საკმარისი ის მთელი სიდამპლე და სიბილწე, ჩვენს დაბადებას რომ დაჰყვება და სიკვდილის შემდეგაც გველოდება, – ჩვენს ცხოვრებაშიც ვარსებობთ მხოლოდ როგორც თანმიმდევრული, გადახლართული, ურთიერთთან მებრძოლი პროცესები გაფუჭებისა და ლპობისა. დღეს კარგავ კბილს, ხვალ – თმას, იხსნება ჭრილობა, მწიფდება ძირმაგარა, შენ გიმზადებენ გამოსარწყავ საფენებს, გიკეთებენ სახვევებს. ამ სიტყვებზე მე გადავიხარე და იმავე ტონში განვაგრძე მისი სათქმელი, სიტყვასიტყვით ის, რაც უნდა ამოსულიყო მისი პირიდან: – განა იგივე სიგიჟეს არ შეუპყრია დეკლამატორები, მყვირალნი? ეს ჭრილობები მე მივიღე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თქვენს გამო დავკარ-

გე ეს თვალი. მომეცით წინამძღოლი, რომ მიმიყვანოს ჩემიანებთან, რადგან ვეღარ უჭირავთ ფეხებს ჩემი სხეული... – მოულოდნელად მოხუცს სახე გაებადრა, ჭამას თავი მიანება, მთელი ჭიქა წითელი ღვინო გამოცალა, მერე ულვაშებზე ხელი გადაისვა, თავი ამაყად ასწია და გაბადრული სახით მომაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ თითით მიმიხმო თავისაკენ და ხმამაღლა, ისე, რომ ქუჩაშიც გაიგონეს გამვლელებმა და გაკვირვებული სახეები შემოაბრუნეს, თქვა: – განა შესაძლოა, ამგვარი სალაფავით დახვეწილი გემოვნება შეიძინო?...

მოხუცმა თვალები დახუჭა და ხელი გამომიწოდა.

ხელი ცივი იყო და გაშეშებული. თეთრი გამჭვირვალე სანთლისფერი კანის ქვეშ ცისფერი ძარღვები ანათებდნენ. მოჭუტულ თვალებში აცისკროვნებული სხივი რომ არა, ვიფიქრებდი, მკვდარს ვართმევდი ხელს, მაგრამ ამ უჩვეულო მზერამ შემაკავა.

მოხუცი, ეტყობა, მიხვდა ჩემს დაბნეულობასა და შეცბუნებას და ხელით ახლოს მიმიზიდა. ამგვარი ღონიერი ხელი არასოდეს შემხვედრია.

– არა, – თქვა მან, – როდესაც სინათლე აღარაა, სისხლი ცივდება. თევზები ვართ ჩვენ, გაშვებულნი ამ მორევში, რომელსაც ცხოვრება ჰქვიან. ესაა და ეს. ალბათ მართლები არიან პატრიოტები: საფრანგეთი დაბლა ეშვება...

– ამ წუმპეს აქაურები ქვეყნის სამასხროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, – ადამიანებს, – ჩავურთე მე.

– ყოველ შემთხვევაში, ჭკუის მიმართ ეს სწორია. პოლიტიკა კლავს მის უკანასკნელ ნამცეცებს...

– თვითონაც იცით, – ვთქვი მე, – არტელის ქვაბი ცუდად ხარშავს და თუ საქმე ცუდადაა, იქ მეგობრებს გარეთ ყრიან.

მოხუცს ისევ გაებადრა სახე და თითქოს ახლა მოხვდა ყურში ჩემი უცნაური კილო, კიდევ უფრო ახლოს მიმიზიდა და თქვა:

– ვინ უფრო გიყვარს, უცნაურო კაცო, თქვი? მამაშენი, დედაშენი, შენი ძმა თუ დაი?

აქ ჩემმა სულმა აღმაფრენა ჰპოვა და ენამ თავისით წარმოსთქვა ის, რაც ასე ცხადი უნდა ყოფილიყო ყოველი მოკვდავისათვის:

– მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაა ჩემი, ნვრილნი ვარსკვლავნი და და ძმაა ჩემი...

– ენა... ენა.... რა დიდებული ჰანგები ისმის ამ გაუგებარი ენის მიმოხვრიდან... ცხადია, პასუხიც ნათელია, მე კი არც დედა მყავს, არც მამა, არც და, არც ძმა... ხოლო მეგობრებზე რას იტყვით?

– მეგობრებზე?

– მეგობრობა თვის სახელს იცავს, ვიდრე სარგებლობს, ასევე კენჭი მიდის-მოდის დაფაზე სწრაფად.

ბედი თუ გვწყალობს, მაშინ ვხედავთ, მეგობარნო, სახესა თქვენსას.

თუ გაგვიწყრება, საზიზღრად გარბიხართ გაღმა...

– ჰაი... ჰაი... თქვენ ისეთ სიტყვას წარმოსთქვამთ, რომლის აზრი დღემდე გაუგებარია ჩემთვის... მაშ, აბა – სამშობლო?!

ამ დარტყმას უნდა დავეგდე გმირულად, რადგან პასუხი შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მისი კითხვის ინტონაციიდან გამომდინარე.

– სამშობლო?... სამშობლო?... – ნავები სიმღერით, – სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლა-მა-ზო.. ერთ ამბავს მოგიყვები, მოხუცო, ჩემი მასწავლებლის გადმოცემულს, რადგან ასე გაინტერესებს ეგ, და მოთმინება იქონიე: „სახელი ღვთისა ვახსენე, ავიკიდე გუდა-ნაბადი და შევუდექი მგზავრობასა. ამბობენ, მგზავრობა კაცს თვალებს უხელსო, გონებას უხსნისო. ერთ მშვენიერ მთათა შორის დაცემულს ტრიალს მინდორზედ ერთს კარგა მოზრდილს, ხავსმოკიდებულ გუბეს ზედ ნავაწყდი. იმ გუბის გარშემო მშვენივრად აყუდებულიყვნენ დიდებულნი მთანი, მაგრამ ამაოდ: იმა მთების დიდებულება არ აისახებოდა იმ გუბეშია, ამ სილამაზის დიდებულება არ აისახება ამ წუმპეში, რომელსაც ქართველები ქვეყნის სამასხროდ ცხოვრებას ეძახიან და რომლიდანაც ბრიყვები ტალახს ესვრიან მიახლოებულს. ამ გუბიდამ მეტად ცუდი ოშხი-

ვარი ამოდიოდა, გახრწნილების სუნი ჰაერში ტრიალებდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი მოეკიდებოდა, მუხლი, წინ წასადგომად მოცემული, დაეხუთებოდა. ყველამ იცის, გუბე რა მავნებელია. შიგ მრავალი ცხოველი ირეოდა, სულ კი, უნდა მოგახსენოთ, ორფეხიანები იყვნენ, მაგრამ გასაოცარნი: ზოგს მგლის თავი ჰქონდა, ზოგს ფოცხვერისა, ზოგს მელისა, ზოგს გველისა და ბევრსაც, ასე იფიქრეთ, წურბელისა. საკვირველნი მხეცნი იყვნენ. ყველას კი ქვეშემძრომის თვისება ჰქონდათ, ეს იყო საყოველთაო, სხვაში კი გარეგნობით სხვადასხვაობდნენ. იქით, გუბის გარეთ, პატარა ჯგუფი იყო ხალხისა. ისინი, ღვთის წინაშე, ადამიანები იყვნენ: მათ შორის ყმაწვილნიც და პატიოსანნი, გულმხურვალე მოხუცნიც, მაგრამ ისე ცოტანი იყვნენ, რომ სხვანი ვერ ხედავდნენ. იმათ, იმ გულმხურვალეთ, ამ წუმპელებში პატივი არა აქვთ. ახლო რომ მივიდნენ (მისულან კიდეც ბევრჯერ, მივლენ კიდეცა), მაშინვე ლაფს შემოასხამენ. ტალახის შიშით უკან დახევა ვერ ვიკადრე, წინ წავდექი. ჩემი ფეხის წინ წადგმა და ამ გუბის სიმყაყის სუნის ცხვირში მოხვედრა ერთი იყო: ჯერ შევტოკდი და თავბრუდასხმულმა წავიბარბაცე, მაგრამ მერე, როცა ყნოსვამან ჩემმან მაგრძნობინა, რომ იგი ცხარე სუნი ჩვენებურია, თავი შევიმაგრე. დიახ, ბატონო, ეგ სუნი ვცან და განვიცადე. მე არამც თუ ახლოს არ მივედი, შიგ იმ გუბეში შესვლა მოვიწადინე, ცნობისმოყვარეობის საღერღელი ამეშალა. მინდოდა შემეტყო: ამ გუბეს ცხოვრების ნიჭი აქვს, თუ არა? მინდოდა მეცნო, როგორ და რა ფრად ალპობს იგი ყოველს მას, რასაც ცხოვრება აქვს მინიჭებული.

ამ განზრახვით შევტოპე შიგ. იმ საფლობს ლექში ათასნაირი ქვეშემძრომი დაძვრებოდა. სულ ყველამ, ვისაც კი პირი ჰქონდა მარტო ჭამისათვის, ჭამას თავი დაანება და მე დამიწყო კბენა. ღმერთმა მიფარა, რომ არც ერთს ხეირიანი კბილი არ ჰქონდა: ზოგს ბევრს მჟავე-მჟუვის ჭამისაგან კბილი მოსჭროდა; ზოგს ბევრის ჭამისაგან გასცვეთოდა, ზოგისთვისაც ღმერთს დაბადებიდანვე მჭრელი კბილი არ ელირსებინა და ესენი კი უფრო გაავებულები იკბინებოდნენ. წავდექი

კიდევ წინ და შემომეხვია ათასგვარი მყრალი ბალახ-ბულახი და კიდევ წავდგი ფეხი, რომ მომეშორებინა, ფეხი დავაბიჯე თუ არა მოლხობილ გუბის მიწას, იმ გუბემ ასეთი სუნი ამოუშვა, რომ სული შემიგუბდა და მაშინვე ვუთხარი ჩემს თავს:

– გაინაპირე, გაინაპირე, თუმცა ნაპირზედაც ფრთა ვერ გაიშლება, როგორც რიგია, თუმცა იქაც დამპალს ჰაერში უნდა სული ვიბრუნო, მაგრამ მაინც იქა სჯობია. იქიდამა სჩანს ის დიდებულნი მთანი, დაუდგრომელის ბუნების ცხოვრების ძალით დედამიწის გულიდამ აღმოზრდილნი. იქიდამა სჩანს მწვანე მინდვრები და ზედ კვალი კაცური კაცის დაუდგრომელი შრომისა: იქიდამა სჩანს ცხოვრება, სიცოცხლე, აქ არის გახრწნილება და სიკვდილი; აქ მზე ალპობს და აობებს, იქ მზე ათბობს და აცხოვრებს; აქ წყალი ხავსს უკიდებს, იქ აგრილებს და ზრდას ახალისებს. გაინაპირე, ჩემო თავო, გაინაპირე, აქ ყოველივე დგას, იქ ყოველივე სჩანს, რომ დაუდგრომელად წინ მიიწევს. გაინაპირე, გაინაპირე, ჩემო თავო! თუ იმ დაუდგრომელს წინ ლტოლვაში ჩვენ არ გავერევით, შორიდამ ხილვით მაინც დავსტკბეთ, თვალს წყალი დავალევინოთ, გლეხისა არ იყოს. ვისაც თვალი ისეთი გაწმენდილი აქვს, რომ სიკეთის ხილვა ეხალისებოდეს, იმას გულიც გაეწმინდება; ის თვითონაც სიკეთეს შეიძლებს. გაინაპირე, გაინაპირე, გაინაპირე...“ უეცრად ერთი სტროფი ამომიტივტივდა თავში და ამით დავასრულე:

„ოი, სამშობლოვ! მჯერა, ყველა გემი გაგშორდა,
მიწა ბრძოლათგან განთავისუფლდა...“

მოხუცს კანი გაუმუქდა და გამჭვირვალება დაკარგა. ამას არ ელოდა. სუნთქვა გაუხშირდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და უკანასკნელი დარტყმისათვის მოემზადა...

– მე კი არ ვიცი, რომელ საზღვრებში მდებარეობს იგი... – ჩაიბურტყუნა თავისთვის და თავი შემართა. ვიგრძენი, ხელი თანდათან დაუსუსტდა...

– სილამაზე? სილამაზე თუ გიყვართ, თუ დაგრჩათ მისთვის ადგილი?

– სილამაზე?
მიყვარს ფაზისელ კოლხთა ჩიტები,
რადგან არიან იშვიათნი.
ჩვენს თეთრ ბატსა კი
და ან იხვსა ფრთამოხატულსა,
მდაბიოთ სუნის ოხშივარი აედინება.
– კვლავ გახმიანდა თავში, ხოლო მოხუცს ვუთხარი:
– ლისიპე მოკვდა შიმშილისაგან, რადგან ვერ მოსწყდა თავის ქანდაკებაზე მუშაობას...
– ის კი მეც მიყვარს, ღვთაებრივი და უკვდავი... – ნეტარებით თქვა უკვე სულ მთლად გაშავებულმა მოხუცმა. თმებიც სითეთრისაგან შეთხელებული და დასველებული გადმოსწეპებოდნენ სახეზე. ხელი მთელი ძალით მომიჭირა და თვალებში ჩამხედა:
– ფული?
– ფულისადმი სიხარბემ ყოველივე შეცვალა ადიდეთ, რამდენიც გინდათ, ლიტერატურის მოყვარულნი, – მდიდარს ყოველთვის მოეჩვენება, რომ ფული უფრო ძლიერია... – დავიწყე მე...
– მე მძულს იგი, როგორც მათ სძულთ ღმერთი... – გაისმა მოულოდნელად მოხუცის ზურგს უკან და ვილაცის ღონიერმა ხელებმა ნამოაყენა იგი ფეხზე.
– წავიდეთ, დიდო გუსტავ, ჩვენი გზა აქ არ თავდება...
ეს ნაღვლიანი ხმა ეკუთვნოდა მოხუცივით ზორბა ტანის დიდთვალება და შუბლფართე კაცს, რომელსაც აბრეშუმივით რბილი თმები ჩამოშლოდა სახეზე. იმან, ვისაც გუსტავი უწოდეს, პასუხი ჩემს ნათქვამად მიიღო და მძიმედ წარმოსთქვა:
– ეჰ, რაღა გიყვარს მაშინ? შენ, საჩინო უცხოელო? – მოხუცს თვალები ჩაუქრა და ნელა შემიშვა ხელი, რომლის არაბორციელი სიცივე ღრუბელივით მიჟონავდა ჩემს სხეულში და უჩვეულოდ აძგერებდა ჩემს გულს. წამით ბინდი გადაეკრა თვალებს... მხოლოდ მოხუცის ხმაღა ისმოდა მკვეთრად ამ დაბინდულ სივრცეში:

– მე მიყვარს ღრუბლები... წარმავალი ღრუბლები... აი, იქ... უბრწყინვალესი ღრუბლები... – ჩურჩულებდა მოხუცი და უჩინარდებოდა გამვლელთა შორის თავის სამ თანამგზავრთან ერთად. წამოვინიე წამოსადგომად, რომ უკანასკნელად მიმეგო პატივი ამ საუცხოო მოხუცისათვის და გზა დამელოცა, რომ უეცრად შევნიშნე მის გაუჩინარებულ ზურგზე შემოსკუპებული ურჩხული. სწრაფად გავქანდი მისკენ. მოხუცი წამდაუწუმ ისწორებდა ზურგზე მოკიდებულ ქიმერას და ოფლში გაწურული ძლივს მიათრევდა ფეხებს. სახე დაღლოდა. დანარჩენი სამიც ისეთსავე მდგომარეობაში აღმოვაჩინე, მაგრამ ისინი უფრო ახალგაზრდები იყვნენ და ტვირთსაც იოლად უმკლავდებოდნენ. მივეჭერი მოხუცს და ხელი შევახე.

– მოგეხმარებით, ბატონო გუსტავ, შეგეშველებით... მომეცით ეგ თქვენი ტვირთი...

მოხუცმა ერთი უცნაურად შემომხედა, თითქოს პირველად მხედავდა და თანაც ვერ მიმხვდარიყო, რას ვეხვეწებოდი და რა მინდოდა მისგან... იგი არც შეჩერებულა, ზრდილობიანად და სევდიანად გაიღიმა და გზა განაგრძო... და მე მივხვდი, რომ მათ ოთხივეს თავისი სიამოვნება ჰქონდათ, თავიანთი სიჩუმე და სიმარტოვე, შეუდარებელი თავმდაბლობა სილაჟვარდისა, რადგანაც სიზმარეულ სიდიადეში „მე" თვალმოუკვრელად უჩინარდება.

ახლა უკვე რაღაც დაუოკებელი მისწრაფებით დავედევნე უკან ჩემს მოხუცს და მის ახალგაზრდა თანამგზავრებს. მათი დაწევა არ გამჭირვებია, რადგან მეტად ნელა და მძიმედ, დინჯად მისეირნობდნენ მონპარნასზე.

– ეჰ, ამასობაში სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს ამბავი იქ დაიწყო, მონპარნასის მოედანზე რომ კაფეა: „Montparnasse", მოედნის მარჯვენა მხარეს, იმ დიდი და საზარელი კოშკის პირდაპირ, რომლითაც საფრანგეთის დემოკრატი პრეზიდენტი თავისი უკვდავების შემაძრწუნებელ მონუმენტს ქმნიდა. ერთ ჩემს ძველ ნაცნობს, მეგობარსაც კი, აქ უყვარდა ჯდომა. პარიზის სიძველეთა მოყვარული, იგი მაზოხისტური დაუნ-

დობლობით ჯდებოდა ყოველდღე ამ მახინჯი კოშკის წინ და აიძულებდა თავს, პირდაპირ სახეში ეცქირა მოძალებული და აგრესიული სიმახინჯისათვის, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ კარგავდა თავის მატერიალურ სახეს და იკარგებოდა მოგონებათა და შეგრძნებათა იმ სივრცეში, რომელსაც ჩემი მეგობრის ცოცხალი წარმოდგენები ქსოვდნენ. მახინჯი კოშკის გაქრობის ეს საიდუმლო გამანდო მან ერთხელ და მას შემდეგ თითქოს ყოველდღე ვხვდებოდით აქ ერთმანეთს კათხა ლუდის დასალევად, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მე განვაგრძე ამ ტრადიციის შესრულება და სწორედ ერთ-ერთი ასეთი რიტუალის დროს შევხვდი მოხუცს, რომელიც მძიმედ შემოლასლასდა კაფე „მონპარნასში" და გვერდით მომიჯდა. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მანაც გამოსცალა თავისი კათხა ლუდი, იგი შეფაკლებული და აღგზნებული გადმოიწია ჩემსკენ და მონიწებით მომესალმა:

– ჩემი სახელია ბატონი ფლობი. ვხედავ, უცხოელი ბრძანდებით და გხიბლავთ პარიზის სიახლენი. მშვენიერი სიმახინჯეა, არა? ახლა ასე ჰქვია სილამაზეს. სიტყვები, როგორც მოგეხსენებათ, იცვლიან თავიანთ სემანტიკას, და გვევლინებიან იმ ახალი სინამდვილის შინაარსით აღვსილნი, რომლებსაც ადამიანის ყოვლისგამათახსირებელი შემოქმედებითი გენია ქმნის... დღეს გრანდიოზული სიმახინჯის ეპოქაა, ყმაწვილო უცხოელო, და მის მსაჯულად პარისია კვლავ დანიშნული... ჰა – ჰა – ჰა... კიდევ ერთი კათხა? – შემომანათა მან თავისი ელვარე თვალები. ქართული ინსტინქტით ხელი ავუქნიე მომტანს და ვანიშნე: კიდევ ორი კათხა... ხოლო მოხუცმა კი განაგრძო თავისი წიაღსვლა ისე, რომ არც კი შეუნიშნავს ჩემი მოძრაობა. სიმართლე რომ ვთქვა, ვერ კი მივხვდებოდი, რომ მე მელაპარაკებოდა, დროდადრო, თავისი მართლაც რომ პანტაგრუელისტური დამშეულობით გაჩანაგებულ კერძებს შორის, თავისი გაქვავებული, სპილოს ძვლის ფერი და სამარისებურად ცივი ხელი რომ არ ჩაევლო ჩემთვის და თვალებში არ შემშტერებოდა, ალბათ თავისთავს ელაპარაკებამეთქი, ვიტყოდი, რადგან ასე მოლაპარაკე მოხუცებითაა პა-

რიზი სავსე დღეს. მარტოხელა, თავისთვის მოსაუბრე და თავის მოგონებათა თუ მიმდინარე განცდათა ხლართში გაბმულები ვერაფერს არჩევენ ირგვლივ და მოულოდნელად ისე ხმამაღლა იწყებენ ლაპარაკს, გეგონება, თანამოსაუბრე რამდენიმე ნაბიჯით უკან ჩამორჩა, ხოლო მას აზრის გაწყვეტა ან მიტოვება ვერ მოეხერხებინა... როდესაც ბატონი ფლობი თავისი ზემოაღწერილი კითხვებით ჩაღრმავდა ჩემთან საუბარში და მოულოდნელად თავს წამომდგარმა მისმა ნაცნობმა (ან იქნებ მეგობარმაც, რადგან გაცნობისას ისე შინაურულად გადახვია ხელი და თავზე გადაუსვა სიტყვებით: „აი, ბოდლიც მოსულა უკვე... ზეიმიც მოახლოებულა") ბატონმა ბოდლიმ წამოაყენა და საუბარი შეაწყვეტინა, მივხვდი, რომ მის სიტყვებს ამოჰყოლოდა ისიც, როგორც ობობა მიჰყვება თავის ქსელს დაუსაბამო ხლართში იმ საოცარი რეალობისა, რომელსაც დრო ეწოდება. ასე შეუდგნენ ისინი მონპარნასის გზას და არ ვიცი, იყო ეს უცაბედი არჩევანი, თუ განგების მადლი, მეც გამომაბეს ერთი ბოლოთი ამ უსასრულო ხლართს და რაც უფრო მშორდებოდნენ, მით უფრო ძლიერად მიზიდავდნენ ჩუმად და უხმოდ, უძახილოდ, რადგან, როგორც ამბობდა მოხუცი: „უნივერსალური ექსტაზი საგნებისა არ გამოხატავს თავისთავს რაიმე ხმაურით... ისინი თვითონ არიან, ვითარცა მიძინებულნი, განსხვავებით ადამიანურ საქმეთაგან..."

– აქ არის მდუმარების ორგია, – ჩამესმა ყურში, როდესაც ოფლში გახვითქულმა ძლივს გავარღვიე ხალხის ტალღა, რიგში ჩამდგარ მდინარებად რომ ავსებდა მონპარნასს აღმა-ჩამოღმა და მათ მივუახლოვდი.

– აჰ! – თქვა ბატონმა ბოდლიმ, – faut-il éternellement souffrir ou fuir éternellement le beau?

ბატონმა ფლობიმ მძიმედ ამოიხვნეშა და წამით შედგა, რომ გაესწორებინა ზურგზე ჩამოცურებული ქიმერა, რომელსაც უკვე კარგა ხანია ახორხიალებდა ასფალტზე, რის გამოც საცოდავს ფეხები და მუცლის კანი სულ გადასტყავებოდა და დასისხლიანებული ჰქონდა. მე ხელი შევაშველე (ოჰ,

ეს ქართული ზრდილობა!), მაგრამ ბატონმა ბოდლიმ სწრაფად და ისეთი ძალით წამავლო ხელი, რომ მტევანი გამითეთრდა, გამომქაჩა და წაიჩურჩულა:

– ყველამ თავის ქიმერას მოუაროს, – თქვა მან, – წინააღმდეგ შემთხვევაში, სიბილწის მორევში ჩავიძირებით, საცა გარჩევა აღარ იქნება სილამაზისა და სიმახინჯის, მარადიულობისა და წარმავლობის, სიბრიყვისა და სიბრძნის, ბოროტისა და კეთილის. ნუ დათრგუნავ მის პიროვნებას და უშვი, დაკრიფოს ყვავილები მის საკუთარ ყვავილნარში ბოროტებისა, რომ სილამაზედ მოწურული გასვას ნექტარი მარადისობის... – ბატონმა ბოდლიმ ვიტრინის უზარმაზარ შუშასთან შემაჩერა და დამცინავი, ღრმა სევდიანი ღიმილით ჩამახედა შიგ. მწვანე, უზარმაზარი ქიმერა, გაშეშებული თვალებით უძრავად იდო ჩემს ზურგზე და იცქირებოდა საგანთა მიღმა.

– ყველამ თავის ქიმერას მოუაროს, ყმაწვილო უცხოელო...

შევძრწუნდი. არ მოველოდი, რომ მეც იმავე დღეში ვიყავი, ჩემდა უჩუმრად, როგორშიც მოხუცი და მისი თანამგზავრები. „სხვის ზურგზე რაც გამხიარულებს, საკუთარზე გაძრწუნებს, არა?" – ზანტად დაახამხამა თვალები ქიმერამ და მზერა ისევ გააშეშა. მისი მოშორების უნიადაგო ცდას მხოლოდ ის მოჰყვა, რომ ქიმერა ნახევრამდე ჩაიზარდა ჩემს ზურგსა და თავში, ზუსტად ისევე, როგორც სიძველისაგან დამძიმებული საფლავის ქვა ეშვება მიწაში და ქრება თანდათან, მიცვალებულთა კონკრეტულ სახეთა მოგონების გაფერმკრთალებასთან ერთად და არქეოლოგთა სასიხარულოდ. „ყველა ქიმერა ერთნაირია", გავიფიქრე უნებლიეთ და ეს იყო უკანასკნელი საღი აზრი, რომელმაც გაირბინა ჩემს თავში, ვიდრე ჯერ კიდევ ვხედავდი ქიმერის გაშეშებულ თვალებს ჩემს დაბინდულ გონებაში.

„მე ვარ უკანასკნელი და ყველაზე მარტოხელა ადამიანებსა და მათზე უმდაბლეს ბიწიერ და უკეთურ ცხოველთა შორის... საკუთრივ სიყვარული და მეგობრობა... – ამბობდნენ მისი თვალები, – თუმცაღა, მეც კი უკვდავებისა და სილამა-

ზის შესაგრძნობად და შესაცნობად ვარ შექმნილი! აჰ! ღმერთქალო! შეინყალე ჩემი სევდა და ჩემი ცოდვები!

ამ დღეში ვიყავი, რომ ბატონი ბოდლის ყვირილმა გამომაფხიზლა:

– Enfin! Seul! – ყვიროდა იგი მანქანებითა და ხალხით გაჭედილი მონპარნასის შუაგულში – Enfin! Seul! ადამიანის სახის ტირანია დასრულდა და მე მხოლოდ საკუთარი თავით დავიტანჯები! – მხიარული მიმორბოდა იგი და ყველა შემხვედრს ხელს ართმევდა. ხოლო ისინი კი პასუხად გვერდს უვლიდნენ და ნაბიჯს უჩქარებდნენ, შეშინებულნი ბატონ ბოდლის ზურგზე მოხტუნავე ქიმერის მომნუსხავი მზერით. ასე ირბინა მან ერთხანს მონპარნასზე ზევით და ქვევით, ვიდრე ბალზაკის ძეგლთან, მონპარნასისა და ბულვარ რასპაის გადაკვეთაზე რომ დგას, კაფე „როტონდასთან", არ შეეჩეხა ბატონი ფლობის და მის თანამგზავრებს, რომელნიც ჯერ ერთხანს დასდევდნენ აღტაცებულ ბატონ ბოდლის მონპარნასზე, მაგრამ შემდეგ ველარ გაუძლეს და გადაწყვიტეს, ისევ აქ დალოდებოდნენ, ბალზაკის ჩრდილში, ხმაურისაგან მოშორებით. სწორედ ამ მომენტში წამოვეწიე მეც და იქვე მივწექი მათთან ერთად. მოხუცის კეთილი თვალები გამომკითხავად მიღიტინებდნენ:

– ბატონო ბოდლი, – მივმართე მე, როდესაც მან სული მოითქვა და მოხერხებულად მიაწვა თავის ქიმერას, მუთაქასავით, – თქვენ ერთ ფრანგ პოეტს ჰგავხართ ძალიან... რას ვამბობ?! ალბათ ათასჯერ გაგიგონიათ ეს... კიდეც გაწუხებენ, ალბათ...

– ფრანგ პოეტს?!... – ისეთი გაკვირვება გამოხატა ბატონმა ბოდლიმ, რომ შევწუხდი, ეს რა სისულელე წამოვროშეთქო. ფრანგი პოეტი?! ფრანგი და პოეტი?! აქ, ახლა?! არ ახსენოთ ეს სახელი, ეს სიტყვა, ეს ცნება... მხოლოდ ლიტერატურული ნამარხების მუზეუმში თუ ნახავთ პოეტს, ფრანგ პოეტს... ფრანგებს უკვე ნახევარი საუკუნეა... რას ვამბობ, თითქმის საუკუნეა, პოეზიის სურნელიც კი დაგვიწყებიათ...

ეგ სურნელი სუნამოთი არ შეიცვლება, თავის ჭუჭყიან სხეულს რომ ასხამენ თავმოწონებით...

მაგრამ ჩემს გაოგნებულ სახეს რომ შეხედა, მოლბა და ჩემს დასამშვიდებლად და ხუმრობის ხაზგასასმელად ამოიოხრა:

– კი არ ვგავარ, – ვარ! მე ის ფრანგი პოეტი ვარ, რომელიც თავის ყვავილებს ბოროტების მწუხარე ბაღში ვკრეფდი, ხოლო ბატონი ფლობი კი სწორედ ის ფრანგი მწერალია, რომელმაც შესძლო, თავის ძვლის კოშკში ფრანგული სიტყვისათვის თავისი პირველღირებულება დაებრუნებინა – ესთეტიკური, ვგონებ, თქვენს ენაზეც ასე წარმოითქმის ეს სიტყვა... იმ კოშკის შვილები ვართ ჩვენ... – მოხუცმა, თითქოს იგრძნო, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, თავი მოაბრუნა. ქიმერამ ერთი წამოიკვნესა, რადგან მოხუცის მოძრაობამ გადატყაული ადგილი აუსისხლიანა, მერე თვალები მილულა და წარმოსთქვა:

- ოო! როგორ აწამებენ საცოდავ ბერანჟეს! მე მასზე გაბრაზებული ვარ, რადგან მის წინ ქედს იხრის ბურჟუა. არსებობენ ნიჭიერი ადამიანები, რომლებსაც აქვთ უბედურება, წვრილმანი ბუნების ადამიანებს მოსწონდეთ: მოხარშული ხორცი სწორედ იმიტომაა განსაკუთრებით არასასიამოვნო, რომ ფილისტერების მეურნეობის მთავარ კერძს წარმოადგენს. ბერანჟე – თანამედროვე პოეზიის ძროხის ხორცია: ადვილმოსანელებელი და გემრიელი!..

მე გაკვირვებით გადავხედე ბატონ ბოდლის. იგი ყურადღებით მიქცეულიყო ბატონ ფლობისაკენ და თავისთავში წასული უგდებდა ყურს მის ქიმერას. ჩემი მზერა მაინც დაიჭირა, მაგრამ თითი ზეაღმართა და „უსმინეო", მანიშნა. მე მივხვდი, რომ ამგვარი რამ საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა თვით ისეთი უახლოესი მეგობრებისთვისაც კი, როგორიც ბატონი ბოდლი და დანარჩენები იყვნენ. მეც ბატონი ფლობის გაბრაზებული ქიმერის სმენად ვიქეცი:

– მე მაძრწუნებს ჩემი გულაღრძნილი დამოკიდებულება მეტაფიზიკისადმი და ვგრძნობ თვითგამორკვევის მოთხოვნილებას, – განაგრძობდა ზანტად ქიმერა, – ხელოვნებას თა-

ვისი ქრისტეები სჭირდება ამ კეთროვანის განსაკურნავად. ანტიკურობასთან ყველაფერი მოთავებულია, შუასაუკუნეებთანაც. რჩება თანამედროვეობა. მაგრამ თვით საძირკველი ირყევა; სადღა უნდა მოინახოს საძირკვლის ფუძე? თუმცაღა მხოლოდ ამგვარი ფასითაა შესაძლებელი, მოუპოვო თავს ცხოველმყოფელობა და, მაშასადამე, ხანგრძლივი არსებობა, – ქიმერამ ბალზაკის ძეგლს აღაპყრო თვალები, – ჰო, ის იყო ძლიერი ადამიანი, რომელიც სატანური ძალით ჩასწვდა თავის ეპოქას. ქალები მან ბრწყინვალედ შეისწავლა და დაქორწინდა თუ არა, – მოკვდა, თანაც მაშინ, როდესაც იმ ეპოქის აღსასრული დადგა, რომელიც მან ასე კარგად იცოდა. ლუიფილიპესთან ერთად წარვიდა რაღაც ისეთი, რომელსაც დაბრუნება არ უწერია. სხვა სიმღერებია ახლა საჭირო... მაგრამ მე მეშინია პოლ დე კოკის სტილში ჩაყუდების, ან რომ არ ვიქცე შატობრიანიზირებულ ბალზაკად... – წარმოსთქვა ქიმერამ და წაუმღერა: „წავიდა და გაფრინდა, თვალიც ვერ მივატანე...", რასაც, ვიგრძენი, ჩემი სულიკოს მაძებარი ქიმერის გულამოსკვნილი ზლუქუნი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ამ დროს მოხუცმა რაღაც მოძრაობა გააკეთა და ისეთი ჩაუთაქა თავში, რომ ქიმერას გაშეშებული თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა (ჩემსას კი არა, მისას). მე მივხვდი, რომ ქიმერამ რაღაც სისულელე წამოროშა, ან, იქნებ, ისე ვერ ჩამოაყალიბა აზრი, ან დამახსოვრებული არ ჰქონდა სწორად, ყოველ შემთხვევაში, ამან ცოტა გამოცოცხლება შემოიტანა ჩვენს ლიტერატურულ საღამოში... ვამბობ საღამოში, რადგან მონპარნასზე უკვე სინათლეები აენთოთ და ბალზაკის შავი ფიგურა, სახე რომ ძლივს უჩანდა შეფუთნული მოსასხამიდან, ვეება ჩრდილად გადმოწვა რასპაის ბულვარის აღმავალი მიმართულებით.

– მე ვიცი, როგორ უნდა ვწერო... – ყელში მოწოლილი ცრემლებით და შეკავებული ტკივილით ხმაში განაგრძობდა თავშინამორტყმული ქიმერა. ახლა უკვე ყოველ სიტყვას ათასჯერ წონიდა და ისე წარმოსთქვამდა, რომ აღარ მიეღო ის შემაძრწუნებელი წამოთაქება, რომელმაც გონება სულმთ-

ლად დაუბნია და ერთხანს იმაზედაც აოცნება, რომ გასხლ-
ტომოდა ამ ვერაგ დესპოტ მოხუცს და რომელიმე ქარაფშუ-
ტა ახალგაზრდა მწერლის ზურგზე მოკალათებულიყო, რო-
მელიც არც წინადადების სიმწყობრეს იცავდა და არც მაინ-
ცადამაინც დაგიდევდა, რომელ სიტყვას რომლის შემდეგ
ხმარობდი, თუ საერთო აზრი მისახვედრი მაინც იყო. მაგრამ
ბედით განსაზღვრულ ადგილს მიჯაჭვულმა თავისი ოცნების
ფრთები სინამდვილის უცილობელი ბედისმიერობით შეკვე-
ცა და ისევ თავის მრისხანე და დაუნდობელი ბატონის ნაბრ-
ძანებ გზას გაჰყვა. – ღმერთო ჩემო, როგორი მწერალი გამო-
ვიდოდა ჩემგან, მე რომ იმ სტილით ვწერო, რომელზედაც
ოცნებობ... ის, რაც მეჩვენება საუცხოოდ, რის გაკეთებასაც
ვინდომებდი, არის წიგნი *არაფერზე*, წიგნი გარეგანი მისაბ-
მელის გარეშე, რომელიც თავისთავს დაიჭერდა, არაფრით
დაკავებული დგას ჰაერში – წიგნი, რომელსაც თითქმის არ
ექნებოდა სიუჟეტი ან, თუნდაც, რომელშიდაც სიუჟეტი, თუ
შესაძლოა, თითქმის შეუმჩნეველი იქნებოდა. ყველაზე დიდე-
ბული ის ნაწარმოებებია, რომლებშიც ყველაზე ნაკლებია მა-
ტერიალური; რაც უფრო უახლოვდება გამოხატულება აზრს,
რაც უფრო ერწყმის მას სიტყვა, მით უფრო მშვენიერია ნა-
წარმოები... ეს არის, თითქოს, გზა ხელოვნებისა მომავალში.
მე წარმომიდგენია, როგორ ხდება იგი უფრო და უფრო ეთე-
რული იმისდა მიხედვით, რაც იზრდება... – ეგვიპტურ პილონს
მივყავართ გოთურ თაღამდე, ოციათასსტროფიან ინდურ პო-
ემას – ბაირონის ჩანაწერებთან და ვაჟა-ფშაველას კლდოვა-
ნი სიტყვის ფეთქვასთან... ფორმა, უფრო ხელოვნური ხდება
რა, იხვეწება; იგი სცილდება ლიტურგიულობას, წესებს,
მკაცრ ზომებს, აგდებს ეპოსს რომანისათვის, ლექსს პროზი-
სათვის; ის არ ცნობს ორთოდოქსულობას, ის თავისუფალია,
როგორც ყოველი ნება, რომელიც მას წარმოშობს. ამგვარ გა-
თავისუფლებას მატერიალობისაგან ჩვენ ვხედავთ ყოველ-
გან... ამ გზით მიდის ყველა მთავრობა, აღმოსავლეთის დეს-
პოტიებიდან დაწყებული, მომავალი სოციალიზმით გათავე-
ბული. აი, რატომ არ არსებობს არც ამაღლებული და არც

მდაბალი სიუჟეტები და, შეიძლება, აქსიომასავით დავადგინოთ, წმინდა ხელოვნების თვალწმინდა ხელოვნების თვალსაზრისიდან, რომ სიუჟეტი სრულიად არ არის აუცილებელი, რადგან სტილი თავისთავად არის საგანთა ხედვის აბსოლუტური მანერა. წარვიდა სილამაზის დრო. იგი რომც დაბრუნდეს, მაშინაც, დღეის დღესინდელობაში გამოუყენებელი იქნებოდა კაცობრიობისთვის... რაც უფრო შორს მივიწევთ, ხელოვნება მით უფრო მეცნიერული ხდება, ხოლო მეცნიერება კი მხატვრული; საფუძველთან დაშორებულები, ისინი შეხვდებიან ერთმანეთს სადღაც მწვერვალზე. ადამიანის აზრს არ ძალუძს განჭვრიტოს, როგორ სულიერ მზედ გაბრწყინდებიან მომავალი ქმნილებანი... გაშალა ფრთები ბატონი ფლობის ქიმერამ და ჰაერში აფარფატებულმა ბალზაკს შემოუფრინა გარს, ხოლო იმან კი გაკვირვებული მზერა გააყოლა და ისევ თავის მოსასხამში შეიბურა თავაწეული და შორსგამხედვარე...

ამასობაში მონპარნასზე სრულიად ჩამობნელდა და როტონდიდან გამომავალმა ხმაურმა შეაშფოთა ჩვენი წრე. რაღაც აგრესიული ხმები ისმოდა. თუმცა კი გარეგნულად არაფერი ჩანდა და ხალხი მხიარულად მიმოდიოდა ქუჩაში. იძულებული შევიქენით, ადგილიდან დავძრულიყავით. დავეშვით ბულვარ რასპაიზე, გადავკვეთეთ სან-ჟერმენი, სენა, კონკორდი, შემოვუარეთ მადლენს და შეუმჩნევლად პიგალზე ამოვყავით თავი. მხოლოდ ერთ ადგილას, როდესაც Pont Neuf-ზე გადავდიოდით და ლუვრის ჩაღამებულ ფანჯრებს ჩავუარეთ, ბატონი ბოდლი შეყოვნდა და სევდიანად გადმოგვხედა. ქიმერას ეძინა მის ზურგზე, დაღლილს იმოდენა ციტატის მოსმენით ბატონ ფლობის წერილებიდან, მაგრამ, როდესაც ლუვრის ეზოში წამოჭიმულ შუშის პირამიდას შეხედა. ბატონმა ფლობიმ ისევ ისეთი გაცეცხლებით დაურთო გაძვალტყავებულ ცხოველს, რომ კინაღამ სული გააფრთხობინა. ეს ერთგვარი რეპლიკა ყოველივეზე, რაც აქამდე მოვისმინეთ და წარმოადგენდა კიდევ ახალ დემოკრატიულ მონუმენტს ახალი თაობის გემოვნების გასაუკვდავებლად. პირამიდა ყვე-

ლას მოსწონდა და განსაკუთრებით მთავრობას, რომელიც ამით თავის უპირატესობას იმტკიცებდა ლუვრის ყოფილ მეპატრონეებზე. სწორედ აქ, პირამიდასთან დაიწყო თავისი გრძელი მონოლოგი ბატონი ფლობის ქიმერამ, რომ როგორმე მოელბო დემოკრატების აგრესიული პროვინციალიზმით გაავებული თავისი პატრონის გული და რომელიც არ შეუწყვეტია, სანამ პიგალზე არ ავედით და სრულიად ახალ თემაზე არ გადავიტანეთ ჩვენი ყურადღება. თემაზე, რომელიც ყველასათვის ახლობელი და გამამხიარულებელი იყო. აი, ეს მონოლოგიც:

– ვის სჭირდება მთელი ეს ლაყბობა? ვის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს ის? ჩვენსა და ბრბოს შორის არ არსებობს არავითარი კავშირი. მით უარესი ბრბოსათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის. მაგრამ, რადგანაც ყოველ ნივთს აქვს თავისი საფუძველი და ერთი ადამიანის ფანტაზია არანაკლებ კანონიერია, ვიდრე მილიონი ადამიანისა... და უფლებამოსილია, დაიკავოს ისეთივე ადგილი ცხოვრებაში, უნდა, ყოველივეს მიუხედავად, ჩვენი უარმყოფელი კაცობრიობისაგან დამოუკიდებლად იცხოვრო, საკუთარი მოწოდებისათვის, ადიოდე შენს სპილოს ძვლის კოშკში და რჩებოდე იქ შენს ოცნებებთან პირისპირ, როგორც ბაიადერკა კეთილსურნელებათა შორის... ეს მანეკენებია და არა ცოცხალი არსებანი. კარგია სიყვარულის შესახებ მოთხრობილი ისტორიები, სადაც უმთავრესი ისეთი საიდუმლოთია მოცული, რომ ვერაფერს გაიგებ ხეირიანად. სქესობრივ ურთიერთობათა საკითხი სისტემატურად იჩქმალება, მასზე გაკვრით ითქმის, როგორც საჭმელზე, სასმელზე, ბუნებრივ მოთხოვნილებებზე და ა.შ. და მე მაოცებს ამგვარი წინასწარგანწყობა. ო! ფარისევლობავ! ახადე ფარდა იდუმალებას, გააშიშვლე სხეული, გადააძრე საბანი ღამეს და გამოაჩინე ის, რისთვისაც მიუნიჭებია ბედნიერების ნიშანი სიცოცხლეს... მაგრამ ფროიდი ჯერ არ დაბადებულა, ხოლო სიმართლეს სჭირდება უფრო ბანჯგვლიანი ხვადები, ვიდრე პროვინციელი კონიები არიან. და მაინც, მე ვგრძნობ რაღაც სტილს, რომელიც მშვენიერი იქნება, რო-

მელსაც ვინმე ერთხელ შექმნის ათი წლის თუ ათი საუკუნის შემდეგ, რომელიც იქნება რიტმული, როგორც ლექსი, ზუსტი, როგორც მეცნიერული ენა, სრულხმოვანი და ნაჯერი, როგორც ვიოლონჩელო, მბრწყინავი, როგორც ფეიერვერკი. სტილი, რომელიც შეიჭრება იდეაში, როგორც ხანჯლის დარტყმა, რომ ჩვენმა აზრმა, ბოლოს და ბოლოს, ისრიალოს გლუვ ზედაპირზე, როგორც ქარით მიმქროლავმა ნიავმა. პროზა გუშინდელი დღის პროდუქტია, აი, რა უნდა უმტკიცო საკუთარ თავს, ლექსი კი, უპირატესად, ძველ ლიტერატურათა ფორმაა...

ბატონმა ფლობიმ, რომელსაც, როგორც ჩანს, მართლა მოულბო გული ქიმერის მონოლოგმა, კმაყოფილებით გააბოლა, მაგრამ ქიმერას ისეთი ხველა აუვარდა, რომ იძულებული შეიქნა, არჩევანი გაეკეთებინა თავისდა სასიამოვნოდ, წევასა და ქიმერის მონოლოგს შორის და მანაც ისევ თქმა აირჩია, რადგან ხედავდა ჩვენს ღრმა დაინტერესებას მისი აზრებით.

– დამცრობის მანია, – თანამედროვეობის მორალური წყლული და ზნეობრივი არასრულფასოვნების გამოვლინება, – არაჩვეულებრივად უწყობს ხელს ამგვარ მიდრეკილებას მწერალთა წრეებში. უღიმღამობა სრულიად კმაყოფილდება ყოველდღიური საჭმლით, სერიოზულობის მოჩვენებითობით რომ მალავს სილამაზეს. კამათი გაცილებით ადვილია, ვიდრე გაგება, ხოლო ლაყბობა ხელოვნებაზე, სილამაზის იდეაზე, იდეალზე და მისდაგვარზე, გაცილებით იოლია, ვიდრე დაწერა თუნდაც სულ უბრალო სონეტისა ან მოკლე ფრაზისა. დამცრობის მანია, რომელზედაც მე ვამბობდი, ტიპიურად ფრანგული ხასიათია. საფრანგეთი არის ქვეყანა თანასწორობისა და ანტითავისუფლებისა, რადგან ჩვენს მშვენიერ სამშობლოში, სადაც სოციალისტები გაბატონდნენ, ხომ ვერ იტანენ თავისუფლებას?! სოციალისტების აზრით, სახელმწიფოს იდეალი არის ერთგვარი უზარმაზარი ურჩხული, რომელიც ნთქავს ყოველგვარ ინდივიდუალურ მოღვაწეობას, ყოველ პიროვნებას და აზრს. იგი ხელმძღვანელობს ყოველივეს, აკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა. ამ ვიწრო სულთა სიღრმეში

იმალება პირწმინდად მოგვური ტირანია – „აუცილებელია ყველაფრის რეგულირება, ყველაფრის გადაკეთება და გარდაქმნა ახალ საწყისებზე“ და სხვა და სხვა... და სხვა... არ არის ისეთი სისულელე, არ არის ისეთი ხინჯი, რომელიც არ იყოს კავშირში ამ ოცნებებთან. თანამედროვე ადამიანი ფანატიკურია, როგორც არასოდეს, მაგრამ მისი ფანატიზმი ისაზღვრება საკუთარი პიროვნებით... იგი მხოლოდ თავისთავს უმღერის და მარადისობაში ამაღლებული, როგორც მონტენი იტყოდა, ყველაზე მაღლა არსებობის ამაოებას აყენებს, რომლისგანაც განუწყვეტლივ ცდილობს განთავისუფლებას... საყოველთაო არჩევნების უფლების უმწიკვლობა დოგმატურად გადაიქცა და მან შეცვალა სხვა დოგმატი – პაპის უმწიკვლობა... მუშტის ძალა... უმრავლესობის უფლება... ბრბოს წინაშე შიში ცვლის სახელის ავტორიტეტს... ღვთაებრივ სამართალს... გონების უმაღლესობას... გულის უპირატესობას... რადგან მასებს გული არა აქვთ, ხოლო გონება კი ერთეულისათვისაა დამახასიათებელი... ძველად ადამიანის სინდისი არ აცხადებდა პროტესტს, კანონი მარტივი იყო და სამართლიანი, მას ღმერთები ადგენდნენ. მონას თვითონ ეზიზღებოდა თავისი თავი ზუსტად ისევე, როგორც ეზიზღებოდა იგი ბატონს. შუა საუკუნეებში ადამიანის სინდისი უთქმელად ემორჩილებოდა ღვთიურ განგებას. მასზე ბატონობდა ადამის ცოდვა (რომელიც მე, არსებითად, მწამს, – მოულოდნელად ჩაერთო მონოლოგში ბატონი ბოდლის ქიმერა, რომელიც აქამდე ყველას ჩაძინებული გვეგონა და, საერთოდაც, ყრუ. ბატონი ფლობის ქიმერამ გაკვირვებით შეხედა, მაგრამ სულმოუთქმელად განაგრძო). იგი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ასახიერებდა ვნებებს, გამოხატავდა მარად ქრისტეს, რომელიც ყოველ ახალ თაობასთან უბრუნდებოდა თავის ჯვარს. მაგრამ აი ახლა, გამოფიტულს ამ უაზრო დაღლილობით, მას, მეჩვენება, შეუძლია დაიძინოს გონებრივი გამოყეყეჩების მდგომარეობაში ყეენობის შემდეგ მანქანაში მთვლემარე ბოზის მსგავსად... (ბატონი ფლობის ქიმერამ რატომღაც ხელი ჩემი ქიმერისაკენ გამოიშვირა, რაზედაც აღშფო-

თებულმა ჩემმა ქიმერამ ერთი შეჰკივლა ქვემოგურული მოტირალი ქალივით და თავში ხელი წაიშინა: „ვუი, ვუი, ვუი, რავა გამათახსირა ამ მართლა ყეყეჩმა! როდის იყო, მეძინა... ვინაა მაგის ბოზი... დააზუსტოს, ვისზე ლაპარაკობს, თორემ გადევირევი ახლა! – ამაზე მე ველარ, ველარ მოვითმინე და ისეთი ალიყური ვაჭმიე, რომ პიგალამდე, რომლის მისადგომებთანაც ვიყავით უკვე ასული, ხმა აღარ ამოუღია გაბუტულს და, მგონი, მართლა ჩაძინებულს. კიდევ კარგი, ბატონ ფლობის არაფერი გაუგონია გაკაპასებული ქიმერის შეძახილიდან და მშვიდად განაგრძო), იქნება ჩვენთან რესპუბლიკა თუ მონარქია, ჩვენ მაინც კარგა ხანს ვერ გამოვალთ აქედან. რას წარმოადგენს თანასწორობა, თუ არა ყოველგვარი თავისუფლების, ყოველივე გამოჩენილის და თვით ბუნებისაც უარყოფას? თანასწორობა – მონობაა. აი, რატომ მიყვარს კიდეც მე ხელოვნება. რადგან, ყოველ შემთხვევაში აქ, ამ ფიქციათა სამყაროში ყოველივე თავისუფლებაა. საზღვრები არ არის. – ადამიანი – ჯამბაზი რაკუნებით, რომლებიც რაკუნობენ ფრაზის წვერზე, – მოხრილი სული, რომელიც გაიშალა ჭეშმარიტების საზღვრამდე განფენილ ლაჟვარდში. იქ, სადაც არ არის ფორმა, არ არის არც იდეა. ერთის ძებნა – ნიშნავს, ეძებო მეორე. ისინი ისევე განუყოფელნი არიან ერთმანეთისაგან, როგორც სუბსტანცია არის განუყოფელი საღებავისაგან. აი, რატომაა ხელოვნება ჭეშმარიტების განსახიერება.

ბატონი ბოდლის ქიმერამ ერთი მტკაველით ამოიწია და პატრონის ყური მოლოკა.

– ვიყოთ რელიგიურები! – ვნებამორეულად მილულული თვალებით წაიბურტყუნა მან.

– ვიყოთ! ვიყოთ! – წამოიბღავლა ბატონ ფლობის ქიმერამ და თავდავიწყებით მოჟღლიმა ბატონ ბოდლის ქიმერის მკერდი!

– ო! დედაკაცო! იყავ მხოლოდ დედაკაცი! ქალი მხოლოდ, და იყავ იგი მხოლოდ ლოგინში! – ღმუოდა დორბლმორეული ქიმერა: მაგრამ ქალმა რომ შეიყვაროს, თუნდაც ქამი (იაფე-

ტი! – იყვირა ტკივილმოშუშებულმა ჩემმა ქიმერამ, რადგან თავს სწორედ იაფეტის ჩამომავლად მიიჩნევდა), იგი აუცილებლად აღმოჩნდება აუღიარებელი გენიოსი, რჩეული სული და სხვა... მათი საერთო სენია, – მოითხოვონ ვაშლის ხისგან ფორთოხალი...

– იმის დასტური, რომ ხელოვნება სრულიად დავიწყებულია, არის, ჩემი აზრით, ესოდენ გამრავლებულ მხატვართა რაოდენობა... – თავი წამოყო ჩემმა ქიმერამ, რომელიც აქამდე, შემოკრული ალიყურის შემდეგ, ხმას არ იღებდა და ვერც იტყოდა კაცი, ეძინა თუ ფხიზლად უგდებდა ყურს თავისი მეგობრის მონოლოგს.

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთი დრამატურგი ვერ გაბედავს, წარმოადგინოს ბულვარულ სცენაზე მუშა ქურდად. არა, – იქ მუშა უნდა იყოს პატიოსანი, ხოლო პატრონი ყოველთვის თაღლითი, ისევე, როგორც „ფრანგულ თეატრში" – ქალიშვილი ყოველთვის სუფთაა, იმიტომ რომ დედებს იქ თავიანთი გოგონები დაჰყავთ. მე მწამს შემდეგი აქსიომის სამართლიანობა: ადამიანებს უყვართ სიცრუე, დღისით ჩახუტებულნი არიან მასთან, ხოლო ღამით კი, ღამით მასზე ოცნებობენ. ამგვარია ადამიანი. – თქვა ბატონმა ბოდლიმ.

– აი, სად არის ცხოვრების სუნთქვა, ამბობ შენ. ჩემის აზრით, შენი ცხოვრების სუნთქვა ხშირად დამპალი კბილების სუნით ყარს. პარნასი, სადაც შენ მეპატიჟები, ჩემის აზრით, გამოჰყოფს უფრო მეტ შმორს, ვიდრე მათრობელ ეთერს. ზუსტად ისევე, როგორც ამ საცოდავი უცხოელის გუბე, რომელსაც იქაც ცხოვრებას ეძახიან. დაფნა, იქ რომ წყვეტენ, უნდა ვაღიარო, სკორითაა დაფარული თლად. – თქვა ბატონმა ფლობიმ (– მეგრული იცის?! – გაკვირვებით ჩამჩურჩულა ჩემმა უკვე შემორიგებულმა ქიმერამ. მე მხრები ავიჩეჩე).

ეთერის ხსენებაზე ჩემმა ქიმერამ, გახარებულმა, რომ მასაც ეძლევა საშუალება, თავი გამოიჩინოს, აბესალომის არია დასჭექა, მაგრამ პირველსავე ფრაზაზე ხმა ჩაუწყდა და ისეთი ყროყინი მორთო, რომ სირცხვილისაგან სად წავსულიყა-

ვი, აღარ ვიცოდი. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემს თანამგზავრებს არაფერი გაუგიათ და, წინმომავალნი, განაგრძობდნენ საუბარს.

– თუ საზოგადოება განაგრძობს ამ გზით სიარულს, მე მგონია, მალე დავინახავთ მისტიკოსებს, რომლებიც ყოველთვის ჩნდებიან უდროობის ეპოქებში. გამოსახვის საშუალებას მოკლებული, სული ჩაიკეტება თავისთავში; უახლოეს მომავალში ისევ დადგება საყოველთაო მშფოთვარების დრო, დაბრუნდება მსოფლიოს დასასრულის რწმენა და მესიის მოლოდინი. რასლა დაეყრდნობა ეს უცნობი ენთუზიაზმი თეოლოგიური საფუძვლის უქონლად? ერთნი თავიანთ ძიებებს მიმართავენ ხორცისაკენ, მეორენი საყრდენს მოინახავენ ძველ რწმენებში, მესამენი – ხელოვნებაში; და კაცობრიობა, როგორც ებრაელები უდაბნოში, სხვადასხვაგვარ კერპებს დაუწყებენ თაყვანისცემას. ჩვენი თაობა ძალიან ადრე მოვიდა, ოცდახუთი წლის შემდეგ ოსტატი მწერლის ხელში გადაკვეთის წერტილი ბრწყინვალე აღმოჩნდება. მაშინ პროზა (უფრო ჯეელი ფორმა) განსაკუთრებით აჟღერდება შთამბეჭდავ სიმფონიად. მაშინ შეძლებენ წარმოშობას ისეთი წიგნები, როგორებიცაა „სატირიკონი" და „ოქროს ვირი". მაგრამ მათში ზ ღ ვ ა რ გ ა დ ა ს უ ლ მგრძნობელობას შესცვლის ზღვარგადასული ფსიქიკა. აი, ამის დანახვა არ სურთ სოციალისტებს ყველა ქვეყნისა, შეერთებულებს ხან პარიზის ბრწყინვალე სასახლეებში (რომელთა ნოსტალგიაც აღნიშნული დამამცირებლობის საყოველთაო გამოვლინებაა, ლუვრის პირამიდისა არ იყოს, ახლა რომ ჩავუარეთ), ხან საქართველოს ლამაზი ხეობების დასატბორავად და ხან რუსეთის უძირო ჭაობების ამოსაშრობად. მატერიალიზმის უსასრულო ქადაგებით ისინი უარყოფენ ტანჯვას და აგინებენ თანამედროვე პოეზიისა სამ მეოთხედს, მაცხოვრის სისხლს, რომელიც ჩვენში ჩქეფს. მაგრამ ვერაფერი ვერ განდევნის მას, ვერ ამოაშრობს... საქმე იმაში კი არ არის, რომ იგი ამოაშრონ, არამედ იმაში, რომ ნიაღვარივით ჩქეფდეს. – განაგრძო ბატონმა ფლობიმ, როგორც კი ბატონი ბოდლის ქიმერამ ხელი უშვა

მისი ქიმერის მკერდს, რამაც მისი ვნებამორეული ქიმერის უკმაყოფილო კრუსუნი გამოიწვია.

– ადამიანური არასრულყოფილების და არსებობის უაზრობის შეგნება რომ გამქრალიყო (რაც მათი ჰიპოთეზების შედეგი იქნებოდა), ჩვენ აღმოვჩნდებით ჩიტებზე უფრო სულელები, რომლებიც, რაც არ უნდა იყოს, ხეებზე სხედან. სულს ჯერ კიდევ სძინავს, დამთვრალს სიტყვებით, მაგრამ მას ხმაურიანი გაღვიძება ელოდება; გაღვიძებული და შექანებული, იგი გათავისუფლების სიხარულს მიეცემა, რადგან აღარაფერი აღარ შეზღუდავს მას, – არც მთავრობა, არც რელიგია, არც რომელიმე ფორმულა... ღირსება... ზრდილობა... ტრადიცია... ყოველგვარი შეფერილობის დემოკრატები დედამიწაზე ყველაზე მრისხანე პედაგოგებად მეჩვენებიან, – ისინი ოცნებობენ მონასტრებსა და ფაბრიკა-ქარხნებზე თუ კანცელარიებზე დამსგავსებულ ორგანიზაციაზე, კანონებზე, საზოგადოებებზე, – ვთქვი მე გაუბედავად, რადგან ბატონი ფლობის აზრებს ვავრცობდი.

ხოლო ბატონმა ბოდლიმ კი თმები გადაიგდო შუბლიდან, თავის ქიმერას მშვიდ თავზე დაადო ხელი და თქვა:

– მე კი, პირიქით, მგონია, რომ წესები ქრება, ჯებირები ირღვევა, მიწა უჩინარდება. ეს უდიადესი შეცბუნება მოასნავებს, შესაძლოა, თავისუფლებას. ყოველ შემთხვევაში, ხელოვნებამ, რომელიც ყოველთვის მიდის წინ, განვლო ეს გზა. როგორი პოეტიკა გაძლიერდა ამ მომენტში? პლასტიკური ხელოვნებაც კი თითქმის შეუძლებელი ხდება იმის წყალობით, რომ ენა ჩვენი მოსაზღვრულია და ზუსტი, ხოლო იდეები ბუნდოვანი, აბურდული, ხელშეუვლები. ჩვენ ერთი რამ გვრჩება, – ვიმარჯვოთ და დავჭიმოთ იმ გიტარის სიმები, რომელზედაც აქამდე ვაჩხარუნებდით და, რაც მთავარია, – გავხდეთ ვირტუოზები, რამეთუ გულუბრყვილობა ჩვენს დროში ქიმერაა.

ამ სიტყვებზე ქიმერებმა, რომელნიც მთვლემარედ ჩაყუჟულიყვნენ ჩვენს სხეულებში, თავი წამოყვეს. ისინი დაძაბულები შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს რაღაც საფრთხე

იგრძნეს და ახლა ამოწმებდნენ, ვისი მხრიდან მოდიოდა იგი. ამან აიძულა ბატონი ფლობი და ბოდლი, ერთი მაგრად ჩაეცხოთ თავში უდროო დროს თავწამოყოფილი ქიმერებისათვის და ამ მაგალითით გამხნევებულებმა ჩვენც დავურთეთ ჩვენებს. ატყდა ერთი წკავწკავი, რომელმაც სენ-დენის მეძავებში ისეთი არეულობა გამოიწვია, რომ, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა, რადგან ქიმერების წკავწკავი სწორედ პოლიციური მანქანების გამაფრთხილებელ ყმუილად მოესმათ. შეხმატკბილებული გარემო აირია და ვიდრე ჩვენ არ გავიარეთ, არც დაწყნარებულა. ასე რომ, ბატონებს – ფლობის და ბოდლის არც შეუმჩნევიათ, რომ სენ-დენი მშფოთვარე, მაგრამ ნაღვლიანი სიცარიელით ხვდებოდა და აცილებდა მათ. მე სავსებით ჩავითვლებოდი საბჭოთა ტურისტად, რადგანაც ჯერ კიდევ არ მქონდა შეცვლილი ამ ორიოდე თვის წინათ ჩამოყოლილი იერი, ხოლო საბჭოთა ტურისტების მიმართ სენ-დენის ტურფებს მეტისმეტად სპეციფიკური დამოკიდებულება ჰქონდათ: ისინი განიხილებოდნენ რაღაც შუამავალ რგოლად ვნებიან ლოზუნგებსა და სექსუალურ სოლიდარობას შორის, რომლითაც ერთმანეთთან იყვნენ გადაბმულნი მსოფლიოს პროლეტარები. ამიტომ მათ არ ერეკებოდნენ სენ-დენიდან, მაგრამ არც დიდ ყურადღებას უთმობდნენ და ზოგჯერ ხელსაც ვნებიანად უსვამდნენ სარცხვინელზე. ეს იყო და ეს. მაგრამ მე ესეც არ მერგუნა, რადგან, როგორც ვთქვი, ქიმერების წკავწკავმა ქუჩა ერთიანად გაწმინდა. ალბათ ამ სიცარიელის გამო იყო, რომ ბატონმა ფლობიმ სევდიანად განაგრძო თავისი მონოლოგი (რომელიც, როგორც იცით, ქიმერამ დაიწყო, მაგრამ თავადაც მოსმენის ეშხში შესულმა ბატონმა ფლობიმ მას სიტყვა ჩამოართვა და თავად განაგრძო, რითაც ჩვენი ყურადღება არც მიუქცევია, რადგან მათი ხმები განურჩევლად იგივეობრივნი იყვნენ და ეს ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ გავაცნობიერეთ, რაც ქიმერების ხსენებაზე, ბატონი ფლობის ქიმერამაც წამოყო მთვლემარე თავი და დაიმსახურა გაავებული პატრონის ალიყურები), – ამასთანავე, ცხოველხატულობა თითქმის ქრება: პოეზია,

მართალია, არ მოკვდება, მაგრამ მე ვერ ვხედავ, როგორი გახდება იგი მომავალში. როგორ უნდა ვიცოდე? იქნებ, სილამაზე უსარგებლო აღმოჩნდება კაცობრიობისათვის, ხოლო ხელოვნება რაღაც საშუალო ალგებრასა და მუსიკას შორის? – აქ საუბარში ჩაერია ბატონი ბოდლი, რომელიც აქამდე ყურადღებით ისმენდა ბატონი ფლობის (და მისი ქიმერის) მონოლოგს და უკანასკნელ მომენტამდე ხმა არ ამოუღია და არც ხელი გაუნძრევია, თუმცა მისი ქიმერაც უკვე დიდი ხანია, მიწაზე მოახოხებდა უკანა ფეხებსა და მუცლისპირს, რადგან ისეთივე მძიმე იყო, როგორც ქვანახშირის ტომარა, რაჭველ მეკურტნეებს რომ დაჰქონდათ თბილისის ქუჩებში...

– ყველაფერი დამოკიდებულია კონცეფციაზე (გოეთეს აქსიომაა, – სწრაფად დააყოლა მან, შეშინებულმა, რომ რამე არ დაეწამებინათ მისთვის, პლაგიატის მსგავსი).

– ხელოვნება გამოსახულებაა, ჩვენი საქმეა გამოსახვა, – მოუჭრა მოკლედ ბატონმა ფლობიმ, შეწუხებულმა, რომ შეაწყვეტინეს და სიტყვა, მისი სათქმელი, პირიდან ამოჰგლიჯეს... – ნუ წუწუნებ მარტოობაზე, შენ ამით ელაქუცები მასას (აღიარება იმისა, რომ შენ უმისოდ არ შეგიძლია, ნიშნავს თავის მასზე დაბლა დაყენებას, – ჩაიბურტყუნა თავმომწონე ქიმერამ, რითაც პატრონის დაუნდობელი ალიყური გამოიწვია). „შენ თუ მოწონებას ცდილობ, – ამბობს ეპიქტეტი, – ახლოს ხარ დაცემასთან“... განვაგრძობ, თუ გნებავთ, თუ არ დაიღალეთ, ან თუ არ მოგბეზრდათ, – ცოტა არ იყოს გაბუტულმა დააყოლა მან, და რადგანაც არავითარი პასუხი არ მიიღო არავისგან, განაგრძო:

– მსოფლიოში არსებობს მუდმივი შეთქმულება ორი მოვლენის წინააღმდეგ: პოეზიისა და თავისუფლების. გემოვნებიანი ხალხი ისწრაფვის პირველის მოსპობისაკენ, ხოლო წესრიგის მოყვარულები კი მეორეს სდევნიან... ჩემის აზრით. ცენზურა, მის ყველანაირ ფორმაში, საზიზღრობაა, კაცისმკვლელობაზე უარესია; აზრზე თავდასხმა ადამიანის სულის დათრგუნვა არის. სოკრატეს სიკვდილი ახლაც ლოდივით აწევს კაცობრიობის სვინდისს. შეიძლება, ებრაელთა თავს

დაკიდებული წყევლა იმავე რიგისაა: მათ ჯვარს აცვეს ადამიანი-სიტყვა, მათ უნდოდათ ღმერთის მოკვლა. ამ მხრივ, ჩემში ყოველთვის იწვევდნენ აღშფოთებას რესპუბლიკელები. – აქ მოულოდნელად ბატონი ფლობის ქიმერა მთელი ტანით წამოიმართა, ბატონ ფლობის მხრებზე შეახტა და პათეტიურად წარმოსთქვა:

– ო! დიდებულო ადამიანო! შენ დასტოვებ შენს შემდეგ მცირეოდენ ფუნას, ცოტა სისხლს, მაგრამ აზრი კაცობრიული შენს შემდეგაც განაგრძობს ბრძოლას. ის განაქარვებს მოგონებას შენზე სხვა ხმელ ფოთლებთან ერთად. შენი კულტურის კუთხე ბალახით დაიფარება, შენს ხალხს სხვა ხალხი გადახვეტავს, შენს რელიგიას შთანთქავს სხვა ფილოსოფია და ასე იქნება ყოველთვის, ყოველთვის, შემოდგომაზე, გაზაფხულზე, ზაფხულში, ზამთარში და მხოლოდ ყვავილები არ შეწყვეტენ ზრდას და წვენი მიწისა მათ დაპურებას...

– არ გვინდა სიძულვილი! არ უნდა სიძულვილი!... მხოლოდ სიმართლეს და წმინდა სილამაზეს არ ძალუძთ, ამ ხარისხით გაიყოლიონ მასები... ძირს მასები... – მშფოთვარედ ადუდღუნდნენ ჩვენი ქიმერები. ხოლო ბატონმა ფლობიმ კი განაგრძო აუჩქარებლად:

– ავტორი უხილავად უნდა არსებობდეს თავის ნაწარმოებში, როგორც ღმერთი სამყაროში. ხელოვნება – მეორე ბუნებაა. ამიტომაც შემოქმედი ამ პირამიდისა უნდა იყენებდეს ანალოგიურ მეთოდებს: ყოველ ატომში, ყოველ სახეში უნდა იგრძნობოდეს უსასრულო და დაფარული გულგრილობა; და ზემოქმედება მაყურებელზე უნდა იყოს გამაოგნებელი.

– საფრანგეთში უნდა შენიღბო პოეზია, იგი აქ სძულთ და ყველა მისი მწერლებიდან, შესაძლოა, მხოლოდ რონსარი ჰგავდა წარსულში არსებულ პოეტებს და როგორებიც არსებობენ სხვა ხალხებში, – აღარ უნდოდა ავანსცენიდან ჩამოსვლა ბატონ ფლობის ქიმერას, – ლიტერატურა სულ უფრო და უფრო დაუახლოვდება მეცნიერებას. რაც მთავარია, იგი გახდება ხილვადი, რაც სრულიადაც არ ნიშნავს – დიდაქტიკური. უნდა დახატო სურათები, აჩვენო ბუნება ისეთი, როგორიც ის

არის სინამდვილეში, მაგრამ სურათები ამომწურავი, მათში უნდა აჩვენო პირიც და სარჩულიც...

– და, რაც მთავარია, ნაკერები, ნაკერები, შემაერთებელი ძარღვები ამ ულამაზესი ფორმისა, – აენთო ბატონი ბოდლის ქიმერა.

– არ გავლანძღოთ არაფერი, ვუმღეროთ ყველაფერს და არ ვიკამათოთ. – ახლა უკვე თავშეუკავებლად წამოიშალნენ ჩვენი ქიმერებიც და ბერძნული ქოროს მსგავსად გაინანილეს სათქმელი ისე, რომ ბატონ ფლობის აღარაფერი დარჩა იმის მეტი, რომ თავისი მოუშორებელი ტროსტით ჩამოეყარა გათავხედებული ნადირები, როგორც გილგამეშმა მოათვინიერა თავისი ორეული ენქიდუ, რომელმაც შემდეგ თავბედი აწყევლინა ჰერაკლეს, პრომეთეოსის განსათავისუფლებლად რომ მიემგზავრებოდა კავკასიის უღრან ხევებში.

– ჭეშმარიტება არ არის ხელში მოხვედრილი საგანი და არც დღევანდელობა, რომელიც გამდინარეა. ვინც თანამედროვეობას ეკიდება, იგი ილუპება. მე ისიც კი მეჩვენება, რომ მოცემულ მომენტში მოაზროვნეს (ხოლო რა არის მხატვარი, თუ არ სამგზის მოაზროვნე) არ უნდა ჰქონდეს არც რელიგია, არც სამშობლო, არც რაიმე სოციალური რწმენა. ეჭვი იმდენად ცხადია დღეს ყველასათვის, რომ მისი დაფორმულება თითქმის სიბრიყვე იქნებოდა, – გაჰკიოდა ბატონ ფლობის ქიმერა და პატრონის მიერ მოქნეულ ჯოხს ისე ახტებოდა, როგორც აიკიდოს შავქამრიანი ოსტატი.

– არასოდეს არ უნდა გეშინოდეს გადაჭარბებების. ყველა დიადი ადამიანი – ჰომეროსი, ვირგილიუსი, ფირდოუსი, რუსთველი, დანტე, მიქელანჯელო, რაბლე, შექსპირი, მოლიერი, ვაჟა-ფშაველა – განწყობილი იყო მათდამი. – კრუსუნით ჩამოცურდა თავის ადგილას და ჩამჩურჩულა ჩემმა ქიმერამ, რომელსაც მწვანე ლოყები სისხლისფერი ლაქებით დაფარვოდა ბატონი ფლობის მიერ ჩატარებული ეკზეკუციის შედეგად.

– კარგი ლექსი ჰკარგავს სკოლის ნიშნებს. სრულყოფილება ყველგან ერთი და იგივე ხასიათის მქონეა: სიზუსტის, სის-

წორის. მხატვარმა უნდა იცოდეს ყოველივეს ამაღლება, – კრუსუნებდა ბატონ ბოდლის ქიმერა, – ფრანგულ პუბლიკას ისე უნდა მოექცე, როგორც აბას-ფაშას ცხენებს, რომლებსაც აჭმევენ ფქვილში ამოვლებული ხორცის გუფთას (იგი უკმაყოფილოა, როდესაც მას აწვდიან პოეზიას წმინდა სახით)...

ამასობაში მივადექით პიგალს, სადაც უკვე მეგზურობა იკისრა ბატონმა ბოდლიმ და მას შემდეგ არ გაუშვია სადავე ხელიდან. თვალებდაჭყეტილი ქიმერები მადიანად ილოკავდნენ ტუჩებს ათასგვარი შიშველი, სარცხვინელგადმოყრილი ქალების სურათების შემყურე, მაგრამ ბატონი ბოდლი, რომელიც, როგორც ჩანდა, კარგად იცნობდა აქაურობას, მშვიდი და გაზომილი ნაბიჯით მიდიოდა თავისი არჩეული გეზით და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მაღრიბელ ყმაწვილებს, რომელნიც წამდაუწუმ გვაჩრიდნენ სამოთხის ბაღში შესასვლელ ბილეთებსა და სურათებს, რომ როგორმე ჩვენი ყურადღება მიეპყროთ, მაგრამ ქიმერების ვნებიანი კრუსუნის მეტს ვერაფერს აღწევდნენ. რაც შემეხება მე, რომელიც იმ ქვეყნიდან მოვდიოდი, სადაც ბუნებისა და ღმერთის მიერ დადგენილი ყოველი წესი ისე იყო შებრუნებული, რომ კრძალავდა სექსუალურ ურთიერთობას და მეზობლის ქალს ხელშეუვლებ უსქესო არსებად მიიჩნევდა, ხოლო ცოლს, ქუთაისური ენამოსწრებულობით, – მონა-პოვარად, რის გამოც ცოლების რიცხვი მკვეთრად მცირდებოდა და იმავე პროპორციით იზრდებოდა ხელშესავლები მეზობლების რიცხვი, რამაც საბოლოოდ ქვეყანა სრულ გამოსარცხვინელებამდე მიიყვანა და გზა გაუხსნა სრულიად სხვა, არაიმქვეყნიური ქალების ხილთაქებას, რომელნიც არც მეზობლებს და არც ცოლებს არ ეკუთვნოდნენ და ისე დარბოდნენ ქუჩებში, როგორც სახელგანთქმული ქათამი, რომელიც დარბოდა კრიახით კოლხური კოშკის ეზოში მსგავსად დედლებისა, რომელნიც თავიანთი კრიახით ამცნობენ ქვეყანას, რომ ეს-ესაა კვერცხს დადებენ და რომელთაც, ჩვენს მამაკაცთა მსგავსად, უთხრა ქვემონახსენები ოქროს ვირის პატრონმა: „ერთგული მსახური ხარ და როგორი ნაყოფიერი! უკვე რახანია ყოველდღიური მშობია-

რობით გვასაზრდოებ და ახლაც, როგორც ჩანს, საუზმეს გვიმზადებ". ხოლო ქათამმა კი ზედ პატრონის ფეხებთან შვა არა კვერცხი, არამედ ცოცხალი, ბუნტყლიანი წიწილა, რომელმაც უკვე იცოდა წრიაპი და დედამისის კვალს გაჰყვა სირბილით, რამაც საკმაოდ დააფრთხო და შეაშინა მასპინძლები და რამაც საბოლოოდ გამოიწვია ისეთი ზრდა აღნიშნული ქათმებისა, რომ გადაშენების პირად მიიყვანა მეზობლები, რომელთა ქალებისთვის კიდევ უფრო მკაცრად აიკრძალა სხვა ძმა კაცთან *იმისქნა* და მით უმეტეს მამა-კაცთან, ნეტარსახსენებელი ბერძნებისაგან განსხვავებით, რომელთა, ცხოვრებაც ასე მშვენივრად აღგვიწერეს ჰომეროსმა „ილიადასა" და „ოდისეაში" და ჰესიოდემ „თეოგონიაში" და რაზედაც მოგვითხრობენ „ბატრახომიომახია", კალლინუსი, ტირტეუსი, სოლონიუსი, თეოგნიდუსი, არქილოქუსი, სემონიდუსი, მიმნერმუსი, გიპონაქტუსი, ალკეუსი და რაზედაც ასეთის გულისფეთქვით იმღერეს საფომ, ალკმანუსმა, სტესიქორუსმა, არიონუსმა, ივიქომ, სიმონიდემ, პინდარუსმა, მაქალიდუსმა, სოფოკლემ, ესქილემ, ევრიპიდემ, ანაქსიმანდრემ, სოკრატემ, პლატონმა (პლატონ სამანიშვილის ცნობილმა წინაპარმა), არისტოტელემ, კრეთინუსმა, ევპოლილუსმა და არისტოფანემ, რომელთაც მოჰყვებიან ჰეროდოტე, ისოკრატე, ქსენოფონტე (ქსენოფობიის მამამ, როგორც ცნობილია), ფილემონმა, დიფილუსმა, მენანდრემ, ჰერმესიანაქთუსმა, თეოკრიტემ, ბიონიუსმა და მოსხმა, ხარიტონმა და ელიანემ, რომელსაც მოჰყვება სწორუპოვარი პლუტარქე, სვეტონიუსი, სენ-სიმონი და მარქსი, რომელმაც საბოლოოდ მოუღო ბოლო ბერძნულ ტრადიციას კაცებისა და ქალების ცხოვრებაში და აკრძალა ურთიერთცხოვრება, ვგულისხმობ – სექსუალური, ანუ ლოგინში ჩაწოლა და ქმნა იმ მართლისა სამართლისა, რომელმაც თავის დროზედ ჩვეულებრივი ვირი ოქროს ულაყად აქცია, ხოლო მის პატრონს კი საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ისე, რომ მთელი ელადის ქალები ოცნებობდნენ მასთან დაწოლაზე, როგორც მოგვითხრობს სწორუპოვარი აპულეუსი, შამქმნელი ყველა ვირისა და აპოლოგეტი საკრალური

მისტერიებისა მეათე წიგნში თავისი ესოდენ მივიწყებული ტრაგიკული თავგადასავლისა, რომელზედაც ბატონმა ფლობიმ ააგო თავისი დაუვიწყარი მონოლოგი.

აი, რას გვიამბობს იგი:

„მაშინ იგი იხდის ტანზე... შეიხსნა ბაფთაც კი, რომელიც მის მშვენიერ ძუძუებს იჭერდა... დგება სინათლესთან და ტყვიის ქილიდან მსუყედ იზელს სხეულს სურნელოვანი ზეთით... მერე მეც მზილეს იქიდანვე დაუზოგავად ყველა ადგილში... ნესტოებიც კი დამიზილა... აქ მაგრად მაკოცა... ისე კი არა, საბოზეთში რომ კოცნის ხოლმე, ჩვეულებრივ, მეძავი წუწურაქ სტუმარს... არამედ მთელი გულით... თან, დაშაქრული, აყოლებდა: „მიყვარხარ, მინდიხარ, მხოლოდ შენ გეტრფი და შენს გარეშე ცხოვრება არ შემიძლია“... და სხვა ამგვარს... რითაც ქალები გამოხატავენ თავის გრძნობებს და სხვებშიც აღაგზნებენ ვნებას... შემდგომ... მავლებს ხელს აღვირში და იოლად მაიძულებს დაწოლას... როგორც უკვე ვიყავი ნაჩვევი: მე არ მეგონა, რომ მომიხდებოდა რაიმე ძნელის ან მიუჩვევლის გაკეთება... მით უმეტეს, ამდენი ხნის თავშეკავების შემდეგ... ასეთ ლამაზ და სიყვარულს მოწყურებულ ქალთან... შეხვედრისას, ამასთანავე უზომო რაოდენობით დალეული საუცხოო ღვინოც ამივარდა თავში და ალმოდებული მალამოც აღმიგზნებდა ვნებას...

მაგრამ კარგა მაგრა შევშინდი იმის გაფიქრებისას, როგორ შევძლებ ასეთი უხეში და უზარმაზარი ფეხებით შავუძვრე ნაზ მატრონას, როგორ ჩავიხუტებ ჩლიქებით ასეთ თეთრსა და ფაფუკ სხეულს, რძისა და თაფლისაგან შექმნილს, როგორ ვაკოცებ სურნელოვანი ცვრით გავარდისფერებულ ტუჩუნებს ჩემი უზარმაზარი პირით და მახინჯი, ლოდებივით ამოჩრილი კბილებით, და, ბოლოს, რანაირად შეძლებს ქალი, თმის წვერამდეც რომ სწვავდეს ვნება, მიიღოს შამქმნელი ასო ასეთი ზომისა. ვაი ჩემს თავს! კეთილშობილი ქალისათვის მიყენებული ვნებისათვის მიმაგდებენ ველურ მხეცთა სათრევად და, ამგვარად, მშვიდობით, ჩემი პატრონის ზეიმში მონაწილეობის მიღებავ; ხოლო ამასობაში იგი ისევ მაყრის ვარდის

ფურცლებივით ნაზ სახელებს, გაუჩერებლივ მკოცნის, ტკბილად ულურტულებს, მჭამს თვალებით და ათავებს... ყოველივეს... აღმოხდომით...: „მიპყრიხარ, მიპყრიხარ, ჩემო მტრედო, ჩემო ბელურავ". და ამ სიტყვებით მიმტკიცებს მე, რამდენად უადგილო იყო ჩემი ფიქრი და უაზრო შიში. მოტმასნილმა ჩემზე მან მთლიანად მიმიღო, მთლიანად უნარჩენოდ მიმიღო. და მაშინაც, როდესაც დანდობით ვჩოჩდებოდი მისგან, იგი თავდავიწყებით თავად მეკვროდა და ჩემს ზურგზე ხელებშემოჭდობილი მეგრიხებოდა ისე, რომ ვფიცავ ჰერკულესს, მომეჩვენა, რომ რაღაც არ მყოფნიდა მისი ვნების დასაცხრობად, და მაშინ მივხვდი, რომ ტყუილად არ ერთვოდა მბღავანა საყვარელს მინოტავრის დედა..."

ხოლო მე კი, იმას მოგახსენებდით, რომ არა მარტო თვალები მქონდა შუბლზე ასული ამ არსაცქერალის ცქერისგან, არამედ შარვალიც თავზე წამომხუროდა დაძაბულობისაგან და ჩემი საბრალო ქიმერა კინაღამ დამეხრჩო ენერგიის მოზღვავებისაგან ისე, რომ საშინელი ხველა აუვარდა, როგორც იმ სახედარს, პროზერპინას ზღურბლს რომ გადააბიჯა და ყველა სტიქია განვლო, შუაღამისას მზე იხილა და უკუსვლით თავის ადგილს დაუბრუნდა საჯინიბოში, სადაც გამოეცხადა ზღვათა წიაღთაგან ამოსული ღვთაებრივი სახე და უთხრა: „აი, მე ვდგავარ შენს წინაშე, ვირო, დედა ბუნებისა, მპყრობელი ყველა სტიქიათა, თავდაპირველი წარმონაქმი დროისა, უმაღლესი ღვთაებათა შორის, მბრძანებელი გარდაცვლილთა სულებისა, პირველი ცათმოსახლეთა შორის, ერთიანი ხატი ყველა ღმერთისა და ქალღმერთისა, რომელსაც ფრიგიელები, კაცობრიობის პირველნულნი მიწოდებენ პესინუნტელ დედას ღვთაებათა, ხოლო ატიკის პირველმკვიდრნი კი – კეკროპიულ მინევრას, იქ კვიპროსელნი, ზღვა რომ ესალბუნებათ, – პართიულ ვენერას, კრეტელი მშვილდოსნები – დიქტინურ დიანას, სამენოვანი სულმცინარი სიცილიელები – სტიგიურ პროზერპინას, ელევსინელები – ცერერას, ერთნი – იუნონას, მეორენი – ბელონას, ისინი – ჰეკათეს, ესენი – რამნუზიას, ხოლო ეთიოპები, რომლებსაც ამომავალი მზის პირ-

ველი სხივი ხვდებათ, არიელები, ძველი ცოდნით მდიდარი ეგვიპტელები თაყვანს მცემენ ისე, როგორც ჯერ არს, ჩემი ნამდვილი სახელით – ღვთაებრივ იზიდად...", რამაც ყველას ყურადღება მიიპყრო და როდესაც შარვალი, როგორც იქნა, თავის ნორმალურ მდგომარეობაში დავაბრუნე და ის ველური ვირიც ლაჯებს შორის მოვიმწყვდიე, უკვე მთელი პიგალი გამოფენილიყო გარეთ და აღტაცებული მიკრავდა ტაშს. არაბი ყმაწვილები არ დაიბნენ და ახლა გამოფენილ პედერასტებს, ლესბიელებსა და ექსჰიბიციონისტებს დაუწყეს ბილეთების შეჩეჩება და ამ დიდებული სანახაობის საყურებლად მოწვევა. ცოტა არ იყოს, შევცბუნდი და უხერხულობა ვიგრძენი. მაგრამ ჩემს ზურგში სიყვარულით ჩახუტებული ქიმერის სითბომ და სისველემ მაგრძნობინა, რომ აქ სასირცხვო არაფერია და რაც უფრო უსირცხვილოდ და თავისუფლად მოიქცევი, მით უფრო დიდ ღირსებას მოიპოვებ ამ პატიოსანი მაყურებლის თვალში.

ბატონი ბოდლი თვალს არ მაშორებდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ღალატში გამომიჭირა. აქ კი ნამდვილად შემრცხვა, რადგან გაგებული მქონდა (ჩვენი თანამგზავრებისგან, რომლებზედაც შემდეგ მოვყვები, ერთი ყველაფერს მიამბობდა ბატონი ფლობისა და ბოდლის ცხოვრებაზე და ისეთ პიკანტურ ამბებსაც აყოლებდა, რომ მე სირცხვილისაგან ყურები წითელი წიწაკასავით მქონდა აელვარებული, ხოლო ჩემს ქიმერას კი, რომელიც ხანდისხან მილოკავდა, ჩვეულებისამებრ, ყურებს, კინაღამ ანგინა დაემართა) მისი ზოგი მისწრაფების შესახებ და ახლა მართლაც მეგონა, რომ ულამაზო იყო, ამდენი ხნის მასპინძლობის შემდეგ, ხელი მეკრა მისთვის, ჩამოვშორებოდი და ჩემს გზაზე წავსულიყავი. ქართველებს, შესაძლოა, კიდევაც გაეგოთ ჩემთვის, მაგრამ ევროპელები ვერაფრით ვერ გაიგებდნენ ამას. და მეც, რადგან გადაწყვეტილი მქონდა, და უკვე განხორციელებულიც, დარჩენა და გაევროპელება, სწრაფად მივუახლოვდი ჩემს ძველ თანამგზავრებს.

– ო! ვერლენ! ვერლენ! – მწუხარებით აღმოხდა ბატონ ბოდლის და ამ აღმოხდომას ერთი ისეთი სონეტიც დაამღერა, რომლის ტკბილხმოვანება მასში გამოთქმული ვნების სავსებით შესაჯერი იყო, რამაც ცივი წყალი გადაასხა ბატონ ფლობის მთელს კონცეფციას და ქიმერების აღტაცება გამოიწვია.

O ne blasphème pas, poète et souviens-toi.
Certes la femme est bien, elle vaut qu'on la baise,
Son cul lui fait honneur, encore qu'un brin obèse
Et je l'ai savouré maintes fois, quant à moi.
"C'est mal", a dit l'amour. Et la voix de l'Histoire:
Cul de l'Homme, honneur pur de l'Hellade et décor
Divin de Rome vraie et plus divin encore
De Sodome morte, martyre pour sa gloire.
Shakespeare, abandonnant du coup Ophélia,
Cordélia, Desdémona, tout son beau sexe
Chantait en vers magnificents – qu'un sot s'en vexe
La forme masculine et son alleluia.
Les Valois étaient fous du mâle et dans notre ère
L'Europe embourgeoisée et féminine tant
Néanmoins admira ce Louis de Bavière ,
Le roi vierge au grand cœur pour l'homme seul battant.
La Chair, même la chair de la femme, proclame
Le cul, le vit, le torse et l'œil du fier Puceau;
Et c'est pouruoi, d'après le conseil à Rousseau,
Il faut parfois, poète, un peu "quitter la dame"

არ ვიცი, ვერლენის საცოდაობამ, თუ ბატონ ბოდლის გულდათუთქულმა სიმღერამ, ისეთი მწუხარე განწყობილება შექმნა, რომ პიგალი თალხებით შეიმოსა და ისე დაცარიელდა და დაბნელდა, რომ თითის მიტანა ცხვირთან, ჩემს ქართულ ცხვირთან ხელის მიტანა სულ იოლი საქმე იყო, იმ თვისებისა გამო, რომელზედაც ასეთის აღტაცებით წერდა ცხვრის დუმასავით უწყინარი და ლაღი დიუმა, რომელზედაც ქართულმა ცხვირებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ტროელებზე – ცნობილმა ცხენმა, ხოლო დონ-კიხოტზე – ქარის წისქვილებმა. მდუმარე დიუმა უცხვირპირო მარლინსკის

მოშველიებით (რომელსაც ცხვირი მართლა არ ჰქონდა, რადგან მონღოლოიდი რუსი იყო და ინდოევროპულ სახეზე ცხვირის მაგივრად პატარა მონღოლური მეჭეჭი აჯდა ორი ხვრელით, ქართველებშიც რომ ისეთ გაოცებას იწვევდა, როგორც ტროელებში ცნობილი ცხენი და დონ-კიხოტში ქარის წისქვილები, რითაც ურთიერთობა სრულიად გაწონასწორებული იყო, ვიდრე ზემოაღწერილი გამოსარცხვინელება არ დაიწყო კაცობრიობამ და არ დალეწა ყველა ქარის წისქვილი და გამოთხარა ტროა, რის შემდეგაც წონასწორობა ქართველებსა და რუსებს შორის დაირღვა და მის აღსადგენად აუცილებელი გახდა რევოლუციის მოხდენა და ცხვირდიდებული ქართველების გაჩანაგება) თავის საქართველოში მოგზაურობის აღწერაში:

"И если вы хотите полюбоваться на носы во всей силе их растительности в полном цвете их красоты, возьмите скорей подорожную с чином коллежского ассесора и поезжаите в Грузию. Но я предсказываю тяжкий удар вашему самолюбию, если вы из Европы, из страны выродившихся людей, задумаете привезти в Грузию нос на славу, на диковину. Пускай объявите вы у тифлисского шлакбаума в числе ваших примет нос Шиллера или Каракаллы , суета сует!

На первой площадке вы убедитесь уже, что все римские и немецкие носы при встрече с грузинскими закопаются от стыда в землю. И что там за носы! Осанистые, высокие, колесом , и сами так и сияют, так и рдеют! Ну, вот, кажется, пальцем тронь, брызнут кахетинским. Надо вам сказать, что в Грузии, по закону царя Вахтанга Четвертого, все материи измеряются не аршинами и не локтями, а носами со штемпелем... Многие дамы находят, что эта мера гораздо выгоднее европейской".

რა თქმა უნდა (და ჩემი მეგობარი კლოშარებისათვის გულმოსაკლავად), ჩემს ცხვირთან ხელის მიტანით კახური არ გადმოსჩქეფს, და ვეჭვობ, ბურგუნდიულმა, ბორდომ ან კიანტიმ იწყოს ჩქეფა, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ იგი და მისი

საოცარი ბრწყინვალება რომ არა, პიგალის წყვდიადში სრულიად დავიკარგებოდით და ვეღარც ბატონებს – ფლობისა და ბოდლის ვიხილავდი. აქ მე ცხვიროსოფიის გუნებაზე დავდექი და, რადგანაც ჩვენი ლიტერატურული კოლოქვიუმის დროს ხმა თითქმის არ ამომიღია, ხოლო აღნიშნულ საკითხში უპირატესობა აშკარად ჩემს მხარეს იყო, – წარმოვთქვი:

– ძვირფასო მეგობრებო, მიუხედავად სიბნელისა, რომელმაც მოიცვა დამწუხრებული პიგალი, არ შემიძლია, ორიოდ სიტყვა არა ვსთქვა იმ მანათობელ შუქზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გზა გავიკვლიოთ და არ დავკარგოთ ერთმანეთი, როგორც ულისემ და პერსეფონემ ან კიდევ აბესალომმა და ეთერმა, რომელთა უპირატესობა თავის ბერძენ ჰომოლოგებზე ასეთის ბრწყინვალებით იქნა დამტკიცებული ეროვნული ქართული მეცნიერების მიერ. თუკი რაიმე განასხვავებს ადამიანს ცხოველებისაგან, როგორც შესანიშნავად დაგვიხატა ჩვენმა საყვარელმა აპოლეუსმა (... გო... გო... ლმა... – ზანტად წარმოსთქვა უეცრად ჩემმა ქიმერამ და თვალები ისე მიბნიდა, რომ გეგონებოდა, რაც ქართულ ცხვირში კახური იყო, სულ ერთიანად თავში აუვარდაო და ჩანჩქერივით ჩაიდგრიალა ხახაშიო)... და გოგოლმა, – კვერი დავუკარი მას, რადგან ქიმერებთან კამათი, ვიცოდი, კარგს არაფერს მომიტანდა, – რომელსაც, უეჭველია, სწორედ ქართულმა ცხვირმა აღუგზნო პოეტური აღმაფრენა პეტერბურგის შავ დღეებში, სადაც ცხოვრება, პოეტის თქმისა არ იყოს, კუბოში წოლასა მიაგავდა, რადგან რუსულ ცხვირზე არათუ შინელს, ნეკა თითის სათითესაც ვერ დაამაგრებ. როგორც ცნობილია, სფინქსის, ტრაგედიისა და ფსიქოანალიზის მამის გამოცანა, რომლითაც მან მამისმკვლელ ოიდიპოსს, სიბრძნის ჭას და კომპლექსების მდინარეს ისე აუბნია გზა-კვალი, რომ დედა შეართვევინა ცოლად და საკუთარი შვილების ძმა გახდა, რითაც ფროგმუნდის, დავითის კანონიერი მემკვიდრისა და ჰიტლერის დაუძინებელი მტრის გაკვირვება (რაც დაკვირვების საწინდარია) გამოიწვია, *ეხებოდა ცხვირს*, როგორც ადამიანის სიცოცხლისა და სიბრძნის მესამე წყაროსა და შემადგე-

ნელ ნაწილს. თავად სფინქსს, როგორც ცნობილია, არც *ცხვირი* ჰქონდა და არც სიცოცხლე, რადგან იყო იგი ერთი საცოდავი ლომი, რომელმაც ადამიანის შეჭმა განიზრახა, მაგრამ ფეხებშებორკილი ოიდიპოსი პირში გამოეჩხირა და ასე გაქვავდა, ფარაონების შემყურე და იმ ვირი ოიდიპოსის მონელების მომლოდინე. ამრიგად, თუ სფინქსი (როგორც ცნობილია) არც ვირი იყო და არც ადამიანი და, მაშასადამე, იყო უ-ცხვირ-ო, იგი ყოფილა ფანტომი, მოლანდება, ოიდიპოსის სიზმარი... რადგან, როგორც ჩვენმა ეროვნულმა ლინგვისტურმა ანალიზმა საყოველთაოდ გახადა ცნობილი, *ცხ-ვირი* არის (მისტიკურად *არის* – ხაზი გავუსვი მე და თითი ისე შევმართე სიბნელეში, რომ საცოდავ ქიმერას ნახევრამდე შეესო თვალში. მან ერთი კი წამოიკნავლა – „ჩემგან რა გინდა, მე ხომ არ გამომიკვლევიაო", და ისე ღრმად ამოიხვნეშა, რომ სანდენიზე აყუდებულ მეძავეებს კაბები წამოუფრიალდათ და დარცხვენილებმა პიგალის წყვდიადს შეაფარეს თავი. მე, ცხადია, ქიმერას ბოდიში მოვუხადე ჩემი უხერხული და დაუფიქრებელი მოძრაობისათვის და განვაგრძე) – *ოქრო* და *სიბრძნე*. როგორც ცნობილია, *ცხ* ძირი აღნიშნავს სიცო-*ცხ*-ლეს და *ცხ*ოვრებას, ხოლო ვირი რაც არის, ყველას კარგად მოეხსენება იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც დადასტურებულია სიცრუის სიბრძნესა შიგან, როგორც აღმამფრენი და ჯიუტი „სოფიასი", რის გამოც იგი დაანათლეს უსაჩინოეს გაუტამას, როდესაც ის ჯერ კიდევ აკვანში იწვა, როგორც სიზმარი მსიზმრებელის სიზმრისა, შემორჩენილი კირით ხუროთა, კალატოზთა და ფრანკმასონთა საიდუმლო მიმართვაში: „ვირა" ანუ: ასწიე! სოფია... (აქ ჩემი მეგობრები, – ბატონები ბოდლი, ფლობი და ჩვენი ერთი თანამგზავრი, რომელსაც სახელად ერქვა დივინდორი, რაც ითარგმნება „ღვთაებრივი ოქრო", ცას ეწივნენ სიხარულით და აღფრთოვანებული შეძახილით: „ვირა!" „ვირა სოფია!" „გაუმარჯოს სოფიას!" ხოლო გაუთხოვარი ქიმერები კი კივილით – „ასწიოს სოფიამ ფეხები!", ჩაეხუტნენ ერთმანეთს და დაგორდნენ ოქროსფერ ბინდბუნდში გახვეულ თალხშემოსილ პიგალზე. ხოლო მე კი, მათი აღფრ-

თოვანებით გულმოცემულმა, განვაგრძე ჩემი მეცნიერული
დისკუსი ანუ გარესჯა): თავ-ურ-კაცი რომ ცხოველიდან იყო
წარმოშობილი, როგორც ამას გვიმტკიცებენ დარვინი, სენ-
სიმონიძე და მარქსიაშვილი, მაშინ ადამიანს ცხვირის ნაცვ-
ლად მხოლოდ ორი ნახვრეტი ექნებოდა მეჭეჭივით დასმული
და იგი თავიდანვე გაიმჭეჭებოდა შურისა და სიძულვილისა-
გან, რომ არ შეეძლო არწივივით ფრთების გაშლა და ციურ
სივრცეთა მიმოფენა, რადგან, როგორც ამბობს შექსპირი
რომელიც, როგორც ცნობილია, ქართველთა ნათესავი იყო
წარმოშობით (ეროვნული არქეოლოგიური ეტიმოლოგიით ა
გვაქვს ქარაგმა, რომელიც ასე იხსნება: შე–ქს–პირი! ქს-ქა-
რაგმა სხვადასხვაგვარად იხსნება სხვადასხვა მეცნიერის მი-
ერ, როგორც „ქ-(ალ)-ს", „ ქ-(მარ)-ს" და ა.შ. ყოველ შემთხვე-
ვაში, მის ქართულ ჩამომავლობაზე არავინ არ დაობს მას შემ-
დეგ, რაც პირველი ევროპელიც ქართველი აღმოჩნდა დმა-
ნისში), სწორედ იმ თვისებისა გამო, რომელიც ასე საუცხოოდ
დაგვიხატა საყვარელმა აპულეუსმა თავის მისტიკურ თხზუ-
ლებაში „ოქროს ვირი", ან „ცოცხალი სიბრძნე", რომელიც
ითარგმნება ქართულ ენაზე როგორც „ცხვირი": – „მღოღა-
ვად შობილს ცის ლაჟვარდი ლოდივით აწევს", რაც გვაფიქ-
რებინებს, რომ თავდაპირველი უცხვირობა (და ე.ი. უპირო-
ბაც, რადგან შდრ: უ-ცხ-ვირ-პირო!) თანდათან შეცვალა
ცხვირიანობამ და რომ *ცხვირი* არის ცივილიზაციის განვითა-
რების ის უპირველესი ნიშანი, რომლითაც შეგვიძლია ურთი-
ერთისაგან განვასხვავოთ აღმამფრენი და დაღმამღოლავი
არსებანი. „მითხარი, ვის გიგავს ცხვირი და გეტყვი, ვინ ხარ
შენ" – შეეძლო ეთქვა ლამარქსს, მაგრამ ვერ მოიცალა, ვერ
ასწია თავი და ვერ მოსწყდა თავის ცხვირწინ ჩარიგებულ
კოლბებს, მაშინ, როდესაც ცხვირშენგრეული მიქელანჯელო
არწივივით დაჰქროდა ცის ლაჟვარდში და ჰკორტნიდა თავის
პრომეთეულ მარმარილოს. და განა პარისი შეძლებდა, დაენა-
ხა მის წინ გაშიშვლებული ღვთაებრივი სილამაზე და მიეცა
საბაბი ჰომეროსისათვის თავისი ღმრთეებრი სუნთქვა ჩაებე-
რა სიტყვებისათვის, რომელთა წარმოსათქმელად მართლაც

ვირის ღონე და სიჯიუტე იყო საჭირო? და ან არწივი იქნებოდა ფრინველთა მეფე და არა ბოლოქანქალა? (რომელსაც გონებამკვირცხლი ქართველი ერი „ქვაიმასქნიას" – ანუ, განსწავლულ ბერძნულად, – „პეტრაფაკერს" უწოდებს, რაც უდავოდ უკავშირდება კრონოსის მიერ ზევსის ნაცვლად იმ ლოდის გადაყლაპვას, რომლითაც მის მიერვე ნაშობნი იყვნენ შეცვლილნი და რომელიც, მუცლის მოშლისა გამო, სიზიფეს მიესაჯა კავკასიონზე ასატანად და ზედ პრომეთეს მისაჯაჭვად, ხოლო შემდეგ პრომეთეს განთავისუფლებისა, ამირანის გამოქვაბულის ამოსაქოლად. როგორც ირკვევა, ამირანთან ჩატანებული პეტრაფაკერის ცდა ქვის, ანუ იგივე „ამირანის პალოს" დაორსულებისა წარმატებით დასრულდა, რაც ადასტურებს, რომ ეროვნულ თვალისხედვასა და ლიტერატურას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც დევებსა და ცნობილ ქარის წისქვილებს შორის, რომლებსაც ენითაუწერელ აღტაცებაში მოჰყავდა რაინდი დონ-კიხოტე და მასთან ერთად მთელი იბერიელი ერი, რითაც დასტურყოფდა უსაზღვრო ერთგულებას იმ მისიისადმი, რომელიც მამაზეციერმა დაადო მას ატლასის მხრებზე, ცის თაღი რომ არ ჩამოქცეოდა კაცობრიობას თავზე და შესძლებოდა, აეთვისებინა მსოფლიო ცივილიზაციის უნივერსალური პრინციპები გონებასრული ბოლო–ქან–ქალების (ის რომ უნდათ, პოეზიის ობოლ ხიდზე მიმავალ პოეტ-კალეს რომ უკანკალებს) მიერ მიწოდებული სამეფო მრგვალ მაგიდასთან... – ხმის ჩაწყვეტამდე მივიდა ჩემი გენეტიკურად პატრიოტი ქიმერა, რომელმაც კარგა ხანია, ჩამომართვა სიტყვა და ახლა განაგრძობდა თავის დისკურსს, ვიდრე მე გადავწვდებოდი მრგვალი მაგიდის შუაგულიდან ზვიადად შემომცქერალ სუკის ნაჭერს და პირში ჩავჩრიდი თავგასულ ქიმერას... და ხმას ჩავაწყვეტინებდი... რომ მშვიდად განმეგრძო ჩემი მეცნიერული გარესჯა: ძვირფასო მეგობრებო, ერთის წამით წარმოიდგინეთ პრომეთე, მიჯაჭვული ალმასის ჯაჭვებით კავკასიონზე, რომელსაც პეტრაქანქალა უკორტნის ღვიძლს და თქვენ მიხვდებით, რომ ისტორია ერთი თავდადებული ერისშვილის ცხვირადაც არ

ღირს და რომ იგი (ისტორია) არის – უ –ცხ–ვიროთა (იხ. ქიმერიული ანალიზი ზევით) განუწყვეტელი ბრძოლა ცხ–ვირიანების წინააღმდეგ (შდრ. ქათმებისა და სუკის ბრძოლას ზევით!). და სწორედ ამაზეა ნათქვამი კისერსრული კახელი გლეხის მიერ: „გაგვიწყვიტეს ვირები და დავრჩით გულმოკლულებიო", ან კიდევ: „ვირო მადლი ფაკიო... და, – გამავივლი და წავიღებო"... და პოეზიაც, ეს უეჭველი ნიშანი ადამიანის აღმაფრენისა, ღვთაებრივი ცხვირის სუნთქვა არ არის დაუსრულებელი ტკბობისა?... და განა შეძლებს ადამიანი, თვალი აარიდოს კაცობრიობის უპირველეს ცივილიზაციებს, რომელთა უპირატესობა აშკარაა დღევანდელ დღეზე და სწორედ იმიტომ, რომ ეს ცივილიზაციები დიდცხვირიან პელაზგთა, ანუ, და უპირატესად, როგორც ჩვენმა ეროვნულმა მეცნიერებამ დაადასტურა ერთხელ და *საყოველთაოდ*, ქართველ – კარდუელ – ქამერ – სამერ – სუმერ – შუმერ გაუთხოვარ ქვაძვალში უსასყიდლოდ შეყვარებულ ქალთა შექმნილნი... – სიტყვის დამთავრების ნაცვლად, მე თავმომწონედ გადავშალე ხელში მოხვედრილი ძველი წიგნი და ჩემი თანამგზავრების თვალწინ გავაცოცხლე, აი, ეს სურათი:

ამ საჯარო დემონსტრაციის შემდეგ თითქოს აღარაფერი იყო სათქმელი, მაგრამ ჩემი აღგზნებული აღმაფრენა შეუფერხებლად მიმოიფრენდა „ველთა შორის გაზაფხულის ყვავილნარისა", – როგორც ამბობს პოეტი, – და ცხვირი ჩემი სამშობლოს მთებივით იბინდებოდა ალუჩის ფერად არა კახურის, არამედ ბორდოს განუწყვეტელი სმისაგან:

– და განა ამის შემდეგ შეუძლია ამტკიცოს ვინმემ, რომ დიდებული სირანო დე ბერ–ჟერაკი, რომელსაც კავკასიონივით ნაზად იისფერი ცხვირი ედგა, არ განასახიერებდა ქართველთა მოდგმის იმ გენეტიკურ შტოს, რომელმაც, როგორც ეგრისელი პელაზგების სამშობლოდან დევნილი ბერ-იას წინაპართა ჩამომავალმა (ეტიმ.: „ბერ–ია" ანუ „ხან–დაზმული ბერი") „ია" ან, სხვაგვარად, „სამონასტრო ია", რაც მოცემულია მისი გვარის ფუძეში „ბერ", საიდანაც წარმოსდგა „ბერ-ძენთა" – ბერ(იას)ძე(ნ)თა! – სახელწოდება, როგორც ტვინუზადო

ეროვნული აკადემიის მეცნიერება გვიმტკიცებს თავის უახლეს მიღწევებში, თუმცა, კვლავინდებურად ღიად ტოვებს საკითხს: რატომ გაავლო ბერ–იამ მუსრი კოლხურ კამეჩებს, რომელთა შუმერო-ეგვიპტური წარმოშობა პელაზგების ქართული გზით არავისში არ იწვევდა დღემდე ეჭვს), უბიწოდ შემოინახა თავისი პირველმშობი წმინდა ი–ბერი–ული სისხლი და... – მაგრამ სიტყვის დამთავრება არ დამაცალა სპილოსყურებიან და წეროსფეხებიან სახედარზე ამხედრებულმა კაცმა, რომელმაც გადმოსერა პირდაბჩენილი მონპარნასი და ბატონი ფლობის მოპირდაპირე მაგიდასთან შეაჩერა თავისი სპილოწეროვირი.

იბერიის ხსენებაზე მან თავისი შესანიშნავი – სწორი, თხელი, ნათელი, კეხიანი, ნესტოებსრული, ბინდისფერი ცხვირი და აპრეხილი ულვაშები, რომლზეც მიკროსკოპიული ოქროს ჟღარუნა ზარები იყო შეპნეული, შეათამაშა, ვერცხლისთავიანი ჯოხი შემართა ჰაერში, წარბები გადარკალა და თვალები გადმოკარკლა:

– იბერია – გუდის ყველია. სტალინი მოკვდა? – გაუმარჯოს სტალინს! მე მოგესალმებით თქვენ სიკვდილის სახელით, რადგან თქვენი მსჯელობა ჩემში აღფრთოვანებას იწვევს... მომიახლოვდი, სიკვდილო, ისე კარგად რომ იმალები, რომ ვერც კი გგრძნობ მოსულს! რადგან კვდომის სიამოვნებას შეუძლია სიცოცხლის დაბრუნება! აი, ჩემი სიმღერა...

– აი, შესანიშნავი მაგალითი იბერიული რასისა! – წამოვიყვირე მე გახარებულმა იმით, რომ განგებამ ასეთი შესანიშნავი დადასტურება მისცა ჩემს მეცნიერულ გარესჯას. ბატონმა ფლობიმ, რომელმაც ის ის იყო დაამთავრა თავისი წილი წითელი ბორდოს სმა, ჩვენს ახალ თანამგზავრს თვალი მკაცრად შეავლო და კმაყოფილებით წარმოსთქვა:

– თქვენს ულვაშებს სწორედ იბერიული ცხვირი ესაჭიროება, რომ გადახლართვისაგან იხსნას ისინი.

ბატონი ფლობის ამ მოსწრებულმა შენიშვნამ ქიმერების იმგვარი აღტაცება გამოიწვია, რომ ისინი სიხარულისაგან ცას ეწივნენ და თავხედურად წამოგვასკუპდნენ თავებზე,

რამაც ისეთი ქარი ამოაგდო, რომ ერთიანად გაუწეწა თავისი აბრეშუმივით თმები ბატონებს – ბოდლისა და ფლობის, კლედალის, ჩვენს ახალ თანამგზავრს, პარისს, ელენეს, აფროდიტას, აპოლონს, ვენერას და აქილევსს, თუმცა, ვერაფერი დააკლო წყლიდან ახალამოსულ სრულიად გაქაჩლებულ ამირანს, რომლის ი–ბერ–იული წარმოშობა არავისში არ იწვევდა ეჭვს, რადგან მის დასაოკებლად მამა-ზე(ვს)ციერს მთელი კავკასიონის დაგრეხა მოუხდა და მისი ცხვირის დასამალავად, თავზე დამხობა, ხოლო ზედ კი პრომეთეს მიჯაჭვვა.

– ო, რა დიდებული სურათია! პრომეთე მიჯაჭვული ამირანის ცხ-*ვ ი რ*-ზე და ზევსი, არწივივით მონავარდე ცის ლაჟვარდში, მკორტნავი მისი ღვიძლისა... – შთაგონებით წარმოსთქვა ბატონმა დივინდორმა და თავისი გაქათქათებული ქიმერა ჯიბეში ჩაისვა. ამის დანახვაზე ჩვენმა გაძვალტყავებულმა და დამშეულმა, ნაცემ-ნაგვემმა ქიმერებმა შურიანად გადახედეს ერთმანეთს და მწარედ ამოიოხრეს (მაგრამ ეს სულ სხვა თემაა და ახლა ავარიდოთ ამაზე საუბარს თავი... რადგან ქარმა, რომელიც ქიმერების ამ თავხედურმა თავზე წამოსკუპებამ გამოიწვია და პატიოსან საზოგადოებას თმები აუშალა, გრიგალივით გადაიქროლა უკვე მონპარნასის თავზე და ოქროსფერი შემოდგომის ფოთლებით მოფინა მოლივლივე ქვაფენილი).

– მე ვარ კაცი, რომელიც ხედავს ამ აჩრდილს. მე ვხედავ ხატს ამ ჩრდილისა საუკუნის ესთეტიკური თავგადასავლების მთლიანობაში და ვანგრევ იმას, რაც დასანგრევია, რომ გავუთავისუფლო ადგილი მომავალს... – ამ სიტყვებით შემოგვიერთდა იგი ჯერ კიდევ კაფე მონპარნასში და მას შემდეგ ერთგულად მოგვყვებოდა გვერდით, ვიდრე პიგალზე არ გადაბრუნდა სიცილით და არ დაგორდა ოქროსფერი შემოდგომის ფოთლებით მოფენილ ბულვარზე...

გასაოცარი შემოდგომა იცის პარიზმა. ზაფხულის განუწყვეტელი მზისფრქვევის შემდეგ დამძიმებულ და მტვრით დაფარულ ფოთოლთა მოჟამული სიმწვანე შემაშფოთებელ უძრავ ბადეს აფენს ქალაქის რუხ ქუჩებში. ამ დროს უკვე არც

ჭრელჭრულა ვიტრინები და ნეონის ფერადოვანი ნათურები შველიან და პარიზი, ერთიან რუხ ალმურში გახვეული, ემსგავსება სიბერესთან ფერუმარილით მებრძოლ გაკვირვებულ მეძავს, რომლის ალისფერი ტუჩები კიდევ უფრო უსვამენ ხაზს ჩამოძონძილი კანის უგრძნობელობას უგემოვნოდ დაყრილი ფერუმარილის ქვეშ. მისი ჩამქრალი და მავედრებელი თვალები აცეცდებიან გამვლელებს და მორცხვი ღიმილი არწმუნებს მათ ვნებათღელვის სიწრფელეში... მერე იწყება წვიმები... მტვერი თანდათან ირეცხება... ამოვარდნილი ქარი ჯერ აქა-იქ ააგლეჯს ფოთლებს ხეებს და გადაისვრის სენაში, რომელზედაც ჯერ კიდევ მიმოდიან გაჭედილი „ბატომუშები", – ტურისტული ბუზანკალები. წვიმა სულ უფრო და უფრო ხშირად მოდის... მერე უცებ სიცივის ამოსუნთქვაც აღწევს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, საიდანაც გოლფსტრიმით გამთბარი ჰაერი ყინულოვანი ოკეანის ცივ ქურქში ეხვევა და, ამიტომ, მოულოდნელ და თავზარდამცემ გრიგალად ატყდება თავს სანაპირო ზოლს, ხოლო იქ დაცლილი კი თავისი ცივი მოსასხამის კიდეს პარიზსაც გადააფრიალებს ანაზდად. დღე იკლებს... მზე ცხრება... რუხი ფერი იპყრობს ბინდბუნდში გახვეულ ქუჩებს და პატარა მოედნებს, რომლებზედაც ნავთსაყუდელში შემოსული გემებივით შემოცურებულან სახლები... არაფერი ისე არ განასხვავებს პარიზს სხვა ქალაქებიდან, როგორც მზის სხივებივით რადიალურად გაშლილი მოედნები და ეს გემებივით შემოცურებული სახლები. თვით პარიზის საწყის Cité-საც გემის ფორმა აქვს, პატარა Saint-Louis-საც. ასე რომ, ქალაქი უზარმაზარი ნავთსაყუდელივით არის გაშლილი და აქ უდგას ტახტი სილამაზის მსაჯულთუხუცესს – პარიზს, რომლის ტურისტული მტვრით დაფარული მოსასხამი ნელ-ნელა იჩხვლიტება წვიმის ქინძისთავებით. ჩნდება წარწერები – le Beaujolais Nouveau est arrivé – და ეს არის ნიშანი არაჩვეულებრივი და სასწაულებრივი ფერისცვალებისა: აქამდე აქა-იქ მოყავისფროდ გაყვითლებულ ფოთოლთა ცვენა, ქალაქის სირუხეს რომ ჭუჭყს მატებდა, ოქროსფერ რიდესავით აბჟღრიალდება ქალაქში და პარისი

შინაგანად განათებული წარმოდგება თვალწინ, როგორც მარადახალისებული მზეჭაბუკი. ფოთლები შინაგან იწყებენ ნათებას, თითქოს მათში ზაფხულის განმავლობაში დაგროვილმა მზის სხივებმა ერთად აიშვეს თავი და აცისკროვდნენ უკანასკნელი აცისკროვნებით... ეს სასწაულებრივი გარდასახვა შენს თვალწინ იმდენად მოულოდნელია, რომ არც კი სჯერა თვალს და ისევ და ისევ ევლება აფერადებულ სივრცეს. როგორც ზედაზნის მონასტრიდან გადმოშლილ დიდებულებას ძველი იბერიისა, რომლის ხევებში ჩაფენილი ოქროსფერი შემოდგომა რქასრული სიუხვით ავსებს დედამიწის ნაყოფიერ მკერდს. სირუხე იასამნისფრად იღებება აგურისფერ-მოზაფრანო ფოთლებს შორის გამოჩენილ ტყვიისფერ ხეთა ფონზე. შთაბეჭდილებას აძლიერებს ის, რომ მწვანე, რომელიც აგრერიგად ბატონობდა მთელი ზაფხულის განმავლობაში, გაიცრიცა და გაუჩინარდა, თითქოს მისი ადგილი აღარ იყო ამ ანთებულ ფერადოვნებაში მზითგამაძღარი ფოთლებისა. მაგრამ უეცრად, ფოთლების შინაგანი სინათლით ახალისებული კრთება აქა-იქ თავისი გაზაფხულისფერი შემოსილობით და ზურმუხტისებრ ანთებული ფუნჯის მძიმე მონასმებად ედება გარემოს... სადღაც მოჟღურტულე ბეღურების გადაფრენაში კრთება გვიანი შემოდგომის შინაგანი ფერადოვნებით გამთბარი პარიზის სიმშვიდე. ლუქსემბურგის ბაღიდან გამოსულმა, შენს თვალწინ ნელა ჩაიარა პონეს ატრაქციონმა და Champ de Mars -ისაკენ გადაუხვია. ალექსანდრე III-ის ხიდზე ახალშეღებილი უგემოვნებოდ ოქროსფერი ქანდაკებები პეტერბურგის სიმძიმით აწვებიან წყალთხელ სენას. „ყველაზე ლამაზი ხიდი პარიზში“... ნევის ნაპირებზე აშენებული ქალაქის მძიმე ოხვრა... რაფინირებულ ფრანგულ გემოვნებას მხოლოდ ეს ბრჭყვიალა ზიზილოებით გაწყობილი ხიდი თუ დააცხრობს... ერთი აღმოხდომა – merde! ისევე, როგორც რუსეთის მოშვებულ ყოფიერებას უროსავით მძიმე ლენინგრადი... პეტერბურგი... ოო! მაინ ლიბე ფერდინანდ! შალომ! შალომ! ჯერ, საჭიროა, თავისი ადგილი მიეცეს საგნებს, რათა მე შევძლო თქვენთვის ცოტათი მაინც მოყოლა, როგორი მშვენიერია

ლენინგრადი... იგი არ აუშენებიათ სტალინის „გეპეუსტებს"... მათ მისი მოვლაც კი არ შეუძლიათ... ეს კომუნისტების ძალას აღემატება... ყველა ქუჩა ჩანგრეულია, ყველა ფასადი ჩამოქცეულა ძონძებად... მტკივნეულია ეს... თავისებურად ეს ყველაზე უფრო ლამაზი ქალაქია დედამიწის ზურგზე... ვენის... სტოკჰოლმის... ამსტერდამის... აახენის... ნეაპოლის... სტამბოლის... ლონდონის... ერევნის... ნჯამენას... ადის-აბებას... ალჟირის... რიო დე ჟანეიროს... ვენეციის... რომის.... იერუსალიმის... ტფილისის... მიუნხენის... ქუთაისის... ბაქოს...ბათუმის... გესმოდეთ ჩემი. როგორ უნდა გამოხატო ზუსტად ადგილის სილამაზე... წარმოიდგინეთ ცოტათი... ელისეს მინდვრები... მაგრამ აგრეთვე, ოთხჯერ უფრო დიდი გაფითრებული წყლით სავსე ნევა... სენა... ტემზა... ელბა... მისისიპი... რონა... ამაზონი... ტიროსი... ევფრატი... ვოლგა... მტკვარი... რიონი... ცხენისწყალი... მაჭახელა... ვერა... ის კიდევ უფრო ივრცობა... სულ ქვევით ფართე ლივიდიისაკენ... ცისაკენ... ზღვისაკენ... კიდევ უფრო შორს ... l`estuaire tout au bout... უსასრულობისაკენ... ზღვა, რომელიც ამოდის ჩვენსკენ... დიაფანი... ფანტასტიური... დაძაბული... მკლავის ბოლომდე... სასახლის მთელ სიგრძეზე... მძიმე ოთხკუთხედები... გუმბათოვანი... მარმარილოთი წყობილი... უზომო მძიმე სამკაულები... au bord de l`eau blême... წყლის პირად... მარცხნივ... პატარა სულ შავი არხი... ვინ ჩაიხრჩობს თავს იქ... ყველა ნაწილში მოოქროვილი საადმირალოს კოლოსის პირდაპირ,... Quelle trompette! რა საყვირია! en plein mur...კედლის სისავსეში... Que voici de majesté!... Quel fantasque géant? Quel théatre pour cyclopes? რა თეატრია ციკლოპთათვის... ასი ჩუქურთმა ერთიერთმანეთზე ახოხოლიკებული, ყველა გრანდიოზული... vers la merde... Mais il se glisse, piaule, pirouette une brise traître... une brise de coulisse, grise, sourinoise, si triste le long du quai... une brise d`hiver en plein été... L'eau frise au rebord, se trouble, frissonne contre les pierres... En retrait, défendant le parc, la longue haute grille délicate... l`infinie dentelle forgée... უზარმაზარ ხეთა ხეივანი... წაბლი ბუსუსოვანი... formidables monstres bouffis de ramures... სიზმართა

ღრუბლები მოფენილი მიწას... s`effeuillant en rouille déjà... მე-სამე სევდა... Trop légères au vent... que les bouffées malmènent.. fripent... jonchent au courant... Plus loin, d`autres passerelles frêles "à soupirs", ღრიჭოებში უზარმაზარი სასახლე კატერინასი ლუქსორის სასახლე, მიტერანის სასახლე, ვერსალის სასახ-ლე, პავლეს სასახლე, puis implacable au ras de l`eau... d`une seule portée terrible... le garrot de la Neva... son bracelet de fonte énorme Ce pont tendu sur le pâle, entre ses deux charnières maudites: სუ-ლელი ალექსანდრეს სასახლე, კეთროვანი ვარდის კუბო.. ყველაფერი ბაროკოშია ჩასმული... პეტრესა და პავლეს საპყ-რობილე citadelle accroupie, écrasée sur ses murailles, clouée sur son île par l`atroce Basilique, nécropole des Tzars, massacrés tous. Cocarde toute en pierres de prison, figée, transpercée par le terrible poignard d`or, tout aigu, l`église, la flèche d`assassins paroissés. ა-ვეღარ გაუძლო ფერდინანდად მონათლულის ქიმერამ ამდენ გადახტომა-გადმოხტომას ენათა შორის, თავბრუ დაეხვა და ბაბილონის გოდოლიდან თავდაყირა გადმოეშვა თავისი მშობლიური და მორაკრაკე ფრანგულის ზვირთებში, თუმცა კი აღწერდა პეტერბურგის სევდიან ღამეს:

Le ciel du grand Nord, encore plus glauque, plus diaphane que l`immense fleuve, pas beaucoup... une teinte de plus, hagarde... Encore d`autres clochers... vingt longues perles d`or... pleurent du ciel... Et puis celui de la Marine, féroce, mastoc, fonce en plein firmament...à la perte de l`Avenue d`Octobre, d`Août, d`Avril, de Mai, de Juin, de Septemre, de Juillet... Kazan la cathédrale jette son ombre sur vingt rues... tout un quartier, toutes ailes déployée sur une nuée de colonnades... A l`opposé cette mosquée... monstre en torture... le "Saint Sang"... torsades... torsions... giroles... cabochons... en pustules... toutes couleurs... mille et mille. Crapaud fantastique crevé sur son canal, immobile, en bas, tout noir, mijote...

Encore vingt avenues... trente avenues... quarante avenues... cinquante avenues... soixante-dix-neuf avenues... d`autre percées, perspectives, vers toujours plus d`espaces... plus aériennes... La ville emportée s`étend vers les nuages... ne tient plus à la terre... Elles s`élance de partout... Avenues fabuleuses... Newsky! Mirsky!

Elisseisky! Brodveisky! Pigalsky! Trafalgersky!... Graves personnes!... de prodigieuses foulées... qui ne voyaient qu`immensité... Pierre... Empereur des steppes et de la merde!... Ville à la mesure du ciel!... Ciel de glace infini miroir... Maison à leur perte... Vieilles, géantes, ridées, percluses, croulantes. d`un géant passé... farci de rats... Et puis cette horde à ramper, discontinue, le long des rues... poissante aux trottoirs... rampe encore... glue le long des vitrines... faces de glaviots... l`énorme, visqueux, marmotteux, grouillement des misérables... au rebord des ordures... Un cauchemar traqué qui s`éparpille comme il peut... De toutes les crevasses il en suinte... l`énorme langue d`Asie lampante au long des égouts... englue tous les ruisseaux, les porches, les coopératives. C`est l`effrayante lavette éperdue de Tatiana Famine... Miss Russie... Géante... grande comme toutes les steppes, grande comme le sixième du monde... et qui agonise... C`est pas une erreur... Je voudrais vous faire comprendre, de plus près, ces choses encore... avec des mots moins fantastiques...

Imaginez un petit peu... quelque "Quartier" d`ampleur immense... bien dégueulasse... le tout bondé de réservistes... un formidable contingent... toute une armée de truands en abominable état... encore nippés en civil... en loques... tout accablés, guenilleux... efflanqués... qu`auraient passé dix ans dans le dur... sous les banquettes à bouffer détritus... avant de parvenir... qu`arriveraient à la fin de leur... tout éberlués... d`un autre monde... qu`attendraient qu`on les équipe... en bricolant des petites corvées... de ci... de la... Une immense déroute en suspens... Une catastrophe qui végète... La merde qui agonise... აყვავილებული ფუნა... – ფერდინანდად მონათლულმა დაამთავრა თუ არა თავისი ფრანგული შარადა, ერთი მაგრად შემოჰკრა სილა დივინდორს და თავდაყირა დაამხო მიწაზე. ეს ამბავი რომ სადმე მიუსაფარ სტეპებში მომხდარიყო, კიდევ დაიჯერებდა კაცი, მაგრამ გაავებული ფერდინანდას ასეთმა უეცარმა აბობოქრებამ და საბრალო დივინდორის უსუსურმა გადმოყირავებამ კაფე „მონპარნასის“ მოკირწყლულ იატაკზე გამაოგნებელი ეფექტი მოახდინა. მოძრაობა შედგა. შემოდგომის მკრთალი

სინათლე შეშინებულივით გაიცრიცა და გიორგის ალუჩისფერი ცხვირი და ბატონი ბოდლის ბდღვიალა თვალებიღა ანათებდა ფერდინანდად წოდებულის გაშმაგებულ და კრუნჩხვით დაღრღნილ სახეს.

ფერდინანდად მონათლულმა თვალი თვალში გაუყარა ბატონ ბოდლისა და ბატონ ფლობის და მრისხანედმზირალმა წარბებსქვემოდან „ჰეალეთეააიტიაესტიტესფილიას" წარმოსთქვა: ანუ განსიტყვით: „ხვალე, თეა, ა იტია ეს ტიტეს ფილი, ას", რაც გადმოთარგმნით ნიშნავდა, „ყველას თავისი წესი აქვს მეგობრული მისალმებისაო". რის შემდეგაც იგი მხიარულად მოუჯდა ჩვენს მაგიდას და ერთი მშვენივრად დააბოყინა, რამაც შემოდგომის სინათლეს ძალა შეჰმატა და ჩვენს საუბარს სრულიად ახალი მიმართულება მისცა.

ფერდინანდად მონათლული ჩვენი ახალი თანამესუფრე მეტად მხიარული ხასიათის აღმოჩნდა და როგორც კი დივინდორი ამოფორთხდა მაგიდის ქვეშიდან ულვაშებზე დაკიდებული ზარუნაკების წკარუნით, კვლავ ერთი ისეთი დააბოყინა, რომ დივინდორის ულვაშები თვალებამდი აიპრიხა, ბატონ ფლობის ფართოფარფლებიანი ქუდი ჰაერში აფრიალდა და სამუდამოდ გადაიკარგებოდა თავმოგლეჯით, ბატონ ბოდლის ქიმერას რომ არ ესწრაფა და არ ჩაევლო მისთვის თავისი კბილებდაცვენილი და დორბლმდინარი პირი, პარისის მინარეთზე გასული მუძინი კინაღამ გადმოვარდა, სინაგოგის ზარებმა გუგუნი დაიწყეს, რუსული ეკლესიის სამრეკლო შექანდა, ხოლო თავად ფერდინანდად მონათლულმა კი ისეთი ხარხარი ატეხა, რომ ლუვრის პირამიდის შუშებმა ზანზარი დაიწყეს და უეცრად ზრიალით ჩაიქცნენ მეფეთა სარდაფებში, საიდანაც აღშფოთებულ ხელოვნების მოყვარულთა შეძრწუნებული მასები გამორბოდნენ თავიანთი გიდების წინამძღოლობით, რომელთაც ხელშიჭერილ პატარა დაფებზე გარკვევით ეწერათ: იაპონელები 7563... რუსები 67... გერმანელები 507... ხოლო მათ შემხვედრად კი უკვე მიჰქროდნენ მეხანძრეთა მანქანები და თავისი უადგილობით საქვეყნოდ ცნობილი წყვილი WB და FM-ი, პრეზიდენტი მიტერანსკი; როკარდოვი-

ჩი; ჟოქსოვიანი და მათ უკან შირაქის ველზე შლეიფივით გაშლილი მინისტრებით, რათა თავიდან აეცილებინათ სოციალური კატასტროფა და გადაერჩინათ ცივილიზაციის უნივერსალური პრინციპების შექმნის მისიით მოვლენილი პელაზგელი ტურისტები და მათთან ერთად კავკასიონის შირაქზე ჯვარსაკრული მწყემსებიც, ხოლო ამ დროს კი ოპოზიციამ დრო იხელთა და მთელი ძალით შეუტია მარცხიან მშენებლებს, რომელთა პასუხი იყო ფერდინანდად მონათლული ჩვენი მხიარული მეგობრის ნაწერების აკრძალვა და მისთვის არათუ ხარხარის, არამედ საერთოდ ლაპარაკის აღკვეთაც, რამაც ისე გაამხიარულა, თავისი მხრით, დივინდორი, რომ, აღტაცებულმა, ერთი მაგრად შემოკრა ტაში და ლეკური დაუარა ისეთის გახურვით, რომ თანდათან ულვაშა ორთქლად გაინთქა ჰაერში და მხოლოდ მას შემდეგ მოიკრიბა სხეული, როდესაც ფერდინანდად მონათლულმა ზემოგურულად დასჭექა: „შენს ულვაშებს ვიჭირიმე, ყველა დედას ნაშობარო!“ ამან დივინდორი დააცხრო ცოტა და, როდესაც ორთქლი შედედდა საკმაოდ და მისმა სხეულმა თავისი ჩვეული ფორმა მიიღო, აცრემლებულმა მორცხვად დახარა თავი ფერდინანდად მონათლულის წინაშე და ჩუმად სთქვა: შალომ, ფერდი, შევრიგდეთ?!.

ფერდინანდად მონათლულმა ველარ გაუძლო მის კეთილ და მორცხვ მზერას და თვითონაც დახარა თვალები:

„შალომ, დივინ, შევრიგდეთ?!“ – რამაც ისეთი ოქროსფერი ალმურით ააცისკროვნა დივინდორის არსება, რომ გეგონებოდა, რაც ქვეყანაზე ოქრო იყო, იმაში განბანესო, ხოლო ყველას გასაგონად კი სთქვა:

– მე სტალინისადმი ერთგვარი მიბმა მაქვს, რომლის ახსნასაც მაძლევს პარანოია – კრიტიკული მეთოდი. რატომ სტალინი? იმიტომ, რომ სტალინი ამავე დროს ოქროა. მაგრამ სტალინი ამასთანავე ჩემთვის განასახიერებს მჭედელსაც. ადამიანი, რომელიც თანამედროვე ძალმომრეობაში ახორციელებს საკრალური მეტალურგიის სამუშაოს... ხოლო მეტა-

ლურგია და ოქრო ხომ ქართველებმა მისცეს კაცობრიობას, პრომეთეს კავკასიონზე მიჯაჭვის შემდეგ...

– მანამდე! – გაისმა გენეტიკური პატრიოტის ზვიადი ხმა კავკასიონიდან, მაგრამ აქ მოულოდნელად დივინდორის ჯიბიდან თავი გამოყო ულვაშებიანმა ქიმერამ და თავისი გაპრანჭული სახითა და ოქროს ზანზალაკებით მორთულმა კეკლუცად წარმოსთქვა: „რატომ სცრუობ? შენ ხომ ლენინი გიყვარს?" ულვაშების დანახვაზე ჩვენი ძლივს დაწყნარებული ქიმერები კინაღამ ჭკუაზე შეიშალნენ და ისეთი სიმწრით ჩაიკვნიტეს ტუჩები, რომ იძულებულნი შევიქენით, მოვფერებოდით მათ და ჩაგვეცხრო მათში მოწოლილი შურის ვნებათაღელვა. ამასობაში დივინდორი აუღელვებლად, ვითომც ტყუილში არ გამოეჭიროთ, განაგრძობდა ბუტბუტით – რადგან არ გესმით ქართულად, ფრანგულად გეტყვით:

Le personnage de Lénine, choisi par les acteurs souterrains de la Révolution, s`éclaire d`étrangers lueurs. Lénine avait pour l`or une passion immodérée. Cette passion était syphilitique et l`on sait que Paracelse, déjà, avait décelé les rapports du tréponème et des sels d`or. Nous ne savons pas si Ignace de Loyola était atteint du même mal, mais Lénine, lui, a réellement tenu ce propos extraordinaire: "Camarades, le jour où nous détiendrons le pouvoir, nous construirons des pissotiéres en or". ანუ, ქართულადვე: „ამხანაგებო, იმ დღეს, როდესაც ჩვენ მოვიპოვებთ ძალაუფლებას, ჩვენ ავაშენებთ ოქროს საფსმელებს".

დივინდორის ამ პატარა ლექციამ ძალაუფლების მოყვარული ამხანაგების მიერ ძალაუფლების ოქროს სასაქმებლებთან დაკავშირების შესახებ, სრულიად ახლებურად გაანათა კაცობრიობის წარსული, აწმყო და მომავალი და ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია ირგვლივ შემოკრებილი ტურისტებისა, ჟურნალისტებისა, სოციალისტებისა, ზვიდარასტებისა, შოვინისტებისა, ლიბერალებისა, ნაციონალისტებისა, ფაშისტებისა, ნაცისტებისა და კომუნისტებისა, რომ წინმდგომებმა ტაში დასცხეს, ხოლო უკანმდგარნი კი კითხულობდნენ: „რას ააშენებს, საფსამებს თუ სასკორეებს? რისი იქნება? ოქრო-

სი?!... ეროვნული იქნება, თუ კოსმოპოლიტური? ტალონებს დაარიგებენ, თუ უფასო იქნება?..." და სხვა... და როგორც ხდება ხოლმე მასათა შემოკრებისას, ისეთი ჭეჭყვა ატყდა და მოწოლა, რომ გეგონებოდა, ყველა გატრანიანდა, ხოლო ჩვენ კი ხელში ოქროს უნიტაშტები გვეჭირა... ტრაფალგერის მოედანთან უკვე აღარაფერი ისმოდა და არც ვინმესგან შეიძლებოდა ამბის გაგება, რადგან კუჭაშლილი ხალხის მასების ფანტაზიამ შემოქმედებითი ტალღა წარმოშვა და ლექსებად ინყო გადათქმა. საიდან არ იყო, მასების ამ რევოლუციური შემართებით აღნთებული ნოე კასტროვი ის-ის იყო აპირებდა ტრაფალგერის შადრევნით თავის გაგრილებას, რომ უკნიდან ვიღაც წამოეწია და მხარზე ხელი დაჰკრა: "Кастров! дружок! Кастров, дружок! подождите минуточку..." თავგაუგრილებლად დარჩენილი ნოე კასტროვი შეჩერდა და მოიხედა... მის მხარზე სიყვარულით თავჩამოდებულ ლევინ ისკროვის მახლობელ თვალებს დაუახლოვდა. ამხანაგებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ისკროვი წყალს მოერიდა, მკლავში ხელი მოჰკიდა კასტროვს და ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანა ჩურჩულით: – Да не вмешивайтесь вы, грузины в наши русские дела; вы не знаете нашего народа, его психологии, его быта... так зачем же мешаете нам решить наши дела по нашему, по русски. Получите вашу автономию и делайте в Грузии, что хотите и как хотите. Мы не будем вмешиваться в ваши дела, да и вы не вмешивайтесь... Мы золотые писсуары будем строить, так что, стройте и вы, ну, не золотые, так серебрянные, мы вам мешать не будем... უკანასკნელ სიტყვებზე ისკროვი აალდა. აალდა კასტროვიც... გამომცდელად ჩააკვირდა ისკროვს და ჩურჩულით წარმოსთქვა სხაპასხუპით – Я не могу вам дать ответ на это сейчас. Спрошу у товарищей, как-раз сегодня вечером у нас, грузинских социал-демократов, сходка, там и решим... Ваши серебрянные Писсуары или наши мердуары... Золотые...то есть...

– Вот и прекрасно, поставьте этот вопрос, если желаете, и меня можете пригласить, но запомните мое предложение: вы, грузины, не вмешиваетесь в наши партийные дела, мы не

вмешиваемся в ваши. Вы ведь видите, куда направлен русский: большинство делегатов большевики, мы знаем друг друга, народ настроен революционно, меньшевики оппортунисты, грузинские социал-демократы, революционеры, как мы...

ვერ მოასწრო ნოე კასტროვმა აბრიალება, რომ გაისმა ფერდინანდად მონათლულის მყივანა ხმა:

– მტრედისფერ ფრთათა ელვარება გაჰკვეთს ცის ლაჟვარდს და დამასვენებს ისრაელის მე კარიბჭესთან...

ბატონი ფლობი მრისხანედ მიუბრუნდა ბატონ ფლობის, სარკიდან რომ შემოსცქეროდა და თვალებში ჩახედა. ერთხანს ათვალიერა და ცოტა დამშვიდდა. ბატონი ბოდლიც მისკენ გადმოჩოჩდა და მანაც ჩახედა თვალებში – სევდა და გამოუცნობი ნაღველი მშვიდი ნათებით ეფინებოდა სარკისიქითა სივრცეს, რომელშიც ვერ აღწევდა ვერც ხალხის ხმაური, ვერც მასების ჭეჭყვა, ვერც ჟურნალისტების გულისგამაწვრილებელი შეკითხვები და ვერც დივინდორისა და ფერდინანდად მონათლულის შეხმატკბილებული საუბარი. არც ალისა დაქროდა თავის შეშლილ კურდღელზე ამხედრებული და არც უჩინმაჩინი კატის გაღიმებული სახე ჩნდებოდა უჩუმარი „მიაუ"-თი. იქით სიმშვიდე იყო და შემოდგომის ხმელ ფოთლებს აშრიალებდა საღამოს ნიავი. მეზობელ ტოტებზე ისხდნენ თავარგული და სიცივისაგან მოდუდღუნე მტრედები და სადღაც, წიწამურის გადასახვევთან მდგარ ჭადრის ხის კენწეროს წყდებოდა მარტოდ შთენილი ფოთოლი სიზმრებულის სიზმარში...

ხოლო თვალის უპეში გადახსნილი უდაბნოს თვალუწვდენელ სივრცეში ღამე ჩამოწვა და წყვდიადის გაშეშებული იდუმალების თავზედ ვარსკვლავებით მოკირწყლულმა ზეცამ იწყო კრთომა. და თუმც ზეციური ზარების შორეული ხმობა ვერ არღვევს უდაბნოს მდუმარებასა და გაშეშებას, შენი თვალი, რომელიც ნელა მოცურავს ციური ბრწყინვალებიდან ღამეულ მდუმარებაში, წამით შეყოვნდება... შემომდგარ წყვდიადში აჩრდილივით გამოიხატა უდაბნოს მონასტერი და მის სიღრმეში ოდნავ მბჟუტავი წერტილი სინათლისა. ესაა და ეს.

წყვდიადში მხოლოდ ეს წერტილი ესიტყვება ზეციურ ბრწყინვალებას. წყვდიადის შესატყვისი სიჩუმეა ირგვლივ. და გაშეშება... მოხუცმა უპეები გახსნა და მზერა სანთელს მიაპყრო. თვალის უპეთა ამ მოძრაობამ უეცრად გამოიყვანა გაშეშებიდან მდუმარე გარემო. ხმა გაჩნდა... ჯერ ერთი ჭრიჭინობელა, მერე მეორე... ყური იწყებს გარჩევას ღამეული ხმებისას და რაც უფრო უახლოვდება სანთელს მისი მზერა, მით უფრო ივსება სამყარო ღამეული ხმებით და იმავდროულად სინათლეც ეპარება წყვდიადს. ღამე ფითრდება და მასთან ერთად იცრიცება სანთელიც... ხმაური მატულობს. დავით გარეჯის მონასტრის ნანგრევებში თვალი არჩევს ფრესკათა მწუხარე დუმილს. ახლა სულმთლად ინათა და უპეებახსნილი, მშვიდი, უძრავი მზერა შეეხმიანა კედლის სიბრტყიდან მშვიდად გამომზირალ ფერფლად შერჩენილ სულს... მოულოდნელი გრუხუნი შეაზანზარებს იქაურობას და წამით შეირხევიან კედელს შეფერფლილი სამყაროს მკვიდრნი... დაფრთხნენ ირმები... გავარდა ანკარა წყაროს მოწყურებული დაჭრილი ირმების გუნდი... და მოწყდა ცრემლი ფრესკის კიდეს, უსინათლო სანთელს დაეცა და ჩააქრო იგი... მოხუცმა უპეები დახურა. უეცრად ჩამობნელდა და ჩაჩუმდა ყოველივე. ფრესკაზე გამოხატული კლდის ქიმს მოსწყდა უზარმაზარი არწივი და ფრთების მძიმე შრიალით გაუჩინარდა... შეეჩრდილა სიბნელეს...

„რაც გინდათ, ის სწერეთ მაგ თქვენს გაზეთში-მეთქი, ვუთხარი, ოლონდ მეფეს და მის ოჯახს ნუ შეეხებით-თქო, მაგრამ, აბა, რევოლუციით აღტყინებულ ტვინს რამეს შეასმენ?..

– კარგი... კარგი... დაწყნარდი, ახლა მაგათი დრო მოვიდა... ყმაწვილები არიან, დაღვიანდებიან... – აწყნარებდა ქალი.

– ვერ ვეგუები, რომ ნგრევის და სიძულვილის ქადაგებამ ესოდენი ძალა შეიძინა და მოედო ქვეყნიერებას. სიბნელის თავისუფლება თავნებობაა, იგივ მონობაა და, ვგონებ, უფრო მძიმეც... დღევანდელ აშენებულს ანგრევენ და მომავალს ვა-

შენებთო, იძახიან... რა გინდა, რომ ჰქმნა ამ უღმერთოებთან... რაც გაქვს, იმასაც დაჰკარგავ... ასეა დღეს...

როდესაც მას ესროლეს, იგი ჯერ კიდევ განაგრძობდა ლაპარაკს, თითქოს ტყვია, რომელიც უკვე დაიძრა თავისი ბუდიდან და ლულის ხვეულ ღარებს გაყოლილი მიაპობდა მისივე სისწრაფით გავარვარებულ ჰაერს, მის ხორცს კი არ შეეხო, მკერდის ძვალი შეანგრია და ნეკნში გაეჩხირა, არამედ უსასრულო შეყოვნებათა ჯაჭვად გაბმულ სივრცეში გაშეშდა და ველარაფრით ვერ გადაელახა მოწყვეტით შემდგარი დროის სისქე. „ვერ მისწვდება აქილევსი კუს?" – გაიფიქრა მან მაშინ, როდესაც მისი ტუჩები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ სიტყვების წარმოთქმას... და სიბნელიდან გადმოფრენილი არწივი გადაეფარა მზეს...

– სიბნელე, სიბნელე მეფდება...

სწორედ ამ დროს სრულიად სხვა არწივმა გააავებით ჩასცხო ნისკარტი მოხუცის მოფართხალე გულს ზუსტად მაშინ, როდესაც ეტლი კიდეც მიადგა ურმით გადახერგილ ადგილს...

„დაეწია აქი..."

ცხენები შედგნენ.

მიტოვებულ ურემში შებმულმა ხარებმა ხრიალი დაიწყეს...

– Vous dormez bien ici, Monsieur! – მოხუცმა უპეები გახსნა და გაიცინა... თბილოდა. – Encore un café?! – S`il vous plais!.. ისევ შეუკვეთა ყავა...

... ფოთოლი ჯერ კიდევ არ მოწყვეტილიყო და შეუპოვრად იცავდა თავს ქარის შემოტევისაგან. წლიდან წლამდე ამოდიოდა იგი აქ, მძლავრად ტოტებგაშლილი ხის კენწეროზე და იწყებდა თავის თავგადასავლით აღსავსე ცხოვრებას. მისი ცხოვრება, რომელიც ასე წააგავდა ხის ტოტებზე გადაფრენილ ჩიტთა ცხოვრებას იმით, რომ ისიც წყდებოდა ადგილიდან და მიფრინავდა გამოსაზამთრებლად უცხო მხარეში, სადაც მუდმივი სითბო და გაზაფხულის მზეა, ჩრდილივით უჩინარდებოდა მარადიული ყოფიერების ათინათებში და ისევ ჩნდებოდა აკვირტებული ტოტების საგაზაფხულო ამოსუნთქვასთან ერთად შემოფრენილი ჩრდილთა სამყაროდან. მისი

ფრენა არ ჰგავდა მხოლოდ ფრინველთა გუნდების გადაფრენას. იგი მარტო იყო და სივრცესაც ისეთის გამორჩეული განსაკუთრებულობით არღვევდა, როგორც ბუხრისპირას მიმჯდარი ბებია არღვევს ხოლმე შეცდომით ამოქსოვილ წინდას. მაგრამ ახლა მთელი არსებით უძალიანდებოდა ავბედით ქარს, რადგან ჯერ კიდევ არ დამდგარიყო მისი მოწყვეტისა და ანავარდების დრო და ყუნწი მაგრად ეჭირა ტოტს, რომლის ქვეშ, სენის ქარიან სანაპიროზე, კლოშარებს მოეყარათ თავი და ესაუბრებოდნენ უცხოელ ტურისტებს:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სენის მათხოვრების კავშირის სხდომაზე...

თქვენ, ალბათ, ნორვეგიიდან ჩამოსული ტურისტები ხართ, ან... ესპანელი მომღერლები, გაინტერესებთ პარიზი და ჩვენი ცხოვრება. მე გახლავართ გასტონ დელაროშ, კეთილშობილი მათხოვარი, მცხოვრები სენის ნაპირას, დეპუტატ ჟორესის მეგობარი და მისი ამომრჩეველი.

დიახ, ბატონებო, გამათხოვრებას დიდი დრო არ სჭირდება დღევანდელ პირობებში; ცხოვრების ტალღას, როგორც პოეტი იტყოდა, „ყოფიერების ნამსხვრევებით თამაში უყვარს და განთიადზე გვეღვიძება ჯიბეცარიელთ", მაგრამ, ბატონებო, ისმინეთ, რას გეტყვით კეთილშობილი მათხოვარი გასტონ დელაროშ – სავსე ჯიბე არც სავსე გულს ნიშნავს და არც კეთილშობილ ბუნებას, ღირსებას ასიათასჯერ მეტი ფასი აქვს ცარიელ ჯიბესთან შედარებით. და როგორც ხვდებით, ჩვენ აქ ფულს არ გთხოვთ: ხედავთ მთვარეს, როგორ წასწვეტებია რქები? ეს კი ნიშნავს, რომ გათენებისას აქ, როგორც ყოველთვის, ძალიან ეციება. გთხოვთ, გაიაროთ აქედან კაფე „პასკალში" – თქვენ, რა თქმა უნდა, გსმენიათ პასკალის სახელი, და დაუკვეთოთ ჩემთვის ორი ჭიქა პუნში, ხვალ დილით მივალ და თქვენს სადღეგრძელოს შევსვამ... ამით ღირსეულ პატივს მივაგებთ ურთიერთს...

– მაგ ყბედობას ერთი ნაღდი სენდვიჩი გეთხოვა, სუნით მაინც გავიძღებდით კუჭს...

– შე მართლა მათხოვარო, ვერა ხედავ, დიდებულ პოეტებს რომ ვესაუბრები? ეგენი რომ სენდვიჩებს ჰქმნიან, შენი კუჭის საძღომად არ გამოდგება!

– ცივა და ხალხი აღარ გამოდის ქუჩაში... – თქვა მან თავისი ამხანაგის გასასამართლებლად...

– ერთი სენდვიჩი მომიტანეთ და ცხელი ღვინო, – თქვა მოხუცმა.

...მან კი მრავალმნიშვნელოვნად და თან დამცინავად უპასუხა:

„როს მთვარემ რქებით გადისროლა მანტია დღისა
მხოლოდ პოეტნი მიჰყვებიან სენის ნაპირებს
და საუბრობენ მათხოვრებთან...“

მერე ბატონ ბოდლის შეხედა საოცრად დამთბარმა და წარმოსთქვა: თოკი დაწნული ყვირილიდან... ზარების გუგუნი ევროპის გასწვრივ... ჩამომხრჩვალი საუკუნენი... ღარები, რომლებიც ჰკვანძავენ ერებს... ჩვენ ვართ მხოლოდ ორი თუ სამი კაცი... თავისუფალი ყოველგვარი კავშირიდან... ჩავკიდოთ ურთიერთს ხელი... თავსხმა წვიმა, რომელიც ასველებს ბოლს... ბაწარი... ბაწარი დაწნული... წყალქვეშა კაბელი... ბაბილონის გოდოლი გარდაქმნილი ხიდად... ობობა-მეხიდური... ყველა შეყვარებულთ მხოლოდ ერთი კავშირი აერთებს... სხვა კავშირები ვეღარ უძლებენ... თეთრი სხივები სინათლისა... თოკები და შეთანხმებები... მე ვწერ მხოლოდ თქვენს აღსაგზნებად... ჰოი, გრძნობებო! ძვირფასო გრძნობებო... მეხსიერების მტრებო... სურვილთა მტრებო... გულდაწყვეტის მტრებო... ცრემლთა მტრებო... მტრებო ყოველივესი, რაც ჯერ კიდევ მიყვარს... – მეხსიერების გადახსნილ ნაჭდევში ხედავდა ის, როგორ კოცნიდა ტუჩებში აპოლინერი თბილისელ ბრიალა ჯელიკას ქართველი პოეტის, პაოლო იაშვილის თანდასწრებით, – დღეს დილით პაბლო პიკასო ომში წავიდა, – რა უნდა პიკასოს ომში! ომი ჯარისკაცების საქმეა და არა მხატვრების! – იყვირა მთვრალმა პაოლომ და ხაშის ქვაბში თავისი კეპი ჩააგდო. წამიერად შედგა, გაქვავდა დრო. დაცხრა სიცხე. და მთელი სიზმარი უეცრად სხვა ტონალობაში გა-

დავიდა... ყვითლად შეიღება სენის მღვრიე წყალი... მოხუცს თვალის გახელა უნდოდა, მაგრამ ამ დროს ერთი ხანშიშესული კლოშარი წამოდგა სიტყვის სათქმელად: – მოქალაქენო, მსოფლიოს მოქალაქენო, ეს უბრალო საღამო არ გახლავთ, ეს არ არის მშიერთათვის სამოწყალო ვახშამი, ღვთისნიერი გულით გახსნილი კარი დამაზვრალის გასათბობად... დღეს აქ უდიდესი აქტი ისტორიისა აღსრულდა. თავისუფალ ადამიანთა ორი პოლუსი შეხვდა ერთმანეთს და ეს არის დღესასწაული ამ შეხვედრის აღსანიშნავი. დაიმახსოვრეთ ეს დღე, მოქალაქენო. ჩვენ ყველანი, – მოავლებს ხელს თავის ამხანაგებს, – ჩვენ ყველანი პირობების მონები გავხდით და ამ პირობებმა და ამ მონობამ დაგვამხო ჩვენ, ხოლო თუ პირობები გამხობს და მონად გაქცევს, პიროვნება აღარა ხარ უკვე... ეს დაგვემართა ჩვენ... ჩვენ დავკარგეთ, დავივიწყეთ, უგულებელვყავით, წავბილწეთ ქრისტიანობის ყველაზე დიდი მონაპოვარი, ყველაზე დიდი ცნება – პიროვნების პირობებზე ამაღლება, მოქალაქენო... და ახლა ეს ომი... ომი აღნიშნავს დასასრულს არათუ ისტორიის მონაკვეთისა, არამედ მთელი ეპოქისა. მე არა ვარ წინასწარმეტყველი და არ ვიცი, ეს ომი როდის დამთავრდება და ვისი გამარჯვებით. მაგრამ ერთ რამეს კი ვხედავ: ომის შემდეგ ქვეყნიერება სრულიად სხვა იქნება, იმდენად სხვა, რომ მოგვენატრება სენის ნაპირებზე ულუკმაპუროდ ხეტიალი და ერთმანეთისათვის თვალებში ჩახედვა... – მოხუცს ზლუქუნი აუტყდა მოულოდნელად და სიტყვა ვეღარ დაამთავრა... ომში უკვე ვეღარ არჩევ სახეებს... ჯარი – ჯარს... ჯარი ქარს, ჯერი ჯერს, ჯერი ჯარს, ქარი ქარს, ჭირი ჭირს, ჭირი სხვას... თვითმფრინავებიდან ადამიანებიც ცხვრის ფარას წააგავენ... ოლონდაც... ოლონდაც... ეს უკვე აღარაა ის ომი, მოპირდაპირეს თვალებში რომ ჩახედავდი... ახლა „ვილაცა“ „ვილაცას“ ესვრის... არისტოკრატებმა გზა დაუთმეს მასებს და თალხშემოსილებმა დაიტირეს უკანასკნელი გმირები... ეს ომი კი არა, გრანდების წვეულებაა... *შენი ჭირი მე*... დახედე ამ ქალს... – მოხუცმა თვალი გააპარა გაზეთის გაყვითლებული ფურცლებისაკენ... შავებში ჩაცმული

მგლოვიარე ხანდაზმული ქალი აღებს კარებს. ფოსტალიონი მას წერილს გადასცემს. ქალი შედის ოთახში, ხსნის წერილს და კითხულობს: „ქალბატონო, ჩემმა შვილმა, არტილერიის ლეიტენანტმა, რომელიც იბრძოდა თქვენი ქმრის წინააღმდეგ, მთხოვა მე, თქვენთვის შემეტყობინებინა და დამერწმუნებინეთ, რომ თქვენი მეუღლე დაასაფლავეს დიდის პატივისცემით და მის მოწინააღმდეგეთ მოურთეს საფლავი. ვჩქარობ, შევუერთო ჩემი ღრმა თქვენდამი თანაგრძნობა ჩემი შვილისას. ჩემი შვილი მთხოვს შეგატყობინოთ, რომ თქვენი მეუღლის გულზე ნახეს ოქროს მედალიონი სამი პატარა გულით. იგი თქვენს განკარგულებაშია. ბ-ნი დრიანი დაასაფლავეს ეთიენ რენუარის, იმავე 57-59 ფეხოსანი ბატალიონის კომანდირის, საფლავთან ახლოს, კორის ტყის ნაპირს, ბომონის და ფლაბას შუა. ამ საფლავს ექნება კვლავაც კარგი მოვლა, ასე რომ, ზავის დროს თქვენ მას ადვილად იპოვით. მიიღეთ, ქალბატონო, ჩემი უღრმესი პატივისცემა. ბარონესსა შროტტერი."

ახლა უკვე ტახტიდან გადმომზირალმა მოხუცმა არ დაანება სიზმრიდან გამოსვლა და აიძულა, გაყვითლებული გაზეთების ფურცვლა განეგრძო, რადგან კეთილშობილების სევდა და სითბო, რომლებიც ამ ფურცლებიდან იღვრებოდა, სიამოვნების ჟრუანტელს ჰგვრიდა და სულს უმხიარულებდა სევდამორევით... „ბატონო მარკრიხის მღვდელო! ჩემმა ოჯახმა შეიტყო შვეიცარიის წითელი ჯვრის საშუალებით, რომ მამაჩემი პოლკოვნიკ-ლეიტენანტი ფევრი, ორასოცდამეათე პოლკის კომანდირი, გარდაიცვალა სენტ-მარშიში 22 აგვისტოს, 1914 წელს. ძალიან დამავალებდით, თუ ამ გვირგვინს დადებდით მის საფლავზე. დავრჩები დიდის პატივისცემით, დ. ფევრი, მფრინავი-ლეიტენანტი" „ვოჟ, ივლისი, 1916 წელი. მაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ გვირგვინი, რომელიც თქვენ ჩამოაგდეთ ჰაეროპლანიდან, ჩვენ ვიპოვეთ და თქვენი სურვილისამებრ დავდევით თქვენი მამის საფლავზე. უმაღლესი ბრძანებით, ეს აქტი შეასრულა ერთმა ოფიცერმა.

უეჭველია, თქვენთვის სასურველი იქნებოდა იცოდეთ, რომ ბატონმა მამათქვენმა, როგორც ამას გადმოგვცემს თავისი თვალით მნახავი მოწმე, სამი ტყვიით დაჭრილმა, ჰპოვა სწრაფი სიკვდილი და იქმნა იქვე დასაფლავებული გერმანელი ჯარისკაცების მიერ. მის საფლავს კარგად უვლიან და ინახავენ ისეთის პატივისცემით, როგორც ეს შეეფერება ვაჟკაცს მებრძოლს". – „რა უნდა პიკასოს ომში!" უკანასკნელი ამოსუნთქვა ნგრევათა ეპოქის დადგომის წინ... მსოფლიო ნგრევათა... მოხუცმა გაზეთის ყვითელ ფურცელს ხელი გადაუსვა. გაზეთი თბილი იყო და ხმელი ფოთოლივით შრიალა... მოგვენატრება მტკვრის ნაპირას ულუკმაპუროდ ხეტიალი და ერთმანეთისათვის თვალებში ჩახედვა... მოხუცმა ახლა სკამი შეაბრუნა და მეორე გვერდი მიუფიცხა შემოდგომის მცხრალ მზეს, რომლის სითბო ნაზად ესალბუნებოდა ლოყაზე. ხოლო სადღაც შორს, კავკასიონის ფერდებზე იცრიცება ახლა ღამე. ცის კაბადონზე რიჟრაჟის ფერმკრთალმა ზოლმა გადაკვეთა მთის წვერებს მძიმედ დამხობილი შაბიამანდასხურებული ქლიავისფერი ჰორიზონტი. ცარიელი ქუჩები... სიჩუმე... და უცებ ფეხის ხმა... გალაკტიონი მოდის ქალაქში... ამას იმითაც გრძნობდა, რომ რხევას იწყებდა ჩადუმებულ-უძრავი ქალაქი და ქარი ახვეტდა დაცვენილ ფოთოლთა გროვას... ჯადოსნური წამი პოეტის გამოსვლისა... რომელი საათია? ბატონო ბოდლი, რომელი საათია? რომელი საათია?... გაფითრებული ეკითხებოდა მოხუცი ბატონ ბოდლის, რომელსაც თავადაც სიზმრისთვის მიეცა თავი და თვალის გახელა არ უნდოდა... გადირეკს ნოემბრის ზარები? მოხუცს ცრემლი მოადგა თვალებზე და ღვინოს დაენაფა... ოცდამეხუთეჯერ დარეკა დიდი სადგურის საათმა და მან დაინახა, როგორ იხსნებოდა ტაძრის მოჭედილი კარები და სანთლების ლიცლიცში აფერადდა ჯვრისწერა ღვთაებრივად ლამაზი, მაგრამ საოცრად ნაღვლიანი მზერით... სიჩუმეა... მოხუცს სახე დაეძაბა... სიჩუმეში მიმდინარე ჯვრისწერა სევდით უვსებდა გულს და მხოლოდ მაშინ მოეშვა ოდნავ, როდესაც გალაკტიონი შემობრუნდა და თქვა: „ჩვენ ვხვდებით ისევ..."... აქ იყო

უკვე... ახლა გარკვევით ესმოდა წვიმის ხმა... სწრაფი ნაბიჯების გამოძახილი უკუნეთ ღამეში... მერე ნაბიჯები წყდებოდა... ხოლო კედელზე მიკრული კაცი ქვითინით ჩაემხო კედელთან... რად უნდა გალაკტიონს პალტო!? ისევ იგივე მშვიდი დილა... სადღაც ჩიტმაც კი წამოიჭიკჭიკა... ქანაობს პოეტურ ხილვებსა და სიცხადეს შორის... ბარბაცით ქუჩაში მოლასლასე გალაკტიონი... ქარი ხან წამოუბერავს, ხან ჩადგება – და უეცრად შედგა: შედგა ეკლესიის კართან. შეიხედა. და შევიდა... ბნელ სივრცეში თვალი ნელ-ნელა ეჩვევა და არჩევს საგნებს. კუთხეში, სანთლის მოფარფატე სინათლეზე დამხობილი მლოცველის სილუეტი... გალაკტიონი უხმაუროდ მიუახლოვდა და იქვე ბოძს მიეყრდნო.. მლოცველს ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ მეძავი იყო... ჭილოფში გამოცნობილი... მისი ლოცვის ხმა არ ისმოდა, მაგრამ ეტყობოდა, მთელის არსებით ლოცულობდა, ზოგჯერ კიდეც წამოიტირებდა... შენ თვალს არ აშორებდი ამ გულმხურვალედ მლოცველ მეძავს... ვინ ესვრის მას ქვას? უეცრად ქარი შემოვარდა ეკლესიაში... ჩააქრო სანთელი, სიბნელეში ჩაიძირა ყოველივე და ამ სიბნელეში დაიხარე და მორიდებით შეეხე გულწასული მეძავის მიმქრალ მკერდს... დედაო ღვთისაო, მზეო მარიამ, როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია, და შორეული ცის სილაჟვარდე... ცის სილაში დავარდნილი ვარდი...

მოხუცს შეამცივნა. მზე შეუმჩნევლად ჩაპარულიყო მონპარნასის თავზე წამოყუდებული შავად მოლაპლაპე საფრთხობელის უკან და აღარაფერი ანელებდა ქარის სუსხიან ქროლვას. ათოვდა სასახლის ბაღებს... ათოვდა პეტერბურგის ქუჩებს... ქარი ქრის... ქარი ქრის... წვიმა წვიმს... თოვლი თოვს და ათოვს გამვლელებს და გულცივ ბაღებს... გათოშილი მიიპარება კაცი... ეშმაკის ხიდზე ზის პატარა ბავშვი და ტირის. ოფიცრის საზამთრო შინელში გამოწყობილი კაცი, ნიკოლოზ მეორეს რომ ჩამოჰგავს სახით, დახეული ჩექმებითა და უცნაური ტოპრაკით ხელში, შეაღებს რესტორნის კა-

რებს, გადააავლებს თვალს სავსე დარბაზს და მოწიწებით იკითხავს:

– ერთი ეს მიბრძანეთ, ქართველი პოეტები ხომ არ არიან აქ?... არც ბატონი პაოლო იაშვილი გახლავთ?.. თბილისში მდგარი ჭადრის ფოთოლი, რომელიც შორეულ ნათესავად ერგებოდა სენაზე გადამდგარი ჭადრის ქართან მებრძოლ შემოდგომის ფოთოლს, შიშისაგან ძრწოდა, როდესაც ამ ამბავს იგონებდა, რადგან ის, რაც შემდეგ გადახდა კეთილშობილ პოეტ იაშვილს, ძარღვებში ქლოროფილის ნაკადს უცივებდა და დროზე ადრე ახმობდა. ამბავი სწრაფად გადადიოდა ერთი ტოტიდან მეორეზე, ფოთლიდან ფოთოლზე იღვრებოდა მზის წვეთებით უწყვეტად ფესვებში და მერე ივრცობოდა ყველა მხრით იმ ბადეში, ხეთა ფესვებს რომ მოექსოვათ დედამიწის ქერქში, მინისქვეშ, რომლის ზედაპირსაც ასეთის გააფთრებით ასხამდა ასფალტს და ასამარებდა სიახლისაკენ მისწრაფებული ადამიანი... ახალ სიახლეთა გვიწვევს დამდიდარი... ასწლოვანი ხეები კი ფოთლების მთრთოლავი მზერით დასცქეროდნენ დედამიწას მტკვრის ნაპირად გაშენებულ ქალაქ თბილისში და კანკალებდნენ შიშით იმის დანახვისას, რაც ხდებოდა მის ზედაპირზე, მაგრამ რას უშველიდნენ კეთილშობილ პოეტ იაშვილს, რომელმაც თავისი თავი ჯერ დაასამარა, და მერე ტყვიით გაიგმირა შუბლი?! და ან სევდიანი ანგელოზივით საფლავებს შორის მორონინე ტერენტი გრანელს... სუფევს ეს დღე და ნამება დიდი... ქარში მივალ, ვიღიმები თანაც... შემოდგომა უფსკრულისკენ მიდის... და ხეები გაძარცვულნი დგანან... ხატი სასაფლაოსი... შავი ყვავითა და თოვლით... ყვითელი ანგელოზის ფეხებთან... პერგამენტით ხელში... – თქვენ მწერალი ბრძანდებით... – კითხვა-მტკიცებით ამბობს კაცი. – პოეტი... – თავმომწონედ პასუხობს ყმაწვილი; – ოო, დიდებულია, ახლა თბილისში ბევრი პოეტია... – პოეტი ბევრნაირი არსებობს... ერთი კვირაა, ჩამოვედი და ვნახე, რა პოეტებიც არიან... – „ქიმერიონში“ თუ იყავით... „ქიმერიონში“? ეგ, სადა... რად უნდა ვყოფილიყავი?! (მართლაცდა, რად უნდა ყოფილიყო?) – შორს არ არის. ხიდს გადაღმა, დიდ გამ-

ზირზე... ყველამ იცის... „ცისფერყანწელები" იკრიბებიან იქ... სხვებიც... რუსეთიდან ჩამოსულებიც... ფრანგებიც... მე მგონი, კარგი იქნება, თუ მიხვალთ „ქიმერიონში"... დიდი პოეტები იკრიბებიან იქ... თქვენც გაგიცნობენ... თქვენც გაიცნობთ... გაგიგონიათ? ტიციან ტაბიძე... პაოლო იაშვილი.. ესენინი... გალაკტიონ ტაბიძე... გრიგოლ რობაქიძე... (და ან საიდან უნდა იცოდეს?) ბალმონტი... ბლოკი... ინოკენტი ანენსკი, ხლებნიკოვი.... მაიაკოვსკი... ანდრეი ბელი... ბოდლერი... მალარმე... ვერჰარნი... ლორკა... ვერლენი... აპოლინერი... ყველანი იქ არიან ხოლმე... კიდევ... კიდევ ვინ არიან იქ?.. (ვინ დადის ახლა „როტონდაში"?)... განთიადის შემპარავი სინათლითაა განათებული ცარიელი თბილისი... გაშეშებული. ჩაჩუმებული... ყრუ ფოთლების სიყვითლეში ჩაძინებული შემოდგომა... და ის... მიდიოდა ქუჩაში ერთი, მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი... „დიდება მეფეს პოეტებისა... დიდება მეფეს..." ეუცხოვა ბატონ ბოდლის ეს ხმები და, როგორც იქნა, მოაშორა მზერა თავისთავს. აღარ ესიამოვნა ნაოჭების დანახვა. ამ რამდენიმე წამის განმავლობაში (თუმცა ვინ გაზომოს წამწამის – მსწრობელობა სარკისიქითა მარადისობის?) თითქოს მოუდუნდაო ყოფიერება და სარკის იქიდან მოშტერებული მზერა აბერებდა ყოველ მიხედვაზე. ქიმერამ ამოყო თავი მისი ზურგიდან და სევდიანად დაადო თავი მხარზე. ბატონმა ბოდლიმ ლოყით მოუთათუნა... გალა ნელა დგება და გამოდის გარეთ. თოვს... გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი... ქალაქი დაცარიელებულია. ფოთოლდაცვენილი ხეების ტოტებში შეყუჟულან ბელურები. მარტო, ყველასაგან მიტოვებული მიდის, თითქოს მიიპარება ცარიელ ქუჩაში... უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა... იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა... ატირებული ყვავები...

მოხუცმა ვეღარ გაუძლო ცივ ქარს, ხელები და მუხლისთავები გაეთოშა. გაცრეცილი პალტოს ჯიბიდან დაჭმუჭნული ასფრანკიანი ამოიღო და გარსონს გაუწოდა: გარსონმა ერთგვარი ზიზღით გამოართვა ნათრევი ფული. ტაბლაკზე გაშალა, გააუთოვა და მხოლოდ მერე შეუდგა ხურდის დათვლას.

უხმოდ დაუდო ჯერ მოხუცს წინ, მაგრამ შემდეგ ინსტინქტურად მაინც წარმოსთქვა სნრაფად: „მერსი, მესიე", – და გაუჩინარდა. მოხუცმა დინჯად გადაჭრა მოედანი და სახლების რიგს ამოფარებული დაეშვა სიონისაკენ... სიონის კარები დაკეტილი დახვდა... ერთხანს ტკეპნიდა შესასვლელს... მერე მძიმედ ააყოლა მზერა გუმბათისაკენ და უგრძნობელად გაიფიქრა: რად უნდა ეკლესიას დაკეტილი კარები!.. – უკაცრავად, გადმოიხარა სარკის იქიდან გიორგისკენ ბატონი ბოდლი, აი, იქ რომ ყმაწვილები სხედან და კამათობენ, თქვენი თანამემამულენი ხომ არ არიან? – მოხუცმა იქით მიიხედა, საითაც ბატონი ბოდლი უთითებდა... ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში მდგარი უზარმაზარი ჭადრის ძირში გაშლილ მაგიდასთან პაოლო გააფთრებით უტევდა მანდელშტამს ისე, რომ მისი ხმის გუგუნი ბატონ ბოდლის ყურამდე აღწევდა... – როგორი უნდა იყოს პოეზია? იქნებ, სრულებითაც არ „უნდა"?! არავისი ვალი არა აქვს მას და კრედიტორებიც ყალბი ჰყავს... სიტყვას არა აქვს საგნობრიობა გამოსახატავის გარეშე. საგნის ხატი კი არ არის სიტყვა, არამედ რაღაც ზე-საგნიერის... პოეზია კი, უცნაურია, მაგრამ ჯერ კიდევ სიტყვა�ა... ყვირის პაოლო... სიტყვები... სიტყვები... ლექსი შინაგანი ხატით ცოცხლობს ფორმის იმ ხმიერი ანაბეჭდით, რომელიც წინ უსწრებს დაწერილ ლექსს. არც ერთი სიტყვა არ არსებობს ჯერ, ლექსი კი უკვე ხმიანდება... აი, სწორედ ამ ხმოვანებას უნდა მიაყურო, მნიშვნელობები კი არ უნდა ეძებო... ყვირის მანდელშტამი. ხოლო ტიციანი კი თვალებს აფახუნებს და სევდიანად ამბობს: მე მინდა გითხრა სამძიმარი, რომ ბლოკი მოკვდა! ხანდახან ჩუმი და მძინარი მეცა ვარ ბლოკთან. ჩამოდი ჩვენთან, მე მგონია, ვიქნებით დები: თუ პეტერბურგის აგონია გიყვარს... და ვცდები. თბილისის მადლი და მშვენება გიშველის, ვიცი. ორივეს ერთად გვეჩვენება ნასული პრინცი... ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი ლოყებს აგინთებს; აკოცე შენი ცივი ტუჩით თამარის თითებს... ვინ იტყვის ჩვენს სამძიმარს... ვის ესევდება ჩვენი სიკვდილი... დიახ, დიახ, რუსული სიმბოლიზმის ბევრ მოყვარულს ვერ გაუგია, რომ ეს

არის მიტოვებული სოკო ოთხმოცდაათიანი წლების ჭაობში, მორთულ-მოკაზმული... Самое удобное, измерять нашу поэзию градусами поэзии Блока... но... всегда будет любопытно и загадочно, откуда пришел поэт Блок... – да кто вы такой, чтоб нас учить! Надо еще дорасти до символизма ... ჩვენ არ მოვკვდებით... ჩვენ გავქრებით... საიდანღაც მოვარდნილმა ქარმა აშალა დაცვენილ ფოთოლთა ჯარი და შეარხია ჭადრის ვეება ტანი. ცივი მთვარე გაეჩხირა ჭადრის ტოტებში. ვილაცის ლანდმა ჩაიარა ეფემერულად და მოსწყდა ადგილს ლურჯა ცხენების რემა... მანდელშტამმა გადაიტანა საუბარი: ეს საიდან მოდის? ეს სიტყვების გრიგალი? საქართველოს რომ გადაუარა და ძირფესვიანად თხრიდა ხეებს?.. Темнокурый враг железо ест... И деревья выкорчевывает... – ეგ უკვე სხვა რამაა, ეგ – გენიაა, – ამბობს დაღლილი პაოლო. გალაკტიონმა კი გაიფიქრა: აი, ის მაგიური მაგმა, რომლიდანაც ინდივიდუალური პოეტური პიროვნება ყალიბდება – სიზმარი სიგიჟისა... ესაა სახლი, რომელშიც ოსტატის ყოფიერება შლის ფრთებს... როგორ გინდა, გადაიტანო ეს... გალაკტიონი უხმოდ დგება და მიდის... ბატონი ბოდლი გაკვირვებულია... ვერ გაუგია, სად მოხვდა... თუმც გარკვევით ხედავს, როგორ ესიყვარულებიან ერთმანეთს ფერდინანდად მონათლული და დივინდორი, რომელთა ხმაშეწყობილი დუეტი ოქროსფერ ნიბლიებად ირეკლება მონპარნასის კოშკის ვეება შავი სარკის ზედაპირზე. მოხუცი კი ეშმაკურად იღიმება, რადგან ესმის, როგორ კითხულობს პაოლო თავის განაჩენს: – მოყმემან პირშიშველამან... შიბნ გაიარნა მთისანი... გადინადირნა, ვერ მაჰკლა... ვერცა ირემი რქიანი... გზად ვეფხვი შამაეყარა... ქარი არ ცხრება და სულ უფრო ძლიერად აშრიალებს უზარმაზარი ჭადრების ტოტებს... გალაკტიონი მძიმედ ამოდის კიბეებზე... ბატონი ფლობი უკვე ნერვიულად იმზირება აქეთ-იქით... ხოლო ოქროსზანზალაკებიანი დივინდორი და ფერდინანდად მონათლული ჩვენი ახალი თანამესუფრე კვლავ განაგრძობენ შეხმატკბილებულ საუბარს, რომელსაც დროდადრო ვნებამოწოლილები აყოლებენ მგრძნობიარე შეყვარებულებივით:

შალომ, ფერდი, შევრიგდით?! რაზედაც არანაკლებ მგრძნობიარე პასუხი ისმის: შალომ, დივინ, შევრიგდით!... ქარი ქრის... და კავკასიის ტრამალებზე კვლავ აეშვა ჭენებით ლურჯა ცხენების რემა... ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები... ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით... იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები... გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით... კვნესოდა და ებრძოდა სივრცეს სენის პირს მდგარი ტოტებგაშლილი ჭადრის უკანასკნელი ფოთოლი, გაყოლილი ქარს... გათავდა ნადიმი, სად არის მხლებელი! ცხენები მზად არის? – თავადო, გულით... პოეზიის თავადები... რა მშვენივრად მიდის ეს ზამთარი ჯერჯერობით... არის ჯოკონდას ბაგეები და არის ქალის – მარსელიეზას მომღერალი ქალის დაღებული ხახა... ორივეში სხვადასხვა ხანაა გამოხატული... სინათლისა და თოვლის ნარევი თანდათან მკრთალდება... იცრიცება სიმკვეთრე სხეულთა და თვით ისინი იძენენ გამჭვირვალებას... უდარდელი ახლა ჩიტიც აღარ არის... მკვდარი ჩიტის დამარხვა უყვართ ბავშვებს... – მე სულ სხვა ვარ... – შენ სულ სხვა ხარ... – შენ სულ სხვა ხარ... და მოხუცმა სევდიანად გაიფიქრა... სწორედ პილატემ, პილატემ იკითხა პირველად: – რა არის ჭეშმარიტება? – მან კი ჩუმად გაიღიმა... ეს იყო და ეს... სტალინი კი ადგილიდან წამოვარდება და გასწევს მას: *ძალაუფლება, ძალაუფლება... ძალაუფლება*... ეს არის ჭეშმარიტება... იცის მან! ჩამოაქცია სიცივემ სახურავი და თოვლმა რკინის ლოგინის სახელურებზე ინყო შეორთქლება. „გცივა, შვილო?“... დედა, დედა... ყვირის ის. კეკე თავს წამოადგება და გულში იკრავს. იგი წყნარდება, მაგრამ კეკე უკვე იცინის ეშმაკის მარადიული სიცილით, უხმოდ და ცივად: – ახლა რაღა გინდა, ძალაუფლება ხომ გაქვს... – არა, ჯერ არა... ძალაუფლება არასოდეს არ არის საკმარისი... ძალაუფლება მაშინ იქნება ჩემი, როდესაც, ის, რაც მათ საკუთრებას შეადგენს, ჩემს საკუთრებად იქცევა, როდესაც ისინი ნებით მომცემენ იმას, რასაც მე ძალით ვართმევდი... მაშინ... მაშინ... რა დედამ გშობა?... არა, ეს დედა არაააა... თუ სწორად მიგიხვდი, რასაც ფიქრობ... – მე ყველა დედის შვილი ვარ და

ყველა შვილის მამა. მე და შენ ერთნი ვართ, რადგან შენ პირველმა დამითმე ის, რაც შენ გეკუთვნოდა განუყოფლად – უღმერთობის ძალა და შიში. განა შენ, შენ... შეძელი ბოლომდე წამოდგომა და თავის აწევა? შენი ძალაუფლების სრულად გამოვლენა? შენი ცდუნების ბადეში რომელიმე ღირსეული არსების დაჭერა? არც იცი, რატომ? იმიტომ, რომ ერთეულებს დასდევდი! თითო-თითოდ გინდოდა დაგემარცხებინა! რადგან მის სადიდებლად იყავი მის მიერვე დადგენილი, კაცთა საცდელად... და გეშინოდა, მარადისობა არ დაგეკარგა. შენ რა ეშმაკი ხარ!... ბავშვი... ბავშვი... მე კი, მე მარადისობა მოვსპე და მით თავად ძალაუფლებად ვაქციე ჩემი თავი, ჩემი სახელი... არა! ჯერ არა... მაგრამ კიდევ ერთი ნაბიჯი, ერთი მცირე გადაბიჯება და მოსული ვარ, მოსული ვარ სამარადისოდ... „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული – სამშობლოს, ხოლო ჩემს მძორს, რაც გინდოდეთ, ის უყავით", – თქვა დაცინვით და სტალინის გაოცებული მზერა რომ დაიჭირა, ისე გადაიხარხარა, რომ ძარღვებში სისხლი გაუყინა კეკეს ბიჭს... – მაშინ ყველა უნდა მოსპო... – მოვსპობ! – ყველა და შენი საკუთარი თავიც – მოვსპობ! – და შენი ძალაუფლებაც გაქრება... და ჭეშმარიტებაც... – მე ვარ ჭეშმარიტება და ძალაუფლება... შენ კი... შენ კი... მაცდური ძალა! ამას ვერ მიხვდი შენ. გაეცინება ეშმაკს და იკითხავს: რა აქვს პოეტს? – პოეზია... – რა აქვს ხელოვანს?.. – ხელოვნება... – რა აქვს მეცნიერს?.. – მეცნიერება... – რა აქვს ბრძენს?... სიბრძნე... – რა აქვს მღვდელს?.. – რწმენა... – რა აქვს გლეხს?.. – ?.. – რა აქვს მუშას?.. – ??.. – რა აქვს ინტელიგენტს?.. – ???.. – რა აქვს მამას?.. – მამობა!.. რა აქვს შვილს?.. – შვილობა!.. და ... წავართმევ... არა, თავისით მომცემენ... დამითმობენ... სიყვარულით... დიდებით... ქებით... კიდევ... სემინარისტი ვიყავი მე... უეცრად შეეცოდა იგი და თბილად ჩაიკრა მისი თავი მკერდში. სტალინი სიცივისაგან სულ ცახცახებს. კეკე თავისი გულის ფეთქვას ასმენინებს შვილს და ეუბნება: „შენ სიკვდილის შიშს შეუპყრიხარ... სიკვდილის ორეული გამხდარხარ შენ... ჩემი კი არა... გინდა, რომ ყველას ეშინოდეს, ყველას სციო-

დეს, ყველა კანკალებდეს... და თუ ყველას შეეშინდება – შენ გახდები იმ ერთადერთის ერთადერთი მესაკუთრე, რომელიც ასე გაშინებს და ძილს გიფრთხობს, – სიკვდილის, – ჩასჩურჩულა ისე, რომ სიცივე ამ სიტყვისა ნისლად შემოეხვია თავზე და სახე დაუმალა სტალინს, – და მაშინ ყველა შენ დაგემსგავსება და თუ ყველა შენ დაგემსგავსა... მაშინ გადარჩი... სიკვდილი ველარ მოგაწვდენს ცელს, ველარ გიპოვის... ვერასოდეს... ვერასოდეს... ვერასოდეს... – შენს მარტოობას ვერვინ გაიგებს...

მოხუცი უსიამოვნოდ აწრიალდა თავის ტახტზე და დაფიქრებულმა წარბები შეკრა. ხასიათი უფუჭდებოდა ამის ხილვით და უნდოდა, სწრაფად მოეშორებინა თავიდან, მაგრამ დრო, დრო დადგენილი იყო და ამას თვითონაც ვერას მოუხერხებდა, რადგან პირობა, პირობა იყო და ხელმეორედ იმას აღარ გაიმეორებდა, რაც წარღვნამდე ჰქმნა. მთვლემარე სახეზე გადარბენილმა ჩრდილმა ცარიელი ქუჩები გალია. წვიმს... ორნი მიდიან ქუჩაში... მდუმარედ. მხოლოდ ფეხის ხმა ისმის... – ნუ გამოხვალ... დაანებე თავი... – ნუ გამოვალ? ყელამდე სისხლში არიან ჩაძირულნი! გამგები გაიგებს ნამდვილ აზრს... ვილაც ხომ უნდა გამოვიდეს? როგორ გავერიდო? – იყო ის ვილაც... ყველამ თავისთავს უყოს... – იმათ აღარაფერი უშველის... – ვერც ჩვენ გვიშველი... ორნი მძიმედ მიაბიჯებენ... წითელი მიხაკი დავარდება წვიმიან ქუჩაზე... რუსული ენის სიტკბოება...

"... К тем преступлениям, которые вскрывались на процессе агентов фашизма, изменников, террористов и вредителей присоединяется еще гнусная деятельность тех врагов грузинского народа и всех народов СССР, чья причастность к троцкизму, к блоку Зиновьева и Каменева, к блоку Пятакова и других была выявлена процессом.

Фамилии их известны: Ираклий Церетели, Евгений Гегечкори, Микеил Церетели, Акаки Церетели, Акаки Чхенкели, Григол Робакидзе, Петре Ибери, Давид Агмашенебели, Тамар Багратиони, Шота Руставели, Давид Гурамишвили, Илиа

Чавчавадзе, Акаки Церетели, Давид Клдиашвили, Важа-Пшавела, Соломон Додашвили, Арчил Джорджадзе, Михако Арагвиспирели, Петре Агмашенебели, Давид Ибери, Тамар Руставели, Шота Арагвиспирели, Давид Джорджадзе, Илиа Чавчавадзе, Акаки Гурамишвили, Давид Церетели, Важа Клдиашвили, Соломон Пшавела, Арчил Додашвили, Михако Багратиони (თამაშობს... სიკვდილი უნდა წითელი მწერლების წინ... ლაფს ასხამს თავზე და ვერ მიმხვდარან... მიხვდნენ... მიხვდნენ... და აღივსნენ შურით... თავს იკლავს...). "Да здравствует товарищь Сталин!" – это значит мы говорим – " это те фамилии, которые проклинают во всех уголках Грузии, на каждом перекрестке, в каждом доме Грузии, ибо эти люди готовили покушение на великого Сталина и одного из лучших его учеников руководителя грузинского народа тов. Берия.

Я хочу предостеречь молодежь от наших ошибок. Каждого человека, с которым ты общаешся, надо проанализировать и проверить. Нужно быть бдительным к каждому его шепоту и поступку. Если зоркость писателя будет обращена к каждому человеку, с которым он общается, ему не трудно будет разгадать врага. Обязанность писателя быть наблюдательным, бдительным и зорким. Этому нас учит великая партия. ...В этой связи я не могу не вспомнить о верном сыне большевистской партии, преданном ученике Сталина – тов. Лаврентии Берия, который так много сделал для расцвета культуры национальностей Закавказья. Ибо, когда мы хотим сказать: "Да здравствует Великая Октябрьская революция!"– мы говорим: "Да здравствует тов. Сталин!" Когда мы говорим: "Да здравствует наш Великий Советский Союз!" – это сильнее всего выражается в возгласе: "Да здравствует тов. Сталин!" И когда мы говорим: "Да здравствует победа ленинизма во всем мире!" (гремучие аплодисменты!) მოხუცს ახლაც ყურში ჰქონდა ეს ხანგრძლივი აპლოდისმენტები, ტაშისცემა და აღტაცებული შეძახილები და მიხურული ქუთუთოები ცრემლით აევსო... რატომ? რისთვის? საიდან გაჩნდნენ ისინი? რომელი ზმანებიდან? სი-

ნამდვილეს რომ უწოდებენ ახლა... – პასუხი არ ჰქონდა არც ამჯერად... ეს ტრაგიკული თავგადასავალი კი სწორედ თავისი უაზრობით იწვევდა ულონო ცრემლს და აცოცხლებდა დიდი ხნის მიმქრალ გრძნობებსა და ხილვებს სიზმრებულის ქარისაგან ამომშრალ ჩაწითლებულ უპეებზე... თვალის გუგაზე... და უკაწრავდა გულს...

„ვაჟკაცი ყოფილა! ვაჟკაცი ყოფილა! ვაჟკაცი ყოფილა!..." ინფორმაცია პრესისათვის... ინფორმაცია ყოფილი პოეტის პაოლო იაშვილის მიერ ჩადენილი პროვოკაციული აქტის შესახებ... – „მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა... კავშირის... პრეზიდიუმის... სხდომის... მიმდინარეობის... დროს... წარმოადგენს... პროვოკაციულ... აქტს... რომელიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველი პატიოსანი საბჭოთა მწერლის შეგნებაში!... ქართველი ხალხის საზიზღარი მოღალატეები... და სხვანი და სხვანი და სხვანი ერთ დროს თავიანთ თავს თვლიდნენ ქართველი ინტელიგენციის რჩეულ ნაწილად, ქართველი ხალხის წარმომადგენლებად... საქართველოს მშრომელთა მიერ გაძევებულნი, ისინი გაიქცნენ თავიანთ საზღვარგარეთელ პატრონებთან, აშკარად და ცინიკურად გახდნენ ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები და ლაქიები. მიჰყიდდნენ რა ხოლმე თავს განურჩევლად ყველას, ოღონდ კი ფული ეძლიათ, ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ რა უცხოეთის რამდენსამე დაზვერვაში, ეს საზიზღარი გამცემლები ერთი წუთითაც არ ტოვებდნენ თავიანთ შავ ზრახვებს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ... ქართველმა ხალხმა შეაჩვენა ისინი, როგორც ყველაზე მოსისხლე მტრები... ფაშისტური ოხრანკის აგენტები, მოღალატეები და გამცემლები, აღმოჩნდნენ პროფესორები... ინჟინერი... რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი... ოპერისა და სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი... მწერლები... საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტფონდის ყოფილი დირექტორი დავით წერეთელი, ოთხგზის ნასამართლევი ქურდი ჯაბა, დრამატურგი იოსელიანი, პროფესორი ჯაბა იოსელიანი... ცნობილი მენშევიკი გაიძვერები... და

სხვები... და სხვები... და სხვები... და სხვები... და სხვები... და დანარჩენები! ისინი ეწეოდნენ ძირგამომთხრელ დივერსიულ-მავნებლურ მუშაობას საბჭოთა საქართველოს სახალხო ძირძველ მეურნეობაში, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ... ისინი, უკლებლივ ყველანი, ეწეოდნენ ჯაშუშობას, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი უცხოეთის დაზვერვებთან, აგროვებდნენ და მათი საშუალებით საზღვარგარეთ გზავნიდნენ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს. თავიანთ შავბნელ ძირგამომთხრელ მუშაობაში ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას, არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ, ისინი ამზადებდნენ წყლის მოწამლვას ნატახტრის წყალსადენში, ამზადებდნენ ბაქტერიოლოგიურ დივერსიას, რომელიც ნაწილობრივ განახორციელეს სიღნაღის რაიონში, სადაც ბაქტერიების გამოყენების გზით შარშან მათ მოახერხეს გამოწვევა მასობრივი დაავადებისა მუცლის ტიფით, რამაც 50 კაცზე მეტი იმსხვერპლა. მერე რით დასრულდა მთელი ეს დანაშაულებრივი მუშაობა ხალხის მოსისხლე მტრებისა, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების ნაძირალათა ფსკერზე მოექცნენ? საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, გაანადგურეს და მოსპეს... *ხანგრძლივი ტაში...* მთელი ქართველი ხალხი ზიზღითა და კრულვით იხსენიებს მათ. *ტაში.* ასეთივე ბედი მოელის ყველას, ვინც გაბედავს მძლავრი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლას. *ისევ დარბაზის მქუხარე ტაში.* თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მტრები კიდევ დარჩნენ, რათა განაგრძონ ფარული ძირგამომთხრელი მუშაობა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი სტალინის ბრძნული მითითებები, რომ, ვიდრე არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენში გამოგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს, ჩვენკენ საზღვარგარეთიდან გამოაწვდიან ბინძურ, სისხლიან ხელებს... ამხანაგებო! მხოლოდ სამი დღე გვაშორებს იმ ისტორიულ თარიღს, როდესაც საბჭოების ქვეყნების მრავალმილიონიანი ხალხი აირჩევს სახელმწიფოს უზენაეს ორგანოს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე... *ტაში. შემდგომი სიტყვები სულ ტაშისცემაში მიმდინარეობს...* უდიდესი მიღწევებით, ურყევი შინაგანი მორალური და პოლიტიკური ერთიანობით ეგებება საბჭოთა ხალხი ამ ისტორიულ დღეს. ჩვენს გამარჯვებას უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა საყვარელი ბელადის, – დიდი სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობას... ამ სიტყვებზე დარბაზი უკვე თავს ვეღარ იჭერს და სხვადასხვა ენაზე ყვირის შეშლილი: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, „ურა", ვაშა – ამხანაგ სტალინს! მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი, ზვიადი, სასიხარულო ცხოვრებისათვის!" აღტაცებულ ხალხთა თვითმოქმედი ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს", ოვაციები ახლდება და კვლავ შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ, უკრაინულ, უზბეკურ, ტაჯიკურ, ყირგიზულ, თურქულ, უბიხურ, სპარსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, კუბურ, იტალიურ, ბერძნულ, ჩეხურ, უდმურტულ, ფინურ, ავარულ, ირლანდიურ, დანიურ, პელაზგურ, აფხაზურ, ოსურ და ხაზარულ ენებზე... დარბაზი თანდათან წყნარდება და ჯდება. პაუზა. და ვიდრე ტრიბუნას მიუბრუნდებოდეს მოხუცის თვალი, მის ყურთან გაისმის მეტად მშვიდი, გულის სისხლით გამთბარი ხმა ზვიადი ბელადისა: – მე ვიცი, რას ნიშნავს ნდობა. იგი, ცხადია, მაკისრებს ახალ, დამატებითს მოვალეობებს და, მაშასადამე, ახალ, დამატებითს პასუხისმგებლობას. რა გაეწყობა, ჩვენ ბოლშევიკებს, არ გვჩვევია, უარი ვთქვათ პასუხისმგებლობაზე. მე მას ხალისით ვკისრულობ! *მქუხარე, ხანგრძლივი ტაში: სტალინი მორცხვად, მაგრამ მშვიდად, ილიმება და განაგრძობს:* ჩემი მხრით მე მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, ამხანაგებო, რომ თამამად შეგიძლიათ ენდოთ ამხანაგ სტალინს. *მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. შეძახილები დარბაზიდან „ჩვენ კი ყველანი ამხანაგ სტალინთან ვართ!* შეგიძლიათ იქონიოთ იმედი, რომ ამხანაგი სტალინი შეძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე... *ტაში...* მუშათა კლასის წინაშე... ტაში... გლეხობის წინაშე, *ტაში...* ინტელიგენციის წინაშე... *მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციები.* დარბაზში ეშვება სარკეები და მილიონებად არეკლილი სტალინის ოვაციები

ეგებება სტალინს: დიდ სტალინს ვაშა! ამხანაგ სტალინს, ვაშა! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა! გაუმარჯოს პირველ ლენინელს ამხანაგ სტალინს!... სტადიონი აღფრთოვანებული მღერის, მღერიან ჰიტლერი, მუსოლინი, გერინგი, ჰიმლერი, ჩერჩილი, ეიზენჰაუერი, ლავალიე, პეტენი, იდენი და დე-გოლი, მაო ძე-დუნი და პოლ-პოტი, ფრანკო და ტიტო, პელე და ზაგალო, მეტრეველი და მესხი, ხორავა და ვასაძე, გამსახურდია და შტაინერი, მსახვრაძე და ბლავატსკაია, წუნკაძე და შეშტერია-ხო! შევარდნაძე და გორბაჩოვი, პრომეთე და ამირანი, ყურშა და ბოლოქანქალა, არწივი და ფასკუნჯი, აჩრდილები და მოლანდებები, გადასულები და გადმოსულები, ძველნი და ახალნი, მიმსვლელები და მომსვლელები, ცოლები და ქმრები, ბიჭები და გოგოები, ბებიები და ბაბუები, მამები და შვილები, რუსები და სომხები, ფრანგები და გერმანელები, უკრაინელები და სკვითები, ოსები და აფხაზები, ქართველები და ესპანელები, ავღანელები, ჩინელები, ინდოელები და იაპონელები, ინდიელები და ბრაზილიელები, არგენტინელები და ჩადელები, პიგმეები და კუკრინიქსები, კანადელები, პანამელები, კუბელები, ვიეტნამელები, ებრაელები, არაბები, ქრისტიანები, მუსულმანები, ბუდისტები, კრიშნაისტები, მწვალებლები, სექტანტები, ორთოდოქსები, შუმერები, ეგვიპტელები, ურარტელები, პელაზგები და სხვანი და სხვანი და სხვანი და სხვანი...

Сталин наше знамя боевое,
Сталин наше имя и почет,
Песней и стихами запивая
Наш народ за Сталиным идет.

ამასობაში კი ბატონი ბოდლი მხიარულად შემომცქეროდა და ცოტა უკლდა, ჩემთან ერთად არ ახარხარებულიყო ჩვენი ტერორიზებული ქიმერების გულის გასახარ საშუალებასაც კი მოესპოთ და ტაშისცემისაგან ხელებდასიებულნი აწივებული ყურებით და გაოგნებული მზერით აქიცინებდნენ თავს, როგორც ყოვლადზნესრული და დიდებულთა შორის მიუწვდომლადაღმართული გარგანტუას დიადი დედის გარგამე-

ლას თასმები, რომლითაც იგი თავის თორმეტთვიან და ოცტონიან (განა გარგატუა, რაიც ზვიადად მოითარგმნების, არ უნდა დაბადებულიყო? და ის ხომ ვიღაც ბოლოქანქალაშვილი არ იყო, კუებით რომ იბადება ლობიოს ნაჭამზე, ზვიადი *გარგანტუა* იყო!) მუცელს იმაგრებდა, როს თავგამოდებით მიირთმევდა მეგრულს კუპატებსა თავის მახლობლებისა და ნათესავების გარემოცვაში, როგორც ამას გვიამბობენ ძირძველი და ცალსახა პანტაგრუელისტები (მათ შორის ჰიპოკრატე, პლინიუსი, პლავტუსი, მარკუს ვარონი, ცენზორინუსი, არისტოტელე, პლატონი, სოკრატე, ალფოკრიბას ნაზიე და მარადიული ჰომეროსი თავის დაკარგულ თხუზელებაში „კოლხეთის ნათელი" და მრავალი სხვა გადარეული მოსახლე სიგიჟის ტაძრისა, რომელიც გაჩირაღდნებული იყო სიზმრის პეპელათა ელვარე ფარფატით, და რომელთა სია გაცილებით უფრო გრძელია, ვიდრე ზემოაღნიშნულ ხალხის მტრებისა, რომელსაც ავტორის სახელი დაემატოს თუნდაც), როს აღწერენ დიდებულ პურის ჭამას ტრაგიკულ ბედისწერას თავდახსნილი მსახურების და მათი ცოლებისა, რომელთაც შესანიშნავად დაინაწილეს თავადთა სათოხლავი და კრებებშიაც პირველ რიგში ისხდნენ შესვენებაზე, რომ დახმარებოდნენ პელაზგების ბედისწერის გამგე-მსახურთა მისიის აღსრულებას მსოფლიოს უნივერსალური ცივილიზაციის გადარჩენაში, როგორც ამას გვიამბობს თავის *უბურუა*-ში პატოფიზიკოსთა რაინდული ორდენის დიდი მოძღვარი ალფრედ ჟარიაშვილის როსტბეფის პირით:

"Sa parole est prophétie;
S'elle rit, c'est compagnie;
S'il pleure, dévotion;
S'elle dort, elle est ravie;
S'il songe, c'est vision;
S'elle ment, ne le croyez mie;
Si béguine se marie,
C'est sa conversation:
Ses vœux, sa profession
N'est pas à toute sa vie.

Cet âne pleure et cet âne prie,
Et cet âne prend du baron..."

– რა მქვია მე?

– პოეტი ხართ თქვენ...

– ვინ ვარ მე, ძამიკო...?

– გალაქტიონი...

– გალაკტიონი ვარ მე... გალაკტიონი...

– წაგიყვანთ სახლში. მეზობელი ვარ მე თქვენი – *მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალება, თითქო ზღვის კარად თივას თიბავდე... მიდიხარ... აღარ დაგემდურება არც მიწიერი, არც ზეციერი... მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა... სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი... მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს... ვინა თქვა შენი გარდაცვალება? ვინა თქვა შენი უბედურება? ვინა თქვა შენი მიუსაფრობა? შენ სივრცეებმა დაგიბინადრეს... შენ სივრცეებმა დაგიბინადრეს...*

– გვიანაა შენთვის...

– ნუ გეშინიათ, მართლა ჩალით კი არ არის ქვეყანა... და ხედავს მოხუცი: გალაკტიონი ფეხშიშველი მიდის ცვრიან მინდორზე. განთიადის მკრთალი ნათელი ეფინება არემარეს... მატარებლის მოულოდნელი კივილი ცარიელ ლიანდაგზე მოძუნძულე ძაღლის განწირული ყმუილი... ისევ ჰკივის მატარებელი... ძაღლს თავში ტყვია ხვდება და უსკდება თავის ქალა... დარტყმისაგან ჰაერში ასროლილი ძაღლი ენარცხება ლიანდაგებს... გეშინოდეს ძაღლის... რატომ? რატომ? რატომ?...

მატარებელში სხედან გალაკტიონი და დედამისი. დედა გაფაციცებით ეძებს რაღაცას...

– შენთვის მინდოდა...

დივინდორმა უეცრად შეწყვიტა თავისი ლაღი სიმღერა, ფერდინანდად მონათლულს ვნებით გაუღიმა, გიორგისკენ გადმოიხარა და ყურში ჩასჩურჩულა: „ნიუ იორკი ეროტიზმის სამოთხეა..." მაგრამ, რადგანაც გიორგის აქამდე ფეხი არსად გაედგა, ეს შეგონება ცარიელ სიტყვებად დარჩა და დივინდორი განაწყენებული და გაბუტული მიუჩოჩდა ბატონ ფლობის,

და მისი გადმოშვებული ულვაშების თვალიერება დაიწყო. ფერდინანდად მონათლული მისი მეგობარი საშინლად აღელდა ამაზე და ნერვიულად დაუწყო წიწკნა დივინდორის ქიმერას, რომელსაც თავისი ოქროს ზანზალაკები გადმოეფინა გამვლელთა საშურველად და თავს იკატუნებდა, ვითომ არც კი ხედავდა მათზე მიჩერებული თვალების ხარბ ელვარებას. ხოლო ფერდინანდად მონათლული კი ბწკენამოძალებულ ფიქრთა ქროლას მიეცა ფრანგულ მოგონებათა ტბორში: troufignoliser l'adjectif... goncourtiser... merde! enculagailler la moumouche, frénériser l'insignifiance, babiller ténu dans la pompe plastorniser... cocoriquer dans les micros... ils ont eu joliment raison de le faire aux pattes le Ferdinand... c'était qu'un sale truand vicieux, un sale hystérique emmerdeur... Moi... c'est toujours d'un Juif qu'il s'agit... Non! Non! Urbi et orbi... Je vous adore mon Staline! mon Litvinoff adoré! mon Cominter!... et puis les Juifs, les Français, les Russes, les Américains, les Anglais, les allemands, les Arméniens, les Turcs, les Iraniens, les Libyens, les Italiens, les Chinois, les Japonais, les Finlandais... rebut d'Asie, rebut d'Afrique... tous en chœur... alors, j'adhère jamais à rien... j'ai pas envoyé de télégramme, moi, en partant, au grand L'Epidaure Staline pour le féliciter, l'étreindre... Staline suffit... Staline à leur tête, les Juifs sont parés... Qu'est-ce qui tue toute la Russie?... qui massacre?... qui décime?... Mais Nom de Dieu! Mais c'est Staline!... O, ma petite cauchemerdement dégueulasse, o, ma chleur moustacheuse... harache-loucoums... mais, si Hitler me disait: Ferdinand! C'est le grande partage! On partage tout!

აქ მოულოდნელად დივინდორმა ისეთი შეჰყვირა, რომ რაც საწკარუნები ეკიდა ულვაშებზე, ყველა ერთთავად ჩამოუცვივდა და ფერდინანდად მონათლულის ბწკენით გამოთაყვანებულ ქიმერას პირში ჩაუცვინდა, რამაც დივინდორის საბრალო გენია კინაღამ დაახრჩო და ბატონი ფლობის მოსწრებული სიტყვა რომ არა, რომლის შემდეგ ყველამ გულიანად გაიცინა, რამაც საბრალო არსებას დივინდორის ოქროს ეჟვნები წამოაყრევინა და ამოსუნთქვის საშუალება მისცა, – იგი უეჭველად დაიხრჩობოდა.

ბატონი ფლობი, რომელიც მას შემდეგ, რაც პიგალზე გაფენილ ოქროსფერ ფოთლებში ჩაიქარგა პარისის შემოდგომის სხივმცხრალი მზის უკანასკნელი ათინათები თავისთავიდან არ გამოსულა, მოულოდნელად წამოადგა თავს ჩვენს მხიარულ კამპანიას და თავისი სურთუკივით ხავერდოვანი ხმით შემპარავად წარმოსთქვა: გაქაჩლებული ვენერა თავის ვულკანსაც კი აღარ მოეწონება!... რის შემდეგ თავისი კვერთხი დასწია და მოპირდაპირე კედლის მთელ სიგრძეზე დამაგრებულ სარკეში ჩაიხედა.

დივინდორი და ფერდინანდად მონათლული მისი შეყვარებული ვიდრე სულს მოითქვამდნენ ბატონი ფლობის მოსწრებული შენიშვნის შემდეგ, რომელმაც დივინდორის ქიმერა სიკვდილს გამოსტაცა და საერთო მხიარულება გამოიწვია, ერთმანეთს ჩაეხუტნენ და მაგიდის ქვეშ შეგორდნენ. ბატონი ბოდლი დინჯად წამოდგა და ბატონ ფლობისთან მივიდა თავის ქნევით, ხელი მაგრად ჩამოართვა და თვალებში ჩაჰხედა. რაც შეეხება გიორგის, მან თავისი კათხა ლუდი მოიყუდა და ვიდრე მოსვამდა. ერთი კიდევ წამოიცინა იმის წარმოდგენისას, თუ რა დღეში ჩავარდებოდა პარისი, ქაჩალა ვენერას განსჯა რომ მოუწევდა იუნონასა და მინერვას წინაშე ისეთის უსირცხვილობით, როგორითაც გამოირჩევიან საბჭოთა მოსამართლენი, მერე მაინც ჩაყლუპა ერთი დიდი ყლუპი და ცას გაჰხედა.

სენისპირს მდგარ ასწლოვან ჭადარს მოწყდა უკანასკნელი ყვითელი ფოთოლი და ქარს გაჰყვა ჩუმი შრიალით, რომელიც ერთხანს ესალბუნებოდა მის ათრთოლებულ და დაჭიმულ ძარღვებს, შემდეგ კი ქარის სტვენას შეერთო. მას ყოველთვის ეგონა, რომ ხმაურს მხოლოდ ფოთლები გამოსცემდნენ და არა ქარი, რომელსაც, ფოთოლმა რომ სთქვას, არც არაფერი ჰქონდა სახმაურო, რადგანაც სინამდვილეში ფიქრი იყო, აშლილი და ერთ კონად შეკრული, რომლითაც გვირგვინოსანი ხეები ესაუბრებოდნენ ერთმანეთს სენის გაღმა-გამოღმა... როგორც ამბობს პოეტი „ოგურას თავზე მიმქროლი ქარი ისე ცივია, რომ ეულები იფარებენ ფოთოლთ სიწითლეს"... ახლა

ის ისეთ სიმსუბუქეს გრძნობდა ტანში, რომ ფიქრთა მსუბუქი ათინათიც კი აღაფრენდა და ფრენის ძალას მატებდა. ახლა პირველად იგრძნო, რა სასტიკად იყო დასჯილი ბედის განაჩენით მიჯაჭვული ხის ტოტს, სადღაც ქვეყნის დასალიერში, რომელიც ყოველთვის იქაა, სადაც მიჯაჭვული ხარ, გინდაც რომ დედის მკერდზე იყო ჩახუტებული... მოაგონდა, რა ამბავი ჰქონდათ ატეხილი ჭადრის ძირში შეგროვილ კლოშარებს, პოეტი რომ ესტუმრათ პრომეთეს ქვეყნიდან, ანუ ქვეყნის დასალიერიდანო, თუმცა, რა იცოდნენ სულელებმა, რომ ქვეყანა იქ თავდება, საცა დაგაბეს... ამ მხიარულმა მოგონებამ უცებ წამოახურა და რამდენიმეჯერ კისკისით ატრიალდა საკუთარ ფიქრში აფრიალებული და ისეთ სიმაღლემდე ავიდა, რომელამდისაც მანამდე არც ერთ მის ნათესავს არ აეღწია და კინაღამ ძარღვები დაუსკდა მღელვარებისაგან. საბედნიეროდ, ზედ ცამდის აზიდული ნოტრ-დამის ჯვართან დაიბრუნა წონასწორობა და მიეკრო თრთოლვითა და შიშით. და ის იყო სული უნდა მოებრუნებინა, რომ ფიქრი ჩაუქრა, ქარი ჩადგა და უსაყრდენოდ დარჩენილმა ნელა იწყო ჩამოცურება, ვიდრე არ მოწყდა ჯვრის ფუძეს და ბზრიალით არ ჩაეშვა ნოტრდამის შესასვლელთან შეჯგუფებულ ტურისტებში. უკანასკნელი ეს, რაც მან გაიფიქრა, რომ როგორმე შეეჩერებინა ეს ვარდნა და ფიქრი მიეწვდინა ნოტრდამთან სენის ნაპირას მდგარ ჭადრებს გაფარჩხულ ტოტებს შერჩენილი ეული ფოთლებისათვის, იყო: *მე ვემთხვიე ჯვარს*... მაგრამ, ვგონებ, ვერ მოასწრო მაინც, რადგან ვიღაცის მძიმე ფეხსაცმელმა დაფარა მისი მთრთოლვარე სხეული და მერე მას აღარაფერი უგრძვნია, ვიდრე სხვა ფოთლებს არ მიახვეტეს და ზამთრის ღრმა ძილს არ მიეცა მსიზმრებელის ერთფეროვან სიზმარს დასიზმრებულ უსასრულობაში გულცივი ყოფიერებისა...

მოხუცი უეცარმა შეხებამ გამოაფხიზლა. სახეზე აფარებულ შემოდგომის მთვლემარე ფოთოლს მშვიდად შეახო თითები, მოიშორა და ყუნწით ატრიალა თვალებთან... დააკვირდა. ფოთოლი გამჭვირვალე იყო, იმდენად გამჭვირვალე, რომ

უწვრილესი ფერადი კაპილარებიც კი ჩანდა, რომლებიც ფერადოვან ხალიჩად რთავდნენ ფოთლის სიფრიფანა ტანს. გიორგიმ ერთხანს ატრიალა ხელში ფოთოლი და შემდეგ ბატონ ბოდლის გაუწოდა:

– განა გასაოცარი არ არის ამ ფოთლის ბედი?

სიკვდილის წინ რომ ასეთის ელვარებით იმოსება... როგორც გამოსაშვებ წვეულებაზე მისწრაფებული ჭაბუკა გიმნაზიელი, თავის გულის სატრფო რომ იქ ეგულება და იმედი აქვს, რომ ამჯერად ის ვეღარ აარიდებს თვალს...

– სწორედ მაგ სილამაზით მოჯადოებულმა აარიდა დიდმა გარგანტუამ თავი ხმელი ფოთლით გამოხოცვას, რითაც დიდად დააკლო თავის ბრწყინვალე ექსპერიმენტს, რომელიც, როგორც ვიცით, ოქტომბრის რევოლუციით და კაცობრიობის ამოხოცვით დამთავრდა ბოლოს, – თქვა ბატონ ფლობის ქიმერამ, შურისაგან გამწვანებული ხმით.

– არაფერიც არ დააკლო, – შეეპასუხა დივინდორის ოქროსზანზალაკებიანი თეთრჩაბალახიანი ქიმერა, – იმწამსვე გეტყობათ, რომ დიდად გაუნათლებელნი ბრძანდებით და რაზედაც საუბრობთ, იმაზე წარმოდგენაც კი არა გაქვთ. გრძიადი ღორღონტუა (მან სწორედ ასე წარმოსთქვა – „ღორღონტუა", ხოლო ღორღონტუა „ზვიადად" უკვე ვეღარ მოითარგმნებოდა, რაც უვიც ტავტოლოგებს თავიდან იშორებდა და ახალი გენიალური ეტიმოლოგიური აღმოჩენის შესაძლებლობის სრულ გარანტიას აძლევდა. დივინდორის დიდ ინტელექტუალურ განათლებასთან ერთად, საფიქრებელია, მისტერიების ინიციაციასაც ზიარებულ მორწმუნე სულისმჩენ ოქროსზანზალაკებიან თეთრჩაბალახიან წითელქუდა ქიმერას) შემოსილი იყო თეთრ-ცისფრად და სწორედ ამიტომ არჩევდა გამოსახოცად შესატყვის ფერებს და არა ამ ჭყეტელა და გაურკვეველ ფერთა ნაზელს, რომელმაც ასე აღაფრთოვანა თქვენი ბუნებისმოყვარული მეეტლეები, რათა ხალხთა უფლებით სამოსელი მისი შექმნილი სპეტა...

ამაზე ბატონ ბოდლის ქიმერა გადაიხარა და ერთი ისეთი სთხლიშა თავში დივინდორის ოქროსზანზალაკებიან წითელ-

ქუდა სურეალისტ ქიმერას, რომ იმას თვალებიდან მთელი წყება ულარუნებისა გადმოცვივდა და ფერდინანდად მონათლულს შეეფრქვია სახეში, ხოლო ჩემმა ქიმერამ კი იმის დასამტკიცებლად, რომ განათლებულია და საკმაოზე მეტადაც, დაიწყო სიტყვა-განსიტყვით წარმოთქმა იმ ღვთაებრივი ტექსტისა, რომლითაც ზვიადი გარგანტუა აჯერებდა თავის ზნექველ მამას, რომ მზად არის მრგვალ მაგიდას შემოუჯდეს თბილის სავარძლითა, განაგოს სასკორეთის ბედ-იღბალი და ციური მანანებით დააპუროს ცივილიზაციის უნივერსალური პრინციპების შემქმნელი სასკორეთელები:

„ორიოდ პირველი ცდის შემდეგ, რომელთა შესახებაც აქ ლაპარაკი არ ღირს, ზვიადმა პოლიგლოტმა იწყო ჩამოთვლა თავისი გონებითმიუღწეველი მეფური ცდებისა. მან სთქვა: და შემდეგ ამისა გამომიხოცია სალბით, კამით, ანისულით, მარჟოლანით, კომბოსტოს ფურცლებით, ბურაკით,... შემდეგ ვიხოცავდი ფარდაგითა, ნოხითა, საბნითა, ცხვირსახოცითა, ფარდითა, პირსახოცითა, ბალიშითა, მუთაქითა, და გაზეთის ფურცლითაცა კი, რომელზედაც აღბეჭდილმა ცნობებმა და სურათებმა ისეთი ალერგია გამომიწვია, რომ ერთხანს ეს ღვთაებრივი საქმე შემაწყვეტინა, ვიდრე არ ჩაცხრა და კვლავაც არ განვაახლე ამოხოცვა ვარდითა, ზამბახითა და ფაფუკა გურული ჭინჭრითა, რის გამოც ეს შაირი წარმომეშვა ძველფრანგულადა:

Toujours laisse aux couillons esmorche
Qui son hord (sale) cul de papier torche
Ecoutez ce que dit notre refrain aux fienteux:
Chiard,Hordoux,
Foirard,Merdoux,
Pétard,Esgous (dégoûtant),
Brenous (merdeux),Le feu de saint Antoine t'ard.
Ton lardSi tous
Chappart (qui s'échappe)Te trous
S'espart (se répand)Esclous (éclos)
Sur nouns.Tu ne torches avant ton
départ

სწორედ ამ ადგილას ჭაბუკი პოლიგლოტი პოეტურ ალმურში გაეხვია და მამას ჰკითხა (რომელიც ამ დროს უკვე აღიარებული სახალხო მწვერვალი იყო მწერალთა ამოხოცვის დარგში, სახელად გრანდგრუზიე ანუ „დიდი ქართველიო"): "En voulez-vous davantage?" Qui-dà-é-é

"En chiant, l'aultre hier senty
La guabelle qu'à mon cul doibs:
L'odeur fut aultre que cuidois (je pensais):
J'en fus du tout empuanty
Oh! si quelqu'un eust consenty
En chiant!
Car je eusse assimenty (cimenté)
Son trou d'urine à mon lourdoys (naîvement);
Cependant eust avec ses doits
Mon trou de merde quaranty,
En chiant!"

ახლა თუ იტყვით, ბატონო ჩემო, – გადავიდა ძირძველი ცალსახა თქვენობითისა და ბატონობითის მიდმოყენებაზე ჩემი ქიმერა, – რომ ეს შესანიშნავი სტრიქონები არ შეესატყვისება XX საუკუნისა და, განსაკუთრებით, მის ახლამინდელ ჟამსა... მე არაფერი ვიცი?! ხოლო ახლა იმასაც გეტყვით, თუ როგორ დაამთავრა თავისი ეს შესანიშნავი საღამო ქალთა სიამაყემ და მამის ოცნებამ ისეთის სიბრძნითა და მოხდენილობით, რომ თვით პლატონსაც კი შეშურდებოდა, მას რომ მრგვალ მაგიდასთან ნადიმი ღირსებოდა: არავითარი საჭიროება არ არსებობს ამოხოცვისა, თუ არ არის სავსე წინაღობითა, თქვა მან, ანუ, მრგვალად რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერ უნდა წინავაღოთ, ვიდრე ამოვიხოცავთ ღირსებასა... და სწორედ აქ დარწმუნდა მამა, რომ დიადი გარგანტუა, მთასავით ზვიადი, ლოგიკის ისეთ სიღრმეებს მისწვდა, რომ მზად არის არა მარტო სორბონაში ასწავლოს ჭკუა ჭკუათხელ ევროპელ პროფესორებს, არამედ გამართოს ნადიმი, რათა პლატონიც დააყენოს სწორ გზაზე და ავგუსტინეც აზიაროს ცივილიზაციის უნივერსალურ პრინციპებს. „ოჰ!" აღმოხდა მამა გრანდგრუზიეს, რა ზვიადი გონების პატრონი ხარ, ჩემო ბიჭუჭკუნავ,

პრუწუწკუნავ, ჭუჭუჭკუნავ, ჰოპ! ჰოპ! ჰოპ! არასოდეს, არასოდეს არ ღირსებია არც ერთ მოდგმას კაცობრიულს ამგვარი აღგონებისა და აღვნებულის სულის მფლობელი: არც პელაზგებს, არც მინოსელებს, კრეთელებს, ათლანთებს, ფინიკიელებს, ებრაელებს, ბერძნებს, ხეთებს, შუმერებს, სანიკებს, ეგრებს, სპანებს, იბერებს, იტალებს, გალებს, მუსკებს, სომხებს, სპარსებს, ინდოელებს, – აქ დივინდორის სურეალისტმა ქიმერამ თვალები დაჭყიტა და ჩაურთო ნეტარი ღიმილით ზემოოდიშურად: „ინდოური რა არის! საუკეთესოა მაგი საცივად მხოლოდ! ცეპლიონოკ", მაგრამ აკადემიურ სივრცეებში მიმომქროლავი გონება დიდი მამისა გასცქერდა საცოდავად მიყრილ ბნელ და ცოდვილ კაცობრიობას მის ზვიად შვილს რომ უნდა გაენათლებინა და გადაერჩინა წყვდიადისაგან, რომელიც თავს დამხობოდათ მათ, ვითარცა შავი სუდარა კარდუელ მოგვებს და განაგრძობდა ჩამოთვლას: პალესტინელებს, ამორეველებს, ურებს, არაბებს, აქადელებს, ურარტელებს, გერმანელებს, ბრიტებს, ირლანდიელებს, სკოტებს, პოლონელებს, რუსებს, მონღოლებს, ჩინელებს, იაპონელებს, აცტეკებს, მაიას... მაიას... ოჰ, მაია, მაია, ჩემო ლაციცო... პრომეთეს ღვიძლიდან აფრენილი ძირძველი არწივის ფრთების შრიალივით გადაუფრიალა თავისი სიყმაწვილის სევდამ დიდი მამა, მაგრამ გეზი ვერ შეაცვლევინა და მანაც განაგრძო: – და ან რა არის მასთან ჰომიროს ან თვით აქილევს, ან პარისი ლამაზთმსაჯული, თვით ჰერაკლე და ან პრომითოს, ზევს, აფროდიტე ან დემეტრე, ანტიოქოს და ან დარიოს, ალექსანდრე, აგამემნონ, აესქილოს და პრაქსიტელი, ან პლატონი, ჰერაკლიტე ნათელმხილველი, რუსთველი, კანტი, დიონისე, პეტრე, დოქტორი, იაზონი, მედეა ან აიეტი, მიქაელი, იოანე და პარციფალი, ან გიორგი. და ... თვით ქრისტე და თვით მეც კი, მამა ყოველთა, რათა ჩემს, ნაშობს მზეთასნორ რაინდს საბოლოოდ აეხსნა უვიცობის შავი სუდარა წარსული... და მომავალი... ვერ მოვესწრები..." აქ პატარა პოლიგლოტმა ბავშვური სიჯიუტითა და ბრძნული ხანდაზმულობით შეატყო-რა, რომ მისი სათაყვანებელი მამა თანდათან

იღლებოდა, ხოლო თემა ამოხოცვისა კი ჯერ კიდევ ნახევრამდეც არ ჰქონდა ამოწურული, შეაწყვეტინა მშობელ მამას თავდავიწყებული აღმაფრენა და განაგრძო, რათა დაემტკიცებინა თავისი უზადო ფრანგულით, რომ თვითონ იყო ინტელიგენტი და არავინ სხვა მას არ ესაჭიროებოდა: "me torchai après d'un couvre-chef, d'un oreiller, d'une pantoufle, d'une gibecière, d'un panier – ô le désagréable torchecul! puis d'un chapeau... Le meilleur de tous est le chapeau de poil, car il absorbe très bien la matière fécale. puis me torchai d'une poule, d'un coq, d'un poulet, de la peau d'un veau, d'un lièvre, d'un pigeon, d'un cormoran, d'une serviette d'avocat, d'une cagoule, d'un coiffe, d'un leurre. Mais, pour conclure, je dis et maintiens qu'il n'y a de meilleur torche-cul qu'un oison bien duveté, pourvu qu'on lui tienne la tête entre les jambes. Et croyez-m'en, sur mon honneur, car vous sentez au trou du cul une volupté mirifique, tant par la douceur de ce duvet que par la chaleur tempérée de l'oison, facilement communiquée au boyau culier et autres instincts jusqu'à venir à la région du cœur et du cerveau.

"Et ne croyez pas que la béatitude des héros et des demi-héros, aux Champs-Elysées, soit dans leur asphodèle, dans leur ambroisie, dans le nectar, comme disent les vieilles ici-bas. Elle est, selon moi, en ce qu'ils se torchent le cul d'un oison. Telle est, d'ailleurs, l'opinion de maître George de Khoch"...

ხოლო რაც შეეხება ოქტომბრის რევოლუციას, რომელიც ამასობაში ურთიერთამოხოცვიდან გამოკვესილი ნაპერწკლიდან გრანდიოზულ ხანძრად მოედო მსოფლიოს, განაგრძო ჩემმა ქიმერამ, იგი სწორედ იმიტომ მოაწყვეს, რომ პატარა ზვიადი ჭკუის კოლოფისათვის მთელი ბატის ჭუკები დაეწამლათ („ჯერ ერთი ქათმის, მერეც სუკები და საერთოდ უვიცი ბრძანდებით და არაფერიც არ გაგეგებათ, თავად სუკო, ბატო და ქათამო, – აელვარდა უეცრად ბატონი ფერდინანდად მონათლულის აქამდე მოკნავებული ქიმერა და ისეთი ძალით წამოიმართა, რომ ეჭვი შეგვეპარა, გიორგის გადაცმული გველეშაპი ხომ არ იყო იგი და თავს ფერდინანდად მონათლულის ქიმერად ასაღებდა აქამდე. მართლაც, ისე გამოირკვა, რომ

ფერდინანდად მონათლულს ქიმერა არც ჰყავდა, ვგონებ, რადგან აქამდე არც შემიმჩნევია, რომ თავი გამოეყო მისი გაცრეცილი შარვლის ჯიბიდან ან გახუნებული საყელოდან. სასკორეთის წმენდა თქვენ თამაში გგონიათ! მრისხანედ დაასრულა მან და თავის ადგილას ჩაეშვა ფერდინანდად მონათლულის ლაჯებს შორის") ელისეს მინდვრებისაკენ მიმავალი ყველა გზის გადასაკეტად... თორემ თქვენს მტერს, რაც რომ ელისეს მინდვრებზე სუნი დადგებოდა... – აღფრთოვანებულმა ძმაკაცებმა ერთი ტაშისცემა და ვაშაობა ასტეხეს ამ სიტყვებზე და ისეთი დაურთეს დივინდორის შეძრწუნებულ ქიმერას, რომ გეგონებოდა, სულ მისი ბრალი იყო, რომ მათ კუჭი შეკრული ჰქონდათ და ჩვენი გატყავებული ჯიბე არ აძლევდა საშუალებას ზოგჯერ მაინც დამტკბარიყვნენ იმ ბუნებრივი საქმით, რომელზედაც უთქვამს პოეტს: „ბედნიერება მაშინაა, როცა ისაქმებ, როს გესაქმება მოუთმენლადა". რაც მიუთითებს, რომ ბედნიერება დროში განფენილი პროცესია და არა სივრცეში შედედებული საგანი, დროშა, ღერბი, ან კისერწაწყვეტილი ბატის ჭუკი.

ქიმერების დისპუტი მეტად მწვავედ მიმდინარეობდა და არავინ იცის, რითი დამთავრდებოდა, ფერდინანდად მონათლულს (რომელსაც თავისი ქიმერა არ ჰყავდა თუ, ყოველ შემთხვევაში, ბოლო დრომდე არ გამოუჩენია) რომ თავი არ წამოეყო რევოლუციის ხსენებაზე და ხელი არ გაეშვირა რენის ქუჩისაკენ, საიდანაც მოემართებოდა დემონსტრანტების საკმაოდ ძლიერი ნაკადი.

ბევრი, ძალიან ბევრი დემონსტრაცია უნახავს პარიზს, მაგრამ არასოდეს არ მოსწრებია მსგავს გამოცოცხლებას მიძინებული სასკორეთისა, კოკონიეთისა, იბანელეთისა, ზურგიელეთისა, ჩახოხბილეთისა, საცივისტეთისა, არკადიელეთისა, ხაჭაპურეთისა, კარტოფილეთისა, საბორშეთისა, ანდუიეთისა, საბრინჯეთისა, პუდინგეთისა, კოშონიეთისა, აჯიკეთისა, ხაბიზგინეთისა, საფხალეთისა, ქუსქუსეთისა, ჩაქაფულეთისა, ყაურმეთისა, სალობიოსა, ყვერეთისა, სახინკლეთისა, საფლავეთისა, სუჯუკეთისა, ჩინეთისა, რუსე-

თისა, მწვანეეთისა, წითლეთისა, ყავისფერეთისა, ყვითელი-თისა, შავეთისა, კუბელეთისა, კვადრატეთისა, წრეთისა, ხა-ზეთისა და წყნეთისა თავისი სახელოვანი მაწვნისმზიდველი ვირებითა, რაც ნამდვილად მოასწავებდა იმას, რომ კაცობ-რიობამ ფეხი შედგა ახალ ერაში თავისი არსებობისა და ამიე-რიდან მისი გზა მხოლოდ კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული პრომეთეოსისა და კავკასიონის ქვეშ ჩატანებული ამირანის-კენ მიემართებოდა. დროშებისა და ტრანსპარანტების სიმ-რავლემ აღაფრთოვანა ჩვენი ქიმერები, რომლებმაც თავი ანებეს ურთიერთის ცემა-ტყეპას ზემოთაღწერილი შეკრუ-ლობისა გამო, რაც მათ მარტორქებს უფრო ამსგავსებდა, ვიდრე ტანმსუბუქ ფრთოსან ხვლიკებსა და ურჩხულებს, გა-მოდევნილებს კათოლიკური ტაძრების წმინდა სივრციდან და ისეთი სიმკვირცხლით წამოიშალნენ, რომ საბრალო ბატონი ფლობი, მისთვის რომ ბატონ ბოდლის ხელი არ ეკრა, ტვინს შეაზელდა კარის თავზე გადმოკიდებულ საჩრდილობელს, ხოლო ბატონი ბოდლი კი თავის მხრით ვერ გადარჩებოდა, მისთვის რომ დივინდორს ხელი მაგრად არ ჩაეკიდა და ამით არ შეეჩერებინა წონასწორობაში, მაშინ როდესაც თვითონ დივინდორს ფერდინანდად მონათლული მოეხვია ფეხებზე, რადგან მას ქიმერა არ ჰყავდა, თუ ჯერ კიდევ მალავდა და არ აჩენდა, ან დასჯილი ჰყავდა იმ თავაშვებულობისათვის, რომ-ლითაც მან თავისი მეზობელი რაბინის ქიმერას თვალები და-სთხარა, წვერი გაპარსა და წოწოლა ქუდში ჩაასკორა, ხოლო ჩემს ქიმერას კი შეურაცხყოფა მიაყენა. ამ გზით, როგორც იქნა, ყველანი თავის ადგილას დარჩნენ, ხოლო მოხუცმა კი ერთი უჩუმრად გულიანად ჩაიხითხითა ამის შემყურემ, ფეხე-ბი ტახტზე მოირთხა, მუთაქა მუცლისქვეშ ამოიდო, ზედ იდაყვებით დაეყრდნო, იდაყვებზე დაყრდნობილ ხელებს თა-ვი დაასვენა, დამცინავად მოჭუტული თვალებით და გლეხ-კახურად ვირეშმაკული აცისკროვნებული მზერით დააცქერ-და მონპარნასის დემონსტრაციას: სიზმარი ესიზმრებათ სიზ-მრებს, – ხითხითებდა იგი უჩუმარ-მხიარულად, – დემონსტ-რაცია... დემონ-სტრაცია... დე-მონსტრ- აცია... ჰხე, ჰხე, ჰხე...

სიზმარი ესიზმრებათ სიზმრებს... ჰხე... ჰხე... ჰხე... ხითხითებდა იგი უხმოდ, რადგან სიტყვის წარმოთქმას ახალი დასაწყისი უნდა მოჰყოლოდა, რაც ძირფესვიანად შეცვლიდა მთელს სურათს და მის მხიარულ განწყობილებასაც შემოქმედებითი ტანჯვის სუდარას გადააფარებდა, შავ ნახვრეტში შეაბრუნებდა, ვიდრე არ ჩაურთავდა დროს და არ გაახალისებდა ცოტაოდნად მაინც თავის არსებობას ჭრიჭინა ტახტზე ერთი კუთხიდან მეორეზე გადაცოცებით გულგაწყალებულს. – როდის ამის შემდეგ ისინი დაწყვილდებიან, შესცოდავენ, დაისჯებიან, გამრავლდებიან, ხელში მოხვედრილ საგანს გამოიყენებენ, ხიდან ჩამოხტებიან, გამოქვაბულებში გადაიზამთრებენ, ხატვას ისწავლიან, სიმღერას ისწავლიან, ცეკვას ისწავლიან, ომობანას ითამაშებენ, ნადირობას შეუდგებიან, მიწას დაამუშავებენ, მოსავალს მოიყვანენ, სტუმარს დაპატიჟებენ, მსხვერპლს შესწირავენ, საკურთხეველს დადგამენ, გარეულს მოაშინაურებენ, ადამიანი გამაიმუნდება, წელში გაიმართება, პელაზგები გაკარდუელდებიან, კარდუელები გაველურდებიან, ველურები მოშინაურდებიან, წერა-კითხვას ისწავლიან, გაქართველდებიან, ტაძრებს ააშენებენ, ზიკურატს ააშენებენ, პართენონს ააშენებენ, რომს ააშენებენ, ათენს ააშენებენ, ჯვარს ააგებენ, სვეტიცხოველს ააგებენ, ნიკორწმინდას ააშენებენ, ვეზლეს ააშენებენ, გოთურ ტაძარს ააშენებენ, გუდეა მოვა, გილგამეში მოვა, მოსე მოვა, ჰომეროსი მოვა, ბუდა მოვა, ზარათუსტრა მოვა, ლაო ძზი მოვა, კონფუციუსი მოვა, ჰერაკლიტე მოვა, პლატონი მოვა, არისტოტელე მოვა, მოვალ და მოვალ, სახელებით მოვალ, სახელებს გადამარქმევენ, სახელებს შემიცვლიან, ძეი ჩემი მოვა, დივნოსი მოვა, მუჰამედი მოვა, ფირდოუსი მოვა, ჰაფეზი მოვა, ხაიამი მოვა, რუსთველი მოვა, დანტე მოვა, ლეონარდო მოვა, მონტევერდი მოვა, მიქელანჯელო მოვა, ბახი მოვა, რაბლე მოვა, შექსპირი მოვა, ბეთჰოვენი მოვა, სვიფტი მოვა, ველასკეზი მოვა, ელ გრეკო მოვა, ვერმეერი მოვა, რაფაელი მოვა, ტინტორეტო მოვა, ვინლა არ მოვა, გოგოლი მოვა, პუშკინი მოვა, დოსტოევსკი მოვა, ილია მოვა, ვაჟა მოვა, ჯოისი

მოვა, პრუსტი მოვა, გალაკტიონი მოვა, ებრაელები მოვლენ, ბუდისტები მოვლენ, ზოროასტრები მოვლენ, ქრისტიანები მოვლენ, მაჰმადიანები მოვლენ, ჯვაროსნული ომები დადგება, ასწლიანი ომი დადგება, ოცდაათწლიანი ომი დადგება, კოლონიზაცია დაიწყება, ამერიკას აღმოაჩენენ, პირველი მსოფლიო ომი მოვა, მონარქიები დაინგრევა, იმპერიები დაინგრევა, მეორე მსოფლიო დადგება, მარქსისტები მოვლენ, ნაცისტები მოვლენ, პოლიტიკოსები მოვლენ, თაღლითები მოვლენ, იდეოლოგები მოვლენ, მაღალნი მოვლენ, მდაბიონი მოვლენ, სულიერნი მოვლენ, უსულონი მოვლენ, უგულონი მოვლენ, უსისხლონი მოვლენ, უნიჭონი მოვლენ, მხდალნი მოვლენ, ზვიადნი მოვლენ, ერთმანეთს დაერევიან, დაინგრევიან, აღორძინდებიან, დაფიქრდებიან, აფრინდებიან... სიზმრების პეპლები... სიზმრების პეპლები... სიზმრების პეპლები... სიყვარულით დასცქეროდა მოხუცი უთვალავ ფერად გაშლილ ბაღნარს და გული უჩქროლდებოდა იმის წარმოდგენაზეც კი, რომ ეს ყოველივე შეიძლება გამქრალიყო მისი ერთი უნებურად წარმოთქმული სიტყვით... ერთი გაფიქრებით... როგორ უნდოდა მას, გამოლაპარაკებოდა ვინმეს, როგორ უნდოდა, ემღერა მათთან ერთად, ეგალობა, გამოსიტყვებოდა... მაგრამ... მაგრამ... ასე განუსაზღვრა თავის თავს ერთხელ და სამუდამოდ – სიტყვა აღარ უნდა ამოელო... – მოხუცის თვალების ნაღვლიანი ათინათი გაკრთა და გადაირბინა მონპარნასის მოპირდაპირე მხარეს, სადაც დემონსტრანტებს უკვე შეეგროვებინათ თავისი ტრანსპარანტები და დროშები და წინ გამოეშვათ ბელადები, რომლებიც აღგზნებითა და შემართებით მოუწოდებდნენ, არ დაეხიათ უკან, ეარათ წინ, არ დაეშვათ ხელები, მოეთხოვათ თანასწორობა, გადაეგდოთ მთავრობა, დაენიშნათ პრეფექტები, შეექმნათ გვარდია, ეშიმშილათ სიკვდილამდე, წინ გამოეშვათ დედები და შავსუდარიანები, მამები და სვანურქუდიანები, ჩაქურიანები და ყაბალახიანები, მაღლები და დაბლები შეცვლილიყვნენ ადგილებით, შეეწყვიტათ ომი, მოეხერხათ ყველა კუთხეები, დაემრგვალებინათ ყველა მაგიდები, და გაეთავისუფლებინათ კი-

ბეები, რომელზედაც ახლა ადიოდა ზვიადი სანახავად, სულით მკაფავი მსახური დემონსტრანტებისა და მიკროფონთან მისვლამდე იწყებდა მგზნებარედ:

შესაქმე ჯერ არ დამთავრებულა, თუნდაც იმისა, რაც ადამიანს ეხება... ბიოლოგიური თვალთახედვით ადამიანი სუფთად მეტამორფოზის ფაზას მიუახლოვდა... ადამიანთა ახალი ვარიანტები იწყებენ წარმოჩენას... მეცნიერული თვალსაზრისით და ბუნებრივი თვალსაზრისით ერთგვარი მუტაცია... ადამიანთა ჩვეული სახეობა უკვე შევიდა გადაგვარების სტადიაში... შემოქმედების მთელი ძალა კონცენტრირებული იქნება ახალ სახეობაზე... ორი სახეობა სწრფად განვითარდება საწინააღმდეგო მიმართულების განსხვავებულობით... ერთი გაქრება, მაშინ, როდესაც მეორე გაივრცობა და დიდად გადაასწრებს დღევანდელ ადამიანს, (ტაში) მე საკმაო სურვილი მაქვს, ვუწოდო ამ ორ სახეობას ადამიანი-ღმერთი და ცხოველ-მასა (ტაში).

დიახ, ადამიანი არის რაღაც, რაც დაძლეულ უნდა იქნას... დიახ, ადამიანი. იკავებს ღმერთის ადგილს... ეს არის სრულიად მარტივი ჭეშმარიტება... ადამიანი არის მომავალი ღმერთი... ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, გადალახოს თავისი საკუთარი საზღვრები... როგორც კი ის გაჩერდება და შემოისაზღვრება, ის შედის საშიშ დეგენერაციაში და ეცემა ადამიანურ დონეზე უფრო დაბლა... ის უახლოვდება ცხოველურობას... ღმერთისა და ცხოველების სამყარო, აი, რა გვაქვს ჩვენ წინაშე... გესმით თქვენ ახლა ჩვენი მოძრაობის ღრმა აზრი?... მოძრაობა. შეიძლება იყოს რამე უფრო დიდი და უფრო დიადი? იგი მეტია, ვიდრე რელიგია: ეს არის მისწრაფება ახალი ადამიანის შექმნისა... (სტადიონი ფეხზე წამოიჭრება და აღტაცებული ჰყვირის: გაუ... გაუ გაუ-მარ-ჯოს! ზუსტად მასეა – ყვირის თავისი მხრივ იგი და სტადიონი ჩუმდება) – თქვენ ძალიან კარგად გამოხატეთ ჩემი ნააზრევი... ჩვენს დროს ყოველი პოლიტიკა, რომელსაც არა აქვს საფუძველი ან მიზანი, არის ბრმა პოლიტიკა... ჩემი პოლიტიკა არ არის ეროვნული პოლიტიკა. ის ამყარებს თავის ღირებულე-

ბებს და მიზნებს გაცილებით უფრო ფართო სკალაზე. ის შეიცავს ადამიანის ცოდნას, ბუნების კანონებისა და ცხოვრების ცოდნას... ღმერთისა და კოსმოსის ცოდნას...

ახალი ადამიანი ჩვენს შორის ცხოვრობს. ის აქ არის, გაკმაყოფილებთ ეს? – მე ვხედავ ახალ ადამიანს. ის არის უშიშარი და დაუნდობელი... მე ვძრწი მის წინაშე... სტადიონი ექსტაზში წამოიჭრება ფეხზე, იმეორებს: ახალი ადამიანი ჩვენს შორის ცხოვრობს. ის აქ არის. გაკმაყოფილებთ ეს? ჩვენ ვხედავთ ახალ ადამიანს. ის არის უშიშარი და დაუნდობელი... ჩვენ ვძრწით მის წინაშე... ჩვენ გვეშინია მისი...

ამ სიტყვებით იგი პრომეთეს ღვიძლიდან ახალაფრენილი გამძლარი კოლხეთის არწივივით გაშლის ფრთებს და გადმოხედავს ზევიდან მოხუცს, რომელმაც ის-ის იყო თვლემა დაამთავრა და მჭმუნვარე სახით გარინდულიყო მუთაქაზე იდაყვდაყრდნობილი და თავჩაქინდრული...

სიზმარი ესიზმრებოდა სევდამორეულ მსიზმრებელს...

– სენტა... – ჯერ ჩუმად ჩაილაპარაკა გიორგიმ, მაგრამ არავინ რომ ხმა არ გასცა, ხელის ქნევით მოიხმო მომსახურე კაცი და წითელი ღვინო შეუკვეთა... ბროლიო. სან-მარკოს მოედანზე ერთმანეთში არეული მტრედებისა და ტურისტების სიჭრელე კი არ აფხიზლებდა, არამედ თვლემას ჰგვრიდა, ხოლო წითელი ბროლიო სასიამოვნოდ უბუჟებდა სისხლის მიმოქცევას და მთელ სურათს იდუმალების ბურუსით მოსავდა. ბატონი ბოდლი უკვე კარგა ხანია თვლემდა თავის მარადიულ ტროსტზე დაყრდნობილი, ხოლო დივინდორი, აპრუნული, წაწვეტებული, მომრგვალებული, იმპერიალისტური, ულტრა-რაციონალისტური, ვერტიკალური ნათელი მისტიციზმივით ცისკენ მიმახული და ესპანელთა ვერტიკალური სინდიკატების მსგავსი ულვაშებით გულაჩქარებული მიშტერებოდა სან-მარკოს მბზინავ გუმბათებს, რომელთა ოქროს ბრწყინვალებაში საკუთარ მარადიულ არსებას ხედავდა, თორემ საიდან უნდა მცოდნოდა, რას გრძნობდა დიადი დივინდორი, თუ არც ის და არც მისი ზანზალაკებიანი ქიმერა არ იღებდნენ ხმას და არ გამოხატავდნენ არავითარ აღტაცებას

თავისი გრძნობებით დანახულის მიმართ. დივინდორის ჩვეულმა სენტიმენტალურმა ექსგიბიციონიზმმა ანუ გაშიშვლებამ, რომლითაც იგი მით უფრო დიდის მონდომებით იშიშვლებდა თავს ქვეყნიერების წინაშე, რაც უფრო მეტად იმალავდა მას მისი უახლოესი მეგობარი, მონათლული ფერდინანდად, რომელიც ახლა მთელი ტოპრაკა ნამცეცებით, წინდახედულად გამოყოლილით ჩვენი უკანასკნელი სუფრიდან მონპარნასზე, უმასპინძლდებოდა მოედნის შუაგულში მის ირგვლივ შემოჯარულ მტრედებსა და იაპონელ ტურისტებს, რომელნიც აპარატების ჩხაკუნით თავის მხიარულ ცნობისმოყვარეობას აპურწყალებდნენ და ფერდინანდად მონათლულსაც დიდებული სან-მარკოს საკვირველებად მიიჩნევდნენ, ჩემი ქიმერა ისეთ აღტყინებაში მოიყვანა, რომ ვნებისაგან აკანკალებულმა გამსკდარი ნაღვლის ბუშტივით დაკარგა სახე და შარვლის ტოტებში ჩაიღვარა. გარიჟრაჟი დგებოდა. ცისკარი ზანტი ჭრიალივით იხდიდა სიზმრების ჭრელ საბანს და ძლივს იწევდა ტანს ლოგინიდან ძილისაგან გაბურსალებული მზერით, თეთრი საღამური პერანგითა და თავზე წამოცმული ღამის ნოწოლა ქუდით, რომლის ბოლოში გამობმული ჟღარუნები მის ყოველ გაზმორებაზე და თავის მიბრუნებაზე ჩიტების ათასხმოვან ჟღურტულად ეფრქვეოდა თავზე გარინდულ სან-მარკოს მოედანს, სადაც უკვე დიდი ხანია, რაც დასრულდა უკანასკნელი კარნავალი და ახლა მწმენდავი მანქანები ხვეტდნენ და რწყავდნენ ქვაფენილს.

– ოქროს ნამდვილად აქვს სექსუალური ენერგიის მაგნიტური ძალა, – თვალი გააჭყიტა უეცრად დივინდორმა, – ოქროს გუმბათები ღმერთს სექსუალურად იზიდავს, როგორც გადახსნილი საშო მიიზიდება გამანოყიერებელი ფალოსისაკენ... ესე იგი გუმბათისაკენ... ახლა შეხედეთ, რა ხდება შიგნით, როგორ იღვენთება და იღვრება ეს ღვთაებრივი ოქრო, კოსმიური განაყოფიერების პირმშო ხატოვან ათინათებად მარადიული ყოფიერებისა... ეს ყველაფერი არის... აქ, ახლა, ამ წუთში და ყოველთვის... მარადიული განოყიერება და ხატება, ეს გრანდიოზული და დაუსრულებელი აქტი სიყვარუ-

ლისა, sexus transcendentalis დაუფარავად და უსირცხვილოდ გაშლილი ჩვენს თვალწინ... რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო დიდებული, ამაზე უფრო ზვიადი... ძირს სირცხვილი... – გადავიდა უეცრად უსირცხვილო ფრანგულზე, – au dessus de tout se levèrent les immenses visages exténués et hydropiques des glorieux et grandes masturbateurs affublés de leur sauterelles, aux faces de communistes, aux ventres napoléoniens, aux cuisses hitlériennes féminisées qui s'agrippaient â ma bouche... – და ისევ კდემამოსილ ქართულზე გადმობარგდა, – ოქროსია ღმერთის სექსუალური ენერგია და ოქროსია მისი სპერმაც... ეს ენერგია ანაყოფიერებს ცას და ხილვად ოქროს თესლად ილვრება გუმბათზე და ტაძარში ანაყოფიერებს ადამიანს თავის შიგნით... რადგან შიგნით ისაა, რაც გარეთ... ადამიანი ბუნებაში, როგორც ღვთაებრივ ოქროს თესლში, ისეა გახვეული და განაყოფიერებული, როგორც ყოფიერება...

– Petit Divindor! j'étais en train de rêver que par la porte entrouverte, je t'apercevais d'autres hommes... Vous pesiez de l'or! mon talatieu, mon trêsor, mon pesant d'or! – მძინარე თავი გამოყო ზანზალაკებიანმა ქიმერამ და ვნებიანად აულოკა ნიცშეს იმპოტენტურად ჩამოყრილი ულვაშების მდელოსაგან ესოდენ განსხვავებული დივინდორის ცისკენ აყენებული ზვიადი ულვაშები. მომდევნო დიალოგი ფრანგულ ენაზე წარიმართა, რადგან ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ფრანგული ენა განსაკუთრებული დახვეწილობით გამოირჩევა და არაფრით ჩამოუვარდება პელაზგურს, რომლიდანაც ბერძნებმა თუ რამ შეინარჩუნეს, მხოლოდ და მხოლოდ აზრის დამალვის ტექნიკა, ანუ ერთის თქმისა და მეორის გაფიქრების ტექნოლოგია, რომლითაც პელაზგებმა თავგზა აუბნიეს ისეთ სახელოვან გმირებს, როგორიც იყო პონტოელი აქილევსი და თვით პარისიც, რომლის პელაზგურმა უსირცხვილობამ გამოიწვია ტროას ომი და საბოლოოდ კაცობრიობას ის ხვედრი განუმზადა, რომელიც მას ერგო, როდესაც სამ ულამაზეს ქალიშვილს ერთდროულად უკმაყოფილებდა პატივმოყვარეობას და ქმნიდა კაცობრიობის უნივერსალური ცივილიზაციის

საწყისებს, რომლებსაც მცირეოდენი ხნის შემდეგ ძირმოჯადოებული დოქტორი ოიდიპოს ფრუიდიშვილი, ძირსრულ დოქტორ გარგანტუა შტაინცაიტანტროპოსოფისტელლისთან ერთად თავის ადგილს მიუჩენს ცისქვეშ, განსაკუთრებით მეხუთე რასის ანტროპოიდებში, რომლების მეექვსე ქვეტიპიდან წარმოშობილი უბრალოიდები პელაზგების ზვიადი სიბრძნის შეთვისების გზით გადაარჩენენ კაცობრიობას ნეოატლანტებისაგან, რომელთა პონტოში დაბრუნების დროც თანდათან ახლოვდებოდა. სწორედ მაშინ იყო, იმ თაღლითმა პარისმა რომ ეშმაკურად გააცურა სამი სწორუპოვარი ქალღმერთი, ხოლო თვითონ კი მშვენიერი ჰელენე დაიიღლიავა და ისეთი ორომტრიალი ატეხა აზიის მისადგომებთან, რომლის ბადალი არ დასიზმრებიათ სიჰონს, ამორეველთა მეფეს, ხეშბონში მჯდარს, გალაადის ხევში; და აგრეთვე სხვათაც, – მთაში და ბარში, ველზე, მთის კალთებზე, უდაბნოში და ნეგებში – ხეთელთა, ამორეველთა, ქანაანელთა, ფერიზელთა, ხივიელთა, და იებუსელთა მეფეებს, და არც იერიქონის მეფეს, არც ჰაყაის და ბეთილის გვერდით რომ არის, იმ მეფეს, არც იერუსალიმის მეფეს, არც ლაქიშის მეფეს, არც ყეგლონის მეფეს, არც გეზერის მეფეს, არც დაბირის მეფეს, არც გედერის მეფეს, არც ხორმას მეფეს, არც ერადის მეფეს, არც ლიბნას მეფეს, არც ბეთელის მეფეს, არც თაფხუას მეფეს, არც ხეფერის მეფეს, არც აფეკის მეფეს, არც ლაშარონის მეფეს, არც მადონის მეფეს, არც ხაცორის მეფეს, არც შიმრონმერონის მეფეს, არც თაყანის მეფეს, არც მეგიდოს მეფეს, არც კედეშის მეფეს, არც იოკნეყამის მეფეს ქარმელში, არც დორის მეფეს ნაფათ-დორში, არც გოიმის მეფეს გილგალში, კულაშში, გრაკალში და ზემო საღორიაში, სადაც კლდიდან გადაიჩეხნენ ბაკულას ცნობილი ღორები, თუმცა ყველანი ღვთითშემოსილი მსიზმრებელნი იყვნენ თავ-თავიანთ სარეცელზე.

ცხოვრება პირველ რიგში თანამონაწილეობაა. დიონისე არეოპაგელის შემდეგ დასავლეთში არავინ – არც ლეონარდო და ვინჩი, არც პარაცელსი, არც გოეთე, არც ნიცშე – არ იყვ-

ნენ ღვთაებრივსავით შერწყმულნი კოსმოსს... ადამიანის აყვანა შემოქმედებით პროცესამდე, კოსმიური და სოციალური ცხოვრების დაპურება არის მხატვრის როლი და ეს არის, უეჭველად, აღორძინების თავადთა ჭეშმარიტი ღირსება, რომ მიხვდნენ რა ამას, ანდობდნენ თავიანთი ზეიმების ორგანიზებას ლეონარდოს ან ბრუნელესკის და არა ლუნაჩარსკის ან თემურ ლანგს, – თავისი ოქროს ზანზალაკების წკარუნით წარმოსთქვა მან და ამ გადავარდისფერებული, მორცხვი ალიონის მოჟღურტულე რენესანსული დილით სასაუბროდ გამოიწვია თავისი პატრონი, ვიდრე ბატონ ბოდლის თავის განუშორებელ სფინქსისთავიან ტროსტზე დაყრდნობილი თავი ჩამოუვარდებოდა, ბატონი ფლობი რიჟრაჟის სეირნობიდან დაბრუნდებოდა, ფერდინანდად მონათლული ცნობაუძღებ იაპონელ ტურისტებსა და მტრედებს დააპურებდა, ხოლო გიორგი თავისი ღვთაებრივი საფერავის უკანასკნელ წვეთებს ჩაიწურავდა ყელში და მადლიერად ახედავდა ტახტზე მორთხმულ მხიარულად დამცინავი აცისკროვნებით მოჩერებულ მოხუცს.

ფაქტობრივად, აღორძინების უმაღლეს მომენტებში დღესასწაული აცხოველებდა არსებობრივ სიამოვნებებს, ინფორმაციის მორალურ სტრუქტურას: სნობიზმი, შპიონაჟი, კონტრ-შპიონაჟი, მაკიაველიზმი, ლიტურგია, ესთეტიკური კოხტაპრუწაობა, გასტრონომიული იეზუიტიზმი, ფეოდალური და ლილიპუტიური უბედურობანი, შეჯიბრებანი დაცომებული კრეტინებისა... – დივინდორი კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ქიმერამ აღარ აცალა და თავისი ვარდისფერი ენა პირში შეუყო, თითქოს იქ დაგუბებული სათქმელის საშრობივით შესაწოვად, რამაც დივინდორს ყელი გაუხმო და გაუხმოებულმა ძლივს მოახერხა, ხელით ენიშნებინა გიორგისათვის, „არიქა, წყალიო!“, რაც გიორგიმ თავისებური გამჭრიახობით, რომლითაც მან თავის დროზე წყლისმიმტაცებელი და ქვეყნისგამახმობელი გველეშაპი დაამარცხა, ჯერ „ღვინოო?!“, იკითხა, და შემდეგ მოდარაჯე ოფიციანტს გასძახა: „სენტა! ბროლიო! ბროლიო! დივინდორს!“. ის კი თავ-

ქუდმოგლეჯილი გავარდა მოუსვლელში და ვიდრე იქიდან დაბრუნდებოდა, მზეჭაბუკივით დამაშვრალი და მოცახცახე ლანგარზე დადებული ორი ბროლის გამჭვირვალე ჭიქით, დივინდორს ნერწყვის ისეთი ჩანჩქერი გადმოუვიდა პირიდან, რომ მის პირში ენაშეყოფილი ქიმერა კინაღამ ნოედ არ გადაინათლა, რომ წარღვნას გადარჩენოდა, მაგრამ ყოველივე სწრაფად ჩაწყნარდა და მას შეეძლო განეგრძო მშვიდი საუბარი თავის პატრონთან, რომელმაც ეს სიტყვები ამოაყოლა თავისი ნერწყვის მისტიკურ ნიაღვარს.

– მისტიკა ყველია; ქრისტე ყველთაგანია, კიდევ უკეთესი, – ყველის მთაა; განა არ გვაგონებს წმინდა ავგუსტინე, რომ ქრისტეზე ბიბლიაში ითქმის „შედედებული მთა“, „ფერმენტული მთა“, რაც გაგებულ უნდა იქნას, როგორც ნამდვილი ყველის მთა... ხოლო *მისტიკური ყველი, ღვთაებრივი!*

– შაფარრინადა, შაფარრინადა, შაფარრინადა, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო დივინდორის ზანზალაკებიანმა ნაღვართმშვენიერმა ქიმერამ, რომელიც დივინდორიდან გადმოჩქერილმა ნიაღვარმა ფუნჯის წვერზე მიაგდო და ცის თეთრ კარს მიახატა ერთი მოსმით – ეს იყო ახალი თესლი, რომლიდანაც იშვა ყველა მომავალი ფერმწერი მსოფლიოსი, რადგან ველასკეზის „შაფარინადები“ ეკუმენურები არიან... ამის გაგონებაზე ფერდინანდად მონათლულმა სახეგაბადრულ იაპონელ ტურისტებს მორჩილად დაუჩოქა წინ და წკრიალა ხმით წარმოსთქვა: „არიმასენ... არიმასენ... არიმასენ...“ რითაც ამომავალი მზის სხივებით მოფენილ სან-მარკოს მოედანზე ნიკონებს, რიკონებს, სონის, ტოშიბას და სანიოს, სუძუკის, ტოიოტას, ჰონდას და ნისანის ისეთი ჩხაკაჩხუკი და ძაგძაგი აატეხინა, რომ დამფრთხალი მტრედების გუნდი ერთიანად აიშალა და გულგახეთქილი ფრიალ-ფრიალით შეეფრქვია დოჟების სასახლეს, როგორც ნოეს კიდობანს წარღვნის დასასრულის მაუწყებელი პიკასოს მიერ უკვდავყოფილი მშვიდობის მტრედი. იაპონელმა ტურისტებმა ფერდინანდად მონათლულს თავი ანებეს და მწყობრი სირბილით გადაირბინეს სან-მარკოს მოედანი ამომავალი მზის მიმართულებით და

ტაძრის შესასვლელში გაუჩინარდნენ. სან-მარკოს მოედანზე განთიადის სიმშვიდე ჩამონვა...

– მაინც, საიდან აღივსეთ ამგვარი უდიერობით? – მიუბრუნდა გიორგი ფერდინანდად მონათლულს, როდესაც მან იაპონელი ტურისტები გადარეკა ამომავალი მზის მხარეს და ჩვენს მაგიდას დაუბრუნდა, რომლის ირგვლივ ისევ იკრიბებოდნენ ახალთვლემამორეული ბატონი ბოდლი, სეირნობიდან დაბრუნებული ბატონი ფლობი, უქიმეროდ დარჩენილი გულმდუღარე დივინდორი, უკეთურთმრისხველი გიორგი და მე, სამუშაოდან ახალდაბრუნებული და ჯერაც პირდაუბანელი მგზავრი გადმოფრენილი მსიზმრებელის სიზმრიდან სან-მარკოს მოედანზე, ჩამოყოლილი მოხუცის უჩუმარი სიცილისაგან მოცახცახე აბურდულ წვერს, რომლის ხლართებში კინაღამ ჩავექსოვე, როგორც ამირანი თავის მთისქვეშეთში ან პრომეთე კავკასიონის ჯაჭვებში...

– ეს ჩვენი უბანი პირთამდე სავსეა ღმერთებით, ისე რომ, აქ ღმერთის პოვნა უფრო ადვილია, ვიდრე კაცისა, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ მე აქ შურის საძიებლად ვარ მოსული და ჩემთვის განკუთვნილი გველეშაპების დაფრთხობისათვის გასამართლებთ. უბრალოდ, ვატყობ, რომ თქვენ წყალს უფრთხით და ყოველდღე ტანს არ იბანთ და არც სარცხვინელთ აპკურებთ მაცოცხლებელ სითხეს, რის გამოც ჭუჭყით გაბერილი ტიკებივით დაგორავთ აქეთ-იქით და ისხამთ მაგ გასაქრობ მუცელში თაფლმდინარე ქინძმარაულს, ხვანჭკარას, ახმეტას, თეთრას, ტვიშს, ჩხავერს, სავანეს, ალაზნის ველს, ნაფარეულს, ახაშენს, ოჯალეშს, უსახელაურს, ფსოუს, იზაბელას, გურჯაანს, წინანდალს, ბახტრიონს, მანავს, ვაზისუბანს, ციცქას, ცოლიკაურს, რქაწითელს, ტიბაანს, თელავს, სვირს, თელიანს, ყვარელს, მუკუზანს, ჰერეთს, კახეთს, გარეჯს, გელათს, იმერულ დიმს, ბოდბეს, საფერავს, თბილისურს, ფიროსმანს, ბარაკონს, კარდანახს, ანაგას, სიღნაღს, ივერიას, კოლხეთს, საამოს, ხიხვს, სალხინოს, ატენურს, აისს, სადარბაზოს, სახალისოს, გურულს, ანაკოფიას, ეგრისს, ვარციხეს, გრემს, ყაზბეგს, აფხაზეთს, ენისელს, თბილისს, საქართვე-

ლოს, ვარძიას, ჭაჭას, კოლხიდას, ვარდს, ტარხუნას, ჩაის და მიგიფურთხებიათ სიცივისათვის, რომელიც ამ მშვენიერ ვარდისფერ დილას მოუტანია თქვენთა ცოდვათა გასაყინად... მაგრამ, როგორც მშვენიერთა უმშვენიერესი პარისი არწმუნებდა ჰერას, აფროდიტესა და ათენას, როდესაც იმ ერთადერთ ვაშლს უნაწილებდა, რომელიც ძირძველად წინმაცქერალი პრომეთეს ცნობისმოყვარე ეჭვებით ჭკუაგადასულმა ცხვირწინმხედმა ეპიმეთემ იპოვა თავისი ცოლის საიდუმლო ყულაბაში და ადამის ვაშლად მიიჩნია... – ქალი ქალია და არავის არ უნდა გაუკეთო სიკეთე, რაც იგივეა, რომ ჭაში ჩააგდო, რადგან ბუზადაც არ ღირს, რამეთუ ბუზებსაც აქვთ თავმოყვარეობა და ქველი თვისებები... – თქვა გიორგიმ.

– ბოზებსაც, სარცხვინელთმშვენიერო გიორგი, ბოზებსაც... – გადმოსძახა იშტაზე მოსულ გიორგის ბატონი ფლობის დილის სეირნობიდან დაბრუნებულმა ფხიზელმა ქიმერამ, რომელსაც სიცივისაგან ალუჩისფერი მიეღო და ერთი სული ჰქონდა, ვინმეს ჩაჰხუტებოდა ან თაფლივით ღვინით ჩაეთბო სიცივისაგან გაძაგრული ყელი, – ჩვენ ყოველდღე არ ვიბანთ, რადგან წყალს კბილები აქვს და ჩვენს ცხოვრებას ყოველდღიურად ხრავს... ხრავს... ხრავს... – აქ ბატონი ფლობის გალურჯებულ ქიმერას ისეთი კბილის კაკანი დააწყებინა, გეგონებოდა, ტროას ომიდან გამორბოდა, რომელიც ელენეს გადარჩენისათვის წამოიწყეს პარისის წინააღმდეგ პელაზგების ჩამომავლებმა და პონტოელმა სკვითებმა თავიანთი სწორუპოვარი გმირების წინამძღოლობით, რომელთაგან ბევრი თავიანთი გემების კვალდაკვალ ჩაინთქა პონტოს მისადგომებთან, რადგან ამ დროს სწორედ იაზონი მედეას უძველეს კაცობრიოულ სიბრძნეს სტყუებდა, ხოლო გველეშაპს კი ეძინა, გიორგის მოლოდინში, რომ საბოლოოდ მისთვის დაეთმო ეს საუნჯეცა და წყლებიც, რომელთა დალევა აკრძალული ჰქონდათ ფაზისის მშვენიერ ფარშევანგებსაც კი, თუ ისინი ვერ დაამტკიცებდნენ, რომ მათი წინაპრები სწორედ ის პელაზგელი ხოხბები იყვნენ, რომლებსაც ღმერთმა (რომლის

სახელი მაშინ არავინ იცოდა და ხან დემეტრეს უწოდებდნენ, ხან იშტარს, ხან ენლილს, ხან ზურზუმელას, ხან არალეს და ხანაც გაიამს, – გოიმების მფარველს და ახურების ხელდამსხმელ გაცის თანამეცხედრეს, ხან მ-იქა-ელს, ტ-არი-ელს, აინანას, მაი-ნანას და ვინ იცის, კიდევ რას) შავი სუდარა გადაფარა ერთხელ და მით ყოველგვარი კავშირი შეუწყვიტა გარე სამყაროსთან, რამაც საბოლოოდ ამოშალა ისინი ტროელების მეხსიერებიდან და ჩვეულებრივ მოკვდავებად დაასახლა კავკასიონის ჯაჭვებით შემოგვალულ წყალუხვ, მაგრამ უცხო ჩიტებისათვის დასალევად აკრძალულ თავის ბაღში, რომელიც სიყვარულით დაუთმო მათ. გალურჯებული ქიმერის კბილების კაკანმა აპენინების ნახევარკუნძულზე სიმეტრიული რეზონანსის გამო მიწისძვრა გამოიწვია, რომელიც თანდათან საბერძნეთის კუნძულებს მოედო, სანტორინის ჩამოქცევა გამოიწვია, ვეზუვის ამოფრქვევა, პომპეის დაღუპვა, სიცილიის დამოუკიდებლობა, კორსიკაზე ნაპოლეონის დაბადება, კავკასიონზე ჭურში მჯდომი თავნება მამათმავალი გოიმების აზვიადება (რაშიდაც ნამდვილად გაიმის ხელი ერია და არა გაკოწიებული ამირანისა), სკვითების აწყვეტა, კამეჩების გაწყვეტა, კოლხეთის ჭაობების ამოშრობა, ციმბირის მდინარეების შებრუნება, ღვთისშვილთ დაბადება, ატლანტიდან ამობრუნება, ოლიმპოს განსახლება, პანამის არხის გათხრა, სუეცის არხის ამოვსება, სპარსეთის ყურების დაჭრა, პალესტინის დალამბვა, არჩევების გამანანება, ებრაელების დაპურება, ტროასთან შეყრილი გემების დალეწვა, პირველი რომის დაარსება, მესამე რომის აშენება, ამაზონიის ტყეების მოსპობა, კურილიის კუნძულების გაყიდვა, ჩინელების გაველურება, საფრანგეთის აკადემიის დაარსება, ნობელის გარდაცვალება, პიზის კოშკის გადახრა და კიდევ ათასი რამ უნდა მომხდარიყო, ბატონ ბოდლის რომ უეცრად თავი არ აეწია თავისი ურყევი ტროსტის სფინქსიდან და ერთი მაგრად არ ეთხლიშა ბატონი ფლობის ძვლებამდე გალურჯებული აკანკალებული ქიმერისათვის, რამაც მასზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორიც ნაცარქექიამ დევებზე, რო-

დესაც თავისი ზეცნობიერი ნაცრის ქექვას თავი მიანება და გონებასრული გამჭრიახობით ყველს წყალი ადინა გამოყეყეჩებული დევის თვალწინ. „რაღა იქნება, თუ არც ღმერთები და არც ადამიანები არ შეინწყალებენ ჩვენს კოლონიას", – ამოიგმინა ბატონი ფლობის ალუჩისფერმა ქიმერამ და ბატონ ბოდლის სფინქსზე გადასკუპებულმა შიგ მოელვარე თვალებში მიახალა მთვლემარე ბატონ ბოდლის:

– არ მენახოს ჩემი ოჯახის სითბო და სიხარული, მე თუ ვფიქრობდე, რომ ეს უბედურება ზეციერ მაცხოვრებელთა მიერ გვაქვს მოვლენილი: აღარავინ ცას ცად არ თვლის, უქმეს – უქმედ, მარხვას არ იცავს, მამას აბაზში ცვლის, ძმას ხუთთუმნიანში; ადრიდა ქალები ტან-ფეხ-შიშველნი და თმაგაშლილნი მორიგესა წყალს გამოსთხოვდნენ და წყალი სჩქეფდა ზეციდანა, ქვეყნისთვის მადლს შესთხოვდნენ და მადლი ეფინებოდა ქვეყანასა, საქონელი მრავლდებოდა, შვილები მრავლდებოდნენ... ოჯახი მრავლდებოდა, ღონე ემატებოდა, ხერხემალი უსწორდებოდა... ახლა კი ღმერთებს სიარულიც უჭირსთ ჩვენი ურწმუნობიდან, რომ ქვეყანას სდიონ... მინდვრები მიტოვებულია... ძირძველი სოფლები გაპარტახებულია... ძირძველი ხალხი... თავგზააბნეული... მატყუარებით მოტყუებული... ფლიდებით გაყიდული... იყიდება საქართველო, მინდორ-ველით; მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართმოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯი ზღვით, მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილი ვაჟებით, მალხაზი ბავშვებით, ვერცხლისფერი თმით შემოსილი პატივსადები მოხუცებით; იყიდება საქართველო დედით, მამით, შვილით და ძიძით, დით, ცოლით და ნათესავმოყვრებით. – ჰყიდის ყველა: მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული,

ჰყიდის პრეზიდენტი და დეპუტატი, მინისტრი და ვიცე-მინისტრი, ჯარისკაცი და მხედართმთავარი. – იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, მანქანაში, თვითმფრინავში, ბუდკაში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში. – იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ზემო ქართლი და ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და გარე ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და აფხაზეთი, აჭარა და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი; იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა; ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით – იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს, ოხრად დარჩენილი, აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურს ჭირისუფალს... – მოხუცს თანდათან მოეღრუბლა სახე და მხიარულად აციისკროვნებული ეშმაკურად ბავშვური თვალები ჩაუქრა... დაუწყლიანდა... ყელში შავი ნახვრეტი გაეჩხირა და ღაწვებზე ლაპაღუპით უწყო დენა უჩუმარმა ცრემლმა. რა ექნა... ხმას ვერ იღებდა, ხოლო ისინი, ვინც თავის კუთვნილ ბაღში დაასახლა, თუ ასეთი თავგამოდებით ანგრევენ და აპარტახებენ მის მამულს, თუ ასეთის დაუნდობლობით ცდილობენ ერთმანეთის დასამარებას და შუბლში ტყვიას ესვრიან მის ერთგულ შვილებს, ღვთისშვილებს ხატ-სალოცავებს უნგრევენ, რითი უნდა მოარჯულოს... თუ არ თავის ნებაზე მიშვებით... რადგან სხვა წამალი არ არსებობს და ვინ იცოდა ეს, თუ არა მან, ვინაც ერთი ხმის ამოღებით შექმნა ეს ცხოვრება... დღეს დღე უწოდა და ღამეს ღამე... ცა და მიწა გაჰყო... ნათელი ჰქმნა... ნათელი და ბნელი გაჰყო... ზღვა და ხმელეთი გაჰყო, ტყე და მინდორი გაჰყო... ბალახი შექმნა... ხე შექმნა... ნაყოფიერი ხე შექმნა... ყვავილნარი გააშენა... ხარი მიწის მხვნელი შექმნა... ძროხა რძის მეწველი შექმნა... მზე დედად შექმნა... მთვარე

მამად შექმნა... ვარსკვლავები და-ძმად შექმნა... ფრინველი მგალობელად შექმნა... ცოცხალი ცოცხლად შექმნა... კაცი კაცად შექმნა... ქალი ქალად შექმნა... ბაღში დაასახლა... ბილიკები გაუკვალა... ნება მისცა... თავისუფლება მისცა... სიტყვის ერთხელ თქმით... ხმის ერთხელ ამოღებით... ქვეყანას მორიგე მიუჩინა... ბაღს მიუჩინა... აბზუში მოზელილი თიხიდან სახლი ააგო... ვერაგის დასამარცხებლად წყალი აბუბუნა... კაცს ერთგულს ლამარი უმფარველა... ზიუსუდრა იპოვა... ნოე იპოვა... კაცობრიობა შეიცოდა... კიდობანი გააკეთებინა... კაცობრიობა შეიცოდა და თქვა მდუმარემან და მეტყველმან უჩუმრად და სიტყვაამოუღებლად ბაგეთაგან თვისისა: აღარ დავწყევლი ამიერიდან ქუეყანასა ადამის მოდგმისათვის, რამეთუ სწრაფვანი გულისა მათისანი ბოროტებანი სიყმაწვილისაგან მისისა არს; და აღარ მოვწყვედ ცოცხალთა და სიცოცხლესა, ვითარი იგი ვქმენი და ამიერითგან თესვა და მკაი, სიცივეი და სიცხეი, ზაფხული და ზამთარი, დღეი და ღამეი არ შეწყუდეს ქვეყანასა მას ზედა, რომელი შევიყვარე მე გულითა ჩემითა და მოვეც ძეი ჩემი მხოლოშობილი განსაახლებლად არსებისა და განსაწმენდელად გულისა მათისა... ხოლო მათ კი მტრად შერაცხეს იგი... ამინ. იღვრებოდა ცრემლად გულმოკლული მდუმარე მოხუცი და ნელნელა ჩოჩდებოდა თავისი მოჭრიჭინე ტახტის შორეულ კუთხეში, ხოლო წვიმა, რომელიც უეცრად ამოვარდნილ ქარს მოჰყვა და კოკისპირულად დააცხრა თავს სან-მარკოს მოედანზე შეკრებილ მხიარულ მოგზაურებს, ასევე მოულოდნელად შეწყდა და ცის კარს მიხატული დივინდორის ოქროსზანზალაკებიანი ქიმერა, ყველა ქიმერის გულის გასახარად, ბზრიალ-ბზრიალით დაეშვა დივინდორის მკლავებში, ცალი ტოტით გამოედო მისი ზვიადი პატრონის კოხტაპრუწად აყენებულ მარჯვენა ულვაშს და ზედ დაეკიდა. ტკივილისაგან თუ შეურაცხყოფისაგან დივინდორმა თავისი არწივისებური თვალები დააბრიალა და ერთი ისეთი წკიპურტი აჰკრა ქვევიდან თავგასულ ქიმერას, რომ ისევ ჰაერში აისროლა და რომ ფერდინანდად მონათლულის ხელსწრაფობა არა, საბრალო

არსებას სული გასძვრებოდა მანამდე, ვიდრე სან-მარკოს მოედნის ქვაფენილს დააცხრებოდა. ფერდინანდად მონათლულმა, რომელიც ის იყო დაბრუნდა იაპონელ ტურისტებთან შინაარსიანი საუბრის შემდეგ და უნდოდა მოეყოლა თავისი არაჩვეულებრივი ენაწყლიანობით, თუ რა გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე იაპონელმა ტურისტებმა იმით, რომ მათში არც ერთი ებრაელი არ ერია და, მიუხედავად ამისა, შესანიშნავად ამრავლებდნენ ორს ოცდაოთხზე და შვიდს ორმოცდარვაზე, გაყოფისას კი ცოდნის სასწაულებს ახდენდნენ, რომელთა წინაშედაც კაბალური მეცნიერება ედუარდის მრგვალი მაგიდის რაინდ სკაუტთა საალდგომო ვარჯიშს წააგავდა, სწორედ იმ ადგილას შეაჩერა თავისი დინჯი სვლა, სადაც დივინდორის წკიპურტით ცაში ატყორცნილი ოქროს-ზანზალაკებიანი ქიმერა უნდა დასკდომოდა სან-მარკოს ქვაფენილს... ამის შემდეგ რაც მოხდებოდა, ადვილი წარმოსადგენია: ქიმერამ ფერდინანდად მონათლულის კისერზე მოადინა ზღართანი, ფერდინანდად მონათლული სან-მარკოს ქვაფენილზე გაიშხლართა, სან-მარკოს ქვაფენილი შექანდა და რამდენიმე ადგილას ამოვარდა ბუდიდან, ერთი ქვა გაგორდა და გონდოლაში ჩავარდა, გონდოლა შექანდა, ტკბილხმოვანი გონდოლიერი არხში გადავარდა და წყალში ფართხალებდა, წყალი ადიდდა, არხის გამაგრებული კედლები მოარღვია, დოჟების სასახლეს შეუდგა, სასახლეს ბოძები მოეშალა და მთელი ეს ვეება ნაგებობა (დაწყ. მე-9 ს.-ში და დამთ. მე-14-15 სს.), რომელსაც აღმოსავლეთით ეკვრის ე.წ. ოხვრათა ხიდი (1600 წ.) რომელიც სასახლეს აერთებს საპატიმროსთან (1560-1614 წწ.), და რომლის ჩრდილოეთით მდებარეობს პიაცა სან-ტი-ჯიოვანნი ე პაოლო იმავე სახელწოდების გოთური ეკლესიის (1246-1430 წწ.) და რელიგიური საძმოს სკუოლა გრანდე დი სან-მარკოს (1488-90 წწ.) შენობა და კონდოტიერ კოლლეონის (1479-88 წწ., გაიხსნა 1496 წ., მოქანდაკე ვეროკიო) ცხენოსანი ქანდაკება, ხოლო ლათინური S-ის მაგვარ დიდ არხს გუთური, რენესანსისა და ბაროკოს სტილის სასახლეები გაჰყვება: Ka d'Oro (1422-1440 წწ., j. da bomi); Vendramin-Kalergi

(1481-1509 წწ., დამთ. პ. ლომბარდოს მიერ), Korner-Spinelli (მე-15-ის ბოლო –16 დას.), Korner (1532 წ-დან) Redzinko (1660 წ.), Pezaro (დამთ. 1710; თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გალერეა) და სხვა... რიალტოს ხიდი (1588-92 წწ.), გოთური, რენესანსისა და ბაროკოს სტილის ეკლესიები: სანტა-მარია-გლორიოზა დეი ფერრარი (1338-1443 წწ., ინტერიერში ტიციანის საკურთხევლის სურათებია), სან-ზაქარია (დაწყ. მე-10 ს., გადაშენებულია 1444-65, ფასადი დამთ. მე-15 ს. დას.), სანტა-მარია დეი მირაკოლი (1481-89 წწ. პ.ლომბარდო), il redentore (დამთ. 1502 წ. palladio), სანტა მარია დელლა სალუტე (1631-81 წწ. ლონგენა), სკოლა გრანდე დი სანროკკო (1517-50 წწ. ტინტორეტოს სურათებით), ეკლესია და მონასტერი სან-ჯორჯო მაჯორე (სან-ჯორჯოს კუნძულზე 1565-80 წწ. პალადიო), მეოცე საუკუნეში კი აშენებულია ახალი ინდუსტრიული და საცხოვრებელი რაიონი ტერიკზე – მარგერა (1917 წ-დან), კასა დელე ძატტერე (1957 წ.), რკინიგზის სადგური სანტა-ლუჩია (1956 წ.), ჩამოინგრა, ჩაიქცა, ჩაიგრიალა, ჩაიდგაფუნა და წამოიყოლა სან-მარკოს ოქროდ აელვარებული მრავალგუმბათოვანი ცის კარი. ამის შემყურე დივინდორმა, რომელმაც ძლივს მოიხელთა თავისი ოქროსზანზალაკებიანი ქიმერა და ყოფილ სან-მარკოს მოედანზე გაშხლართული ფერდინანდად მონათლულიც წამოაყენა, თავი შეაფარა კაფეს, რომელშიც სულ ცოტა ხნის წინათ სიკვდილს ეთამაშებოდა ერთი ამერიკაში თავშეფარებული აპოლიტიკური გერმანელი მწერალი, ხოლო ამის დამნახავმა დივინდორის ოქროსზანზალაკებიანმა, ერთ ეზოში მოწამლული ქათამივით გალუმპულმა ქიმერამ, ჩამოიფერთხა რა წარღვნის წვეთები, წარმოსთქვა: სად არის სინამდვილე? ყოველივე წარმოჩენილი მაცდურია, – და განაგრძო ფერდინანდად მონათლულის მშობლიურ, რადგან სხვა ენა მას არ ესმოდა, ენაზე:

le visible de la surface n'est que leurre.

je regarde ma main qui a déjà tant produit de beauté et d'or.

Ce sont des nerfs, des muscles, des os.

Fouillons:
ce sont des molécules et des acides.
Encore plus loin:
c'est une valse impalpable d'électrons et de neutrons.
Plus loin encore:
un invisible nuage, l'ombre d'une onde,
une immatérielle nébuleuse.
Qui me prouvera que ma main existe?
Pour un artiste de la Renaissance,
Pour un artiste de la Renaissance,
la matière était continue.
Pour nous, elle est non seulement discontinue,
mais illusoire.
Peu de réalité.

Plus une âme contient d'instinct divin, plus elle se trouve en disparate avec le monde. Homme moderne, ce que je sais aggrave cette disparate. C'est pourquoi j'annonce un retour à la conception traditionnelle de Dieu. Aussi épris de réel que je le suis, le seule chose qui m'inciterait à l'adoration serait la substance. Mais où est la substance? Si elle n'est pas de la nature, elle ne saurait être que de Dieu. Dans tout cet univers traître, la seule réalité matérielle, l'unique substance compacte, indisséquable, serait Dieu. Dans une réalité qui ne cesse de se disperser sous le regard, de s'évanouir entre nos doigts, la seule matière réellement matérielle, la seul substance substantielle, serait Dieu. Nuage courant dans un univers de nuages, appelant désespérément du solide, il me faut à tout prix toucher Dieu, unique rocher dans cet immense océan floconneux. C'est la vision mystique de tous les temps, et, plus forte raison, du nôtre. Dans ses extases, le mystique s'approche consubstantiellement de cela-qui-seul-est, de l'unique matière réellement existante. Je sais que cela signifie. Je le saisis dans l'orgasme, dans des moments suprêmes avec Gala où, à la pointe d'une poignante vibration, je sens la réalité un

indivisible devenir. Je le saisis encore à travers la beauté qui me fait croire aux Anges. De plus en plus mon érotisme me porte vers les êtres infiniment beaux, asexués. Ce qui frémit alors en moi, dans toute ma biologie, ne peut être que la conscience pré-extatique d'une nature angélique. Ce n'est plus l'humain qui m'excite, et ce n'est plus mon sexe qui s'embrase. Je cherche la vision qui me procurerait directement l'orgasme, un orgasme que l'exultation est bien provoquée par une réalité supérieure, que mon sperme comme mon or sont des produits de transmutation.

Ma vie est une telle perfection, mes désirs se réalisent avec une telle harmonie, que j'ai du mal à croire à l'existence d'un monde objectif et réel. Je vis un rêve. Calderon de la Barca s'interroge sur ce monde traître, moi, qui ai le goût de la traîtrise. J'ai commencé ma vie en trahissant ma classe, la bourgeoisie, pour me mettre au service de l'aristocratie, et je suis de cocufier l'art moderne. Croire au monde, dit Calderon, est une traîtrise. Rien n'y est vrai, rien n'y est faux, et ce n'est pas ce que nous regardons qui compte, c'est le cristal à travers lequel nous regardons. Qu'est-ce que la vie? dit-il encore. Une frénésie, une tromperie, une fiction. Je ne sais si j'existe vraiment. Mes songes, mes actes, mes plaisirs, la succession de mes jours, sont un fondu d'irréalité onirique. Cependant, comme je suis un monumental réaliste, un enragé d'existence, je voudrais â tout prix croire qu'il ne s'agit pas d'un rêve. Mais c'est impossible...

დივინდორის ოქროსზანზალაკებიანი ქიმერა ამგვარმა სრულიად მოულოდნელმა და ალალმა გულგახსნილობამ, დივინდორის ახირებულობითა და ფერდინანდად მონათლულის მუხლების სისუსტით გამოწვეული თავზეხელაღებული ქიმერების ბანდის წინაშე, საერთო მოწონება დაიმსახურა და გამოიწვია დისპუტი, რომლისაც შეშურდებოდათ არა მარტო ჰესიოდეს, ჰერაკლიტეს, პარმენიდეს, სოკრატეს, პლატონს, არისტოტელეს, არიანეს, წმ. ათანასეს, წმ. გრიგოლს, წმ. ბასილს, ორიგენს, და განსაკუთრებით ფსევდო-დიონისე არეოპაგელს, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა აღძრულ საკითხთან, რადგან იმთავითვე „ფსევდო“ იყო და

თავს იმად აჩვენებდა, რაც არ იყო სინამდვილეში, ანუ ბერძ-ნად, მაშინ როდესაც მამამისი ეკუთვნოდა პელაზგების ჩამო-მავალთა იმ შტოს, რომლებმაც ბერძენი ნანასა და ასპანელი სპარსი მირიანის მეოხებით სათავე დაუდეს წმინდა ქართულ საქრისტიანო სამეფოსა და საგვარეულოს და შობაც მისი იყო სასნაულებრივად არყოფილი, რამეთუ ორისა დედისაგან იშ-ვა იგი ერთდროულად, რაც სრულიად სხვა ამბავია, ვიდრე ორისა მამისაგან შობა, ვითარცა მოგვითხრობს მატიანე იგი ვარაზ-ბაქარისა, მეოცდაშვიდე მეფისა: „და დაჯდა მეფედ ძე მისი ვარაზ-ბაქარ. და შეირთნა ორნი ცოლნი: ერთი – ასული თრდატისი, რევის ძისა, მირიანის ძმისწულისა, და ერთი – ძმისწული ფეროზისი, მირიანის ასულისწულისა. იყო ესე უშ-ვილო, რამეთუ არა ესვა ძე წული, და ევედრებიან ღმერთსა მარხვითა და მხურვალედ ვედრებითა... ლოცვასა შინა გამო-უჩნდა ანგელოზი ნათლისა ბრწყინვალე, რომლისა ხილვასა შეშინდა მეფე. ხოლო მან რქვა: – ნუ გეშინინ, ჰოი, მეფე, რა-მეთუ შეისმეს ვედრებანი შენნი წინაშე ღმრთისა და მოგეცეს ძე, რომელი იყოს დიდ და სრულ წინაშე ღმრთისა და კაცთა, და მრავალნი ერნი ღმრთისად მოაქცივნეს. – და ვითარცა გა-ილვიძა მეფემან, მხიარული სულითა ადიდებდა ღმერთსა. და შემდგომად მცირედისა მიუდგა ცოლი მეფისა და უშვა მას ძე..." ეს მურვანოსი იქცა შემდეგ ჯერ პეტრედ, „იბერად" წო-დებულად და შემდეგ კი დიონისე არეოპაგელად, რომელსაც ზედმეტსახელად „ფსევდოს" უწოდებენ განათლებულნი დოქტორნი და სავსებით სამართლიანადაც, რადგან იყო იგი ერთგზის შვილი, იმავდროს ძმისშვილისშვილისშვილი და დისშვილის ძმისშვილი მამამისისა და აბა რა გასაკვირია, რომ თავი ღვთისმსახურებას შეაფარა და თვალმიუწვდენელ სი-მაღლემდეც ავიდა – სახელისა და ეროვნების გაუმხელად, რადგან თავად კი კარგად უწყოდა, რომ დედაც ერთი ჰყავდა და მამაც მისი იყო არა ვარაზ-ბაქარი; მასზე უფრო ადრე კი შურისაგან გამწვანდებოდნენ პროკლე დიადოხოსი, ნეტარი ავგუსტინე, ლაო ძზი, კონფუციუსი, ბუდა, ზოროასტრი, დე-მეტრეს მთელი შთამომავლობა, ხოლო მას შემდეგ კი გიორგი

მთაწმინდელი, იოანე პეტრინი, რუსთველი და დანტე, ავეროესი და თომა აქვინელი, გაწითლდებოდა სავონაროლა, შერცხვებოდა ლაიოლას, თავს მოიკლავდა ჯორდანო ბრუნო, ატირდებოდა კანტი და გულს მოიცემდა ენგელსი, მათ რომ შესძლებოდათ და მოესმინათ იმ დისპუტისათვის, რომელიც დივინდორის ოქროსზანზალაკებიანმა ქათამივით გალუმპულმა ქიმერამ გამოიწვია თავისი ღრმააზროვანი შესავალი სიტყვით, რომლის შემდეგ მას მხიარულად ტაში დაუკრეს და გაციების ასარიდებლად ერთი მოზრდილი ჭიქა „რომისებური“ დაუდგეს, 1 მან. და 60 კაპიკად რომ იყიდებოდა თბილისის გასტრონომებში, და რომლის მიღების შემდეგ არათუ ცივება, არც ერთი პატიოსანი და კეთილშობილი ავადმყოფობა არ გაეკარებოდა ახლოს უახლოესი თაობების მანძილზე, თუ, რასაკვირველია, მოასწრებდა და დალევამდე გააჩენდა ძეს, ასულს ან სამიოდ ბატის ჭუკს მაინც. დივინდორის ოქროსზანზალაკებიანმა ქიმერამ ერთი კი მოავლო თვალები იქაურობას, მაგრამ „არ ვსვამო“, ვერ გაბედა ეთქვა, რადგან ამის შემდეგ სუფრის თამადა კისერში ჩაასხმევინებდა სასმელს, ვითარცა ხალხის მტერს, როგორც ეს სჩვეოდათ კომუნიზმის ბედნიერ მშენებელ ქიმერიულ თბილისელ კონიებს და მათ მიმხედვარ გურულ კოლმეურნეებს, და გადაუშვა ხახაში კანის ამბურძგლავი სითბო. ამაზე კიდევ ერთხელ დასცხეს ტაში ჩვენმა ქიმერებმა და რადგან დივინდორის ოქროსზანზალაკებიან ქიმერას უკვე აღარაფერი აღარ ემუქრებოდა, ვითარ თვითონ თამადობდა და სასმელსაც თვითონ ამზადებდა, – დისპუტი დაიწყო.

პირველმა სიტყვა აიღო გიორგის ვეება ქიმერამ, რომელიც, როგორც ჩანდა, ყველაზე მეტად იყო რატომღაც დაინტერესებული თეოლოგიური პრობლემატიკით იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ყველა არსებულ და არარსებულ ცოდვას მას მიაწერდნენ და მათ შორის პირველქალის შეცდენასაც, თუმცა ნათელი უნდა ყოფილიყო, იმთავითვე, რომ ქალი რის ქალია, თუ თვითონ არ მოატყუებს, ვისაც გინდა, როგორც მოწმობენ ჰესიოდეს „თეოგონია“, ლონგუსის „დაფნისი და

ქლოა", პეტრონიუსის „სატირიკონი", აპულეუსის „ოქროს ვირი", რუსთველის „ვეფხისტყაოსანი", დანტეს „ღვთაებრივი კომედია", ბოკაჩოს „დეკამერონი", უ ჩენენის „სუნ უკუნი", პუ სუნ ლინის „მელიის ჯადო", ებრაული ხუთწიგნი და თვით ჩემი თავგადასავალი, რადგან მე ვარ ცოცხალი დასტური იმისა, თუ როგორ იქნა მოტყუებული ეს კეთილშობილი გმირი, რომელსაც ყველანი სიყვარულით გიორგის ვეძახით (Подхалим! – გესლიანად ჩაიჩურჩულა ფერდინანდად მონათლულის ჯიბიდან პირველად თავამოყოფილმა მიკროსკოპიულმა ქიმერამ და ისევ ჩაიმალა, და როგორ მოაკვლევინეს ჩემი თავი იმ აშარი ქალის გამო, რომლის სახელიც კი არ შემორჩა კაცობრიობის მეხსიერებას, მაშინ, როდესაც მე, მოთვინიერებული და ფრთებშეჭრილი, აგერ ვდგავარ თქვენ წინაშე და მსურს, წამოვჭრა ერთი კითხვა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მღრღნიდა და მაწვალებდა...

ამ სიტყვებით გიორგის ლოყებშეფაკლებულმა და ლაპარაკისაგან ახურებულმა გველეშაპყოფილმა, რომელიც თავისი აღნიშნული მარცხის შემდეგ გიორგის ქიმერადღა არსებობდა, ყურადღება ითხოვა და თავი წინ წაიგრძელა:

– როგორ გგონიათ, *ეშმაკი* არსებობს?

– Вот дурак! – ერთდროულად აღმოხდათ ფერდინანდად მონათლულის მიკროსკოპიულ ქიმერას და დივინდორის ოქროსზანზალაკებიან გალუმპულ ქიმერას, რომელმაც ერთი ისეთი გაულანუნა გიორგის ქიმერადქცეულ ბლაყვ გველეშაპს, რომ უკანასკნელს თვალებიდან წამოცვენილ ნაპერწკლებში წვერ-ულვაშები შეეტრუსა და სასწრაფოდ აცრემლდა, ნაპერწკლებიდან გიორგის თავზე კიდევ ერთი ხანძარი რომ არ გაჩენილიყო და ყველანი მის ცეცხლში არ ჩაქცეულიყვნენ...

– რა თქმა უნდა, არსებობს, – თქვა ბატონი ბოდლის ქიმერამ, რომელიც მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე სან-მარკოს მოედნის თავზე ცა რისხვით იგრაგნებოდა, წვიმდა, ქუხდა, გრგვინავდა, დოჟების სასახლე ინგრეოდა, სან-მარკოს ოქროსთაღოვან გუმბათებს ცეცხლის ალი ედებოდა, სი-

მონე მარტინის, ვენეციანების და ბელინების, კარპაჩოს და კრიველლის და მესსინას და ჯორჯონეს, ტიციანის და ვერონეზეს, ტინტორეტოს, კარავაჯოს და ტიეპოლოს ფერწერა იღვენთებოდა და ერთმანეთში აზელილი საღებავები ფერადოვან ლაქებად ეწვეთებოდა დიდი არხის გაშმაგებულ ზვიად ტალღებში, რომლებიც დაუზოგავად ანგრევდნენ ვენეციის დიდებულ სასახლეებსა და ეკლესიებს, აკადემიას, ბიბლიოთეკას, ხიდებს, ძირავდნენ გონდოლებს და ყვავილების დახლებს, ხოლო ატლანტიდიდან გამოქცეულები კი თავს აფარებდნენ კავკასიონის მიუვალ კლდეებს თბილ სანახებში, კიდობანს თხრიდნენ, რომ შემდეგ კაცობრიობის ახალი ზვიადი მოდგმისათვის მიეცათ დასაბამი, თავისთვის თვლემდა ბატონი ბოდლის მხარზე და ყურადღებასაც არ აქცევდა მთელ იმ ორომტრიალს, რომელიც დივინდორის ოქროსზანზალაკებიანი ქიმერის ფერდინანდად მონათლულის ზურგზე დანარცხებამ და ამ უკანასკნელის სან-მარკოს მოედანზე მუხლებზე დავარდნამ გამოიწვია, როდესაც ფერდინანდად მონათლული თავდაპირველად სალოცავად დამხობილ ზემონახსენები ავსტრო-ბერძენი სომეხი პროფესორის, ედიპ ფრუიდიანის მეგობარ დოქტორ ზორბა შტაინცაიტანტროპოსოფისტელის დაემსგავსა, ხოლო შემდეგ კი გაპანჩოებულ ყურცქვიტა სიბრძნეს, ლაჯებშორის დაკიდებული იმოდენა სარცხვინელით, რომ ამირანის ჯაჭვების დასაბმელ პალოდ გამოადგებოდა ბედნიერ მჭედლებს, მათ რომ სან-მარკოს მოედანზე იმ დროს შესძლებოდათ გავლა, ვიდრე წარღვნა დაიწყებოდა, – რა თქმა უნდა, არსებობს, – გაიმეორა გამოფხიზლებულმა ხმამაღლა და იმის დასტურად, რომ იცოდა, რასაც ამბობდა, თავმომწონედ მოქაჩა წვერი გველეშაპყოფილ ქიმერას. ამაზე იმან – მე რა შუაში ვარო! – ერთი იყვირა და ისე შეხტა, გიორგის ხელსწრაფობა რომ არა, გადაეშვებოდა ტალღებში და ჩაინთქმებოდა მოუსავლეთში სადღაც ჩრდ. განედის 41 გრ. და აღმოსავლეთ გრძედის 52 გრ. შორის აღმოჩენილ შავ ნახვრეტში, მთვლემარე მოხუცს რომ სევდიან ყელში გაეჩხირა, მაგრამ გიორგიმ ამჯერადაც იმარჯვა და

თავის ადგილზე დააბრუნა შეძრწუნებული გველეშაპი. ხოლო ბატონ ბოდლის ქიმერამ კი, ვითომც აქ არაფერიაო, განაგრძო: – ეშმაკის ყველაზე დიდი სიეშმაკე ისაა, რომ დაგვარწმუნოს თავის *არარსებობაში*; ამდენად, იმდენად, რამდენადაც არარსებული გვგონია იგი, იმდენად, ამდენადვე არსებობს იგი... – ღმერთო, რა სტილია, – წარმოსთქვა ბატონმა ფლობიმ და სფინქსის ბრინჯაოს თავმა Nôtre-Dame-ის ზარებივით ააგუგუნა საცოდავი ქიმერას თავი... ღირსი ვარ, – თქვა მან, როდესაც თავმა გუგუნი შეწყვიტა და სიჩუმე ჩამოვარდა...

მოხუცი უხმაუროდ გადმოჩოჩდა თავის ჭრიჭინა ტახტზე და კმაყოფილებით გაიღიმა. ეტყობოდა, ეს საუბარი განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა და უღვიძებდა გარდასულ დროთა მოგონებებს, როდესაც ყველანი ჯერ ჭაბუკები იყვნენ თავიანთ მარადისობაში და დასაწყისიდან დაწყებული ჯიბრი, რომლითაც თავისთავის გამტკიცებას და არსების მოპოვებას ცდილობდა სინათლის ვარდნილი ძე, ჩინური ბროლის ბურთულების თამაშად იქცეოდა. რა სახეს არ იძენდა იგი, რა სახელს... როგორ არ ცდილობდა, დაერწმუნებინა ჭაბუკი მარადისობა, რომ ერთი სვლით ყოველთვის მეტს ითვლის და ამიტომაც საბოლოოდ გამარჯვება მას დარჩება, – ვერ დაამტკიცა... ანდა როგორ დაამტკიცებდა, როდესაც არსება დაკარგა... არსება... რაც მაგათ არ იციან – ესაა – არსებობა აქვთ, არსება კი არა, რადგან არსებას იძენენ მადლით, რომელიც სულისაა და არა საქმით, რომელიც ცხოვრებისაა, ხოლო არსებობა კი ბუნებითვე აქვთ მოცემული... რამეთუ აქვთ მიცემული უნარი აზროვნებისაო, – ო – დელაო, – მოხუცმა ეშმაკურად აკიაფებული მოციმციმე თვალები ისევ მილულა და ენის წვერზე მოსაწყვეტად გამზადებულ სათქმელს კბილი დააჭირა. – ესეც იმ თაღლითის ოინებია! – გაიღიმა და ღიმილი აღარ მოუშორებია, ისე მიუგდო ყური მოსაუბრეებს. ბატონ ბოდლის ქიმერას, როგორც ჭეშმარიტად განსწავლულ დოქტორებს სჩვევიათ, წინ უზარმაზარი წიგნი ეჭირა და დანიშნულ ადგილებს უკითხავდა გიორგის ბლაყვ გველეშაპყოფილ ქიმერასა და დივინდორის ოქროსზანზალაკებიან ქიმე-

რას და დივინდორის ოქროსზანზალაკებიან კოხტაპრუწას, რომელსაც ისეთი იერი მიეღო, თითქოს ყოველივე ეს ზეპირად იცოდა და თუ ახლა ისმენდა, ისიც ბატონი ბოდლისადმი მოწიწების ნიშნად. რაც შეეხება ბატონ ფლობისა და მის ალუჩისფერ ქიმერას, მათი ყურადღება მიეპყრო აბაშის ამოსაშრობი ჭაობების ორთქლით დანისლულ სანახებში შემოჯარულ ლანდებთან მოლაციცე ოჩოპინტრე ზვიადოკონიას, რომელიც წამდაუწუმ გაიძახოდა: ნანატრი ვარ! ნანატრი ვარ! ნანატრი ვარ! მის ზურგზე წამოსკუპებული ზვიადად ქიმერიული არჩვი კი ყოველ შეძახილზე მანანებს აფრქვევდა აღტაცებულ შემოჯარულ ლანდებს, თავის ოჩოპინტრულ ოქროს ვირს თავში ხელს უტყაპუნებდა და სიყვარულისაგან დაღვენთილი ხმით გასძახოდა ნეტარ ყურებში: ნანატრი ხარ! მესია ხარ! ბედნიერი ერის მამა ხარ, ბაბუა ხარ, პაპა ხარ! და ამ თავგანწირული შესიტყვებიდან ხმა უწვრილდებოდა, ოჩოპინტრეს წვერი უცახცახებდა, რქები ელესებოდა, ვეება კუდი უფითრდებოდა და შეხმატკბილებით განაგრძობდა: მამა ვარ... ბაბუა ვარ... პაპა ვარ... ნანატრი ვარ და ვარ... მესია ვარ და ვარ... ვარ და ვარ... და ასე უჩინარდებოდნენ შემოჯარული მოლაციცე ლანდების მანანებით დამპურებელნი ოჩოპინტრე ზვიადოკონია და მისი ქიმერიული არჩვი აბაშის დანისლულ სანახებში და ამოსაშრობი ჭაობების ბურუსში გახვეულები, ვითარცა ცნობილი კატა სარკისიქითა ჯადოსნურ სამყაროში.

თქვენ, მგონი, არ მისმენთ! – მკაცრი ხმით მიმართა ბატონი ბოდლის ქიმერამ ბატონი ფლობის ყურადღებაგაფანტულ ქიმერას, – როგორ არა, გნებავთ, გავიმეორებ? – სწრაფად გამოერკვა უკანასკნელი და ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს უნდოდა, წიგნი გამოერთმია ბატონი ბოდლის ქიმერისთვის, მაგრამ ეს მხოლოდ მოძრაობა იყო და არა ნამდვილი სწრაფვა და ისიც მიხვდა ამას და სიცილით წარმოსთქვა: აი, ცოცხალი დასტური იმისა, რომ ეშმაკის ყველაზე ეფექტური მაცდუნებელი ეშმაკობა არის საჭიდაოდ გამოწვევა. ეს ქალთან იმ ჭიდაობას ჰგავს, ლოგინში რომ თავდება... მაგრამ გან-

ვაგრძოთ: მე მოგიყვანთ უეჭველ ფაქტებს ეშმაკის არსებობის დამამტკიცებელს, რომლებიც თავმოყრილია, აი, ამ წიგნში, რომელიც ღმერთის მიერ არის ნაკარნახევი და მის სადიდებლად არსებობს. მაგრამ, განვაგრძოთ: მას შემდეგ რაც ფილოსოფოსები, თეოლოგები, ფილოლოგები და პოეტები ანუ ლოგოკრატები გადაშენდნენ, ჩვენ წინაშეა უპატრონოდ მიტოვებული, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელი არსებობის მქონე ფილოსოფია, თეოლოგია, ფილოლოგია და პოეზია, ანუ ლოგოკრატია. მაგრამ თავისთავად არსებობა, გინდ დამოუკიდებელი, მოკლებულია საზრისს, თუ მას არსება არ მიემადლა. ამგვარი ცარიელი არსებობა არის ის, რასაც მე, ძვირფასო კოლეგებო, ვუწოდებ ეშმაკეულს და თავად ეშმაკს. მაშ, ჩვენი პირველი აქსიომა იღებს შემდეგ სახეს: ეშმაკი არსებობს, მაგრამ იგი არ არის, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ის, რაც არის, არსებობს კიდეც, მაგრამ არა – პირიქით. ამგვარად, ჩვენ წინაშეა უეჭველი დასაბუთება იმისა, რომ არსებობას არსება ესაჭიროება იმისათვის, რომ საკუთარი ცხოვრება მოაწყოს, ხოლო რამდენადაც ეშმაკს ამგვარი არსება არა აქვს, ამიტომ იგი თავისი ცხოვრების მოწყობას ცდილობს იმათ ხარჯზე, ვისაც ეს არსება აქვთ: მამის... ძის... და მათი ჩამომავალი მსგავსების ხარჯზე... ადამიანის ხარჯზე. ყოველივე ამის დასასაბუთებლად მოვიტანე მე თქვენ წინაშე ეს ღვთაებრივი წიგნი, რომლითაც მტკიცდება, რომ არასოდეს არავის არ შეჰპარვია ეჭვი ეშმაკის არსებობაში და მეტიც, თვით ეშმაკი იყო დაინტერესებული, ყოველთვის თავი დაევიწყებინა ადამიანისა და ღმერთისათვის, შეთვისებოდა ადამიანს, შექსოვილიყო მასში, რათა შესძლებოდა, თავისუფლად ეარსება ადამიანის არსების ხარჯზე. და ყოველივე ამის გარდა, საკითხი ხომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს საკუთარ არსებობას ეხება, ჩვენს ყოფიერებას და არსებას! – ამის თქმაზე, ბატონი ბოდლის ქიმერამ რქებიდან სათვალე მოიხსნა, თავისი თხის ცანცარა წვერებით გაწმინდა და პეტროლია მასწავლებელს დაემსგავსა, რომელიც პირველკლასელებსაც არ უწერდა ნიშანს ყოფაქცევაში, თუ ისინი არ უპასუხებდნენ

კითხვას: დედა უფრო გიყვარს, თუ ძია ბერია? რაზედაც ბავშვები სრული თავდავიწყებით პასუხობდნენ მშობლების მიერ ჩანერგილ ფრაზას: „ძია სტალინი", დედები კი ბედნიერები იყვნენ ასეთი წარჩინებული შვილების ყოლით, რადგან ნათელი იყო, რომ პეტროლია მასწავლებელი თავისსავე დაგებულ მახეში გაება. უკმაყოფილო მხოლოდ ბერია იყო, რადგან ხედავდა, რომ სტალინის დაუოკებელი მისწრაფება გალმერთებისაკენ მის ყოფიერებას სასიკვდილო საფრთხეს უმზადებდა და გარდა ამისა, შურიც თავისი მსახვრელი დაუნდობლობით ხრავდა... ხრავდა... ხრავდა... და უფართოებდა შავ ნახვრეტს, რომელშიც თანდათან მწიფდებოდა სტალინის სასიკვდილო განაჩენი... „პატმასწ... პატმასწ... პატმასწ..." – აყვირდნენ აქეთ-იქიდან ჩვენი გახარებული ქიმერები, მაგრამ ბატონი ბოდლის ქიმერამ ერთი ზვიადად გადახედა მათ და წიგნი მოიმარჯვა:

– თვით იუდეველთა დიდი წინასწარმეტყველი და ურჩეულესი ბატონი მოსე თავისი ხუთწიგნის იმ ნაწილში, რომელსაც „ლევიანი" ეწოდება და რომელიც სამღვდელო წესებს შეიცავს, დარწმუნებით გვიმოწმებს ჩვენთვის საინტერესო არსების არსებობას, რომლის ჭეშმარიტი სახელი, როგორც ქვევით იხილავთ, არაჩვეულებრივის მიწევნულობით გამოიკვლია თქვენმა უმორჩილესმა მონამ და მისტერიათა ინიციაციას ზიარებულმა მემ, როდესაც ამბობს (ხაზგასმა აქაც და შემდგომშიც ჩემია, – თქვა დივინდორის ოქროსზანზალაკებიანმა დოქტორმა ქიმერამ სამეცნიერო წრეებში მიღებული ეთიკის ნორმების სრული დაცვით და რამდენჯერმე გაიმეორა ხაზგასმული სიტყვა): „აღარ დაუკლან საკლავი ვაცებს (ვაცებს, ვაცებს) რომელთა კვალზეც გარყვნილობენ. ეს ჰქონდეთ სამარადისო წესად თაობიდან თაობაში" (17, 17);

და მეორე რჯული, ბატონი მოსესი:

„მსხვერპლს სწირავდნენ ეშმაკებს, არაღმერთს, ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდნენ, ასლებს, ახალმოსულთ, რომელთა შიში არ ჰქონია თქვენს მამა-პაპას" (32, 17); ხოლო ბატონ ჟამთააღმწერთა მეორე ნეშტთა წიგნი კი:

„დაიყენა მღვდლები გორაკებისათვის, ციკნებისათვის და სპორებისათვის, თვითონ რომ გააკეთა“ (11, 15);

ასევე: ფსალმუნი, ბატონ დავითისა (რომელიც თავისთავის პატივისმცემელმა ყველა ქიმერიულმა ინტელიგენტმა ზეპირად იცის, ამიტომაც მიმართეთ თქვენს მეხსიერებას) (106, 37);

და ბატონი იობი:

„ერთ დღეს მივიდნენ ღვთისშვილები უფლის წინაშე წარსადგომად. სატანაც მივიდა მათ შორის. უთხრა უფალმა სატანას: „საიდან მოდიხარ?“ მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: „ქვეყნად წანწალიდან და ხეტიალიდან.“ უთხრა უფალმა სატანას: „თუ შეგინიშნავს ჩემი მორჩილი იობი? ხომ არავინ არის მისი მსგავსი ამ ქვეყანაზე? ალალი, წრფელი, ღვთისმოშიში კაცია, ბოროტებას განრიდებული.“ მიუგო სატანამ და უთხრა: „მერედა, ტყუილად არის იობი ღვთისმოშიში? განა არა გყავს დაცული მთელი მისი სახლ-კარითა და საბადებლითურთ? მისი ხელით ნაქმნარი შენგან არის კურთხეული, მისი საქონელი გამრავლებულია ქვეყნად. აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მთელს მის საბადებელს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა.“ უთხრა უფალმა სატანას: „აჰა, შენ ხელთ იყოს მთელი მისი საბადებელი! ოღონდ თავად მას ნუ შეეხები. და გავიდა სატანა უფლისაგან“ (1, 6 –1, 12);

„ერთ დღეს მივიდნენ ღვთისშვილები უფლის წინაშე წარსადგომად. სატანაც მივიდა მათ შორის. უთხრა უფალმა სატანას: „საიდან მოდიხარ?“ მიუგო *სატანამ* უფალს და უთხრა: „ქვეყნად წანწალიდან და ხეტიალიდან.“ უთხრა უფალმა *სატანას*: „თუ შეგინიშნავს ჩემი მორჩილი იობი? ხომ არავინ არის მისი მსგავსი ამ ქვეყანაზე? ალალი, წრფელი, ღვთისმოშიში კაცია, ბოროტებას განრიდებული. დღემდე სიალალით ინახავს თავს, შენ კი მაქეზებდი, უმიზეზოდ დამეღუპა იგი.“ მიუგო *სატანამ* უფალს და უთხრა: „ტყავს ტყავის წილ, მაგრამ სიცოცხლის წილ ყველაფერს გაიღებს კაცი. აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მას – მის ძვალსა და ხორცს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა.“ უთხრა უფალმა *სატანას*: „აჰა, შენ ხელთ

იყოს, ოღონდ მის სიცოცხლეს გაუფრთხილდი.“ გავიდა *სატანა* უფლისაგან“ (2,1–2, 7);

ასევე ბატონი ზაქარია:

„დამანახვა მან იესო მღვდელთმთავარი, უფლის ანგელოზის წინაშე მდგარი, და *სატანა,* მის ხელმარჯვნივ მდგარი, მის მოსაყივნებლად. უთხრა *სატანას:* „გიკრძალავს უფალი, *სატანავ!* გიკრძალავს უფალი, რომელმაც იერუსალიმი ამოარჩია! განა ეს ცეცხლიდან მოწყვეტილი მუგუზალი არ არის?“ (3,1–3, 2);

ბატონი მათე კი, რომელიც იწყებს სრულიად ახალ ეპოქას ჩვენთვის საინტერესო არსების ყოფიერებაში, გვიამბობს:

„მაშინ იესო აყვანილ იქნა უდაბნოში სულის მიერ *ეშმაკისაგან* საცდუნებლად. და იმარხულა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და ბოლოს მოშივდა. მაშინ მიადგა მას მაცდური და უთხრა: „თუ ძე ხარ ღმრთისა, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ.“ ხოლო იესომ უთხრა: „დაწერილია: არა მხოლოდ პურითა იცოცხლებს კაცი, არამედ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღმერთის პირიდან.“ მაშინ წაიყვანა იგი წმინდა ქალაქში, დააყენა ტაძრის ფრთედზე და უთხრა: „თუ ძე ხარ ღვთისა, გადავარდი აქედან, რადგანაც დაწერილია: „თავის ანგელოსებს უბრძანებს შენ გამო, და აგიტაცებენ ხელში, რათა არსად წამოჰკრა ქვას ფეხი შენი.“ იესომ მიუგო: „ესეც დაწერილია: არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი.“ კვლავ აიყვანა ეშმაკმა ძალიან მაღალ მთაზე და უჩვენა მას ქვეყნის ყველა სამეფო და დიდება მათი, და უთხრა: „ყოველივე ამას მოგცემ, თუ დაეცემი და თაყვანს მცემ მე.“ მაშინ მიუგო მას იესომ: „გამშორდი, *სატანა,* რადგანაც დაწერილია: უფალს ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე.“ მაშინ მიატოვა იგი ეშმაკმა და აჰა, ანგელოზები მოვიდნენ და ემსახურებოდნენ მას.“ ხოლო როდესაც ამის შემდეგ იესომ იწყო განკურნება ყოველგვარ სენისა და ყოველგვარი უძლურებისა ხალხში და მისი ამბავი მოედო მთელს სირიას და მოჰყავდათ მასთან უძლურნი, სხვადასხვა სენით და ჭირით სნე-

ულნი, ეშმაკეულნი, მთვარეულნი და დავრდომილნი, და კურნავდა მათ (4, 1– 4, 24);

ხოლო მეშვიდე თავში იგი ამბობს: „განა შენი სახელით არ ვაძევებდით *ეშმაკთ*?" (7, 22) (და რას გააძევებდა, თუ არ არსებობდა); მერვეში: „ხოლო შებინდებისას მიჰგვარეს მას მრავალი ეშმაკეული, და განდევნა *სულები* სიტყვით და განკურნა ყველა სნეული... როცა მიაღწია მეორე ნაპირს, გერგესეველთა მხარეს, შემოხვდა ორი *ეშმაკეული*, სამარხებიდან გამოსული და ძალზე მძვინვარენი, ისე რომ, ვერავინ ბედავდა ამ გზაზე გავლას და აჰა, შეჰყვირეს და თქვეს: „რა ჩვენ და შენ, იესო, ძეო ღმრთისაო? ვადაზე ადრე მოსულხარ ჩვენს სატანჯველად." ხოლო მათგან მოშორებით ბალახობდა ღორების დიდი კოლტი. ხოლო *ეშმაკნი* ევედრებოდნენ მას და ეტყოდნენ: „თუ განგვდევნი, ნება გვიბოძე, ღორების კოლტს შეეერიოთ." და უბრძანა მათ: „წადით!" ისინიც წავიდნენ და შეერივნენ ღორების კოლტს; და აჰა, მთელი კოლტი კბოდედან გადაეშვა ზღვაში, და წყალში დაინთქა. ხოლო მეღორეები გაიქცნენ, ქალაქში მივიდნენ და მოჰყვნენ ყველაფერს, რაც შეემთხვათ *ეშმაკეულებს*" (8,16–8, 33); ხოლო როდესაც ბრმათათვის თვალის ახელის შემდეგ იესოს მუნჯი და *ეშმაკეული* მიჰგვარეს „და როცა *ეშმაკი* განდევნილ იქნა, მუნჯმა ენა ამოიდგა... ფარისევლები ამბობდნენ: *ეშმაკთა მთავრის* შეწევნით აძევებსო *ეშმაკთ*" (9, 32 –9, 34); მეათეში: „განკურნეთ სნეულნი, განწმინდეთ კეთროვანნი, აღადგინეთ მკვდარნი, *განდევნეთ ეშმაკნი*; უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით" (10, 8); მეთერთმეტეში: „ვინაიდან მოვიდა იოანე; არც ჭამს და არც სვამს, და ამბობენ: *ეშმაკი ჰყავსო*" (11, 18); მეთორმეტეში კვლავ ამბობს: „მაშინ მოჰგვარეს მას ბრმა და მუნჯი ეშმაკეული, და განკურნა იგი ისე, რომ, ბრმასა და მუნჯს თვალი აეხილა და ამეტყველდა... ფარისევლები ამბობდნენ: „ეს ვერ გააძევებს *ეშმაკთ*, თუ არ *ეშმაკთა მთავრის, ბელზებულის შეწევნით.*" მაგრამ იცოდა იესომ, რასაც ფიქრობდნენ ისინი და უთხრა მათ: ყოველი სამეფო, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება; და ყოველი ქა-

ლაქი, გინდა სახლი, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, დაიქცევა. და თუ *სატანა აძევებს სატანას,* მაშინ ის თავის თავს განეყოფა; როგორღა გაძლებს მისი სამეფო? თუ მე *ბელზებულის შეწევნით ვაძევებ ეშმაკთ,* ვისი შეწევნითღა აძევებენ მათ თქვენი ძენი? ამიტომ ისინი იქნებიან თქვენი მსაჯულნი. ხოლო თუ მე ღმერთის სახელით *ვაძევებ ეშმაკთ,* მოუწევია კიდეც თქვენამდე ღმრთის სასუფეველს" (12, 22 – 12, 28); მეცამეტეში: „ღვარძლის *მთესავი მტერი ეშმაკია;*" (13, 39); მეთხუთმეტეში ქანაანელი ქალის პირით დასტურ-ყოფს, როცა ამბობს: „შემინყალე მე, უფალო, დავითის ძეო; ჩემი ასული საშინლად იტანჯება *ეშმაკისაგან*" (15, 22); და მე-თექვსმეტეში კი პეტრეს რომ ჰკიცხავს: „გამშორდი, სატანა! ჩემი საცთური ხარ!" და კიდევ, როდესაც წყრება თავის მოწა-ფეებზე, როდესაც გაიგებს, რომ მათ ვერ განკურნეს მთვარე-ული, მეჩვიდმეტეში: „ო, ურწმუნო და უკულმართო მოდგმავ; როდემდის ვიქნები თქვენთან? როდემდის მოგითმენთ თქვენ? აქ მომგვარეთ. და შერისხა იესომ, და გავიდა *ეშმაკი* მისგან" (17,18); დაბოლოს, ოცდამეხუთეში გვიდასტურებს ამგვარად: „და მაშინ ეტყვის მარცხნივ მდგომთაც: „წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც *ეშმაკისა* და *მისი ანგელოზებისთვისაა* გამზადებული"(25, 41); და მას შემ-დეგ მემარცხენენი ყველანი ერთთავად მაცდურებად იქცნენ.

არც პატივცემულ ბატონ მარკოზსაც არ ეპარება ეჭვი *ეშ-მაკის* არსებობაში, როდესაც ამბობს პირველსავე თავში სა-ხარებისა, რომ ნათლობის შემდეგ, როდესაც გაისმა ხმა ზე-ცით: შენა ხარ ძე ჩემი საყვარელი, რომელშიაც კეთილად გა-მოვჩნდი მე და მაშინვე სულმა გაიყვანა უდაბნოში, „და დაჰ-ყო იქ ორმოცი დღე, და გამოიცდებოდა *სატანისაგან;* და ცხოვრობდა მხეცებს შორის, და ანგელოზები ემსახურებოდ-ნენ მასო". ხოლო შემდეგ, უკვე სინაგოგიდან გამოსული და სიმონისა და ანდრიას სახლში მისული იაკობსა და იოანესთან ერთად, როდესაც „საღამოს მიჰგვარეს მას ყველა სნეული და ეშმაკეული და მთელმა ქალაქმა კარწინ მოიყარა თავი. და განკურნა მრავალი, სხვადასხვა სენით სნეული, და განდევნა

მრავალი ეშმაკი, და არა რთავდა *ეშმაკებს იმის თქმის ნებას,* რომ ისინი იცნობდნენ მას... და მთელს გალილეაში ქადაგებდა მათს სინაგოგებში და აძევებდა *ეშმაკი*" (1,13–1, 39); ანუ მესამეში, როდესაც ირჩევს თორმეტს, „რათა ყოფილიყვნენ მასთან, და საქადაგებლად წარგზავნა ისინი, რათა ჰქონოდათ სნეულთა განკურნებისა და *ეშმაკთა განდევნის ძალა...* ხოლო იერუსალემიდან ჩამოსული მწიგნობრები ამბობდნენ: *ბელზებული ჰყავს და ეშმაკთა მთავრის შეწევნით აძევებსო ეშმაკთ.* მაშინ მოუხმო და იგავით უთხრა მათ: „როგორ შეუძლია *სატანას სატანის გაძევება?* თუ სამეფო თავის თავს განეყოფა, ვერ გაძლებს ის სამეფო. და თუ სახლი თავის თავს განეყოფა, ვერ გაძლებს ის სახლი. ხოლო თუ სატანა წინ აღუდგება და განეყოფა თავის თავს, ვერ გაძლებს, არამედ ახლოა მისი აღსასრული" (3,15–3, 25);

აქ აქამდე ნახევრადმთვლემარე გიორგის გველეშაპმა თავისი უზარმაზარი სხეული შეანძრია, ერთი ამოიხვნეშა გამოსაფხიზლებლად და თვალები გაკვირვებით გადმოკარკლა: ეგ ხომ უკვე მათემაცა თქვა (ბატონმა მათემ! – შეუბღვირა პეტროლია მასწავლებელს დამსგავსებულმა ოქროსზანზალაკებიანმა ქიმერამ, – რა უზრდელი ხარ, შე არაგასაზრდელო!), ეგ ხომ უკვე ბატონმა მათემაცა სთქვა-ა! და ეგ საბუთი არ გამოდგება, ორჯერ ერთი და იგივე ამბავის მოყოლა არ იქნება, წესი არ არის, ლმოგიკა ლმოგიკა უნდა იყოს, თორემ ეგრე რასაც გინდა, იმას დაადგენ, ჩემს კითხვას თავისი აზრი აქვს და სწორ გზაზე იარე, თორემა, აბა, ეგრე სად მივალთ, ტაძარშიაც ვერ მივალთ?!." კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა უკვე სავსებით გამოფხიზლებულს, მაგრამ დივინდორის ოქროსზანზალაკებიანმა ქიმერამ თავისი ოქროს პენსნე მოიხსნა და ისეთი ზვიადურად გახეშეშებული მზერით მიაშტერდა ღრმა ძილისაგან გამოსიზმრებულ გიორგის ქიმერას (მგონი, ახლაღა დაინახა, რომ იგი ყოფილი გველეშაპი იყო), რომ ამ უკანასკნელმა სხვა ვერაფერი მოახერხა და მრგვალი მაგიდის ქვეშ შეძვრა, საიდანაც იმავე წამს ღრმა ქშინვა მოისმა, რომელსაც ლუარსაბისებური მადიანი ხვრინვა ამოჰყვა, ხოლო დივინ-

დორის ოქროსზანზალაკებიანმა ქიმერამ პენსნე ისევ თვალებზე გაიკეთა და ჩვენდა გასაგონად თქვა: „დისპუტი – წიგნის დასრულების შემდეგ!" და განაგრძო: „მეოთხე თავში მარკო.. ბატონი მარკოზი ამგვარად გვიდასტურებს ეშმაკის არსებობას, რადგან, როგორც გახსოვთ, კითხვა სწორედ ეშმაკის არსებობას შეეხებოდა: „მთესავი სიტყვას თესავს. გზის პირას დაცვენილი თესლი ისინი არიან, რომლებშიაც ითესება სიტყვა, მაგრამ სიტყვის მოსმენისთანავე *მიადგებათ სატანა და მოსტყაცებთ სიტყვას*, რომელიც მათ გულში ჩაითესა" (4,15); მეხუთეში ბატონი მარკოზი გვიდასტურებს ბატონ მათეს მიერ უკვე დადასტურებულს და ბოლოს ამბობს: „გამოდი, *სულო უწმინდურო*, მაგ კაცისაგან! და ჰკითხა მას: „რა გქვია სახელად?" ხოლო მან მიუგო: „ლეგიონია *ჩემი სახელი*, ვინაიდან *მრავალნი* ვართ." და ბევრი ევედრა მას, რათა იმ მხრიდან არ გაეძევებინა ისინი. იქვე, მთის ფერდობზე, ბალახობდა ღორების დიდი კოლტი. და *ყველა ეშმაკმა მუდარით უთხრა მას*: „გაგვგზავნე *ღორებში*, რომ მათში შევიდეთ." და *მაშინვე ნება დართო იესომ*. და გამოვიდნენ *უწმინდური სულნი, ღორებში შევიდნენ*, და მთელი კოლტი, ასე, ორი ათასამდე სული, ზღვის კბოდეს მიაწყდა და წყალში ჩაიხრჩო." ხოლო *ეშმაკეულიო, რომელსაც ჰყავდა ლეგიონი*, ამბობს პატივცემული ბატონი მარკოზი, „ზის *ჩაცმულ-დახურული* და *გონს მოსული*..." (5,18); მეექვსეში: „და წავიდნენ ისინი სინანულის საქადაგებლად. და *აძევებდნენ მრავალ ეშმაკს*, ზეთს სცხებდნენ და ჰკურნავდნენ უამრავ სნეულს" (6,13); მეშვიდეში კი ისევ დასტურდება ბატონი მათეს ნათქვამი მორწმუნე წარმართი ქალის ასულის ეშმაკისაგან განკურნების შესახებ: (7, 26 – 30); შემდეგ თქვა: „ეფათა!" და შემდეგ თავში ისევ დაადასტურა პეტრეს შერისხვით: „გამშორდი *სატანა!*" (8, 33), რომ არსებულია იგი ნამდვილად და უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის კვლავ გვიხსენა მეცხრეში, პატივცემული იოანეს პირით: „მოძღვარო, ვიხილეთ კაცი, რომელიც შენი სახელით *აძევებს ეშმაკთ* და ჩვენ კი არ მოგვდევს..." (9, 38); მეთექვსმეტეში: „ხოლო კვირის პირველ დღეს დილაადრიან

აღმდგარი იესო პირველად ეჩვენა მარიამ მაგდალელს, რომ-ლისგანაც *გაეძევებინა შვიდი ეშმაკი*" (16, 9); დაბოლოს: „ხოლო მორწმუნეთაგან განუყრელნი იქნებიან ეს სასწაულნი: ჩემი სახელით *განდევნიან ეშმაკთ და ახალ ენებზე იმეტყველებენ*" (16,17); მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი ისაა, რომ ბატონ მათესა და პატივცემულ მარკოზზე უფრო დარწმუნებულად ეშმაკის არსებობის უტყუარობას გვიდასტყურებს დიდად პატყივცემული ბატონი ლუკა, რომელიც 30-ჯერ დასტყურყოფს მას:

ლუკა: 4, 2; 4, 3; 4, 5; 4, 6; 4,13; 4, 33; 4, 35; 4, 41; 7, 33; 8, 2; 8,12; 8, 27; 8, 29; 8, 30; 8, 33; 8, 35; 9,1; 9, 42; 9, 49; 10,17; 10,18; 11,14; 11,15; 11,18; 11,19; 11, 20; 13,16; 13, 32; „უთხრა თავის მონაფეებს: „შეუძლებელია, რომ არ *მოვიდნენ საცდურნი*, მაგრამ ვაი მას, ვისგანაც მოვლენ. უჯობს, წისქვილის დოლები დაჰკიდონ ყელზე და ზღვაში დაინთქან, ვიდრე აცდუნოს თუნდაც ერთი ამ მცირეთაგანი" (17, 1; 22, 3; 22, 31); ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ უსაყვარლესს და უსაიდუმლოესს მონაფეთა და თვითმხილველთა შორის, ღრმადპატივცემულ ბატონ იოანეს მივმართოთ და მის ეჭვმიუტანელ სიტყვებს მივუგდოთ გულისყური, რომელშიდაც, ხშირად, საღვთო სიტყვის ნაცვლად ჩვენი არსების ნამბილწავი სისინი გვესმის, რამეთუ, როგორც გვეთქვა იმთავითვე ბატონი მარკოზის პირით: „თქვენგანვე მომდინარე გადმოცემით აუქმებთ ღმრთის სიტყვას, და მრავალ ამნაირ რასმე სჩადიხართ... მოისმინეთ და გულს ჩაიბეჭდეთ: არაფერი გარედან შემავალი არ შებილწავს კაცს, არამედ მისგან გამომავალია ის, რაც შებილწავს კაცს: ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინო!... ვინაიდან მის გულში კი არ შედის, არამედ მუცელში, და გარეთ გამოდის, რითაც იწმინდება ყოველგვარი საზრდო. და თქვა: კაცისაგან გამომავალი შებილწავს კაცს. ვინაიდან შიგნიდან, კაცის გულიდან გამოვლენ ბოროტი ზრახვანი, მრუშობანი, პარვანი, კაცისკვლანი, სიძვანი, ანგარებანი, უკეთურებანი, მზაკვრობანი, გარყვნილება, თვალის სიავე, გმობა, ქედმაღლობა, ზვიადობა, უგუნურება. ყოველივე ეს შიგნიდან გამოდის და ბილწავს

კაცს". (7,13 – 23); სწორედ ამ გულის გასაგონად და განსაწმენდად გვიდასტურებს მეოთხეგზის ჭეშმარიტების მეტყველი ბატონი იოანე: 6, 70; 7, 20; 8, 44; 8, 48; 8, 49; 8, 52; 10, 20; 10, 21; 13, 2; 13, 27; 21; შემდეგ საქმენი: 5, 3; 10, 38; 13,10; 26,18; რომაელთა: 16, 20; ეფესელთა: 4, 27; 6,11; I კორინთ.: 5, 5; 7, 5; 10, 20; 10, 2; II კორინთ.: 2,11; 11,14; 12, 7; I თესალონ.: 2,18; II თესალონ.: 2,9; I ტიმოთეს: 1,20; 3,6; 3,7; 4,1; 5,15; II ტიმოთეს: 2,26; ებრაელთა: 2,14; I პეტრე: 5,8; I იოანე: 3,8; 3,10; იაკობის: 2,19; 3,15; იუდა: 9; გამოცხადება ბატონ იოანე ღვთისმეტყველისა საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ დასმულ კითხვას სრულიად ერთმნიშვნელოვანი დადებითი პასუხი უნდა გავცეთ. ამას სხვა ლოგიკური საფუძველიც მოეპოვება, რადგან "Ленин жив, Ленин жил, Ленин будет жить", ვიდრე ლეგიონები ირაზმებიან, ვიდრე გული სიბილწით ივსება, ვიდრე ღორნი იგავისანი არ დანთქმულან ზღვაში და სახელდობრ: 2,9; 2,10; 2,13; 2, 24; 3,9; 9, 20; 12,9; 12,12; 16,14; 18, 2; 20, 2; 20, 7; 20,10. დაბოლოს, მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო იმ ჯერაც ამოუცნობ მოვლენაზე, რომელიც საიდუმლოთა გასაღებია: „ცხ" ძირთან ერთად „ტყ" ძირის საარსებო მნიშვნელობაზე და უღრმეს ურთიერთკავშირზე ამ ძირიდან ამომავალი სინამდვილისა: სი-ტყ-უა; სატ-ყანა; ტყ-უილი; ტყ-ე; ტყ-ემალი; ტყ-დომა; ტყ-ვე; ტყ-ე... და ასე შემდეგ... გმადლობთ ყურადღებისათვის"... – თქვა, პენსნე მოიძრო და თავჩაქინდრულმა წმენდა დაუწყო შეორთქლილ მინებს...

მოხუცს, რომელიც აქამდე ინტერესითა და ეშმაკურად მოჭუტული თვალების მხიარული ციმციმით გულაღვსილი გრძნობებით უსმენდა დივინდორის ოქროსზანზალაკებიანი ქიმერის ამ განუმეორებელი არტისტიზმით განსახიერებულ სიმფონიას, უეცრად გაეცინა უკანასკნელ მოულოდნელ აკორდზე და კინაღამ ტაში შემოჰკრა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და უკვე ტაშისათვის აქნეული ხელები გააშეშა ზედ დივინდორის ოქროსზანზალაკებიანი ქიმერის თავზე და ისღა მოახერხა, რომ ნაზად და სიყვარულით მოუთათუნა ხელი ლოყაზე: „გამოუსწორებელი თაღლითი ხარ, მაგრამ შენ რომ

არ მყავდე, რა გაუძლებდა ადამიანის სერიოზულობას". ხოლო დივინდორის ოქროსზანზალაკებიანი ქიმერა კი უეცრად ისე გაიბერა და გაიბღინძა, გიორგის გველეშაპს უფრო ჰგავდა, ვიდრე კატალონელი მეზღაპრის სიზმარს, თუმცა, თავისი მოვალეობა მაინც არ დავიწყებია და ხელში ჭერილი საკითხავი მშვიდად ჩაამთავრა მას შემდეგ, რაც ქათქათა პენსნე ცხვირზე მოირგო და წარბები შემართა: „ამას ამბობს პირველი და უკანასკნელი, რომელიც მკვდარი იყო და გაცოცხლდა: ვიცი, საქმენი შენნი და ჭირი და სიგლახაკე (თუმცაღა მდიდარი ხარ), და გმობა მათი, რომელნიც ამბობენ, ქართველნი ვართო და არ კი არიან, არამედ – *საკრებულო სატ-ყანისა*. ნუ გეშინია ნურაფრისა, რაც უნდა მოიწიოს შენზე. აჰა, *ეშმაკი* აპირებს ზოგი თქვენგანის ჩაგდებას საპყრობილეში... ვიცნი საქმენი შენნი, და რომ იქ მკვიდრობ, სადაც არის *სატ-ყანის ტახტი*, და იმარხავ ჩემს სახელს, და არ უარჰყავ ჩემი რწმენა... მალე მოვალ და შევერკინები მათ ბაგეთა ჩემთა მახვილით და მძლეველს მივცემ საჭმელად დაფარულ მანანას და მივცემ მას სპეტაკ ქვას და ქვაზე დაწერილ ახალ სახელს, რომელიც არავინ იცის მიმღების გარდა. ვისაც ყური აქვს, ისმინოს..." – მოხუცი სიამოვნებისაგან აცისკროვნებული გულისცემით უგდებდა ყურს ამ საოცარ დისპუტს, რომელიც გიორგის ბლაყვი გველეშაპყოფილი ქიმერის მიამიტმა კითხვამ წარმოშვა და ასეთის კატალონური მოხდენილობითა და ეჭვმიუტანელი არგუმენტებით გასცა პასუხი დივინდორის ოქროსზანზალაკებიანმა დოქტორმა. გაცილებით უფრო სასიამოვნოა, ისმენდე სხვისი ყოფნა-არყოფნის საკითხზე მსჯელობას, ვიდრე საუკუნიდან საუკუნემდე გესმოდეს გაუცინარი ყეყეჩების სერიოზული დავა და საკუთარი არსებობის, არსების, ყოფიერებისა და შესაქმის ირგვლივ გამართული გულისგამაწვრილებელი დავიდავბასე... აღარ გეცინება ბოლოს და თავისი სერიოზულობით გულსაც აგირევენ და ხმასაც ამოგაღებინებენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღგავო პირისაგან მიწისა მაგათი მოდგმა და მხიარულება გაამეფო. გაახარეთ და გაიხარეთ, ანდა, გაიხარეთ და გაახარეთ, თუ-

გინდ, თქვე დალოცვილებო, განა მაგისათვის არ შეგიშვით ჩემს კუთვნილ ბაღში და დაგაბერტყეთ კალთა?! რაღა... ისე იყო ნასიამოვნები ქიმერების კამათით, გაღვიძებაც აღარ უნდოდა მსიზმრებელს ამ მხიარული სიზმრებისა, მზეთამზეს მხიარულებისა, რომლის სითბოს გრძნობდა ახლა არა მარტო სახეზე, არამედ ღრმად გულის სიღრმეშიც და ესალბუნებოდა ათასწლოვან წამისყოფას სიზმართა თამაშისა და უხმოდ წარმოსთქვამდა: „ეფთა! ეფთა! ეფთა!"

მოხუცმა თვალი გაახილა.

ჩათვლემილს ესიზმრა, რომ გვერდით მაგიდასთან მჯდარი სათნო სახის ხანშიშესული მამაკაცი, გრძელი ტროსტითა და ბოლომდე შეკრული თეთრი საყელოთი, რომელსაც ოქროსზანზალაკებიანი მუქი ლურჯი მოსასხამი ამშვენებდა, დაიხარა და მაგიდის ქვეშ შემძვრალ თავის მხვრინავ გველეშაპს გაღებულ მოხროტინე ხორხში შეუყარა შუბისპირივით წამახული ქოლგა გამოსაღვიძებლად. გველეშაპს სუნთქვა შეეკრა და ყელი აეწვა, თითქოს ცეცხლის დიდი ხნის წინ ჩამხმარი ენა გაუცოცხლდა და უეცრად გამოსიზმრებულმა სხაპასხუპით წარმოსთქვა იმ ერთადერთ ენაზე, რომელიც ონავარმა მედეამ ასწავლა მამამისის ბაღში ოქროს საწმისის მოდარაჯეს:

ო თეოს, ო ეონ, ო კოსმოს, ო ხრონოს, ე გენესის.
ო თეოს ტონ ეონა პოიეი,
ო ეონ დე ტონ კოსმონ,
ო კოსმოს დე ტონ ხრონონ,
ო ხრონოს დე ტენ გენესინ

ტონ დე თეუ (უსპერ) უსია ესტი ტო აგათონ, ტო კალონ, ე ეუდაიმონია, ე სოფია... სოფიას ხსენებაზე გველეშაპმა ერთი ამოიოხრა და სოფიას მშობლიურ ქართულ ენაზე განაგრძო:

ღმერთის არსება ღმერთია,
მარადისობის არსება – იგივეობა,
კოსმოსის არსება არის წესრიგი,
დროის არსება – ცვალებადობა,
ხოლო დაბადების არსება კი არის ცხოვრება.

აქ გველეშაპს უეცრად გაახსენდა ერთი თბილისქალაქელი ჭაბუკის ნათქვამი: „მე რომ ბედი მქონებოდა, ამ ზონაში დავიბადებოდიო?" და ერთი ისეთი ამოიგმინა თავის მშობლიურ სანახებში ცხოვრების შეუძლებლობის გამო, რომ, რაც ცეცხლი უბჟუტავდა ფილტვებში, სულ მთლად ამოაყოლა და გიორგის შეაფრქვია ქვედაწელზე, რის გამოც გიორგის მთელი სარცხვინელი ამოეშანთებოდა და თავის იმ ერთადერთ თვისებასაც დაკარგავდა, რომლითაც ასე იყვნენ სახელგანთქმულნი მთელს სლავურ სამყაროში კოლხეთის ზვიადი მამლები, გიორგის რომ არ ეგზნო, თუ რა ხდებოდა მისი ბლაყვი გველეშაპის გულში და მთელი დოქი სანსერი არ შეესხა მისთვის, რის შემდეგაც გველეშაპმა დაამცრო და დამარხა მეორედ მოსვლამდე ცხოვრებამომსპარი ქართული სხვა ენათა განსასჯელად და ლაღად მოარსებე პროზაულ ინგლისურზე გადავიდა:

The workings of God are mind and soul, The workings of the Aeon are immortality and duration, The workings of the Kosmos are reinstatement in identity and reinstatement by substitution, The workings of time are increase and decrease, and the workings of coming-to-be are quality and quantity. და სუნთქვადამშვიდებულმა თავისი სრული – წინ – უკან – ზევით – ქვევით – მარჯვნივ – მარცხნივ – აღმა – დაღმა – გადმოხედვა და მიდმოგონება კვლავ მშვენიერი და ლოგოსსრული ბერძნულით დაამთავრა:

ო უნ ეონ ენ ტო თეო,
ო დე კოსმოს ენ ტო ეონო,
ო დე ხრონოს ენ ტო კოსმო,
ე დე გენესის ენ ტო ხრონო.

სწორედ გველეშაპის ამ სიტყვებზე გაახილა თვალი მოხუცმა, როგორც ვთქვი და უნებლიეთ გაეცინა იმის წარმოდგენისას, თუ რას იტყოდნენ ამის წაკითხვისას: შტაინერი, ბლავატსკაია, შარკო, ფროიდი, მაგნუს-სონი, ფერგიუსონი, მენდელსონი, ფუნკე, ანგელუს სილეზიუსი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ დიდი, გრიგოლ რობაქიძე, გრიგოლ ღვთის-

მეტყველი, ძმები გრიმები, იაკინთე ლისაშვილი, ორდენოსნები სიდონია ვარდოსანიძე და გერმან ხახუნაძე, არსენი, აგათონი ამონასი ანუბი აიო ბასილ დიდი ბესარიონ ბიარე გელასე გერონტი დანიელი ეფრემი ევაგრე ზენონი ზაქარია ისაია ელია თეონა ისიდორე მღვდელი იოანე სპარსელი კასიანე ლოთი მაკარი ნილ სორსკი ბორისი და გლები ტიხონ ზადონსკელი დომნა კარპოვნა სერაფიმე სოროვსკი და ტრინოე, პაფნისი, რუფუსი, და შენ – სიმონ – ტიმოთე – ფელიქს – გოგოლი – არსენიევი – ჩაადაევი – სკოვოროდა – ხომიაკოვი – დოსტოევსკი – სოლოვიოვი – ივანოვი და პეტრე, რომელმან პირველმა იხილა სიმაღლენი და მრავალი სხვა მხილველი ოთხივ კიდით ხმელისა და ცისა და წიაღისა, როდესაც გაიგონებდნენ გიორგის ბლაყვი გველეშაპყოფილის სიტყვებს, წარმოთქმულს ჩრდილო განედის 41 გრადუსსა და 42 წუთზე, ხოლო აღმოსავლეთის გრძედის 44 გრადუსსა და 50 წუთზე ვერის სასაფლაოს მიდმოხვევებში, სადაც დათოვლილ საფლავთა შორის დააბიჯებდა დიდი თვითდაჯერებული ყვავი. მოხუცის მზერა ნელა დაჰყვებოდა დროდაკარგული ყვავის ბაჯბაჯს, საფლავებს შორის მრავალი წლის უნახავი ჭირისუფალივით რომ ყოვნდებოდა ძველ საფლავებთან და თავს ხრიდა – ნაცნობი თუ ელანდებოდა, რადგან ვინ იცის, აქ სახლობდა მაშინაც, როდესაც ვერის უბნის სასაფლაოზე პირველი საფლავი გათხარეს და გვირგვინებით შეამკეს. მოხუცმა თვალი მოარიდა ყვავს და ხელში ნაჭერ ფურცლებს დახედა მძიმედ. გაცრეცილ ფურცლებს მრავალგზის ნაკითხობის კვალი აჩნდა. მოხუცის გაცრეცილი ჯიბეებიც სავსე იყო საფლავებთან აკრეფილი ნანერი გაყვითლებული ქაღალდებით, ხოლო ფეხებთან ნაგდებ ტოპრაკებში ჩატენილი ფურცლების გარდა, პალტოდან ნახევრად ცარიელი ბოთლი, ცოტა საჭმელი და რაღაც პატარა ფუთა ჩანდა. ყვავმა მოამთავრა თავისი შემოვლა და მოხუცთან მობაჯბაჯდა თავის ქნევით. მოხუცს თვალები დაეხუჭა და ჩუმად ბუტბუტებდა:

მარადისობა ღმერთთან კავშირით არსებობს,
კოსმოსი ბრუნავს მარადისობაში,

დრო მდინარებს კოსმოსში
და ყოფიერება არსებობს დროში...

ყვა... ყვა... წამოიჩხავლა ყვავმა. მოხუცმა თავი მიაბრუნა ოდნავ, სახეში შემომზირალი სამსაუკუნოვანი არსებისაკენ, ხელში ნაჭერი ქაღალდები მუხლებზე დაიდო და ყვავს თავზე ხელი ისე გადაუსვა, თითქოს მასში დაბუდებულ დროის სრბოლას ეალერსებოდა, მერე გატრუნულ ყვავს ნისკარტზე წკიპურტი დაჰკრა და ჩაიცინა:

– შენზე უკეთ ვინ იცის, რა არის დრო... – მაგრამ მხიარულმა წკიპურტმა მაინც ვერ დაფარა მის ხმაში არსებული ღრმა სევდა... სევდის ბაღს შევალ შენაღონები... მემენტო მორი... მემენტო მორი... როგორ შეუძლია მას ახსოვდეს სიკვდილი, თუკი სამასი წელი ცხოვრობს... ან რა ხსოვნა გაუძლებს... რატომღაც ცრემლი გადმოუვარდა თვალიდან, უსასრულო სივრცე ჩახია თრთოლვით და ყვავს ნისკარტზე დაეწვეთა. ყვა... წამოიჩხავლა ნახევრადმძინარემ, ხოლო მოხუცმა ისევ აიღო ხელში გაცრეცილი პალტოს კალთებზე დადებული წერილები და მძიმე მზერით დააცქერდა. მოხუცი აღარაფერს გრძნობდა თითქოს, მაგრამ მაინც სიამოვნებდა საფლავებთან მიმობნეული ამ წერილების გადაკითხვა, რადგან მეტი არაფერი დარჩენოდა თავის სიმარტოვეში, გარდა თითქმის გამოცარიელებული მეხსიერებისა და ამ წერილებს შერჩენილი ადამიანების გრძნობებისა, რომლებიც რაღაც გრძელ, ვიწრო და ბნელ დერეფნებში სიარულს ჰგავდა, დერეფანი კი ასეთსავე ვიწრო და უსასრულო გვირაბში შედიოდა... შენ დინჯად იკაფავდი გზას ამ გვირაბში და დარწმუნებული იყავი, რომ ყოველი ნაბიჯით სადღაც არსებულ გასასვლელს უახლოვდებოდა, აქა-იქ სინათლის სხივსაც მოჰკრავდი ზოგჯერ თვალს და მისი ათინათით ახალისებული შეუპოვრად მიიწევდი და მიაპობდი ფეხქვეშ დაგუბებულ აშმორებულ ლამს, რომელშიც მოცურავე ქიმერიული არსებები აჭყაპუნებდნენ ტალახს და შენს ყოველ ძალისხმევაზე გესროდნენ ყოველი მხრიდან... ოჰ, ეს გვირაბი! სულ შენ გარეთ რომ გგონია და ცხოვრების ბოლოს რომ საკუთარ თავში გათხრილს აღმოაჩენ, თხუნელა-

სავით რომ ალაბირინთებ საკუთარ არსებაში და მერე მისგან გამოსვლას ცდილობ... და დასამარებულ გრძნობათა ეს წერილებიც, ახლა რომ ეჭირა ხელში მოხუცს და ცდილობდა, ამით მაინც გაეკვლია გზა ხსოვნადქცეული ცხოვრების სასაფლაოზე გათხრილი საფლავის წინ, რომელშიც ის უნდა ჩაწოლილიყო... სხვათა ცხოვრების სასაფლაო... – მისი ცხოვრების გვირაბები იყო... სევდის ბაღს შეველ შენაღონები... დაკრეფად მსურდა ვარდის კონები... ან კი დააყრის ვინმე ვარდის კონას შენს საფლავს, ყვავო მარტოობისაო... სინათლეები უკვე ენთო ვერის სასაფლაოს შესასვლელში და ერთმანეთზე მიჯრილ საფლავებს დაფენილ თოვლს ხეთა გრძელი ჩრდილები ელაციცებოდნენ. ჩაბუზული ყვავი თვლემდა მოხუცის ფეხებთან... ხედავდა ყვავი სიზმრებს? არადა, რა უნდა ნახოს სამასწლოვანმა მარტოხელა ყვავმა სიზმრად? თავისი ბავშვობა? პირველი სიყვარული? ნაცნობი სახეები? თავისი ცხოვრების გვირაბები? სიყვარული და ტკივილი? შეურაცხყოფა და სითბო? თუ ის, რომ ხანდახან ანცი ბავშვები ქვებს ესროდნენ და აფრთხობდნენ? ჰქონდა ყვავს თავისი გვირაბი გასასვლელი? მოხუცმა თვალი მოარიდა მთვლემარე ყვავს. იგი არაფერს გრძნობდა ამ წუთში, მხოლოდ ოდნავ გაბზარული ნაცნობი ხმა ეხმიანებოდა თვალმილულულს... დაბადებიდან ნაცნობი და შორეული... ხმა, რომელიც არასოდეს არ ხმიანობდა სხვების გასაგონად და მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი... ხმა იდუმალი, რომელმაც მოიყვანა ახლა აქ, ქვეყნის კიდესთან დავანებულ სიმშვიდესა და გარინდებაში, რომლის იქით იწყებოდა მარტოობის დაუსაბამო და უსასრულო ღამე... მზიანი გვირაბი... დაიწყო უკვე... დაბადებიდანვე დაიწყო... რადგან გვირაბში დაბადებულისათვის არ არის გამოსავალი და ბნელში შობილი ბნელშივე ამთავრებს ცხოვრებას... ეს უთხრეს აქ, ეს აგრძნობინეს, ამას უყვიროდნენ ტალახის მსროლელნი... ხელის მკვრელნი... მოყვარენი და მოძულენი... ამიტომაც საფლავის კარამდე არ იშორებდნენ ამ წერილებს, როგორც დასტურს თავისი მარცხიანი ბრძოლისა, როგორც პასუხს მათ წინაშე დასმულ კითხვაზე: სცადე კი გა-

მოსვლა ამ გვირაბიდან?... ეს ხმაც მოხუცის იყო და მან გაიფიქრა, რომ ყველანი ერთად ხუცდებიან და დრო არ ჩერდება არავისთვის, ვიდრე მეხსიერების უკანასკნელი მკრთალი ათინათი მაინც არსებობს... მკვდრები არ კვდებიან... ბავშვები ხუცდებიან... განშორებულები ახლოვდებიან... ახლა თითქოს თავდებოდა ეს გვირაბი აქ, ვერის სასაფლაოს ერთგული ყვავის სიახლოვეში, რომელიც თავისი თვლემით სასაცილოს ხდიდა მთელ ამ ამაო მდუმარებას საფლავებისა... ყვავმა დაამთქნარა და ისევ თვლემას მისცა თავი. მოხუცს ისევ მოერია სევდა. ტოპრაკიდან ბოთლი ამოიღო და მოიყუდა...

ვინ იყვნენ ისინი?

„ჩემო უძვირფასესო და სულზე უტკბესო! არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს რამდენიმე დღეა, ამეკვიატა ეს სიტყვები... მსგავსი რამ არც არავის მოუწერია ჩემთვის და არც მე არავისთვის... ასე რომ, რა გზითა და საიდან ჩამიჯდა თავში, არ ვიცი. ბოლოს მივხვდი, რომ ქვეცნობიერად დამებადა სურვილი შენთვის წერილის მოწერისა. ბერგმანს ასე რომ აეკვიატებოდა რამე, მაშინვე ფილმის გადაღებას იწყებდა: სადგურის მოსაცდელში მჯდომი ორი ქალის სახე ამეკვიატაო და მივხვდი, რომ სანამ ამაზე ფილმს არ გადავიღებდი, ამ ჩემში ჩაჭედილ სურათს ვერ მოვიშორებდიო. ეს რამდენიმე ხანია, სურათიც ამეკვიატა ერთი. ნამდაუწუმ ვხედავ კადრს, სიზმარშიც, ცხადშიც. ამ კადრში შენც ხარ. მწვანე ბალახით დაფარულ ფერდობზე, – ე.ი. მინდორი ცოტა დაქანებულია, – თავქვეშ ხელებშემოჭდობილი ვწევარ... ადრეც მქონია ასეთი აკვიატებული გაყინული კადრები. სკოლას რომ ვამთავრებდი, იმ პერიოდში ხალებიან რუხ ცხენზე ამხედრებული ჩემი თავი მედგა სულ თვალწინ. მერე ერთხანს მწვანე კაბით ამეკვიატა საკუთარი სახე... იცი, რატომ დამებადა შენთვის წერილის მოწერის სურვილი? რომ დამტოვე შენობასთან ერთად და ხმის გამცემი რომ არავინ დამიტოვე. ახლა შენ გელაპარაკები. კითხვის პროცესში სულ მინდოდა, რომ რამე მეთქვა შენთვის, მეთქვა თუ მეკითხა, თუ მენახე მაინც. პირველ ხანებში ძალიან ავიჭერი. რამდენიმე გვერდი რომ წავიკითხე,

შევწყვიტე კითხვა და თარგმნა დავიწყე. თარგმნისას უფრო კარგად მესმოდა ის, რაც უბრალო წაკითხვით ვერ ვიგრძენი. შენ რომ წახვედი, სწორედ იმ დღეს გავაგრძელე კითხვა. ჯერ მეგონა, რომ ეს იყო უბრალო ფიქრის ნაკადი, თავისი ასოციაციებითა და ყველაფრით, აი, როგორც პრუსტი წერს (ამ ჩემი ასოციაციის შესახებ იმიტომ გწერ, რომ მინდა გადმოგცე ჩემი ემოციები შენობით აღძრული, თუმცა, შეიძლება შენ ეს არც გაინტერესებს, შეიძლება კი არა, ალბათ). მერე მივხვდი, რომ ცარიელი ნაკადი კი არ იყო აზრებისა, არამედ რაღაც კანონზომიერება იყო დაცული და რომ შენობის ფორმას დიდი ფუნქცია აკისრია. თავიდან კინაღამ ამოვინიშნე რაღაცეები, რომ უფრო ნათლად აღმექვა. მერე უცებ ვიგრძენი, რომ რიტმში ჩავვარდი. ბოლო-ბოლო, შენობამ მაგრად ამიყვანა. იმ ადგილის კითხვისას (მერე აღარ დამეძინა, მალე გათენდა კიდეც), როცა მკითხველის ოთახი აღიწერება, ისე ცხადად გიგრძენი გვერდით, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. ახლა, რომ მოვრჩი კითხვას, გეტყვი, რა გრძნობით წავიკითხე შენობა. ახლა ვხვდები, რომ კითხვის პროცესში ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სიმფონიას ვუსმენდი, მთელი თავისი ნაწილებით, გაუგებარი და გასაგები ადგილებით. პირველად რომ მოუსმენ და, თითქოს, რომ არაფერი. მეორედ რომ აზრზე მოხვალ და მესამედ რომ უკვე შენობითია, ახლობელია (რა თქმა უნდა, თუ მოგწონს). ბერგმანი წერს, ბეთჰოვენის, მგონი, მე-5 სიმფონიამ გადამაღებინაო „მარწყვის მდელო". ახლა გამახსენდა, როგორ მომეწონა, როცა წავიკითხე, რომ ლევი-სტროსმა მთელი საზოგადოების განვითარება (თუ არ ვცდები) მუსიკალური ენით ახსნა. საზოგადოება, მგონი, ორკესტრი იყო და საერთოდ, კარგ რამეებს წერდა. მერე წავიკითხე, რომ ლევი-სტროსის ეს თეორია მის გაფრენად ითვლება, გაგიჟდაო. ამ დროს მართლა კარგი რამეებია. თავისი ნაშრომების მთარგმნელებთან დიდი ომი ჰქონდა გაჩაღებული, სწორად ვერ მიგებთ და სწორად არ თარგმნითო. ალბათ, შენობის ავტორისგანაც იგივე მელის მე".

„დღეს დერეფნული განწყობილება მაქვს... ალბათ, შემთხვევით არ არის, რომ ასე ყველგან გვაქვს ეს ვიწრო, გრძელი, ბნელი დერეფანი. მე ბავშვობიდან უამრავი უსიხარულო რამის წარმოდგენისას თვალწინ სწორედ ასეთი დერეფანი მედგა ხოლმე. როცა გამოუვალ მდგომარეობაში გგონია კაცს თავი, როცა სიცარიელეა, უაზრობა, იმდენად უგემურად რომ ხარ, რომ გირჩევნია, რამე გტკიოდეს და იმას მიაპყრო მთელი ყურადღება, გარეთ როცა ჭყაპია და ნესტი... დანარჩენ ყველა ამინდს ვიტან, ქარსაც კი, თუ შინ ვარ, ან გარეთ ცოტა ხნით. მოკლედ, დერეფანი როცა მიდგას თვალწინ, ე.ი. ცუდად არის საქმე. ეს კორიდორი სიზმარში მინახავს, კოშმარშიც და არა კოშმარშიც, თითქოს რომ არაფერი და ძალიან ცუდად რომ გამოგეღვიძება. ეს დერეფანია თუ კორიდორი სულს უხუთავს კაცს და გულზე ანვება, ყოველგვარ ილუზიას უსპობს. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ დერეფანს ბოლო არ უჩანს ხოლმე, უსასრულოა. ეს ჩემი საშინელი დერეფანი ერთხელ ცხადშიც ვნახე. გასვენებაში ვიყავი. ძალიან შეეფერებოდა კორიდორი სიტუაციას და პირიქით. მის ბოლოში აეყუდებინათ ხავერდის კუბოს თავი. აქეთ-იქით მთელ სიგრძეზე ნავთქურები იყო ჩამწკრივებული (ეს შარშან ხდებოდა) და მიუხედავად გასვენებისა, თითქმის ყველა ენთო და ზოგზე იხარშებოდა, ზოგზე იწვებოდა. იმ დღის შემდეგ ჩემს წარმოდგენაში არსებულ დერეფანს სპეციფიკური სუნიც დაემატა. და ახლა, როცა დერეფანი წარმომიდგება, მის სუნსაც მაშინვე ვგრძნობ ხოლმე, სადაც არ უნდა ვიყო. და ეს ყველაფერი, იცი, რამ გამოიწვია? გუშინ რომ ტელეფონით გელაპარაკე – შენმა ტონმა. მე შეიძლება ვაზვიადებ, ან სულაც მომეჩვენა კი არა, უბრალოდ მოვიგონე. სენტიმენტები და რაღაცეებიო, შენ რომ თქვი, შენ, შეიძლება, შეჩვეული ხარ ამ ფრაზას და მექანიკურად ამბობ მას და მექანიკურად გაქვს დამახსოვრებული, რომ სენტიმენტები ცუდია. ზედმეტი სენტიმენტები შენზე მეტად მაღიზიანებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვიცი, რატომაც. იმიტომ რომ, სიყალბესთან არის დაკავშირებული, ან ზედაპირულია და არც ერთ შემთხვევაში არ გვჯერა მათი. და

თუ ეს ბუნებრივია და თავისით მოდის შენდა უნებურად, იყოს, რას გიშლის. და საერთოდ, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი, ვახურებ. მაგრამ გუშინ რაღაც შენდამი სითბომ დაისადგურა ჩემში და და თითქოს დაგუბდაო და შიგნიდან გამათბო. და ამიტომ, თორემ ისე არაფერი არ მომხდარა. თან მეშინია, რომ შენგან რამე სიაბანდი არ ვიგრძნო. მე თვითონ იმდენად მთლიანად ვარ შენთან, მთლიანად გახსნილი, რომ მგონი, ჩემთვის აღარაფერს ვიტოვებ. წიგნებში წერია, ასე არ ვარგაო, მაგრამ იმ წიგნებში არ იციან, რომ მე შენთან სხვანაირად ყოფნა არ შემიძლია, თუ არ თავიდან ბოლომდე, გულით და სულით, ღიად. მოკლედ, ამდენ სისულელეს პირში რომ ვერ გეტყოდი და, საერთოდ, რომ გნახულობ, ეს განწყობილება – ბნელი, მიქრება. და ისევ მიჩნდება, შენს ნაწერებს რომ ვკითხულობ. შენ რასაც წერ, ძალიან ახლობელი და გასაგებია ჩემთვის. არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ ასე მგონია, რომ ზუსტად ვგრძნობ, თუ რა გაწერინებს თითოეულ სტრიქონს. რას გრძნობ თითოეული სიტყვის დაწერისას, რატომ ამ სიტყვას წერ და არა – იმას. და საერთოდ, მესმის, რა გინდა და რას განიცდი. მე უცხო თვალით ვერ ვკითხულობ ამას. თავიდან ბოლომდე შემოვდივარ შენში (ძალიან თბილა) და ასე მგონია, თითქოს შენთან ერთად ვკითხულობ ამას.

იცი, რა მინდა? რომ შენ არ გქონდეს დერეფნული განწყობილება. არც ვიცი, ღირს თუ არა ამ ნაგვის შენთვის მოცემა..."

„ძალიან მინდა, რომ რამე გითხრა, გაგიზიარო. ამ ბოლო დღეებში ძალიან გამიუცხოვდი. ეს გამოიწვია არა მარტო იმან, რომ ასეთ უჩვეულო სიტუაციაში ვხვდებით ერთმანეთს, არამედ იმანაც, რომ ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ აბსოლუტურად უცხო ადამიანი ვარ შენთვის და, საერთოდ, თითქოს რაღაც ძაფი გაწყდაო, თუკი იყო ოდესმე გაბმული. მე შენ ძალიან მეძვირფასები. ბაბუა რომ მომიკვდა, ზუსტად ასე ვიყავი მაშინ. ხმამაღლა ლაპარაკი არ შემეძლო. ბაბუამ წამიკითხა რუსთაველი; ნიცშეს, ბიბლიას მიკითხავდა ხოლმე, ბერდიაევის ეგ წერილიც მანვე წამიკითხა. არც მის სიცოცხლეში და

არც მერე მისი მსგავსი კაცი არ მინახავს და ბოლოს, აი, შენც. შიშის ზარი მცემს იმის წარმოდგენისას, რომ შეიძლება ისე მოვმკვდარიყავი, რომ არც შეგხვედროდი...“

მოხუცმა ბოთლიდან ღვინო მოსვა და ახლა სხვა საფლავიდან აღებული წერილი გადაშალა და სული შეუბერა გათოშილ სტრიქონებს:

„წარმომიდგენია თქვენი გაკვირვება, როდესაც აღმოაჩენთ ამ წერილს. ჩვენს დროში ძნელია, შეინარჩუნო წონასწორობა და არაა გასაკვირი, რომ ბევრი აღმოჩნდეს გადაცდენილი თავის ჭკუას. ზოგჯერ ვძრწუნდები, რისთვისღა ვცხოვრობთ? რა გვაკავებს ამ დამპალ ქვეყანაზე? ვის ვჭირდებით? საიდან მოგროვდა ამდენი გულგრილი, თვითკმაყოფილი? ისინი შესანიშნავად გრძნობენ თავს, ცხოვრობენ გასუქებულ საქონელსავით და კმაყოფილები არიან თავისი შესაზიზღი ყოფნით ამ ქვეყანაზე. როგორი თვითკმაყოფილებაა დაწერილი მათ სახეებზე... ზოგჯერ პირდაპირ დაცხრილო გინდა ამ კმაყოფილი, განებივრებული ბურჟუების ეს ხროვა... და რა ბევრნი არიან ისინი... მაგრამ ყველაზე საშინელი კიდევ ის არის, რომ ბევრი ნორმალური ადამიანი ბოლოს და ბოლოს ღალატობს თავის იდეალებს და ცვლის თავის სულს „კეთილმოწყობილ“ ცხოვრებაზე. ამგვარ ადამიანებთან ცხოვრება შემაშინებელია, გინდა, გაიქცე, მაგრამ არსაითაა გასაქცევი... ყველგან და ყოველი მხრიდან მოჟონავს ეს მდაბიური თვითკმაყოფილება... სულს კი შია... მე მხოლოდ მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რაც მე თქვენგან მივიღე, თქვენს ლექციებზე დასწრების იმ ბედნიერებისათვის, იმ ტკბობისათვის, რომელიც განვიცადე თქვენი მოსმენით... ყოველი თქვენი ლექცია ხომ დღესასწაულია... მაგრამ, მგონი, შევტოპე სხვაგან... მიზეზი, რომელმაც მაიძულა დამეწერა, ხომ იმაშია, რომ ამ წელს უკვე აღარ მომიხდება თქვენი სმენა. ხოლო 25 დეკემბერს ხომ ზუსტად ხუთი წელი იქნება, რაც მე მაქვს ბედნიერება, ვესწრებოდე თქვენს ლექციებს...“

მოხუცმა ისევ მოიყუდა ნახევრამდე დაცარიელებული ბოთლი და რამდენიმე ხშირი ყლუპი გააკეთა. ბოთლი გვერდით დაიდო სკამზე, თავისთავში ჩაყუჟულ ყვავს თვალი ჰკიდა და ფურცლების თვალიერება განაგრძო. სიბნელე თანდათან ჩამოცოცდა ხეების ტოტებშუა და ვერის სასაფლაოს თავზე გაშეშდა. თოვლში მბჟუტავი ნათურების შუქზე გამონათებული რამდენიმე საფლავის მარადმწვანე ბუჩქებზე თოვლი გროვდებოდა და დაფენილი ფანტელები ბრწყინავდნენ სინათლის შუქზე. სასაფლაოს შორეულ კუთხეში, მიტოვებულ საფლავთან, რომელსაც გამხმარი, ჟანგისფერი გვირგვინების გროვა ფარავდა, ნათურით გამონათებულ სკამზე იჯდა მოხუცი, სანთელივით ჩამოქნილი კაცი. გაცრეცილი, ცვილისფერი გამჭვირვალე კანის ქვეშ ცისფერი ძარღვების ფეთქვა ჩანდა. მოხუცი დროდადრო იყუდებდა ღვინის ბოთლს და ხარბად წრუპავდა. სიცივე აღარ ატანდა მასში. აგონდებოდა მას თავისი ცხოვრების ქარიშხლიანი დღეები? და სინანულის ჟრუანტელი უფეთქებდა ძარღვებს? მას უხაროდა, რომ იყო ის, ვინც იყო... ადრემოსული, გახვეული შავ ნისლში... შორეულითა და უხილავით მიზიდული მაძიებელი მზისა... გზისა... ადრემოსული... ახლა იგი ისევ უახლოვდებოდა სიბნელეს, რათა ჩაძირულიყო მასში, როგორც ზღვაში და გარინდულიყო... მარადისობის საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმე, რომელიც ელის ქრისტეს, რომ ააცილოს სიკვდილისა და სიცოცხლის განსაცდელი... ბავშვივით ჩარჩენილი ამ ცოდვილ ქვეყანაზე... არა სიცოცხლე... არა სიკვდილი... არამედ რაღაც სხვა... გახუნებული, გაცრეცილი პალტო დაეფიფქა თოვლს. მოხუცი საფლავებთან დაყრილ გაყვითლებულ ქაღალდებს იღებდა და ყურადღებით ათვალიერებდა. მოხუცის ფეხებთან გუნდად ქცეული მთვლემარე ყვავი იჯდა... თოვლის თეთრი ფიფქის გვირგვინით თავზე...

ვინ იყვნენ ისინი?

"Сначала было слово.., а потом превращения кошки: льстивая кошка, любимая и влюбленная кошка и глупая, безумно глупая кошка. Как можно отказаться от слов, когда все воспринимается

словом, даже взгляд и улыбка... А когда не видишь, остается одно только слово. Итак первый рефрен о слове, и это та аксиома, которая не требует доказательств. Другое дело слова, слова, из которых складывается смысл, чувство, память, слова, которые ты сам ищешь в лабиринтах своих извилин, дабы сложить добро или зло. Но как создать слово, чтобы оно пробилось к тебе, как твой единственный взгляд, который я помню – что значит память? – помню? Когда говоришь слово помню, в этом смысл уже прошедшего, но не будущего, и великая мудрость Соломона – все проходит и ничего не проходит. Когда все уже не материально, и память складывается из единиц болезненно-мучительных ощущений случайный взгляд, улыбка, смех и классический квадрат фидиевских голов. Из чего складывается суть человеческая? Ты для меня – это смех, и ореховый свет зрачков твоих, и лень и слабость, и я буду знать и болеть этим насколько позволит чувство, ум и память...

Ты заставляешь меня помнить и страдать, ты сделавший зло. Но ты не будешь за это наказан...

Может быть зло – это лишь имя твое... которое мучает меня как жажда...

Итак последний рефрен - ЗЛО.

Самое страшное зло которое падет через меня на другого – Верно?

Аримасен – никогда! Это мудрое слово твоего, оно пишется сложными китайскими буквами, и в смысле его есть: не вывает, нельзя, не будет... и все три времени...

Аримасен – не говори никому, нельзя говорить – я не делаю зла... Ибо было слово – кто безгрешен пусть бросит в нее камень – так сказал Он и его распяли и кровь его будет обагрять мир: как любовь и слово.

Ты боялся сказать – я слаб, я человек, я не могу, я боюсь, я не знаю. Ты говорил я знаю, так надо, я люблю... И это – слова? Только слова? И опять слова? Видишь, какое противоречие?!

Я верила тебе и в тебя, и потому я простила тебя, ведь ты человек и ты слаб... Пусть будет с тобой покой и... Да святится имя твое... И не дай тебе Бог такой горькой и мучительной страсти...

Если хочешь, желаю тебе ту маленькую синюю птичку: пусть она поет тебе весной о нежной и спокойной любви... И когда расцветут цветы и от запаха земли, синих гор, и еще от чего-то тревожного, непонятного, может быть дрогнет твое сердце, пусть глянут на тебя печальные, нежные и немножко льстивые кошачьи глаза..."

შემდეგი წერილი, ღია საფლავის გვირგვინებში რომ იყო ჩაფლული, რიცხვით იწყებოდა:

"13. II.

О нет, мне совсем не скучно... хотя в моей жизни много суеты, но меня спасают две силы – мое неутолимое желание постигать и мой сын.

А когда провидение посылает такой сказочный подарок – разве можно скучать?

Мне приятно приходить в дом Ги, который наполнен для меня благодатью, ваши голоса и вы, совсем бесплотные, окружаете меня, я погружаюсь в воспоминания. Вот ты открывающий дверь, ты – весельчак, ты – ободряющий, ты – пьяненький, ты – мурлыка, ты – философ, ты – в нахлобученной шапке, ты – соблазняющий, ты – грустный, ты – усталый, ты – тамада, ты – с прищуренным глазом, ты – протягивающий огонь, ты – с ласковыми руками...

etc, etc...

И грустно от того, что вы умчались. Дом без Ги – совсем другой, он живет своей самодеятельной жизнью, он притих и ждет.

Возник один существенный для меня вопрос, но не хочу его задавать; пока не прочту до конца. Может ответ придет из книги...

Что нового возникло за это время? По гороскопу на февраль для тебя благостно общение с Козерогом... и не конфликтовать, т.к. это будет не в твою пользу (плохое слово – польза, но другого не сыщу).

Каковы настроения? Надеюсь, как всегда, не унываешь. Желаю от всей души больше радостных мгновений.

Мои руки смыкаются за тобой и губы целуют тебя.

И поцелуй и обьятия так призрачны, что совсем не опасны..."

ვინ იყვნენ ისინი?

Momentum mori... წამები სიკვდილისა... როგორ უნდა ახსოვდეთ ერთმანეთი... ბილიკების გზაჯვარედინზე... გაუხვია და წავიდა... სფინქსმა კი ცხოვრება იმით დაამთავრა, რომ თავისი სულელური კითხვებით ოიდიპოსს დედა შეართვევინა ცოლად... და ჩაინთქა მოუსავლეთში... მეხსიერებადაკარგული... მჯდარიყო იმ ბილიკთა გზაჯვარედინზე და ეძლია კითხვები გამვლელთათვის... memento mori... memento mori... და მოხუცმა დასტა შეათვალიერა და მზერა თავის პირდაბჩენილ ფეხსაცმელს ჰკიდა... ფეხსაცმლის კერვაც კი გადაავიწყდა ამ სასაფლაოზე მიმობნეულ წერილთა კითხვით... სხვისი გრძნობები და სხვისი მეხსიერება... სფინქსი მაინც ვიყო... ყვა... ამოიოხრა ყვავმა, აგრძელდა და ისევ თავისთავში შეიბურა სიზმართა სახილველად...

"N`oublies pas

Je sais nous sommes du même côté le téléphone sonne et nous existons brutalement face à face

Alors pour combler la béance je dis les mots qu`il faut faire car ils sont mais n`existent encore

Je sais cette volonté de faire exister ce qui nous permet de vivre, il y a une grande pour que cela tue comme un instrument de torture qui vous fait dire ce qui doit rester occulte car essentiel à la vie. Mais il m`est aussi irréel du connaître que tu existes ailleurs qu`il m`est réel du savoir que tu es avec moi, ici, alors seulement le mot n`est pas un doute, une question qui diffère le savoir, le téléphone devient la question et le mot passe, ouvre, sésame, rejoint.

Je sais profondément en toi ton être pousse, grandit et bouscule mon corps se moule â ta mesure au moment même où le tien creuse sa forme en moi

Tu m`as demandé une fois ce que j`avais pensé la première fois quand je t`ai vu: je n`ai pensé, j`ai su

Les mystères se révèlent le temps métamorphosé en espace énorme et libre დრო სივრცად შენით

N`aies aucune crainte tu as de ces titans qui font craquer l`univers sous leurs pas

Résiste aux ténèbres, attend-moi, je sors réveiller le jour

Je me souviens de tout absolument de tout mais surtout absolument je n`arrive pas à imaginer ton absence à te projeter hors de moi pour atteindre ton autre réalité quelle autre réalité de toi n`est pas en moi? Mal à écrire surgir de moi les petits signes noirs qui s`éloignent en file droite comme des funambules chacun messager de l`autre, lorsque le premier disparaît déjà avalé par ton œil le dernier n`est encore apparu à mon silence Apprendre à crier dans les airs comme ta voix l`autre jour rompue dans l`air matière sonore les mots pulvérisés sont pourtant retourné à mon oreilles dans leur forme immédiate

Téléscopage absolu

Entre maintenant où j`écris et maintenant où tu lis le cercle du temps clos tourne à toute vitesse sur lui-même et la distance ombilicale nous projette l`un à l`autre plaqué aux mots

Le lendemain c`est à dire il y a maintenant quelques jours et trois heures toujours de Paris à Tbilisi:

T`écrire Te faire sortir de moi comme un génie énorme de légendes orientales enfermé dans sur un tout petit flacon et qu`une formule magique fait se dresser soudain sur un nuage de fumée comme soudain dissous dans la fumée de la gare de L. j`ai senti doucement que tu réintégrais mon corps...

Regarde le miroir Rien ne ment..."

მოხუცმა ერთი წამით მზერა მოაშორა ნაწერს და სასაფლაოს გახედა. უსიცოცხლო ველების სიჩუმე იდგა ვერის სასაფლაოზე. ზეციდან დაშვებული თეთრი თავანიდან განუწყვეტლივ ათოვდა ცრემლებს ამოუვსები საფლავის პირად მჯდარი აკანკალებული სანთელივით დათოვლილი მოხუცის სხეულს. თავისთავს ხედავდა იგი ახლა, როგორც სიზმარსა და მოჩვენებას მიტოვებული ბაღის კივილში და ნაღვლიანად

ფიქრობდა: ალბათ მეგობარმა სადღაც გამიხსენა, როგორც ღამეების მიერ გადამწვარი, ახლა კუბოში ვარ... მაგრამ ფიქრი უეცრად შეწყვიტა და მის ფეხებთან მჯდომ ყვავს დააცქერდა, მერე ბოთლი ისევ მოიყუდა და რამდენიმე ყლუპი გააკეთა. დაისვენებენ ქიმერებზე ჩემი ცოდვები და ცოდვილ ტაძრებს ასწევენ მკვდრები... მე დღესაც ბაღში ვიმალები... და მომდევს სიბნელეში დინების გროვა... ვინ იყვნენ ისინი, მოლანდებული სამყაროს შემთხვევითი ჩრდილები, თუ აღსრულებადი სიცხადის ბინდი? არყოფნის შორეთში... სადღაც იმავე სიზმარში, მისი სული რომ ერქვა, ატირდა ქალი და ქარი გადაფრინდა ნაპირზე, რომ გადაერეკა ნათოვლი ცრემლების ღრუბლები და მთვარის სინესტეს გაეშავებინა ვარსკვლავების მზიდველი ღამე მძიმე ქვასავით რომ ეცემოდა ქალაქს... მოხუცმა უცნაურად გაუღიმა თავისთავს – შენ კი ბაღში იმალები დღესაც... – და ისევ არყოფნისპირის წერილების გრძნობათა მორევში გადაეშვა:

„შენ კი ხუმრობ, მაგრამ რომ იცოდე, რამდენად მწარეა შენი სიტყვები, როცა მეუბნები, „მარტო რატომ მტოვებო". როგორ თუ არ გრძნობ, რომ სულ იქა ვარ, ახლაც კი... იქვე ვარ, შენთან ვზივარ, შენც იქვე დგახარ და მეფერები. არ გეგონოს... მე მგონი, განგებ მაწვალებ...

... ჩქარა, სანამ გავაგზავნიდე ამ წერილს, ორი სიტყვა მინდა გითხრა, რამდენად მომენატრე... საქართველოშიო, შენმა სტუმრებმა მითხრეს, ყველა ერთმანეთს ჭამს ისევ: ერთად ხომ იყვნენ ამ დემონსტრაციების დღეებში, ეხლა კი დაიწყო დაჯგუფება და ერთმანეთის ლანძღვა-გინება!!.

სხვა ბევრი ახალი არ არის... თავს მოუარე... ნუ სვამ, ნუ ჭამ... იმუშავე და არ დამივიწყო..."

„შაბათია, საღამო, და შენ ოკეანის იქით სადღაც შორს, სხვასთან გძინავს ჩახუტებულს. ისე ნაღდად გხედავ, ვითომც მე ვიყო იქ შენთან და, ალბათ, ზოგჯერ კიდევაც ორ სიტყვას ძილში ქართულად იტყვი, როგორც ჩემთან, ნახევრად ჩაძინებულს, ინგლისურად გილაპარაკია. ან კიდევ, შეიძლება განგებ აკეთებ, რომ მაშინაც გამახსენდეს, რომ მე მარტო არა

ვარ და როგორც ამბობ, „შენი გაჩერება არ შეიძლება“. ეს ფაქტი, რომელსაც შენ ასე ხშირად და ზოგჯერ მწარედ მიხსენებ, გონებაში კარგად ჩამჯდარია, ასე რომ, პრინციპში არაფერი არ უნდა მიკვირდეს და არც მაღელვებდეს. ხოლო გონება და შეგნება ერთია და არსება – სხვა. სადღაც ღრმად, შიგნით მაინც ბოლომდე ვერ ვითმენ და ზოგჯერ ეს მოუთმენლობა ზედაპირზე ამოდის, როგორც იმ საღამოს – ისე მეჩვენება, რომ შენთან ვინც ახლოა, ისაა მართალი. სინამდვილეში ეს სიშორის გრძნობა უფრო მაწუხებს, ვიდრე შენი სხვასთან სიახლოვე... ისიც მესმის, რომ რაც არ უნდა დაჯდეს შენთვის თუ სხვებისთვის, შენი თავისუფლების დამტკიცება უფრო საჭიროა და გარდაუვალი შენთვის, ვიდრე ყველაფერი სხვა. და შენ, რადგანაც მიყვარხარ, როგორც მეგობარი, საყვარელი, მასწავლებელი, მამა და შვილი და ძმა, ამასაც ვღებულობ და ესეც მიყვარს შენში, თორემ ალბათ ასე არ მეყვარებოდი. უცნაური ის არის, რომ რამდენადაც არ უნდა გაღმერთებდე, რამდენადაც არ უნდა გიყურებდე, როგორც არაჩვეულებრივ პიროვნებას და ღმერთს ვუმადლოდე, რომ შეგხვდი, იმავე დროს, სადღაც ყოველთვის მაქვს წონასწორობის შეგნება. და თუ შენს თავისუფლებას უდიდეს პატივს ვცემ, არასოდეს არ მავიწყდება, რომ ჩემს თავისუფლებასაც იგივე პატივი უნდა ვცე. ალბათ ეს იმიტომ, რომ ჩემი ქვეყანა მონების ქვეყანა არასოდეს ყოფილა. მონურად მე არასოდეს მეყვარები. ადამიანობაში თუ არაფერ სხვაში შენი ტოლი ვარ და ამიტომაც მიმაჩნია, რომ მაქვს უფლება და მოვალეობა, რომ არაფერი დაგიმალო, რაც მტკენს და რაც მახარებს... ძნელია, ადამიანს რომ არ ხედავ და თვალებში არ უყურებ, ზუსტად გააგებინო ზოგიერთი გრძნობა და ნიუანსი.

ასე რომ, ეს პირველი საღამოა ყველაზე ძნელი, მერე კი ეჩვევი და გონების ხმა ნელა გულს სწვდება – გულწრფელად გისურვებ, რომ კარგი დრო გაატარო, დაისვენო და ისიამოვნო.

რომ იცოდე, სინამდვილეში ძალიან დაწყნარებული ვარ. სადღაც ვიცი, რომ შენს სიყვარულს ვერავინ ვერ წამართ-

მევს, ვერც ვერავინ ვერ შემიცვლის. როგორც საქართველოს სიყვარულს ვერავინ ვერ შემინელებს, რაც არ უნდა იმედი გამიტეხონ. ასეთი არაადამიანური სიყვარული არც ადვილად მოდის და არც უმტკივნეულოდ. საქართველო რომ იყოს დაწყნარებული ქვეყანა ბედნიერებაში და ლხინში, რომელსაც არაფერში არ დავჭირდებოდი, ალბათ, ასე არ შემიყვარდებოდა. მაგრამ რა აზრი ექნებოდა ჩემს ცხოვრებას, არ ვიცი. შენ კი – *შენ გაცნობამდეც* – მიეცი ამ სიყვარულს ენერგია და მიმართულება და განახორციელე. ამიტომაც დღეს ჩემში ველარ გავყოფ, რა ეკუთვნის საქართველოს სიყვარულს და რა ეკუთვნის შენსას. ორივე ერთმანეთში გადახლართულია და განუშორებელი. და როცა გეუბნები, რომ შენთვის ვმუშაობ, მართლაც ასეა, რადგან ვმუშაობ არა მარტო აბსტრაქტული საქართველოსათვის, არამედ კიდევ იმ ძალიან კონკრეტული საქართველოსათვის, რომელიც შენში არის ასე ძლიერად განხორციელებული. და ამიტომ აღარ ვიცი ხოლმე: იმის გამო, რომ შენში შენ მიყვარხარ ასე, ან თუ პირიქით, შენ გამო ის უფრო, ან უფრო სწორად, სხვანაირად შევიყვარე. შენ თვითონ წერდი, რომ ქართული მოდგმა სამყაროსადმი არის შეჯვარება იდეალურის და მატერიალურის – მართლაც ასე არის ჩემი სიყვარული საქართველოსადმი. აქამდე ვცხოვრობდი მხოლოდ იდეალურით და ბოლომდე მხოლოდ მაშინ შევიყვარე, როცა *ზედა ზენზე* ასული ქართულ მიწაზე წამოვგორდი, მისი სუნი და სითბო ფიზიკურად შევიგრძენი. იმის მერე გავიგე, თუ რა მაკლდა მანამდის და იმის შემდეგ ვიცი ინსტინქტურად, რა არის კარგი და რა არის ცუდი მისთვის. დაიჯერებ თუ არა, ამ უღელტეხილის გვირაბზე რომ ვფიქრობ, ფიზიკურად ვგრძნობ, თითქოს ამ გვირაბის გატარებას ჩემს სხეულში აპირებენ. აღარ გეტყვი, რომ შენდამი იგივე გრძნობა მაქვს და ჩემთვის მომაკვდინებელი იქნება, რომ დავკარგო ან ერთი კავშირი ან მეორე. სისრულეს და მთლიანობას რომ გასინჯავს ადამიანი ცხოვრებაში, მერე იმის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია...

ეს ნიჭი ღმერთმა მოგცა არა მხოლოდ შენთვის, არამედ შენთან ერთად საქართველოს წარმატებისათვის. ამიტომაც არ გასვენებს და ვერც დაისვენებ. მე გამაჩინა დასახმარებლად და ცოტათი რომ გაგიმსუბუქო ეს ტვირთი...“

ყვავმა ცალი თვალი გაახილა, მოხუცს ახედა... უძრავი მზერა შეაყოვნა მის სახეზე და ისევ დახუჭა. მოხუცმა ბოთლი მოიყუდა და ღვინო მოსვა...

„... ალბათ არც შობაზე და არც ახალწელზე არ ვიქნები...“

მოხუცმა საფლავისპირის ჩანთიდან ახალი დასტა ამოიღო და გადაფურცლა.

„... ალბათ ვბერდები! იმაში ვატყობ, რომ ხშირად ამ დღეებში ჩემს თავს ვაკვირდები და ვადარებ ჩემს დღევანდელ გრძნობებსა და ახალგაზრდობის გრძნობებს. პირველი სიყვარული რომ მახსენდება, მართლა საკვირველი მოვლენაა... ალბათ ასეთი ძლიერი გრძნობები ამნაირად მერე აღარ იგრძნობა, მაგრამ სინამდვილეში არაფერს არა აქვს რეალობა. შეყვარებული კიდევაც შეიძლება არ არსებობდეს და რაც უფრო მიუკარებელია და უფრო შორეული, მით უფრო იზრდება გრძნობები. მაგრამ ეს ყველაფერი თავის თავში არის ჩაკეტილი: სხვა, მეორე, თითქმის არ სჭირდება, რომ სიყვარული დაგეუფლოს და გაძლიერდეს... შეიძლება, ეს არის მხოლოდ ვარჯიში, ის მომენტი, სადაც ადამიანი ეცნობა თავის შესაძლებლობებს და აუცილებელია, რომ შეიგრძნოს, თუ რა შეუძლია გულს და გრძნობას... მეორე პიროვნება კი ამ ანგარიშში არ შედის: იმის სურათს და წარმოდგენას, რეალობისაგან ძალიან დაშორებულს, ხმარობ იმისათვის, რომ შენ გახდე სრულყოფილად, შენობას მიაღწიო. და როცა ეს მიზანი მიღწეულია, – ერთ წელში, თუ ათში... – მაშინ თავისთავად ქრება, უმიზეზოდაც. მერე კი მოდის პერიოდი, როდესაც დამწიფებული გგონია შენი თავი და ყველაფერს ცივად უყურებ და თავს ირწმუნებ იმაში, რომ ეს ყველაფერი ფანტაზია იყო და, რადგანაც, „ის“ იყო ფანტაზია, თვით გრძნობებიც ყოფილა არარეალური და ცხოვრება სრულიად სხვა ყოფილა და საჭიროა, შეეგუო „ნორმალურ“ გრძნობებს, ოცნებებს არ

მიჰყვე და არც მოთხოვნილებებს... აბსოლუტურის ნაცვლად, ღებულობ შედარებით კრიტერიუმებს... მაგრამ ცოტა ხანში ცხადი ხდება, რომ ესეც არარეალური ყოფილა. ეს ვითომც „რეალიზმი" აღმოჩნდება თავის მოტყუება... ალბათ არსებობს ერთი კატეგორია ხალხისა, რომელიც არასოდეს არ აღიარებს თავისთავსაც კი, რომ ეს არის უდიდესი არა მხოლოდ თავის მოტყუება, არამედ თავის უარყოფა. ამ ნაბიჯის გადადგმას გააჩნია რაღაც რისკი, რადგანაც იმის იქით მარტო შენ ხარ შენს თავთან: არც აბსტრაქტული გრძნობები, არც ფსევდო-რეალიზმი აღარ გაქვს გვერდში, რომ დაგიფაროს. იმავე დროს, მაგრამ ეს მაშინ არ იცი, ეს არის აუცილებელი ნაბიჯი, რომ გახდე ის, რაც ადრე დამალული და შეზღუდული იყო... მაშინ მხოლოდ ხარ მზად, რომ სხვა იცნო და მიიღო... ადრე ნავარჯიშევი გრძნობები მაშინ ხორციელდება არა მოჩვენებაზე, არამედ უტყუარ რეალურ ადამიანთან რეალურ კავშირში. უკვე ასეთი გრძნობები თავის თავში აღარ კმაყოფილდება და სხვაში და სხვასთან იზრდება ნამდვილ მიცემ-მიღებაში, სადაც პიროვნების დაქვეითებას და მისწრაფებების შეზღუდვას აღარ აქვს ადგილი, რადგანაც, პირიქით, ერთსაც და მეორესაც აძლიერებს..."

ყვა... ყვა... წამოიჩხავლა ყვავმა. მოხუცმა თავი ოდნავ მიაბრუნა სახეში შემომზირალი სამსაუკუნოვანი არსებისაკენ, ხელში ნაჭერი ქაღალდები მუხლზე დაიდო და ყვავს თავზე ხელი გადაუსვა, თითქოს მასში დაბუდებულ დროის სრბოლას ეალერსებოდა, მერე გატრუნულ ყვავს ნისკარტზე წკიპურტი დაჰკრა და ჩაიცინა:

– შენზე უკეთ ვინ იცის, რა არის დრო... განშორება და პატივისცემა... – მაგრამ მხიარულმა წკიპურტმა მაინც ვერ დაფარა მის ხმაში არსებული ღრმა სევდა. სევდის ბაღს შევალ შენაღონები... მემენტო მორი... მემენტო მორი... როგორ შეუძლია, მას ახსოვდეს სიკვდილი, თუკი სამასი წელი ცხოვრობს... ან რა ხსოვნა გაუძლებს... რატომღაც ცრემლი გადმოუვარდა თვალიდან, უსასრულო სივრცე ჩახია თრთოლვით და ყვავს ნისკარტზე დაეწვეთა. ყვა... წამოიჩხავლა ნახევ-

რადმძინარემ, ხოლო მოხუცმა ისევ აიღო ხელში გაცრეცილი პალტოს კალთებზე დადებული წერილები და მძიმე მზერით დააცქერდა. მოხუცი აღარაფერს გრძნობდა თითქოს, მაგრამ მაინც სიამოვნებდა ამ არყოფილი სიზმრიდან ამოღებული წერილების გადაკითხვა, რადგან მეტი არაფერი დარჩენოდა თავის სიმარტოვეში, გარდა თითქმის გამოცარიელებული მეხსიერებისა და ამ წერილებს შერჩენილი საფლავის კართან მოკრეფილი გრძნობებისა, რომლებიც რაღაც გრძელ, უცხო, ვიწრო და ბნელ დერეფნებში სიარულს ჰგავდა მბჟუტავი სანთლით ხელში, დერეფანი კი ასეთსავე ვიწრო და უსასრულო გვირაბში შედიოდა... ოჰ, ეს გვირაბი... სულ შენ გარეთ რომ გგონია და ცხოვრების ბოლოს რომ საკუთარ თავში გათხრილს აღმოაჩენ, საკუთარ არსებაში დალაბირინთებულს და მერე მისგან გამოსვლას ცდილობ... – გაიფიქრა მოხუცმა. საფლავებთან აკრეფილი ეს წერილებიც მისი ცხოვრების გვირაბებად ქცეულიყვნენ ახლა და იგი ცდილობდა, ამით მაინც გაეკვლია გზა ხსოვნადქცეული ცხოვრების სასაფლაოზე გათხრილი საფლავის წინ, რომელშიც ის უნდა ჩამოწოლილიყო... სევდის ბაღს შეველ შენაღონები, დაკრეფად მსურდა ვარდის კონები... ან კი დააყრის ვინმე ვარდის კონას შენს საფლავს, ყვავო მარტოობისაო... ნათურები უკვე ენთო ვერის სასაფლაოს შესასვლელში და ერთმანეთზე მიჯრილ საფლავებს დაფენილ თოვლს ხეთა გრძელი ჩრდილები ელაციცებოდნენ. ჩაბუზული ყვავი თვლემდა მოხუცის ფეხებთან... ხედავდა ყვავი სიზმრებს? არადა, რა უნდა ნახოს სამასწლოვანმა მარტოხელა ყვავმა სიზმრად? თავისი ბავშვობა? პირველი სიყვარული? ნაცნობი სახეები? თავისი ცხოვრების გვირაბები? სიყვარული და ტკივილი? შეურაცხყოფა და სითბო? თუ ის, რომ ხანდახან ანცი ბავშვები ქვებს ესროდნენ და აფურთხებდნენ? ჰქონდა ყვავს თავისი გვირაბი გამოსასვლელი? მოხუცმა თვალი მოარიდა მთვლემარე ყვავს. იგი არაფერს გრძნობდა ამ წუთში, მხოლოდ ოდნავ გაბზარული ნაცნობი ხმა ეხმიანებოდა თვალმილულულს... ხმა, დაბადებიდან ნაცნობი და შორეული... ხმა, რომელიც არასოდეს არ ხმიანობდა

სხვების გასაგონად და მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი, ხმა იდუმალი, რომელმაც მოიყვანა ახლა აქ, ქვეყნის კიდესთან დავანებულ სიმშვიდესა და გარინდებაში, რომლის იქით იწყებოდა მარტოობის დაუსაბამო და უსასრულო ღამე... მზიანი გვირაბი... დაიწყო უკვე... დაბადებიდანვე დაიწყო... რადგან გვირაბში დაბადებულისათვის არ არის გამოსავალი და ბნელში შობილი ბნელშივე ამთავრებს ცხოვრებას... ეს უთხრეს აქ, ეს აგრძნობინეს, ამას უყვიროდნენ ტალახის მსროლელნი... ხელის მკვრელნი... მოღვარენი და მოძულენი... ამიტომაც არ იშორებდა ამ წერილებს, როგორც დასტურს თავისი მარცხიანი ბრძოლისა, როგორც პასუხს მის მიერ დასმულ კითხვაზე: სცადე კი გამოსვლა ამ გვირაბიდან? ხმაც მოხუცის იყო და მან გაიფიქრა, რომ ყველანი ერთად ხუცდებიან და დრო არ ჩერდება არავისათვის, ვიდრე მეხსიერების უკანასკნელი ათინათი მაინც არსებობს... მკვდრები არ კვდებიან... ბავშვები ხუცდებიან... განშორებულები ახლოვდებიან... ახლა თითქოს თავდებოდა ეს გვირაბი აქ, ვერის სასაფლაოს ერთგული ყვავის სიახლოვეში, თავისი თვლემით სასაცილოს რომ ხდიდა მთელ ამ ამაო მდუმარებას საფლავებისა... ყვავმა დაამთქნარა და თვლემა განაგრძო... მოხუცს ისევ მოერია სევდა. ტოპრაკში ჩაჭუჭყნული გახუნებული წერილების გროვიდან რამდენიმე ამოიღო და მუხლებზე გაშალა, მერე ტოპრაკიდან ისევ ამოიღო ბოთლი და მოიყუდა... მაგრამ ვიდრე მოსვამდა, თვალი ნაწერს დააშტერდა და გაოცებულმა ბოთლი მოიშორა...

„ვერის სასაფლაო. ცხრა წლის შემდეგ...“ – ეწერა ფურცლის თავზე...

„... ვდგავარ გაოგნებული, ვიშლები ჭკუიდან, მებნევა გონება, ვერაფერს ვეღარ ვგრძნობ, არ ვიცი, სად ვარ, რისთვის ვარ... და მაწვალებს კითხვა... *რატომ?..*“

ახლა ისეთი განწყობა მაქვს, რომ მინდა ვიყვირო მთელი ხმით და ვიღრიალო *პირუტყვივით* – მეტი არაფერი!...

მხოლოდ *საკუთარი თავის წინაშე გამოსაცნობად დამდგარს*, მაიძულებს გავერკვე – რაშია საქმე?! *პატივისცემისა*

და სითბოს მეტი არაფერი გამიცია, სწორედ როგორც ქართველს... პატივისცემა უბრალოდ გამოვლენილი და დამტკიცებული *ყურადღებითა და სიფრთხილით* – მეტი არაფრით. ესენი კი... მესვრიან ტალახს, შეურაცხმყოფენ... და მე კი ვერც ვპასუხობ და ვერც ვინძრევი... ბნელ გვირაბში...

რაღაც სრული ანემია დამემართა მართლაც...

პატივისცემა – ზრდილობის ფორმაა! ის ფორმა, რომელიც *ათიათასად ფასობს*... სიყვარული, თუ იგი არსებობდა, გადადის, „ეჩვევა" თავისთავს, და გაუფრთხილებელია; ხოლო პატივისცემა კი არის პიროვნებაში მისი არსების დაფასება და ამის გამო მისდამი გაფრთხილება... „სიყვარული მოყვასისა"!.. მაგრამ დღეს ეს აღარ არსებობს... ზრდილობას ჩალის ფასიც არ ადევს და კაცობაც მასზე ათიათასჯერ იაფია... უღირსობისა და უკაცურობის კარნავალია დღეს, აღლუმი... ბერიკაობა... მკვდართა მასკარადი... ყეენობა არმაგედონში...

...მკვდრისა და ცოცხლის ფიზიკური ურთიერთობა შეუძლებელია... საქმეც ისაა, რომ *ტრანსკავკასიური ბნელი გვირაბი დიდი ხანია, გაყვანილია*... იგი ყველგანაა.. ყველგან და ყოველში... ესაა *მათი* საიდუმლო!...

...ჩემი მარტოობის ციხის კარები მკვიდრად მეპყრა ყოველთვის და კიდეც ვიყავი „ფორმაში", როგორც ის მონადირე, რომელიც ფხიზლობს და ყოველწამიერ მზადყოფნაშია, სანადიროდ წასული. ან კიდევ ის ხანშიშესული რაინდი, აბჯარს რომ არ იხდიდა, – ახალგაზრდები დამასწრებენ ომში გასვლასო...

ახლა კარები შეხსნილი მაქვს...

მარტოობა დარღვეულია, განზავებული გავხდი – და ამიტომაც *ნერვიული და დაუცველი* იმავ დროს.

ამ მდგომარეობაში ვინმე მაინც უნდა იყოს ახლოს (ფიზიკურად ახლოს), ვინც ფარის როლს იტვირთავს, ვინც შეგეხიდა არა როგორც მსახური, არამედ როგორც პატივისმცემელი შენი პიროვნებისა, სათუთი მომვლელი შენი (სულიერ მოვლას და შეხიდებას ვგულისხმობ, ცხადია), როგორც შენკენ მოქცეული მადლი. მაგრამ მადლს ხომ „დამსახურება" არ უნ-

და, რადგან მადლი მოდის შენზე იმ პირველწყაროდან, რომელსაც სიყვარული ჰქვია, იქნება ის ღმერთი, თუ ადამიანი. ნერვიულობა სწორედ ამითაა გამოწვეული... – დაუფარავ მდგომარეობაში ვერა გრძნობ ამ მადლიანი ხელის სითბოს შენ გვერდით და ციხის კარების შეკეტვასაც ველარ ახერხებ განზავებულობისა გამო. საკუთარ თავთან მისასვლელი გზა ხმაურიანი გამვლელებით და ცნობისმოყვარე მოშტერებით მოთვალთვალთვალეებითაა გადაჯაგრული. იბადება შინაგანი ტკივილი, რომელიც არღვევს წონასწორობას – ველი ირღვევა და ჩნდება „წყლული"...

რატომ? ღირსების გრძნობა აღარ არსებობს და იმიტომ!.. აღარც შეურაცხყოფის განცდაა... უღირსობამ მოსპო შეურაცხყოფა! აი, კარნავალი! აი, ცირკი!

„ნუ მიაქცევ ყურადღებას" – მე რა, მანქანა ხომ არ ვარ, ზეთი დამკლებოდა და, ამიტომ, ჭრიალი დამეწყო... აქ ფორმის რღვევაა სრული! – „რა მოხდა, ახლა ყველას აგინებენ", – რას ნიშნავს ეს ადამიანისათვის, კონკრეტული ადამიანისათვის, ერთისათვის... რადგან „ყველას" – ესე იგი – „რა მოხდა"?! მაგრამ მე ხომ არა ვარ „ყველა", ივან ილიჩისა არ იყოს, მე ხომ სილოგიზმის სუბიექტი არა ვარ, ცოცხალი და კონკრეტული არსება ვარ და, აი, ეს ცოცხალი და კონკრეტული არსება არავის არ აინტერესებს... იქნებ ამ ჰორიზონტში შემთხვევით მოხვედრილი და რაღაც ინერციით შერჩენილი არსება ვარ, – ჰომო ოკაზიონალის ინერციკუმ, – ეს განცდა იმდენად მძაფრია და მტკივნეული, რომ ლამის არის სიცოცხლეზე ხელი ამაღებინოს. აქა-იქ მოულოდნელად გამომკრთალი სითბო და თანაგრძნობა კიდევ უფრო ამძაფრებს ამ მიტოვებულობის განცდას და ბადებს კითხვას, რა არის მიზეზი ამისა? *სოციალური ინერტულობა*? დაუინტერესებლობა რეალური ცხოვრებით? ასოციალურობა? რაც არ უნდა იყოს, ეს არაჩვეულებრივად მტკივნეულს ხდის ჩემს ცხოვრებას – *მიჭირს ცხოვრება*. შავი ენერგიის ვიბრაციებში ვარ ჩაძირული და ვიღლები... ვიღლები... ვიღლები...

ხოლო *წყლული* ხომ მე მაქვს და არა მათ...

იქნებ, ეს ყოველივე იმის ნიშანია, ჩემდამი მოცემული: მივხედო საკუთარ ციხეს, აღარ ვიყო ეკლად სხვათა თვალში, არ ვტკენდე თვალებს და ვუღიზიანებდე გრძნობებს... მივხედო საკუთარ ჩუმ შემოქმედებას...

მაგრამ ვისთვის?... ვისთვის და რისთვის?... ვინაა წამკითხავი?... ამ ცირკში მოწყობილ ყეენობაში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია..

მშფოთვარეა სული ჩემი ობოლი...

...შემოქმედი თავისი შემოქმედების ტყვეა და სიყვარული ვინმესი ამ ტყვეობის ნაწილია. ამიტომაა, რომ არსებობს შემოქმედისადმი მომართული ცალმხრივი სიყვარული ანუ მოთხოვნილება მისი, რომ უყვარდეს ვინმეს თავისთავად, დამოუკიდებლად იმისა, თვით შემოქმედს აქვს თუ არა „საპასუხო" გრძნობა. ეს უქმნის მას არსებობის ველს. სწორედ ეს თავდავიწყება ასულდგმულებს მას და არა „სოციალური პატივმოყვარეობა". შემოქმედის საარსებო ველი, რომელიც არსებით განმარტოებული და „მწირია", „საობლო", თბება ამგვარი თავდავიწყებული სიყვარულით, აძლევს მას ახალ სასიცოცხლო (ე.ი. შემოქმედებით) ენერგიას, – აცოცხლებს მას. თავდავიწყება მოყვარისა შეესატყვისება თავდავიწყებას შემოქმედებისა, ჩადგომას შემოქმედების გრიგალში...

...არსებობის ტალღების თამაშში ნაფოტივით მოცურავე შემოქმედს მხოლოდ ერთი კუნძული აქვს – მასში თავდავიწყებით და „უპასუხოდ" (პასუხის მოუთხოვნელად ანუ) შეყვარებული ადამიანი (რომც არ იყოს იგი მის გვერდით, რომც არ არსებობდეს ნამდვილად, შემოქმედი იგონებს მას და აარსებს თავისი ცხოველი წარმოდგენით, როგორც რუსთველი – თამარს, დანტე – ბეატრიჩეს და სხვა, რადგან შექცევადია ეს წარმოდგენა: ვისით აკეთებ და ვისთვის აკეთებ...). *შემოქმედის საზღაური ცხოვრებისადმი – შემოქმედებაა.* ესაა მისი მადლიერი პასუხი „ღმერთის საჩუქარზე" – მისი სიყვარული თავის სრულყოფილებაში და ამ სიყვარულის ობიექტიც და სუბიექტიც (რამეთუ მაკეთებელი – გადამრჩენი... კუნძული) არის სწორედ ის არსება, რომლის პატივისცემითა და სიყვარულით

გამთბარი მზერა იცავს ცხოვრების წინაშე გაშიშვლებულ (რადგან ამ სიშიშვლის გარეშე არც შემოქმედება არის ჭეშმარიტი!) შემოქმედს, დაუცველს და, არსებითად, განწირულს. შემოქმედის მასაზრდოებელი ეს თავგანწირული სიყვარული ღრმა პატივისცემის გრძნობის საწინდარია, ურომლისოდაც არ არსებობს ურთიერთობა „მალული თავგანწირული სიყვარულითა" და „შემოქმედებით შეპყრობილს" შორის... ყოველივე გადადის „მომთხოვნ" ურთიერთობაში... იწყება მოსაწყენი და მომაბეზრებელი ცირკი...

გულგრილობა – სიძულვილის საწინდარია...

მე კი სასტიკად ვარ დაღლილი და ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ვგრძნობ ჩემს *უცხოობას* და *მიტოვებულობას*...

...როდესაც ვინმე გარდაიცვლება, ჭირისუფალთან მიდიან ნაცნობ-ახლობლები და უმსუბუქებენ ტკივილს, „ნუგეშინისცემენ"...

ერთხელ ჩინელ ბრძენს ჩუანგ-ცუს დაესიზმრა, რომ პეპელა იყო. გამოღვიძებულს ვერ გაერკვია, მაშინ იყო იგი ადამიანი, რომელსაც სიზმარი ესიზმრა, თუ ახლა არის პეპელა, რომელსაც ესიზმრება, რომ ის ადამიანია...

ესაა და ეს..."

მოხუცმა ერთი წამით მზერა მოაშორა ნაწერს და სასაფლაოს დახედა. დათოვლილ საფლავთა შორის ისევ დააბიჯებდა დიდი თვითდაჯერებული ყვავი. მოხუცის მზერა ნელა დაჰყვებოდა დროდაკარგული ყვავის ბაჯბაჯს საფლავებს შორის, მრავალი წლის უნახავი ჭირისუფალივით რომ ყოვნდებოდა ძველ საფლავებთან და თავს ხრიდა, – ნაცნობი თუ ელანდებოდა, რადგან ვინ იცის, აქ სახლობდა მაშინაც, როდესაც ვერის უბნის სასაფლაოზე პირველი საფლავი გათხარეს და გვირგვინით შეამკეს. მოხუცმა თვალი მოარიდა ყვავს და ხელში ნაჭერ ფურცლებს დახედა. გაცრეცილ ფურცლებს მრავალგზის ნაკითხობის ყვითელი ქონიანი ლაქები აჩნდა. მოხუცის გაცრეცილი პალტოს ჯიბეებიც სავსე იყო საფლავებთან აკრეფილი გაყვითლებული წერილებით; ხოლო ფეხებთან ნაგდებ ტოპრაკში ჩატენილი ფურცლების გარდა, ნახევრად ცარიელი ბოთლი,

ცოტა საჭმელი და რაღაც პატარა ფუთა ჩანდა. ვერელმა ყვავმა მოამთავრა თავისი შემოვლა და მოხუცთან მობაჯბაჯდა თავის ქნევით. მოხუცს თვალები დაეხუჭა და ჩუმად ბუტბუტებდა.

მარადისობა ღმერთთან კავშირით არსებობს,
კოსმოსი ბრუნავს მარადისობაში,
დრო მდინარებს კოსმოსში
და ყოფიერება არსებობს დროში...

ყვა... ყვა... წამოიჩხავლა ყვავმა. მოხუცმა თავი ოდნავ მიაბრუნა სახეში შემომზირალი სამსაუკუნოვანი არსებისაკენ, ხელში ნაჭერი ქაღალდები მუხლებზე დაიდო და ყვავს თავზე ხელი ისე გადაუსვა, თითქოს მასში დაბუდებულ დროის სრბოლას ეალერსებოდა, მერე გატრუნულ ყვავს ნისკარტზე წკიპურტი დაჰკრა და ჩაიცინა:

– შენზე უკეთ ვინ იცის, რა არის დრო... და პატივისცემა... – მაგრამ მხიარულმა წკიპურტმა მაინც ვერ დაფარა მის ხმაში არსებული ღრმა სევდა. სევდის ბაღს შევალ შენაღონები... მემენტო მორი... მემენტო მორი... როგორ შეუძლია მას, ახსოვდეს სიკვდილი, თუკი სამასი წელი ცხოვრობს... ან რა ხსოვნა გაუძლებს... რატომღაც ცრემლი გადმოუვარდა თვალიდან, უსასრულო სივრცე ჩახია თრთოლვით და ყვავს ნისკარტზე დაეწვეთა. ყვა... წამოიჩხავლა ნახევრადმძინარემ, საფლავის წინ, რომელშიც ის უნდა ჩამოწოლილიყო... სინათლეები უკვე ენთო ვერის სასაფლაოს შესასვლელში და ერთმანეთზე მიჯრილ საფლავებს დაფენილ ხეთა გრძელი ჩრდილები ელაციცებოდნენ. ჩაბუზებული ყვავი თვლემდა მოხუცის ფეხებთან... ხედავდა ყვავი სიზმრებს? არადა, რა უნდა ნახოს სამასწლოვანმა მარტოხელა ყვავმა სიზმრად? თავისი ბავშვობა? პირველი სიყვარული, ნაცნობი სახეები? თავისი ცხოვრების გვირაბები? სიყვარული და ტკივილი? შეურაცხყოფა და სითბო? წაუკითხავი წერილები? თუ ის, რომ ხანდახან ანცი ბავშვები ქვებს ესვროდნენ და აფრთხობდნენ? ჰქონდა ყვავს თავისი გვირაბი გასასვლელი?

მოხუცმა თვალი ააცილა მთვლემარე ყვავს. იგი არაფერს გრძნობდა ამ წუთში, მხოლოდ ოდნავ გაბზარული ნაცნობი

ხმა ეხმიანებოდა თვალმილულულს... დაბადებიდან ნაცნობი და შორეული... არასოდეს რომ არ ხმიანობდა სხვების გასაგონად და მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი. ხმა იდუმალი, რომელმაც მოიყვანა ახლა აქ, ქვეყნის კიდესთან დავანებულ სიმშვიდესა და გარინდებაში, რომლის იქით იწყებოდა მარტოობის დაუსაბამო და უსასრულო ღამე... მზიანი გვირაბი... დაიწყო უკვე... ყვავმა დაამთქნარა და ისევ თვლემას მისცა თავი. მოხუცს ისევ მოერია სევდა. ტოპრაკიდან ბოთლი ამოიღო და მოიყუდა...

უსიცოცხლო ველების სიჩუმე იდგა ვერის სასაფლაოზე. ზეციდან დაშვებული თეთრი თავანიდან განუწყვეტლივ ათოვდა ცრემლებს ამოუვსები საფლავის პირად მჯდარი აკანკალებული სანთელივით დათოვლილი მოხუცის სხეულს. თავისთავს ხედავდა იგი ახლა, როგორც სიზმარსა და მოჩვენებას მიტოვებული ბაღის კივილში და ნაღვლიანად ფიქრობდა: ალბათ, მეგობარმა სადღაც გამიხსენა, როგორც ღამეების მიერ გადამწვარი, ახლა კუბოში ვარ... მაგრამ ფიქრი უეცრად შეწყვიტა და მის ფეხებთან მჯდომ ყვავს დააცქერდა, მერე ბოთლი ისევ მოიყუდა და რამდენიმე ყლუპი გააკეთა. დაისვენებენ ქიმერებზე ჩემი ცოდვები და ცოდვილ ტაძრებს ასწევენ მკვდრები... მე დღესაც ბაღში ვიმალები... და მომდევს სიბნელეში დინგების გროვა... სადღაც იმავე სიზმარში, მისი სული რომ ერქვა, ატირდა ქალი და ქარი გადაფრინდა ნაპირზე, რომ გადაერეკა ნათოვლი ცრემლების ღრუბლები და მთვარის სინესტეს გაეშავებინა ვარსკვლავების მზიდველი ღამე, მძიმე ქვასავით რომ ეცემოდა ქალაქს... მოხუცმა უცნაურად გაუღიმა თავის თავს, – შენ კი ბაღში იმალები დღესაც...

თვალიდან გადმოვარდნილმა ცრემლმა უსასრულო სივრცე ჩახია თრთოლვით და ყვავს ნისკარტზე დაეწვეთა.

ყვა... წამოიჩხავლა მთვლემარემ...

...ერთხელ ჩინელ ბრძენს ჩუანგ-ცუს დაესიზმრა, რომ ყვავი იყო. გამოღვიძებულს ვერ გაერკვია, მაშინ იყო იგი ადამიანი, რომელსაც სიზმარი ესიზმრა, თუ ახლა არის ყვავი, რომელსაც ესიზმრება, რომ ის ადამიანის სიზმარია... ესაა და ეს...

ნათურები უკვე ენთო ვერის სასაფლაოს შესასვლელში და ერთმანეთზე მიჯრილ საფლავებს დაფენილ თოვლს ხეთა გრძელი ჩრდილები ელაციცებოდნენ. თავისთავში ჩაბუზული ყვავი თვლემდა მოხუცის ფეხებთან... მოხუცმა ღვინის ბოთლს დახედა. აღარაფერი დარჩენილიყო. ვერის სასაფლაოს ნათურებმაც თითო-თითოდ იწყეს ჩაქრობა და უკუნი სიბნელე აგორებული ლოდივით შემოაწვა საფლავებს. მოხუცი წამოდგა მძიმედ, ფურცლები ისევ თავ-თავიანთ საფლავებზე მიმოყარა, ბოთლი თავის მუდმივ ტოპრაკში სათუთად ჩადო, ტოპრაკი ზურგზე მოიკიდა, სიზმრებში ჩაძირულ ყვავს თოვლის გვირგვინი გადაუწმინდა და საფლავთან მივიდა. უმყოფობის პირის სიჩუმე დადგა... თვალი მოავლო წყვდიადით მოცულ ვერის სასაფლაოს... „როგორც სიბნელეში ღორის დინგები“... and coming-to-be takes place in time... – ჩაიბურტყუნა უხმოდ, საფლავზე მიყრილი ჟანგისფერი გვირგვინები გადასწია და გამოჩენილ ღიობში შეძვრა...

– ქალის სახელს ვერ გათქმევინებ? – თავისი მეფისტოფელური წვერების და ხორთუმისებრი კუდის მხიარული ქიციანით შემოუსკუპდა გვერდით სევდამორეულ გიორგის ბლაყვ გველეშაპს დივინდორის ოქროსზანზალაკებიანი დოქტორი ქიმერა.

– ვერა! – დარწმუნებით თქვა ბლაყვმა. გიორგის ბრაზი მოერია და თავისი წამახული ქოლგით ხმა ჩააკმენდინა ბლაყვსა მას, ხოლო დივინდორის ოქროსზანზალაკებიანი დოქტორი კი ხარხარით დაბზრიალდა და არაკრაკდა: *ვერა* ხომ ქალის სახელია! *ვერა* ხომ ქალის სახელია!.. *ვერა* ხომ ქალის სახელია!...

– ვერა, ჩვენებურად, რწმენაა! – ძლივს ამოღორღა გიორგის ბლაყვმა გველეშაპმა ყველას გასაოცრად, რადგან იმას კი არავინ მოელოდა, რომ ეს ბლაყვი არსება, ქალების დამაფრთხობელი და წყალთამმუსრავი, პოლიგლოტი და თეოლოგი იქნებოდა.

გიორგიმ დახედა დივინდორს, დივინდორმა – ფერდინანდად წოდებულს, ფერდინანდად წოდებულმა – ბატონ ფლობის, ბატონმა ფლობიმ – ბატონ ბოდლის, ბატონმა ბოდლიმ – გიორგის, ხოლო გიორგიმ კი თავის რბილ ტახტზე ნებიერად

მთვლემარე ზვიად მოხუცს ახედა და მოწყალებით შეჰვედრა, დარწმუნებულმა, რომ ზვიადი იგი პოლიგლოტი იყო და ყველა ენათა გამგე. შეჰღაღადა:

O Dieu, père paterne,
Qui mua l'eau en vin,
Fais de mon cul lanterne,
Pour luire à mon voisin...

და რომ დაეცხრო მათი კიკიმორა ქიმერების ეს თავაშვებული მხიარულება და მშვიდობიანად დაებრუნებინა ყველა თავთავის ადგილას, ვითარცა ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ორფეოსული ლაშქარი, ოქროს ვერძის საძებრად წასული ელინელი გმირებისა და დაეცხრო ვნება მათი, ვითარცა დააცხრო მან ვნება პომპეუსისა, პომპეუსისაში დაბრუნებით; სციპიონისა – სციპიონისაში; კალიგულასი – კალიგულასაში; ნერონისა – ნერონისაში; ჩინგიზისა – ჩინგიზისაში; ფრიდრიხისა – ფრიდრიხისაში; ბათოსი – ბათოსაში; თემუჩინისა – თემუჩინისაში; ნაპოლეონისა – ნაპოლეონისაში; კუტუზოვისა – კუტუზოვისაში; სტალინისა – სტალინისაში; ჰიტლერისა – ჰიტლერისაში; ალექსანდრესი – ალექსანდრესაში; დავითისა – დავითისაში; სოლომონისა – სოლომონისაში; მითრიდატესი – დარიოსისაში, ხოლო ათენასი – ათენში; ელენასი – ელადაში; კონსტანტინესი – კონსტანტინეპოლში; ადრიანესი – ადრიანოპოლში და დემეტრასი – კოლხეთში. რადგან ამ მხიარულ საწუთროში მხოლოდ ორი რამაა საჭირო: შენი მითითება და თანამგზავრის არჩევა, როგორც ზოროასტრსა ჰყავდა არიმასპი; ესკულაპესა – მერკური; ორფეოსსა – მუზეოსი; პითაგორესა – აგლეეოფემე; იესოსა ჰყავდა ლაზარე, მეგობარი მისი, რომელმან ააცრემლა; ტარიელსა მიეთითა ავთანდილი, რათა ხელი არ ეშვა იმა ტარისათვის დასაპურებლად ზეციური მანანებით, ვითარცა მოსეს, პანტაგრუელსა – პანურგი, ბატონ ფლობისა – ბატონი ბოდლი; დივინდორსა – ფერდინანდად მონათლული, ხოლო გიორგისა კი – თავისი ბლაყვი გველეშაპყოფილი, ჩემზე და დანარჩენ თანამგზავრებზე რომ არაფერი ვთქვა, თუმცა, ვგონებ, ახლა კი დროა, მათზედაც მოგითხრო ორიოდე სიტყვით, რადგან მას შემდეგ, რაც ესპანეთში არაბების ბატონობას

ბოლო მოეღო და ესპანელებმა ქარის წისქვილებს დაუწყეს ბრძოლა, ხოლო გერმანელები და გერმანია ურთიერთს დაემთხვა და იტალიელები იტ-ალიამ შთანთქა, საფრანგეთმა კი თანდათან ლა-მანშის ქვეშ იწყო გაძრომა და ბრიტანეთის შემომტკიცება, ბრიტანელებმა ირლანდიას შეაფარეს თავი და საბერძნეთო ბერძნები ისევ შემობრუნდნენ რომისაკენ ერთ მორგვად ცეზაროცხვირებისა, რის შემდეგაც ყოველივე დაუბრუნდა პარისს, სადაც სასამართლომდე დარჩენილ დროში ნუვორიშები და პედერასტები – ტრავესტები და ქალები – ემიგრანტი არისტოკრატები და ემიგრანტი მწერლები – ემიგრანტი პლებსი და ემიგრანტი მესია, გამოთვლილი კომპიუტერზე საიდუმლო-დამარხული ენის უზენაესი აკადემიის მთავარი სპეციალისტის მიერ, რომელმაც პირველმა გაარღვია უნივერსალური კანონი, წილი – წილისწილ დღეში ოთხჯერ და კბილები მარილწყალში, კანონზომიერად შეაჩერა ყველა ბუნებრივი მოქმედება და მორალური საფუძველი მისცა შენს ყოფიერებას მას შემდეგ, რაც ლტოლვილ იქმნა... *გევედრები,* შეაჩერე მდინარებად მიქცეული ეს არსებობა გალაღებულ ქიმერათა და დაამშვიდენ სამი ვეშაპი... – გიორგის კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ მოხუცმა ეშმაკურად გაუღიმა, თავი დაუქნია და დაღლილი მზერა შეაბრუნა... სიზმარი ესიზმრებოდა მსიზმრებელს...

ვიდრე გიორგი თავის ლოცვებში იყო გართული, ქიმერებმა, რომლებიც მიხვდნენ, რომ რაღაც საფრთხე ელოდათ, დრო იხელთეს და ფილოსოფიური საუბარი გამართეს, რომ თავისი ღრმადგანსწავლულობა და სასკორეთის მისიისადმი ერთგულება დაემტკიცებინათ კომპიუტერზე გამოთვლილი ზვიადი მესიისათვის, რომელმაც სასკორეთის შესახებ ყოველი ჭეშმარიტება კოსმიური უშუალო კავშირით მსოფლიოს ყველა ცოდვილი ერის ყოველდღიურ უტყუარ ინფორმაციად აქცია თავშესაფრის ძიებაში, თუმცა კი თავისი მესიობა უარყო და მისტერიათა ინიციაციას ეზიარა:

– სიკეთე – ძალა – თვითრწმენა!! – წარმოსთქვა მაგიდის ქვეშიდან გიორგის ბლაყვმა გველეშაპმა.

– ისტორია რამდენიმე თვითმრწმენი კაცის თავგადასავალია... – შეესიტყვა მას ბატონი ფლობის ყურებამდე გამწვანებული ქიმერა.

– ბრბო – ნიაღვარია ნიაღვარში... – ზიზღით აპრუნა ძირძველი ქუთუთოები დივინდორის ოქროსზანზალაკებიანმა დოქტორმა ქიმერამ, რაზედაც ფერდინანდად მონათლულის ჯიბეში უჩუმრად მჯდომმა სათვალეებიანმა ქიმერამ, რომელსაც მეტსახელად ოსიას ეძახდნენ, მორცხვად თქვა: – „თუ შენი თავი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები“ – თავისთან ხლება „თავის-უფლებას“ ადგენს და ე.ი. თავადი თავის უფალ თავად ყოფნას, ანუ თვითცნობას ნიშნავს, რაც არის საწინდარი თვით-რწმენისა, რადგან თავის-უფალი არის ამავე დროს თავის-მრწმენიც, „უფალი“ სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე: *გვრწამს უფალი და ვცნობთ თავადს* (თავს). ამიტომ უწოდებს მას *ერთგ ზის თავადს და ერთგ ზის უფალს*. ვითარცა თავადი იგი მცნობია და საცნობი; ხოლო ვითარცა უფალი მრწმენია და სარწმუნო! ესაა უფალობის ძალა (თავის უფალი!) ახლა: ეს ძალა აქვს ბოროტსაც და კეთილსაც, ოღონდ ბოროტს თვითრწმენა არა აქვს (ანუ აქვს „ცრუ რწმენა“) ეს ცრუ რწმენა არსებას მოკლებულია, ანუ იგი ვერ შემძლეა თავით თვისით მყოფობისა, არამედ სხვათაგან იძენს არსებობას და ამდენად, იგი დროებითია, „სიტუაციური“; მას არა აქვს „თავის-უფალობა“ და თავისი თავით კი არ თავადობს, არამედ მხოლოდ ობიექტის მიმართ სუბიექტობს იგი: იგი განყოფილია და, ამდენად, მოკლებული პიროვნულობას და სახიერებას, რაც აქვს კეთილს და მასვე აქვს ყოველივე, რაც არის თავით თვისით მყოფობისა და თავის-უფლების საწინდარი-არსება: ამიტომაც – კეთილმა სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია: ანუ სულ-გრძელი: გრძელი –კეთილი – სახიერი – თავადი – უფალი; ხოლო აქედან კი სულ-მოკლე... – უკეთური (ბოროტი) – უსახო (უპიროვნო) – მსახური სხვისა – მონა...

– ხოხ, უყურე შენ!... პირი დააღო გიორგის ბლაყვყოფილმა ძირძველმა ქიმერამ, რომელიც განსაკუთრებული მღელვარებისას კოლხურად უქცევდა, რადგან გენეტიკური პატრიო-

ტი იყო. ამის შემდეგ ყველანი მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ და გამართეს სიბრძნესრული ეზოტერიულანტროპტერიულ-ფსიქოტერიულკუკუსოფიური დიალოგი, აღსავსე ჩვენთვის მიუწვდომელი სიმბოლოებით:

У вас ли железный молоток кузнеца?
У меня нет его.
Есть ли у вас что-нибудъ хорошее?
У меня нет ничего хорошего.
Мой ли платок у вас или платок брата англичанина?
У меня нет ни вашего платка ни платка брата англичанина.
Кто неправ? ваш полковник или ваш капитан?
Мой полковник неправ и мой капитан неправ.
Прав Я.
Мой ли у вас баран или баран повара?
У меня нет ни вашего барана, ни барана повара.
Голодны ли вы?
Нет, я не голоден; у меня свежий сухарь и хороший белый хлеб булочника.
Есть ли у вас сыр?
Да, у меня хороший сыр англичанина.
Что у меня.
У меня ничего нет.
У кого его нет?
Его нет у русского.
Какой бык у вас?
У меня бык доброго русского.
Холодно ли мне?
Вам ни холодно ни тепло.
Есть ли у меня что-нибудь хорошее или дурное?
У вас нет ничего хорошего, ни дурного.
Стыдно ли ему?
Ему не стыдно.
Имеет ли кто-нибудь мой сундук?
Он у слуги крестьянина.
Какого крестьянина?
Того, у которого петух и цыпленок.

Какие корабли вижу я?

Я вижу корабли богатых немцев и их соседей, трудолюбивых голландцев.

Голоден ли турок или чувствует он жажду?

Он не голоден и не чувствует жажды, у него очень хороший кожаный сундук.

Есть ли у вас триста франков?

Нет, но у меня восемь плохих сундуков.

Имеет ли этот убийца братьев?

Нет, у него нет братьев, но у него две сестры.

Видити ли вы эти прекрасные похороны?

Да, Я их вижу.

Кто отпирает дверь?

Мой брат отпирает ее.

Кого видите вы там в цепях?

Я вижу в цепях убийц нашего хорошего соседа, ловкого кузнеца.

Признался ли разбойник в своих преступлениях?

Нет, до сих пор он в них не признался.

Ехали ли вы против течения или по течению реки?

Мы ехали по течению...

У вас ли железный молоток кузнеца?

У меня нет его.

Есть ли у вас что-нибудь хорошее?

У меня нет ничего хорошего.

Есть ли у вас сыр?

Да, у меня хороший сыр англичанина.

Что у меня.

У меня ничего нет.

У кого его нет?

Его нет у русского.

Какой бык у вас?

У меня бык доброго русского...

მოხუცის ფეხებთან დადებულ ტოპრაკს ვილაც წამოედო და მრგვალ მაგიდასთან მჯდომი ეზოთერული ქიმერები დაა-ფრთხო. გიორგიმ თვალი გაახილა.

– Hei, Géorgien.. Stalin.. – წამოადგა გიორგის შეყოვნებული კლოშარი, რომელსაც ათი ფრანკი მისცა ახლახან, – Tu as une

chimère sur ton dos... Mais il est mort!... მკვდარია... ჩვენც, ჩვენც ყველანი... Nous sommes tous morts. Quelle importance... Viens, viens, viens avec nous წამოდი ჩვენთან... trinc, tu n´a pas entendu? Trinc...

– რა გქვია შენ?

– მე? მე რა მქვია? რა შეიძლება მერქვას მე? გამოიცანი... ვერ გამოიცნობ... მე ვარ პარისი... Paris... შენა? შენ რა გქვია – სტალინი?... იოსელიანი?... შევარდნაძე?... ხეხეხე...

– გიორგი... Guiorgui, Georges, – თქვა მოხუცმა და ტოპრაკი გაასწორა. კლოშარი წამით ჩაჩუმდა.

– გი-ორგია, ორგია, გეორგია... Nous sommes tous morts... Viens! – თქვა მან ჩუმად და გიორგის მონპარნასის მეტროს ჩასასვლელისაკენ გაუძღვა.

მეტროში თბილოდა. ხალხიც ბევრი იყო, მაგრამ პარისი ისე მიდიოდა, თითქოს აკადემოსის ხეივანში მისეირნობსო, la Chapelle-ის ხაზზე გავიდა, პირდაპირ შორეულ კუთხეში ჩარიგებული სკამებისაკენ გაემართა, თავისი ჩანთა სათუთად დადო სკამზე და გახსნას შეუდგა. გიორგიმ ტოპრაკიდან კახურით სავსე ბოთლი ამოიღო და გახსნა. პარისმა შეხედა.

– ა-ა! შენც გქონია? ჩემი მერე დავლიოთ... ღვინის ბოთლის ნაცვლად სიგარეტი ამოიღო და ჩანთის გვერდით დაჯდა. გიორგიმ ბოთლი გაუწოდა.

– როგორ გეკადრებათ. მე ჯერ კიდევ ვეკუთვნი კეთილშობილ კაცობრიობას. პირველი ყლუპი სტუმრისაა. – ამ სიტყვებით პარისმა ისეთი ჟესტი გააკეთა, რომ გიორგიმ უარი ვეღარ უთხრა. მორჩილად მიიღო სტუმრის სახელი და მასპინძელს ბოთლი აუწია მისალმების ნიშნად. – Salut! – გაგიმარჯოს! – თქვა პარისმა. გიორგიმ დიდი ყლუპი გააკეთა ბოთლიდან და ვიდრე გადაყლაპავდა, პირდაგუბულმა გაუწოდა პარისს ბოთლი.

პარისმა ჯერ უკმაყოფილოდ თავი გააქნია, მერე უეცრად მოეშვა, გაიღიმა და გიორგის უთხრა: „ნამდვილი ნეოფიტი ხარ. კეთილშობილი კლოშარი არასოდეს არ გააკეთებს ამას. ეს ხომ მთელი რიტუალია?! ეს უნდა მოხდეს ნელა... გემოს ჩატანებით... ნატიფად... წვეთობით უნდა მოედოს სხეულს, რო-

გორც სისხლი, რადგან იგი ხომ სისხლია და სული სხეულის... პირველ ყლუპს უნდა მიჰყვეს მეორე მოკლე ყლუპი, რომელიც გაათანაბრებს სითბოს, გაღვრილს ტანში და მერე, როდესაც ყოველი უჯრედი შეთბება და აციმციმდება, აი, მაშინ უნდა გადასცე ბოთლი შენს მეგობარს, როგორც თასი გრაალისა...“ – გიორგის კინაღამ გადასცდა დაგუბებული ყლუპი, პარისის ამ პოეტური აღმაფრენის შემყურე, და კინაღამ სასირცხვილოდ არ დაამთავრა თავისი ცხოვრება Montparnasse Bienvenu-ს თაღებქვეშ დამხრჩვალმა კახურის უკანასკნელი ყლუპით, მაგრამ მოახერხა და გადაყლაპა, როგორც იქნა, და ისეთი ხველა აუვარდა, რომ კინაღამ ხელიდან არ გაუვარდა ბოთლი.

– ბარბაროსული სმა გცოდნია... პატარა ყლუპი მოსვი კიდევ და გემო ჩაატანე, სტუმარო უცხოელო... – თქვა პარისმა დაყვავებით და ბოთლი დაუბრუნა გიორგის. გიორგიმ სული მოითქვა, ბოთლი ისევ მიიყუდა და ოდნავ მოსვა. მადლიანი კახური ჩაიწურა ყელში და გიორგიმ უეცრად იგრძნო, როგორ დაიძრა სითხე განტოტვილ ძარღვებში თბილ დინებად და მთელი სხეული უცნაურმა სიმსუბუქემ აიტანა. „მსუბუქი სხეული არ შეიძლება, მძიმედ დაენარცხოს”! პარისი გაღიმებული უყურებდა გიორგის ამ გარდასახვას და კმაყოფილმა თვითვე გამოართვა ბოთლი, მოიყუდა, ნაცადი და გამოცდილი, ცივილურად ნატიფი მოძრაობით მიიტანა ბაგესთან და თვალდახუჭულმა მოსვა... ეტყობა, რაღაცამ გააკვირვა ძალიან. უეცრად გაახილა თვალი, გიორგის შეხედა, მერე ბოთლს დახედა, მოიყუდა და იმოდენა ყლუპი მოსვა, რომ ბოთლი თითქმის ნახევრამდე ჩაიყვანა, რამაც გიორგის უკან გაწოლილი გველეშაპყოფილი ქიმერას თვალები გადმოუცვივნა პარისის დახრჩობის მოლოდინში, მაგრამ პარისმა უმტკივნეულოდ გადაყლაპა კახური და სული მოითქვა...

– ეს რა ღვთაებრივი რამ არის... – აღმოხდა მას. ხოლო ვიდრე გიორგი რამეს უპასუხებდა, უეცრად, სამი თმაგაწეწილი, ტყავის შავ შარვლებსა და ჯუბაკებში გამოწყობილი ქალი, ჯინჯილებითა და დიდი ჩანთებით ხელში, გარს შემოერტყა პარისს და ხვევნა დაუწყო... პარისმა სათითაოდ გადა-

კოცნა ისინი ოთხჯერ. იქვე ღვინო გაასინჯა თავისი ხელიდან ერთ-ერთს და გიორგისკენ მოაბრუნა.

– გაიცანი, ეს ჩემი სტუმარია, გიორგი... ესენი კი ჭეშმარიტად ყველაზე ლამაზი პარისელები არიან, ისე კი ნუ უყურებ...

– ჰელენ, – კეკლუცად გაიცინა ერთ-ერთმა, რომელმაც პირველმა იგემა კახური პარისის ხელიდან და ვიდრე დანარჩენი ორი მოტოვებული კახურის ნარჩენებს ეტანებოდნენ, გიორგი გადაკოცნა ოთხჯერ. – მართლა რა მშვენიერია, – გაიფიქრა გიორგიმ და ტოპრაკიდან თურაშაული ვაშლი ამოიღო.

– ელენ... მშვენიერი სახელია და თქვენც მშვენიერი ხართ... – უნდოდა ვაშლი მიერთმია ელენესათვის, მაგრამ პარისმა ხელი სტაცა და გვერდზე გაიყვანა.

– ჩუ... ღმერთი არ გაგიწყრეს და ერთ-ერთი არ შეაქო, არც ვაშლი მისცე, თორემ საშინელ ჩხუბს ატეხენ, ომს გამოიწვევენ, მთელ სიხარულს ჩაგვაშხამებენ... გვეყო, რაც გვიყვეს... ხომ იცი, *ქალები* არიან...

– რაო, რა თქვა შენმა სტუმარმა? – კეკლუცად იკითხეს ქალებმა.

– რა მშვენიერი სახელები აქვთო და თვითონაც რა *განურჩევლად* ლამაზები არიანო, – თქვა პარისმა, გიორგის თურაშაული გამოართვა ხელიდან და მაგრად ჩაკბიჩა...

– პედერასტ! – თითქმის ერთხმად წამოიძახეს Montparnasse-ის თაღებქვეშ la Chapelle-ისაკენ მიმავალ გზაზე თავმოყრილმა ქალებმა.

– Ducunt volentem fata, nolentem trabunt... თვინიერი ბედს მიჰყავს, გაჯორებულს კი მიათრევს, – ხელები გაშალა პარისმა და სახეგაბადრულმა თავისი ჩანთიდან ახალი ბოთლი ამოიღო...

პირველი წიგნის დასასრული...

Paris.

08.05.91

პარისიკონი

წიგნი მეორე*

* იბეჭდება პირველად, უცვლელი სახით.

ის-ის იყო, პარისმა თავისი მშვენიერი ლათინურით წარმოსთქვა სიტყვები, რომელთა ულერადი მშვენიერება სავსებით შეესატყვისებოდა გამოთქმული აზრის სიღრმეს, რაც ასეთი იშვიათი მოვლენა გახდა მას შემდეგ, რაც საყოველთაო და აუცილებელი განათლება იქნა შემოღებული იმ ქვეყნებში, რომლებზედაც ესოდენი იმედებით აღსავსე მზერით იყო მიპყრობილი ყურადღება ყოვლად საჩინო ინისა და იანისა, შივასი, განდისა და მრგვალი მაგიდის რაინდებისა, მოსესი და პლატონისა, პეტრესი და პავლესი, იოანესი, მათესი და კონსტანტინესი, არტურისა და როსტევანისა, პარციფალისა და ტარიელისა, ავთანდილისა და ტრუბადურებისა, ლაზარესი და მარიამისა, კატარებისა, ტამპლიერებისა, რომის პაპისა, გიორგისა და მისი გველეშაპისა, ბატონი ბოდლისა და ბატონი ფლობისა, მათი ქიმერებისა, პასკალისა და ბახისა, მეროვინგებისა და კაპეტინგებისა, მოცარტისა, მარატისა და დანტონისა, რობესპიერისა და ბაგრატიონებისა, კრომველისა, ალფონს დიდისა, ფრანცისკ პირველისა, თემურ-ლენგისა, დავით აღმაშენებლისა, არაფატისა, აბუ-ნიდალისა, ბუშისა და კლინტონისა, რომელთაც სიჭაბუკისა მიზეზით ქიმერები ჯერ არ ჰყავდათ, რის გამოც მათი მეტყველება გრამატიკულად სწორი, მაგრამ ყოველგვარ შემოქმედებას მოკლებული იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ სიღრმეზე, რომლის გასანათებლად საჭირო იყო ფრანგების კ'აპოსტროფიული კრუხის კვინტილიანული გემოვნებით მოხარშული იდეალური კულტურული ბულიონი, რომლის კულტურინულ ინგრედიენტებში შედიოდა: ვირგილიუსის სიკვდილი ჰერმან ბროხისა და ვოიცეკი გეორგ ბიუხნერისა და პროცესი ფრანც კაფკასი და

მიქაელ კოჰლაასი ჰნეინრიხ ფონ კლაისტისა და ჯადოსნური მთა თომას მანისა და უთვისებო კაცი რობერტ მიუზილისა და ასე ამბობდა ზარათუსტრა ნიცშესი და რადეცკის მარში იოსებ როტისა და სულის თვისება გოეთესი და მანჰატენ ტრანსფერი ჯონ დოს პასოსისა და ხმაური და მძვინვარება უილიამ ფოლკნერისა და ბრწყინვალე გეტსბი სკოტ ფიტცჯერალდისა და მოხუცი და ზღვა ჰემინგუეისა და ელჩები ჰენრი ჯეიმსისა და მობი დიკი ჰერმან მელვილისა და ლოლიტა ვლადიმირ ნაბოკოვისა და არაჩვეულებრივი ისტორიები ედგარ პოესი და ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი მარკ ტვენისა და საყასბე 5 კურტ ვონნეგუტისა და კირჩხიბის ნიშანი ჰენრი მილერისა და დევნილი ანგელოზი თომას ვულფისა და უოლდენი ჰენრი ტოროსი და ქალაქი და ძაღლები და მწვანე სახლი ვარგას ლიოსასი და სონეტები შექსპირისა და მისივე მაკბეტი, ლირი და შუაზაფხულის ღამის სიზმარი, მეთორმეტე ღამე და სკაპენის ოინები, ჰამლეტი და ქარიშხალი, დიდი იმედები დიკენსისა და ფინეგანის ღამისთევა ჯეიმს ენერგიულისა ტრისტამ შენდი ლოურენს სტერნისა და ტომ ჯონსი ჰენრი ფილდინგისა და სიზმარი წითელ ტალავერში კაო ქსე კინისა და მაჰაბჰარატა და რამაიანა და ვედები მაძღარი ინდოეთისა და დონკიხოტ ლამანჩელი ცალფეხა სერვანტესისა და სისხლი და ქვიშა ტორეადორ ბლასკო იბანიესისა და გარგანტუა და პანტაგრუელი სევდიანი ალფოკრიბას ნაზიესი და დაკარგული დროის ძიებაში დაუნდობელი პრუსტისა და მოგზაურობა ღამის კიდეში ბაგატელებითა და მძორებით კდემამოსილი სელინისა და დეკამერონი მამალი ბოკაჩოსი და სიმღერები ნაზი ლეოპარდისა და ომი და მშვიდობა გრაფი ტოლსტოისა და ეშმაკნი და იდიოტი დოსტოევსკისა და სტეპი ყირიმელი ჩეხოვისა და პეტერბურგი უძღები ანდრეი ბელისა და წყლის ბურთულებით თამაში ჰაეროვანი ჰერმან ჰესესი და ღვთაებრივი კომედია ჯოჯოხეთური დანტესი, რომ არაფერი თქმულიყო იმ მართლაც ღვთაებრივ სიბრძნეზე, რომელსაც მოაფრქვევდა ჰომეროსის ილიადა და ოდისეა და ან ბიბლია – წიგნი წიგნების, ადამიანების და მათი სიზმრების, ქიმერე-

ბისა და მეფეების, მწერლებისა და წინასწარმეტყველების, ეშმაკთა და მაცდურთა და სხვა წიგნები მოხითხითე მოხუცისა, რომელსაც დრო ვერ მოეხელთებინა, რომ თავიდან ბოლომდე მიჰყოლოდა მის ფურცელთშლას და დაენაყრებინა თავისი ცნობიერების ფრთააშლილი პეპლები გრძელ ღამეში, მეშვიდე დღის შემდეგ რომ დაუდგა და აღარც გასთენებია, რადგან მეტი აღარაფერი უნდოდა და ველარც ამას უწოდა კეთილი, რამეთუ იყო იგი ჩაძირული თავის სიზმრისეულ ნეტარებაში, ვითარცა თიამათის თბილ ხსენში, რომლიდანაც ამოქაფულ ფერადოვან ბურთულებს ჯერაც ბავშვური აღტაცებით უბერავდა სულს და მიმოაპნევდა მის წინ გასაშლელად გამზადებულ სივრცეში წარმოშობილ ხვრელებში, რომლებშიც შეცურებული ფერადი ბუშტები ცდილობდნენ, სამუდამოდ მოჰფარებოდნენ მის მზერას, ათამაშებულნი ხვრელში მიმომქროლავი მცხუნვარედ მსუსხავი ქარებით, – მისი სუნთქვის ფრთოსანი მსტოვრებით – ანგელოსებით და ძალებით, და ეს აცინებდა და ამხიარულებდა ყოველთვის, როგორც კი ეძლეოდა თიამათის წყლებიდან წარმოშობილი ჭრელი ბურთულებით თამაშს.

– ხოხ, უყურე შენ! – აღმოხდა გიორგის ლოყებშეფაკლულ ყოფილგველეშაპს, რომელსაც ზოგჯერ, შემორჩენილი ხატების რწმუნებით, დიოკლეტიანესაც უწოდებდნენ მცოდნენი, ხოლო შინაურობაში კი სიყვარულით „დოკლის“, „დიკლის“, „დიკლოს“, „ტიას“, „კლეტინს“, „ოკლეს“, „დოკლენს“, „პროკლეს“ და ვისაც რა მოეპრიანებოდა, ის კი გულუბრყვილოდ მისჩერებოდა თავის მწვალებლებს და იმაზე ფიქრობდა, ენის წვერზე როგორ დაესვა ეს სამოთხის ბაღიდან გამოყოლილი სიზმრის პეპელა და დამტკბარიყო მისი მსუბუქი ფერთაფენით, ახლა კი, რადგან არავინ აღარ აქცევდა მას ყურადღებას და ენეოსმაც თავისი შესანიშნავი ლათინურით სული დაუტკბო, შიშველი ბაყვების დანახვაზე გიორგის ბლაყვყოფილი გველეშაპი სულ გადაირია. ქალწულ ქიმერებთან გატარებული უკუნის შემდეგ მონპარნასის თაღებქვეშ აღმოჩენილს, გამომშრალ ხახაში ისეთი ალი აუვარდა, რომ მთელი სხეული

აუელვარდა და გამჭვირვალე გაუხდა ისე, რომ, როდესაც ერთი ძველებურად ამოიხვნეშა, სხეული უთვალავი ფერადოვანი ნაპერწკლებით აუციალდა, რამაც არნახულ აღტაცებაში მოიყვანა მოწყენით მთვლემარე მოხუცი, რომლის თვალებშიც, ვითარცა მხიარული გველეშაპყოფილის ვნებამორეულ სხეულში, ბენგალიური ნაპერწკლები აცინცილდნენ და აწკარუნდნენ კვაზარები. მონპარნასის თაღებქვეშ უსირცხვილოდ გაცისკროვნებული პარისის მეგობარი ქალების მოკლე კაბებს ქვეშ მთრთოლავი თეთრი ბაყვები ბლაყვყოფილზე ისე მოქმედებდა... ისე მოქმედებდა... ისე მოქმედებდა, როგორც გარდასულ დღეთა ვნებიანი აღვსება და პირველი შეხება წყაროსთავზე გამოსული პატარძლისა, რომელსაც უნდოდა, თავისი ვნებით აღვსილი ხორცი წყაროს გრილი წყლით გაეგრილებინა და... ბლაყვს კი ჩაეკონა ისე ვნებიანად, რომ კინაღამ დაახრჩო, და სწორედ მაშინ იყო, რომ ბლაყვმა წყაროს თავზე დაისადგურა, ხოლო პატარძალმა კი მთელ ქვეყანას მოსდო გველეშაპის ვნებიანი და ცეცხლოვანი შეყრის ამბავი, რის შემდეგაც მოსვენება აღარ ჰქონდა ქალებისაგან, ვიდრე ეს უბედური თეთრცხენოსანი არ გამოეცხადა და ქალთა საუბედუროდ (და მაშინ მისდა გასახარელად) არ გამოათრია წყაროს პირიდან მისავათებული და ვნებებისაგან სულმთლად გამოწურული გველეშაპყოფილი... მმმ... მმმმ.... მმმოჰჰჰ... ბლაყვმა ვნებიანი კვნესით თვალები დახუჭა და თავშეუკავებლად მიუხოხდა მის წინ მბზინავ ჩამოქნილ ფეხებს, ვნებიანი თვალები შეანათა ელენედ წოდებულ პარისის მეგობარ ქალს და ისეთი სისწრაფითა და თრთოლვით ამოუდო ოდნავ განზე გადგმულ და გადახსნილ ლაჯებშუა თავისი გრძელი, ცეცხლით საუკუნეთა წინარე გადაბუგული ენა, რომ ელენემ თავდაპირველად ვერაფერი იგრძნო, მაგრამ შემდეგ, როდესაც ყოფილი გველეშაპის ცეცხლოვანმა, მაგრამ აწ უკვე გაგრილებულმა მთრთოლავმა ნერწყვმა კანი აუწვა და თბილი ენის შეხებისაგან ტანში ვნებიანმა ჟრუანტელმა დაუარა ისე, რომ თვალები მინაბა და ის-ის იყო, უნდა მისცემოდა გრძნობათა პეპელთჭერას, რომ პარისმა, რომელმაც თავისი

მშვენიერი ლათინურით წარმოთქმული წინასწარმეტყველური სიტყვების შემდეგ მოყუდებული ბოთლი პირიდან მოიშორა და ყოფილ გველეშაპს, ამჟამად კი სექსუალურ მანიაკს, ისე შეხედა, რომ ბლაყვს ენა გაუშრა შიშისაგან, რადგან იცოდა, რომ პარისი სასტიკად დაუნდობელი იყო და თანაც გაახსენდა, თუ რა დღეში ჩააგდო პარისმა ელენეს გულისათვის თავისი თანამოქალაქე ტროელები, რომელთაც შეესივნენ შეურაცხყოფილი და განრისხებული აქეველები, რომელთაც სინამდვილეში ელენე კი არ აინტერესებდათ და არც პრიამის სახელგანთქმული განძი, ხოლო პარისი კი საერთოდ ფეხებზე ეკიდათ, და ვინ იცოდა ეს მასზე უკეთესად, ვინც მთელი წინა აზიის მაცოცხლებელ და მანოყიერებელ ცეცხლოვანსა და მაგრილებელ სითხეს ბატონობდა (!), არამედ ტროას მიერ გადაკეტილი სავაჭრო გზის გახსნა და კუვეიტის საბადოები, ინდოეთის ზურმუხტები და ჩინეთის აბრეშუმი, რომლისაც ჩინეთიდან მონპარნასამდე გზად გაფენას აპირებდნენ, რომ მასზე ახლა იაპონური ტრანზისტორები და იაკუტიის ალმასები, ცხადია, ეტარებინათ გამოთაყვანებულ აქლემებს. და აჰა, ვითარცა დამანგრეველი ცეცხლი ცასმიმწვდომ ალებად მოდებული უკიდეგანო ტყეებს, ვითარცა გუნდი ფრთამალ ფრინველთა მსერავი ეთერის უდაბნოსი, ვითარცა ბუზები დახვეულნი ბაგაში მდგარ ნახირს, ვითარცა ჭიანი ამომცოცავნი, ლპობილი მძორიდან, შემოაცურეს ხომალდები წყალუხვ ქსანტეში ბეოტიელთა, მინიენთა, ფოკიდიელთა, ლოკრიელთა, ათენელთა, ევბეელთა, მიკენელთა, მირმიდონელთა, თმუტარაკნელთა, არკადიელთა, ფოსიდიენთა და სხვათა უთვალავთა ქვიშათა და ფოთოლთა მეხსიერების უდაბნოში ახვეტილი დროსშეპნეული სიზმრებისა, რომელთა სახელი უკვე აღარაფერს მიანიშნებდა, თუმცა, თავმოყრილ გმირთა, მეფეთა და ღვთაებათა სახელებს ახლაც უცნაური თრთოლვით წარმოსთქვამდა, რადგან გრძნობდა მათში თავისი ფესვის ფეთქვას. "Ducunt volentum trabunt dolentum fata"-ო, ეთქვა უნდა პარისს თავის დროზედ იმ ქალბატონებისათვის, ვისი ვნებააშლილი შურისძიების დასაცხრობად გამოწვეულ იქნენ

გმირები ელადისა *(აქ უნდა ჩამოთვლა ილიადადან და ოდისეადან და, აგრეთვე, არევით ყველა დიდი წიგნიდან)*, რომელთა მიერ იქნა დანგრეული, გადამწვარი და ფერფლწაყრილი ტროა I, ტროა II, ტროა III, ტროა IV, ტროა V, ტროა VI, ტროა VII და ტროა VIII, გაცოცხლებული ბუღალტრის სიზმრით; ილიონის სახელოვანნი გმირნი შენირულ, ღვთაებრივად ლამაზი ბერძენი ქალის მომტაცებელი ფრიგიელი ალექსანდრე, პარისად შელანძღული, უშვერი სიტყვებით და ისრით განგმირული, ხოლო ენეოსი კი იტალიაში გადახვეწილი, რომის დასაარსებლად... გიორგის გველეშაპყოფილს რომის ხსენებაზე ტანში ჟრუანტელმა დაუარა, რომლის ტალღებმა მონპარნასის ჩადედებული თბილი ჰაერი ისე შეარხია, როგორც კოჯრიდან მობერილმა გრილმა ნიავმა თავად გენერალ ორბელიანის ულვაშები... რომი, რომი, ქალაქთა ქალაქი, ცივილიზაციის ღერძი, სოლი, პალო, რომელზედაც მიბმული იყო მისი წინაპარი ყურშა, ამირანს რომ ჯაჭვს ულოკავდა, ხოლო პრომეთეს კი არწივად ევლინებოდა ღვიძლის საკორტნავად, რათა სცოდნოდათ თავისი ადგილი და ბედი, რომელზედაც თავისი მშვენიერი ლათინურით თქვა პარისმა Ducunt volentum trabunt dolentum fata და ბოთლი მოიყუდა, რის შემდეგაც გიორგის ყოფილმა გველეშაპმა, რომელმაც თავი მართლა რომში დაიგულა, შემოჯარულ ქალწულებს დაუწყო არშიყობა. და როდესაც ქალების მხიარული აღმოხდომის ექო ის-ის იყო მიწყდა მონპარნასის თაღებქვეშ და გიორგის ბლაყვყოფილი გველეშაპი წამოიზიდა და ელენედ წოდებულ პარისის მეგობარ მეძავს თავი ბაყვებსქვეშ ამოუდო და სველი ცეცხლოვანი ენა აუსვა, ხოლო ელენეს დაცეცხლა, ხოლო გიორგი უკვე სირცხვილისაგან იწვოდა და აღარ იცოდა, როგორ დაეცხრო ატროყებული ვირი კაპადოკიისა, ნიანგი ანატოლიისა და ფარშავანგი სირაკუზისა, რომელიც არშიყობას არ სჯერდებოდა და ვიდრე პარისი თავისი შესანიშნავი ლათინურით წარმოთქმულ სიბრძნეს მოყუდებული ბოთლიდან აწყალობებდა, თავისი ნერწყვიანი ენით ქალებს უსირცხვილოდ უღიტინებდა და საფრთხეს უქმნიდა რომისკენ მიმავალი ბილიკის

გათელვას ბედისაგან დევნილი ტროელების მიერ, რადგან თუ ელენე პარისს კი არა, ამ სექსუალურ ტრანსფორმატორს გაჰყვებოდა თავის ვნებიან ჟრუანტელს აყოლილი, მაშინ აღარც ელინები განრისხდებოდნენ და შეირაცხყოფდნენ თავს და აღარც აქილევსი, ფილირას შვილის მიერ სითარის ტკბილხმოვანებაში აღზრდილი, რომელმაც თავისი ხელოვნებით დაუცხრო ეაკის შვილთაშვილს ბავშვობითვე ველური, მკაცრი, მშიშარა, მფრთხალი, მძვინვარე და სათნოებაუკარებელი სული, ამირანსავით დამაფრთხობელი თავისი ტოლებისა და მტრებისა, იქნებოდა გაბუტული აღა-მემნონზე, რომელმაც მას ჰარამხანის ქონების ნება არ მისცა და მით აზრი დაუკარგა მის ყოველგვარ თავგანწირვას. მაგრამ გიორგის ეჭვი ეპარებოდა ყოველთვის, რომ მისი გველეშაპი ოვიდიუსისტი უნდა ყოფილიყო, განსხვავებით გიორგისაგან, რომელსაც პლატონისტობას სწამებდნენ მცოდნენი და გველეშაპის წინააღმდეგ რაზმავდნენ, თუმცა მას არც არაფერი ჰქონდა გასაყოფი ამ ბლაყვ ვნებებსაყოლილ ჩოკინასთან, რომელსაც ისე მოსწყურებოდა ქალთაცვლა, ვითარცა დროშებისაკენ მისწრაფებულ ირმების გუნდს წყარო ანკარა და ან რომისაკენ მიმავალ ენეოსს პიაცა ნავონაზე ჩაქროლება თავისი ეტლით და რომაელი მატრონების დაწიოკება. მაგრამ რომი ჯერ შორს იყო, მოჯარებულ დაჭრილ ირმების გუნდს დიდი ხანია, ნერწყვიც კი დაშრობოდა და თავისუფლებისაკენ მიმავალ ბილიკზე უსულოდ ეყარა, ხოლო მონპარნასის კიდობანი კი თანდათან ივსებოდა და გიორგის ბლაყვი ყველეშაპყოფილიც სულ უფრო და უფრო ცოცხლდებოდა შემსმენელი პრაქტიკის მიერ დაოსტატებული პოეტის სიმღერისა:

„რად არის სული ჩემი მშფოთვარე და ხორცი ჩემი დაუცხრომელი, რად არ მივყვები დღეთა სრბოლას მე მინდობილი, არ მოვა შენთან ცის ეთერით ჩამოქროლილი, რომში ეძებე, სად თვით სიყვარულს უდევს ბინა ენეოსის დაარსებულში, იო, პეან, იო, პეან, იო, პეან...“

ღიღინებდა ფრთამსუბუქი გიორგის ბლაყვი ყველეშაპი და სიზმარეულ პეპელასავით დაფარფატებდა მონპარნასზე გა-

დაშლილ ქალწულთა ყვავილნარში, ვიდრე ფერდინანდად მონათლულის კდემამოსილ ქიმერას არ დააჯდა უბიწო მკერდზე. ამ შეხებისაგან ფერდინანდად მონათლულის ქიმერა აილეწა და ერთი ისეთი შეჰკივლა, რომ გიორგის ბლაყვი გველეშაპი ვნებით ალგაყინული ჩაცუცქდა გიორგის ფეხებთან და ვითომც არაფერიო, თავი მოიმძინარა.

რომში ეძებე, თავად რომში, ჩაესმა პიაცა ვენეციაზე მთვლემარეს და ვიდრე თვალს გაახელდა, ამაღლებულმა და სევდიანმა ხმამ წარმოსთქვა: „რომი მთელი ცხოვრება არაა საკმარისი“. ჰმ, – გაეცინა მეზობელს, – რა რჩება ამ სხეულებიდან? ვის შეუძლია იპოვოს, ერთი ასო, ან ერთი ძვალი? გაგლინეთ ყველა მძორი, აორთქლეთ, როგორც ფშვინვა, რის შემდეგაც გაისმა სან მარკოს ზარების რეკვა და რომში ახალჩამოსულმა ტურისტებმა დაიწყეს შემოკრება.

რომისაკენ მიმავალი გზა, რომელსაც ტროადან ლტოლვილი ენეოსი დაადგა, მრავალი ხიფათით იყო აღსავსე. ტანჯვით გაიარა ენეოსმა ეს გზა. სად მიდიოდა? რა უნდოდა? არაფერი იცოდა და ვინმეს რომ ეკითხა, ჰქონდა თუ არა რაიმე მიზანი ენეოსს, იგი ალბათ ვერაფერს უპასუხებდა, რადგან მიზანი მისი მოგზაურობისა იცოდნენ მხოლოდ ბედის გამრიგე ერინიებმა, ზევსმა, აფროდიტემ, ანდრომედამ, მაგრამ უპირველესი შემოქმედი მისი ბედისა იყო კაცი, რომელმაც ჯოჯოხეთში უმეგზურა შუაგზაზე დაბნეულ ერთ იტალიელ მწერალს, რომელმაც საბრალო ენეოსს ის აღარ აკმარა, რომ ვირგილიუსმა, რამეთუ ასე ერქვა ენეოსის ბედის გამრიგეს, იმგვარ სიტყვათა ცხრაკლიტულში მოაქცია და სამუდამოდ ჩაკეტა ენეოსის ბედი, რომ იქიდან თავდახსნისათვის მართლაც ქიმერიული სიზმრების ხროვა იყო საჭირო, მსიზმრებელისათვის მოეხვიათ თავზე ყველას ერთად, აეშალათ სიტყვათა წყობა, დაენგრიათ წინადადებები, დაეშალათ სიტყვები, გამოეხსნათ მათში საუკუნეების წნეხით ჩაწნეხილი პირველსახე, თავისუფალი ამონასუნთქი პირველმთქმელისა და გაერღვიათ ის ენობრივი ჯებირები, რომელთა ჯაჭვებით სულდაბმული სიტყვაწამახული ირლანდიელი სეტტერი მოსთქ-

ვამდა ბლუდფილდის აღტაცებული ჰიმნების ზარ-ზეიმში, მე მინდა ენა, ყველა ენებზე მაღლა მყოფი, ენა, რომელსაც ყველა სხვა ენა მოემსახურებაო, და იპოვა კიდეც, იპოვა და კიდეც შეხსნა ჯაჭვები სიტყვებს და აურია თავგზა ტვინდალაგებულ სამყაროს, რომელიც გრამატიკულ წყობაში გამოფსკვნილი, ცხვირის წვერამდე შეკრული კიტელის ღილებით ამაყად დააბიჯებდა სინამდვილის ჭრელ ზმანებაში და თავისი თავის უფალი ეგონა თავი, მაგრამ როგორ უნდა ყოფილიყო თავისუფალი, თუ შემასმენელსა და ქვემდებარეს ვერაფერს მოუხერხებდა ისე, რომ პირდაპირ და ირიბ დამატებასა და განსაზღვრებას შორის გასასვლელი არ დაეტოვებინა, თუმცა, ყველასათვის ცხადი იყო, რომ ეს ოპერაცია სამყაროს შექანებას გამოიწვევდა და ახალი სიზმრების აშლას, რომელთა უკუმოქმედების ძალა ფროიდის, იუნგის, ლაკანისა და მარქსის თეორიათა ჩარჩოებში აღარ ეტეოდა, მათი გამოყეყეჩებული მიმდევრების მიერ გამოთლილ ჩარჩოებზე რომ არაფერი ვთქვათ და აღარც სხვა რამ ახსნა მოეპოვებოდა მას შემდეგ, რაც ვიტგენშტეინის ონირიულ ვენაში სისხლის მდინარება შეწყდა და სარაევოში ბედმა ისა ჰქნა სწორედ, რაზედაც ასეთის მჭევრმეტყველებით საუბრობდა მონპარნასის თაღებს თავშეფარებული პარისი ლათინურის სიტკბოებით ამღერებული "Ducunt volentum trabunt dolentum fata"...

ხოლო იგი ადგა და ჯოჯოხეთში მოათავსა, ვითომც ჰადესში ჩაკეტილი ენეოსი რომის დამაარსებლად გამოდგებოდა ან კიდევ იტალიას მისცემდა დასაბამს და, ვითომ, ის არ ეყოფოდა ენეოსს, რომ ტროა თავზე დაანგრიეს, სამშობლო მოუთხარეს, მშვენიერ ტროელ ქალებს ელინმა ვირებმა ფეხები აატლაკინეს და კაცობრიობას გეზი უცვალეს, რომ ეოლმა და მისმა ქარებმა ზღვა რისხვით თავზე წისქვილად დაუბრუნეს, ხოლო ხმელთაშუა ზღვა ტროელთა გვამებით ისე აავსეს, რომ ფეხით გავლას შეძლებდა კაცი ურწმუნო და ყოვლად ბინიერი, არათუ ღმერთი მოვლენილი საკვირველებათა და საოცრებათა საჩვენებლად და დასარწმუნებლად, რომ რწმენა განსაზღვრავს კაცის წონას და არა ხორცის რაოდენობა, წამოც-

მული მის ჩონჩხზე, რომელიც მაინც მიქცევადია ქვიშად და მტვრად, რომელმაც დაფარა ილიონის დიდებული კედლებიც კი და მეხსიერების ნაცრის სქელი ფენა წააფარა ტკივილებს, რომლებმაც შეძრეს მიწა და წყალი, ჰაერი და ვარსკვლავები და ეთერიც, შესაყარზე დავანებული გულჩვილი და ფერმკრთალი ასული დროთა გამრიგისა, კრონოსისა და თიამათისა, რომლის ცივი ფერთაკრთომა ახლა ენეოსის შიშველ მკლავებს ურუანტელად დაურბენს და აღაპყრობინებს ხელებს ახალი ილიონის ბედისწერის ტყვეს, რომლის სულის სიღრმეში ჯერ კიდევ შერჩენილიყო ტკივილი და სევდა დანაელთა რისხვას გადარჩენისა და ახალი ბედის განგებისადმი ნებიერად მიყოლისა და კიდეც აღაპყრო განნირულებაში მყოფმა ენეოსმა ხელნი ვარსკვლავებისაკენ, ვითომ სამჯერ და ოთხჯერ უფრო ბედნიერი არ იყო ის, ვინც შეძლო თავისი მამის თვალწინ სიკვდილი ტროას მაღალი კედლების ქვეშ! ო! დანაელთა რასის ყველაზე ღირსეულო შვილო თადეოზისა, რომ ველარ დავეცემი ილიონის ველზე შენი მახვილით განგმირული, საცა ჰგიეს საზარი ჰექტორი აჩეხილი ეასიდის რკინის მახვილით და სარპედონი, გიგანტიური მებრძოლი – იქ, საცა სიმოისმა გაწრთვნა ასე მრავალი, ფარები გმირთა, მათი ზუჩები, მათი ძლიერი სხეულები, და რაც უფრო ეხვეოდა ეთერის მაფხიზლებელი სიგრილე ენეოსის სხეულს, მასაც ჩვეული ოპტიმიზმი უბრუნდებოდა და შვიდ ნაოსანთან ერთად ნაპირს გადასული შემართებით იშვერდა ხელს ლატიუმისაკენ და ამბობდა იქ, ტროას სამეფოს შეუძლია კვლავ იშვას, იყავით მტკიცენი და შეინახეთ თავი ბედნიერების დღეებისათვის. ასეთი იყო ენეოსი, გმირთა გმირი ილიონიდან, რომელმაც, თუ დავუჯერებთ დანტეს მასწავლებელსა და მეგზურს, ვირგილიუსს, ტროას დანგრევისათვის შურის საძიებლად რომი დააარსა და ამ ახალ ტროაში მისცა დასაბამი იმპერიას, რომლის საზღვრები გადასწვდება მიწასა და ზღვას და რომლისაგან წარმოიშობა კეისარი იულიუსი. სწორედ ის, თავის ცოლს რომ უცხო კაცის ჩრდილის დაცემაც არ აპატია და გაშორდა, რადგან ეჭვის ჭიას ისე შეეძლო, გამოეღრღნა მისი

არსება, რომ რუბიკონის გადალახვას კი არა, იმ ცხვირსახოცის მოძიებასაც ვერ შეძლებდა, ვენეციის მრავალნამსახურები მავრი რომ შეშალა ჭკუიდან და სიამაყით თავი მოაკვლევინა მას შემდეგ, რაც თავისი ცნობილი თავისსაქებელი მონოლოგი წარმოსთქვა ვენეციელი დოჟების მესამე სხდომაზე, მაგრამ სადაა ვენეცია, როდესაც ჯერ რომიც არ დაარსებულიყო და ენეოსიც ის-ის იყო გადმოვიდა თავის მხლებლებთან ერთად შვიდბორცვიან ნაპირზე, რათა დაეარსებინა ქალაქი, რომლის ნიაღში გაიზრდები შენ, კეისართა შორის უავგუსტესი იულიუსი და რა, ჩემო ვირგილიუს? რ ო მ ი! ხოლო ვირგილიუსმა დანტეს თვალი აარიდა და ყურში ჩასჩურჩულა გვირგვინოსანს: „ეეჰ, ჩემო იულიუს, დაკნინდა კაცობრიობა, დაკნინდა და იქ, საცა დიდებული ოქროს ვირები ჯირითობდნენ, ახლა ფერმის ვნებააშლილი ვარდისფერდინგიანი ღორებიღა დაღრუტუნებენ წუმპეში, რომელსაც შენდა სამასხროდ ცხოვრებას ეძახიან.“ თუმცა, თვით დანტე ვირგილიუსს ისეთ ადგილას შეხვდა, რომლის ფიზიკური არსებობა ისეთივე სათუო ხდება, როგორც თავად ენეოსისა, თუმცაღა რომი საკმაო საბუთი უნდა იყოს იმისა, რომ ენეოსის მთელი თავგადასავალი სავსებით შეესატყვისებოდა დანტეს მოგზაურობას თავისი მეგზურის თანხლებით, რომელიც, ამავე დროს, იყო ენეოსის შემქმნელიც და თუ თვით დანტეს არსებობა არ იწვევს ჩვენში ეჭვს, მაშინ რატომ უნდა დავეჭვდეთ ენეოსის არსებობაში, ან იმ სამყაროს სინამდვილეში, რომელიც ავტორებისა და პერსონაჟების სახით არსებობს ჩვენს ცნობიერებაში? ენეოსისათვის სრულიად ცხადი იყო, რომ რომი არ არსებობდა მანამ, სანამ ტროელთა ეოლოსისაგან განაწამები გემები არ მოადგნენ ტიბროსის ნაპირებს და არ აღანთეს პირველი სამსხვერპლო ცეცხლი, მაგრამ ოცდაშვიდი საუკუნის შემდეგ პიაცა ნავონაზე ჩათვლემილი მოგზაურისათვის გუშინდელი რომი ისეთივე რეალობა ხდებოდა, როგორც თვით ენეოსი ან დანტე, რომლის შესახებაც სინამდვილეს მხოლოდ წიგნები შემორჩა. როგორ უნდა დადგენილიყო ეს სინამდვილე, თუ მის შესახებ არავითარი ცნობა არ იქ-

ნებოდა შერჩენილი ავტორთა თავაშვებული ფანტაზიის მიერ, რადგან ხომ სრულიად დაუშვებელია, რომ დანტეს მართლაც ემოგზაურა ვირგილიუსის თანხლებით საიქიოში და იქ შეხვედროდა ყველა იმათ, ვისიც სახელები მხოლოდ გაყვითლებულ ფურცლებზე შეხვედრია და რომ არ გადაეშალა ეს ფურცლები, ვერც ყოფიერების იმ ზეწრის ქვეშ შეიხედავდა, რომელსაც დრო ეწოდება და რომელიც, თუ არ გაისაკუთრე, შენად არ აქციე და შენც მად არ იქეცი, ხელიდან ისე გაგისხლტება, როგორც საცერიდან გამოდენილი წყალი, რომელსაც ორჯერვერშესასვლელ მდინარეში ყოფს დანტეს რეალობიდან გამოდევნილი სატურნი, რომელიც ენეოსს ჩამოჰყვა რომში საბერძნეთის სიზმარეული სინამდვილიდან, სადაც იგი კრონოსის სახელით მონაწილეობდა იმ ხილვებში, რომელთა შესახებ ჰომეროსისა და ჰესიოდეს გარდა არავის შეეძლო რაიმეს გარკვეულად თქმა, რადგან უკვე მაშინ ჩაჩხირა ზევსმა პირში ქვა, რასაც დღესაც აკეთებენ ეგეოსის ნაპირებიოდან გადმოსახლებული სიცილიელები, რომლებსაც ყველაზე სწორი გაგება შერჩათ ქვის პირში ჩადების მნიშვნელობის გამოსახატავად:

– *ბევრს ლაპარაკობ!* – აი, რას ნიშნავდა ამ ქვის კრონოსის პირში ჩაჩრა, რამაც თვით ცნობილ კიკერონზეც კი ისე იმოქმედა, რომ გადაწყვიტა, ქვა მანამდე ჩაედო პირში, ვიდრე ალაპარაკდებოდა და ამით გადაერჩინა საბრალო სიცილიელები და სანაცვლოდ კართაგენი დაენგრია, რომლის ქიშპობას რომთან, ცხადია, ვერ აიტანდა ტროელთა დიდებული ძის შთამომავალი. კამორას დამაარსებელი ზევსი ოლიმპოს შეეფარა თავისი მაფიოზევსებითურთ, ხოლო ქვაყლაპია კრონოსი კი, სატურნის სახელით ცნობილი შავი მზე, ანუ ღამის მზე და სიკვდილის მეუფე, რომში დასახლდა და იქ მარადიული ქალაქის ყველაზე სასწაულებრივი სიზმრის ხილვით ირთობდა თავს წელიწადში ორჯერ: შუაზამთრის გრძელი ღამის შესამოკლებლად და შუაზაფხულის ღამის სიზმართა გასაგრძელებლად, რათა ცხოვრებით გულგაწვრილებულ რომაელებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, ჩაძირულიყვნენ წამისყო-

ფის სიზმარეულ ნეტარებაში და აღმოეჩინათ სიამოვნება სინამდვილის გარდასახვისა

(სატურნალიები და გაივსება პერსონაჟებით)...

ყოფიერების შუაგზაზე გზადაბნეული და საიქიოში აღმოჩენილი დანტეს შესახებ თქმულს ერთი საინტერესო დეტალიც შეიძლება დავუმატოთ იმის დასადასტურებლად, რომ სინამდვილე, რომელსაც იგი წარმოგვიდგენს, როგორც ცხოვრების შუა გზაზე *უსიერ ტევრში* გზააბნეული შეჩერების წერტილს, დროთა გადაკვეთის სამ სიბრტყეზე (წარმოდგენილების ვეფხვით, მგლითა და ლომით, რაც აშკარად მიუთითებს, რომ დანტე სამ იტალიურ ქალაქს ხედავდა აქ ერთდროულად), თავმოყრილს წერტილში, რომელიც შესასვლელად იქცა ამის გამო, ეს სინამდვილე უსასრულო და დაუსაბამო წრის სახითაა მოცემული, რომლის ცენტრი ყოველ ფეხის გადადგმაზე მოიპოვება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ აღმოაჩინა ეს შესასვლელი დაბნეულმა დანტემ თავისი (ვთქვათ, ჭეშმარიტების დასაცავად რომ იგი ამბობს „ამ ცხოვრების", რაც სრულიადაც არ გულისხმობს თვით დანტეს ან კიდევ სხვა რომელიმე მოგზაურის განვლილ გზას. თუმცა, სავსებით დასაშვებია, რომ მის პირად ცხოვრებასაც გულისხმობდეს, რამდენადაც სიტყვები „ამ ცხოვრების" ერთნაირად მოიცავს თვით დანტესაც და მთელს უნივერსუმსაც დასაბამიდან ანუ უკეთ დაუსაბამობიდან დღემდე. ესე იგი, დანტეს შემდეგ მთელი იმ მონაკვეთის ჩათვლით, რომელსაც მოცემული წრის დიამეტრის შეფარდება იძლევა დანტეს მიერ დასაბამიდან განვლილ გზასთან უსიერი ტევრის გარდიგარდმო) ცხოვრების ნახევარს მიღწეულმა, რადგან თუ ყოველი ადამიანის ცხოვრების ნახევარს გადავთვლით, ეს წერტილი დალაგდება წრის მთელი ფართობის ყოველ მონაკვეთზე ისე, რომ თვით წრე ამ წერტილთა, ანუ შესასვლელთა, უსასრულო და განუსაზღვრელ შავ ნახვრეტთა ერთობა იქნება და, მაშასადამე, თვით

იგი იქნება, ამგვარად, შესასვლელი ჯოჯოხეთში. ჩვენ ხელთ არავითარი სხვა მონაცემი არა გვაქვს, გარდა იმისა, რაც დანტეს მიერ დალაგებულმა სიტყვებმა შემოგვინახეს წიგნში, რომელსაც „ღვთაებრივი კომედია" ეწოდება, სახელი, რომელიც ყველაზე ზუსტად გამოხატავს (ასე ფიქრობდა დანტე, ყოველ შემთხვევაში) იმ სასაცილო მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც შესასვლელის წინ აღმოჩენილი ადამიანი (შესასვლელი კი ყველგანაა, როგორც დავამტკიცეთ: X*X=∞) თავს ჯერ კიდევ მშვენიერებით გარემოცულ ყვავილნარში წარმოიდგენს, მაშინ, როდესაც იგი უკვე, შესაძლოა, დიდი ხანია, რაც უსიერ ტევრში დაბორიალებს გზააბნეული და ან კიდევ ჩავარდნილია ღვთაებრივი შავი ნახვრეტის უახლოეს ღრმულში და კისრისტეხით მიექანება იმ სინამდვილის სახილველად, დამალული რომ იყო მისთვის ცხოვრების ფერადოვანი ხალიჩით, რომელსაც მშვენიერება ეწოდება. – ჩაერთო დივინდორის ქიმერა, რომელმაც როგორც იქნა, გაითავისუფლა თავი გიორგის ბლაყვი გველეშაპის ალერსისაგან და ქალწულობაც შეინარჩუნა. მისი საქციელით კმაყოფილმა დივინდორმა ულვაში გადმოპრიხა და თავზე გადაუსვა ხელი.

– ფროიდი მართალია, გამოქვაბულებსა, ლაბირინთებსა და ღრმულებში ჩამსვლელთა საკითხი ცალკეა გასარჩევი. – თქვა დივინდორის ქალწული ქიმერის მიერ უარყოფილმა გიორგის ბლაყვმა გველეშაპმა და ისეთი ნაღველით სავსე ხმით ამოიხვნეშა, რომ პიაცა ნავონადან ფორუმამდე რაც ქალები დადიოდნენ, ყველას ცრემლი წასკდა თვალებიდან ამის გამგონეთ. გიორგიმაც კი არ იცოდა, რა მოაგონდა ამ წუთს გველეშაპყოფილ მის ქალწულ ქიმერას, რომელი გამოქვაბული თუ ღრმული წარმოუდგა თვალწინ, რომელშიც ანცი ბავშვების დასაშოშმინებლად დაასახლა მშობლების თავგასულმა წარმოდგენამ. მაგრამ გამოცნობის კი არა, დაფიქრების საშუალებაც მოესპო გიორგის, რადგან გველეშაპყოფილის ძახილზე ჯერ აქვითინებულმა რომაელმა ქალწულებმა, შემდეგ რომში ჩამოსულმა უცხოელებმა და ბოლოს პარიზიდან რომში ამოსკუპებულმა მისმა დობილმა ქიმერებმა ისეთი წრე შე-

მოარტყეს, რომ გიორგიმ ძლივს დააღწია თავი და ისევ შეუერთდა ბატონ ბოდლისა და ბატონ ფლობის, ფერდინანდად მონათლულსა და დივინდორის მხიარულ მაგიდას, რომელსაც უკვე შემოსხდომოდნენ ნაციონალური ნიშნით გამორჩეული ოლიმპიელები, პოეტები, ისტორიკოსები, წმიდანები, მთხრობელები, მწერლები, ფილოსოფოსები და ქიზიყელები, რომლებსაც, რადგან ქიმერები არ ჰყავდათ, თამადობა უნდოდათ ეთავათ, რადგან წარმოშობითაც ერგებოდათ და ხნოვანებითაც და ვირებისადმი განსაკუთრებული მგრძნობიარობითაც, მაგრამ გამოირკვა, რომ რომში ქიზიყელს კი არა, ვირგილიუსს უნდა ეთამადა, რაც ყველასათვის ნათელი იყო იმთავითვე, ქიზიყელების გარდა, რადგან ვერ წარმოედგინათ, კახელ ჩოჩრებზე უფრო ნატიფი არსება თუ შეიძლებოდა არსებულიყო ქვეყანაზე და ისიც რომში, მაგრამ გიორგის გადმონაცვლებამ საერთო მაგიდასთან აზრი შეაცვლევინა მათ და თამადობა, მასპინძლის უფლებით, ვირგილიუსს გადაულოცეს რა, თვითონ მშვიდობიანად დაბრუნდნენ უმშვენიერეს სიღნაღში და რომი იმაზე დაიკიდეს, რითაც აკარგვინებდნენ ქალწულობას პუატელებისა და კატალონელების ჩამომავალ ქალწული ვირების მზერასევდიან კახელ ჩოჩრებს. კატალონიის ხსენებაზე დივინდორმა ულვაშები შეათამაშა და ისე აპრიხა, თითქოს ვინმეს კატალონელთა უპირატესობაში ეპარებოდა ეჭვი და რომ დაინახა ქიზიყელების სიმარჯვე, წელში გაიმართა: იბ-ბერია მაინც სხვაა, ვაშა თამადას! დივინდორის მიერ კატალონურად ნათქვამ ვირგილიუსის სადღეგრძელოს სიღნაღში გადამსხდარმა ქიზიყელებმა მრავალჟამიერი შეაგებეს, რამაც საბოლოოდ აღადგინა ქიზიყელების განაწყენიანებით და გიორგის გველეშაპყოფილი ქიმერის სევდით ჩამქრალი მხიარული განწყობილება.

გამოქვაბულში შემსვლელთა საკითხმა იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში, რომ ევროპაში განსწავლულმა ლიბიელმა პროფესორმა ქ'ადა ფონ ისრაილმა ატომური იარაღის აკრძალვა მოითხოვა, რადგან ამ იარაღის გამოყენებით წარმოშობილი ღრმულები და გამოქვაბუ-

ლები შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც დედამიწის მიმართ სექსუალური ზემოქმედების ანტიჰუმანიური აქცია, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო მორალს და ხელს უწყობს ოიდიპოსის კომპლექსის გავრცობას იმ ხალხებშიც კი, რომლებმაც აქამდე თავი დააღწიეს დასავლეთის გამხრწნელ ზემოქმედებას და არც ბერძნებს ეკუთვნოდნენ და არც ამერიკელებს. პროფესორის წინადადების განსახილველად სასწრაფოდ შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო და მწვანეთა კავშირი, რომლებმაც ერთხმად გადაწყვიტეს, რომ პროფესორ ქ'ადამ ფონ ისრაელის წინადადება მისაღებად დასაშვები, მაგრამ განსახორციელებლად შეუძლებელი იყო, რადგან დედამიწაში ღრმულების კეთება ადამიანს ათავისუფლებს სწორედ იმ კომპლექსისაგან, რომელსაც ასეთი შესანიშნავი სტრიქონები უძღვნეს ჰომეროსმა, ჰესიოდემ, მარქსმა, ფროიდმა და სოფოკლემ...

დასასრული

„ფლეიბოიდან ამოხეული ოფელიას სურათით ცალ ხელში და მეორეში კი იორიკის თავის ქალით ჰამლეტი დარბაზის ერთი კუთხიდან მეორეში დადის და ახალშეთვისებული რუსულით ამბობს: "Бат или не бат; вот в чем вопрос", მისი ქიმერა კი მხიარულად დახტოდა მის ზურგზე და კისკისებდა წივანა ხმით: "Ну конечно ебат; Гамлет, бат; my dear, да еще раз бат;... и только так..." ხოლო ოფელია კი დამწუხრებული სახით მონასტრისაკენ მიმავალი მწარედ მოსთქვამდა: "Загубили младу девицу, обещаниями кормили-поили, да до монастыря довели..." მწარედ მომთქმელს გზად ალიოშა კარამაზოვი შემოხვდა, მონასტრიდან მომავალი, და ეკითხება: სად მიდიხარო? – სადაო და მონასტერშიო, რადგან ეგერ ჰამლეტი დადის კუთხიდან კუთხეში და დაუჩემებია ბათ; ილი ნე ბათლ-ო და ლამის არის, მეორედ მოსვლამდის ვერ გადაწყვიტოსო, მე კი ამასობაში უსაგნოდ დავრჩებიო და ალიოშამ უთხრა, მაგას მე შე-

გისრულებო, რადგან ჩემმა ავტორმაც ლამის არის, ყველა ადამიანურ სიამოვნებაზე ხელი ამაღებინოს და სკლეროტიკად მაქციოსო, სიმონ; მიაყუდა იქვე ხეს ოფელია, კაბა წამოხადა, თვითონაც წამოიხადა თავისი და გამოაჩინა თავის სრულიად წარმოუდგენელი და ავტორის მიერ ასეთის გულმოდგინებით დამალული ოქროს ვირი, რომლის ხილვაზე ოფელიას ნეტარების ალმა გადაუარა და უმალ გადაავიწყა გადაუწყვეტელი ჰამლეტიცა და მისი მოკისკისე ქიმერაც და ისე ჩაეხუტა ალიოშა კარამაზოვის ქვესაკიდს, ვითარცა პერსეფონა მოგზაურობიდან ახალდაბრუნებულ ულისეს, რომლის მოლოდინშიც გააატარა მან ცხოვრება მაძიებლებთან (*ვინ იყვნენ ისინი* და ჰამლეტიც ხომ მაძიებელია!) ალიოშას ვირის თავაშვებულმა უსირცხვილობამ და ოფელიას გულშეღონებულმა კვნესამ და ქშენამ და კისკასმა ბლაყვყოფილისა და მისი მეგობარი ქიმერების ყურადღება მიიპყრო და გადაბმული ფერხულით რომ შემოეწყვნენ გარს ონტოჟინში შესულ წყვილს და დასჭექეს ქართლურად: „დაჰკა, დაჰკა, დაჰკა, დაჰკა“, რამაც სულ გადარია ალიოშა და ოფელიაც ნეტარების მეცხრე ცაზე ავიდა, საიდანაც ჩამოსვლა არაფრით არ უნდოდა, მაშინაც კი, როდესაც მოფერხულეებში ჩამდგარმა ჰამლეტის ქიმერამ ცრემლნარევი მუდარით პატიება სთხოვა: „ხო ვეუბნებოდი „ბათ ბათ;“-თქო და არ დამიჯერა, რა ჩემი ბრალიაო.“ ამაზე ოფელიამ „ფუი თქვენო“, წამოიძახა და მეცხრე ციდან გადმოშვებულმა პირდაპირ ენგურს მისცა თავი, ისეთის სასოწარკვეთთ, რომ შავ ზღვამდე თავი აღარ ამოუყვია ენგურის მრისხანე ტალღებიდან, რომლებიც ვერც ამ კდემამოსილი და სათნო ასულის ტრაგიკულმა ბედმა დააცხრო და მხოლოდ სიონში აგებულმა ჯვებირმა შეაკავა და დატბორა მისი ვნებათბორგვა, რის შემდეგადაც საქართველოს კომპარტიამ სვანური ქუდები დაიხურა და იმწამსვე გურულებზე სათქმელი ანეკდოტების გმირები სვანებად გარდაისახნენ, რამაც კახელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია და თბილისს ზურგი შეაქციეს და საქართველოში წონასწორობა დაარღვიეს, რითაც გურულებმა კიდევ ერთხელ ისარგებლეს

და სამუდამოდ გააძევეს თბილისიდან ყველა, ვისაც ამ უკანასკნელი საუკუნის დასასრული ოცდაათწლედის განმავლობაში პარტიაში არ უმუშავია და ან საგურულო თანამდებობაზე არ ყოფილა, თუმცა, გურულებს ვინ ერჩის, საქმე სრულიად სხვაგვარად მოგვარდებოდა ყველასათვის მოულოდნელად რომ არ მომხდარიყო ის, რასაც ასეთის მოუთმენელი წარმოუდგენლობით ელოდა მთელი ქართველი ერი: ობობას მზერით, ცხოველთა შიგნეულისა და ფრინველთამოძულე ჯოისიმ, ხელი უკრა შეთავაზებულ ჩახოხბილსა და კუჭმაჭს და ზიზღით თავი შეაბრუნა: დონ'ტ ყოუ ნოწ, დონ'ტ ყოუ ნოწ – წაამღერა მან თავისი ცნობილი არია, რომელსაც ფინეგანის ცნობილი ღამისთევიდან მოყოლებული, გაუთავებლად მღეროდა საქველმოქმედო კონცერტებზე ანა ბელლა პლურაბელლასთან ერთად ხუთი სახელგანთქმული ქართველი ბასისა და ორი ირლანდიელი ბარიტონის თანხლებით და როდესაც მორჩნენ, ცივად შემობრუნდნენ და დაიძრნენ გასასვლელისაკენ, ვითარცა წყალვარდნილის წყალი მიისწრაფვის ფსკერისაკენ, რათა იქ დაბუდებულ სიმშვიდეს შეეხოს თითებით, რომელთა ცვილისებრი ნატიფი გამჭვირვალება მოაგონებდა მოხუცს ელენეს მშვენიერებას, რომლისა გამოც ამდენ უბედურ დროთასვლას დაედო სათავე, თუმცა, ურომლისოდაც არც რომი დაარსდებოდა და აღარც ჩვენს მხიარულ დროსტარებასაც ექნებოდა ადგილი, ჩემო ფერდინანდ... რისთვის? ყველა მათი დანაშაულისათვის. Riven! A way a lone a last a loved a long the / riverrun, past Eve and Adam's,... საკმარისია, თვალი მოარიდო და იქ შეტოპავს, საიდანაც გამოსვლა აღარ უწერის, რადგან კუდს, რომელსაც გველი ყლაპავს მოებიუსის სივრცის შექმნა შეუძლია და დროს თავგზა ებნევა, წინ მიმავალი დასაწყისში ამოჰყოფს თავს და უკან მობრუნებული დასასრულს უახლოვდება. Bump! – წარმოსთქვამს გატაცებით ელენეს მკვლელი ირლანდიელი სეოგჰაჩ, რომელსაც აღარც ინგლისური აკმაყოფილებდა უკვე და აღარც საერთოდ ადამიანური მეტყველება, რადგან ავსტრიას ჯერაც ომი გამოეცხადებინა სერბიისათვის, სერბებს ხორვატებისათვის,

ორივეს ბოსნიელებისათვის, იმათ მუსულმანებისათვის, მუსულმანებს ბუდისტებისათვის, ბუდისტებს აფსუებისათვის, აფსუებს ებრაელებისათვის, რადგან თვლიდნენ, რომ ებრაელებმა მათი დედოფალი მოატაცებინეს არგონავტებს და ტროას დანგრევაში მიიღეს მონაწილეობა, ებრაელებმა ამის გამო უკეთესი ვერაფერი მოახერხეს და ბოდიშის მოხდის მაგივრად, იესო ჯვარზე გააკრეს, რადგან აფხაზთა მტკიცებით, იესოს დედა – მარიამი მედეას ჩამომავალი იყო 22-ე მუხლში, რასაც მათი სახელების ანალიზი ცხადყოფდა; ებრაელთა ამ მოქმედებამ მთელი საქრისტიანო გადარია და იმ დროს, ავსტრიამ რომ სერბიას ომი გამოუცხადა, ნათელი გახდა, რომ ყველაფრის მოთავე ებრაელები იყვნენ, რამაც ირლანდიელი ტკბილხმოვანი მეშაქარლამის გაკვირვება გამოიწვია, და საბოლოოდ შეაძულა მიწიერი მონარქიის ყველა ფორმა, ღვთაებრივი მონარქიის იმედი გადაეწურა, დროებით ხელისუფლებებს კორუმპირების თვალებში ჩააფურთხა, ხოლო მომავლის მზეთა იმედით თავისი მტრები ამყოფა გარიჟრაჟზე "Avanti, cagoia" Addio! del passato bei sogni ridenti pourquoi me réveiller, O souffle du printemps და ინგლისური, საუკეთესო ენათა შორის, ყველამ ისე შეისწავლა, რომ ადგილს ვეღარ იპოვიდა კაცი განსასვენებლად Both all chor actors chummin a round gan sumum in arum drum strum trum in a humpt a dumpting waul top oof ooloo derma unsturnup ba ba ba da da dal ghar aghtaq am min ar ronn qon nbronntonnerronntounnthunntrovarrhounaw nsqawntoohoo – hoordenenthurnuq! დაფიქრებით წარმოსთქვა წამღერებით ერთპენიან ოპერაზე მეოცნებე ირლანდიელმა სეოგჰაჩმა, რომელსაც ხელში საანგარიშო ჩოთქი ეჭირა და ცინიკურად ყველა ლამაზ ქალს წლოვანებას უთვლიდა იმ დღიდან, როდესაც ავტორმა წიგნის უცვალებელი სინამდვილის ცხრაკლიტულში ჩაკეტა, ვიდრე რომის კარიბჭესთან არ შეჰყარა ყველანი კარნავალურმა ბედისწერამ ადამიანთან ყოფიერებისა, რომელშიც შექმნილები და შემქმნელები იგივენი არიან და რაც ზევით მიდის, იგივ ქვევით ეშვება, როგორც მოსთქვამდა დაუსაბამო მწუხარებას მიცემული ბატო-

ნი ბოდლის ქიმერა, რომელმაც ამ არეულობაში მარცხენა საყურე დაკარგა და ისე იყო შეძრწუნებული ამით, რომ ღვთისმშობლის ტაძრის სახურავის კიდეზე წამოსკუპდა და აღარ უნდოდა იქიდან ჩამოსვლა.

(სატურნალიები)
(შემობრუნდე და აირიოს)

ის-ის იყო, პარისმა თავისი მშვენიერი ლათინურით წარმოსთქვა სიტყვები, რომელთა ჟღერადი მშვენიერება სავსებით შეესატყვისებოდა გამოთქმული აზრის სიღრმეს, რაც ასეთი იშვიათი მოვლენა გახდა მას შემდეგ, რაც საყოველთაო და აუცილებელი განათლება იქნა შემოღებული იმ ქვეყნებში, რომლებზედაც ასეთი იმედებით აღსავსე მზერით იყო მიპყრობილი ყურადღება ყოვლად საჩინო ინისა და იანისა, შივასი, განდისა და მრგვალი მაგიდის რაინდებისა, მოსესი და პლატონისა, პეტრესი და პავლესი, იოანესი, მათესი და კონსტანტინესი, არტურისა და როსტევანისა, პარციფალისა და ტარიელისა, ავთანდილისა და ტრუბადურებისა, ლაზარესი და მარიამისა, კატარებისა, ტამპლიერებისა, რომის პაპისა, გიორგისა და მისი გველეშაპისა, ბატონი ბოდლისა და ბატონი ფლობისა, მათი ქიმერებისა, პასკალისა და ბახისა, მეროვინგებისა და კაპეტინგებისა, მოცარტისა, მარატისა და დანტონისა, რობესპიერისა და ბაგრატიონებისა, კრომველისა, ალფონს დიდისა, ფრანცისკ პირველისა, თემურ-ლენგისა, დავით აღმაშენებლისა, არაფატისა, აბუ-ნიდალისა, ბუშისა და კლინტონისა, რომელთაც სიჭაბუკისა მიზეზით ქიმერები ჯერ არ ჰყავდათ, რის გამოც მათი მეტყველება გრამატიკულად სწორი, მაგრამ ყოველგვარ შემოქმედებას მოკლებული იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ სიღრმეზე, რომლის გასანათებლად საჭირო იყო ფრანგების კ'აპოსტროფიული კრუხის კვინტილიანული გემოვნებით მოხარშული იდეალური კულტურული ბულიონი, რომლის კულტურინულ ინგრედიენტებში შედიოდა: ვირგილიუსის სიკვდილი ჰერმან ბროხისა და

ვოიცეკი გეორგ ბიუხნერისა და პროცესი ფრანც კაფკასი და მიქაელ კოჰლაასი ჰეინრიხ ფონ კლაისტისა და ჯადოსნური მთა თომას მანისა და უთვისებო კაცი რობერტ მიუზილისა და ასე ამბობდა ზარათუსტრა ნიცშესი და რადეცკის მარში იოსებ როტისა და სულის თვისება გოეთესი და მანჰატენ ტრანსფერი ჯონ დოს პასოსისა და ხმაური და მძვინვარება- უილიამ ფოლკნერისა და ბრწყინვალე გეტსბი სკოტ ფიტც- ჯერალდისა და მოხუცი და ზღვა ჰემინგუეისა და ელჩები ჰენრი ჯეიმსისა და მობი დიკი ჰერმან მელვილისა და ლოლი- ტა ვლადიმირ ნაბოკოვისა და არაჩვეულებრივი ისტორიები ედგარ პოესი და ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი მარკ ტვე- ნისა და საყასბე 5 კურტ ვონნეგუტისა და კირჩხიბის ნიშანი ჰენრი მილერისა და დევნილი ანგელოზი თომას ვულფისა და უოლდენი ჰენრი ტოროსი და ქალაქი და ძაღლები და მწვანე სახლი ვარგას ლიოსასი და სონეტები შექსპირისა და მისივე მაკბეტი, ლირი და შუაზაფხულის ღამის სიზმარი, მეთორმე- ტე ღამე და სკაპენის ოინები, ჰამლეტი და ქარიშხალი, დიდი იმედები დიკენსისა და ფინეგანის ღამისთევა ჯეიმს ენერგი- ულისა ტრისტამ შენდი ლოურენს სტერნისა და ტომ ჯონსი ჰენრი ფილდინგისა და სიზმარი წითელ ტალავერში კაო ქსე კინისა და მაჰაბჰარატა და რამაიანა და ვედები მაძღარი ინ- დოეთისა და დონკიხოტ ლამანჩელი ცალფეხა სერვანტესისა და სისხლი და ქვიშა ტორეადორ ბლასკო იბანიესისა და გარ- განტუა და პანტაგრუელი სევდიანი ალფოკრიბას ნაზიესი და დაკარგული დროის ძიებაში დაუნდობელი პრუსტისა და მოგ- ზაურობა ღამის კიდეში ბაგატელებითა და მძორებით კდემა- მოსილი სელინისა და დეკამერონი მამალი ბოკაჩოსი და სიმ- ღერები ნაზი ლეოპარდისა და ომი და მშვიდობა გრაფ ტოლს- ტოისა და ეშმაკნი და იდიოტი დოსტოევსკისა და სტეპი ყირი- მელი ჩეხოვისა და პეტერბურგი უძღები ანდრეი ბელისა და წყლის ბურთულებით თამაში ჰაეროვანი ჰერმან ჰესესი და ღვთაებრივი კომედია ჯოჯოხეთური დანტესი, რომ არაფერი თქმულიყო იმ მართლაც ღვთაებრივ სიბრძნეზე, რომელსაც მოაფრქვევდა ჰომეროსის ილიადა და ოდისეა და ან ბიბლია

– წიგნი წიგნების, ადამიანების და მათი სიზმრების, ქიმერებისა და მეფეების, მწერლებისა და წინასწარმეტყველების, ეშმაკთა და მაცდურთა და სხვა წიგნები მოხითხითე მოხუცისა, რომელსაც დრო ვერ მოეხელთებინა, რომ თავიდან ბოლომდე მიჰყოლოდა მის ფურცელთშლას და დაენაყრებინა თავისი ცნობიერების ფრთააშლილი პეპლები გრძელ ღამეში, მეშვიდე დღის შემდეგ რომ დაუდგა და აღარც გასთენებია, რადგან მეტი აღარაფერი უნდოდა და ვეღარც ამას უწოდა კეთილი, რამეთუ იყო იგი ჩაძირული თავის სიზმრისეულ ნეტარებაში, ვითარცა თიამათის თბილ ხსენში, რომლიდანაც ამოქაფულ ფერადოვან ბურთულებს ჯერაც ბავშვური აღტაცებით უბერავდა სულს და მიმოაპნევდა მის წინ გასაშლელად გამზადებულ სივრცეში წარმოშობილ ხვრელებში, რომლებშიც შეცურებული ფერადი ბუშტები ცდილობდნენ, სამუდამოდ მოჰფარებოდნენ მის მზერას, ათამაშებულნი ხვრელში მიმომქროლავი მცხუნვარედ მსუსხავი ქარებით, – მისი სუნთქვის ფრთოსანი მსტოვრებით –, ანგელოსებით და ძალებით, და ეს აცინებდა და ამხიარულებდა ყოველთვის, როგორც კი ეძლეოდა თიამათის წყლებიდან წარმოშობილი ჭრელი ბურთულებით თამაშს.

– ხოხ, უყურე შენ! – აღმოხდა გიორგის ლოყებშეფაკლულ ყოფილგველეშაპს, რომელსაც ზოგჯერ, შემორჩენილი ხატების რწმუნებით, დიოკლეტიანესაც უწოდებდნენ მცოდნენი, ხოლო შინაურობაში კი სიყვარულით „დოკლის", „დიკლის", „დიკლოს", „ტიას", „კლეტინს", „ოკლეს", „დოკლენს", „პროკლეს" და ვისაც რა მოეპრიანებოდა, ის კი გულუბრყვილოდ მისჩერებოდა თავის მწვალებლებს და იმაზე ფიქრობდა, ენის წვერზე როგორ დაესვა ეს სამოთხის ბაღიდან გამოყოლილი სიზმრის პეპელა და დამტკბარიყო მისი მსუბუქი ფერთაფენით, ახლა კი, რადგან არავინ აღარ აქცევდა მას ყურადღებას და ენეოსმაც თავისი შესანიშნავი ლათინურით სული დაუტკბო, შიშველი ბაყვების დანახვაზე გიორგის ბლაყვყოფილი გველეშაპი სულ გადაირია. ქალწულ ქიმერებთან გატარებული უკუნის შემდეგ მონპარნასის თაღებქვეშ აღმოჩენილს,

გამომშრალ ხახაში ისეთი ალი აუვარდა, რომ მთელი სხეული აუელვარდა და გამჭვირვალე გაუხდა ისე, რომ, როდესაც ერთი ძველებურად ამოიხვნეშა, სხეული უთვალავი ფერადოვანი ნაპერწკლებით აუციალდა, რამაც არნახულ აღტაცებაში მოიყვანა მოწყენით მთვლემარე მოხუცი, რომლის თვალებშიც, ვითარცა მხიარული გველეშაპყოფილის ვნებამორეულ სხეულში, ბენგალიური ნაპერწკლების მსგავსად აცინცილდნენ და აწკარუნდნენ კვაზარები. მონპარნასის თაღებქვეშ უსირცხვილოდ გაცისკროვნებული პარისის მეგობარი ქალების მოკლე კაბებს ქვეშ მთრთოლავი თეთრი ბაყვები ბლაყვყოფილზე ისე მოქმედებდა, ისე მოქმედებდა, ისე მოქმედებდა, როგორც გარდასულ დღეთა ვნებიანი აღვსება და პირველი შეხება წყაროსთავზე გამოსული პატარძლისა, რომელსაც უნდოდა, თავისი ვნებით აღვსილი ხორცი წყაროს გრილი წყლით გაეგრილებინა და ბლაყვს კი ჩაეკონა ისე ვნებიანად, რომ კინაღამ დაახრჩო, და სწორედ მაშინ იყო, რომ ბლაყვმა წყაროს თავზე დაისადგურა, ხოლო პატარძალმა კი მთელ ქვეყანას მოსდო გველქეშაპის ვნებიანი და ცეცხლოვანი შეყრის ამბავი, რის შემდეგაც მოსვენება აღარ ჰქონდა ქალებისაგან, ვიდრე ეს უბედური თეთრცხენოსანი არ გამოეცხადა და ქალთა საუბედუროდ არ გამოათრია წყაროს პირიდან მისავათებული და ვნებებისაგან სულმთლად გამოწურული გველეშაპყოფილი... მმმ... მმმმ.... მმმოჰჰჰ... ბლაყვმა ვნებიანი კვნესით თვალები დახუჭა და თავშეუკავებლად მიუხოხდა მის წინ მბზინავ ჩამოქნილ ფეხებს, ვნებიანი თვალები შეანათა ელენედ წოდებულ პარისის მეგობარ ქალს და ისეთი სისწრაფითა და თრთოლვით ამოუდო ოდნავ განზე გადგმულ და გადახსნილ ლაჯებშუა თავისი გრძელი, ცეცხლით საუკუნეთა წინარე გადაბუგული ენა, რომ ელენემ თავდაპირველად ვერაფერი იგრძნო, მაგრამ შემდეგ, როდესაც ყოფილი გველეშაპის ცეცხლოვანმა, მაგრამ აწ უკვე გაგრილებულმა მთრთოლავმა ნერწყვმა კანი აუწვა და თბილი ენის შეხებისაგან ტანში ვნებიანმა ჟრუანტელმა დაუარა ისე, რომ თვალები მინაბა და, ის-ის იყო, უნდა მისცემოდა გრძნობათა

პეპელთჭერას, რომ პარისმა, რომელმაც თავისი მშვენიერი ლათინურით წარმოთქმული წინასწარმეტყველური სიტყვების შემდეგ მოყუდებული ბოთლი პირიდან მოიშორა და ყოფილ გველეშაპს, ამჟამად კი სექსუალურ მანიაკს, ისე შეხედა, რომ ბლაყვს ენა გაუშრა შიშისაგან, რადგან იცოდა, რომ პარისი სასტიკად დაუნდობელი იყო და თანაც გაახსენდა, თუ რა დღეში ჩააგდო პარისმა ელენეს გულისათვის თავისი თანამოქალაქე ტროელები, რომელთაც შეესივნენ შეურაცხყოფილი და განრისხებული აქეველები, რომელთაც სინამდვილეში ელენე კი არ აინტერესებდათ და არც პრიამის სახელგანთქმული განძი, ხოლო პარისი კი საერთოდ ფეხებზე ეკიდათ, და ვინ იცოდა ეს მასზე უკეთესად, ვინც მთელი წინა აზიის მაცოცხლებელ და მანოყიერებელ ცეცხლოვანსა და მაგრილებელ სითხეს ბატონობდა, არამედ ტროას მიერ გადაკეტილი სავაჭრო გზის გახსნა და კუვეიტის საბადოები, ინდოეთის ზურმუხტები და ჩინეთის აბრეშუმი, იაპონური ტრანზისტორები და იაკუტიის ალმასები, ცხადია. და აჰა, ვითარცა დამანგრეველი ცეცხლი ცასმიმწვდომ ალებად მოდებული უკიდეგანო ტყეებს, ვითარცა გუნდი ფრთამალ ფრინველთა მსერავი ეთერის უდაბნოსი, ვითარცა ბუზები დახვეულნი ბაგაში მდგარ ნახირს, ვითარცა ჭიანი ამომცოცავნი ლპობილი მძორიდან, შემოაცურეს ხომალდები წყალუხვ ქსანტეში ბეოტიელთა, მინიენთა, ფოკიდიელთა, ლოკრიელთა, ათენელთა, ევბეელთა, მიკენელთა, მირმიდონელთა, თმუტარაკნელთა, არკადიელთა, ფოსიდიენთა, და სხვათა უთვალავთა ქვიშათა და ფოთოლთა მეხსიერების უდაბნოში ახვეტილი დროსშეპნეული სიზმრებისა, რომელთა სახელი უკვე აღარაფერს მიანიშნებდა, თუმცა, თავმოყრილ გმირთა, მეფეთა და ღვთაებათა სახელებს ახლაც უცნაური თრთოლვით წარმოსთქვამდა, რადგან გრძნობდა მათში თავისი ფესვის ფეთქვას. "Ducunt volentum trabunt dolentum fata"-ო ეთქვა უნდა პარისს თავის დროზედ იმ ქალბატონებისათვის, ვისი ვნებააშლილი შურისძიების დასაცხრობად გამოწვეულ იქნენ გმირები ელადისა, რომელთა მიერ იქნა დანგრეული, გადამწ-

ვარი და ფერფლწაყრილი ტროა I, ტროა II, ტროა III, ტროა IV, ტროა V, ტროა VI, ტროა VII და ტროა VIII, გაცოცხლებული ბუღალტრის სიზმრით; ილიონის სახელოვანნი გმირნი შენირულ, ღვთაებრივად ლამაზი ბერძენი ქალის მომტაცებელი ფრიგიელი ალექსანდრე, პარისად გადალანძღული, უშვერი სიტყვებით და ისრით განგმირული, ხოლო ენეოსი კი იტალიაში გადახვეწილი რომის დასაარსებლად... გიორგის გველეშაპყოფილს რომის ხსენებაზე ტანში ჟრუანტელმა დაუარა, რომლის ტალღებმა მონპარნასის ჩადედებული თბილი ჰაერი ისე შეარხია, როგორც კოჯრიდან მობერილმა გრილმა ნიავმა თავად გენერალ ორბელიანის ულვაშები... რომი, რომი, ქალაქთა ქალაქი, ცივილიზაციის ღერძი, სოლი, პალო, რომელზედაც მიბმული იყო მისი წინაპარი ყურშა, ამირანს რომ ჯაჭვს ულოკავდა, ხოლო პრომეთეს კი არწივად ევლინებოდა ღვიძლის საკორტნავად, რათა სცოდნოდათ თავისი ადგილი და ბედი, რომელზედაც თავისი მშვენიერი ლათინურით თქვა პარისმა "Ducunt volentum trabunt dolentum fata" და ბოთლი მოიყუდა, რის შემდეგაც გიორგის ყოფილმა გველეშაპმა, რომელმაც თავი მართლა რომში დაიგულა, შემოჯარულ ქალწულებს დაუწყო არშიყობა. და როდესაც ქალების მხიარული აღმოხდომის ექო ის-ის იყო მიწყდა მონპარნასის თაღებქვეშ და გიორგის ბლაყვყოფილი გველეშაპი წამოიზიდა და ელენედ წოდებულ პარისის მეგობარ მეძავს თავი ბაყვებქვეშ ამოუდო და სველი ცეცხლოვანი ენა აუსვა, ხოლო ელენეს დაცეცხლა, ხოლო გიორგი უკვე სირცხვილისაგან იწვოდა და აღარ იცოდა, როგორ დაეცხრო ატროყებული ვირი კაპადოკიისა, ნიანგი ანატოლიისა და ფარშავანგი სირაკუზისა, რომელიც არშიყობას არ სჯერდებოდა და ვიდრე პარისი თავისი შესანიშნავი ლათინურით წარმოთქმულ სიბრძნეს მოყუდებული ბოთლიდან აწყალობებდა, თავისი ნერწყვიანი ენით ქალებს უსირცხვილოდ უღიტინებდა ლაჯებს შორის და საფრთხეს უქმნიდა რომისკენ მიმავალი ბილიკის გათელვას ბედისაგან დევნილი ტროელების მიერ, რადგან თუ ელენე პარისს კი არა, ამ სექსუალურ ტრანსფორმატორს გაჰყვებოდა თავის

ვნებიან ჟრუანტელს აყოლილი, მაშინ აღარც ელინები განრისხდებოდნენ და შეირაცხყოფდნენ თავს და აღარც აქილევსი, ფილირას შვილის მიერ სითარის ტკბილხმოვანებაში აღზრდილი, რომელმაც თავისი ხელოვნებით დაუცხრო ეაკის შვილთაშვილს ბავშვობითვე ველური, მკაცრი, მშიშარა, მფრთხალი, მძვინვარე, და სათნოებაუკარებელი სული, ამირანსავით დამაფრთხობელი თავისი ტოლებისა და მტრებისა, იქნებოდა გაბუტული აღა-მემნონზე, რომელმაც მას ჰარამხანის ქონების ნება არ მისცა, და, მით აზრი დაუკარგა მის ყოველგვარ თავგანწირვას. მაგრამ გიორგის ეჭვი ეპარებოდა ყოველთვის, რომ მისი გველეშაპი ოვიდიუსისტი უნდა ყოფილიყო, განსხვავებით გიორგისაგან, რომელსაც პლატონისტობას სწამებდნენ მცოდნენი და გველეშაპის წინააღმდეგ რაზმავდნენ, თუმცა მას არც არაფერი ჰქონდა გასაყოფი ამ ბლაყვ ვნებებსაყოლილ ჩოკინასთან, რომელსაც ისე მოსწყურებოდა ქალთაცვლა, ვითარცა დროშებისაკენ მისწრაფებულ ირმების გუნდს წყარო ანკარა და ან რომისაკენ მიმავალ ენეოსს პიაცა ნავონაზე ჩაქროლება თავისი ეტლით და რომაელი მატრონების დაწიოკება. მაგრამ რომი ჯერ შორს იყო, ხოლო მონპარნასის კიდობანი კი თანდათან ივსებოდა და გიორგის ბლაყვი ყლევეშაპყოფილიც სულ უფრო და უფრო ცოცხლდებოდა შემსმენელი პრაქტიკის მიერ დაოსტატებული პოეტის სიმღერისა. „რად არის სული ჩემი მშფოთვარე და ხორცი ჩემი დაუცხრომელი, რად არ მივყვები დღეთა სრბოლას მე მინდობილი, არ მოვა შენთან ცის ეთერით ჩამოქროლილი, რომში ეძებე, სად თვით სიყვარულს უდევს ბინა ენეოსის დაარსებულში, იო, პეან, იო, პეან, იო, პეან..." ღიღინებდა ფრთამსუბუქი გიორგის ბლაყვი ყლევეშაპი და სიზმარეულ პეპელასავით დაფარფატებდა მონპარნასზე გადაშლილ ქალწულთა ყვავილნარში, ვიდრე ფერდინანდად მონათლულის კდემამოსილ ქიმერას არ დააჯდა უბინო მკერდზე. ამ შეხებისაგან ფერდინანდად მონათლულის ქიმერა აილეწა და ერთი ისეთი შეჰკივლა, რომ გიორგის ბლაყვი ყველეშაპი ვნებით ალგაყინული ჩაცუცქდა გიორგის ფეხებთან და ვითომც არა-

ფერიო, თავი მოიმძინარა. რომში ეძებე, თავად რომში, ჩაესმა პიაცა ვენეციაზე მთვლემარეს და ვიდრე თვალს გაახელდა, ამაღლებულმა და სევდიანმა ხმამ წარმოსთქვა: „რომი მთელი ცხოვრება არაა საკმარისი". ჰმ, – გაეცინა მეზობელს, – რა რჩება ამ სხეულებიდან? ვის შეუძლია, იპოვოს ერთი ასო, ან ერთი ძვალი? გაგლინეთ ყველა მძორი, აორთქლეთ, როგორც ფშვინვა, რის შემდეგაც გაისმა სან მარკოს ზარების რეკვა და რომში ახალჩამოსულმა ტურისტებმა დაიწყეს შემოკრება.

რომისაკენ მიმავალი გზა, რომელსაც ტროადან ლტოლვილი ენეოსი დაადგა, მრავალი ხიფათით იყო აღსავსე. ტანჯვით გაიარა ენეოსმა ეს გზა. სად მიდიოდა? რა უნდოდა? არაფერი იცოდა და ვინმეს რომ ეკითხა, ჰქონდა თუ არა რაიმე მიზანი ენეოსს, იგი ალბათ ვერაფერს უპასუხებდა, რადგან მიზანი მისი მოგზაურობისა იცოდნენ მხოლოდ ბედის გამრიგე ერინიებმა, ზევსმა, აფროდიტემ, ანდრომედამ, მაგრამ უპირველესი შემოქმედი მისი ბედისა იყო კაცი, რომელმაც ჯოჯოხეთში უმეგზურა შუაგზაზე დაბნეულ ერთ იტალიელ მწერალს, რომელმაც საბრალო ენეოსს ის აღარ აკმარა, რომ ვირგილიუსმა, რამეთუ ასე ერქვა ენეოსის ბედის გამრიგეს, იმგვარ სიტყვათა ცხრაკლიტულში მოაქცია და სამუდამოდ ჩაკეტა ენეოსის ბედი, რომ იქიდან თავდახსნისათვის მართლაც ქიმერიული სიზმრების ხროვა იყო საჭირო, მსიზმრებელისათვის მოეხვიათ თავზე ყველას ერთად, აეშალათ სიტყვათა წყობა, დაენგრიათ წინადადებები, დაეშალათ სიტყვები, გამოეხსნათ მათში საუკუნეების წნეხით ჩაწნეხილი პირველსახე, თავისუფალი ამონასუნთქი პირველმთქმელისა და გაერღვიათ ის ენობრივი ჯებირები, რომელთა ჯაჭვებით სულდაბმული სიტყვაწამახული ირლანდიელი სეტტერი მოსთქვამდა ბლუდფილდის აღტაცებული ჰიმნების ზარ-ზეიმში, მე მინდა ენა, ყველა ენებზე მაღლა მყოფი, ენა, რომელსაც ყველა სხვა ენა მოემსახურებაო და იპოვა კიდეც, იპოვა და კიდეც შეხსნა ჯაჭვები სიტყვებს და აურია თავგზა ტვინდალაგებულ სამყაროს, რომელიც გრამატიკულ წყობაში გამოფს-

კვნილი, ცხვირის წვერამდე შეკრული კიტელის ღილებით ამაყად დააბიჯებდა სინამდვილის ჭრელ ზმანებაში და თავისი თავის უფალი ეგონა თავი, მაგრამ როგორ უნდა ყოფილიყო თავისუფალი, თუ შემასმენელსა და ქვემდებარეს ვერაფერს მოუხერხებდა ისე, რომ პირდაპირ და ირიბ დამატებასა და განსაზღვრებას შორის გასასვლელი არ დაეტოვებინა, თუმცა, ყველასათვის ცხადი იყო, რომ ეს ოპერაცია სამყაროს შექანებას გამოიწვევდა და ახალი სიზმრების აშლას, რომელთა უკუმოქმედების ძალა ფროიდის, იუნგის, ლაკანისა და მარქსის თეორიათა ჩარჩოებში აღარ ეტეოდა და აღარც სხვა რამ ახსნა მოეპოვებოდა მას შემდეგ, რაც ვიტგენშტეინის ონირიულ ვენაში სისხლის მდინარება შეწყდა და სარაევოში ბედმა ისა ჰქნა სწორედ, რაზედაც ასეთის მჭევრმეტყველებით საუბრობდა მონპარნასის თაღებს თავშეფარებული პარისი ლათინურის სიტკბოებით ამღერებული: "Ducunt volentum trabunt dolentum fata".

ხოლო იგი ადგა და ჯოჯოხეთში მოათავსა, ვითომც ჰადესში ჩაკეტილი ენეოსი რომის დამაარსებლად გამოდგებოდა ან კიდევ იტალიას მისცემდა დასაბამს და, ვითომ, ის არ ეყოფოდა ენეოსს, რომ ტროა თავზე დაანგრიეს, სამშობლო მოუთხარეს, მშვენიერ ტროელ ქალებს ელინმა ვირებმა ფეხები აატლაკინეს და კაცობრიობას გეზი უცვალეს, რომ ეოლმა და მისმა ქარებმა ზღვა რისხვით თავზე წისქვილად დაუბრუნეს, ხოლო ხმელთაშუა ზღვა ტროელთა გვამებით ისე აავსეს, რომ ფეხით გავლას შეძლებდა კაცი ურწმუნო და ყოვლად ბინიერი, არათუ ღმერთი მოვლენილი საკვირველებათა და საოცრებათა საჩვენებლად და დასარწმუნებლად, რომ რწმენა განსაზღვრავს კაცის წონას და არა ხორცის რაოდენობა, წამოცმული მის ჩონჩხზე, რომელიც მაინც მიქცევადია ქვიშად და მტვრად, რომელმაც დაფარა ილიონის დიდებული კედლებიც კი და მეხსიერების ნაცრის სქელი ფენა წააფარა ტკივილებს, რომლებმაც შესძრეს მიწა და წყალი, ჰაერი და ვარსკვლავები და ეთერიც, შესაყარზე დავანებული გულჩვილი და ფერმკრთალი ასული დროთა გამრიგისა, კრონოსისა

და თიამათისა, რომლის ცივი ფერთაკრთომა ახლა ენეოსის შიშველ მკლავებს ჟრუანტელად დაურბენს და აღაპყრობინებს ხელებს ახალი ილიონის ბედისწერის ტყვეს, რომლის სულის სიღრმეში ჯერ კიდევ შერჩენილიყო ტკივილი და სევდა დანაელთა რისხვას გადარჩენისა და ახალი ბედის განგებისადმი ნებიერად მიყოლისა და კიდეც აღაპყრო განწირულებაში მყოფმა ენეოსმა ხელნი ვარსკვლავებისაკენ, ვითომ სამჯერ და ოთხჯერ უფრო ბედნიერი არ იყო ის, ვინც შეძლო თავისი მამის თვალწინ სიკვდილი ტროას მაღალი კედლების ქვეშ! ო! დანაელთა რასის ყველაზე ღირსეულო შვილო თადეოზისა, რომ ვეღარ დავეცემი ილიონის ველზე შენი მახვილით განგმირული, საცა ჰგიეს საზარი ჰექტორი აჩეხილი ეასიდის რკინის მახვილით და სარპედონი, გიგანტიური მებრძოლი – იქ, საცა სიმოისმა გაწრთვნა ასე მრავალი, ფარები გმირთა, მათი ზუჩები, მათი ძლიერი სხეულები, და რაც უფრო ეხვეოდა ეთერის მაფხიზლებელი სიგრილე ენეოსის სხეულს, მასაც ჩვეული ოპტიმიზმი უბრუნდებოდა და შვიდ ნაოსანთან ერთად ნაპირს გადასული შემართებით იშვერდა ხელს ლატიუმისაკენ და ამბობდა იქ, ტროას სამეფოს შეუძლია, კვლავ იშვას, იყავით მტკიცენი და შეინახეთ თავი ბედნიერების დღეებისათვის. ასეთი იყო ენეოსი, გმირთა გმირი ილიონიდან, რომელმაც, თუ დავუჯერებთ დანტეს მასწავლებელსა და მეგზურს, ვირგილიუსს, ტროას დანგრევისათვის შურის საძიებლად რომი დააარსა და ამ ახალ ტროაში მისცა დასაბამი იმპერიას, რომლის საზღვრები გადასწვდება მიწასა და ზღვას და რომლისაგან წარმოიშობა კეისარი იულიუსი. სწორედ ის, თავის ცოლს რომ უცხო კაცის ჩრდილის დაცემაც არ აპატია და გაშორდა, რადგან ეჭვის ჭიას ისე შეეძლო, გამოეღრღნა მისი არსება, რომ რუბიკონის გადალახვას კი არა, იმ ცხვირსახოცის მოძიებასაც ვერ შეძლებდა, ვენეციის მრავალნამსახურები მავრი რომ შეშალა ჭკუიდან და სიამაყით თავი მოაკვლევინა მას შემდეგ, რაც თავისი ცნობილი თავისსაქებელი მონოლოგი წარმოსთქვა ვენეციელი დოჟების მესამე სხდომაზე, მაგრამ სადაა ვენეცია, როდესაც ჯერ რომიც არ დაარ-

სებულიყო და ენეოსიც ის-ის იყო გადმოვიდა თავის მხლებ-
ლებთან ერთად შვიდბორცვიან ნაპირზე, რათა დაეარსებინა
ქალაქი, რომლის წიაღში გაიზრდები შენ, კეისართა შორის
უავგუსტესი იულიუსი და რა, ჩემო ვირგილიუს? რ ო მ ი! ხო-
ლო ვირგილიუსმა დანტეს თვალი აარიდა და ყურში ჩასჩურ-
ჩულა გვირგვინოსანს: „ეეჰ, ჩემო იულიუს, დაკნინდა კა-
ცობრიობა, დაკნინდა და იქ, საცა დიდებული ოქროს ვირები
ჯირითობდნენ, ახლა ფერმის ვნებააშლილი ვარდისფერდინ-
გიანი ღორებიღა დაღრუტუნებენ წუმპეში, რომელსაც შენდა
სამასხროდ ცხოვრებას ეძახიან." თუმცა, თვით დანტე ვირგი-
ლიუსს ისეთ ადგილას შეხვდა, რომლის ფიზიკური არსებობა
ისეთივე სათუო ხდება, როგორც თავად ენეოსისა, თუმცაღა
რომი საკმაო საბუთი უნდა იყოს იმისა, რომ ენეოსის მთელი
თავგადასავალი სავსებით შეესატყვისებოდა დანტეს მოგზა-
ურობას თავისი მეგზურის თანხლებით, რომელიც, ამავე
დროს იყო ენეოსის შემქმნელიც და თუ თვით დანტეს არსე-
ბობა არ იწვევს ჩვენში ეჭვს, მაშინ რატომ უნდა დავეჭვდეთ
ენეოსის არსებობაში, ან იმ სამყაროს სინამდვილეში, რომე-
ლიც ავტორებისა და პერსონაჟების სახით არსებობს ჩვენს
ცნობიერებაში? ენეოსისათვის სრულიად ცხადი იყო, რომ
რომი არ არსებობდა მანამ, სანამ ტროელთა ეოლოსისაგან
განაწამები გემები არ მოადგნენ ტიბროსის ნაპირებს და არ
აღანთეს პირველი სამსხვერპლო ცეცხლი, მაგრამ ოცდაშვი-
დი საუკუნის შემდეგ პიაცა ნავონაზე ჩათვლემილი მოგზაუ-
რისათვის გუშინდელი რომი ისეთივე რეალობა ხდებოდა,
როგორც თვით ენეოსი ან დანტე, რომლის შესახებაც სინამდ-
ვილეს მხოლოდ წიგნები შემორჩა. როგორ უნდა დადგენილი-
ყო ეს სინამდვილე, თუ მის შესახებ არავითარი ცნობა არ იქ-
ნებოდა შერჩენილი ავტორთა თავაშვებული ფანტაზიის მი-
ერ, რადგან ხომ სრულიად დაუშვებელია, რომ დანტეს მართ-
ლაც ემოგზაურა ვირგილიუსის თანხლებით საიქიოში და იქ
შეხვედროდა ყველა იმათ, ვისიც სახელები მხოლოდ გაყვით-
ლებულ ფურცლებზე შეხვედრია და რომ არ გადაეშალა ეს
ფურცლები, ვერც ყოფიერების იმ ზეწრის ქვეშ შეიხედავდა,

რომელსაც დრო ეწოდება და რომელიც, თუ არ გაისაკუთრე, შენად არ აქციე და შენც მად არ იქეცი, ხელიდან ისე გაგისხლტება, როგორც საცერიდან გამოდენილი წყალი, რომელსაც ორჯერვერშესასვლელ მდინარეში ყოფს დანტეს რეალობიდან გამოდევნილი სატურნი, რომელიც ენეოსს ჩამოჰყვა რომში საბერძნეთის სიზმარეული სინამდვილიდან, სადაც იგი კრონოსის სახელით მონაწილეობდა იმ ხილვებში, რომელთა შესახებ ჰომეროსისა და ჰესიოდეს გარდა, არავის შეეძლო რაიმეს გარკვეულად თქმა, რადგან უკვე მაშინ ჩაჩხირა ზევსმა პირში ქვა, რასაც დღესაც აკეთებენ ეგეოსის ნაპირებიოდან გადმოსახლებული სიცილიელები, რომლებსაც ყველაზე სწორი გაგება შერჩათ ქვის პირში ჩადების მნიშვნელობის გამოსახატავად: *ბევრს ლაპარაკობ!* – აი, რას ნიშნავდა ამ ქვის კრონოსის პირში ჩაჩრა, რამაც თვით ცნობილ კიკერონზეც კი ისე იმოქმედა, რომ გადაწყვიტა, ქვა მანამდე ჩაედო პირში, ვიდრე ალაპარაკდებოდა და ამით გადაერჩინა საბრალო სიცილიელები და სანაცვლოდ კართაგენი დაენგრია, რომლის ქიშპობას რომთან, ცხადია, ვერ აიტანდა ტროელთა დიდებული ძის შთამომავალი. კამორას დამაარსებელი ზევსი ოლიმპოს შეეფარა თავისი მაფიოზევსებითურთ, ხოლო ქვაყლაპია კრონოსი კი, სატურნის სახელით ცნობილი შავი მზე, ღამის მზე და სიკვდილის მეუფე, რომში დასახლდა და იქ მარადიული ქალაქის ყველაზე სასწაულებრივი სიზმრის ხილვით ირთობდა თავს ნელიწადში ორჯერ: შუაზამთრის გრძელი ღამის შესამოკლებლად და შუაზაფხულის ღამის სიზმართა გასაგრძელებლად, რათა ცხოვრებით გულგაგვრილებულ რომაელებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, ჩაძირულიყვნენ წამისყოფის სიზმარეულ ნეტარებაში და აღმოეჩინათ სიამოვნება სინამდვილის გარდასახვისა...

– დანტეს შესახებ თქმულს ერთი საინტერესო დეტალიც შეიძლება დავუმატოთ იმის დასადასტურებლად, რომ სინამდვილე, რომელსაც იგი წარმოგვიდგენს, როგორც ცხოვრების შუა გზაზე უსიერ ტევრში გზააბნეული შეჩერების წერტილს, დროთა გადაკვეთის სამ სიბრტყეზე (წარმოდგენი-

ლების ვეფხვით, მგლითა და ლომით, რაც აშკარად მიუთითებს, რომ დანტე სამ იტალიურ ქალაქს ხედავდა აქ ერთდროულად), თავმოყრილს წერტილში, რომელიც შესასვლელად იქცა ამის გამო, ეს სინამდვილე უსასრულო და დაუსაბამო წრის სახითაა მოცემული, რომლის ცენტრი ყოველ ფეხის გადადგმაზე მოიპოვება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ აღმოაჩინა ეს შესასვლელი დაბნეულმა დანტემ თავისი (ვთქვათ, ჭეშმარიტების დასაცავად, რომ იგი ამბობს „ამ ცხოვრების", რაც სრულიადაც არ გულისხმობს თვით დანტეს ან კიდევ სხვა რომელიმე მოგზაურის განვლილ გზას. თუმცა, სავსებით დასაშვებია, რომ მის პირად ცხოვრებასაც გულისხმობდეს, რამდენადაც სიტყვები „ამ ცხოვრების" ერთნაირად მოიცავს თვით დანტესაც და მთელს უნივერსუმსაც დასაბამიდან ანუ უკეთ დაუსაბამობიდან დღემდე. ესე იგი, დანტეს შემდეგ მთელი იმ მონაკვეთის ჩათვლით, რომელსაც მოცემული წრის დიამეტრის შეფარდება იძლევა დანტეს მიერ დასაბამიდან განვლილ გზასთან უსიერი ტევრის გარდიგარდმო) ცხოვრების ნახევარს მიღწეულმა, რადგან თუ ყოველი ადამიანის ცხოვრების ნახევარს გადავთვლით, ეს წერტილი დალაგდება წრის მთელი ფართობის ყოველ თანაფარდ და ურთიერთის მიმართ გადათვლილ მონაკვეთზე ისე, რომ თვით წრე ამ წერტილთა, ანუ შესასვლელთა, უსასრულო და განუსაზღვრელ შავ ნახვრეტთა ერთობა იქნება და, მაშასადამე, თვით იგი იქნება, ამგვარად, შესასვლელი ჯოჯოხეთში. ჩვენ ხელთ არავითარი სხვა მონაცემი არა გვაქვს, გარდა იმისა, რაც დანტეს მიერ დალაგებულმა სიტყვებმა შემოგვინახეს წიგნში, რომელსაც „ღვთაებრივი კომედია" ეწოდება, სახელი, რომელიც ყველაზე ზუსტად გამოხატავს (ასე ფიქრობდა დანტე, ყოველ შემთხვევაში) იმ სასაცილო მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც შესასვლელის წინ აღმოჩენილი ადამიანი (შესასვლელი კი ყველგანაა, როგორც დავამტკიცეთ) თავს ჯერ კიდევ მშვენიერებით გარემოცულ ყვავილნარში წარმოიდგენს, მაშინ როდესაც იგი უკვე, შესაძლოა, დიდი ხანია, რაც *უსიერ ტევრ-*

ში დაბორიალებს გზააბნეული და ან კიდევ ჩავარდნილია ღვთაებრივი შავი ნახვრეტის უახლოეს ღრმულში და კისრისტეხით მიექანება იმ სინამდვილის სახილველად, დამალული რომ იყო მისთვის ცხოვრების ფერადოვანი ხალიჩით, რომელსაც მშვენიერება ეწოდება. – ჩაერთო დივინდორის ქიმერა, რომელმაც როგორც იქნა, გაითავისუფლა თავი გიორგის ბლაყვი გველეშაპის ალერსისაგან და ქალწულობაც შეინარჩუნა. მისი საქციელით კმაყოფილმა დივინდორმა ულვაში გადმოპრიხა და თავზე გადაუსვა ხელი.

– ფროიდი მართალია, გამოქვაბულებსა, ლაბირინთებსა და ღრმულებში ჩამსვლელთა საკითხი ცალკეა გასარჩევი. – თქვა დივინდორის ქალწული ქიმერის მიერ უარყოფილმა გიორგის ბლაყვმა გველეშაპმა და ისეთი ნაღველით სავსე ხმით ამოიხვნეშა, რომ პიაცა ნავონადან ფორუმამდე რაც ქალები იდგნენ, ყველას კაბა შემოეძარცვა და აბრწყინვებული სხეულებით აცურდნენ ჰაერში ბლაყვყოფილის გულის გასახარად, რომელმაც თავისი აალებული ენით იწყო მათი მოჯირითება სიზმარეთში გადასული მსიზმრებელივით.

ფროიდი უკვე დიდი ხანია, აღარავის აინტერესებდა, რადგან ყველას მზერა მიპყრობილი იყო გიორგისა და მისი სწორუპოვარი სახედრისაკენ, რომლის მინაბული თვალებიდან ღაპაღუპით მოიღვრებოდა მოგონებათა ცრემლოვანი ნიაღვარი, ჩანჩქერივით რომ გადმოჰქუხდა სწორედ იმ კლდიდან, რომლის დაცვაც ევალებოდა მას გაჩენის დღიდან, ქალებს რომ არ გადაჰკიდებოდა და ბოლოს მზეთამზე ჭაბუკის რისხვის მსხვერპლი არ გამხდარიყო. ამის გამგონეთ ყველას ცრემლი წასკდა თვალებიდან.

გიორგიმაც კი არ იცოდა, რა მოაგონდა ამ წუთს გველეშაპყოფილ მის ქალწულ ქიმერას, რომელი გამოქვაბული თუ ღრმული წარმოუდგა თვალწინ, რომელშიც ანცი ბავშვების დასაშოშმინებლად დაასახლა მშობლების თავგასულმა წარმოდგენამ. მაგრამ გამოცნობის კი არა, დაფიქრების საშუალებაც მოესპო გიორგის, რადგან გველეშაპყოფილის ძახილზე ჯერ აქვითინებულმა რომაელმა ქალწულებმა, შემდეგ

რომში ჩამოსულმა უცხოელებმა და ბოლოს პარიზიდან რომში ამოსკუპებულმა მისმა დობილმა ქიმერებმა ისეთი წრე შემოარტყეს, რომ გიორგიმ ძლივს დააღწია თავი და ისევ შეუერთდა ბატონ ბოდლისა და ბატონ ფლობის, ფერდინანდად მონათლულსა და დივინდორის მხიარულ მაგიდას, რომელსაც უკვე შემოსხდომოდნენ ნაციონალური ნიშნით გამორჩეული ოლიმპიელები, პოეტები, ისტორიკოსები, წმიდანები, მთხრობელები, მწერლები, ფილოსოფოსები, და ქიზიყელები, რომლებსაც, რადგან ქიმერები არ ჰყავდათ, თამადობა უნდოდათ ეთავათ, რადგან წარმოშობითაც ერგებოდათ და ხნოვანებითაც და ვირებისადმი განსაკუთრებული მგრძნობიარობითაც, მაგრამ გამოირკვა, რომ რომში ქიზიყელს კი არა, ვირგილიუსს უნდა ეთამადა, რაც ყველასათვის ნათელი იყო იმთავითვე ქიზიყელების გარდა, რადგან ვერ წარმოედგინათ კახელ ჩოჩრებზე უფრო ნატიფი არსება თუ შეიძლებოდა არსებულიყო ქვეყანაზე, და ისიც რომში, მაგრამ გიორგის გადმონაცვლებამ საერთო მაგიდასთან აზრი შეაცვლევინა მათ და თამადობა, მასპინძლის უფლებით, ვირგილიუსს გადაულოცეს რა, თვითონ მშვიდობიანად დაბრუნდნენ უმშვენიერეს სიღნაღში და რომი იმაზე დაიკიდეს, რითაც აკარგვინებდნენ ქალწულობას პუატელებისა და კატალონელების ჩამომავალ ვირების მზერასევდიან კახელ ჩოჩრებს. კატალონიის ხსენებაზე დივინდორმა ულვაშები შეათამაშა და ისე აპრიხა, თითქოს ვინმეს კატალონელთა უპირატესობაში ეპარებოდა ეჭვი და რომ დაინახა ქიზიყელების სიმარჯვე, წელში გაიმართა: იბ-ბერია მაინც სხვაა, ვაშა თამადას! დივინდორის მიერ კატალონურად ნათქვამ ვირგილიუსის სადღეგრძელოს სიღნაღში გადამსხდარმა ქიზიყელებმა მრავალჟამიერი შეაგებეს, რამაც საბოლოოდ აღადგინა ქიზიყელების განაწყენიანებით და გიორგის გველეშაპყოფილი ქიმერის სევდით ჩამქრალი მხიარული განწყობილება.

გამოქვაბულში შემსვლელთა საკითხმა იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში, რომ ევროპაში განსწავლულმა ლიბიელმა პროფესორმა ქ'ადა ფონ ისრაილ-

მა ატომური იარაღის აკრძალვა მოითხოვა, რადგან ამ იარაღის გამოყენებით წარმოშობილი ღრმულები და გამოქვაბულები შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც დედამიწის მიმართ სექსუალური ზემოქმედების ანტიჰუმანიური აქცია, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო მორალს და ხელს უწყობს ოიდიპოსის კომპლექსის გავრცობას იმ ხალხებშიც კი, რომლებმაც აქამდე თავი დააღწიეს დასავლეთის გამხრწნელ ზემოქმედებას და არც ბერძნებს ეკუთვნოდნენ და არც ამერიკელებს. პროფესორის წინადადების განსახილველად სასწრაფოდ შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო, და მწვანეთა კავშირი, რომლებმაც ერთხმად გადაწყვიტეს, რომ პროფესორ ქ'ადა ფონ ისრაელის წინადადება მისაღებად დასაშვები, მაგრამ განსახორციელებლად შეუძლებელი იყო, რადგან დედამიწაში ღრმულების კეთება ადამიანს ათავისუფლებს სწორედ იმ კომპლექსისაგან, რომელსაც ასეთი შესანიშნავი სტრიქონები უძღვნეს ჰომეროსმა, ჰესიოდემ, მარქსმა, ფროიდმა და სოფოკლემ, რის შემდეგაც თვით შექსპირმაც კი სცადა, გადაეკეთებინა თავისი სახელოვანი პიესა O-telo, ანუ ჟამთაუწინარეს ქართულზე „ო-სხეულო" და მისთვის თანამედროვეობისათვის სრულიად შესატყვისი ჟღერადობა მიეცა. საბოლოოდ, რუსთაველის ტრანსესთეტიკურმა სამხატვრო საბჭომ ალ შევარ ბენ დნაძე ლებ მურ-ყმანიანის თავმჯდომარეობით სავსებით მოიწონა შემდეგი შესწორება:

უ. შექსპირი.

ო-ტელო
ანუ
დეზდემონა არ მოკვდება...

ხუთმოქმედებიანი პიესა პერმანენტული შესწორებებით

დეზდემონა – ჩემო ოტელო, ო-ტელო ჩემო! სად არის ცხვირსახოცი, მე რომ გისახსოვრე....

ოტელო – ცხვირსახოცი... ვეღარ ვპოულობ, აქ მქონდა სადღაც (ეძებს).

ამ დროს შემორბის კასიო, ხელში ცხვირსახოცი უჭირავს... კეკლუცად აფრიალებს...

კასიო (ოტელოს მიახლის ცხვირსახოცს) საზიზღო ფლიდო, ეს ცხვირსახოცი იმას მიეც, ვინაც გაჩუქა, და მეორეჯერ აღარ გნახო ჩემთან მოსული... (სწრაფადვე გადის)

ოტელო (დაინახავს დაგდებულ ცხვირსახოცს)

აი ისიც, აქა ყოფილა, აკი ვამბობდი, აქ არის-თქო, ქარს გადმოუგდია მაგიდიდან და შენს ფეხებთან ესვენა, ჩემო სიცოცხლევ...

დეზდემონა (რომელიც მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ კასიო მას ოტელოსთან ღალატობდა) მაგრამ ეს... კასიო? შენ? კასიო? აა-ა, შე ბილწო, კაცთმოყვარევ, სოდომის ჩარჩო... ცხვირსახოციო! ვაი მე, ბედშავს... (გადაიქცევა ზანგ ქალად)

ოტელო (გაოგნებული დეზდემონას გარდაქმნით, იხდის ტანზე და ხედავს, რომ თეთრია. იწყებს ტირილს...) სლუკუნით: რა ვქნა! ძნელი ყოფილა სიყვარული და მალვა მისი! ფლიდო იაგო! (იშენს თავში ხელებს) ვაი-ვაი-ვაი-ვაااااი!

ბღავილით ეშვება დეზდემონას ფეხებთან და სლუკუნებს.... მერე თავს წევს და ამბობს:

შექსპირის მონოლოგი

მე ვიყავ ლირი, დიდებული მეფე ინგლისის,
ვაჭარიც ვიყავ, თანაც ორი, და აზნაურიც,
ვიყავ ქალიც, ოფელიაც, ჰამლეტიც, მწირიც,
მკითხავიც ვიყავ, ჯადოქარიც, თეთრიც და შავიც,...

(ჩამოითვალოს შექსპირის პერსონაჟები)

ზვიადიც ვიყავ, დეზდ-ემონაც და ედუარდიც,
ო, მე რამდენჯერ გამიწევია სამსახური ქალებისათვის,
მაგრამ სატანის ვერ სატანი მიტან მოტანის ენის და ბაგის იაგოურ შურისძიების მსხვერპლად ვიქეც, ოი, მე ბედშავს!
და ვენეციის სამსახურიც არად ჩამიგდეს, ვავა, მე, ბედშავს!

ქორო

ტანო, ტატანო, ტელო, ტელო, მავრო ო-ტელო!
რად გინდა ტანი ვერ სატანი უცხოდ მარები,
თუ კასიომაც დაგიხურა ვნების კარები და
დეზდემონაც თვის სიყვარულს აღარ მაფარებს...
ო-ოო! სიყვარულო! მაცდურობის შემხსნელო კარის, ნაზავო შურის, იჭვისა და გონდაბნელების, სიბრმავის ჭაო, გაშმაგების ჭილოფო ვნების და სათნოების ფაჩების ქვეშ მფარავო გველის... კაცის ცხოვრება ერთ ცხვირსახოცს შეეწონება!

ოტელო

რა დამრჩენია, თუ არ მივწვდე ამ სულძაღლსა ღონიერ ყელში და დავკლა იგი.... აი, ასე! (კლავს შექსპირს)

ფარდა დაეშვა... ეშვება ფარდა.... ფარდამ დაშვება დაინყო... ფარდა ველარასოდეს დაეშვება. დასასრული.

– რა თქმა უნდა, – თქვა სათვალეებიანმა ოქროსზანზალაკებიანმა ქიმერამ, რომელმაც დივინდორის უბიდან მის ზურგზე გადაინაცვლა და აპრეხილ ყურს ულოკავდა კატალონიის

ულვაშებწამახულ ლომს, – რა თქმა უნდა, ოტელოს უყვარდა კასიო და ამიტომაც იეჭვიანა დეზდემონაზე. ეს სავსებით ნათელია და არც მისი მკვლელობებია ბნელით მოცული. მას სწორედ ამგვარად უნდა დაემთავრებინა თავისი ცხოვრება: კასიოს საწოლში და იაგოს შურით გამოწვეულ დეზდემონას გააფთრებაში, მიუხედავად იმისა, რომ სახელოვანი შექსპირი სრულიად საპირისპირო თვალსაზრისზე იდგა, რაც მას მეტად საეჭვო ვითარებაში აყენებს მრისხანე ფროიდის მიმართ, რომელმაც არ დაინდო არც ოიდიპოსი და არც საკუთარი დედ-მამა, და, ძმა და მეზობლები... ამიტომაც მოკვდა იგი...

– ენა რომ არ გქონდეს, ლაპარაკი წაგიღებდა, – ზანტად გადმოკარკლა თვალები ბატონი ბოდლის ქიმერამ, რომელიც ბატონი ფლობის გასლიპინებულ ქიმერას მისწოლოდა გვერდით და შეუჩერებლად ეჩურჩულებდა ტუჩებში, – რამე მაინც გაგეგებოდეს ფსიქოანალიზისა ან თუნდაც ტრაგედიისა. ასე რომ, ჯობია, ჩუმად იყო, რადგან სიჩუმე ოქროა, ხოლო ოქრო კი, როგორც მოგეხსენება, ღვთაებრივი სპერმაა...

– ხოხ! უყურე შენ! – აღმოხდა გიორგის ბლაყვყოფილ ფარშევანგს, – კარგად ლაპარაკობ შენ!

ამაზე ყველანი როგორღაც მოიღუშნენ და ფიქრს მისცეს თავი, რადგან ფიქრი, როგორც ამას ეჭვმიუტანლად და უთქმელად ადასტურებს ჰერა-კლიტე, ყოფიერების გასაღებია. სწორედ ის, ჰერას რომ შეუყარა ზევსმა კაცობრიობის სულის ამოსათქმელად და მოსავლინებლად ქვეყნიერებაზე, რადგან რა არის კლიტედაკარგული კაცობრიობა, თუ არა ზევსის სუნთქვიდან გადმოპნეული ჰერას ბაღნარში მონავარდე დედის კალთას ჩაფრენილი ბავშვები... სიზმარი... სიზმარი...

ასე მთავრდებოდა ეს მხიარული საღამო და-ძმობილებული ქიმერებისა, რომელთა დაფიქრებული სახეები ნოტრ-დამის სახურავებიდან გადმომცქერალ მათ თანამოძმეებს შეაშტერდა. "იფიქრეთ", "იფიქრეთ", რადგან ფიქრის ბინდბუნდი არა მარტო მთებს ადგას ჯანლად და ნისლად, არამედ თქვენს ყოფიერებასაც, რომლის საზღვარი დაგიდგინეთ და მაინც ვერაფერი შეგაგნებინეთ, – ფიქრობდა მოხუციც მათთან ერ-

თად და ნანობდა, რომ ამოდენა მშვენიერება დააკეთილსხმა ამ თავნება მოდგმას და თან იქებდა თავს, რომ გასაღები, გასაღები მათი ყოფიერების საიდუმლოსი არ მისცა ხელში, თუმც იმ თავქარიანმა პრომეთემ სცადა მისი გაცურება და თავს კი უყო, რადგან თვითონაც არ იცოდა საკუთარი არსებობის საიდუმლო – დღე სიკვდილისა! ახლა კი ის ამხიარულებდა, რომ თუმც შეეძლო, ნებისმიერ წამწამისშერხევაში შეებრუნებინა ჩარხი, მაგრამ თვითონაც აღარ იცოდა, როდის და არ იცოდა, სად! ეძიონ ახლა ცეცხლით ხელში თავის კასრებში... ჰხე... ჰხე... სინათლის ათინათები, პეპლები, ციცინათელები შავ ნახვრეტში... *სიზმრების პეპლები.*

ამ გრანდიოზული სიზმრის მხილველს თვალის გახელა აღარ უნდოდა; არ უნდოდა სცოდნოდა, რომ ყოველივე სიზმარია და ჩმახია, რომ არაფერიც არ არის კეთილი, რომ ყოველივე ჯერაც დაუმთავრებელი და დაუსრულებელია და ნამდვილობას მოკლებული და რომ უნდა იღვიძოს, რადგან გზა წინაა. ნეტარებით მხიარულ განწყობას ლიბრი გადაეფარა, რომელმაც სახე თანდათან შეუორთქლა და სისველემ ნელ-ნელა იწყო ჩამოღვრა ღაწვებზე სევდის ღვარებად, რომლის გამოსწორებაც მას უკვე აღარასოდეს შეეძლება, ვიდრე ისევ სიზმართ პეპელთჭერას არ მისცემს თავს დაუსაბამო მარადისობაში... და ეს ნარევი სევდიანი ნეტარებისა ჩამოეშვა რომში თავშეყრილ სიზმრებულთა მხიარულ თავებზე და ათამაშდა ტაძრის სახურავებზე, ხეთა ფოთლებზე, აშხაპუნდა შადრევნებში, ასფალტზე, ტყეებსა და ხევებში, ზღვებსა და მდინარეებზე და...

...და ასე თავდებოდა სიზმარი, მაგრამ სიზმრებულნი არ გრძნობდნენ ამას და ან როგორ უნდა ეგრძნოთ სიზმარს დასიზმრებულ მხიარულ მგზავრებს კიდობანისა შეცურებულის დასიზმრებულ წყალთა სიღრმეში... ოკეანეში... მდინარეში... კიდობანი... თიამათის მღვრიე წყალში მოცურავე, რომლის თავზეც მიმოჰქროდა მსიზმრებელი ამ დიდებული სიზმრისა – მხიარული და უნჯი, ნათელი და ბნელი, მძინარე და მღვიძარე, მკვრივი და თხევადი, ხოლო კეთილი ყოვლად, რამეთუ

ბავშვი იყო თვითონაც და არ იცოდა, რომ მისი ყოფიერებაც ისეთივე სიზმარია და ჩმახი, როგორც მის მიერ სიზმრებული დიდებული და მხიარული სურათი, რომელმაც ასე გაამხიარულა და გული სევდით აუვსო ბევრჯერ მისი უსრულობის ხილვით... კუჭიც აუშალა და ცრემლიც ადინა...

თმათეთრი გიორგი შორიდანვე აკვირდებოდა ზანგის გოგოს, ვნებიან გრძელ კისერზე ჩამოქანდაკებული მრგვალი თავით და ჯეირანის გრძელ ფეხებზე შემაღლებული თეძოებით, ხოლო როდესაც ის ქიმერების გამაოგნებელი ღიმილით გიორგის მაგიდასთან შეჩერდა, წამოდგა და ადგილი შესთავაზა სწორედ იმ მომენტში, როდესაც ჩამოქროლილი მანქანიდან ფუთა ისროლეს მონპარნასისკენ... მაგრამ სანამ ისინი მოახლოვდებოდნენ, გიორგი უკვე მიხვდა, რომ რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო, რადგან ეს მანქანა რამდენიმეჯერ შენიშნა, თითქოს ეზომებოდა იქაურობას და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. შვლისთვალება ზანგის გოგოლერწამივით მიირხეოდა მონპარნასის გასწვრივ და გიორგის რომ გაუსწორდა, იგრძნო მისი ანთებული და აღტაცებული მზერა და ბაგეები შეხსნა ოდნავ, რომ გამოეჩინა სპილოსძვლისფერი მძივი მოკიაფე მძიმე, ყავისფერ ტუჩებს შორის და გიორგის თავისი ნაღვლიანი მზერა მიაპყრო, გიორგიმ გაუღიმა ისეთის დაუმალავი აღტაცებით, რომ ნუკრისთვალება გოგოს სიცილი წასკდა, თმათეთრი მოხუცის მაგიდას მიუახლოვდა და... სწორედ ამ დროს მოენია მათ შავი მანქანა, სწრაფად ფანჯარა ჩამოსწია შიგ მჯდომმა და გადმოყოფილმა ხელმა მძიმე ფუთა ისროლა ჰაერში. „ოო, მერდ! მერდ! ლა ბომბ! ლ'ატანტა!" – აღმოხდათ მონპარნასის მისადგომებთან შეძრწუნებით და იქვე ქალის კივილიც გაისმა...

გიორგიმ თავისი გველეშაპის საბელს ხელი უშვა, თავაშვებულმა გველეშაპმა ერთი თავისუფლად ამოიხვნეშა, კუდი მოიქნია და იგრძნო, როგორ აღენთო შიგნიდან მაცოცხლებელი ცეცხლი მისი ყოფიერებისა და აზვირთდა ვნებათა მისთა ნიაღვარი და აიღო თავი გველეშაპმან და შეაფრქვია ცას ალმოდებული სუნთქვა თვისი ისეთის მხურვა-

ლებით, რომ წვიმა წამსვე აორთქლდა, ღრუბლები გაიფანტ-ნენ და მცხუნვარე მზემ გამოანათა თავისი ლაღი სხივი და მოხუცის მზერაც დაეცა იქაურობას სწორედ მაშინ, როდე-საც გველეშაპის სუნთქვას ცაში აყოლილი გიორგი მისწვდა შემოგდებულ შავ, სიკვდილისფერ ფუთას და გულში ჩაიკრა. სხივი რომ დაეცა, გიორგი მიხვდა, რომ ეს იყო ის უკანასკ-ნელი გზა, რომელზედაც ამიერიდან უნდა ევლო ამ დიდებუ-ლი სიზმრის დასასრულამდე, რომელსაც მისი გმირული ცხოვრება ერქვა...

გულში ფუთაჩახუტებული გიორგი მთელი ძალით დაექანა ასფალტისაკენ და ის იყო უნდა დასცხრომოდა მას, მაგრამ მისმა ერთგულმა გველეშაპმა უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, ზურგზე გადაგორდა და გიორგის თავისი მუცელი შეუშვირა. აფეთქების ხმამ დაფარა მთელი მონპარნასი და გრგვინვად გადაუარა პარისს, სინგაპურს, ვაშინგტონს თბილისს, ტოკი-ოს, რომს, მელბურნს, მოსკოვს, პეკინს, დელის, რიოს, ლონ-დონს, ბაქოს და ერევანს. სწორედ ამ დროს იელვა მხიარულმა ცისკარმა მოხუცის თვალებში და მისი მზერის მოკისკასე ნა-პერწკლები აცინცილდა შეძრწუნებული და გაშეშებული მონ-პარნასის თავზე. ჰაერში რამდენიმეჯერ ატრიალებული თმა-თეთრი გიორგი უღონოდ, თავისი ძონძროხა ტანის მთელი სიმძიმით დაასკდა გველეშაპის აფუებულ ქათქათა ღიპს. გამ-სკდარი ფუთიდან ჩამოიქცა ღვთაებრივი ტრაწის ნიაღვარი და თავიდან ფეხებამდე ისე მოსვარა გიორგი და მისი გველე-შაპი, ბატონები – ბოდლი და ფლობი, დივინდორი და ფერდი-ნანდად მონათლული, ჩვენი ქიმერები, მე, შენ და ის, მზეზე მთვლემარე მოხუცი და შვლისთვალება ზანგის გოგო, რომ-ლის გადასარჩენად ასეთი თავგანწირული ნახტომი იქნა გა-კეთებული, კლოშარები და მინისტრები, მთელი მონპარნასი, პარისი, ვაშინგტონი, თბილისი, ტოკიო, რომი, მელბურნი, მოსკოვი, მადრიდი, პეკინი, დელი და ლონდონი, სტოკჰოლმი და პრაღა, ბუდაპეშტი და ნეაპოლი, ქუთაისი და ფოთი, ზუგ-დიდი, თელავი, წნორი, სათაფლია და დიდი კანიონი, ჰიმალა-ის მთაგრეხილი, ალპები, პირინეების, სადაც მოსახლეობენ

პირველევროპელი იბერები, კორდილიერები, ზაგროსის მთები, არარატი, სადაც ნოემ პირველად შეაფარა თავი, ურალის მთები, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, სამხრეთის პოლუსი, აპენინის ნახევარკუნძული, საცა დიდებულ მშვენიერმა ენეოსმა, დაძრულმა ტროადან პარისის მიერ ელენესადმი გაშმაგებული სიყვარულის შედეგად გამოწვეული ტროას ნგრევით ბერძნების მიერ, დააარსა უმშვენიერესი ქალაქი რომი, რომლისკენაც ახლაც მიემართებოდა ყველა გზა, საცა ნავონას მოედანზე შეკრებილიყვნენ მშვიდსაბაასოდ, სოკრატე და პლატონი, არისტოტელე და პარმენიდე, ჰერაკლიტე და ანაქსიმანდრე, კანტი და დიონისე არეოპაგელი, რომ მათ გასარეცხად არ ეყოფოდა მდინარეები, ტბები, ზღვები, ოკეანეები, და ყინულის ის მარაგიც კი, რომელსაც თანდათან ადნობდა მხიარული მსიზრებელის გულის სითბო და სიყვარული, რომელსაც უნდა გაერეცხა ისინი საკუთარი სიბილწისაგან, როგორც წარღვნის წყალმა გასწმინდა ქვეყნიერების ზედაპირზე დარჩენილი კაცობრიობა.

მოხუცს ხველა აუტყდა და ეუცნაურა. მოეჩვენა, რომ ხმა ჩახრენწილი ჰქონდა და ამან გააკვირვა, რადგან რას უნდა ჩაეხრინწა, როდესაც იობის შემდეგ აღარავის გამოლაპარაკებია, თავის უსაყვარლეს ძესაც კი, რომელთანაც თანასწორობა დაიდგინა. თუმცაღა, აბა, რა უნდა ჰქონოდათ სალაპარაკო და სათქმელი, როდესაც ყოველივე ისედაც გასაგები და ნათელი იყო... მოხუცების მიერ დადგენილ აღთქმას ყმაწვილმა სიყმაწვილის ცეცხლით ანთებული გულით სიყვარული დაუპირისპირა და... ვეღარ უთხრა მაშინ მოხუცმა მამამ თავის ყმაწვილ შვილს, რომ წესი უნდა დადგენილიყო ჯერ ბოლომდე და ზრდილობა და პატივისცემა, კანონის შესრულება და კანონის წინაშე თანასწორობა... და ღირსების, ღირსების გრძნობა უნდა გამეფებულიყო, რევოლუციებმა რომ სავსებით მოუსპეს ადამიანს, რომელსაც პიროვნება განუსაზღვრა თავიდანვე და მარტო ჰქმნა, რათა არ გაბნეულიყო და განზავებულიყო არსებათა შორის სარკისიქითა წარმოსახვებში და ყველაობის უპიროვნობაში, მასებმა რომ გაამეფეს პიროვნე-

ბის ნაცვლად, რომლის თავისუფლებისათვის გაწირა კიდეც თავი ძემ მისმა ერთარსოვანმა ასეთის გზნებითა და თავგანწირვით, რომ აეცილებინა წარღვნის წამლეკავი ნიაღვარი და ეხსნა ისინი სამარადისო სიცოცხლისათვის, რომელსაც შეჰპირდა პირველი წარღვნის სიცარიელით გულშეღონებული მამა... ხოლო სიყვარული... სიყვარული, შვილო ჩემო, როგორც მოვა, ისე წავა, წავა თავის თავადაااااა-ა... მაგრამ ჭაბუკი იყავი და ჭაბუკობის აღთქმა დაუდევი კიდეც, მაგრამ რა... დაგავიწყდა, რომ დრო ჩართული იყო უკვე და... და ახლა ხომ ყველანი იმას ირწმუნებოდნენ – არც არსებობსო... და ვინღა გამოელაპარაკებოდა... ჰხე... ჰხე... – ჩაეცინა მოხუცს – ჰხე... ჰხე... მახველებს, ესე იგი, ვარსებობ... ჰხე...ჰხე.... სიზმრების პეპლები... სიზმრის პეპლები... სიზ... მოხუცმა ეშმაკურად აცისკროვნებული თვალები დახუჭა, თავის ჭრიჭინა ტახტზე პირიქით გადაბრუნდა, ხოლო სამყარო შეუჩერებლად მიექანებოდა დაუსაზღვრავი საზღვრისაკენ და საპნის ანთებული ბუშტებივით სკდებოდნენ ერთმანეთის შურით აალებული გალაქტიკები და ინთქმებოდნენ შავ ნახვრეტებში, რომლის იქითა მხარეს სიზმრისათვის მიეცა თავი იდუმალად სახეგაღიმებულ თურაშაული ვაშლივით ლოყებანთებულ ჩვილს, რომელსაც ირმის ნახტომის ვარსკვლავებით მოქარგული მუთაქა გულუბრყვილოდ მუხლებშუა მოექცია და გემრიელად ფშვინავდა. სახეზე სიხარული ჰქონდა აღბეჭდილი...

სიზმარს ხედავდა ჩჩვილის სიზმარს სიზმრებული მამა...

Paris, 1991-1998

მარტორქას
თავგადასავალი

Capricorne - Symbole de la fin d'un cycle et, surtout, du début d'un cycle nouveau, il exprime la patience, la pérséverance, la prudence, l'industrie, la réalisation, le sens du devoir. Pour notre hémisphère, le Capricorne symbolise le dépouillement, la rétraction et la contentration de l'hiver dans sa sévère grandeur. Il s'assimile au minuit de noël, sommet de froid et d'obscurité. L'élément Terre amorce son processus: c'est la terre hivernale dans les profondeurs de laquelle s'élabore la lente et pénible œuvre de la végétation. Ce départ s'accouple avec une notion d'arrivée, de destination, de but, conçu comme un midi terrestre, un sommet. Impitoyable dieu du temps qui cristallise l'homme dans ses suprême ambitions, quand il ne le condamne pas au dépouillement at au renoncement, la nature capricornienne porte la marque de cet univers froid, silencieux, immobile. Elle s'édifie dans un mouvement premier de retrait sur soi et de concentration. La vie déserte l'extérieur de ce personnage, qui a souvent la grisaille de la simplicité, de la sobriété, de l'effacement; elle se réfugie dans ses profondeurs et c'est la lente montée de ces forces profondes, souvent longtemps ignorées de l'être lui-même, qui lui permet d'affirmer sa valeur en lui assurant le plein gouvernement de soi-même. Cet empire sur soi est le résultat d'un patient entraînement de la volonté, exercée pour affirmer sa maîtrise sur l'instinct et la sensibilité. D'où la prédominance des vertus froides; du moins quand l'échec de cette auto-réalisation ne fait pas déboucher l'être sur la taciturnité, le pessimisme ou la mélancolie. Sa figure symbolique, corps de bouc, queue de poisson, révèle la nature ambivalente du capricornien, livré aux deux tendances de la vie, vers l'âbime et vers les hauteurs, vers l'eau et vers la montagne. Il possède les possibilités inverses, évolutives et involutives, et ne trouve un équilibre difficile que dans une perpétuelle tension entre ses attirances opposées.

გზაზედ...

– გიორგი, გამარჯობა... სად დაიკარგე, კაცო... აღარ ჩანხარ... როგორ ხარ?!

– გამარჯობა... კარგად, გმადლობთ... წასული ვიყავი...

– მარტო იყავი წასული? ზღვაზე იყავი?..

– არა, სოფელში... ჰო, მარტო...

– ისე, როგორა ხარ?

– არა მიშავს რა... შენ როგორა ხარ...

– საქმეები როგორ არის?

– კარგად, შენი?

– არა უშავს, გვარიანად... ხომ კარგად ხარ?

– კი, კარგად...

– არ ჩანდი რაღაც...

– სოფელში ვიყავი წასული...

– ჰო, მარტო ყოფილხარ... რამ გაგაძლებინა...

– ისე, როგორა ხარ?

– რას ვიზამთ...

– საქმეები როგორ არის?

– კარგად... შენიც ხომ კარგად?

– ჩემსას არა უშავს...

– მაშ, კარგად ხარ... დაგვეკარგე რაღაც...

თითქმის მთელი თვე უქმად გაატარა. ვერაფერს ვერ მოა-ია თავი. აღარც სკოლაში დადიოდა თითქმის, მიუხედავად ამისა, რომ იმ წელს უნდა დაემთავრებინა და დიდი უსიამოვ-ება მოელოდა ამისათვის. წვალობდა. უცებ მობეზრდა ყვე-ფერი. ქალაქი... ხალხი... ერთნაირი დღეები... სახეები...

ქუჩაში იშვიათად გადიოდა და ისიც თავის ბიძიასთან თუ ეივლიდა. გადასახლებიდან ჩამოსვლის შემდეგ ამ საოცარმა აცმა სრულიად შეცვალა გიორგი. რაღაც უხილავი, მაგრამ ყარი კავშირი გაიბა მათ შორის. ირგვლივ კი ყველა ამბობდა: ძალიან მძიმე კაცია, შეუძლებელია მისი ატანა". ენციკლო-

პედიის რამდენი ტომიც გამოვიდა დღემდე, ყველა გაასწორა – ნითელი ფანქრით. ციმბირში გატარებულ ათ წელზე სხვასთან არავისთან საუბრობდა, გიორგის კი ყოველივეს დაწვრილებით უამბობდა და ამ ნაამბობისაგან თავდაპირველად თმები ყალყზე უდგებოდა ყმაწვილს. ვიდრე ბოლომდე ჩასწვდებოდა ამ მონათხრობს – თავგადასავლად აღიქვამდა, ხოლო შემდეგ, აგერ უკვე მესამე წელია, თითქოს მიხვდაო, სულ უფრო და უფრო ეხსნებოდა გონება და ხედავდა ამ „თავგადასავლის" უკან ჩაბუდებულ სასტიკ და დაუნდობელ სიმახინჯეს – უაზროს, ცინიკურს, უზნეოს და ბოროტს. მერე უცებ დაინახა ის ნაპრალი, რომელიც არსებობდა სიტყვებს, ლოზუნგებს, დემონსტრაციების „ვაშა"-სა და საქმეებს შორის. მას შემდეგ აღარც დემონსტრაციაში მიუღია მონაწილეობა, თუმცა რამდენიმეჯერ სასტიკი საყვედურიც მიიღო... ეს იყო და ეს. გიორგი გრძნობდა, როგორ სცილდებოდა ყველას, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერ აღწევდა თავს ურთიერთობებს. ზოგჯერ თავს იმაში იჭერდა, რომ ეცოდებოდა ისინი და ამიტომ, მეტის მინდობით ებმებოდა მათთან ყოველდღიურ ურთიერთობაში. ცდილობდა, არავის არაფერი არ შეემჩნია. და აღწევდა კიდეც. ერთადერთი, რაც დაიმსახურა, იყო „ცოტა უცნაური ბიჭის" სახელი, თუმცა ამაზე შორს არ წასულა. ეს კი სრულიად საკმარისი იყო, რათა თავისი განმარტოება ხელშეუვალი გაეხადა...

უცებ გაახსენდა ნაამბობი: თეძამის ხეობაში, რკონისაკენ მიმავალ გზაზე, რამდენიმე ნასოფლარი იყო. მთავრობის ბრძანებით, ხალხი აუყრიათ და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე გაურეკავთ. ძირითადი მიზეზი კი ის ყოფილა, რომ მთელს ხეობაში გაფანტული პატარა სოფლები – მდიდარი და საქონელუხვი – ერთ მეურნეობად (თუ კოლმეურნეობად) ვერ გაუერთიანებიათ და აუყრიათ... ნახვა მოუნდა ამ ახალნაპარტახარის და ბევრი აღარ დაუყოვნებია, რამდენიმე დღით წავიდა ქალაქიდან.

„აქ სიჩუმეა. საოცარი სიჩუმე. არავითარი ხმა არ არღვევს მას. არც შემომდგარი ტყის შრიალი და ჩიტების ჟღურტული.

არაფერი. დრო გაქვავდა და გააქვავა ყოველი გარემო... ხმები სიცოცხლის...

თბილისში მე ხშირად მივლია ღამით, მარტოკას. ქუჩები ცარიელია ღამით. მანქანებიც კი აღარ დაჰქრიან. იქაც სიჩუმეა მაშინ, მაგრამ ეს სულ სხვაა. იქ გრძნობ, რომ ირგვლივ, აქა-იქ შემორჩენილ განათებულ ფანჯრებს იქით – სიცოცხლეა, ხალხი, ცხოვრება. თვით ეს სიჩუმეც ერთგვარი გამოხატულებაა მისი, გარინდება, მოშვება... შენ დადიხარ ქუჩაში და ისმენ ამ დადუმებულ ხმაურს. მერე ჩაუვლი მაღაზიების განათებულ ვიტრინებს, რომელთა წინ ბებერი დარაჯები ჩამომსხდარან და ტკბილად სთვლემენ. თუ ზამთარია – მაშინ ცეცხლი უნთიათ კასრებში და არ სძინავთ. მხოლოდ ჩუმად სხედან დიდ ქურქებში გახვეულები, თავიანთ ფიქრებში წასულნი... ზოგი იქნებ აღარც ფიქრობს უკვე, უბრალოდ, გარინდული ფხიზლობს. ისინიც ამ სიჩუმის ნაწილები არიან, ამ ცხოვრების. და შენ დადიხარ და ისმენ ამ, წამით შეჩერებულ უსასრულო მდინარების იდუმალ ხმებს...

აქ კი სულ სხვაა... აქ არ იგრძნობა სიახლოვე ადამიანის, ხალხის, ცხოვრების. აქ სიცარიელეა. მკვდარი სიჩუმე, რომელსაც არაფერი არ შველის. აქ სასაფლაოა. სასაფლაო მკვდრების გარეშე... ს ა მ ა რ ე ...“

ერთაწმინდიდან რკონისაკენ მიმავალ გზაზე ექვსამდე ნასოფლარს წააწყდა. არსად დადგომა არ შეიძლებოდა: კედლებჩამონგრეული, ჭერახდილი სახლები ყვავთა საკორტნავად მიტოვებულ ლეშებს მიამგვანა. გაუკვირდა, ვერსად წყარო რომ ვერ შენიშნა და ამან კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება. წყაროს თვალიც დაშრობიათ ნასოფლარებს... მთაშიც ბევრია მიტოვებული სოფელი, მაგრამ წყაროს თვალი ყველგან იმზირება ჯერაც. სიცოცხლის იმედიან ნიშანს არ უკარგავს იქაურობას. აქ კი დაშრეტილა და გამქრალა. მოუბრუნებელი უკაცურობის იერი მიუცია ამას გარემოსათვის. ნანგრევებმა ისე არ იმოქმედა, როგორც ამ თითქოსდა უბრალო ამბავმა. ქვევიდან, თეძამის მხრიდან, ტრაქტორის გუგუნი მოესმა. ახლოს რომ მიიწია, სოფელიც დაინახა – ჩაჩუბეთი. აყრილი სო-

ფლების ნაცვლად მთიულები ჩამოუსახლებიათ ერთ სოფ-ლად. რა უნდა აკეთონ აქ თავის მინა-წყალს მონყვეტილმა მთიულებმა? – გაუელვა თავში. იკვის პატარა ეკლესიამდე ისე მივიდა, ერთიც არ შეუსვენია. შემოდგომა ძალაში იყო შე-სული, გაყვითლებული ფოთლებით მოფენილი გზა ზანტად მიიკლაკნებოდა ტოტებგაფარჩხულ ხეებში. იკვის ეკლესია დაკეტილი იყო და რკინის სარაზით გამაგრებული დამპალი კარები კბილებჩაცვენილი ბებრის პირს წააგავდა, სიცილი-სას საწყლად შერჩენილ ღორჯო ეშვებს რომ აჩენს. შიგნით ბნელოდა. შავად შებოლილ კედლებს აქა–იქ ფრესკის ჩამქ-რალი ფერადოვნება აცოცხლებდა. კარებს აღარ შეეჭიდა და რკონისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა...

„არის ერთი რამ, შეუცნობელი, შემოქმედის ბუნებაში – მარტოობის აუცილებლობა. როგორი შემოქმედებითი ნიჭი-საც არ უნდა იყოს იგი, ნებისმიერი სულიერი მოძრაობა იწ-ვევს მასში მიმართებას მარტოობისაკენ. შენ ხედავ, აღიქვამ, იმახსოვრებ, ცხოვრობ ჩვეულებრივ, როგორც ყველა, სხვა. მერე უეცრად იწყება ჯერ გაურკვეველი შინაგანი მოძრაობა, ჩნდება რაღაც იმპულსები, რომლებიც თანდათან ძლიერდე-ბა და იპყრობს შენს არსებას, გიმორჩილებს. და შენ უკვე აღარ ხედავ ისე, როგორც ყველა, ისე, როგორც აქამდე. ადრე დანახულსა თუ განცდილსაც სრულიად სხვა მნიშვნელობა და თვისება ენიჭება. იწყება ფიქრი, ძიება, რაღაც თითქოს გაწვება შიგნიდან, ეძებს გამოსავალს, მძიმდება... და იბადება მოთხოვნილება განმარტოებისა. რაც უფრო ძლიერია ეს მოძ-რაობა, მით უფრო ძლიერია სურვილი თავისთავთან მარტოდ დარჩენისა და, ბოლოს, ყოველივე ეს პოულობს გამოსავალს შემოქმედებაში. უნდა უპატიოსნესი კაცი იყო, რომ შესძლო ამ შინაგანი მოძრაობის გადმოცემა და ფორმად მოგვარება... რომ დაინახო – ეს ყოველივე ნამდვილია და შენია..."

თავადის სახლს მარტო გალავანი შერჩენოდა. დაჟანგე-ბულ თუნუქზე ჯერ კიდევ შეიძლებოდა გაგერჩია წარწერა: XVIII ს.-ის არქიტექტურის ძეგლი. დაცულია სახელმწიფოს მიერ. ნელა შემოუარა გარშემო ამ კარ-მიდამოს და გაეცინა.

გალავანი წელამდე სწვდებოდა, ისე კარგად იყო დაცული სახელმწიფოს მიერ. აღმოსავლეთის მხრიდან ორსართულიანი სახლის ნაშალი იყო დაზვავებული, აქა–იქ თაღის საყრდენი ბოძები შერჩენილიყო. ალბათ საზაფხულო სასახლე ედგათ აქ, – გაიფიქრა, – სახლი უბრალო. სასახლეების შესახებ წარმოდგენას სრულიად არ შეესატყვისებოდა ქართელი თავადის ეზო-კარის მასშტაბები. ადრეც გაუკვირვებია ამ ამბავს. მთელ მსოფლიოში სასახლე რაღაც გრანდიოზულ ნაგებობას ერქვა, ჩვენთან კი – ჩვეულებრივი სახლიც სასახლე იყო, თუ მასში თავადი ცხოვრობდა. მაინცდამაინც, „სასახლეში" სახლობას, როგორც ჩანს, ციხე-კოშკში ერჩივნა ცხოვრება ხმლის ვადაზე ხელჩაკიდებულ ქართელ თავადს; ამიტომაც არა შეგვრჩა რა საერო ნაგებობათაგან. ცოტა ხანში აღარც ეს იქნება, – ისევ გაუელვა თავში. მერე თეძამთან ჩავიდა და ქვებზე ხტუნვით გადავიდა მეორე ნაპირზე.

„რამ გადააშენა აქაურობა? ბედისწერამ თუ საკუთარმა უნიათობამ? რამ გადააქცია სანეხვედ რკონის დიდებული ტაძარი? თავის მისადები ადგილიც კი არ დარჩა ამოდენა საყდარში. მტვერი, ნეხვი, სკინტლი... ქრისტიანობის დაცვას შეალია ძალ-ღონე ქართველმა კაცმა; ქრისტიანობის იმედით გადააბარა მახვილი სხვას... არა, კი არ გადააბარა, გაუწოდა, მაგრამ ხელიდან გამოგლიჯეს... ქრისტეს ტაძარში ახლა საქონელს აყენებს ქართველი კოლმეურნე, კიდეც ამაყობს ამით: ყველაზე არარელიგიური რესპუბლიკა ვართო, ყველაზე ათეისტური... ათეისტური უღმერთოს ნიშნავს. უღმერთობა რა საამაყოა! წყევლაა ეგ. რამ დაგვწყევლა ასე... საძაგელი სუნია... რამ გადააგვარა ეს ამაყი და პატივმოყვარე ხალხი? იმ საწყალ თავადს რომ ჰქონდა, იმდენი ქონება ყველას აქვს ახლა – ვისაც ქურდობა და მონობა არ ეთაკილება, მაგრამ ის, მთავარი აღარ აქვთ, რაც იმას ჰქონდა – თავისუფლება ჰქონდა იმას და სამშობლო, და ცოცხალი ღმერთი... ვგონებ, თემურ-ლენგს არ წაუბილწავს ასე ქართული ტაძრები... აკი დაწყევლილებიც ხართ უჯიშობით... უღმერთობით... მატლობით.. მონობით..."

სიბნელე შეუმჩნევლად შემოადგა გარს. ჰაერი არ იძვროდა. სამარისებური სიჩუმე იდგა მართლაც, რომელსაც მდინარის შხუილი ვიწრო და ღრმა ნაპრალით ჩეხავდა შუაზე. ტაძრის მისასვლელთან, პატარა სწორ მინდორზე ნაკარვალი ადგილი შენიშნა, მინდვრის კუთხეში პატარა თივის ზვინი. გიორგიმ ცას გახედა. ღამე დაძრულიყო ცის კაბადონზე. აქა-იქ ვარსკვლავებიც გამონათებულიყვნენ. ახლაღა იგრძნო დაღლილობა და მიუხედავად იმისა, რომ წასვლა დააპირა, ზვინთან მივიდა და მოსინჯა. მშრალი იყო. ერთხანს ყოყმანობდა. მერე დაღლილობამ დაძალა და დარჩენა ამჯობინა. თივა გადმოშალა. მზით გამომხმარი ბალახის საამო სუნი მოეფინა იქაურობას. ზურგჩანთიდან საძილე ტომარა ამოიღო და ზედ დაეფინა. მერე ზევიდანაც დააყარა თივა. სასთუმალიც აიმაღლა ცოტათი. „ფრანგულ ფუნთუშაში ჩადებული ძეხვივით ვიქნები“, – გაიფიქრა სიცილით. ყოველ შემთხვევისათვის, სანადირო დანა თავთან დაიდო, მძიმე, მაღალყელიანი ფეხსაცმელები გაიხადა და საძილე ტომარაში შეძვრა გაუხდელად.

„წერა მინდოდა და არ შემეძლო. უაზროდ დავბორიალებდი ქალაქში. მთელი თვე ერთი სიტყვაც ვერ დავწერე. ყველაფერი ნერვებს მიშლიდა უკვე: სახლში, გარეთ, სკოლაში... ყველგან. ველარც ბიძაჩემის შეგონებებს ვისმენდი... მძულდა ყველა და ყველაფერი...

აქ რომ მოვდიოდი, მეგონა, მეშველებოდა. ნაცნობ გარემოს გამოთიშული, შევძლებდი იმ პირველი სიტყვისათვის ხელის ჩავლებას, რომლიდანაც უნდა დაწყებულიყო დაგროვილი სათქმელი, აგებულიყო ფორმა, რომელიც ამ სათქმელს ჩაიტევდა. ხოლო დაგროვილი რომ ბევრი მქონდა, ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. მთელი დღე არც სიმარტოვეს ვგრძნობდი და არც რაიმე შეზღუდვას, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მივაგენი იმ სიტყვას. სად არ ჩავუჯექი, სად არ ჩავიმუხლე იმის განცდით, რომ აგერ მოვიდა, ენის წვერს მოადგა, თითის ანაბაჭდად იქცა... ამაოდ. რაღაც შეუმჩნევლად, ქვეშეცნეულად მიღობავდა გზას. რა არის ეს რაღაც? – არ ვიცი. ყველაფერი

შეიძლება აღმოჩნდეს... საკუთარი უნიჭობაც და შინაგანი უმწიფარობაც. ან კიდევ სხვა რამ, ათასი... იქნებ სწორედ ისაა, რისი გულისთვისაც აქ მოვედი? ამ სიცარიელესა და სიჩუმეში. სწორედ ეგ მიშლის ხელს და მილობავს გზას... ეს სასაფლაო არარად ქცეული ღმერთებისა და ადამიანების. სამარის თავისუფლებაა ეს. რაღაცა ჩემში აღუდგა ამას. იქ უნდა მოიპოვო თავისუფლება. ხალხში, ადამიანებთან და არა აქ, ამ პირუტყვულ მდუმარებაში, ამ უკაცურობაში, ამ სიცარიელეში. აქ უკვე ბუნებაც აღარაა ჩემთვის „ბუნება", რადგან აქ აღარაა კაცი. ასე მივხვდი მე ჩემს რაღაცას. სხვაც იყოს, უნიჭობაც, შეუძლებლობაც, მაგრამ ეს ნამდვილად არის და რაც უფრო ვფიქრობ, მით უფრო ცხადად ვგრძნობ ამას. ალბათ ამიტომაც მომინდა სასწრაფოდ უკან დაბრუნება. ქალაქში, ქუჩაში გასეირნება, მთაწმინდაზე ან ნარიყალაზე ჯდომა და ფიქრი. ფიქრობ და გრძნობ, რომ იქ, შენს ქვევით, შენი ქალაქია, ნაცნობები, შენი ხალხი, ყველაფერი, რაც შენ ცხოვრებასთან გაკავშირებს; რომ შეგიძლია, ყოველ წუთს ჩახვიდე მათთან, შეერიო მათში, დრო გაატარო, იცინო, იხარო, იტირო და გძულდეს და გიყვარდეს... თავისუფლება იქ უნდა გქონდეს და მარტოობასაც იქა აქვს აზრი..."

შეუმჩნევლად ჩაეძინა გიორგის. დაღლილს აღარ შეუგრძნია, როგორ წამოადგა თავზე მთვარე. არც მისი ჩასვლა უგრძნია. უცნაურ სიზმრებს ხედავდა მთელი ღამე, მაგრამ სიზმარშივე ადგენდა, რომ სიზმარს ხედავდა, თუმცა ამ სიზმართა თამაშს შვება არ მოუგვრია და ერთი-ორჯერ თვალიც კი გაახილა უკუნ ღამეში, თითქოს ადასტურებდა თავის ნამდვილობის განცდას, განთიადისას სიცივემ მაინც შეაწუხა და გამოგლიჯა სიზმრის მომნუსხავ რეალობას. ერთხანს ძილფხიზლობდა ასე სიზმრისა და ცხადის საზღვარზე, მაგრამ მერე თვალი გაახილა და ცას ახედა.

ცაზე გარიჟრაჟის შემპარავი შუქი ბორიალებდა. სადღაც შორს, მთებს გადაღმა, მზეს აეჭრა ბინდის ფარდა. ვარსკვლავები კრთებოდნენ და იპარებოდნენ მოწიწებით. ირგვლივ განთიადის რინდი გამეფდა. თვალწინ წარმოუდგა ულამაზე-

სი განთიადი ალაზნის ველზე... მოულოდნელად ჰაერი შეირხა და საყდრიდან ნეხვის დაგუბებული სუნი მოიტანა. შინაგან დაიძაბა. თვალები დაუწვრილდა. მერე სასწრაფოდ წამოდგა, საძილე ზურგჩანთაში ჩაკეცა, თივა იქვე მიაყარა ზვინს და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა იქაურობას...

– გიორგი, გამარჯობა... სად დაიკარგე, კაცო... აღარ ჩანხარ... როგორ ხარ!?

– გამარჯობა... კარგად, გმადლობთ... წასული ვიყავი...

– მარტო იყავი წასული? ზღვაზე იყავი?..

– არა, სოფელში... ჰო, მარტო...

– ისე, როგორა ხარ?

– არა მიშავს რა... შენ როგორა ხარ...

– საქმეები როგორ არის?

– კარგად, .შენი?

– არა უშავს, გვარიანად... ხომ კარგად ხარ?

– კი, კარგად...

– არ ჩანდი რაღაც...

– სოფელში ვიყავი წასული...

– ჰო, მარტო ყოფილხარ... რამ გაგაძლებინა...

– ისე, როგორა ხარ?

– რას ვიზამთ...

– საქმეები როგორ არის?

– კარგად... შენიც ხომ კარგად?

– ჩემსას არა უშავს...

– მაშ, კარგად ხარ... დაგვეკარგე რაღაც...

– ჰო, მართალი ხარ...

რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწერა „მარტორქა":

მარტორქა

ის იყო დიდი ტრადიციების მქონე ქალაქი. ამას ყველა ერთხმად ამბობდა. ერთ დროს, ფიქრობენ, ცივილიზაციის კერაც კი იყო. მერეო, განაგრძობდნენ, ყოველივე წარმავალიაო და დრონი მეფობენო და ა.შ. და სხვა მაგვარი. მეც ვყოფილვარ იქ ადრე. ეს იყო საკმაოდ მოზრდილი და საკმაოდ ლამაზი ქალაქი, ჩაწოლილი ხეობაში, სადაც ყველამ არა მარტო ყველაფერი, არამედ ყოველი მათგანის ავანჩავანიც იცოდა. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აღარა გამიგია რა მის შესახებ და აი, მოულოდნელად ხმა გავრცელდა, რომ ქალაქში რაღაც ეპიდემიამ გადაიარა – არ ვიცი, შავი ჭირის თუ კეთრის... ყოველ შემთხვევაში, ქალაქი თითქმის ერთიანად განადგურდა, თუმცა შემდგომ კვლავ აღადგინეს. ალბათ იმიტომაც არაფერი შემიტყვია, რომ ეს ყოველივე სწრაფად მოხდა და ეპიდემიის გავრცელების შიშით, თუ ამ ამბის გავრცელებით გამოწვეული შესაძლო პანიკის თავიდან ასაცილებლად, ყოველი ცნობა გასაიდუმლოებული იყო. განვლო ხანმა და მოულოდნელად, ერთი ჩემი ძველი მეგობრისაგან, რომლის კვალი დიდი ხანია დავკარგე, მივიღე მოზრდილი ამანათი, რომელშიც მისი ძნელად გასარჩევი ხელით ნაწერი რვეული იდო. ნაწერს თარიღი არ ესვა და ვიფიქრე, არაფერი სასწრაფო არ უნდა იყოს-მეთქი. ამიტომ კარგა ხანი გავიდა, ვიდრე მოვახერხებდი მის ამოკითხვას და გადაბეჭდვას. ეს ამბავი იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ გადავწყვიტე მისი გამომზეურება, რადგანაც მომეჩვენა, რომ მიუხედავად ხაზგასმული გულახდილობისა, რაღაცას მალავდა თავის სათქმელში, რასაც მე ჯერჯერობით ვერ ჩავწვდი. თანაც, ამ ამბის ირგვლივ იმდენი ჭორი დაგროვდა, რომ აღარ ვიცოდი, რა იყო გასაიდუმლოებული: ჭორების ნაკადი, თუ სინამდვილე. ჩანაწერების გამოქვეყნებაზე მასაც არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიგრძენი, რომ ამის მისწრაფებაც ჰქონდა, როდესაც ამანათს მიგზავნიდა. ხოლო რადგან ის მას შემდეგ აღარსად არ გამოჩენილა, მეც ვასრულებ ამ ფარულ სურ-

ვილს, როგორც მის უკანასკნელ ნებას. თუ ის კიდევ არსებობს სადმე, ნახავს, რომ მე შევასრულე მისი უთქმელი სურვილი. ნახავს აგრეთვე, რომ ორიოდე ჩასწორება გავაკეთე მხოლოდ, რადგან ნაჩქარევი წერის გამო აქა-იქ შეცდომები იყო გაპარული, რაც მისთვის უჩვეულო იყო. სხვა არაფერი შემიცვლია და ჩემდამი მოწერილი წერილის გარდა, ყოველივე მომყავს უცვლელად. არც ის ვიცი, სწორად შევურჩიე თუ არა სათაური, მაგრამ ეს უკვე მკითხველმა განსაჯოს.

* * *

„სამი დღის განმავლობაში მარტოდმარტო დავეხეტები ამ უცხო ქალაქის ქუჩებში. ეს სავსებით შესაძლებელი აღმოჩნდა. მე ქალაქში არავის ვიცნობდი და ამიტომ არ მეშინოდა, რომ ვინმე დროზე ადრე დაარღვევდა ჩემს მარტოობას – რაც ასე ხშირია ჩვენში, სადაც განმარტოება სისხლის სამართლის დანაშაულს უტოლდება და ფსიქოლოგიურადაც ვერავინ ეგუება სხვის განმარტოებას. ამის შეგრძნება აუცილებელია, თუ გინდა, ყველაფერი ნათლად და წინასწარი განწყობის გარეშე დაინახო – ისე, როგორც შენ ხედავ, როგორც შენ გინდა, რომ დაინახო. და ამ სამი დღის განმავლობაში მე ვნახე ქალაქი – *მკვდარი ქალაქი*. მე ვაკვირდებოდი ყველაფერს: სახლებს, ქუჩებს, მოედნებს, ქანდაკებებს ამ მოედნებზე, სკვერებს და ქანდაკებებს ამ სკვერებში, სკამებს და მათზე ჩამომსხდარ მოხუცებს... ყოველივეს, რაც შექმნა ადამიანმა, რასაც მან ხელი შეავლო... ადამიანმა, რომელიც ყოველ წუთს გვერდს მივლიდა, ზოგჯერ ცნობისმოყვარედ მაკვირდებოდა, იშვიათად კი ნაცნობად მოჩვენებულს თავს მიკრავდა და განაგრძობდა გზას. ცნობისმოყვარე კაცისათვის ბევრია საინტერესო მკვდარ ქალაქში. ეს რამდენიმე დღე სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ გამეგო, დღეს რითი სუნთქავდა და ცხოვრობდა იგი, ესოდენ ნაქები. შენ გამიგებ და დამეთანხმები, რომ მკვდარ ქვასაც გააჩნია იგივე თვისებები, რაც ადამიანს, რომელმაც პირველმა გამოიყენა ეს ქვა,

ხელი შეახო მას და „ბუნებიდან“ „გარემოდ“ გარდაქმნა... ასევე ნივთებსაც ანაბეჭდივით აზის მათი პატრონის თუ გამომყენებლის სახე. იშვიათად რომ ამას ვინმე ყურადღებას აქცევდეს და იქნებ ამიტომაც (ნივთების ერთგვარი რევანში!), ისინი უზრდელობამდე დაუფარავად გადმოსცემენ ადამიანის თვისებებს. დღევანდელ ადამიანს თუ შევადარებთ, რომელიც იშვიათად აჩენს თავის ნამდვილ სახეს და მთელი ცხოვრება რაღაც არჩეულ ან სხვის მიერ წამოცმულ ნიღაბს ატარებს, რომ ვერავინ ჩახედოს თვალებში და გულში, ნივთები და, ერთობ, გარემო დემონსტრატიულად „გულახდილი“ ჩანს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ უკვე საუკუნეა ვცხოვრობ აქ და ზედმიწევნით ვიცნობ ადამიანებს, რომელნიც ამ ნივთებსა და გარემოს ეფარებიან და მდგომარეობის ბატონ-პატრონად მოაქვთ თავი... (ცხადია, არც კი წარმოუდგენია, რა გამყიდველთან აქვს საქმე!). ხედვა შემიბრუნდა და უკვე ნივთებად ქცეულ ადამიანებს აღვიქვამდი ირგვლივ მოძრავ აქსესუარებად. ერთხანს საკმაოდ გავერთე კიდეც ამ გამოცნობით და უკვე კიდეც გადავწყვიტე გავცლოდი აქაურობას, რადგან ესეც მომაბეზრებელი გახდა, რომ ერთმა შემთხვევამ ყოველივე შეცვალა.

ახლა, ამას რომ ვწერ, მდგომარეობა მეტად რთულია... მაგრამ თავიდან მოგიყვები...

გუშინ, ასე საათის ოთხზე, მე ჩვეულებრივ გამოვედი სახლიდან. მივდიოდი სრულიად უმიზნოდ და რატომღაც, ალბათ მომაბეზრებელი ერთნაირობის და ჩემი გრძნობების „გადაქლესვის“ გამო, დავიწყე უაზრო ფიქრი იმის შესახებ, თუ რა მოხდებოდა, რომ მეც ამ ქალაქში დავრჩენილიყავი საცხოვრებლად. სამუდამოდ... „მერე რა, – ვფიქრობდი მე, – ეს არცთუ ისე ცუდი იქნება. ახლა მას მშობლიურივით ვიცნობ, არც დიდი განსხვავებაა, კაცმა რომ თქვას... მეგობრები? – ხალხს გავიცნობ, დავიახლოვებ, მეგობრებიც მეყოლება; ვინმეს შევიყვარებ მერე, ან მე შემიყვარებს ვინმე... მერე ოჯახი... ბავშვები... პატარა შვილიკოები... სკოლა... სამსახური და...“

უცებ საშინელი ძალის დარტყმა ვიგრძენი. მერე რაღაცამ მომისროლა, თან ჩამიქროლა და... გონება დავკარგე...

ახლა მე ვწევარ დიდსა და ნათელ ოთახში. წარმოდგენა არა მაქვს, საიდან გავჩნდი აქ... „ჰო, მგონი, გუშინ მანქანა დამეჯახა" – ტანში საშინელ ტკივილებს ვგრძნობ და განძრევა მიჭირს. – „მაინც სად უნდა ვიყო?" – საავადმყოფოს არ ჰგავს აქაურობა. – „ვინმე მაინც შემოვიდოდეს! იქნებ ვკვდები, ხომ უნდა მომხედონ! ეჰე, მგონი, სიცხე მაქვს..."

სადღაც ჩემს უკან კარი გაიღო.

– უკვე ღვიძავს, ალბათ – სთქვა კაცმა.

– იყვეს, დაისვენოს კიდევ, – ისევ სთქვა კაცმა. ახლა სხვამ.

– ძალიან კი გადარჩა...

– ჰო-ო, რომ იცოდეს, გული გაუსკდება საწყალს! – ეტყობა, კაცი მოსცილდა კარებს, მაგრამ ღიად დატოვა და მე მესმოდა მათი ლაპარაკი

– ამ დილით ზოოში დავრეკე, – თქვა ერთმა.

– მერე?

– არაფერი! იმათ საერთოდ არაფერი იციან, არც ეგეთი ცხოველები ჰყავთ... – თქვა ისევ იმან.

– ჰო-ო! რა იქნება, ჯარს რომ გამოუძახონ?! – იმედიანად თქვა პირველმა.

მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო. ლოგინიდან წამოვვარდი და მეორე ოთახში შევედი. არ ვიცი, რამ იმოქმედა მათზე, ჩემმა გამოჩენამ, სიშიშვლემ თუ არეულმა გამომეტყველებამ, მაგრამ ორივე მამაკაცი ერთხანს გაშეშებული მომჩერებოდა, თითქოს თვალებს არ უჯერებდნენ. მერე როგორც იქნა, გონს მოეგნენ.

– როგორ, თქვენ უკვე ადექით?! – თქვა ერთმა.

– დიახ, – დავადასტურე მე (ეს უაზრობა ბავშვობიდან მაკვირვებდა – დედა რომ გაღვიძებულს გხედავს და გეკითხება: „გაიღვიძე ჩემო სიცოცხლე?"), – ჩემი ტანსაცმელი, თუ შეიძლება, – ახლაღა შევნიშნე, რომ საერთოდ დედიშობილა ვიდექი და შემრცხვა, – მაპატიეთ, უკაცრავად, – შევეცადე, სავარძელს ამოვფარებოდი.

– ჰო, როგორ არა; ინებეთ, – თქვა მეორემ, – ოღონდ იცით, – შეიშმუშნა იგი უხერხულად, – თქვენი ტანისამოსი გამოუყენებელია და თუ არ დაიწუნებთ, ახალს მოგართმევთ, ჩემსას. სხვა რა გზა მქონდა, უარი მეთქვა. ტანისამოსი გამომიტანა, „ჩემს" ოთახს დავუბრუნდი, ჩავიცვი და ისევ მათთან გამოვედი.

– უკაცრავად, რა მომივიდა გუშინ? – როგორც ჩანს, ეს ყველაზე მტკივნეული კითხვა იყო მათთვის და თუმც გარდუვალად ელოდნენ მას, მაინც გადახედეს ერთმანეთს ღრმააზროვნად. მერე ერთი ადგა და დაიწყო ნერვიულად სიარული.

– იცით რა? თქვენ არ უნდა აღელდეთ. დაბრძანდით, დაბრძანდით... ჩვენ... მმმმ... ყველაფერს აგიხსნით.... მმმ... თქვენ ალბათ გგონიათ, რომ ის რაღაც, რაც დაგეჯახათ, იყო მანქანა ან... მმმ... სხვა რამე... მექანიკური... თქვენ სცდებით, თქვენ სასტიკად სცდებით. ის იყო...

– მარტორქა! – წამოიძახეს მათ ერთხმად ისე, თითქოს ცალ-ცალკე ამის წარმოთქმას ვერ მოახერხებდნენ. მერე ტრაგიკული სახეებით მომაჩერდნენ ერთხანს მდუმარედ. მათი მოლოდინი არ გამართლდა, ამ ცნობამ ჩემზე არავითარი დამატებითი ზემოქმედება არ მოახდინა.

– დიახ, ის იყო მარტორქა! – ხაზი გაუსვა ჩემს დასარწმუნებლად ერთმა.

– ვისი მარტორქა? – მათთვის უფრო უაზრო კითხვას ალბათ ვერც მოვიფიქრებდი, თუმცა ჩემთვის ნათელი იყო, რომ თუ ქალაქში დღისით-მზისით ჩნდება მარტორქა, მას პატრონიც უნდა ახლდეს; ხომ ჰყავთ ძაღლები, კატები, ვიღაცას ლომიც ჰყავს, ერთ ნაცნობს, მახსოვს, ნიანგიც კი ჰყავდა სახლში... ჩიტებს ხომ ვინ მოთვლის... და მეც ბუნებრივად ვიკითხე – ვისი მარტორქა?

– მომისმინეთ, – მოიკრიბა მოთმინება ერთმა, – ის არავისი არ არის და არც არავინ იცის, საიდან გაჩნდა აქ. გესმით? გესმით? ის გაჩნდა, *გ ა ჩ ნ დ ა* უეცრად, მოულოდნელად! ამას არავინ ელოდა, ამაზე არავინ ფიქრობდა, ამის არავის ეშინოდა... ახლა კი, ყველას ეშინია გარეთ გასვლა, რადგან თქვენს

შემდეგ კიდევ სამი კაცი მოკლა... უკაცრავად, სამი კაცი მოკლა უკვე... თქვენ კი გეხუმრებათ... უკაცრავად... არ გჯერათ...

იგი გაფითრებული იყო მართლაც და ნერვიულობდა. იერი საკმაოდ ნორმალური ჰქონდა საერთოდ, თანაც, ოთახს რომ თვალი მოვავლე, იმდენი წიგნი იყო, რომ მასში ეჭვის შეტანა შეუძლებლად მომეჩვენა. სანამ ის ლაპარაკობდა, მეორე კაცი ფანჯარასთან მივიდა.

– კი მაგრამ, ნუთუ ასეთი შემაძრწუნებელი ცხოველია მარტორქა? რაღაც შემთხვევითობის ბრალია, თორემ არა მგონია, ვინმეს ერჩოდეს... – არ ვტყდებოდი მე. ვის არ წაუკითხავს ბავშვობაში ბრემის „ცხოველთა ცხოვრება". ჩემს წარმოდგენაშიც მარტორქა – ეს იყო დიდი, შემთხვევით გადარჩენილი და შემორჩენილი ცხოველი, მეტად მოუქნელი და სასაცილო, ვიდრე საშინელი. – კარგით, მაგრამ, რატომ არ მოკლავთ? ამაზე ადვილი რა არის? სულ ასე ხომ არ იქნებით შიშით გამოკეტილები? – მგონი, ზედმეტი მომივიდა.

მაგრამ ის სრულიად სერიოზული იყო და რეაქციაც პირდაპირი ჰქონდა:

– მოვკლავთ, უსათუოდ მოვკლავთ. როცა დაიძინებს, მოვკლავთ, – დაამატა მან ღრმააზროვნად. უეცრად ვიგრძენი, რომ ის რაღაცას არ მეუბნება ბოლომდე, რაღაცას და განსაკუთრებით მნიშვნელოვანს მიმალავს...

– დავილუპეთ! – წამოიგმინა ფანჯარასთან მდგომმა კაცმა და შეძრწუნებული სახე ჩვენკენ შემოაბრუნა. ჩვენ ფანჯარასთან მივცვივდით.

– მარტორქა!

უზარმაზარი, მახინჯი და დაჯავშნილი ცხოველი, რომელიც შეიძლებოდა მარტორქად მიგეჩნია, შემზარავი ღრიალით მოაპობდა ქუჩას. მე ვიცი, რომ იტყვი, ცხოველები არ ღრიალებენ, მხოლოდ ადამიანებიო და გეტყვი, რომ ეს იყო ნამდვილი ღრიალი, რაღაც უფორმო და საზარი ხმა. რქაზე, ალბათ ეს იყო მისი მარტორქობის უპირატესი ნიშანი, მას ვიღაცის საცოდავი სხეული ჰქონდა წამოცმული. კაცი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და გულსაკლავად ხრიალებდა (იქნებ ამი-

ტომაც ისმოდა ადამიანურ ღრიალად მათი შერწყმული ხმები). მარტორქამ ერთხანს ირბინა ასე, ჩვენი სახლის მიმართულებით, მერე უეცრად გაჩერდა, თავი ღონივრად აიქნია და მუცელგაფატრული კაცი უკან გადაისროლა. საბრალომ რამდენიმე ათეული მეტრი იფრინა ასე, ასფალტზე მოხოხიალე შიგნეულით, ვიდრე არ დაასკდა ასფალტს და მოკვდა. მუცელში იმწამსვე საშინელი გვრემა ვიგრძენი და ტკივილი დამეწყო. ნათლად წარმომიდგა თვალწინ საკუთარი თავი და ისიც, თუ როგორ მიყრის რქას მუცელში, გამომშიგნავს და დამახეთქებს მიწაზე... – მარტორქა! აი, თურმე რა ყოფილა იგი, წყნარი, მშვიდი, „ნამარხი“! და მართლაც რა საცოდავები ვართ ამ ამბოხებული ცხოველის წინაშე... არარაობა...

– ეს ხომ ის არ არის! – ჩუმად სთქვა ერთმა.

– ეს ის არ არის! – წამოიყვირა ისტერიულად მან. მე გაკვირვებით შევხედე მას. მერე ქუჩას.

– შეხედეთ! შეხედეთ! ისინი ორნი არიან! ორი მარტორქა! ღმერთო ჩემო...

– ისინი სახლსაც ანგრევენ! – წამოვიყვირე მე მართლაც გაკვირვებულმა, რადგან მარტორქების ამ მოქმედებაში რაღაც გეგმა დავინახე უეცრად.

– მერე რა სახლს!

– მერე ვის სახლს!

ისინი უკვე ველარ იჭერდნენ თავს. ერთი სულ მოეშვა და მე ვცადე მისი დამშვიდება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. იგი ისტერიულად ტიროდა. სამწუხაროდ, მე არც იმ ხალხის შველა შემეძლო, გააფთრებული მარტორქები გეგმაზომიერად რომ უნგრევდნენ სახლს.

– ვინ ცხოვრობს იქ? – ვიკითხე უმისამართოდ, რადგან ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

– იქ... იქ... ერთი ჩემი ძველი მეგობარი... მსახიობია... რას არ ასრულებდა... რა როლს... საწყალი. თავის შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს, რომ გაიგებს, რა მოხდა, გაგიჟდება... გარეთ გამოსული არ მინახავს კარგა ხანია... ღმერთო! ღმერთო! რა ხდება ეს?!

ამასობაში მარტორქებმა უკანასკნელი იერიში მიიტანეს სახლზე და გასაოცარი იყო ის, რომ იგი დაინგრა, როგორც ინგრევა სათამაშო სახლი. მარტორქებს, ეტყობოდათ, მართლაც რაღაც მიზანი და გეგმა ჰქონდათ, რადგან შედგნენ და დაელოდნენ, მტვერი როდის ჩადგებოდა, რომ კარგად გაერჩიათ თავიანთი მსხვერპლი. მაგრამ უეცრად ნანგრევებიდან საზარი ღრიალით გამოვარდა ორი მარტორქა. ერთი დიდი, ხმარებისაგან გაცვეთილი უზარმაზარი ეშვით ცხვირზე, ხოლო მეორე კი, მომცრო ტანის, ჯერაც უხმარით, მაგრამ კარგად მორგებულით. მათი გამოჩენა არ ყოფილა მოულოდნელი მარტორქებისთვის, და თითქოს სწორედ ამას ელოდნენო, გაისმა აღტაცების ღრუტუნი და ოთხივე მხიარული ხმაურით დაიძრა ქუჩაში...

ასე გავიდა დღე...

მგონი, მომიყოლია, ერთხელ მთაში შემთხვევით მაჩვის ბუნაგს ნავაწყდი. ის გარეთ გამოსვლას ლამობდა. ჩვენ იქვე ვისხედით, სადაც ის თხრიდა, და ვქეიფობდით. ის თხრიდა... მერე, ეტყობა, ხმაური გაიგონა და სადღაც შეძვრა. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. ბოლოს მაჩვმა დათმო და თავის სოროში ჩაიმალა შეშინებული. ჩვენ ვსვამდით იმათ საღღეგრძელოს, ვინც ზევით ამოსვლას ლამობს და არ უშინდება ხმაურს... ყველასი...

დილით ისინი უკვე ათნი იყვნენ; მერე დაგვირეკეს, რომ სადღაც გარეუბანში კიდევ უნახავთ ათიოდე. ჩემი მასპინძლები გაურკვეველმა აპათიამ მოიცვა და ყოველივე ცნობას თავის დაკვრით ადასტურებდნენ. მე რა უნდა მექნა? სხვაგან წასვლა აღარ შემეძლო, რადგან მეშინოდა! დიახ, ნუ გაგიკვირდება, მეშინოდა ისევე, როგორც ყველას ირგვლივ. შიში! შიში გამეფდა ქალაქში, ხოლო ისინი კი მრავლდებოდნენ უკვე გეომეტრიული პროგრესიით, რასაც განუწყვეტლივ გვატყობინებდნენ საიდუმლოდ. მეც ვიჯექი მათთან ჩაკეტილი და მთელი ძალით ვცდილობდი დამეღწია თავი განწირული მდგომარეობიდან და მეღონა რამე... მოგვიანებით საიდანღაც გავიგეთ, რომ მარტორქებს რამდენიმე დიდი შენო-

ბაც და ეკლესიაც დაენგრიათ, მაგრამ ამას უკვე როგორლაც მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

– ჰმ! – მოულოდნელად ჩაიცინა ერთმა, – ასე მგონია, უკანასკნელ დღეებს ვითვლი... – მთელი ორი დღის დუმილის შემდეგ უეცრად ამოღებულმა ხმამ გაგვაკვირვა და ხმა გაგვიცოცხლა.

– ვინ იცის! – თქვა მეორემ.

– რა ვინ იცის! – ვეღარ მოვითმინე მე და დაგროვილი ბოღმა გადმოვანთხიე, – რა ვინ იცის?! როგორც გინდათ და, მე აღარ შემიძლია ასე! თქვენ უმთავრესი დაგავიწყდათ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ, თუ უკვე აღარ გესმით ამ სიტყვის აზრი... ვიჯდეთ აქ გულხელდაკრეფილნი და ველოდოთ, როდის მოგვიღებენ ბოლოს ისინი, ვინც ჩვენ ჩვენი არსებობით უარვყავით. მე მძაგხართ თქვენ; თქვენ მხდალები ხართ, მხდალები... თქვენ დაჰკარგეთ ის, რაც უძვირფასესია ადამიანში, რაც ადამიანს ადამიანად ხდის – ბრძოლის უნარი და ღირსება. რა ხართ თქვენ აქ, ახლა – შიში! ადამიანი-შიში...

მათი რეაქცია სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის.

– ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! – გადაიხარხარა ერთმა, – ჯერ ერთი, უნდა ხმარობდეთ ჩვენ და არა თქვენ, რადგან „ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბავ, მე და შენ"... ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

– ჰო-ო! – დინჯად თქვა მეორემ, – შიში!... ეს დიდი რამაა! ღირსებაც და ბრძოლის უნარიც, ცხადია... მაგრამ ვინ გაკავებთ? ჩვენ არ დაგვიკავებიხართ, ჩვენ მხოლოდ დაგეხმარეთ... აიღეთ თოფი და ებრძოლეთ. დაამტკიცეთ თქვენი ადამიანობა... რატომ არ მიდიხართ?! ისე კი, მართალი ხართ, ღირსება დიდი ხანია, *ღორსებად* გადაგვექცა... – ჩაიჩუმათა მან.

– მე... მარტო? – დავიბენი მე, რადგან ამგვარ რეაქციას მართლა არ ველოდი. მომეჩვენა, რომ საცაა, გამოიტანენ თოფს (რომელიც ნამდვილად ეკიდა კედელზე) და მომცემენ ხელში.

– მარტო?! გეშინიათ? – წყნარად იკითხა ერთმა, – თქვენ არ გინდათ, იყოთ მარტო, თუმცა თქვენი ღირსებისა და ადა-

მიანობისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ გინდათ ბრძოლა... და არ გინდათ, იყოთ მარტო; მარტო არა ბრძოლაში... არამედ, ხვედრში! და ესაა მთავარი! ადამიანი?.. ვინ იტყვის, რაა ადამიანი?! სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ბევრი დრო მოგვეცა ამაზე დასაფიქრებლად... თავიდან დაწყება უკვე შეუძლებელია და არც არის საჭირო, მაგრამ აუტანელია იმის ფიქრი, რომ შენ მთელი ცხოვრება გაატარე ისე, რომ თურმე არც გიცხოვრია, და ვერასოდეს ვერ მიაღწიე იმ ნამდვილად ადამიანურს, კაცურს, რისკენაც ისწრაფოდი. აი, კიდევ რა: თურმე ის სრულიადაც არ იყო ნამდვილი და ადამიანური, კაცური. ჩვენ სხვას ვეძებთ, როდესაც საკუთარი თავი ვერ გვიპოვნია. რატომ ვირთულებთ ცხოვრებას, რას ველით? სამწუხაროდ, ძალიან გვიან მოდის თავისუფლება... სიცოცხლე...? ჩვენ გვაცოცხლებდა არა სიცოცხლის ძალა, არამედ შიში. შიში სიკვდილის წინაშე! მთელი ჩვენი ცხოვრება იყო მზადება სიკვდილისათვის, და რადგანაც არავინ იცის, როდის მოაკაკუნებს მის კარზე მსახვრალი ხელი, ამიტომაც სირაქლემასავით თავი შემალული გვქონდა და სიკვდილი „დავიწყებული". ჩვენ გაგვიტაცა თვით პროცესმა ამ თამაშში... უნდა იცოცხლო სიცოცხლისათვის და არა იმისათვის, რომ უკეთ მოემზადო მოსაკვდომად. დაადასტურე შენი სიცოცხლე და მერე მოკვდი. მოკვდი იქ, სადაც დაასრულებ სიცოცხლეს; სადაც ბოლომდე ამოწურავ შენს სასიცოცხლო ძალას... სხვა დანარჩენი უაზრობაა. მხოლოდ ორი რამ არის ნამდვილი: სასიცოცხლო ძალა და... სიკვდილის ფაქტი.

ის მშვიდად (მოულოდნელად და დამაფრთხობელად მშვიდად) ლაპარაკობდა. მე ვგრძნობდი, რომ სადღაც მართალი იყო, მაგრამ ეს სიმართლე არ გამორიცხავდა ჩემი სიცოცხლის აუცილებლობას. მე არ მინდოდა სიკვდილი, ამგვარი სიკვდილი და არც ამგვარი სიცოცხლე, და სულ ერთი იყო, რა მამოძრავებდა – სიცოცხლის ძალა თუ სიკვდილის შიში.

– გესმით, – წამოვიყვირე მე უიმედოდ, – არ მინდა, ვიჯდე აქ და ველოდო რაღაც გაურკვეველს. მე მიმაჩნია, რომ ჩემი სიცოცხლის ძალა ჯერ არ არის ამოწურული და მე არ მინდა

სიკვდილი. როცა დრო მოვა, მე ჩემით მოვახერხებ ამას, მერწმუნეთ, ყოველგვარი მარტორქების ჩაურევლად... მე სხვა კაცი ვარ, სხვა ქვეყნის, შემთხვევით მოვხვდი აქ, სრულიად შემთხვევით და არ მესაქმება, რა ბედი ეწევა თქვენს ქალაქს. რა გინდათ ჩემგან... რა დაგიშავეთ...

მე ვიცოდი, რომ არ ვიყავი მათთან მართალი, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე. უკვე ველარ ვიკავებდი თავს. ჩვენ ყველანი მოწყვეტილები ვიყავით არა მარტო გარე სამყაროს, არამედ საერთოდ ყველაფერს. ყოვლისმომცველი შიში დაეუფლა ქალაქს. ისინი კი სულ მრავლდებოდნენ და მრავლდებოდნენ... მარტორქები!

ისინი, ვინც სამუშაოზე შეისწრო ამ საზარელმა ამბავმა, თავიანთ ადგილს არ მოშორებიან ამ ხნის განმავლობაში. შიშისაგან თავზარდაცემულები რაღაცნაირი გააფთრებით განაგრძობდნენ მუშაობას. შრომას უცებ წაერთვა ყოველგვარი აზრი. ის მხოლოდ შიშის ჩახშობის ხმაურიანი საშუალება იყო. ისინი თვრებოდნენ ამ ხმაურში და იყვნენ მადლობელნი, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ, რომ ადამიანები იყვნენ და გრძნობდნენ ამას. სახეგაფითრებულები, იმავე გრძნობებს აყოლილები უკვე მეასეჯერ უყურებდნენ ერთსა და იმავე ფილმებს კინოდარბაზებში, ერთსა და იმავე სპექტაკლებს თეატრებში, ერთსა და იმავე კონცერტებს საკონცერტო ესტრადაზე. ყოველი გამოჩენა სცენაზე აღტაცებულ ტაშისცემას იწვევდა, რომელიც ოვაციების ღრიალში გადადიოდა. ასე გაგრძელდა მთელი კვირა. არაფერი შეცვლილა. მხოლოდ მარტორქების რიცხვი გაიზარდა და თითქმის ნახევარი ქალაქი დაინგრა. უუბედურესი ადამიანია ის, ვინც რაღაც მისთვის უცხო პირობებით მოწყვეტილია გარე სამყაროს. ასეთები ვიყავით ჩვენ ყველანი. არავინ კრძალავდა ნორმალურ ცხოვრებას და ამით ყველანი ერთგვარად თავისუფლებიც კი იყვნენ რაღაც აუცილებლობისა და გარდუვალობის ოფიციალური შეგრძნებისაგან, მაგრამ იყო რაღაც უფრო საშინელი: შიშის გრძნობა, რომელიც ყოველ მათგანში იყო გამჯდარი და სიცოცხლეს უწამლავდა. ისინი თვითონ აიძულებდნენ

თავს, ყოფილიყვნენ ამ მდგომარეობაში. მათმა ფატალურმა შიშმა მიიყვანა ისინი იმ პატიმრის მდგომარეობამდე, სიკვდილს რომ ელის, ხოლო განაჩენის სისრულეში მოყვანა კი დღითი დღე იგვიანებს. პატიმარი უკვე არაფერზე აღარ ლოცულობს, ოღონდ განაჩენი მალე აღასრულონ და დაიხსნან იგი ამ მტანჯველი და გამხრწნელი მოლოდინისაგან. ყველა ფუნქცია მოშლია პატიმარს, გულიც ძლივს უფართხალებს... და აი, ასეთ მდგომარეობაში იგი უაღრეს კეთილშობილებად მიიჩნევს ჯალათის გამოჩენას და ლამის არის, ხელ-ფეხი დაუკოცნოს თავის მხსნელს! რამდენად საცოდავები არიან ისინი ამ განწირულებაში და მარტოობაში... მარტოობა! ისინი ბედნიერები არიან თუნდაც იმით, რომ სახლში იმყოფებიან. რამდენად უფრო უიმედო იყო ჩემი მდგომარეობა, თუმცა ამას მხოლოდ ჩემთვის ჰქონდა მნიშვნელობა და მომხდარის მასშტაბში არაფრად მიიჩნეოდა, ცხადია. მე ხომ სრულიად შემთხვევით მოვხვდი აქ. მე კიდევ არ მესმის ბოლომდე, რა მოხდა... რა ხდება. რატომ ჩავიკეტეთ სახლში, რატომ არ შეიძლება თუნდაც ქუჩაში გასვლა... მე ალბათ დიდი სიამოვნებით მივიღებდი ცნობას, რომ ქალაქში შავი ჭირია. ნეტა მართლა გაჩნდებოდეს შავი ჭირი! მაშინ, უბრალოდ, გეცოდინება, რომ ხარ ავადმყოფი, ან რომ ირგვლივ ავადმყოფები არიან და იმყოფები იზოლაციაში დროებით, ვიდრე რაიმეს არ იღონებენ ან ეპიდემია არ გადაივლის... გარკვეული პირობით ქალაქში სიარულიც შეგეძლება...

სასიცოცხლო ძალა! იქნებ მე არასოდეს დავფიქრებულვარ მის არსებობაზე, ან იქნებ არ არის მისი გამომხატველი მაგალითები ისტორიაში? რა არის ის? მისტიკა? თუ რაღაც რეალურად არსებული თუნდაც შეუცნობელი ძალა – სასიცოცხლო. გავხედოთ ორ უდიადეს ერს, რომელთაგან ასე ვართ დავალებული იმით, რომ ადამიანები ვართ ჯერაც... ეგვიპტე და ბერძნები!

ეგვიპტე! წერტილი დროში (ოცდაათსაუკუნოვანი!), რომელშიც ადამიანებმა (ერმა?) საბოლოოდ ამოწურეს თავიანთი თავი, თავიანთი სასიცოცხლო ძალა! და ის მოვიდა ჩვენამ-

დე მათ ხელოვნებაში. ეგვიპტე – ეს არის წერტილი, რომლისკენაც მიილტვოდა ადამიანი, ადამიანი თავისი არსით და რომელმაც ამოწურა თავისი სასიცოცხლო ძალა, მიაღწია რა მას. იქით უკვე აღარაფერი იყო... და ისინი გადაშენდნენ... აღიკვეთნენ საერთოდ... გადავიდნენ სიმბოლოებში, რადგან თვით სასიცოცხლო ძალა, ცხოვრების ენერგია აღარ გააჩნდათ. დაიცალნენ და მოკვდნენ. არა – გარდაიცვალნენ!

ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ბერძნებს ჯერ ვერ მოუხერხებიათ თავიანთი სასიცოცხლო ძალის დახარჯვა. მათ ჯერ არ მიუღწევიათ იმ წერტილამდე (ეგვიპტურ წერტილამდე!), რომლისკენაცაა მისწრაფებული ყოველი ერი – თავისი პოტენციის სრულ გამოვლინებამდე... თუ, იქნებ, ბერძნები უფრო დიდი პოტენციის ერი იყო და ეყოთ სასიცოცხლო ძალა, განეგრძოთ ცხოვრება? თუ, სინამდვილეში, ვერ ამოწურეს ბოლომდე და შემოინახეს სიცოცხლის გასაგრძელებლად? მაგრამ არიან კი ეს და ის ბერძნები იგივენი?! თავი რომ შეენახათ – არ დაიხარჯნენ, პოტენცია გადაარჩინეს... ჰმ! თავშემონახულები... ასე შეიძლება, უსასრულოდ იარსებო, თუ არ დაიხარჯები არასოდეს და არ მიაღწევ იმ, „ეგვიპტურ"' წერტილს... ბოლომდე... არასოდეს... (მაპატიე ამ გადახვევისათვის, მაგრამ შენ მიმიხვდები აქ ჩამარხულ სათქმელს, რომლის პირდაპირ თქმას ვერიდები უცხოთა წინაშე – სხვის თვალს რომ მოხვდეს ეს წერილი).

ბოლოს ვიღაცამ მაინც იპოვა გამოსავალი. ჯერ იკითხა: „ნუთუ მარტორქები არ იძინებენ?" ბევრი ფიქრისა და გამოკვლევის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ მარტორქები იძინებენ და მათ სძინავთ ღამით. ეშველათ! თურმე, ყოველივე არც ისეთი საშინელია, როგორც ფიქრობდნენ. არის გამოსავალი, თანაც საუკეთესო... – *ვიცხოვროთ ღამით!* „რა ვუყოთ, რომ თავდაპირველად გაგვიჭირდება, აბა, რისი ადამიანები ვართ, თუ ვერ მივეჩვიეთ და არ დავძლიეთ სიძნელეები". და სხვა მრავალი დამამშვიდებელი და გამამხნევებელი აზრები და მოწოდებანი იქნა გავრცელებული მოსახლეობაში. ეს მართლაც უდიდესი აღმოჩენა იყო, რადგან მანამდე აზრადაც

არავის მოსვლია, ეფიქრა ამ შესაძლებლობაზე. ახლა კი ქალაქში ყველა ამაზე ფიქრობდა... *ვიცხოვრით ღამით!*

სადღაც ეს საინტერესოდაც კი ეჩვენებოდათ, ამგვარი შებრუნება ცხოვრების ყაიდისა, და თანდათან ენთუზიაზმმა მოიცვა ყველა. აწყობდნენ მომავალი ღამეული ცხოვრების გეგმებს, ხოლო საჭირო იყო ბევრი რამის გათვალისწინება, როგორც, მაგალითად, სიბნელეში ცხოვრება, რადგან მარტორქებმა ყველა წყარო სინათლისა ხელში ჩაიგდეს და რაც არ გაანადგურეს, მას თავიანთთვის იყენებდნენ. ვიდრე გეგმები დგებოდა, მარტორქები დროს არ კარგავდნენ; უკვე ქალაქის სამი მეოთხედი აქციეს ნანგრევებად და ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ ყოველი ახალი იერიში მათ რიგებს ახალი მარტორქებით ავსებდა, რაც, შესაძლოა, მათაც უკვირდათ, რადგან აქა-იქ, მოზეიმე ხმები მოწუწუნე მშფოთვარებით იყო განზავებული.

ასე განვლო კიდევ რამდენიმე დღემ.

ღამით ყველაფერი დაწყნარდა.

მთელი დღის ნაბრძოლმა და ნაჯაფარმა მარტორქებმა მიიძინეს. შუაღამე შემოწვა ქალაქში და სიბნელემ თანდათან დაიპყრო იგი. ადამიანებს ჯერ კიდევ არ სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იყო გარეთ გასვლა და ფრთხილობდნენ. და აი, ბოლოს, ვიღაცამ გაბედა. ქალაქში ჯერ ერთი კარი გაიღო შიშით, და ისევ სწრაფად მიიხურა. კარმა ვიღაცის მთრთოლვარე სხეული გამორწყო ქუჩაში. იგი ჯერ დაიბნა (თავისმა სიმამაცემ დააბნია, ცხადია!) მერე სახლის კედელს აეკრა და ნელა დაიძრა. ქუჩაში ბოროტად იწვა ღამე და იყო სიჩუმე. ეს იყო ყველაზე გამაოგნებელი – სიჩუმე! ადამიანმა (ვერ ვიტყვი ახლა, ქალი იყო იგი თუ კაცი, მაგრამ არც ჰქონდეს იქნებ მნიშვნელობა) ერთხანს იბორიალა სახლის კედელს აკრულმა აჩრდილივით, მერე შუა ქუჩაში გამოვიდა და თითქოს რაღაცამ შიგნიდან უბიძგაო, მთელი ხმით აღრიალდა... ამ ხმამ გაჰკვეთა ღამის იდუმალება და მოედო მთელ ქალაქს. ეს სრულიად ახალი, უჩვეულო, ადამიანური ძალის ღრიალი იყო და იგი მეტად განსხვავებულ გრძნობებს აღძრავდა ხალხში – დამაიმე-

დებელსა და მომწოდებელს. ხმა სადღაც ქალაქის განაპირას ჩაწყდა და ჩაეჩხირა ნანგრევებში. წამით ისევ გამეფდა სიჩუმე და სიბნელე.

აქ კი მართლაც დაიწყო ისეთი რამ, რასაც მხოლოდ კარნავალი შეიძლება ვუწოდო. კარებმა იწყეს ხალხის ქუჩაში გადმოფურთხება. ღამე აიშალა. ხმაური მოედო ქალაქს. ამდენი ხნის დაოკებულმა ვნებებმა გამოსავალი იპოვეს და მოურიდებლად ინთხეოდნენ. მთელი ღამე გრძელდებოდა ქუჩაში ბორიალი სიმღერებით, ღრიალით, გალობით... მარტორქებს არაფერი გაუგიათ ამ ღამით. მათ ეძინათ.

– ყველაფერი გათავდა! – თქვა ერთმა და ფანჯარას მოსცილდა. ჩვენ არ დავძრულვართ ადგილიდან და ზევიდან ვადევნებდით თვალყურს ქუჩას.

– წილი ნაყარია! – პათეტიკურად დააყოლა მეორემ. მე კარგად ვერ მივხვდი, რას გულისხმობდნენ, მაგრამ თავი შევიკავე. მხოლოდ განთიადისას მიწყნარდა ხმაური და ჩვენ მივხვდით, რომ ისინი დაიშალნენ. იმავე კარებმა ისევე უხმოდ შთანთქეს ისინი. მარტორქები იღვიძებდნენ.

– როგორ გგონიათ, რამდენ ხანს გაძლებენ ასე? – ვთქვი მე.

– უსასრულოდ, თუ... ცოტაც და, ისინი ისე მიეჩვევიან ამას, რომ მერე დიდად კმაყოფილებიც იქნებიან, მეტიც, ვერავინ გადაარწმუნებს, რომ ეს მათი ბუნებით ბოძებული და მომადლებული ხვედრი არაა. ვიღაცამ სთქვა: „ადამიანი არის არსება, რომელიც ყოველივეს ეგუება". – ეს მართალია. ამან მოიყვანა ადამიანი დღემდე და ეს დაღუპავს ადამიანს დღეს. ადამიანი პროტესტებით ცხოვრობს, შინაგანი წინადგომით. ეს მისი არსია. მთელი ჩვენი ცხოვრება პროტესტია... უნდა იყოს, – ჩაიჩურჩულა მან, – ... მთელი სამყაროს მიმართ, ყველაფრის მიმართ... მაგრამ თურმე ადამიანი ამასაც ეგუება და კლავს, უარყოფს ამას მით... თუმცა... შეგუებაც ერთგვარი პროტესტია, როგორც ხედავთ, მხოლოდ მეტად სუსტი და მდაბიური.

– და კიდევ, – თქვა მეორემ, – თუ გინდა, ცხოვრებას შეხედო სწორად და ჯანსაღად, ან არ უნდა დაიბადო, ან იქვე უნდა მოკვდე... – მაგრამ ამან ვერ გაარღვია საერთო სიმძიმე განწყობისა და სიჩუმე ჩამოაგდო. მერე გათენდა...

(აქ მხოლოდ ღამეებს აღვწერ, რადგან დღისით არაფერი იცვლებოდა და მარტორქების მატებისა და ქალაქის ნგრევის რიტმიც სტაბილური გახდა).

იმ ღამისათვის დანიშნული იყო დიდი სადღესასწაულო ღონისძიება. მოიწვიეს ქალაქის ყველა მცხოვრები. ამით იმის გამორკვევაც უნდოდათ, რამდენი ადამიანია გადარჩენილი.

ღამით ყველანი ჩვეულებრივ მოედვნენ ქალაქს (სიტყვას „ჩვეულებრივ" ორმაგად ვუსვამ ხაზს). მაგრამ ახლა იყო რაღაც განსაკუთრებულად ამაღელვებელი მათში. ისინი იდასტურებდნენ თავიანთ არსებობას იმით, რომ იგონებდნენ დაღუპულებს, უკვალოდ გამქრალებს და... მარტორქებში შერეულებსაც კი, რადგან ხმები დადიოდა, რომ რამდენიმე მათგანის კვალი აღმოაჩინეს დღისით მოაღლუმე მარტორქებში.

სახლში ჯდომა შეუძლებელი გახდა. ჩემი მასპინძლები განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ, ასე გეგონებოდა, არასოდეს ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათო სხვა დროს. ყველაფერს აანალიზებდნენ და მწუხარედ აქნევდნენ თავს წარსულზე. მე რატომღაც სრულიად აბსურდული სურვილი გამიჩნდა – აბანოში წასვლა. უბრალოდ, მომინდა მექნა რაღაც ადამიანური, მარტივი... ნელა გამოვედი სახლიდან, ჩაფიქრებული, და ავყევი ქუჩას აბანოსაკენ, რომლის მისამართიც ჩემს მასპინძლებს გამოვართვი, მიუხედავად მათი პროტესტებისა და, აშკარად, ჩემი ჭკუაზე გადაცდენილად ჩათვლისა.

– ოხ, ოხ, ოხ... მომტეხა ფეხი ამ ოჯახამოსაბუგმა... ბრმა ხომ არა ხარ, შე სახლდასაქცევო, როგორ დადიხარ ქუჩაში, შე მინადასაყრელო,... – ღვარცოფასავით დამაცხრა თავზე მკივანა ქალის წყევლა. მე ვერაფერს ვხედავდი სიბნელეში, მაგრამ მაინც ვთქვი სიბნელის მიმართულებით:

– უკაცრავად, ქალბატონო... მაპატიეთ...

– ერთი წუთითაც არა აქვს კაცს მოსვენება; გამოხვალ ქუ-ჩაში დასასვენებლად და იქაც უნდა გეშინოდეს, – არ ცხრე-ბოდა ქალი, თუმცა წყევლას შეეშვა, – უზრდელი! – მომაძახა მან და შეტრიალებული ისეთი ძალით შეასკდა ვიღაცას სიბ-ნელეში, რომ ერთი ალიაქოთი ატყდა. მოსკდა ლანძღვისა და წყევლის ნიაღვარი. ატყდა ერთი დაჯახება და ხელის კვრა, ჩხუბი...

– ბოდიში, რა მოხდა? – მორიდებით იკითხა ვიღაცის უაღ-რესად დახვეწილმა ხმამ.

– დაეჯახა...

– მერე რა, ეს ხომ ქუჩაა, ქუჩაში დაჯახებაც ხდება...

– თუ ფიქრი უნდა, დაჯდეს სახლში...

– ქუჩაში უნდა წინ იყურო...

– მარტო ქუჩაში უნდა იყურო წინ, განა?

– რას გადამეკიდეთ, კაცო, რა გინდათ ჩემგან...

– ვინ გადაგეკიდათ, ყმაწვილო...

– ოჰ, კარგით ერთი, რა დროს ეგ არის, – თქვა ვიღაცამ, – აგერ, ჩემს სახლთან, ისეთი პატარა მარტორქა ვნახე, ცხვირ-პაჭუა...

– მღვიძარე?!

– არა, კაცო, ეძინა, ნამდვილად ჩასაყლაპი იყო...

– აბა, აბა, არც ისეთი მახინჯები ყოფილან, შორიდან რომ გვეგონა...

– ეჰ, კაცო, იმათაც თავის გაჭირვება ეყოფათ...

მე აბანომდე ვერ მივაღწიე (და არც ვიცი, არსებობდა თუ არა იგი), რადგან ხმა გავრცელდა, რომ აღწერამ ადამიანთა რიცხვის მოსალოდნელზე ბევრად დიდი ნაკლებობა უჩვენა და თანაც, რამდენიმე ადგილას მარტორქებს ღამითაც არ სძინებიათ თურმე. ამან სათანადო რეაქცია გამოიწვია და როდესაც სახლში ვბრუნდებოდი, ქუჩა თითქმის დაცარიე-ლებული დამხვდა. სამაგიეროდ, ირგვლივ გამაყრუებელი ხმაური იდგა. ითვლებოდა, რომ ხმაური შიშის უებარი წამა-ლია და ამიტომ ჩართეს ყოველივე, რასაც ხმის გამოცემა შე-ეძლო... ვჩქარობდი, რადგან მდგომარეობა მართლაც საგან-

გაშო იქმნებოდა და ყველაზე უსაფრთხო ვითარება სახლში ჩაკეტილს მქონდა. სახლთან მდებარე ბაღის საზაფხულო კინოდარბაზს რომ გავცდი, უკნიდან მომსკდარი ზვავის ღმუილით რაღაც აგორდა და ძლივს მოვასწარი კედელზე აკვრა, რომ კინოდან ნგრევითა და ღრიალით გამოვარდნილმა მარტორქების ბრბომ ჩამიქროლა და სიბნელეში გაუჩინარდა. სასწრაფოდ გავბობღდი სახლისკენ და დავყვინთე შესასვლელში. ჩემს მასპინძლებს უკვე ყველაფერი გაეგოთ და მე მიცდიდნენ. მე ხმის ამოღების თავიც არ მქონდა განცდილის შემდეგ. ვისხედით ასე ჩუმად და გადიოდნენ დროები. ხმაური აღარ წყდებოდა არც დღისით, არც ღამით და ჩემშიც იბადებოდა რაღაც ჯერ გაურკვეველი, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილება, რომელიც მამშვიდებდა და ძალას მმატებდა, თუმცა გარეგნულად არაფერი იცვლებოდა. შიგადაშიგ ხმაურს ადამიანთა საცოდავი კვნესა და კივილი ერთვოდა.

განვლო სიჩუმისა და სიბნელის კიდევ ერთმა ხანმა. აღარც შიმშილს ვგრძნობდი და აღარც მოთხოვნილებას საუბრისა. შიგნიდან რაღაც შეიკრა მტკიცე ჯაჭვად, რომელიც ჩემს პიროვნებას კრავდა და გადღვების საშუალებას უსპობდა. სადღაც საათმა თორმეტი ჩამოჰკრა.

– აა-ა�ა-ااا! – აღრიალდა მოულოდნელად ერთი მასპინძელთაგანი, – მიშველეთ! მი-შვე-ლეთ! არ მინდა... არ მინداااا! მიშველეეეეთ! – ხრიალებდა ის შემზარავად და რაღაცას ებრძოდა. სიბნელეში ძნელი იყო გარჩევა, რა ხდებოდა. მე გაშეშებული ვიდექი. ის ღრიალებდა. მეორე ხმას არ იღებდა. პირველი უცებ აბაზანაში გავარდა, იქიდან კედელი გაანგრია და წიგნებიან ოთახში გავარდა... რაღაცას გამუდმებით ებრძოლებოდა... მერე ისევ ჩვენთან შემოვარდა...

ეს იყო მარტორქა! ადამიანი-მარტორქა! ჯერ კიდევ თავის ნორმალურ (ადამიანურ) ფეხებზე მდგარი. მთელი ტანი რქოვანებით ჰქონდა დაფარული. თავი დეფორმირებული და დამახინჯებული (ცხადია, მარტორქას, თავისთავად, ასეთი მახინჯი თავი არა აქვს, მაგრამ ასე შევარქვით ამ საზარ ცხოველს), ზედ უზარმაზარი რქით (შემდეგში მე მივედი დასკვ-

ნამდე, რომ ამ რქის სიდიდე დამოკიდებულია არა წლოვანებაზე, არამედ მის შინაგან ყოფიერებაზე, თუ რამდენად იზრდება ეს რქა უხილავად ადამიანის არსებაში მანამ და გაცილებით ადრე, ვიდრე იგი ამ გარდასახვას განიცდიდეს და მისი არსება მთლიანად გამოვლინდებოდეს). ხელების მაგივრად უკვე ორი მოკლე კოტიტა ფეხი გამობმოდა და თანდათან უკანა ფეხებიც უმოკლდებოდა და უმსხვილდებოდა. დადგა თუ არა ოთხივე ფეხზე, იგი ისევ გავარდა გარეთ.

ჩემი ყურადღება ისე იყო მიპყრობილი მისკენ, რომ თავდაპირველად ვერც კი გავიაზრე, რა ხდებოდა. გაისმა მუსიკის ხმები. ირგვლივ გამეფებული ნგრევისა და ხმაურის ხმა უეცრად, წამიერად დაძალა საოცრად ამაღლებულმა და ამაღელვებელმა ჰანგებმა რაღაც არამელოდიური მისტიკური ჟღერადობისა.

ის იჯდა კუთხეში მივიწყებულად მდგარ როიალთან და სრულიად გამოთიშული აქაურობას, შორს გადასული მზერით უკრავდა თავის განმაცვიფრებელ მუსიკას... მე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი მისკენ, რომ გაავებული და თვალებჩასისხლიანებული მარტორქა შემოვარდა ისე, რომ ძლივს მოვასწარი ადგილიდან ფანჯრის რაფაზე ახტომა. მარტორქამ მილეწ-მოლეწა, რაც კი იდგა მის ბეცი მზერის წინ და ყრუდ მიაჩერდა როიალთან მჯდომს. ის ვერც ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა თავისი ხმების გარდა და იმ შორეთისა, რომელშიც მიეპყრო მზერა ერთი, მხოლოდ მისთვის ცნობილი წერტილისათვის. მარტორქამ თავი დახარა, თვალები კიდევ უფრო დაუსისხლიანდა და მთელის ძალით ეცა როიალს. რქამ გვერდიდან გაუარა კაცს, გული გაუფატრა და გადმოკიდებულ თავში შეესო მარცხენა თვალით. გვერდის გაკვრა საკმარისი იყო, რომ როიალი სულმთლად დაშლილიყო. სიმები საცოდავად აჟღარუნდნენ. მარტორქამ ოთახს თავი მიანება და გარეთ გაიქცა.

მე ფანჯარაზე ვიყავი ასული და გადავრჩი... თუმცა, გადავრჩი კი? და აი მაშინ გამოინასკვა ის რაღაც გაურკვეველი სიმტკიცე, რომელსაც სახე არ ჰქონდა მიღებული ჯერ, მაგრამ რომლის მოწოლას შიგნიდან ვგრძნობდი. სასწრაფოდ ჩამოვხ-

ტი ფანჯრიდან და მეორე ოთახში გავედი. იქ მეგულებოდა ის, რაც ჩემს არსებობას ახლა საზრისს აძლევდა – თოფი! ეს ის თოფი იყო, ამ რამდენიმე კვირის წინ რომ მთავაზობდნენ ჩემი მასპინძლები და მიწვევდნენ საომრად. მაშინ ვერ გავბედე. მაშინ ჩემი თავი ჯერ არ მეკუთვნოდა. ახლა კი შიგნით რაღაცამ გამოანათა. მე ვიბრძოლებ. მარტო. უკანასკნელ ვაზნამდე, უკანასკნელ თითამდე, უკანასკნელ ფრჩხილამდე, უკანასკნელ კბილამდე... მოვიდნენ... შიგნიდანაც და გარედანაც... მე მოვკლავ მას. მე არ მეშინია მისი... მე ვიცი, რომ მარტო ვარ და მე დავიცავ ჩემს ადამიანობას... კაცობას... მოვიდნენ...

ახლა კი კარები უნდა ჩავხერგო და საბრძოლველად მოვემზადო. ისინი ხომ მეტნი არიან... ჯერჯერობით...

მარტორქებმა ქალაქი დაანგრიეს და გაიფანტნენ ისევე უეცრად, როგორც გაჩნდნენ... იქნებ, ისევ ადამიანებად გადაიქცნენ?

ვინ იცის?!....

მე კი ამიერიდან ჩემი ცხრაკლიტულის კარებს აღარ გავხსნი. ასე უფრო საიმედოა."

* * *

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ეს იყო პირველი წაკითხვა, პირველი გამოსვლა იმ საიდუმლოებით მოცული განმარტოებიდან, რომელშიც უცხო არათუ არსება, მზერაც ვერ შემოაღწევდა. ახლა კი უეცრად აიხადა საფარველი და გაშიშვლებული დავდექი მათ წინაშე და ვნანობდი კიდეც უკვე, რომ ამდენი ხნის ყარიბული ცხოვრება შუშის ნიჟარასავით დასალეწად მივეცი. ისინი ერთხანს ხმას არ იღებდნენ და გაუთავებლად გაიწელა დრო: წუთი საათს დაემსგავსა, საათი – დღეს, დღე – კი ათასწლეულს. ხახა გამიშრა. მამაჩემთან სიგარეტი ჯერაც არ მომეწია და ახლა, ნერვიულობისაგან ხახაგამშრალს, ერთი გემრიელი ჩაბოლება ფილტვებში და კიდევ უფრო ქვევით, კუჭის თავთავზე დაბოლქვება – ერთ ცხოვრებად მიღირდა. იმათ კი ორთავემ ერთად გააბოლეს. მე თვალები მივლულე,

რომ შეუმჩნევლად ღრმად ჩამესუნთქა – მამაჩემს იქნებ არც არაფერი ეთქვა, მაგრამ ვიცოდი, რომ არ ესიამოვნებოდა და მეც არ მინდოდა ვაჟკაცობა, ამ გზით მემტკიცებინა... თანაც ვიცოდი, რომ საფრთხე სხვა მხრიდან ელოდა. უხმოდ ამოვიოხრე და თვალი გავახილე. მამაჩემი ოთახში დაფრინავდა... დააბიჯებდა აქეთ-იქით. ხელებს ფრთებივით შლიდა და კეცავდა. ნათლიაჩემი თავჩაქინდრული აბოლებდა ჩუმად. მძიმედ იზიდებოდნენ ხელები და ისევ მძიმედ ეშვებოდნენ, ხოლო სხეული თითქოს უხილავ კედელს აწყდებაო, დაბორიალობდა დანისლულ სივრცეში შებინდებული დღისა. პასუხი ვერ მოენახა, თუ კითხვა ვერ დაესვა? არ ვიცი. მის ერთ-ერთ შემობრუნებაზე ნათლიამ თავი ასწია და შეაჩერდა თავის ქნევით. რაღაც შეთქმულებას უფრო ჰგავდა ეს კითხვა-გამოკითხვა გაბოლილ ჩამობნელებულ ოთახში...

„ჩაფლავდა"?!

სასოწარკვეთილი ვადევნებდი თვალს მამაჩემს, რომლის პაპიროსის წითელი თავი ხელების ქნევასთან ერთად ღვივდებოდა და ავისმომასწავებელი წითელი თვალივით მემუქრებოდა სიბნელიდან. არ ვიცოდი, რა იყო ასეთი სასამძიმრო ჩემს მოთხრობაში და ერთი ფიქრი მღრღნიდა – ოღონდ მალე გაათავონ და ჩქარა სთქვან, რომ არ მოეწონათ, რომ არაა ეს ლიტერატურა, რომ სირცხვილია და დასახევია და რომ ჯობია, ხელობას მოვკიდო ხელი ამის ჯღლაბნას და სხვა მისთანა, რასაც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე გულმოწყალედ. ნათლიაჩემმა რომ თავი აიღო, მაშინვე გავიფიქრე: „ახლა უნდა მოხდეს! ღმერთო, შენ მიშველე!"...

– დაგვღუპავს ეგ ბიჭი! ისევ გაშალა ფრთები უცხო ფრინველმა და ღონმიხდილი დაეშვა ხრიოკ ფერდობზე, – მაგას სწავლობს ეგ სკოლაში?!

– უნივერსიტეტში, ბატონო მამა! უნივერს ი ტეტ: რაიც შეიძლება ითარგმნოს ბაბილონურად – „სამყარო და თავი" ანუ უნივერსალლმაღი – მაგი – კაიმაგი – კაიმაღი – ანუ – უნივერსალური თავი ანუ უნივერსალურ ტეტიათა მაგიური ბაზარი, უბინონო; უნივერტეტმაღი, მაგიურნო... – ვხარხარებდი შუბლით და

კიდევ გავაგრძელებდი, მამაჩემის მართლაც შეშინებული მზერას რომ არ დაეჭირა და თავის ადგილას არ ჩაესვა ჩემი ავადაწყვეტილი თვალები.. სერიოზულად ყოფილა საქმე...

– ბიჭო! რამე რეალისტური დაგეწერა ჯერ, მარტივი და გასაგები. მშვენიერი ამბავი იქნება, ეგ რომ ნაცისტურ გერმანიაში ხდებოდეს... ფაშისტების ფორმა რომ ეცვათ და ხანდახან „ჰაილ ჰიტლერს"' რომ ყვიროდნენ... ანგრიონ მერე, რამდენიც უნდათ. ისე, ხომ ფაშისტებზეა დაწერილი? – იკითხა და თვითონვე ჩაიცა ლახვარი, – ჰოდა, შეაკეთე რეალისტურად, რას მალავ... მადლობასაც გეტყვიან, კიდეც დაგიბეჭდავენ და მამაშენსაც მშვიდად დაეძინება... ჩვენც სუყველას. ასე კი... ვიღაც ჩადის რაღაც ქალაქში... ათას კუდს გამოაბავენ მაგას... გიორგიც მეტად საეჭვოდ ყღერს... რას ერჩი შენს მშობლებს?

– მაგას ჯერ ტრაკით კაკალი არ უმტვრევია და რომ დასვამენ ერთი კარგად, მაშინ ნახავს... ჩვენ ვნახავთ სუყველა... ასწავლე ამათ წერა-კითხვა...

– რას მაშინებთ!.. მშვენივრად მიხვდით, რაზეც არის დაწერილი. მეტი რეალიზმი რაღა გინდათ: და საერთოდ, მე თქვენთვის არ დამიწერია, არც არავისთვის, ჩემთვის დავწერე. რომ არ აღმოგეჩინა, არც გეცოდინებოდა! – ტონი ზომაზე მეტად აწეული აღმოჩნდა და მამამ ვერ მოითმინა:

– მაგას არავინ გკითხავს, შენთვის დაწერე თუ არა. მოგადგებიან და ამ ქუჩას ერთიანად წაასხამენ შენი გულისთვის! – მერე უცებ ჩაცხრა, – გაიგე და ნუ გაქვს თავი ყავარზე გადებული – თავი კი არა, კუდი – მაგ ნორმალურ ადამიანებს აქვთ თავ-თავიანთ ადგილას, შენ უკუღმა გაქვს მოწყობილი, – რაც უფრო მშვიდდებოდა მამაჩემი, მით უფრო ვდუღდებოდი მე, მაგრამ მაინც თავს ვიკავებდი, რომ ისევ არ ავყვირებულიყავი.

– კარგი, კარგი, არც ეგრეა უკვე საქმე... აღარაა უკვე ის დრო. მაგრამ ამათ ხელში სიფრთხილე მაინც არ უნდა დაკარგო და მგელს თავი არ უნდა ჩაუდო ხახაში. უნდა, მაგრამ ამისთვის ყველას არ მოჰკიდებენ ხელს... – შთაგონებით თქვა ნათლიამ, – ადრეა ჯერ შენთვის ასე წერა.

მე ვიფეთქე:

– დამფრთხალი ხართ თქვენ სუყველა, ერთხელ შეგაშინეს და ახლაც სველ ზეწარში იღვიძებთ... მადლიერების გრძნობით. მთელი ცხოვრება სულ ეს მესმის – ჩუმად! ხმა არ ამოიღო! ხალხში არ ილაპარაკო! არავინ გაგიგოს! არავისთან არ წამოგცდეს! არავის არ აჩვენო! არავის არ წააკითხო! ა, ბატონო, ჩუმადაა ნათქვამი, ჩემთვის, ჩურჩულით... – „ღმერთო, რამდენჯერ ავუკრძალე ჩემს თავს, მეთქვა ეს მათთვის, უფროსებისათვის, ყველასათვის... რამდენჯერ დავამუნჯე ენა, რომ დამეცვა ჩემი მშვენიერი სამყარო მარტოობის თავისუფლებისა... რაღა დროსია... შეენგრა ციხეს კარები...“ – ვიკვნეტდი ენას, მაგრამ მაინც დავამთავრე ქუხილი...

– ა, ბატონო! წეროს თავისთვის, ქვებს ხომ მაინც არ ისვრის ქუჩაშიო... ქვების სროლაზე უარესი არ არის ეს? უნდა დამეწვა მაშინვე... – ეს უკვე არც უნდა წამოსცდენოდა და თვითონაც მიხვდა, რადგან აღარ დაფრინავდა ფრინველი უცხო სივრცეში. იჯდა თავისთვის საცოდავად და კანკალებდა სიბნელეში...

– მოდი, ასე ვქნათ, – იპოვა გამოსავალი ნათლიამ, – მაინც ნუ აჩვენებ მაგას ჯერ ნურავის, გადააკეთე, დამიჯერე. იყოს ფაშისტებზე და გერმანელებზე, რა გენაღვლება, აშკარად და ერთაზროვნად; მერე დავჯდეთ, წავიკითხოთ და პატიოსან სიტყვას გაძლევ მე თვითონ დავაბეჭდინებ. კარგი?!

– ...

– კარგი?!

– კარგი, – ვთქვი მე.

მაგრამ სიტყვის შესრულებამდე ჭაბუკური ამპარტავნობითა და რაღაც შინაგანი უტეხობით თუ თავდარწმუნებით, ანუ ჯინიანობით, ან იმ ღამის გამაფრთხილებელი „დამეწვას“' გამოც მივუტანე მოთხრობა ნაცნობ რედაქტორს „ცისკარში“. „ცისკარი“ ახალდაარსებული იყო და ყველასათვის ერთგვარი შემობრუნების ნიშანსვეტს წარმოადგენდა. როგორც იქნა, ახალგაზრდებს თავიანთი ჟურნალი ეღირსათ! ჩემი ნაცნობი რედაქტო-

რი კი ადრე გადასახლებული იყო. მისი რედაქციაში მისვლა ასევე „ახალქარების“ ნიშნად აღიქმებოდა. ხოლო, რადგან *სისტემა* ყველაზე მეტად სიტყვას უფრთხოდა, ამგვარი სიახლე მთელი *სისტემის* შეცვლას მოასწავებდა...

როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ შევუარე, ნაცნობმა ოთახში კი შემიშვა, მაგრამ კარები ისე ჩაკეტა, რომ ვიფიქრე, ველარასოდეს გავალ-მეთქი აქედან. იგი თავის მაგიდას მიუჯდა და მომაშტერდა. არ ვიცი, რა ამოიკითხა ჩემს ცარიელ სახეზე, მაგრამ უცებ სწრაფი ჩურჩულით მომაყარა: „ძალიან გაგირეკია! ევროპაში ხომ არ გგონია უკვე შენი თავი. რუსეთია აქ! (საქართველოა, – ჩავურთე და – კიდევ უარესიო, – მომიგდო და განაგრძო). ამის გულისათვის არც შენ, არც ჩემ თავს არ გავაფუჭებინებ. თუ ძმა ხარ, ძმურად გირჩევ (მამად გერგები, ხომ იცი), ნუ გადააყოლებ მაგას თავს და ჩვენც ნუ აგვიტეხ ხიფათს. აღარაა მაგის დრო ახლა... სხვა გზითაც შეიძლება სიარული... მაგ რომ ვინმემ გვინახოს აქ, დაბეჭდვას ვინ ამბობს, დაგვხურავენ იმ დღესვე... დაგვიხურავენ ამ სიმწრით მოპოვებულ ჟურნალს და ერთ მოთხრობას, გენიალურიც რომ იყოს, ვერ გადავაყოლებთ ამას: ძლივს რაღაცა გველირსა... ისე, იცი, რას გეტყვი – ძალიან ჩქარობ. ნელა შემოხვიდე, ჯობია...

მაგრამ ჭაბუკი რის ჭაბუკია, ერთმა შეგონებამ რომ გასჭრას და თუგინდ, ორმა. თანაც უკვე გამოსული ვიყავი ჩემი ყარიბული კოშკიდან და უკან შებრუნებისათვის საკმარისი იმპულსი არ მქონდა მიღებული ჯერ.

– პატიოსნად გეტყვი, მე არ მომწონს ასეთი რამეები. ამოვიდა ყელში ამდენი ომი და ფაშისტები, ნაცისტები, კაპიტალისტები, და საერთოდ, ყველაისტები. ადამიანური რამე დაწერეთ, ადამიანური. ასეთი მშვენიერი ჟურნალი მოგცეს. ნახე სხვებისა, არ ღირსებია ჩვენს პროზას ასეთი გამოცოცხლება... ნახე, ნაღდი ჰემინგუეია... შენ კი რაღაცეებს იგონებ, რაღაცას ფილოსოფოსობ... იფიქრე ამაზე... ხომ არ გწყინს?

არა, როგორ მწყინდა, მხოლოდ მახრჩობელა მეჯდა ყელში და ხმას არ მაღებინებდა...

– შენ, ბაბაია, ნუ დააკონწიალებ მაგას აქეთ-იქით, თუ არა, გადეეყრები მომკალს და ჩაგძირავენ, ბაბაია, და რაზე წირავ თავს, წინ დიდი ცხოვრება გაქვს. არ შეცვლილა არაფერი, არ დაიჯერო. ტყუილია აგი. ისწავლე, ჯობია, ისტორია იყოს თუ გინდა, რასაც ისწავლი, შენზეა... „დამიჭერენ და დამიჭირონ, მე ხომ ჩემსას ვიტყვი! შენც ხომ შენი ქენი თავის დროზე..." – ვფიქრობდი გამოწვევის ჟინით შეპყრობილი, მაგრამ ამ უკანასკნელ შეგონებას უფრო ვენდობოდი, რადგან ისეთი კაცისაგან მოდიოდა, რომელსაც ვერც შიშს დასწამებდი და ვერც მხდალობას. თავისი ოცწლიანი გადასახლებიდან სრულიად შეულახავი ჩამოვიდა, ბიძაჩემთან იჯდა კარგა ხანს და მასთანვე გავიცანი. მასზე ბევრად ახალგაზრდა იყო, ცხადია. ამიტომაც, უკანასკნელ ჯებირად იგი ავირჩიე, როდესაც „კეთილმოსურნეთა" კედელი ისე დავინროვდა, რომ თავის უბრალო გაქნევაც კი შეუძლებელი გახდა. ბიძაჩემი ხმას არ იღებდა, ოღონდ თავიდანვე ისა თქვა: „შენ განსაჯე ყოველივე და შენვე აგე პასუხი, ოღონდ სხვებს არ უნდა დაუშავდეს!" ეს კანონი თავიდანვე იყო დადგენილი ჩვენს შორის და ამიტომ გამეორება მხოლოდ გაფრთხილებას უდრიდა. მაშინ გამახსენდა ნათლიაჩემისათვის მიცემული სიტყვა და გადავწყვიტე გადამეკეთებინა „მარტორქა". თქმა ადვილია და გაკეთებისა კი რა მოგახსენოთ... თავცარიელი ჩავშტერებოდი თვეობით ფურცელს, სათაურებსაც ვარჩევდი: ხან „მარტორქა" ხან „მარტორქები", ან კიდევ „მარტორქების გარდასახვები", ლათინურიც მოვიშველიე და დავარქვი „კაპრისეროს რინოკორნიენსის" და სხვა და სხვა, მაგრამ გული სველი მქონდა და თავი ცარიელი, ვიდრე, არ ვიცი რანაირად, ერთი გერმანული სიტყვა ამეკვიატა „შთ" – შიში, უპირობო, ექსისტენციალური შიში, შინაგანი ძრწოლა, სიღრმითი, ყოფიერების წინაშე, რომელიც აიძულებს ადამიანს, ან ჩაიძიროს უპიროვნობაში, მოკლას არსება, იქცეს ცხოველად ან მოკლას თავისთავში ეს ძრწოლა, ეს მისწრაფება უპიროვნობისაკენ...

ცოტა ხნის შემდეგ „მარტორქა" ასე გადაიწერა:

ანგსტზოონ

დასაბამიდან, როდესაც გიორგი, დაღლილობისაგან ძლივს რომ მიათრევდა ფეხებს, სასტუმროს კარებს მიადგა, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, რამდენ ხანს დარჩებოდა ამ საინტერესო და თავისთავად – როგორც მას უამბეს (თუმცა აღარც კი ახსოვდა, ვინ ურჩია პირველად, თავისი მოგზაურობა ქვეყანაში სწორედ აქედან დაეწყო) – ქალაქში. მან არაფერი არ იცოდა ქალაქის შესახებ და გზაზედ, მისკენ მიმავალი, მორიდებით გამოიკითხავდა ქალაქის ამბავს თავისი შემთხვევითი თანამგზავრისგან. თანამგზავრი იგი ასევე მიემართებოდა ქალაქისაკენ და ერთხანს ისინი ერთად მიდიოდნენ, ვიდრე კაცი არ ჩაეკვეხა გადაჭედილ ავტობუსში. ამ ხანშიშესულმა კაცმა არ მოახდინა გიორგიზე კარგი შთაბეჭდილება. პასუხებს აბნეულად იძლეოდა და, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის ფიქრებიდან გამორკვეული, გაიგონებდა გიორგის შეკითხვას და საჭიროდ მიიჩნევდა პასუხი გაეცა მისთვის. იგი აშტერდებოდა გიორგის სახეს და, შემდეგ, მზერაგანყენებული და სადღაც შორს გამცქერი აქნევდა თავს: ჰო! ჩვენთან საუცხოოა! – ამბობდა იგი.

შემდგომ, თითქმის მთელი დღე, გიორგი მარტო მიდიოდა და ატარებდა გაჭედილ ავტობუსებსა და სატვირთო მანქანებს, თვალწინ ამოზრდილი ქალაქისაკენ რომ მიჰქროდნენ მტვრის ბუღში გახვეულები. ქალაქი ახლოვდებოდა და ნივთიერი ხდებოდა თანდათან. ქალაქში გიორგი არავის იცნობდა და მისი ვარაუდით, შეეძლო ორი-სამი დღე დარჩენა, რაც სრულიად საკმარისი იყო მის გასაცნობად, მითუმეტეს, რომ შვებულების დარჩენილი დღეების განმავლობაში სხვა ადგილთა ნახვაც ჰქონდა გადაწყვეტილი. მერე კი, სახლში, სამშობლოში დაბრუნება და მუშაობა... თუმცა ახლა, ნომერში შესულს, მიაგდო რა ბარგი და გაიშოტა ქათქათა საწოლზე, მხოლოდ ერთი სურვილი ჰკლავდა – ძილი.

სამიოდე დღის განმავლობაში გიორგი საკმაოდ მოშინაურდა ქალაქის გარემოში და მკვდარი ქალაქის (ასე უწო-

დებდა იგი უნაცნობებო ქალაქს, რომელშიც ადამიანები მოძრავ საგნებს წარმოადგენენ, უპიროვნო ნივთების გროვას, შერწყმულს მათ მიერვე შექმნილ გარემოცვასთან) სრული დათვალიერების შემდეგ, იოლად შეეძლო წარმოედგინა, თუ რა ხალხი იდგა ამ ქუჩების, მოედნების, სახლების და ავეჯის უკან. კონტაქტში იგი არავისთან არ შედიოდა და ორიოდე წინადადებით გამოლაპარაკების გარდა, არც არავის დალაპარაკებია. ეს მდგომარეობა მას განსაკუთრებით იზიდავდა მოგზაურობისას – განმარტოება და თავისუფალი დინება საკუთარი ფანტაზიისა – რასაც სრულიად იყო მოკლებული თავის მშობლიურ გარემოში მშობლებით, ნათესავებით, მეგობრებით, ამხანაგებით, ნაცნობებითა და მეზობლებით გამოჭედილ სინამდვილეში.

„ამათ ჰგონიათ, ზედმიწევნით ჩამალეს თავიანთი ნამდვილი სახე ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ ნილაბში. ჰხეხე! თქვენ ამას შესაძლოა, ყურადღებას არ აქცევთ, იმიტომ, რომ გგონიათ, მარტო თქვენა ხართ ამ ქვეყანაზე და თქვენი ნილაბია საკმარისი იმისათვის, რომ სხვამ შიგ არ ჩაგხედოთ, და არ ამოიკითხოს რაიმე ისეთი, რასაც ნილაბი ვერ უშველის; ყველაფერს, რასაც თქვენს ირგვლივ თავს უყრით, თქვენივე დამღა ადევს, თუნდაც იმ პორტფელს, დიდის ამბით რომ მიაქანებს ყველას დასანახავად „თქვენი კეთილშობილება"... თქვენ კი გგონიათ, რომ ყველაფერი თქვენს ხელთ არის. ჰხეხე!..."

გიორგი ვერ მიმხვდარიყო, რამ აღუძრა ასეთი უცნაური ფიქრი, ან რას ერჩოდა იმ პორტფელიან კაცს – ალბათ, მასწავლებელს, ან ბუღალტერს ან კიდევ უნივერსიტეტის პროფესორს სულაც, რომელსაც სიმსუქნისაგან სამი ფენა ნიკაპი და ცხვრის დუმასავით ჩამოკიდებული ღაბაბი ჰქონდა. მოულოდნელად მკვეთრად მოხაზულ თავზე, გაუკეცავი შლიაპა რომ ამშვენებდა. ან სხვის მიმართ რა ამოძრავებდა? უნდა ითქვას, რომ გიორგის ახასიათებდა ამგვარი მოულოდნელი წამოქროლვა მოუწესრიგებელი და თითქოს უმიზეზო განწყობისა, რომელიც ბოლოს რაღაც კონკრეტულ მოქმედებაში

თუ მოვლენაში სახიერდებოდა, მაგრამ ეს იყო იქ, სახლში, აქ კი, ამ უცხო ქალაქში, უცხო ხალხის გარემოცვაში ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო მისთვის და ოდნავ შემაშფოთებელიც. ცხადია, ასეთი ფიქრები არც უსაფუძვლოდ მოუვიდოდა თავში, რაღაც რომ არ ეგრძნო. შეიძლება, ეს იმ მტრული ატმოსფეროს გამოძახილი იყო, რომელსაც უცხოელისადმი ავლენდა გარემო, თუმცა, კონკრეტულად მისდამი არც არავინ ყოფილიყო მტრულად განწყობილი.

ქუჩა, რომელზედაც ის მიდიოდა, მკრთალად იყო განათებული ჩამავალი მზის სხივებით. ამგვარი განათება ყოველთვის მოსწონდა გიორგის. ეს დროც, რადგან ყველაფერი განსაკუთრებული ელფერით იმოსება იდუმალ მოლოდინში. ეს გრძელდება სულ რამდენიმე წუთს და შემდეგ სწრაფად იწყებს დაბნელებას. ქუჩის ზედაპირზე გრძელი ჩრდილების ხლართში განუწყვეტლივ მოძრავ ხალხს მწუხრის დაღლა ეტყობოდა – გრძელ ჩრდილებს ზოგი ლასლასით მიათრევდა თავის უკან, ზოგსაც კი წინ გაეგდო ისინი და გამალებით ერეკებოდა. ჩრდილები ეჯახებოდნენ ერთმანეთს, გვერდს უვლიდნენ, ესალმებოდნენ, კიდეც ეხვეოდნენ და სწრაფად სცილდებოდნენ, უვნებლად. ზოგი მათგანი ერთ რიგში ჩამწკვრივებული არც ცდილობდა განცალკევებას და ასე მიიზლაზნებოდა უფორმო წანათხაპნად ასფალტზე. აქა–იქ ნაადრევად აანთეს შუქი. გიორგიმ წამით თვალები დახუჭა. ყოველივე უცვლელად იყო. ეს ხალხი, ეს მოძრაობა, ისიც, რომ თვითონაც საიდანღაც ბრუნდებოდა დაღლილი, ნაცნობი ქუჩა. მას შეეძლო ასე თვალდახუჭულს ეარა ბოლომდე – თავისი სახლის კუთხემდე... „ რა მოხდება, მეც რომ აქ დავრჩე? მივეჩვევი, ხალხს გავიცნობ, მეგობრები მეყოლება, მერე ვინმეს შევეყრები, ან მე შემეყრება ვინმე... შემიყვარებს კიდეც... ვიქნები აქ ჩემთვის..." მის წინ მსუქანი კაცი მიდიოდა ახლა, პორტფელით ხელში. ახალთახალი პორტფელით, რომელიც ეს წუთია, შეიძინა მაღაზიაში. გიორგიმ დაინახა, როგორ გამოვიდა მსუქანი მაღაზიიდან, დაჭმუჭვნილი ქაღალდები ურნაში ჩააგდო და მის წინ ჩადგა ქუჩის გრძელ რიგში. შინაგან-

გაამაყებული. ჯამაგირი მოუმატეს. ახალ კაბინეტში გადაიყვანეს. სადოქტორო დაიცვა... გიორგიმ უეცრად აღმოაჩინა, რომ მათი ჩრდილები საოცრად და უცნაურად ემთხვეოდნენ ერთმანეთს, თუმცა სინამდვილეში გიორგი მსუქნის ნახევარი თუ იქნებოდა. ამით დაინტერესებული გიორგი თვალმოუშორებლად მიჰყვებოდა მსუქანს და სწავლობდა მის ჩრდილს. მსუქანი არც ისე უგრძნობელი აღმოჩნდა და რამდენჯერმე იგრძნო გიორგის ჩაჟინებული მზერა. შეშფოთებით მოხედა და გზა განაგრძო. რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს და მერე უეცრად გაქვავდა ისე მოულოდნელად, რომ გიორგი კინაღამ შეასკდა მას და უხერხულობისაგან უაზროდ მიაშტერდა მსუქნის ღაბაბს, რადგან თვალებს ვერ მიაგნო. მსუქანის მზერა გიორგის მიღმა იხედებოდა და ენადაბმულს სახე უთრთოდა ისე, რომ გიორგის ფოკუსის დაჭერა უძნელდებოდა. თვალებს რომ მიაგნო, უცებ საშინელი ყვირილი გაიგონა და სანამ გონს მოეგებოდა საერთო ალიაქოთისაგან, თავს რომ დაატყდა ყოველი მხრიდან, და მობოდიშებას მოასწრებდა, გვერდში შემზარავი დარტყმა იგრძნო და ჰაერში ავარდნილი მთელი ძალით დაასკდა ასფალტს გონდაკარგული...

გიორგი ნელა აცურებდა მზერას კედელზე მის წინ. მთელ ტანში ამტვრევდა. თავი შუშასავით ჰქონდა. შემთხვევითი მოუხერხებელი მოძრაობისაგან შეიძლებოდა დამსხვრეულიყო ნაკუწებად. მან ხელი შეახო შებინტულ მკერდს და გვერდში გაელვებულმა საშინელმა ტკივილმა მიახვედრა, რომ ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული. მზერა საწერ მაგიდასთან ჩამოცოცდა და მან იცნო იგი. ეს მოულოდნელი იყო და სასიამოვნოც. მან სწრაფად დახუჭა თვალები და მოგონება თბილად გაელვარა მთელს ტანში, წამოქროლვით. მაგიდას ლომის ფეხები აქვს. ცხადად ჩანს ეს მასიური მაგიდა ბრინჯაოს ლომის ფეხებზე. ბავშვს მიაყუდებენ მაგიდას. იგი კრუსუნებს და ქვედა ტუჩის გადმობრუნებითა და ზედას მოკუმშვით აჩვენებს, რომ მზადაა, ატირდეს. ეშინია. მას ეძახიან თავისკენ, მაგრამ მას არ შეუძლია, მოსწყდეს მაგიდას, ჩაფრენილი მის კიდეს, როგორც დედის კალთას. ამ მაგიდაში ინახავს მამა

თამბაქოს. აფენს რამდენიმე ფენად, ხოლო ფენებს შორის მსხალს დებს. ან კომშს. რამდენიმე ხნის შემდეგ ხილი გახმება, თამბაქო კი აივსება კეთილსურნელოვანი არომათი. ტკივილის მიუხედავად, გიორგიმ ღრმად შეისუნთქა. იგი თვრებოდა ამ სურნელებით.

მოსცილდა თუ არა ბავშვი მაგიდას?

გიორგიმ თვალები გაახილა და ჭერის კუთხეს მიაშტერდა. რუხი, ხშირი აბლაბუდის შუაში ეძინა დამტვერილ ობობას.

– უკვე გაიღვიძა, ალბათ...

– დაანებე თავი, დაისვენოს...

გიორგიმ თვალები დახუჭა. უცნაური იყო ამ ხმების გაგონება. ასეთი ნაცნობის და შორეულის. თუ იგი მკვეთრ მოძრაობას არ აკეთებდა, ტკივილი სავსებით ყუჩდებოდა და მას შეეძლო მისცემოდა დაჟინებით მოწოლილ ფიქრებსა და მოგონებებს. ყოველივე, რაც მის თავს გადამხდარა გარკვეულ დრომდე, მას შესანიშნავად ახსოვდა. მაგრამ აი, ქალაქში შემოსვლის მომენტიდან მოგონებები იბინდებოდნენ, მეხსიერება ნისლში ეხვეოდა და, თითქოსდა ღამიდან მანქანის ნათურებით ამოგლეჯილს, ხედავდა იგი თვალწინ ქალაქის ცხოვრების სურათებს, აღბეჭდილს მის მეხსიერებაში. მაგრამ რომელი ქალაქია ეს – ვერ გაერკვია.

იგი არ იყო ფანატიკოსი და არც მისტიკოსი – სრულიადაც არა... ბავშვობასა და სიყმაწვილეში იგი არცთუ ექსპანსიური იყო, მცირედ მოლაპარაკეც კი, მაგრამ არა მორცხვობისა ან მოღუშული უკაცურობისაგან, არამედ რაღაც სხვა, რაღაც თითქოსდა შინაგანი წუხილისაგან, პირადად მისი, სხვებისადმი შეუხებელის, მაგრამ მისთვის იმდენად მნიშვნელოვანის, რომ იგი ივიწყებდა მის გამო სხვებს, თითქოსდა. მაგრამ მას უყვარდა ადამიანები. იგი, ჩანდა, მთელი ცხოვრება ცხოვრობდა ადამიანებისადმი სრული მინდობით, ხოლო მაინც არავინ არ თვლიდა მას არც გულუბრყვილო კაცად და არც „პროსტაკად". რაღაც იყო მასში, რაც ამბობდა და შთააგონებდა (მერეც, მთელი ცხოვრება), რომ მას არ სურს იყოს ადამიანთა მსაჯული, რომ მას არ მოუნდება იტვირთოს ვინ-

მეს გმობა და არაფრის გულისათვის არ განსჯის. ჩანდა, თითქოს იგი ყველაფერს უშვებდა, სრულიად განუსჯელად და დაუგმობლად, თუმცა, ხშირად, ძლიერ სევდიანობდა. ყველაფერი, რაც მას ამჟამად შეეძლო გაეხსენებინა თავისი ცხოვრების შესახებ, ლაპარაკობდა ნათელ, გაწონასწორებულ და დადებით პიროვნებაზე, რომელიც თავისი, ზომიერად სულიერი, მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა. არაფერი არ არღვევდა ამ მშვიდ მდინარებას, თუმცა, თითქოსდა ამდენი რამე მოხდა ირგვლივ: განვლო ომმა და დაბრუნდა მისი ორი ბიძია: ერთი – ფრონტიდან, ორდენებით გაჭედილი, გენერლის სამხრეებითა და ლამპასებიანი შარვლით. მას ყველა ესალმებოდა და გამუდმებით დაჰყვებოდა ადიუტანტი. მეორე – გადასახლებიდან. პირველად მან ის დაინახა ლამფის შუქში. ლამფა მაგიდის შუაში იდგა და ძლივს აშუქებდა მას. იგი იჯდა შორეულ კუთხეში და შაქარს ადნობდა ჭიქაში კოვზის მორევით. კოვზი ეჯახებოდა ჭიქის კედლებს და არაკუნებდა; და ეს ხმა მას ისეთი მაღალი ეჩვენა, რომ ყურები დაიცო ხელებით. ახლა გიორგიმ ყოველივე ეს თავის წინ დაინახა: ეს ჩაბნელებული ოთახიც, უზარმაზარი მაგიდაც, ლამფაც და ეს ხმაც, გამომავალი მაგიდის ნახევრად ბნელი კუთხიდან, და მისი თვალებიც. იგი არ იცნობდა მას. მერე ყველამ დაიწყო გარდაცვალება, მაგრამ ამან არ შეარხია მისი ცხოვრების ზომიერი და მშვიდი მდინარება და არ შეცვალა მისი ხასიათი. სკოლის დამთავრების, და უნივერსიტეტისაც, შემდეგ სამსახურში ჩადგა და ოჯახს მოეკიდა და შეიძინა ის, რასაც შეიძლება ეწოდოს „საზოგადოებრივად მყარი მდგომარეობა“ და უეცრად, ამგვარი მოწყვეტა! იგი ცდილობდა აღედგინა ყოველივე თავსგადამხდარი, მაგრამ სურათები და ხილვები ნაკუწებად ჩნდებოდნენ და არ ლაგდებოდნენ ლოგიკურ სისტემად და ეს კიდევ უფრო ძაბავდა მას, ხოლო დაძაბული, იღლებოდა და ძალაგამოცლილი იძირებოდა ძილში. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე. იგი ცხოვრობდა რაღაც სივრცულ აპკში გახვეული, რომელიც მოქსოვილი იყო მოგონებების, ხილვების, განცდების, სიზმრებისა და ხმებისაგან, რომლებიც

სწვდებოდნენ მის მთვლემარე სმენას. გიორგიმ თვალი გაახილა და კედელზე ჩამოკიდებულ თოფს გააყოლა მზერა იმ მიმართულებით, საითაც პირი იყო მიშვერილი. ბუზები ასკდებოდნენ სივრცეს აბლაბუდაში. ობობა ჭრელი იყო ოდესღაც.

– უკვე ღვიძავს, ალბათ! – შემოუვარდა ყურში ხმა.

– იყოს, დაისვენოს კიდევ. – თქვეს სილრმიდან.

გიორგიმ თვალები დახუჭა. მერე იგრძნო, რომ ვილაც უყურებდა დაჟინებით და თავს ძალა დაატანა, რომ არ გამოეხედა. შემდეგ კი, როდესაც მზერა მოსცილდა, ის უკვე თვლემდა, რადგან დაიღალა და ძილი უფრო მოუნდა, ვიდრე სხვა რამე...

როდესაც კაცი, რომელიც გიორგის დასცქეროდა თავისი წვრილი, ნაცრისფერი, მსუქან ღაჟღაჟალოყებიან სახეში ღრმად ჩასმული და პატარა ცხვირით ურთიერთგაცალკავებული თვალებით, დარწმუნდა, რომ ავადმყოფს ეძინა, ის ნელა შემობრუნდა და რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მისი უზარმაზარი და ზანტი სხეულისათვის, ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში და კარი მიკეტა.

ეს ოთახი ოდნავ უფრო პატარა იყო და მხოლოდ ერთი ფანჯარა ჰქონდა, რომელთანაც ახლა მაღალი, ძვალხმელი კაცი იდგა და ქუჩას გადაჰყურებდა. ქუჩა ცარიელი იყო და ხმაური, რომელიც ავსებდა იქაურობას, გაურკვეველ შეგრძნებას იწვევდა მასში – რაღაც ნარევს მშფოთვარე დაძაბულობისა და კუჭის გვრემისა. ოთახის ერთ კედელთან იდგა დიდი კარადა, რომელიც მთელ კედელს იჭერდა; პირდაპირ იდგა შავი, პატარა როიალი; ოდნავ მოშორებით, ბუხართან, ორი ღრმა, მაღალზურგიანი სავარძელი. სავარძლებს ტყავი გაცრეცილი ჰქონდა და ჯდომისაგან საჯდომის შუაგული მრგვალად ჩაზნექილი. ერთზე ეს წრიული კვალი უფრო ფართო და ღრმა იყო, მეორეზე მცირე და ნაკლებ ჩაზნექილი. კარადასა და როიალს შორის, იატაკზე გაცრეცილი სპარსული ხალიჩა იყო დაფენილი. ახალშემოსულმა ერთხანს ყური მიაპყრო ხმაურს, რომელიც ქუჩიდან მოდიოდა და სახეზე შეშფოთება დაეტყო.

ფანჯარასთან მდგომმა, როგორც ჩანს, იგრძნო მისი ეს შეშფოთება და შემობრუნდა.

– სძინავს?! – თქვა მან და სავარძელში ჩაეშვა. მსუქანი მის პირდაპირ ჩაჯდა უხმოდ. ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ამ სიჩუმეში იყო რაღაც საერთო ორივესათვის და ისინიც გრძნობდნენ ამას უთქმელად, რადგან ჯერჯერობით ვერავითარი ფორმა ვერ მიეცათ თავისი განცდებისათვის და მხოლოდ იცოდნენ, რომ ორივეში იბადებოდა ეს სიჩუმე, რომელიც მთელს ოთახს ედებოდა და სადღაც ფანჯრის რაფაზე იბუდებდა და აწვებოდა ფანჯრებს, რომელთა იქით კვდებოდა ქუჩასმოდებულ გამაყრუებელ ხმაურში. ამ სიჩუმეში ოთახის სივრცეც იზრდებოდა და ნივთები ჰკარგავდნენ თავის კონკრეტულ მოხაზულობას. ყველაფერი ისე შორს იყო და ოთახში არავითარ ადგილს არ იჭერდა ამ წუთში, როგორც შეუმჩნევლად შემოწოლილი სიბნელე, რომლიდანაც მოულოდნელად უცნაური ღრუტუნით შემოვარდა ოთახის სიცარიელეში ვეება ცხოველი და პირდაპირ მსუქანისაკენ გაექანა. გავიდა წამი... მეორე... მსუქანი, გაშეშებული, თანდათან დაპატარავდა და თავის სავარძელში მოიკუნტა. ცხოველი ახლა მთელი სისწრაფით მოექანებოდა მისკენ და ღრუტუნსაც უმატებდა. თუმცა ჯერ კიდევ კარგა შორს იყო...

– გ-გ-გგიორგი! – წამოიყვირა სახეგამქრალმა მსუქანმა სავარძლის სიღრმიდან.

– მითხარი რამე, გიორგი? – თავი ასწია გამხდარმა, რომელიც თავის ფიქრებში წასული ვერაფერს ამჩნევდა სიბნელეში.

მსუქანი ჯერ კიდევ კანკალებდა და ხმა ვერ ამოეღო. ცხოველი განაგრძობდა ღრუტუნით მოახლოებას.

– გიორგი, რა დაგემართა?! – წამოიძახა შეშფოთებით გამხდარმა, რომელმაც უეცრად დაინახა, როგორ მოკუნტულიყო სავარძელში გიორგი და მთელი სხეულით ცახცახებდა კბილების რაკუნით. იგი წამოდგა და სინათლე ჩართო. გარეთ ბნელოდა. ცხოველი კედლის იქით დარჩა და მან ძლივს დაიმორჩილა აცახცახებული ყბა, რომელიც მთელ სახეს უთა-

მაშებდა და ცოტა დაწყნარდა. მერე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ქუჩის სიბნელიდან ორეული შემოაშტერდა და ერთხანს მას მიაშტერდა უაზროდ. გიორგი გაკვირვებული განაგრძობდა კედელთან დგომას სინათლის ჩამრთველზე ხელჩაფრენილი. ფანჯარასთან მდგომ გიორგის სახე და ტანი დაეძაბა ისე, რომ ქონით საიმედოდ დაფარული ძარღვებიც კი დაებერა კისერზე. მან თითი გაიშვირა თავისი ორეულისაკენ და უცებ წამოიყვირა:

– გიორგი! გესმის?! გიორგი!..

გიორგი იჭვნეულად მიუახლოვდა მას და ყური მიუგდო ხმაურს. მერე გიორგის დააკვირდა, რომელსაც ახლა ყური ფანჯრის მინაზე მიედო... – სამარისებური სიჩუმე. მან ფანჯრის საკეტები გახსნა და სწრაფად გააღო ფანჯარა. გიორგიმ ინსტინქტურად უკან დაიხია. ხმელმაც გააკეთა რაღაც მოძრაობა – ქუჩაში სრული სიჩუმე იდგა. ისინი ერთხანს უგდებდნენ ყურს ამ სიჩუმეს, რომელმაც ახლა გარეთ დაისადგურა, სადღაც მათ მიღმაც.

– ის კაცი რომ არ იწვეს ოთახში, ყველაფერი ეს მოჩვენება მეგონებოდა, – გიორგიმ ფანჯარა ჩაკეტა და ოთახი ქუჩას გამოეყო.

– იქნებ გათავდა?.. ყველაფერი გათავდა... ჰა! გიორგი! იქნებ მოჰკლეს... იქნებ მართლა მოჩვენება იყო... ჰა! ჩვენ კი შევშინდით... ჰა! – გიორგიმ უეცრად მთელი სიღრმით შეიგრძნო ის დაძაბულობა, რომლითაც აქამდე თავს იჭერდა გიორგი, რომელიც ახლა ანგარიშმიუცემლად წარმოსთქვამდა სიტყვებს და ხელებს კრუნჩხავდა. იგი შეშინდა მისი ამგვარი მდგომარეობით და მხრებში ჩაფრენილმა მაგრად შეანჯღრია.

– გიორგი! რა გემართება! გ ი ო რ გ ი ! ..

გიორგი მოეშვა და მსუქანი ტანით სავარძელში ჩაიღვარა, სახე დაეღალა და მოეღრუბლა. ახლა ის სრულიად გამოფიტული იყო, თავი უვარდებოდა, თვალები ელულებოდა და უნდოდა ძილი. გიორგიმ ფრთხილად შეაღო მეორე ოთახის კარი, სადაც ისევ მშვიდად ეძინა გიორგის. მერე ტახტზე ლოგი-

ნი გაშალა და უკვე ჩათვლემილი გიორგი ძლივს გადაათრია ზედ. თვითონ ნოხზე დაიგო და სინათლე გამორთო.

გიორგი ხედავდა, როგორ ამოძრავდა კედელზე ჩამოკიდებული თოფი, მერე კარების დახურვის თუ გაღების ხმა გაიგონა და ის იყო, უნდა წამომდგარიყო, რომ თოფმა, რომელიც თითქმის მთელი საუკუნე ჩამოულებლად ეკიდა კედელზე, რაშიც გიორგი ღრმად იყო დარწმუნებული, რადგან ხელშესახებად გრძნობდა ამ საუკუნოვან მანძილს დროისა და თოფის მასში არსებობას, რამდენიმეჯერ მძლავრად იჭექა. ტყვიები ნელა შეცურდნენ ჰაერის სქელ მასაში და კუთხეში ჩამოკიდებულ ქსელში გაიხლართნენ. ჭერში მტვრის კორიანტელი ავარდა, ობობა კი გაუნძრევლად იწვა თავის ქსელში და აინუნშიაც არ აგდებდა ამას. თოფმა კედელზე წრე შემოხაზა და ისევ დაიქუხა რამდენიმეჯერ, ვიდრე გიორგისაკენ დამიზნებულ მდგომარეობაში გაჩერდებოდა. გიორგიმ სწრაფად წაიხურა საბანი თავზე, რომ მტვრის სქელი ფენისაგან დაეცვა თავი, მაგრამ სული შეეხუთა და ისევ გამოყო თავი. მტვერი ჩადგა. გიორგის თავზე ნელა ქანაობდა წვრილ ძაფზე ჩამოკიდებული დიდი ობობა. შეშინებული გიორგი ვერ ინძრეოდა თავის ლოგინში და ნელა აყოლებდა თვალს მის ქანაობას. ობობას გაშეშებულ მზერაში ასახული გიორგის შიში ობობაში მოახლოებული მსხვერპლის სიხარულის ნაპერწკლებს ათამაშებდა და უფრო მეტი ხალისით ასერინებდა სივრცეს გიორგის თავზე და მას ეჩვენებოდა, რომ აღარც კედელი იყო მის წინ და აღარც ჭერი მის თავზე. ობობაც უხილავი ძაფით ჩანდა გადაბმული ჰაერთან და აქეთ-იქით აწყდებოდა, ვიდრე არ ჩამოვარდა და გიორგის ფართოდ გახელილ მარცხენა თვალში არ ჩაეშვა...

როდესაც გიორგი ოთახში შემოვიდა, გიორგი ლოგინზე იყო წამომჯდარი და გახელებით ისრესდა თვალს. იგი საწოლს მიუახლოვდა შეუმჩნევლად.

– დილა მშვიდობის...

მოულოდნელობისაგან გიორგი შეხტა. სიზმრისაგან ვერგამორკვეული, ადამიანის ხმის გაგონებამ შეაშინა.

– გამარჯობათ... – გაიმეორა გიორგიმ. გიორგი თვალს არ აშორებდა მას და თავით ფეხებამდე ათვალიერებდა საღად დარჩენილი თვალით. მეორე ისევ სტკიოდა და ცდილობდა თვალში ჩავარდნილი სხეულის ამოღებას.

„ვინ არის?! ხმა უსათუოდ მისია, თუმცა შესაძლოა, ჩემიც ყოფილიყო, ის რომ აქ იწვეს და მე შემოვსულიყავი, მე იგი არასოდეს მინახავს აქამდე და არც მისი ხმა გამიგონია. რას მომჩერებია. აღარ იძვრის. ეს თვალი მაინც არ მეწოდეს..." – უკაცრავად, თვალში ობობა ჩამივარდა და მაწუხებს... – თქვა გიორგიმ. „რას მიყურებ. თუ შეგიძლია, მითხარი რამე, თუ არა და, წყალი მაინც მომიტანე, თვალს ამოვირეცხავდი..."

– ჰო-ო! დიდი ხანია არ ჩამოგვიწმენდია... ხომ იცით, ხან დრო არ არის, ხანაც სიზარმაცე... უკაცრავად... თქვენ უნდა იწვეთ, – თქვა გიორგიმ და თავისი ხმელი სახე შეაბრუნა გიორგისაკენ, – მე ახლავე მოვიტან ყველაფერს. მხოლოდ არ ადგეთ...

– რატომ არ ავდგე?! მე კარგად ვარ; ეს თვალი მაწუხებს ცოტა, მაგრამ ეგ არაფერია, გაივლის, – მიაყოლა გიორგიმ კარებში მასპინძლის ხმელ ზურგს. კარი დაიხურა.

გიორგიმ კედელს თვალი ააყოლა. თოფი ისე ეკიდა კედელზე, თითქოს საუკუნეა, არ გაუნძრევიათ, დამიზნებული ჭერში გაბმულ აბლაბუდაში მძინარე ობობას. მეორე ობობა, ჩამოკიდებული გრძელ ძაფზე, ნელა ირხეოდა ლოგინის თავზე. „ორივე რომ ჩამოვარდნილიყო – ვერ გადავრჩებოდი... როგორ იმაგრებს ეს უხილავი ძაფი ამხელა სხეულს... ლოგინი რაღამ დაასველა... ოფლია? თუ... ოფლია! სუნიც ისეთი აქვს – ცივი ოფლის. მგონი, მართლა ავად გავხდი..." ოფლიანობა არასოდეს არ იცოდა გიორგიმ. ცხენი რომ მთელი დღე და თუნდაც კვირა ეჭენებინა, ერთი წვეთი ოფლი არ გამოუვიდოდა თვითონ, ცხენი კი გახვითქული იყო... უცებ მოუნდა ამხედრება და გავარდნა მინდვრად და ამ სურვილით შეპყრობილმა მკვეთრი მოძრაობა გააკეთა და კინაღამ აყვირდა – მთელი სხეული დაკეპილივით სტკიოდა. ცოტა რომ დაწყნარდა, გიორგი წამოდგა და ოთახის ყურადღებიანი თვალიერე-

ბით დაიწყო ჩაცმა. თოფის პირდაპირ, კედელზე, ორი სურათი ეკიდა, რომელთაგან ერთს საოცრად ნაცნობი იერი ჰქონდა. უცხო არც მეორე სურათზე გამოსახული პირმრგვალი, ჩასუქებული და წვრილთვალება კაცის სახე იყო. მაგრამ ვერ გაიხსენა, სად შეეძლო ენახა ისინი. კუთხეში იდგა დიდი წითელი ხის მაგიდა ლომის ფეხებზე. მაგიდაზე ტელეფონი იდო. მაგიდის უკან კარადა, მერე სკამები, ლოგინი, რომელზედაც ის ჩამომჯდარა. კედელზე მის თავზე ეკიდა თოფი. ხოლო ჭერის კუთხეში აბლაბუდა იყო გაბმული მძინარე ობობით. ჩამოკიდებული ობობა არ ჩანდა და გიორგიმ ინსტინქტურად მოისრისა ისევ თვალი... ოთახის ფანჯრები ჩაკეტილი იყო და თუმც ეწვალა, გიორგიმ ვერ მოახერხა მათი გაღება. ხელებს ძალას ვერ ატანდა. მის ზურგს უკან ახლა კარები იყო. იმათ იქით სხვა ოთახი.

„ეს ოთახი რომ ჩემი არ არის – ცხადია, თუმცა ძალიან ჰგავს ჩემსას. ჩემსაში თოფი არ ჰკიდია... თოფი რომ ეკიდოს, შეიძლება ჰგავდეს, მაგრამ შეიძლება მაინც არ ჰგავდეს, რადგან იქ მე ვცხოვრობ, აქ კი... მაგრამ აქაც ხომ მე ვარ ახლა... რატომ ვარ აქ ახლა?!" სხეული ისევ ასტკივდა ყრუდ, მაგრამ არავითარი სახება არ გამოინივია...

რატომ არის ის აქ და ახლა?!

ერთის მხრივ, ეს უცხო, თუმცა საკმაოდ ნაცნობი გარემოცვა, რომელშიც ის თავისდაუნებურად მოხვდა და მეორეს მხრივ, თავისი სხეული, რომელიც ჯერაც სტკიოდა და შეხვეული ჰქონდა, უმტკიცებდა, რომ რაღაც შეემთხვა.

„ცხადია, ავარიაში მოვხვდი, რაღაც დამეჯახა..." – იგი ხომ მანქანას არ ატარებდა და არც არასოდეს ჰქონია. ამან ბედზე დააფიქრა.

„შეიძლებოდა თუ არა, რომ ყველაფერი ეს ასცილებოდა მას?!.."

„არა! მე არასოდეს არაფერი არ მცილდება... რატომ? ბედი. მე რომ დავიბადე, ბედმა სრულიად სხვა უჯრა გამოსწია... ვის არ შეშლია... ცოტა მარჯვნივ რომ გაეწია ხელი... მაგრამ არ გასწია, დაეზარა... რა მნიშვნელობა აქვსო, იფიქრა... ასე

რომ, მე შეშლილი ბედისა ვარ. თორემ ჩემი ბედი რომ მქონოდა, ახლა უძლეველი ვიქნებოდი და დიდი გაქანების, დიდი შესაძლებლობების, დიდი ძალის... რა იქნებოდა? – ყველანი დაემხობოდნენ ჩემს წინაშე და აღრიალდებოდნენ ჩემს ყოველ გამოჩენაზე, როგორც ახლა ვყვირივარ მე მათ გამოჩენაზე... და რა? – მე ვეტყოდი... მე ვეტყვი, მე ვიტყვი – აი რა, შრომამ შექმნა კეთილშობილება. იშრომეთ! ყველანი ღრიალებენ გაოგნებულნი, ყველანი გარბიან სამუშაოდ, ყველას სწყურია მუშაობა, ყველას უნდა იყოს კეთილშობილი... ჰე-ჰე-ჰე – აბა, თქვენ იცით...“ – ოდნავ გახალისდა გიორგი და ტანშიც სიმსუბუქე იგრძნო.

კარები გაიღო.

გიორგიმ გაოცებული მზერით შემოყო თავისი ხმელი პირისახე კარების ჭრილში და მერე ისევ შესწია ოთახში.

– გიორგი... ხედავ?! – ჩურჩულით თქვა მან. ახლა გიორგის ღაჟღაჟალოყებიანი წვრილთვალება თავი გამოჩნდა კარებში და ისევ შეინია:

– არ უნდა ამდგარიყო...

– არ დამიჯერა. ალბათ თვალმა თუ შეანუხა, რაღაც ჩავარდნია ღამე... რამდენჯერ მინდოდა მტვრის მოწმენდა...

გიორგი ფანჯარასთან იდგა და კვლავინდებურად ხელით რაღაც მოძრაობებს აკეთებდა. ისინი მიუახლოვდნენ.

„ცოტა მარჯვნივ რომ გაეწია ხელი, ყველაფერი იქნებოდა... ახლა მე გავრბივარ...“ – ჩურჩულებდა გიორგი.

ფანჯარაში მის წინ ორი ანარეკლი აიმართა და გიორგი შემობრუნდა. მის წინ ორი მამაკაცი იდგა, რომელთაგან ერთს უკვე იცნობდა. „ეს ხმელი ამ დილით იყო და მესაუბრა, თუმცა მერე სადღაც წავიდა და აღარ დაბრუნებულა, მე კი მეგონა, წყლის მოსატანად“. მეორე საოცრად წააგავდა ვიღაცას, მაგრამ ვის? გიორგიმ ვერ მოიგონა და დაჟინებით ჩაჰყურებდა მას. „იქნებ თვითონ იგი ვნახე სადმე? მაგრამ სად? ტყავი... რატომ ტყავი? ტყავეულობის მაღაზია... სადღაც ტყავეულობის მაღაზიაა: ქალის ჩანთები, ქამრები.. რას ამეკვიატა... რა

კავშირი აქვს ქალურ წვრილმანებს ამ ლუარსაბივით კაცთან... რა შევეკითხო... რაღაც უნდა შევეკითხო..."

– მართალი გითხრათ, არ ველოდი თქვენს ასე სწრაფად წამოდგომას... – დაასწრო მსუქანმა. „ეს ხმაც რომ მეცნობა... ცოტა რომ აუწიოს... ან იყვიროს... იყვიროს?! პორტფელი... მაღაზიაში პორტფელი იყიდა და იქ ყვიროდა... არა, გამოდის და ყვირის..."

გიორგის სახე დაეძაბა ტკივილისაგან, რომელმაც უეცრად გაუარა გვერდში. ახლა მან უკვე იცოდა, რომ მისი შემთხვევა უკავშირდებოდა ამ კაცსა და მის პორტფელს და თუმცა ძალიან უნდოდა გაეგო ყოველივე დაწვრილებით, თავი შეიკავა და სხვათა შორის ჩაილაპარაკა:

– ცოტა გვერდი მჩხვლეტს, მაგრამ გაივლის. მადლობელი ვარ თქვენი, ასე რომ შეწუხდით... მაგრამ მალე წავალ, უკვე სავსებით არა მიშავს რა... „ჰო ჰო ქუჩაში მივდივარ მე ძალიან მსუქანი და თავზე ჩამოფხატული შლიაპით გაკეცვა დაგვიწყებია მასავით მსუქანი ახლა რომ მოდის ჩემს უკან დაცინვით და ნიშნისმოგებით რომ ფიქრობს და ნელა მოდის და მიყურებს კისერში მწველი მზერით და ვიხედები და ვბრუნდები და ვიხედები გვერდიდან ქუჩაში გამოვარდა ყვირილი გამოექანა ვხტები ჰაერში ავვარდი და ყვირილი ყველა მხარეს ქუჩაში გავარდა სირბილით თავქუდმოგლეჯით ივსება გვერდი გადარჩა ოდნავ გვერდში გადარჩა..." გიორგიმ პირველმა შენიშნა, როგორ შემოანგრია ოთახის კარები რქაკანიანმა ცხოველმა და გვერდიდან გამოექანა გიორგისაკენ. იგი ფერწასული იდგა ფანჯარასთან გაშეშებული და უცდიდა მის მოახლოებას, რომ უკანასკნელ წამს ერთ-ერთი მოხდენილი ფანდით აეცილებინა თავდასხმა, მაგრამ ცხოველმა გიორგის გვერდით ჩაუარა, მაგიდას შემოუცუნცულა და გაძუნძულდა გარეთ უკვალოდ. გიორგი გამოერკვა დუმილის უხერხულობისაგან.

– საიდან გაჩნდა ქუჩაში ეს ცხოველი?! – მიუბრუნდა გიორგი მათ. ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ. დიდი ხანია, ელოდნენ ამ კითხვას, მაგრამ ახლა იგი ასე მოულოდნელად ჟღერ-

და მათთვის. მსუქანი უცებ დაიძრა ადგილიდან და ოთახში დიდი წრე მოხაზა. თან რაღაცას ბურტყუნებდა თავისთვის. შესაფერის ახსნას ეძებდა? იქნებ გონება აღეგზნო ამ ამბის მოგონებით? ან სიტყვები ვერ დაალაგა? იქნებ არც იცოდა, რა ეთქვა?..

– ეგ არავინ არ იცის, – თქვა გამხდარმა.

– როგორ?!

– ეგ არავინ არ იცის!

– ახლა სად არის?

– არავინ არ იცის, – გიორგი თავისთავზე ბრაზდებოდა, რომ სხვა ვერაფერი მოიფიქრა საპასუხოდ და საბრალო მსხვერპლის დასამშვიდებლად. დაუჩემებია: „არავინ არ იცის", „არავინ არ იცის".

– იქნებ მოკლეს კიდეც... – გიორგი ეჭვმა შეიპყრო და ცდილობდა, რაც შეიძლება მარტივი კითხვები დაესვა, ვითომცდა, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარაო, რომ რამე ამოეკითხა მასპინძლის აკვიატებული უვიცობიდან.

– შესაძლოა... თუმცა მაგას უცებ გავიგებდით...

– არა, მე უნდა წავიდე... ასე არ შემიძლია... უკვე ისედაც ვაგვიანებ მთელი დღით...სამსახურს ვერ გავაცდენ და რამდენიც არ უნდა მიმალოთ და მაშინოთ, ვერ დამაკავებთ – გიორგის შესაძლოა, სრულიად სხვა რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ერთფეროვანმა და მომაბეზრებელმა პასუხებმა ერთთავად არია ისიც და ნერვები აუშალა. ერთხანს საუბარი აირია და უაზრო გადასროლას ჰგავდა ერთი და იმავე მოკლე კითხვებისა და პასუხების, რომლითაც ერთი ცდილობდა რაიმეს გამორკვევას, ხოლო მეორე მის დამშვიდებას იმით, რომ არავინ და, მათ შორის თვითონაც, არაფერი არ იცოდა დანამდვილებით. მსუქანი მასპინძელი კი განაგრძობდა თავისთვის სიარულს მაგიდის ირგვლივ.

– ჯერ ყველას ეგონა, რომ ის სამხეციდან გამოიქცა, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ვიცოდით – იქ არავითარი ცხოველი არ მოიპოვებოდა. მაინც ყველას იმედი ჰქონდა, რომ ეს მართლაც ასე იქნებოდა... დაღამებამდე, თქვენს შემდეგ რამ-

დენიმე წინდაუხედავი კაცი იმსხვერპლა, რომლებიც ქუჩაში დადიოდნენ, მიუხედავად აშკარა საფრთხისა... მერე სადღაც გაჰქრა უცებ... იცით, ჩვენ არ გაკავებთ, რა თქმა უნდა... მაგრამ...

„წადით!.. წადით!.. გეშინიათ?!. ყველას ეშინია... ცხვირსაც ვერ გაყოფს გარეთ!.. გაუშვით, საქმის კაცია, როგორ შეიძლება დააგვიანოს... ვიცი მე მაგის საქმე... გდებულიყო იქ, რას მოვათრევდი... მადლობის მაგიერია... არ ესმის მაგას, რა მოხდა... კარებს არ გავუღებ... ფანჯრიდან გადახტეს... სადაც უნდა, იქ წავიდეს, თავის სოფელში, თავის ქალაქში, რა მენაღვლება... რას გაშტერებულა... აკი არ მეშინიაო..." გიორგი სიარულის ტემპს უმატებდა თანდათან და ბოლოს თითქმის მაგიდის ირგვლივ ძუნძულზე გადავიდა, რომ ამ დროს ტელეფონის გაბმული ზარი გაისმა და წამით გაქვავდა. ტელეფონი არ ცხრებოდა. გამხდარმა, რომელიც უფრო ახლოს იდგა ტელეფონთან, ყურმილი აიღო. მსუქანი მიპარვით მიჩოჩდა მასთან, გიორგი კი ისე დაიძაბა შინაგანად, რომ გვერდმა ძგერა დაუწყო. მსუქანმა მიაყურადა ხმებს და გიორგის ყბაჩამოვარდნილ სახეს რომ შეხედა, დაიწყო ფანჯრისაკენ დახევა, სადაც გიორგი სულ უფრო შეშფოთებული იდგა გაუნძრევლად, რომ საშიშროების შემთხვევაში რაიმე ელონა, რადგან ხედავდა, რომ ხმები, რომლებსაც ტელეფონიდან ისმენდა გიორგი, კარგს არაფერს უქადდა. ყურმილში რაღაცის თქმას ლამობდა ვიღაც, მაგრამ სიტყვების ნაცვლად დაუნანევრებელი ღრუტუნი ისმოდა. გიორგიმ ყურმილი დადო და სამივემ ერთდროულად მიხედა კარებს მზერასშეყინული შიშით. კარები ნელა, ჭრიალით იღებოდა. კარებში ჯერ გამოჩნდა რაღაც რქისა თუ ეშვისმაგვარი, რომელსაც დიდი სიფრთხილით და ღრუტუნით შემოჰყვა ვეება რქოვანებით დაფარული ტანი. ვიდრე მთლიანად შემოვიდოდა ოთახში, მან თავი აიღო და ფანჯარასთან მდგარ სამ არსებას შეხედა დაკვირვებით. ეს შეხედვა საკმარისი იყო, რომ გიორგიცა და მისი მასპინძლებიც პანიკურ შიშს მოეცვა. და ვიდრე ცხოველი მთლიანად შემოვიდოდა ოთახში, ისინი ადგილებიდან მოწყდნენ და მაგი-

დის ირგვლივ დაიწყეს უაზროდ სირბილი, თუმცა ნათელი იყო, რომ ცხოველს ნებისმიერ მომენტში შეეძლო სწვდომოდა რომელიმე მათგანს. ცხოველს ღრუტუნი არ შეუწყვეტია, რაც, შესაძლოა, მის მხიარულ განწყობილებაზე მიუთითებდა და მთლიანად შემოეტენა ოთახში. აქ გიორგიმ ივაჟკაცა და მაგიდის მოპირდაპირე მხარეს აღმოჩენილმა, დაიწყო მაგიდის მიჩოჩება კარებისკენ, ისე, რომ ცხოველს გასაქანი ადგილი აღარ ჰქონოდა. ეს გეგმა მასპინძლებმაც უცებ აიტაცეს და სამთავემ ისე მოხერხებულად მიაჩოჩეს მაგიდა კარებთან, რომ ცხოველს სხვა არაფერი დარჩენოდა, უკანდახევის გარდა. მანაც წინააღმდეგობის გაწევა უაზროდ მიიჩნია და ისე, რომ მხიარული ღრუტუნი არ შეუწყვეტია, გაბუნძულდა გარეთ. ამის შემდეგ ოთახში ჩაკეტილებმა მაგიდა კარებთანვე დატოვეს და ისევ ფანჯრისაკენ შემობრუნდნენ, საიდანაც უკვე ისმოდა საშინელი ხმაურისა და ნგრევის ხმა.

როგორც კი მან იგრძნო, რომ კაცი, რომელსაც მან მსუბუქად გაჰკრა გვერდში თავისი რქა, მკვდარივით დაენარცხა მის უკან, თავი უდიდესი ძალითა და აღტაცებით აევსო. მას აღარ მიუხედავს თავისი პირველი მსხვერპლისათვის, რომლის მიმართ ახლა ერთგვარ სიბრალულსაც კი გრძნობდა, რადგან სრულიად შემთხვევით აღმოუჩნდა გზაზე. თანაც, – ფიქრობდა იგი, – თუ უცებ არ მოკვდა, ერთხანს იწვალებს და ეს კი დატანჯავს, რის ღირსადაც სრულიად არ თვლიდა მას. მაგრამ ეს წუთიერი გაელვება იყო, და მან ასევე სწრაფად მოიშორა ეს განცდა თავიდან და გაეშურა წინ, ახალი სივრცეების დასაპყრობად და ახალი ძალის განსაცდელად. მის წინ უზარმაზარი შავი სხეული აღმართულიყო, რომელიც საცოდავად ღმუოდა. გაივლის რამდენიმე ხანი და მას ეცოდინება, რომ ეს სხეული სრულიადაც არ არის ცოცხალი, თუმცა კი მოძრაობს და ხმის გამოცემა შეუძლია, მაგრამ თავისით არა. და აღარაფრად ჩააგდებს მას, მაგრამ ახლა მან ეს ჯერ კიდევ არ იცოდა და მთელის აღტკინებით მიექანებოდა მისკენ. ყველა მხრიდან ისმოდა ყვირილი, რომელიც კიდევ უფრო ახელებდა, რადგან გამარჯვების ყიჟინად აღიქვამდა მას. და-

ჯახება სასტიკი იყო და შეუბრალებელი, მაგრამ პირველივე დაჯახების შემდეგ მან უკვე იცოდა, რომ გამარჯვება მას დარჩებოდა, რადგან სხეულის ნახვრეტიდან გასისხლიანებულმა და შეძრწუნებულმა თავმა გამოყო თავი და ცდილობდა გაქცევას. ამ სისხლის დანახვაზე მას სიამოვნებისაგან თავბრუ დაეხვა. ახლა უკვე შეეძლო, ბოლომდე მშვიდად დამტკბარიყო თავისი ძლიერებით. ნახვრეტი, საიდანაც თავი ამოძვრა, ზუსტად მისი რქის დონეზე იყო. იგი ნელა მიუახლოვდა და თავის მოხდენილი აქნევით ბოლომდე შეასო თავისი ბასრი ეშვი. თბილი სისხლნარევი მასა ჩამოიღვარა რქაზე და დრუნჩზე. ერთხანს გაუყუჩდა ვნება ამ სითბოში და უცებ აღმოაჩინა, რომ მარტო დარჩა ქუჩაში. ყვირილი და ხმაური მიწყნარდა. ახლა უკვე გამარჯვება სრული იყო. და იგი დაიძრა ვეება ტანის საზეიმო რხევით. ერთხანს ათრია რქაზე თავით წამოცმული სხეული, ყველას დასანახად, რომ უეცრად ნაცნობ და ახლობელ ხმას მოჰკრა ყური. სხეული ახლა უკვე ხელს უშლიდა მოძრაობაში და მანაც ღონიერი მოქნევით გადაისროლა გვერდზე. ირგვლივ იმგვარივე სურათი იყო, როგორიც მან დატოვა თავის უკან. აქა-იქ ადამიანთა სხეულები ეყარნენ, უფრო მეტი კი დანგრეული ქუჩის ბოძებისა და მანქანების ნამსხვრევები. მზე უკვე ჩახრილიყო და გრძელი შავი ჩრდილები განოლილიყვნენ ქუჩაში. ამ ჩრდილებით შენიშნა მან მისკენ მომავალი შავ მასად შეკრული ჯგუფი და გაიგონა მისი გამარჯვებული და საზეიმო ხმა. ეს უკვე სრულიად სხვა განცდას იწვევდა. ეს უკვე ნამდვილი ზეიმი იყო. ნამდვილი გამარჯვება. და აღტაცებული ამ აღმოჩენით, იგი დაიძრა მათ შესახვედრად, შეპყრობილი ერთი მძლავრი სურვილით, შერთვოდა მათ და ჩაძირულიყო მათში, გათქვეფილიყო და ენგრია მათთან ერთად. გეგმაზომიერად და ორგანიზებულად. მთელი ღამე და შემდეგი დღე დაუღალავად დარბოდნენ ისინი ქალაქის ქუჩებში და თავდადებით ანგრევდნენ ყოველივეს, რაც ხელს უშლიდა მათ ორგანიზებულ სვლას. მესამე ღამეს კი დაღლილებს დაეძინათ, რომ დილიდან ორგანიზებულად დაეწყოთ თავიანთი გამარჯვებული ნგრევა.

ამ ღამის განმავლობაში მათი რიცხვი ერთიორად გაიზარდა...

როდესაც სამმა ასეთი გულადობით მოიგერია თავდასხმა და ფანჯარასთან მიჯრით ქუჩას დაუწყო თვალიერება, უკვე ნათელი გახდა, რომ ეს ამბავი კარგს არაფერს უქადდა მათ. როგორც მოგვიანებით შეიტყვეს, მათ მიერ მოგერიებული ცხოველი სრულიადაც არ იყო მათდამი აგრესიულად განწყობილი და წარმოადგენდა მათ მეზობელ ინსპექტორს განათლების დარგში. ქუჩაში გაავებული ცხოველების ბრბოები დაქროდნენ. ერთ-ერთ მათგანს ის-ის იყო დაემთავრებინა მოპირდაპირე სახლის იერიში. ამ სახლში იმდენივე ოჯახი ცხოვრობდა, რამდენი ფანჯარაც იყო, ხოლო კარები ყოველი ბინისა გადიოდა გრძელ ვიწრო დერეფანში, რომელსაც არც ფანჯრები ჰქონდა და არც ნათურა ანათებდა. იმის შიშით, რომ ერთმანეთს არ დაჯახებოდნენ, დაწესებული იყო დერეფანში გავლის ზუსტი განრიგი, რომელიც საშუალებას აძლევდა მაცხოვრებლებს, ორგანიზებულად და გეგმაზომიერად აეთვისებინათ დერეფნის სივრცე და უსაფრთხოდ გამოსულიყვნენ საზოგადოებაში. მართალია, ბევრ მათგანს რაღაც დაბადებით დაყოლილი უწესივრობისა გამო ვერაფრით ვერ აეთვისებინა ეს განრიგი და წამდაუწუმ უქმნიდა საფრთხეს წესიერ მაცხოვრებლებს, რის გამოც ზოგიერთი მათგანი საერთოდ აღარ გამოდიოდა სახლიდან და ძირითადად ფანჯრიდან ადევნებდა თვალყურს ქუჩის საზოგადოებრივ ცხოვრებას. სწორედ ეს სახლი იყო უკვე ნახევრად დანგრეული და დარჩენილი კედლებიც თანდათან იშლებოდა, რომ უეცრად გაისმა ისეთი გამაყრუებელი ღრუტუნი, რომ გეგონებოდა, ღორების კოლტმა გამარჯვების ჰიმნი დასცხოო. ბრბო ახლა კიდევ უფრო გახელდა, რადგან თავისიანები შეიცნო სახლის ნანგრევებში მომწყვდეულებში და კიდევ მეტი გააფთრებით ეძგერა შენობას. შიგნიდანაც დაირაზმენ უკვე და ასე ორმხრივი დარტყმით სახლი სრულიად ჩაიშალა და მტვრის ბუღად ჩაიქცა, რომლიდანაც გამარჯვებულნი და გა-

მოხსნილნი, მიუხედავად ნატანჯი იერისა, ეშვებდალესილნი და მოზეიმენი მოეფინენ ქუჩას.

ისინი ვერ სცილდებოდნენ ფანჯარას და ვერც თავს აღწევდნენ თავიანთ მდგომარეობას. იდგნენ ასე თვალმოუშორებელნი, ჩაყინულები რაღაც შორეულ მოგონებებში, რომლებიდანაც თავდაუხსნელობა ჩამოწოლილმა სიბნელემ აგრძნობინა. გიორგი პირველი მოვიდა გონს და, რადგან მის გვერდით არავინ იყო, ოთახის შუაგულისაკენ დაიხია სიჩუმეში. მერე იგრძნო, რომ სწყუროდა და წყლის მოსატანად დააპირა გასვლა, მაგრამ მაგიდის კიდეს რომ დაეჯახა, მაშინღა გაახსენდა, რომ იქით გასვლა სახიფათო იყო... „რა იცი, იქნებ ახლაც იქ არის..." – გაიფიქრა უნებლიეთ და ამ დროს გაისმა ტელეფონის გამაყრუებელი ზარი. ორივე მასპინძელი, რომლებსაც ტახტზე მიელულათ თვალები, წამოვარდა და გიორგიმ მხოლოდ ახლა დაინახა, რომ ისინიც აქ იყვნენ. ის მაგიდას მიუახლოვდა და რადგანაც ზარი არ წყდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მან ყურმილი გადადო, ფრთხილად მიაყურადა...

თავიანთი გამარჯვების აღსანიშნავად მათ აღლუმი მოაწყვეს. ამიერიდან აღლუმით აღნიშნავენ ისინი სულ უბრალო და უმნიშვნელო, ცხადია, სხვისი ვერმიმხვდარი თვალით, გამარჯვებას ორგანიზებული სიმწყობრის ათვისების გზაზე. აღლუმი ამ მიღწევების პირდაპირი გამოხატულება იყო. ორგანიზებულად, მწყობრის შეუშლელად მიაბიჯებდნენ ისინი ქალაქის ქუჩებში და მათი ჩლიქების ხმა ქალაქის უშორეს კუნჭულებსაც არ სტოვებდა მიუსალმებელს. ისინი, ვინც სამუშაოზე შეისწრო ამ შემაშფოთებელმა ამბავმა, თავდაპირველად ვერ გაერკვნენ სინამდვილეში და განაგრძობდნენ მუშაობას, ხოლო შემდეგ, როდესაც ხმებმა იმატა და თანდათან შიშიც გამეფდა, ისინი უკვე სრულიად მიზანმიმართულად იყვნენ ჩაბმულნი მუშაობაში, რადგან შიშისაგან თავდაცვის უებარ საშუალებად შრომა მიაჩნდათ. ამავე დროს, თითქოს კიდეც განიშორებდნენ თავიდან ბრბოს, რომლის მოზეიმე ხმები დროდადრო აღწევდა მათ ყურებამდე. ნაწილი მოქალაქეებისა ამ სწრაფადმიმდინარე რევოლუციურმა მოვლენებმა

შეისწრო მაშინ, როდესაც ისინი დროის გასატარებლად ან სულის დასატკბობად იყვნენ შეგროვილნი თეატრებსა თუ კინოდარბაზებში, მუზეუმებში და საესტრადო კონცერტებზე. მსახიობები დაამთავრებდნენ თუ არა სპექტაკლს და ჩაცხრებოდა თუ არა ტაში, რომელიც მით უფრო ხმამაღალ ოვაციებში გადადიოდა, რაც უფრო მატულობდა მოზეიმე ბრბოს ხმა ქუჩაში, თავიდან იწყებდნენ თამაშს. მეორდებოდა ფილმები, კონცერტები, მუზეუმებში ერთიდაიგივე მაყურებლის წინაშე გამოცდილი გამყოლები იმეორებდნენ ერთხელ და სამუდამოდ დაზეპირებულ ტექსტებს... და ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე თანდათან არ გამეფდა სრული გაოგნება და ურთიერთისადმი გულგრილობა, რომელსაც მოჰყვა გვერდზე მყოფის ვერატანა და, საბოლოოდ შეძულება. ვეღარ იტანდნენ სიახლოვეს ერთი და იმავე სახეებისა, მოქმედებისა, მანერებისა და ჟესტებისა, ერთი და იმავე ინტონაციებისა, ხველებისა თუ ჩაცხიკებისა, ხელის ჩვეულ მოძრაობას, შემთხვევით მზერას... ხოლო ამას ყოველივეს მოჰყვა ის, რასაც ასეთის მოუთმენლობით ელოდნენ მოზეიმე დემონსტრანტები ქალაქის ქუჩებში. თანდათან დაიბადა დაუძლეველი მისწრაფება გარეთ გასვლისა და მოზეიმეთა ფერხულში ჩაბმისა.. ეს იმდენად ძლიერი სწრაფვა იყო, რომ საკმარისი აღმოჩნდა, აღლუმის რომელიმე ნაწილს ჩაეარა თეატრის თუ კინოდარბაზის ან მუზეუმის თუ, სულაც საესტრადო კონცერტის წინ, ისინი უკვე ვეღარ უმკლავდებოდნენ შინაგან მისწრაფებებს და ფეთქდებოდნენ. იწყებოდა ღრიალი და ჭეჭყვა და გინება და ნგრევა და ამ ნგრევაში თანდათან იკვეთებოდა გამარჯვებული ღრუტუნის ხმა, რომელიც მსწრაფლ იძირებოდა მოზეიმეთა გამარჯვებულ ხროტინში. ახლა უკვე გარედან იერიშის მიტანა აღარ იყო საჭირო. ყოველივე შიგნიდან ინგრეოდა თავისით და გარეთ გამოვარდნილებს ბასრ ეშვებზე წამოცმული სხეულები ჰქონდათ მხარზე გადაგდებული. ეს იყო სრული გამარჯვება. და ისინი მოაღლუმეთა პირველ რიგებს იკავებდნენ. აქა-იქ ჩანდნენ ისინიც, ვისაც ვერ გაეყო თავისი მსხვერპლი და წყვილად მოაქანებდნენ ეშვებით დახ-

ლეჩილ სხეულს. ასეთების დასახმარებლად განსაკუთრებული გუნდი იყო გამოყოფილი, რომელიც მათ შორის ჩამდგარი, ეშვის მოხდენილი და ნავარჯიშევი მოქნევით ათავისუფლებდა მათ სხეულისაგან და ისროდა მას ნანგრევებში. ასეთებისთვის ადგილები შუაგულ მოაღლუმეებში იყო, ხოლო იმათთვის, ვისაც ვერავითარი მსხვერპლი ვერ მოეხელთებინა, უკანა რიგებში, სადაც მათ შეეძლოთ მხოლოდ ოცნება იმაზე, რომ დროთა განმავლობაში ისე დაოსტატდებოდნენ, რომ გადაიწევდნენ წინა რიგებში და, ვინ იცის, იქნებ სულ პირველ რიგსაც დაიკავებდნენ. ახლა ისინი ყურადღებით მიჰყვებოდნენ წინა რიგში მოძუნძულეთა კუდებს, რათა არ დაერღვიათ მწყობრი და არ ჩამორჩენოდნენ პირველ რიგს, რომელიც, მიმართული მათთვის შეუცნობი ნებით ძნელად გასარკვევი და დასანახი მიზნისაკენ, მტკიცედ მიიწევდა წინ ჩვეული სიბეცით.

გიორგის ჯერ კიდევ არ მოეცილებინა ყურმილი და უსმენდა გაურკვეველ ღრუტუნს, რომ გვერდით ბინაში, სწორედ იქ, სადაც განათლების ინსპექტორი ცხოვრობდა, გაისმა ქალის კივილი და საშინელი ნგრევის ხმა. სახლი დაზანზარდა. იმავე წამს ყურმილში ხმა ჩაწყდა. შემოსასვლელ კარებს რაღაც საშინელი ძალით დაეჯახა, გაანგრია და გარეთ გავარდა. გიორგი მაგიდას მოსცილდა და საწოლზე ჩამოჯდა თავისი გამხდარი მასპინძლის გვერდით. ოთახი სრულიად შავ, უძრავ სივრცეში მოქცეულიყო და მასში რაღაც გარდუვალის მოლოდინის გამეფებამ ნერვების უდიდესი დაძაბვა გამოიწვია მასპინძლებშიც და სტუმარშიც.

ასე ისხდნენ დაძაბულნი ღამემდე.

– როდემდე ვიჯდებით ასე?! – ვერ მოითმინა გიორგიმ.

– მეორედ მოსვლამდე! – წყნარად შეეპასუხა ჩაცინვით მის გვერდით მჯდომი გიორგი.

– თუ მესამედ?! პირდაპირ მესამედ, – თქვა სიბნელიდან გიორგიმ

– რაო? ვისი? თქვენ გეხუმრებათ?...

– ისევ იმათი..

– ისევ მაგათი...

– მორჩით! აღარ შემიძლია მეტი! – გაჩეხა გიორგიმ სიბნელე.

– მაშინ სერიოზულად ვიტყვი, რომ ყოველივე ამის იქით არის ის, რომელმაც ერთადერთმა იცის, რა ძალას შეუძლია წარმართოს ისინი... – ჩუმად ჩაუჩურჩულა ყურში გიორგიმ.

– რა-ა?!

– შიში, შიში სიკვდილის და მარტოობის... ჩვენც მაგ დღეში ვართ... – თქვა გიორგიმ სიღრმიდან.

– უნდა მოვიფიქროთ რამე... ასე არ შეიძლება... ვიჯდეთ აქ და... – გიორგი მოუსვენრობამ შეიპყრო.

– ის ძალა, რომელიც ახლა ანგრევს, მერე ააშენებს... საჭიროა მხოლოდ დამშვიდება და ლოდინი... მშვიდად... და არაფერი არ შეიცვლება, ესაა საიდუმლო, – ჩურჩულებდა გიორგი თავისთვის და ლოგინს არხევდა ბავშვივით.

– იქნებ რაიმე ვცადოთ...

– არა, აქ არაფრის ცდა არ შეიძლება, არც გაკეთება... – გიორგის ეტყობოდა, რომ ღიღაბი კიდევ უფრო გაებერა და სიტყვებს ძლივს წარმოსთქვამდა, ისე მძიმედ სუნთქავდა, – არაფერი არ გამოვა... სრულიად არაფერი...

– არ მჯერა მე თქვენი... ყველგან ხომ ისინი არ არიან... თანაც... მხდალები ხართ თქვენ! – წამოენთო უეცრად გიორგი.

– ჩვენ ვართ მხდალები? თქვენ გგონიათ, ეს პირველად ხდება? თქვენ ახლა შეესწარით, და ჩემს ცხოვრებაში არაერთი ამგვარი გარდაქმნა მინახავს... მერე რა... რა შუაშია სიმხდალე... – ჩაიჩურჩულა გიორგიმ სანოლზე და კიდევ უფრო ააჭრიალა.

– წადით, მარტო სცადეთ, მაშინ ჩვენ ვნახავთ, და სიამოვნებითაც, როგორ გაგიყრიან თავიანთ ეშვს მაგ თქვენს თეთრ სხეულში და როგორ გადმოიპნევა თქვენი ნაწლავები აქვე, ჩვენი სახლის წინ და მეორედ მოსვლის ჟამს, თუ ვინმე მოვა, ის ახვეტავს მათ... იქნებ ჩვენც დაგვეკისროს ეგ საქმე... მაშინ, იცოდეთ, თქვენ ძეგლს დაგიდგამთ, – ისროდა თავისი საავარძლის სიღრმიდან გიორგი.

– კარგით, მაგრამ აქ არავითარი საკვები აღარ არის, არც წყალი... სადამდე ვიქნებით ასე... იმათ რა ენაღვლებათ... ზეიმობენ... – გიორგის ისევ დაუწყო გვერდმა ჩხვლეტა.

– დაწყნარდით, ყველაფერი გამოსწორდება, თქვენ მიუჩვეველი ხართ, თორემ არც ისეთი სასტიკები არიან, როცა დამშვიდდებიან... ახლა ეს სტიქიაა... ენერგიის სიჭარბე... – ჩაიჩურჩულა გიორგიმ და ისე შეხტა ლოგინზე, რომ თავი ვერ შეიმაგრა და წამოწვა.

„აბლაბუდას ძაფი კი უხილავია", – გაუელვა გიორგის.

უკვე რამდენი ხანია, რეკავს ტელეფონი. ნუთუ ხელს არ უშლის მათ ლაპარაკს, რომელმაც საკმაოდ გაუგებარი ხასიათი მიიღო. არც ერთს არ სურდა, ბოლომდე ეთქვა თავისი საფიქრალი და შინაგანი ვითარებაც გაეხსნა.

გიორგი ტელეფონთან მივიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, რომლის განმავლობაში ოთახში სხვა არაფერი ისმოდა, გარდა ტელეფონიდან მომავალი ხითხითისა და ღრუტუნისა, რომელიც უფრო და უფრო ემსგავსებოდა წარმოთქმულ სიტყვებს, გიორგი ჩუმადვე დაუბრუნდა თავის მასპინძლებს და მათთან ჩამოჯდა. ახლა ის გარკვევით გრძნობდა, რომ მდგომარეობა უიმედო იყო და ერთადერთი გამოსავალი იყო, დაემტკიცებინა თავისი ადამიანობა, თუმცა არც იმაში იყო გარკვეული, რას ნიშნავდა ეს და ვის წინაშე უნდა დაემტკიცებინა იგი. უკანასკნელმა ცნობებმა იმაში დაარწმუნა, რომ მთელს ქალაქში მხოლოდ ის და მისი მასპინძლები დარჩენილიყვნენ ადამიანური სახით, მაგრამ რამდენად მართალი იყო ეს, მან არ იცოდა. ყოველივე ამის იქით მართლაცდა უძლეველი ძალა იმალებოდა.

– იქნებ ღამით ცხოვრება ვცადოთ! ეს არც ისე ცუდი უნდა იყოს... რამდენადაც დავაკვირდი, ღამით მათ სძინავთ, და აღლუმებიც დღისით ეწყობა... ვცდი, – გადაწყვიტა გიორგიმ თავისთვის. დანარჩენებს ხმა არ ამოუღიათ, რაც, შესაძლოა, თანხმობის და სოლიდარობის ერთგვარი გამოხატულება იყო.

ღამეა. ქალაქში სიჩუმეა. ღამით მთელ ქალაქს სძინავს. ანათებს მთვარე. ალაგ-ალაგ ქუჩებს ლამპიონების მკრთალი

შუქი აცოცხლებს. სამნი, რომლებმაც გადაწყვიტეს, დაეწყოთ ღამით ცხოვრება, ქუჩაში გამოდიან და იწყებენ ცხოვრებას. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ მოსწყინდათ ასე ცხოვრება და დაიწყეს გასართობის ძებნა. ჩუმად, ყოველ მათგანს ჰქონდა ფარული იმედი, რომ სადმე მარტოხელა ქალს გადაეყრებოდა. მაგრამ, ტყუილი იყო ეს ოცნება. ქალაქში არავინ იყო. მოწყინდათ მარტოობა. მოულოდნელად, ქუჩის მთვარით განათებულ კუთხეში, ხედავენ მოხდენილ, თმებჩამოშლილ ქალს, რომელიც ირხევა და თითქოს მოუხმობს მათ საშველად, თუმცა ხმა არ ისმის. სამნი კისრისტეხით გარბიან იქითკენ. ერთმანეთს ხელს ჰკრავენ, აგინებენ, ქვებს ესვრიან, ხელში მოხვედრილ ჯოხებს უქნევენ... მთვარე ახლა მკვდარი მზერით დაჰნათის თავზე მთელ ქუჩას, რომელზედაც სამი ადამიანი გარბის თავისი მოჩვენებითი მიზნისაკენ, თუმცა ვერასოდეს ვერ მიაღწევენ მას... იქნებ მათ არც უნდათ, რომ მიაღწიონ და მთელი საზრისი მათი რბოლისა არის თვით მოძრაობა... თენდება... გიორგი, მძიმედ ჩაქშინული თავის სავარძელში, თვალს არ აშორებს ლოგინზე ჩამომჯდარ გიორგის, რომლის ხმელი ხელი ჩაჰფრენია მის გვერდით მჯდარი გიორგის მხარს... სიჩუმეა. მთელ ქალაქს ძინავს...

„...არაფერი ნათელი. არასოდეს გზა უხვევს ისევ იქით დღედადღე და ღამედაღამე ერთხელდაბადებაჩემი და დაბადებაჩემიდან სულ არა-მინდა-არა-მე-ჰო-მე-მინდა-ჰო-მე ვამბობ ჰო ყველასერთადჩემში დღისით ჰო ჰო ჰო ყველაფერს... ისევ რეკავენ ხომ გესმით თქვენ ჰეი მანდ ლოგინზე გუგულებო და მტრედებო გესმით მათ რომ ყოველივე იციან უჩინრადაც იციან ყველაფერი მანამ იფიქრებდე ვიდრე ადგებოდე ვიდრე ჩაიფიქრებდე იციან ყოველივე და რა შეიძლება არ შეიძლება უაზროა წინააღმდეგობა გესმით აა-აა-ა�ა... გამიშვით არ მინდა... ااااا-اا-اامომაშორეთااااااااااا მომაშორეთ... მათხოვრებო! მომაშორეთ.....ااا-ااا. ااا.اامათხოვრებომათხოვრებოოზარია.ااا-اامათხოვრებომათხოვრებოოზარია...“.

გიორგიმ თავისი ხმელი ხელი უშვა გიორგის გაფითრებულ და მოცახცახე მხარს და ტელეფონს ეცა, მაგრამ სანამ ყურმილს აიღებდა, ოთახში გიორგის ყვირილ-ღრიალი გაისმა სავარძლის სიღრმიდან. გიორგი რაღაცას ებრძოდა, მაგრამ სიბნელეში არ ჩანდა, რაში იყო საქმე და შეშინებულმა გიორგიმ ყურმილით ხელში ისევ ლოგინისაკენ დაიხია. გიორგი გაშეშებული მზერით მისჩერებოდა სავარძელს.

სავარძელში ჩამჯდარ გიორგის რაღაც შემოანვა უეცრად შიგნიდან, თითქოს გამოხსნას თხოულობსო, ისეთი ძალით აწვებოდა მის ჩაქონილ სხეულს და ისიც იგრიხებოდა და უძალიანდებოდა ამ მოწოლილ ძალას. ღიღაბში ჩაგროვილი ხმები დაუნაწევრებელ ხრიალად ამოსდიოდა ყელიდან... თუ უკვე ყელიც აღარ ჰქონდა – ცხვირიდან, და ხელებით და თავის ქნევით ცდილობდა წამომდგარიყო სავარძლიდან. ზარის ხმა ისმოდა განუწყვეტლივ. გიორგი გაკვირვებული დააცქერდა ყურმილს, რომელიც ხელში ეჭირა ჯერ კიდევ. ზარი არ ცხრებოდა. გიორგიმ, როგორც იქნა, გაითავისუფლა თავი სავარძლისაგან და ისეთი ძალით მიანარცხა იგი კარებს, რომ ჩახეულმა სივრცემ საცოდავი ხმა გამოიღო. კარები გაიბზარა. და ამ დროს, გაისმა ჟინმორეული ქშინვა, მაგიდის მტვრევის ხმა და იმავე წამს კარები გაამტვრია რაღაც ვეება ცხოველმა. უეცარმა სინათლემ ოთახში დარჩენილებს თვალები დაუბრმავა წამიერად, მაგრამ მეორე ოთახიდან შემოჭრილმა ნგრევისა და გამარჯვებული ღრუტუნის ხმამ აიძულა სწრაფად გონს მოსვლა. მათ მოპირდაპირედ, ოთახის შუაში, იდგა გიორგი ერთთავად რქოვანებით დაფარული თავისი მსუქანი ბუნჩულა სხეულითა და სახით, რომელსაც რაღაც საოცარი გამომეტყველება ეძლეოდა და დაგრძელებულ ქალაზე, ცხვირის თავზე უზარმაზარი ეშვი ეზრდებოდა მათ თვალწინ. გიორგის კიდურები უმოკლდებოდა და უმსხვილდებოდა, ვიდრე იგი ოთხზე არ დავარდა კმაყოფილი იმით, რომ ბოლოს და ბოლოს მიაღწია წონასწორობას და აიცილა ზურგზე დავარდნის საფრთხე. მერე თავი მოაბრუნა და თავისი ბეცი მზერა მიაპყრო გიორგის.

გიორგი არ ინძრეოდა. ზარი არ ცხრებოდა. „ჰმ, ცხოვრობდა ასე ერთი პატარა, სუსტი მწერი. მას მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა – შიმშილი. დანარჩენს ყოველივეს შოულობდა იოლად, რადგან არც არაფრის მოთხოვნილება ჰქონდა განსაკუთრებულად. იგი განუწყვეტელ მოძრაობაშია, სულ საზრდოს ეძებს და თანაც ცდილობს, არ შეიმჩნიოს ეს... უფრო დიდ მწერს კი არ მოსწონს ეს... გათავდა, ყველაფერი გათავდა... გიორგი... დიდო გიორგი... შენ ხომ ყოველთვის ასეთი ჩუმი იყავი... კეთილი... უხმო... ხომ ხედავ, ეს მე ვარ, გიორგი..“ – გიორგის, თუ იმას, რაც წამის წინ გიორგი იყო, ბეცი თვალები უსისხლიანდებოდა, თითქოს კითხულობდა გიორგის აზრებს და იმ წამს, როდესაც გიორგი შეეხვეწა: „მე არა, მე არა, მე ხომ გიორგი ვარ, შენი გიორგი..." ოთახში შემოვარდა, იქაურობა მიანგრია და ინერციით იმ კედელს ეცა, რომლის თავზე, კუთხეში აბლაბუდა იყო გაბმული და თავის უხილავ ძაფზე ჩამოკიდებული დაობებული დიდი ობობა ქანაობდა, რომელიც ახლა თითქოს ამდენი ხნის ძილისაგან გამოფხიზლებული ცდილობდა აბლაბუდაში დაბრუნებას, მაგრამ ძალა აღარ ჰყოფნიდა თავისი მძიმე, ამდენი ხნის უძრაობისაგან ქონად ქცეული სხეულის დასაძრავად. გიორგი ფანჯრის რაფაზე შეხტა და ცდილობდა, მოხერხებული და უსაფრთხო მდგომარეობა მიეღო, რომ ვერავინ შესწვდენოდა. იგი ხედავდა, როგორ მოიქნია ბისხლეტით თავისი გამხდარი ტანი გიორგიმ ლოგინიდან და კარებში გავარდა, მაგრამ საუბედუროდ, მაგიდის ნამსხვრევებში გაებლანდა ფეხები და მოსხლეტით დააცხრა გიორგიყოფილი ცხოველის ეშვს. ალბათ არაფერი ისეთ სიამოვნებას არ ჰგვრიდა მას, როგორც თავის ეშვზე წამოცმული ადამიანის ბილვა და მისი გამოშიგნული ნაწლავების სუნი. გიორგიყოფილმა ცხოველმა უცებ დაიცხრო ვნება. თვალები დაეწმინდა და რამდენჯერმე თავი კმაყოფილმა გააქნია. მერე გიორგის ხეული კარგად მოირგო ეშვზე, ნაწლავები ჩამოიბერტყა და ბხიარული ღრუტუნით გაბუნძულდა გარეთ.

გიორგი კარგა ხანს იყო ჩამოკიდებული თავის დარაბებზე და სანამ ღრუტუნი მთლიანად არ მიილია, არ განძრეულა.

ტელეფონის განუწყვეტელ ზარს ისე მიეჩვია, რომ აღარც ესმოდა უკვე და როდესაც იქაურობა სიჩუმემ და სიბნელემ მოიცვა ისევ, გიორგი ნელა ჩამოცოცდა თავისი თავშესაფრიდან. იგი გრძნობდა, რომ ახლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მოშვება და სასწრაფოდ რაღაც უნდა ეღონა თავის დასაცავად. ცოტა რომ დაწყნარდა, პირველ რიგში, საბრალო გიორგის ნაწლავები მოხვეტა და გარეთ გაიტანა. მეორე ოთახში, უამრავი ნაკუწებად დახეული წიგნი ეყარა დამსხვრეულ ავეჯთან ერთად. გეგონებოდა, ვიღაცას განსაკუთრებული სიძულვილი ამოძრავებდა კაცობრიობის ამ უხმო მოწმობის მიმართ. გიორგის რატომღაც ჩაეცინა ამის დანახვაზე და ამ გროვას გიორგის ნაწლავებიც მიაყარა. ხოლო როდესაც შემობრუნდა, გულისამრევი ზიზღი იგრძნო. იგი ოთახში დაბრუნდა და მოულოდნელად ისევ გაიგონა ტელეფონის ზარი. ახლა უკვე შიშის ჟრუანტელმა დაუარა და ძარღვები გაეყინა – ისე საზარლად რეკდა იგი. თავს ძალა დაატანა და მაგიდას მოსცილდა, რომელთანაც ინსტინქტურად მივიდა ყურმილის ასაღებად, ნახა რა, რომ ყურმილი დიდი ხანია გადადებულია და ლოგინზე აგდია. თვითონაც მივიდა ლოგინთან, ყურმილი აიღო და ლოგინზე გაიშოტა დასასვენებლად და ძალ-ღონის მოსაკრებად, რომ ცოტაოდენი ხნის შემდეგ თავდაცვისათვის საჭირო ზომები მიეღო საბრძოლველად.

... ახლა ის სრულიად თავისუფალი იყო და იქ შიგნით არის პირველი სიკვდილი მუდმივი ნაბიჯებით მოდის გზაზე ხალხის თვალწინ დგას ის ეკლესიის წინ დგას ტრიბუნაზე დგას ტრიბუნი და მასა ხალხისა მის წინ დამხობილი თხოვს შველას და მან იცის რომ შველა უნდა მასას და იქ უნდა შესვლა ყველას ერთად და კმაყოფილი იწევს ხელს სიდიადით განდიდებული ტრიბუნის სიტყვა ტრიბუნიდან ნასროლი მასებში ისმინეთ ისმინეთ ისმინეთ სიტყვა რამეთუ მე ვხედავ გზას დიდ სინათლეზე დღე არასოდეს იქნება ღამე და ღამე არასოდეს იქნება დღე და ეკლესიაში იქნება კარები და ადამიანი იქნება კეთილი და ღამე არ იქნება ბნელი და გზაზე დგას ღმერთი აღტაცებით შემხვედრი აღტაცებული ხალხისა თავის ულვა-

შებში მიმყოლი იმ გზის რომელიც გახდა მიზანი და აჰა მეც მივყვები ხალხს გამარჯვებული და უხილავი ვიღაც აღებს უჯრებს და სხვა უჯრას აღებს სულ სხვას და ამას არა იმას არა ეს არა ის შედის ქალაქში და ხალხიც შრომობს და აშენებს და მუშაობს თავაუღებლად და აი იწვევენ მასაც შენობაში უცვლელი მუდმივი ნაგებობა შიგნით ოთახით უთვალავით რომ წრიალებენ მოძრაობით მოძრავნი წრიალებენ მისასვ-ლელთან საცა წევს იგი შრომისმოყვარე მბადებელი მშობელ-თა და მშობელი მბადებელთა და ჰა იჭინთება და იჭინთება შობის ბედნიერებაში მშრომელი მასა და ჰა ბადებს და ბადებს და ბადა და შვა იგი ჭიანჭველა ხოლო მზარდი ვითარცა წელი ათასი დდღღესა ერთში და აღღღარ აცლის იგი დიადი ზრდას აღღღღარავის და გონზე მოსვლას და იზრდება და იზრდება და ამხელაა, რომ ვეღღღღღღარ ეტევა ჩემს ოთახში და ას-რისსსსსავს კედელზე შეშშშშინებულ დამფრთხხხალ მწწწწწერრებს და გარრრბის ყველა და ისიცცც გარრრრბის მათთან ერრრრრრთად და რრრრრრრაც უნდა იყოს ჩემია ჯერი და ავიმართე მე გიორრრგგგი გავვლესსე შუბი შეუდდ-რრრეკადდ და მივმარრრთე მწერრრსსსსსსა მასსსსსსსსს ოფლმმმდინარრრეეემმმმ და შემმმოვვვუარრრე და ვვვიხხ-ხელთთთე თთთავვვი მისსსი კბბბილთთთა ششორررის ჩემმ-მმმმმმთა და ჩავვვკკკბბბიჩჩჩე მთთთელللი ძძძალლ-ლითთთ და ავვვვიქქქქქქქნننننგგგგმმმმმმმრრჯჯჯვვვვვ ببببللللتتتتووووووووووو ششششمممم زززززز

მოლოქი[1]

ამ მოთხრობის დასასრულისათვის იმდენად აცრუებული მქონდა გული ყველაფერზე, – მიცემული სიტყვა და ჯინიანობა მის შესრულებაში რომ არა, გულს მირევდა ყველაფერი – გადავწყვიტე, სავსებით დამენებებინა თავი წერისათვის, ან, ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარი გამოჩენისათვის და ჩემს პირად საქმედ გამეხადა იგი. საყოველთაოდ კი „ქალაქურად" მეცხოვრა. ერთადერთი, რასაც არ ვთმობდი, იყო მოგზაურობა, რომელიც იქცა კიდეც ჩემი არსებობის ფორმად და შემოქმედების წყაროდ. მისასვლელი კარი ჩემი ციხისა მკვიდრად ჩაიკეტა. მოგზაურობამ ჩემი ლიტერატურული ინტერესებიც სრულიად სხვა გზით მიმართა და, საბოლოოდ, უნივერსიტეტის დამთავრების მომენტისათვის – 1962 წლისათვის, სრულიად მოშორებული მქონდა თავიდან საჯარო მწერლად ყოფნის ყოველგვარი პატივმოყვარული სწრაფვები.

ამასობაში კი, მოსკოვში, „მესამე რომში" და „მეორე იერუსალიმში", ხდებოდა ის, რასაც დღეს ბევრნი „ლღვობის პერიოდს" (მწერალნი, სოვეტოლოგები, მგონი, ფილოსოფოსებიც კი?! დღემდე ვერ გავიგე, რა ლღვებოდა? და ვისთვის ლღვებოდა?) უწოდებენ. ხრუშჩოვმა ნება დართო სოლჟენიცინის მოთხრობების გამოქვეყნებისა. დაიბეჭდა „ივან დენისოვიჩის ერთი დღე", გამოვიდა მოთხრობების კრებულიც, სოლჟენიცინი ლენინის (!) პრემიასაც კი ელოდა (წარდგენილი იყო, როგორც გამოირკვა!); უფრო ადრე ესტონეთში დაიბეჭდა კაფკა, მოგვიანებით „ინოსტრანნაია ლიტერატურამაც" დაბეჭდა... მოკლედ, ადუღდა ლიტერატურული ცხოვრება ბანაკების სამყაროს ჩრდილქვეშ და 1965 წელს, თუ არ ვცდები, დაბეჭდეს ეუენ იონესკოს პიესა „რინოსეროს" – „მარტორქები".

პირველი, ვინც ჩემთან მოვიდა „ინოსტრანნაია ლიტერატურათი" ხელში – იყო ნათლიაჩემი. ჟურნალი მას, როგორც მწერალს, ეკუთვნოდა. იგი მართლა შეწუხებული იყო და

[1] ავსტრალიური ხვლიკი

თავს დამნაშავედაც კი გრძნობდა (სიტყვა თუმც შევუსრულე, მაგრამ აღარ მიჩვენებია და ეგონა, დავხიე მოთხრობა, და რომც ენახა, ალბათ სულ გადაირეოდა და ხელს ჩაიქნევდა ჩემზე). მე კი სიტყვა ბანზე ავუგდე და სასაცილოდ არ მეყო ასეთი სერიოზული დამოკიდებულება მთელ ამ ამბავთან. ის კი ვუთხარი, რომ ჩემს მაგივრად იონესკომ შეგისრულა თხოვნა და გერმანელებზე დაწერა-თქო. კიდეც დაბეჭდეს! ხოლო თუ ევროპა ასეა აღტაცებული ამ ინფანტილური სიმბოლიზმით და ფსევდომითურქმნით (მაშინ უკვე მითებით და მითურქმნით ვიყავი გატაცებული), მართლაც გამოფიტულა-თქო. მაგრამ ეს ჩემი „თამაშა" სრულიადაც არ ასახავდა იმ მძიმე განცდას, რომელიც გულს მიმღვრევდა. მაშინ საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ რადაც არ უნდა დამიჯდეს, თუნდაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეს, გავარღვიო ეს კედელი და გავიდე აქედან თავისუფალ სამყაროში. თუმცა, ჩემი გზისათვის „ბანაკის" შიგნით ამას ხელი არ შეუშლია და მალე კიდეც გადავივიწყე ყოველივე. იმათგან, ვისაც მოთხრობა ადრე ჰქონდა წაკითხული, ყველამ თავი ამარიდა და ან რა ჰქონდათ სათქმელი? ნათელი იყო, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიგრძნობთ თავს ადამიანებად, ვიდრე ამგვარს ვითარებაში გვეყოლება ჩვენი თავი ჩაყენებული. ყოველთვის მეორადები, ყოველთვის „სხვის" მოთაყვანე, „სხვის" მოგდებულ საზრდოზე დამოკიდებულნი, ყოველთვის უსახელონი, რამეთუ – მონები. გულამღვრეულობისაგან ყვირილი მინდოდა და კიდეც ვყვიროდი მთაში განმარტოებული, მთელი ხმით, მთელი ფილტვებით... მაგრამ რამდენი უნდა მეყვირა? და ან, რას შეცვლიდა ეს ყვირილი?..

რამდენიმე წლის შემდეგ, მოხდა ისე, რომ დავიწყე ლექციების კითხვა და, თანდათან შეუძლებელი გახდა თავის მოკატუნება და ჩემს კოშკში გამოკეტილი ცხოვრება. ოჯახიც არ უნყობდა ამას ხელს. ასე რომ, 70-იანი წლებისათვის უკვე გამოსული ვიყავი ბუნაგიდან და ჩემი ნაწერები მკითხველთა ვიწრო წრეში დატრიალდა. ეს იყო დრო, როდესაც წაკითხვისათვის (და არა მარტო დაწერისათვის!) კვლავ დაიწყეს 5–15 წლიანი მზრუნველი „საგზურების" (გამოსასწორებელი!) და-

რიგება. ამიტომაც ყველა გაფრთხილებული იყო, რომ ჩავარდნის შემთხვევაში ყველაფერი ჩემთვის გადმოებრალებინათ – რომ ძალით ჩავუდე ჩანთაში, სახლში ჩუმად მივუტანე და დავტოვე, და ა.შ. ჩემი საავტორო პასუხისმგებლობა ერთგვარ ფსიქოლოგიურ ჯავშანს მიქმნიდა, თანაც, არც აქ დარჩენა, არც გამოჩენა, არც რაიმე სახით მონაწილეობის მიღება მსგავს ცხოვრებაში კატეგორიულად არ მინდოდა და გამალებული ვემზადებოდი კედლის გასარღვევად. 1975 წლისათვის თითქმის მთელი ჩემი ნაწერები დასავლეთში იქნა გამოტანილი მადლიანი უცხოელი ადამიანების მიერ, და ჩემი მეგობრის ხელში თავმოყრილი. 1976 წელს კი ქართველ დისიდენტთა „ბელადის" ჯიბიდან გასაგზავნმა მიკროფირებმა კგბ-ს „საცავებში" გადაინაცვლეს, რის შესახებაც მხოლოდ ერთი წლის „განსჯის" შემდეგ შემატყობინა „დარცხვენილმა" და „შეწუხებულმა" დისიდენტმა. მაგრამ ამას აღარაფერი შეუცვლია, უკვე ისედაც დაძაბულ განწყობაში. ძალიან იშვიათად თუ ვიგონებდი ჩემს პირველ მოთხრობებს და თუ ვაკითხებდი, უფრო იმ განწყობის საჩვენებლად, რომლითაც ვიყავი შეპყრობილი ჭაბუკობაში და, ცხადია, ლიტერატურული მასალის ათვისების პროცესის დასანახადაც. და აქ, „მარტორქას" თავგადასავალმა ერთი მოულოდნელი ხვეული კიდევ გააკეთა და თავისი თავი შემახსენა.

ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც ძალიან მოსწონდა „კარები" და, განსაკუთრებით, წიგნი რუსეთზე – „ადამიანი ძაღლი არ არის – ყველაფერს ეჩვევა", მთხოვა პირველი მოთხრობები. მეც მივეცი. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა.

მოვიდა და ვიდრე რამეს იტყოდა, ჩვეულებრივ არაყი გადაჰკრა სულმოუთქმელად. არაყი ყოველთვის სავსე მქონდა. სოფლიდან ჩამოჰქონდა ერთ კახელ გლეხს, ნამდვილ, წესიერ გლეხს, რომელიც მხოლოდ ერთ ტიკს ხდიდა და ჩვენს ეზოში ცლიდა მთლიანად. ლიტრს 3 მანეთად. მადლიანი გემოს ჭაჭა 80 გრადუსს აღწევდა და მეტად სასიამოვნო სითბოს აყენებდა ტანში: ნამდვილად „ალღვობდა" მას. ვისხედით ასე ერთხანს და ვწრუპავდით არაყს.

– არა! – თქვა უეცრად, შეხურებულმა, – არა, ბიჭო, არ მესმის შენი. რას აჩენ ახლა ამ მოთხრობებს. სახელს გაგიტეხს და მეტი არაფერი.

– არ მესმის, რას ამბობ...

– გაიგე, ეს „მარტორქა" იონესკოს პიესას ჰგავს. იმას ახლა მსოფლიო იცნობს. თანაც, ეგ არაა პროფესიული ლიტერატურა. პროფესიონალიზმი აკლია, გაიგე?! რად გინდა, რომ ინახავ „კარების" ავტორი. არ დაგიჯერებენ მაინც, არაა ეგ ჩვენი პრობლემა და იმიტომ, მოთრეული ამბავია... ამბავიც არაა! მაგას ჯობია, „რუსეთს" მიხედე...

– პროფესიონალიზმი?! – შევხურდი მეც, – ვინ იცის, რაა პროფესიონალიზმი? გამომცემელმა? თუ მკითხველმა? იქნებ ავტორს უნდა ჰკითხოთ ჯერ?! ან და, ვინ გიშვებს ან ერთთან ან მეორესთან? გაბედე და მიდი აქ ვინმესთან რედაქციაში. ნახე, რას გეტყვის. მომგებიანი არ არისო? არაპროფესიული არისო? – არა! მე კი დავბეჭდავ, ჩემზე რომ იყოსო, მაგრამ ხომ იცი, იმათ არ მოეწონებათო; დაგვიჭერენო; შენი ჭირიმე, ნუ დაგვღუპავო, თავს ნუ იღუპავო და რა ვიცი, რას... ყველაფერს მოისმენ, ლიტერატურაზე ლაპარაკის მეტს. გესმის? სადაა ის, ვისაც ლიტერატურული ყნოსვა აქვს, ვის სიტყვასაც ენდობი, მაგრამ, რაც მთავარია, ვინც შენ გხედავს და გენდობა. უჯრაში ჩადებული სავსე ქაღალდები წიგნი არ არის. წიგნად უნდა აქციო, საბაზრო ნივთად, საგნად, თუ გინდა, რომ რამე გაიგო ან პროფესიონალიზმის და ან... – უეცრად მომაწვა ისევ ის გრძნობა, ამ ოციოდე წლის წინ რომ მაყვირებდა მთაში გამხოლოებულს. არაყი (დალოცოს ღმერთმა მისი გამომხდელი გლეხი) როგორღაც ანელებდა და აყრუებდა იმ ტკივილებს, მაგრამ ლაპარაკის საღერღელს შლიდა და მეც თავშეუკავებლად და უაზროდ მივყვებოდი დინებას, რადგან ვიცოდი – ეს იყო უკანასკნელი საუბარი აქ და ამ საკითხზე, ამ მიწაზე, ამ ოთახში, ამ ეკლესიის და ცის კიდეზე ამოწვერილი კავკასიონის ხედით ფანჯრიდან. დგებოდა დიდი დუმილის ხანა, რომლის დროსაც საბოლოოდ გადაწყდებოდა ჩემი ბედიც, ჩემი ნაწერებისაც და ყოველივე იმისიც,

რაც ჩემს ცხოვრებას შეადგენდა. და მე ეს ვიცოდი. ის კი მისმენდა, თვრებოდა და თავს აქნევდა, თითქოს აზრს კი არა, დადგენილებას მიცხადებდა.

– მაინც არ გამოაჩინო, რაღად გინდა, რომ ინახავ, არავინ არ დაგიჯერებს, ხელს შეგიშლის... დამიჯერე... რაღა აზრი აქვს ამას ახლა...

მე ვხელდებოდი – რას რა აზრი აქვს? ახლა, ორიოდ კაცი შემთხვევით კითხულობთ ოცი წლის წინანდელ ნაწერებს და მეუბნები: არ დაგიჯერებენო! შენ არა გჯერა თვითონ და მით უარესი შენთვისაც და იმისთვისაც, ვისაც არ სჯერა...

– გესმის, ავტორიტეტი არა გაქვს შენ, ავტორიტეტი, იმიტომ რომ ევროპაა ის, გესმის, ევროპაა ის თვითონ, იმათია ეს...

– რა ავტორიტეტი! ღმერთია ერთადერთი ავტორიტეტი და არც არაფერია მისთვის დამალული. არც ჩემი დავიწყებული სიყმაწვილის მოთხრობა და არც თქვენი „მეტრის" სანობელო პიესა: მე თუ მკითხავ, ეგ ყველაფერი სოციალური ფაქტებია და არავითარი კავშირი არა აქვს შემოქმედებასთან. მაშინაც ასე ვფიქრობდი, როცა შეძრწუნებული მამაჩემის სახეს ვუყურებდი და ახლაც ასე ვფიქრობ... მეტისმეტად გამრავლდა... მოკლედ, გუტენბერგი რომ მოეკლა ვინმეს თავის დროზე, კაცობრიობაც და სამყაროც ბევრ პრობლემას აიცდენდა. აღარც პროპაგანდა იქნებოდა, აღარც ავტორიტეტები და აღარც რედაქტორები და ცენზორები... და არც ამოდენა ბაზარი. ვიჯდებოდით ჩვენ-ჩვენთვის მონასტრებში, ან მეცენატი ფეოდალის სასახლეში, და დავწერდით მისთვის და მისი სოფლისთვის თითო წიგნს... არა! ინკვიზიციამ კუდიანების დევნაში ნამდვილი სატანური მანქანა გაუშვა ხელიდან... გუტენბერგი უნდა მიეცა ცეცხლისთვის და გადაერჩინა კაცობრიობა მკითხველთა, ცენზორთა და პროპაგანდისტთა მასებისაგან...

– ძალიან შეგიყვარდა შენ ეგ აფორიზმი... რეაქციონერობისთვის ყველგან 15 წელს იძლევიან, არ დაგავიწყდეს...

– სულაც არაა ეს რეაქციონერობა და არც ხუმრობა! ჩვენა ვართ თვითონ ამის ყველაფრის შემომქმედი; *მ ა რ ტ ო რ ქ ა !* და ვიდრე ამას არ გავიგებთ აქ და ახლა, ვიქნებით ასე ჩაყრილნი საკუთარ ჯოჯოხეთში, რომელსაც არათუ კარი, სარკმელიც კი არა აქვს და ქვაბის სახარშავი ცეცხლიც არ უნთია, რომ სინათლემ ნაპერწკალი არ ისროლოს (ეს „ნაპერწკალია", რომ აშინებთ მაგათ თვითონ და ესაა უბედურება) და გათოშილთა სულში ღვთიური სხივი არ გააელვოს. ასე ვიქნებით ამ გაყინულ ქვაბში სახარშავად ჩაყრილები, ასევე მუდმივი სწრაფვით ხმა მივაწვდინოთ „მოწყალე თვალს", ან ვინმე შემთხვევით გამვლელს მაინც... თუმცა არც კი ვიცით, გაიგებს თუ არა იგი ამ ხმას; არის თუ არა იგი ჩვენს გვერდით?! არცა გვჯერა, რომ მას შეუძლია გაიგოს და გაიგონოს იგი და, საერთოდ, ისმის თუ არა ეს ხმა? იქნებ ყრუა იგი, ეს გამვლელი, ან თვითვეა ჯოჯოხეთის შექმნის მონაწილე, ისე, ლიტერატურული და პროფესიონალური ინტერესით... ზედამხედველია იქნებ იგი, და მისი არსებობაც ამ ჯოჯოხეთის გარეშე... მისი არსებობაც უაზროა, უსაზრისო, ფუჭი. იქნებ იგია სწორედ ფაფუკი სატანა ჩვენი დამზრალი ქვაბებისა? მაგრამ ჩვენ მაინც ვყვირით, ჩუმად, მდუმარედ, ჯოჯოხეთურად, რომ ჩვენი ხმა მხოლოდ გულს მისწვდეს და არა ყურს. რადგან იმ ხმაურში, გარედან რომ ისმის, ჩვენი ხმაც ხმაურად აღიქმება, თუ მხოლოდ სასმენელს მისწვდა და გულისყური არ შეარხია. და მერე, უეცრად, ვიღაც აყვირდება იქაც ხმამაღლა; დღის სინათლეზე, იმავე ხმაზე, იმავე ბგერებს წამოისვრის, გაახმიანებს ჩვენს გულისყვირილს, იქნებ უაზროდაც, გაუცნობიერებელი სევდით შეპყრობილს რაღაც მოუჭერს ყელში, გულში და აახრიალებს, ააყვირებს ჩვენი მდუმარება, როგორც მე ვყვიროდი მთის კენწეროზე, მდუმარე ვედრებაში. და შენ, აქ, მე მეუბნები, რომ ჩემი ყვირილი არაა ნამდვილი, სუროგატია, ჩემი კვნესა მოგონილია, რომ ტანჯვა ჩემი გადმოწერილია და რომ მე ავტორიტეტი მაკლია მათი ნამდვილობის დასამტკიცებლად... გესმის?! გესმის, რა სასაცილოა ეს

ყოველივე? სასაცილო და სახარხარო, ჰოდა, მეც ვიცინი, ვიცინი, რადგან მტკივა...

მთელი ჩემი მონოლოგის დასასრული მის მზერაცარიელ და გულმოწყალედ გაღიმებულ მთვრალ სახეს შეეფრქვია. ეს იმდენად სასაცილო აღმოჩნდა უცებ, რომ ისტერიული ხარხარი ამივარდა მართლაც და ასე დასრულდა ეს თავიც „მარტორქას" თავგადასავალისა.

მცირე ხნის შემდეგ მე ჩემი მარტოობის გრძელ გზას შევუდექი.

* * *

უცხოეთში აღმოჩენილს მოულოდნელად შემომთავაზეს რადიოში მუშაობა. „ცივი ომი" თავის „რეიგანულ სტადიაში" შევიდა და უფრო სერიოზულად შეხედეს საქმეს ამერიკელებმა. მიზანი ჩემი მისვლისა იყო დახმარება ქართული რედაქციის გამწვავებული ურთიერთობების ჩიხიდან გამოყვანასა და პროფესიონალური დონის ამაღლებაში. მე გულუბრყვილოდ დავთანხმდი. ექვსი თვე მქონდა მოცემული გამოსაცდელი ვადის სახით, რომლის შემდეგაც, თუ უარი არ განმიცხადეს ოფიციალურად, ავტომატურად ვირიცხებოდი მუდმივ თანამშრომლად. შესანიშნავად დაიწყო მუშაობა, მეგობრული „ქართული" ატმოსფეროც შეიქმნა, პურმარილებიც იმართებოდა და ყოველივე კარგად მიდიოდა თითქოს, გარეგნულად მაინც. მაგრამ მეექვსე თვის დასაწყისში, ჩემი გამოსაცდელი ვადის დასასრულის მოახლოებისას, მოულოდნელად მეძახის დირექტორი და გაოგნებული, და საკმაოდ გაბრაზებულიც, მინვდის რუსულ ენაზე დაწერილ განცხადებას სიტყვებით: „მითხარით, რა ხალხია ეს ქართველები?" მე გამოვართვი და ვკითხულობ:

Обсуждение остронаболевших проблем в Грузинской редакции.

Доводим до вашего сведения, что господин Гиоргий К. принятый в грузинской редакции с шестимесячным испитательным сроком, пришел к нам как полноправный "хозяин", будто бы наделенный вами такими полномочиями. Пришел он с большим гонором и претензиями, с явным намериением, дискредитировать наши программы. Занимаясь саморекламой и используя с этой целью отдельные лица, он не брезгует угрозами, произвести коренную перестановку кадров и даже уволить некоторых из нас с работы, в то время как, по нашему мнению, его квалификация не отвечает требованиям, предъявленным рядовому члену редакции.

Его вызывающее поведение и оскорбительные выпады против членов редакции, создали крайне накаленное напряженное положение в нашем коллективе.

Тем временем, в течении четырех месяцев, прошедших со дня начала испитательного срока гос. Гиоргия К. он фактически еще не приступил к выполнению тех работ, которые предписаны соответствующим положением. Вся его деятельность в редакции в основном сводится к чтению исторических произведений, изданных в Советской Грузии и Эмигрантской литературы, порою резко противоречащих целям нашей Радиостанции и интересам Грузинского народа.

Дело дошло до того, что гл. редактор Грузинской редакции господин И. Насралидзе оказался вынужденным официально снять с себя политическую ответственность за передачи гос. Гиоргия К., а большинство членов редакции избегает обьедениния с ним. Все это наносит вред нашей программе и тем идеалам, которым мы призваны служить. Исходя из этого, просим назначить встречу с редакцией, для обсуждения создавшегося положения.

А. Шламия, А. Чхлюбиашвили, Я. Кретили, К. Мердишвили, Я. Гофман.

Копия 5 гг. ...

ასე ნაცნობი სტილის და „ნოსტალგიის“ გამომწვევი ეს საუცხოო განცხადება, გარდა დირექტორისა, დაეგზავნა რადიოს პრეზიდენტს, „კადრების უფროსს“, განყოფილებათა უფროსებს, მთავარ რედაქტორებს...

მარტორქას აჩრდილი ისევ წამოიმართა ჩემს წინ, და მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირის განმავლობაში ვცდილობდი, პასუხი გამეცა დირექტორისათვის, ფიქრი მიჭირდა და საშინელ გულისრევას ვგრძნობდი, რის გამოც პასუხი მის მიერ დასმულ კითხვაზე ვერ მოვნახე და შევთავაზე, მიეღო ისინი და თავად გაეცა პასუხი კითხვაზე. მართლაც ასე მოხდა. რა ილაპარაკეს, არ ვიცი, მაგრამ ამერიკიდან ექვსთვიანი საუნივერსიტეტო მივლინების შემდეგ დაბრუნებული, მალე რედაქციის უფროსად დამნიშნეს და აქ ყველა დასმული კითხვა ისევ წამოიჭრა ჩემს წინაშე და თანდათან ერთადერთ კითხვად დაფორმულდა: აქვს თუ არა საზღვარი ადამიანის ულირსობას? საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობას მოკლებული ადამიანი, ანუ ღირსების გრძნობადაკარგული, ცხადია, სხვასაც ვერ სცემს პატივს, სხვის ღირსებასაც ვერ გრძნობს და, ამიტომ, „შეაყარე კედელს ცერცვი“ და გინდა, შეაფურთხოს ვინმემ ან, მეტიც, შეიფურთხოს სახეზე, – ვერ მოიხოცავს თუ რა?! თორემ იმ წერილის შემდეგ რაც „უფროსისადმი“ ლიქვნა და ქლესაობა დაიწყო, „შეციცინებით“, ურთიერთდასმენით და საკუთარი თავის გათეთრებით, ერთ ერს ეყოფოდა... მთავარი საკითხავი კი იყო: არის ეს საერთოდ ადამიანის დამახასიათებელი თვისება, თუ განსაკუთრებულად ქართველებს შეგვეყარა ეს სენი და საკუთარი ცხოვრების წესიდან და ისტორიიდან ამოვარდნილებს, ველარც ღირსების და პატივისცემის კეთილშობილური გრძნობა გვიზრდია, უზრდელნი გავმხდარვართ (ზრდილობა კი კაცზე ათიათასჯერ მეტად ფასობდა ერთ დროს ქართულ კულტურაში), ულირსობის კარნავალი გაგვიმართავს და „ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი გვგონია“...? გულისრევა მცილდებოდა კი არა, სულ უფრო მატულობდა და მცირე ხნის შემდეგ უარი

ვთქვი რედაქციის უფროსობაზე და ისევ ჩემთვის განვმარტოვდი პარიზში, კორესპონდენტად, სადაც ახლა გიყვებით ამბავს მარტორქას თავგადასავლისა და იქნებ თქვენ გასცეთ პასუხი ყველა ამ კითხვას?..

აი, ენციკლოპედიასაც დაგახმართ...

RHINOCEROS I. Zoologie. – *Genre d'Ongules périssodactyles présentant les caractères suivants: incisives en nombre variable, souvent rudimentaires ou caduques; canines supérieures absentes; prémolaires au nombre de quatre et molaires au nombre de cinq, en série continue aux deux mâchoires et semblables les unes aux autres, sauf la première qui est petite et souvent caduque, et la dernière dont le lobe postérieur est rudimentaire, de telle sorte que sa couronne est triangulaire. Tête grande; crâne allongé, surélevé en arrière par une crête occipitale transverse; pas d'apophyses post orbitaires. Os nasaux grands, épais, soudés ensemble sur la ligne médiane et séparés des prémaxillaires par un espace vide; les prémaxillaires petits, ne se joignant pas ordinairement sur la ligne médiane, souvent rudimentaires. Cavité cérébrale très petite par rapport à la grandeur du crâne. Formes massives : pattes épaisses et de longueur moyenne, terminées par trois doigts aux sabots bien développés; cou très court; yeux petits; oreilles moyennes, ovales, dressées, insérées en arrière près de l'occiput; lèvre supérieure allongée, rabattue en avant de manière à cacher la lèvre inférieure; queue moyenne, épaisse, peu poilue; peau très épaisse, formant quelques replis saillants à poils rares. Une ou deux cornes médianes, coniques,insérée dans la peau qui recouvre les os nasaux et le frontal (quand il y en a deux). Ces cornes sont formées d'une masse de cellules épidermiques durcies, se développant au–dessus d'un amas de longues papilles dermiques; les cellules produites par chaque papille ont la forme d'un gros poil, et tous ces poils sont réunis et cimentés par une masse de cellules qui comble l'espace entre les papilles. La corne présente l'apparence d'une masse de poils agglutinés, particulièrement à sa base, dans les parties nouvellement poussées; mais ces fibres diffèrent des véritables poils en ce qu'elles se développent aux dépens d'une papille libre du derme*

et non à l'intérieur d'un repli en forme de follicule. Les grandes dents antérieures des Rhinocéros sont généralement décrites comme des incisives, mais l'étude des formes fossiles, qui présentent à la fois trois paires d'incisives inférieures et une canine, porte à considérer ces dents comme de véritables canines. Les replis que présente la couronne des molaires en s'usant rappellent ceux des paléothérium, mais varient suivant les espèces et le degré d'usure. Les viscères internes sont construits à peu près sur le même plan que ceux chez les Tapirs. Les Rhinocéros sont les plus gros de tous les mammifères terrestres après les éléphants. Ils se nourrissent d'herbes, de bourgeons et de feuilles d'arbres, et comme la plupart des animaux des régions intertropicales qu'ils habitent, ils dorment pendant la grande chaleur du jour, cherchant leur nourriture aux heures matinales ou pendant la nuit. Mal doués sous le rapport de la vue, d'une intelligence très bornée, ils vivent solitaires ou par couples, et sont d'une méfiance extrême qui les rend plus dangereux pour l'homme que le tigre ou l'éléphant. Flairant sans relâche la trace de l'ennemi supposé qu'ils sentent dans leur voisinage, ils le suivent à la piste, et n'ont de cesse que lorsqu'ils l'ont découvert: alors sans attendre d'être attaqués, ils chargent avec fureur, cherchant à le percer de leur corne nasale ou à l'écraser sous leurs pieds, et même mortellement blessés, ils ne renoncent à leur poursuite que lorsqu'ils sont à bout de forces.

თბილისი, 1957-58-61
პარიზი, 1986

სარჩევი

პარისიკონი
პირველი წიგნი.....3
მეორე ნიგნი.....181
დასასრული.....198

მარტორქას თავგადასავალი
გზაზედ.....230
მარტორქა.....238
ანგსტზოონ.....263
მოლოქი.....292
***.....298